რომან როლანი

ჟან-კრისტოფი

ოთხ ტომად

რომან როლანი

ქან-კრისტოფი

ტომი

ფიქრნი მეეთვსე, მეოთხე, მეხუთე

„ნაკადული"
თბილისი
1977

И (Фр)
84—31
ф 78

© „ნაკადული", 1977

ფიზნი
ჟეიჟვლე

ინტუიციები

ეუძღვნი დედას

ჟანენები იმ ძველ ფრანგულ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, საუკუნეების მანძილზე ერთსა და იმავე მიყრუებულ კუთხეში რომ ცხოვრობენ და წმინდად იცავენ თავიანთ გვარს, ცდილობენ უცხო არავინ გამოერიოთ. საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, საფრანგეთში ასეთი ოჯახები გაცილებით მეტია, ვიდრე წარმოიდგენდით. მათდა უნებურად, მშობლიურ მიწაში ისე ღრმად გაუდგამთ ფესვები, რომ მხოლოდ ძლიერი მიწისძვრა თუ ამოძირკვავთ. ამ ერთგულებაში გონებას არავითარი წვლილი არ მიუძღვის, გამორჩენის მიზანიც მცირეა. რაც შეეხება ისტორიული წარსულის სიყვარულს, იგი მხოლოდ რამდენიმე ლიტერატორს თუ ახასიათებს. მაგრამ ყველას, უხეშსა თუ გონიერს, მტკიცე კავშირით აერთიანებს ის უხილავი, ძლიერი გრძნობა, რომ ოდითგანვე ამ მიწის ნაწილს შეადგენენ, მისი სიცოცხლით ცხოვრობენ, მისი სუნთქვით სუნთქავენ, საკუთარ მკერდში მისი გულის ცემა ესმით; როგორც ერთ სარეცელზე ორი არსება, ისე გრძნობენ მის ყოველ შეკრთომას, დღეღამის, წელიწადის დროთა, ამინდისა თუ უამინდობის, დუმილისა თუ ხმაურის უმცირეს ნიუანსებს. შეიძლება კუთხე არც ისე თვალწარმტაცი იყოს, და იქ ცხოვრება არც ისე ხაამური, რომ შორიდანვე მიგიზიდოს, სამაგიეროდ, იქაური მიწა უბრალოა, უფრო მახლობელი და კაცს შინაურულად ეგაასება ხოლმე.

ცენტრალური საფრანგეთის სწორედ ასეთ პროვინციაში ცხოვრობდნენ ჟანენები. დაბლობი, ნესტიანი მხარე იყო. პატარა და ძველი, მიყრუებული ქალაქი არხის მდორე წყალში ხედავდა თავის მოწყენილ სახეს. ირგვლივ ერთფეროვანი მინდვრები, გადახნული ველები, პატაოა ნაკადულები, დაბურული ტყეები, და ისევ ერთფეროვანი მინდვრები ეკრა... არსად ჩანდა თვალწარმტაცი სანახები, არავითარი წარსულის ნაშთი, არავითარი მოგონება. არაფერი გიზიდავს; ყველაფერი კი გბორკავს. ასეთ გარინდებასა და გაშეშებაში კი რაღაც იდუმალი ძალაა. პირველი შეხვედრისას ადამიანის გონება იტანჯება და შფოთავს, მაგრამ ვისაც თაობიდან თაობამდე ამ ძალის გავლენის ქვეშ უცხოვრია, მის დაღს ვერასოდეს მოიშორებს; იგი მას ძვალ-რბილში გასჯდომია. ეს უძრაობა, ჰარმონიული ნაღველი, ერთფეროვნება ხიბლავს მას, ატკბობს. თუმცა მისდაუნებურად კიცხავს, მაინც უყვარს და ვერასოდეს დაივიწყებს.

ჟანენები უხსოვარი დროიდან ამ მიწაზე ცხოვრობდნენ. ქალაქსა და მის შემოგარენში მათ წინაპართა კვალს მე-16 საუკუნემდე მივყავართ. ჟანენების ბიძამ მთელი სიცოცხლე მათი გვარის, გამოუჩინებელი, მშრომელი ხალხის გენეალოგიის შედგენას შეალია. ვის არ შეხვდებოდით აქ — გლეხებს, ფერმერებს, სოფლელ ხელოსნებს, გადამწერებსა და სოფლის ნოტარიუსებს, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს ოლქის სუპრეფექტურაშიც მოიკალათეს, სადაც ოგიუსტენ ჟანენი, ახლანდელი ჟანენის მამა, მეტად ოსტატურად მართავდა თავის ფინანსურ საქმეებს. მარჯვე კაცი იყო, გლეხისათვის ჩვეული სიჯიუტე და ეშმაკობა არ აკლდა. პატიოსანი როგორ არ იყო, მაგრამ არცთუ მეტისმეტად სინდისიერი, მოუღლელი მშრომელი, მხიარული კაცი გახლდათ. თავისი ცბიერი გულკეთილობით, პირდაპირობითა და ქონებით ოლქში ათი ლიეს მანძილზე შეძლო პატივი მოეხვეჭა და ყველასთვის შიში შთაენერგა. ტანდაბალი, ჯმუხი კაცი იყო, წვრილი, ცოცხალი თვალები და ჩოფურა, ფართო, ღაჟღაჟა სახე ჰქონდა. ამბობდნენ, ახალგაზრდობაში ქალებს ეტრფოდაო, თუმცა ეს ტრფიალი ახლაც არ განელებოდა. ხუმრობა და კარგი სმა-ჭამა უყვარდა. სუფრასთან უნდა გენახათ, თავისი ვაჟიშვილის ანტუანისა და მისივე ყაიდის რამდენიმე ძველი მეგობრის წრეში: მოსამართლე, ნოტარიუსი, მღვდელი —(მოხუცი ჟანენი ეკლესიას კი გაშმაგებული ებრძოდა, მაგრამ სიამოვნებით ქეიფობდა მღვდელთან ერთად, თუკი მოლხენის მოყვარულს შეეყრებოდა) — ახოვანი ვაჟკაცები იყვნენ, სწორედ ისეთები, რაბლეს ქვეყანას რომ შეშვენის. უხეშად ხუმრობდნენ, მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებდნენ, ხორხოცობდნენ, მათი მხიარულება სამზარეულოში მსახურთ და ქუჩაში გამვლელებსაც კი გადაეედებოდათ ხოლმე.

ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს მოხუცმა ოგიუსტენმა სარდაფში პერანგისამარა ჩასვლა და ღვინის ბოთლებში გადასხმა აიხირა. იმ დღეს ფილტვების ანთება შეეყარა. სულ რაღაც ოცდაოთხ საათში იმ ქვეყანას გაემგზავრა, რომლის არსებობაც მაინცდამაინც არ სწამდა; არც ზიარება მოჰკლებია; როგორც პროვინციელ ვოლტერიანელ ბურჟუას შეჰფერის, სიკვდილის წინ ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც ქალები შეშვებოდნენ; კიდევ იმიტომაც, რომ მისთვის სულ ერთი იყო... და თანაც ვინ იცის...

მამის საქმე ანტუანმა განაგრძო. იგი ტანდაბალი, ჩასკვნილი კაცი იყო, მხიარული, ლოყებღაჟღაჟა, მუდამ წვერგაპარსული; ქილვაშებს ატარებდა, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა; ცოტათი ენას უკიდებდა, ამიტომ ლაპარაკის დროს ხშირად ჟესტებს იშველიებდა ხოლმე. მამისაგან ფინანსური ნიჭი არ დაჰყოლოდა, სამაგიეროდ, საკმაოდ კარგი ადმინისტრატორი იყო. თუმცა დიდად თავსატეხი არაფერი ჰქონდა, გულმშვიდად უნდა გაეგრძელებინა მამის წამოწყებული საქმე, თავისთავად რომ მიედინებოდა და ღონიერდებოდა. ანტუანს საქმიან კაცად თვლიდნენ, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ საკუთარ წარმოებაში მას არცთუ დიდი წვლილი მიუძღოდა. წარმოების წინსვლას მხოლოდ გულმოდ-

გინებითა და სიბეჯითით უწყობდა ხელს. ფრიად ღირსეული ადამიანი, იგი ყველგან დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდა. უბრალო, შინაურული კაცი იყო, რაც ზოგს მეტისმეტ გულღიაობადაც ეჩვენებოდა. მშობლიურ ქალაქსა და მის მიდამოებში ანტუანმა პოპულარობა და კარგი სახელი მოიხვეჭა. ფულის ხარჯვა არ უყვარდა, სამაგიეროდ გულჩვილი კაცი იყო; თვალზე ცრემლი ადვილად მოადგებოდა ხოლმე; სხვისი გაჭირვება ისე გულწრფელად ააღელვებდა, შეუძლებელი იყო გაჭირვებაში მყოფს მისი თანაგრძნობისაგან გულს არ მოჰფონებოდა.

პატარა ქალაქში მცხოვრებ მამაკაცთა უმრავლესობის დარად, ანტუანიც პოლიტიკით იყო გატაცებული. ზომიერი რესპუბლიკელი იყო, ზედმიწევნით ლიბერალი, პატრიოტი და, მამის მსგავსად, უკიდურესი ანტიკლერიკალი. მუნიციპალური საბჭოს წევრი გახლდათ. მისთვის, ისევე როგორც მისი კოლეგებისათვის, ჭეშმარიტი სიამოვნება იყო რაიმე ოინის მოწყობა მღვდლისა თუ პირქუში მქადაგებლისათვის, ქალაქის მანდილოსანთა შორის ესოდენ დიდი პატივით რომ სარგებლობდნენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ფრანგული პროვინციული ქალაქების ანტიკლერიკალიზმი ოჯახური ომების ერთ-ერთი სახეობაა. ცოლ-ქმარს შორის იმ ბრძოლის ყრუ და მკაცრი ფორმაა, თითქმის ყველა ოჯახში რომ ბუდობს.

ანტუან ჟანენს ლიტერატურაც იზიდავდა. მისი თაობის პროვინციელთა მსგავსად, მასაც ლათინელ კლასიკოსებზე ზრდიდნენ. ამ შემოქმედთა ანდაზები და რამდენიმე გვერდი ზეპირად იცოდა. ასწავლიდნენ ლაფონტენს, ბუალოს „პოეტურ ხელოვნებასა“ და „მგალობლებს“, „ორლეანელი ქალწულის“ ავტორს და მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ poetae minores[1], რომელთა მიბაძვით თვითონაც თხზავდა ლექსებს. მის წრეში ბევრს ჰქონდა ასეთი გატაცება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ანტუანის სახელს. ქალაქში ხშირად იმეორებდნენ მის გალექსილ ხუმრობებს, ერთსტროფიან ლექსებს, ბურიმეებს, აკროსტიქებს, ეპიგრამებსა თუ სიმღერებს, რომლებიც ზოგჯერ მოურიდებელი და ცოტა უხეშიც გამოსდიოდა. ამ თხზულებებში საჭმლის მონელების საიდუმლოებანიც არ იყო დავიწყებული. ლუარისპირა მხარეების მუზა[2] დანტესეული ეშმაკის მსგავსად სიამოვნებით ჩაჰბერავს ბუკს:

„...Ed egli avec del cul fatto tdombetta..[3]“

ამ ტანდაბალ, ჯმუხ, მხიარულ და მოუსვენარ კაცს სრულიად საწინააღმ-

---

[1] (ლათ.) წვრილფეხა პოეტები.

[2] ავტორი მიგვანიშნებს რაბლეს ლექსებზე რომანიდან „გარგანტუა და პანტაგრუელი“, სადაც ხშირად ვხვდებით მსჯელობას საჭმლის მონელების საკითხებზე. რაბლე წარმოშობით ლუარისპირა ფრანგული პროვინციიდან, ტურენიდან იყო.

[3] „უკანალიდან მოგვასმინა დუდუკის ხმები“, დანტე, ღვთაებრივი კომედია, ჯოჯოხეთი, XXI სიმღერა.

დეგო ხასიათის ცოლი ჰყავდა — ადგილობრივი სასამართლოს მოხელის ქალიშვილი, ლუსი დე ვილიე. დე ვილიეები, უფრო ზუსტად, დევილიეები — რადგან მათი გვარი დროთა განმავლობაში ორ ნაწილად გაიყო, როგორც მთიდან დაგორებული კენჭი გაიყოფა ხოლმე ორად, — თაობიდან თაობამდე სასამართლოს მოხელეები იყვნენ და საფრანგეთის პარლამენტარების იმ ძველ მოდგმას ეკუთვნოდნენ, რომელთათვისაც წმიდათაწმიდაა კანონის, ვალდებულების, საზოგადოებრივი და პირადი წესრიგის ცნება; მითუმეტეს, პროფესიული ღირსება, რომელსაც ზურგს უმაგრებს უზადო პატიოსნება, ოდნავ თვითკმაყოფილების სუნი რომ დაჰკრავს. გასულ საუკუნეში ისინი ფრონდარული იანსენიზმით გაიჟღინთნენ, რისი წყალობითაც ზიზღიღა შემორჩათ ყოველგვარი იეზუიტურისადმი და იმედგაცრუებულთა ჯუჯღუნი დასჩემდათ. ცხოვრება მრუმე ფერებში ესახებოდათ. სულაც არ ცდილობდნენ ყოფითი სიძნელეების მოგვარებას, პირიქით, წუწუნის სრული უფლება რომ ჰქონოდათ, უფრო ხლართავდნენ მათ. ზოგი ამ თავისებურებათაგან ლუსი დე ვილიესაც გააჩნდა. რაც მისი ქმრის არცთუ მთლად დახვეწილ ოპტიმიზს უპირისპირდებოდა. ტანმაღალი ქალი გახლდათ, ქმარს მთელი თავით ასცილებოდა, გამხდარი, კენარი, გემოვნებით, მაგრამ მკაცრად იცმევდა, რის გამოც (თითქოს განზრახ), თავის ასაკზე უფროსი ჩანდა. ბუნებით მეტად სპეტაკი, სხვების მიმართ მეტისმეტად მომთხოვნი იყო; დანაშაულს კი არა, შეცდომასაც არავის აპატიებდა, რის გამოც გულცივი და ქედმაღალი ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ღრმად მორწმუნე გახლდათ და სწორედ ეს იყო ცოლ-ქმარს შორის გაუთავებელი კამათის მიზეზი. ისე კი, ერთმანეთი ძალიან უყვარდათ; მართალია, ხშირად კინკლაობდნენ, მაგრამ უერთმანეთოდ წუთსაც ვერ ძლებდნენ. პრაქტიკული აზროვნების უნარი ორივეს აკლდა: ქმარი არცთუ ისე კარგი ფსიქოლოგი იყო (მაინცდამაინც ძნელი არ იყო მისი გაცურება კეთილი სახითა და ტკბილი სიტყვით), ცოლს — საქმეების მართვის არაფერი გაეგებოდა (საქმეებში არასოდეს გაურევიათ და არც აინტერესებდა).

ჟანენებს ორი შვილი ჰყავდათ: ქალიშვილი — ანტუანეტა და მასზე ხუთი წლით უმცროსი ვაჟი — ოლივიე.

ანტუანეტა ლამაზი, შავგვრემანი გოგონა იყო, მოხდენილი, თავაზიანი, წმინდა ფრანგული ნაკვთები ჰქონდა — მრგვალი პირისახე, ცოცხალი თვალები, ამობურცული შუბლი, თხელი ნიკაპი და მოკლე სწორი ცხვირი—„უჩვეულოდ კეთილშობილი თხელი ცხვირი (როგორც მოსწრებულად ამბობდა ერთი ძველი ფრანგი პორტრეტისტი), ოდნავ რომ იკმუხნება და მთელ სახეს აცოცხლებს, ნათელყოფს, რაოდენ ნაზია ყმაწვილი ქალის გრძნობები, როცა ის ისმენს ან საუბრობს“. მხიარულება და უზრუნველობა მამისაგან დაჰყოლოდა.

ოლივიე ქერათმიანი, სუსტი, მამასავით ტანდაბალი, მაგრამ სულ სხვა ხა-

სიათის ბიჭი იყო. ბავშვობაში ხშირმა ავადმყოფობამ მისი ჯანმრთელობა ფრიად სერიოზულად შეარყია. მართალია, შინაურები ძალზე ანებივრებდნენ, მაგრამ რაკი ფიზიკურად სუსტი იყო, მელანქოლიური, მეოცნებე ჭაბუკი დადგა, სიკვდილისა ეშინოდა და არც ცხოვრებასთან საბრძოლველად იყო შეიარაღებული. მარტოობა უყვარდა; ტოლებს გაურბოდა, ბავშვებთან უხერხულად გრძნობდა თავს, არ მოსწონდა მათი თამაში, მათი ჩხუბი; სწორების უხეშობა აღაშფოთებდა ხოლმე. ხშირად ცემასაც ითმენდა. იმიტომ კი არა, რომ გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ერიდებოდა, ეშინოდა თავი დაეცვა, ვაითუ ვინმეს რამე ვატკინოო. მამამისის საზოგადოებრივი მდგომარეობა რომ არა, ბიჭები ჯვარს აცვამდნენ. ნაზი და ავადმყოფურად მგრძნობიარე ყმაწვილი იყო: ერთი სიტყვა, ალერსი, საყვედური კმაროდა, რომ ცრემლად დაღვრილიყო; მისი და, ბევრად უფრო ჯანმრთელი გოგო, დასცინოდა და პატარა შადრევანს ეძახდა.

ბავშვებს ერთმანეთი გულწრფელად უყვარდათ, მაგრამ სულ საწინააღმდეგო ბუნებისანი იყვნენ, ამიტომ თანხმობით ვერ ცხოვრობდნენ; თითოეული თავისი გზით მიდიოდა, საკუთარ ოცნებებს მისდევდა. ანტუანეტა, რაც იზრდებოდა უფრო მშვენდებოდა, ამას არც უმალავდნენ და თვითონაც კარგად ხედავდა. ბედნიერი იყო და თავი მომავალი რომანების გმირად წარმოედგინა. სუსტ და სევდიან ოლივიეს გარესამყაროსთან არავითარი კავშირი არ იზიდავდა. თავშესაფარს საკუთარ თავში ეძებდა, სხვადასხვა ამბებს იგონებდა. მასაც ქალივით სჭირდებოდა ვინმე ჰყვარებოდა და თავადაც ჰყვარებოდა ვინმეს. თანატოლთაგან განდეგილმა სამიოდე მეგობარი გამოიგონა: ერთს ჟანს ეძახდა, მეორეს — ეტიენს, მესამეს — ფრანსუას. მუდამ იმათთან ტრიალებდა, ხოლო მათ, ვინც გარს ერტყა — გაურბოდა. მძინარა არ იყო; მუდამ ოცნებობდა. დილით ლოგინიდან ძლივძლივობით რომ ააყენებდნენ, შიშველ ფეხებს ძირს ჩაშოყოფდა და ოცნებაში წასული ხშირად ორივე წინდას ცალ ფეხზე წამოიცვამდა ხოლმე. ოცნებობდა პირის ბანის დროს, ოცნებობდა, როცა წერდა, როცა გაკვეთილებს სწავლობდა; ოცნებობდა საათობით და უცებ შიშით გაახსენდებოდა, რომ არაფერი უსწავლია. სადილზე რამეს რომ ეტყოდნენ, ჯერ დაიბნეოდა ხოლმე. ორიოდე წუთის შემდეგ უპასუხებდა. შუა წინადადებაში სათქმელი ავიწყდებოდა. საკუთარ ფიქრებსა და ერთფეროვანი პროვინციული ცხოვრების ჩვეულ შთაბეჭდილებებში იძირებოდა: მათი მოზრდილი სახლი ნახევრად ცარიელი იყო. სახლს დიდი, საზარელი სხვენი და სარდაფი ჰქონდა. დარაბები ჩაერაზათ, ავეჯზე შალითები გადაეკრათ, სარკეები და ჭაღები შეეფუთათ.. ძველებურ, საგვარეულო პორტრეტებს ბაგეებზე ღიმილი შეჰყინოდათ. იმპერიის სტილის გრავიურებზე სათნოება და თავაშვებული სიმამაცე აღბეჭდილიყო. აქ გახლდათ „ალკიბიადე და სოკრატე კურტიზან ქალთან“[1],

---

[1] ალკიბიადე — (450—404 წწ. ძვ. წელთაღრიცხვით) ათენის სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოს სოკრატეს მოწაფე.

„ანტიოქე და სტრატონიკე“[1], „ეპამინონდას თავგადასავალი“[2], „ღატაკი ბელიზერი“[3]... გარეთ კი, ქუჩის მეორე მხარეს, სამჭედლოდან ჩაქუჩის არითმული ცეკვის ხმა, საბერველის ქოშინი მოისმოდა, დაჭედილი ფლოქვების სუნი იდგა, მდინარის პირას ჩაცუცქულ მრეცხავ ქალებს ჟრიამული გაჰქონდათ, მეზობელი სახლიდან ყასბის ცულის ყრუ კაკუნი აღწევდა. მოისმოდა ცხენის ფლოქვების თქარუნი, ოწინარის ჭრიალი, გასაშლელი ხიდების ჭრაჭუნი არხზე; ხე-ტყით დატვირთული გემები ბუქსირით ნელა მიიწევდნენ წინ. დაკიდებულ ბაღებთან ფილაქნით მოგებული პატარა ეზო იყო, სადაც ბაბუაწვერას და პეტუნიას ტევრში ორი იასამანი ხარობდა. არხის გასწვრივ, ტერასებზე დაფნა და აყვავებული ბროწეული დიდ ქოთნებში ჩაერგათ. ბაზრობა დღეს მეზობელი მოედნიდან ღრიანცელი აღწევდა; გლეხებს პრიალა, ლურჯი ხალათები ეცვათ, ღორები ჭყვიტინებდნენ. კვირას კი ეკლესიაში მგალობელი გალობას ურევდა. მოხუცი მღვდელი წირვის დროს ხანდახან ჩასთვლემდა ხოლმე. ზოგჯერ მთელი ოჯახი სადგურის გამზირზე გაისეირნებდა, სადაც ქუდს უხდიდნენ სხვა წამებულთ, რომლებიც ასევე ვალდებულად თვლიდნენ თავს, მთელი ოჯახის თანხლებით ესეირნათ. ბოლოს მზით სავსე მინდვრები გადაიშლებოდა, ცაში ტოროლები დანავარდობდნენ, იქვე იყო ლაპლაპა, მძინარე არხი, რომლის ორივე ნაპირზე ჩამწკრივებული ალვები თრთოდნენ. მერე დიდი წვეულებები, გაუთავებელი სადილები იმართებოდა. ამგვარი დარბაზობისას საქმის ცოდნით ლაპარაკობდნენ კერძებზე: იქ მხოლოდ მცოდნენი იკრიბებოდნენ და ჭამასმა ხომ პროვინციაში მთავარი საქმიანობა, ჭეშმარიტი ხელოვნებაა. საქმეებიც იხსენებდნენ, ანეკდოტებს ჰყვებოდნენ, საუბრობდნენ სხვადასხვა სნეულებაზე... თაგვივით კუთხეში მიყუჟული ბიჭი რაღაცას ციცქნიდა, პირს არ აღებდა კერძს, უფროსების საუბარს გაფაციცებით უსმენდა და არაფერი ამბობდა. რასაც კარგად ვერ გაიგონებდა, წარმოდგენით შეავსებდა ხოლმე. ,ავად იყო დაჯილდოებული იმ საოცარი ნიჭით, ძველი ოჯახების შთამომამკალთ რომ დაჰყვებათ ხოლმე; ასეთ ოჯახებში საუკუნეების კვალი ძალზე აშკარაა. შეეძლო ამოეცნო აზრები, რომლებიც თავად ჯერ არც მოსვლოდა თავში და რომლებიც თითქმის არც კი ესმოდა. კიდევ, საოცრებებით სავსე სამზარეულოც არსებობდა, მოხუცი ძიძაც, სასაცილო და საშინელ ზღაპრებს რომ უყვებოდა... საღამოობით ღამურები უხმაუროდ დაფარფატებდნენ ცაში, ძველი სახლის ჯურღმულებში ჩამალული ურჩხულები, ვირთხები და უზარ-

---

[1] ანტიოქე და სტრატონიკე — სირიის მეფის სელევკის ცოლი სტრატონიკე, რომელიც შემდეგ მის შვილს, ანტიოქეს გაჰყვა ცოლად (111 ს. ძვ. წ.).

[2] ეპამინონდა — ქ. თებეს მცხოვრებთა წინამძღოლი სპარტელების წინააღმდეგ ბრძოლაში; გმირულად დაიღუპა მანტინეასთან, სადაც თებელებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს.

[3] ბელიზერი — ბიზანტიელი სარდალი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა. შემდგომ შერისხულ და თვალებდახრილ იქნა იმპერატორ იუსტინიანეს მიერ და იძულებული იყო მათხოვრობით ერჩინა თავი.

მაზარი ობობები ბიჭს შიშის ზარს სცემდნენ. საწოლის წინ ლოცულობდა, თავადაც არ ესმოდა, რას ბუტბუტებდა; მეზობელი მონასტრიდან ზარის წკრიალი მონაზვნებს მწუხრის ჟამს აუწყებდა და ბიჭიც ქათქათა ლოგინს — ოცნებების კუნძულს მიაშურებდა...

წელიწადის საუკეთესო დრო გაზაფხული და შემოდგომა იყო, როცა მთელი ოჯახი ქალაქის მახლობლად, მამულში მიემგზავრებოდა. შეგეძლო რამდენიც გინდა გეოცნება — არავინ შეგაწუხებდა. როგორც ქალაქელი ბავშვების უმრავლესობას, და-ძმას გლეხის ბავშვებთან სათამაშოდ არ უშვებდნენ; მოსამსახურენი და ფერმერები შიშსა და ზიზღს ჰგვრიდნენ მათ. დედისაგან დაჰყვათ არისტოკრატული, უკეთ რომ ვთქვათ, წმინდა ბურჟუაზიული ზიზღი მშრომელი ხალხის მიმართ. კოპიტის ტოტებზე მოკალათებული ოლივიე მთელ დღეებს ჯადოსნური ამბების კითხვაში ატარებდა. ეს იყო ჩინებული მითები, მუზეუსისა[1] თუ ქალბატონ დ'ოლნუას[2] ზღაპრები, „ათას ერთი ღამე", „მოგზაურობები". ბიჭი „ოკეანეზე ოცნებებს", შორეულ მხარეთა იმ უცნაურ ნოსტალგიას მოეცვა, რომლითაც ხშირად არიან შეპყრობილნი საფრანგეთის პატარა პროვინციული ქალაქების ახალგაზრდები. სახლი ტევრს ეფარებოდა და ბიჭს შეეძლო წარმოედგინა, რომ შორს იყო, ძალიან შორს, თანაც იცოდა, რომ ახლოს იყო და უხაროდა; მარტოს შორს წასვლა არ უყვარდა; ბუნებაში დაკარგულად გრძნობდა თავს. ირგვლივ ხეები შრიალებდნენ, ფოთლებს შორის ჩაყვითლებული ვაზი მოჩანდა. მოჩანდა მინდვრები, რომლებზედაც ჭრელი ძროხები ბალახობდნენ; მათი ზმუილი მთვლემარე სოფლის სიმყუდროვეს ავსებდა. ფერმიდან ფერმაში მამლები გამყივანი ხმით გადასძახოდნენ ერთმანეთს. კალოდან საცეხველის ხმაური ისმოდა. ბუნების ამ აუღელვებელ სიმშვიდეში ცოცხალ არსებათა მშფოთვარე ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა. ოლივიე აღელვებულ მზერას ვერ აშორებდა მუდამ მოფუსფუსე ჭიანჭველებს, ნადავლით დატვირთულ ფუტკრებს, ორღანივით რომ გუგუნებდნენ, ქარაფშუტა და ამპარტავან ბზიკებს, თავადაც რომ არ იციან, რა უნდათ. აკვირდებოდა ამ მოფუსფუსე მწერებს, საითკენღაც რომ მიეჩქარებათ, მაგრამ საით? არ უწყიან... რა მნიშვნელობა აქვს, საით! სადღაც... ოლივიეს ჟრუანტელი უვლიდა ამ ბრმა და მტრულ სამყაროში; მიწაზე დავარდნილი ნაძვის გირჩა თუ ხმელი ტოტის ჭრიჭინი კურდღელივით აკრთობდა... და მაშინვე მშვიდდებოდა, როგორც კი ბაღის მეორე ბოლოდან საქანელას ჭრიალს გაიგონებდა. საქანელაზე გაშმაგებით ქანაობდა ანტუანეტა.

ანტუანეტაც ოცნებობდა; ოცნებობდა თავისებურად. მთელი დღეები ბაღში იქექებოდა, პირს იტკბარუნებდა ცნობისმოყვარე და მომღიმარი გოგო. ყურძნის მტევნებს შაშვივით კიკნიდა, ჩუმად კრეფდა ატამს, ქლიავის ხეზე

---

[1] იოჰან კარლ მუზეუსი — (1735—1787) გერმანელი მწერალი.

[2] ქ-ნი დ'ოლნუა —(1650—1705) ფრანგი მწერალი ქალი, პოპულარული ზღაპრების ავტორი.

აცოცდებოდა, ანდა ხეს შეარხევდა ოქროსფერი მირაბელის ჩამოსაყრელად, სურნელოვანი თაფლივით რომ დნებოდა პირში. ანდა, თუმცა უკრძალავდნენ, ჩუმ-ჩუმად ყვავილებს კრეფდა; უცებ ვარდს მოგლეჯდა, დილიდანვე რომ უთვალთვალებდა. მოპარული ვარდით ბაღის სიღრმეში, ხეივანს შეაფარებდა თავს. ცხვირს სურნელოვან ყვავილში ჩარგავდა, კოცნიდა, კბენდა, ლოკავდა; შემდეგ ნაქურდალს უბეში მალავდა და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ამობურცულ, შეხსნილ საკინძეს... ასეთივე მიმზიდველი და აკრძალული სიამოვნება იყო ფეხშიშველა სიარულიც. უყვარდა ფეხშიშველა ტანტალი ხეივნის გრილ სილაში, ნამიან მდელოზე, ჩრდილში ცივ და მზეზე გავარვარებულ ქვებზე, პატარა ნაკადულში ჩასვლა, ტყის პირას რომ მორაკრაკებდა. ფეხებით, წვივებით, მუხლებით ეალერსებოდა წყალს, მიწას, სინათლეს. ნაძვის ჩრდილში წამოწოლილი, მზის შუქზე გამჭვირვალე თითებს აკვირდებოდა, ტუჩებით ეალერსებოდა თავის ნაზ და ჩაპუტკუნებულ, ხავერდოვან ხელებს. მუხისა და სუროს ფოთლებისგან გვირგვინებს, ყელსაბამებს იკეთებდა, კაბებს იკერავდა. ზედ ბურბურას ლურჯ ყვავილებს, კოწახურის წითელ ნაყოფს, ნაძვის პატარა, მწვანეგირჩებიან ტოტებს იბნევდა. პატარა, ველურ დედოფალს ჰგავდა და როკავდა, მარტო როკავდა შადრევანის ირგვლივ. მკლავებს შლიდა, ტრიალებდა, თავბრუს დახვევამდე ტრიალებდა; შემდეგ მდელოზე დაემხობოდა, სახეს ბალახში ჩარგავდა და რამდენიმე წუთს ხარხარებდა, სულმოუთქმელად ხარხარებდა, თვითონაც არ იცოდა, რა აცინებდა.

ასე გადიოდა დღეები. ბავშვები ორ ნაბიჯზე იყვნენ ერთმანეთისგან, მაგრამ რთმანეთი არც ახსოვდათ — ზოგჯერ ანტუანეტას მოეპრიანებოდა ძმასთან ახუმრება, სახეში ნაძვის წიწვებს შეაყრიდა, ან ხეს შეარხევდა, რომელზედაც იჯი შესკუპებულიყო და ემუქრებოდა, ჩამოგაგდებო; ანდა აშინებდა, ჩუმად მიეპარებოდა და დასჭყივლებდა — უუუუ...

ზოგჯერ სურვილი აიტანდა, ძმა გაებრაზებინა. ეუბნებოდა, დედა გეძახისო და ხიდან ჩამოჰყავდა. როცა ბიჭი ძირს ჩამოვიდოდა, თავად აცოცდებოდა ხეზე და არაფრის გულისათვის არ უნდოდა ჩამოსვლა. ოლივიე ტიროდა, ჩიოდა. დედას ვეტყვიო, მაგრამ ანტუანეტა თავად ველარ ძლებდა ხეზე: ორ წუთსაც ვერ ჩერდებოდა წყნარად. ხიდან ოლივიეს გამოჯავრებით გულს რომ იჯერებდა, ტირილის პირას რომ მიიყვანდა, ძირს ჩამოსრიალდებოდა, მივარდებოდა ძმას, სიცილით ანჯღრევდა, „პატარა დოყლაპიას“ ეძახდა, მიწაზე გააგორებდა და ცხვირს ბღუჯა ბალახით უსრესდა. ძმა ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ღონე არ ჰყოფნიდა. მაისის ხოჭოსავით უძრავად წვებოდა ზურგზე, მისი სუსტი, გაშლილი მკლავები ანტუანეტას ღონიერ მუშტებს მიწაზე მიეჯაჭვა. საცოდავი და მორჩილი სახით შესცქეროდა დას. ანტუანეტაც მოლბებოდა, დასცქეროდა, დამარცხებულ და დამორჩილებულ ძმას, იხარხარებდა, ჩაკოცნიდა და თავს გაანებებდა. თუმცა წასვლისას, დამშვიდობების ნიშნად პირში ბღუჯა ბალახს ჩასტენიდა ხოლმე. ეს კი ყველაფერზე მეტად ეჯავრებოდა უაღრესად აზიზ

ოლივიეს; იფურთხებოდა, პირს იწმენდდა, აღშფოთებული ბრაზობდა, ანტუანეტა კი იცინოდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

იგი სულ იცინოდა; ღამით, ძილშიაც კი იცინოდა; ოლივიე მეზობელ ოთახში იწვა. არ ეძინა. ჯადოსნურ ამბებს თხზავდა. მაგრამ, როცა ღამის დუმილს მძინარი დის ხარხარი ან უაზრო ბუტბუტი არღვევდა, შეკრთებოდა ხოლმე. გარეთ ქარი ხეებს აჭრიალებდა. ჭოტი მოსთქვამდა, შორეულ სოფლებში და ტყეში გაფანტულ ფერმებში ძაღლები ყმუოდნენ. ღამის წყვდიადში ოლივიე ფანჯარაში მოჩვენებასავით მოქანავე ნაძვის მძიმე, ჩაშავებულ რტოს შესცქეროდა და ანტუანეტას სიცილზე გულს მოეშვებოდა ხოლმე.

ორივე ბავშვი ღრმად მორწმუნე იყო, განსაკუთრებით კი ოლივიე; აღშფოთებულნი იყვნენ მამის ურწმუნოებით, თუმცა მამა ბავშვებს ამ მხრივ სრულ თავისუფლებას აძლევდა და გულის სიღრმეში, როგორც არაერთი ურწმუნო ბურჟუა, კმაყოფილიც კი იყო, რომ მისიანები მის ნაცვლადაც ლოცულობდნენ. ურიგო როდია მოწინააღმდეგის ბანაკში მოკავშირეები იყოლიო. ვინ იცის, ბედი ვის გაუღიმებს. საერთოდ, იგი დეისტი იყო და მოელოდა, რომ ერთ დროს ალბათ თავადაც მამასავით მოუხმობდა მღვდელს — თუ არას არგებდა, ვნებით მაინც ხომ ვერას ავნებდა — ხანძრისგან რომ ეზღვევი, სულაც არ ფიქრობ იმაზე, რომ აუცილებლად უნდა დაიფერფლო.

ფიზიკურად სუსტ ოლივიეს მისტიციზმი იზიდავდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, არც კი ვარსებობო. დამყოლი და რბილი ხასიათის ბიჭი მყარ საყრდენს საჭიროებდა. აღსარება და კეთილი უცნობი მეგობარი, რომელიც მუდამ მზად არის მკერდში ჩაგიკრას, რომელსაც შეიძლება ყველაფერი უთხრა, რომელიც ყველაფერს გაგიგებს და გაპატიებს — ნაღვლიან შვებას ანიჭებდა. იგი მშვიდად ეშვება მორჩილებისა და სიყვარულის ემბაზში, საიდანაც სული განწმენდილი, განბანილი და დამშვიდებული გამოდის. რწმენა მისთვის იმდენად ბუნებრივი რამ იყო, რომ ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა არ გერწმუნა. ფიქრობდა, ეს ღმერთის მიერ მოგონილი სასჯელი, ან საკუთარი ბოროტების შედეგიაო. ბიჭი მალულად ლოცულობდა, რომ ღმერთს მამამისისთვის შეენდო. ერთხელ, როცა მამასთან ერთად სოფლის ეკლესიაში შეევიდა და მამამ პირჯვარი გადაიწერა, უსაზღვროდ გაუხარდა. წმინდანთა ცხოვრება მის გონებაში რიუბეცალის[1] ჯადოსნურ ზღაპრებს, გრაციოზესა და პერსინეს[2], ხალიფ ჰარუნ ალ რაშიდის[3] ამბებს გადაეჯაჭვა. სანამ პატარა იყო, მათ ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ ეპარებოდა.ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მართლაც შეხვედრია ბაგეგაპობილ

---

[1] რიუბეცალი — ჯუჯების მბრძანებელი მუზეუსის ერთერთი ზღაპრიდან.

[2] გრაციოზე და პერსინე — ქალბატონ დ'ოლნუას ამავე სახელწოდების ზღაპრის გმირები.

[3] ხალიფ ჰარუნ ალ რაშიდი — „ათასერთი ღამის“ მოქმედი პირი.

შაკაბაკს[1], ყბედ დალაქს[2], კასგარელ კუზიანს[3], სოფლად სეირნობისას თვალებს აცეცებდა, იქნებ შავი კოდალა დავინახოო, ნისკარტში განძის მაძიებლის ჯადოსნური ფესვი რომ გაუჩრია — მისი ბავშვური წარმოსახვის წყალობით, ქანაანი და აღთქმული მიწა[4] სულ ადვილად იქცეოდა ბურგუნდიის თუ ბერის ამა თუ იმ კუთხედ. სოფლის პატარა ბორცვი, რომელზედაც ერთადერთი, ბებერი, ტოტებშემოძარცული ხე ხარობდა, იმ მთად ესახებოდა, აბრამმა სამსხვერპლო რომ აღმართა[5]. ნაყანევთან, გამხმარი, მოზრდილი ბუჩქი მისთვის საუკუნეებისაგან ჩამქრალი უწვი მაყვლოვანი[6] იყო. ცოტა რომ წამოიზარდა და მასში კრიტიკულმა აზროვნებამ გაიღვიძა, კვლავაც თავს ინანავებდა ხალხური ლეგენდებით, ასე რომ ერწყმოდნენ რწმენას და უსაზღვროდ სიამოვნებდა, რომ, თუმცა მთლად ბრიყვი არ იყო, თავს ძალით იბრიყვებდა. ამგვარად, კარგა ხანს, დიდმარხვის უკანასკნელ შაბათს საღვთო ზარების დაბრუნებას უთვალთვალებდა, წინა ხუთშაბათს რომს რომ გაემგზავრნენ და ახლა უკან მოფრინავდნენ ბაფთებით შემკულნი. ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ეს მართალი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თვალებს მაინც ცისკენ აღაპყრობდა, როცა ზარის ხმა შემოესმოდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს მოეჩვენა კიდეც — თუმცა კარგად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, — თითქოს ცისფერი ბაფთებით შემკულმა ზარმა სახლს გადაუფრინა და გაუჩინარდა.

ლეგენდებისა და რწმენის სამყაროში ჩაძირვის დაუძლეველი მოთხოვნილება ჰქონდა. ცხოვრებას გაურბოდა. საკუთარ თავს გაურბოდა. გამხდარი, ფერმკრთალი, კიკნა ბიჭი იყო; ეს ძლიერ ტანჯავდა და ამიტომ ამის მოგონებაც არ სურდა. დედის მუცლიდან მემკვიდრეობად პესიმიზმი დაჰყოლოდა და ავადმყოფი ბავშვის სულში ნოყიერი ნიადაგი ეპოვა. თავად ამას ვერ გრძნობდა: ფიქრობდა, ყველა ასეთიაო; ეს ათიოდე წლის ბიჭუნა შესვენებაზე ბაღში კი არ გარბოდა სათამაშოდ, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა ხოლმე, საუზმეს ციცქნიდა და ანდერძს ადგენდა.

ბევრს წერდა. ყოველ საღამოს მალულად ავსებდა დღიურს — თავადაც არ იცოდა რატომ. სათქმელი არაფერი ჰქონდა, სისულელეების გარდა. წერის მანიაც — საფრანგეთის პროვინციელი ბურჟუას საუკუნოვანი ჩვევა — მემკვიდრეობით დაჰყოლოდა. ჩვევა, რომ სიკვდილამდე ყოველდღე წეროს, წეროს თავისთვის, იდიოტური, თითქმის გმირული მოთმინებით, დაწვრილებით წეროს,

---

[1] შაკაბაკი — „ათასერთი ღამის“ მოქმედი პირი.

[2] ყბედი დალაქი — „ათასერთი ღამის“ მოქმედი პირი.

[3] კასგარელი კუზიანი — „ათასერთი ღამის“ მოქმედი პირი.

[4] ქანაანი, აღთქმული მიწა — პალესტინის ბიბლიური სახელწოდება.

[5] ბიბლია გვეამბობს, რომ ღმერთმა აბრამს უბრძანა მისთვის მსხვერპლად შეეწირა თავისი შვილი ისაკი. აბრამი დაემორჩილა და მთის წვერზე კოცონი დაანთო, მსხვერპლად შეწირვის შემდეგ შვილს გვამი რომ დაეწვა.

[6] უწვი მაყვლოვანი — ბიბლია გვეამბობს, რომ მოსეს ანგელოზმა თაეისი მოწოდება უწინასწარმეტყველა აღმოდებული ბუჩქის სახით, რომელიც არ იწვოდა.

რაც ხდება ყოველდღე, რაც ნახა, თქვა, გააკეთა, გაიფიქრა, შესვა და ჭამა; წეროს მხოლოდ საკუთარი თავისთვის. თუმცა, კარგად იცის, რომ მის ნაწერს თავის დღეში არავინ წაიკითხავს: აკი თავადაც არასოდეს კითხულობს საკუთარ ნაწერს.

მუსიკა, ისევე როგორც რწმენა, ოლივიესთვის დღის თვალისმომჭრელი სინათლისაგან თავშესაფარს წარმოადგენდა. და-ძმა სულით მუსიკოსები იყვნენ. განსაკუთრებით კი ოლივიე, რომელსაც ეს ნიჭი დედისაგან დაჰყოლოდა. სხვათა შორის, მუსიკალური გემოვნებით მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებდნენ. ამ მიყრუებულ კუთხეში აბა ვის შეეძლო მათი გემოვნების განვითარება. აქ მხოლოდ დაფდაფების მარშს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ადოლფ ადანის პოპურის თუ მოისმენდა კაცი, ანდა, ეკლესიის ორღანზე თუ დაუკრავდნენ რაიმე რომანსს ან საფორტეპიანო ეტიუდებს ბურჟუების ქალიშვილები. ისინი აშლილ ინსტრუმენტზე რამდენიმე ვალსს და პოლკას, „ბაღდადელი ხალიფას"[1] უვერტიურას თუ „ახალგაზრდა ანრის ნადირობას"[2], მოცარტის ორ-სამ სონატას, მუდამ ერთსა და იმავეს, მუდამ ერთი და იგივე ყალბი ბგერებით უტყაპუნებდნენ. ყოველივე ეს წვეულების აუცილებელი პროგრამა იყო. ნასადილევს, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულთ სთხოვდნენ პატივი დაედოთ სტუმრებისათვის და რაიმე შეესრულებინათ. ისინი ჯერ უარობდნენ, წითლდებოდნენ, შემდეგ თანხმდებოდნენ და რაც კარგად იცოდნენ, იმას ასრულებდნენ. სტუმრები აღტაცებულნი რჩებოდნენ შემსრულებლის მეხსიერებით და მისი უზადო ხელოვნებით.

ასეთი წარმოდგენა ყოველი წვეულების დროს იმართებოდა და ბავშვებს საზეიმო სადილის სიამოვნებას უქარწყლებდა. როცა ისინი ოთხი ხელით უკრავდნენ ბაზენის „ჩინეთში მოგზაურობას"[3], ან ვებერის პიესებს, მაინცდამაინც არ ეშინოდათ, რადგან ერთმანეთის იმედი ჰქონდათ. მარტო დაკვრა კი ნამდვილი წამება იყო. ჩვეულებრივ, ანტუანეტა უფრო თამამი იყო. დაკვრა საშინლად ეზარებოდა, მაგრამ იცოდა, რომ თავს ვერ დაიძვრენდა, ბედს ემორჩილებოდა და პიანინოსთან ჯდებოდა. შეუვალი იერით, დაუდევრად უბრახუნებდა თავის „რონდოს", ერთ პასაჟს მიაშაბათებდა, მეორეს წაუპარტყუნებდა, გაჩერდებოდა, შემობრუნდებოდა და ღიმილით იტყოდა:

— აჰ, აღარ მახსოვს...

მერე გაბედულად გააგრძელებდა, რამდენიმე ტაქტს გამოტოვებდა და ბო-

---

[1] „ბაღდადელი ხალიფა" (1800) — ფრანგი კომპოზიტორის ფრანსუა-ანდრიენ ბუალდიეს (1775—1834) კომიკური ოპერა.

[2] „ახალგაზრდა ანრის ნადირობა" (1797) — ფრანგი კომპოზიტორის ეტიენ ნიკოლა მეჰიულის (1763—1817) ოპერა.

[3] „ჩინეთში მოგზაურობა" (1865) — ფრანგი კომპოზიტორის ფრანსუა ბაზენის (1816—1878) ოპერა.

ლომდე ჩაარაკრაკებდა. არ მალავდა, რომ დამთავრება უხაროდა. თავის ადგილს მიაშურებდა. ქათინაურებს აყრიდნენ, ისიც იცინოდა და ამბობდა:

— ო, რა საძაგლად ვუკრავდი...

ოლივიე ასე დამყოლი არ გახლდათ. არ უყვარდა, სტუმრებს რომ წარუდგენდნენ, ყველა რომ მისჩერებოდა. სტუმრებთან ლაპარაკიც კი წამებად ექცეოდა ხოლმე. დაუკრა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მუსიკა სულაც არ უყვარს (ამას ის კარგად ხედავდა), თავსაც კი აბეზრებს და მხოლოდ იმისთვის გაიძულებს დაუკრა, რომ ასეა მიღებული, ნამდვილი ტირანია იყო მისთვის. ამაოდ ცდილობდა აჯანყებულიყო; ჯიუტად უარობდა და მიუხედავად იმისა, რომ ობობების ეშინოდა, ზოგჯერ ბნელ ოთახში, დერეფანში ან სხვენზე იმალებოდა. მაგრამ, რაც უფრო მეტს ჯიუტობდა, მით უფრო მეტად ჩააცივდებოდნენ ხოლმე. მშობლებიც უჯავრდებოდნენ, ზოგჯერ სილასაც უთავაზებდნენ. მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა დაეკრა. მერე მთელი ღამე იტანჯებოდა, რომ ცუდად დაუკრა, რადგან მართლაც ძალიან უყვარდა მუსიკა.

ამ პატარა ქალაქის მუსიკალური გემოვნება მუდამ ასე მდარე როდი იყო. მოხუცებს ისეთი დროც ახსოვდათ, როცა ორ-სამ ბურჟუაზიულ ოჯახში არცთუ ურიგო კამერული კონცერტები იმართებოდა. ქალბატონი ჟანენი ხშირად იგონებდა თავის პაპას, რომელიც გატაცებით უკრავდა ვიოლონჩელზე და გლიუკის, დალერაკისა[1] და ბერტონის[2] არიებს მღეროდა. ოჯახში ახლაც ინახებოდა სქელი სანოტო რვეული და იტალიური არიების მთელი დასტა. კეთილი მოხუცი ხომ ბატონ ანდრიოს[3] ჰგავდა, რომელზედაც ბერლიოზს უთქვამს: „ძალიან უყვარდა გლიუკიო“, და მწარედ დაუმატებდა — „მას პიჩინიც[4] ძალიან უყვარდაო“. იქნებ პიჩინი უფრო უყვარდა? ყოველ შემთხვევაში, მოხუცის არქივში იტალიური არიები სჭარბობდა. ეს იყო პატარა ოლივიეს მუსიკალური პური. არცთუ ისე ნოყიერი საკვები, იმ პროვინციული ტკბილეულისა არ იყოს, ბავშვებს ძალით რომ აჭმევენ. იგი გემოვნებას უფუჭებს, კუჭს უზიანებს და შეიძლება ნოყიერი საკვების ჭამის მადა სამუდამოდაც დაუკარგოს. მაგრამ ეს ოლივიეს მსუნაგობის ბრალი როდი იყო, უფრო მაწიერ საკვებს არავინ სთავაზობდა. პური არ გააჩნდა და ნამცხვარს შეექცეოდა. ალბათ ბედისწერა იყო, რომ ამ მისტიურ და მელანქოლიურ ბიჭუნას ჩიმაროზა[5], პაეზიელო[6] და როსინი[7] ასაზრდოებდნენ. თავბრუ ესხმოდა, როცა რძის ნაცვლად Asti spuman-

---

1 ნიკოლა დალერაკი (1753—1809) ფრანგი კომპოზიტორი.

2 ანრი ბერტონი (1767—1844) ფრანგი კომპოზიტორი.

3 ფრანსუა ანდრიო (1759—1833) ფრანგი პოეტი.

4 ნიკოლო პიჩინი (1728—1800)იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობდა და გლიუკის მეტოქე იყო.

5 დომენიკო ჩიმაროზა (1749—1801) იტალიელი კომპოზიტორი.

6 ჯოვანი პაეზიელო (1741 — 1816) იტალიელი კომპოზიტორი.

7 ჯოაკინო როსინი (1792—1868) ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი.

te[1]-ს ასმევდნენ მხიარული, უტიფარი მამა სილენები[2], გულუბრყვილო და ავ-ხორცად მომღიმარე, ერთი ნეაპოლელი, ხოლო მეორე კატანელი, ორი პატარა თვალცრემლიანი ბაკხელი ქალი: პერგოლეზე[3] და ბელინი[4].

ბევრს უკრავდა. უკრავდა მარტო, საკუთარი სიამოვნებისთვის. მუსიკა ძვალ-რბილში გასჯდომოდა. არ ცდილობდა გაეგო რას უკრავდა და ზედმეტი ფიქრით თავს არ იტკიებდა, უბრალოდ, ანგარიშმიუცემლად ტკბებოდა. აზრად არავის მოსვლია მისთვის ჰარმონია ესწავლებინა. თავად მისი უცოდინარობა სულაც არ აწუხებდა. მეცნიერებასა და სამეცნიერო აზრთან წილნაყარი, ყველაფერი უცხო იყო მათი, და განსაკუთრებით დედის, ოჯახისათვის. ყველა ეს კანონის მცოდნენი, მჭევრმეტყველნი და ჰუმანისტები, უსუსურნი იყვნენ ნებისმიერი მეცნიერული პრობლემის პირისპირ... ფენომენურ კაცად მოიხსენიებდნენ შორეულ ნათესავს, რომელიც გეოგრაფიული საზოგადოების წევრი გამხდარიყო. იმასაც ამბობდნენ, ბოლოს გაგიჟდაო. პროვინციულ ხანდაზმულ ბურჟუაზიას, ვისაც ჯანსაღი გონება აქვს, მაგრამ საუმლის ხანგრძლივ მონელებასა და ერთფეროვანი დღეების დაღამებას უნდება, იმდენად სწამს საკუთარი კეთილგონიერება, რომ სჯერა, არ არსებობს პრობლემა, ის რომ ვერ გაუმკლავდება. ეჩვენება, რომ მეცნიერები დიდად არ განსხვავდებიან ხელოვანთაგან — მართალია, მეტი სარგებლობა მოაქვთ, მაგრამ ნაკლებ განდიდებულნი არიან; ხელოვანთაგან არაფერს მოელიან. თანაც ამ უქნარებს სინატიფე არ აკლიათ, მაშინ, როცა მეცნიერები თითქმის შავ მუშებს ჰგვანან (რაც საკმაოდ დამამცირებელია), ოღონდ, უფრო განსწავლულნი და ცოტა ჭკუანაღრძობნი უნდა იყვნენ. ქაღალდს რომ ჰკითხო, ყველანი ჭკვიანები ბრძანდებიან, მაგრამ, როგორც კი თავიანთ ციფრების ქარხანას გასცდებიან — არარაობად იქცევიან ხოლმე. ისინი ბევრ რამეს ვერ მიაღწევდნენ, გონიერი, ამავე დროს ცხოვრებასა და საქმეში გამოცდილი ხალხი რომ არ ხელმძღვანელობდეს.

საუბედუროდ ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ცხოვრებასა და საქმეში გამოცდილება ისეთივე ყოვლისშემძლეა, როგორც ამ კეთილგონიერ ხალხს მიაჩნია. ეს უბრალო ჩვევაა, ისიც მხოლოდ ზოგიერთ, იოლ შემთხვევაში გამოსადეგი. საკმარისია რაიმე მოულოდნელი მოხდეს, როცა საჭიროა სწრაფი, გაბედული გადაწყვეტილების მიღება და ისინიც ფარ-ხმალს ყრიან.

ბანკირი ჟანენიც ამ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა. თავიდანვე ყველაფერი ისე კარგად იყო გათვალისწინებული, ყველაფერი ისე ზუსტად მეორდებოდა პროვინციული ცხოვრების რიტმში, რომ საქმეში სერიოზული წინააღმდეგობები არასოდეს შეხვედრია. მამის საქმეს აგრძელებდა, თუმცა ამ ხელობას არცთუ

---

[1] მსუბუქი, შუშხუნა ღვინო.

[2] მამა სილენები — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ბახუსის მეგზურები.

[3] ჯოვანი პერგოლეზე (1710—1736) იტალიელი კომპოზიტორი.

[4] ვინჩენცო ბელინი (1801—1835) იტალიელი კომპოზიტორი, წარმოშობით სიცილიიდან იყო.

განსაკუთრებულად ესწრაფვოდა. ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა და ეგონა, საკუთარი ნიჭიერების ნაყოფს იმკიდა. ხშირად ამბობდა, სავსებით საკმარისია პატიოსანი, ბეჯითი და კეთილგონიერი იყოსო კაცი. ფიქრობდა, წარმოება თვითონაც ვაჟიშვილისთვის გადაეცა და ისევე, როგორც მამამისი, შვილის გატაცებას ყურადღებას არ აქცევდა. შვილს მომავალი კარიერისთვის არ ამზადებდა. ბავშვები ნებაზე ჰყავდა მიშვებული, ოღონდ პატიოსანნი, განსაკუთრებით კი ბედნიერნი ყოფილიყვნენ. შვილებისთვის სულსაც არ იშურებდა. ამგვარად, ბავშვები ცხოვრებასთან საბრძოლველად სულ არ იყვნენ მომზადებულნი: სათბურში გაზრდილ ყვავილებს ჰგავდნენ. მუდამ ასე ხომ არ უნდა ეცხოვრათ, ამ მიყრუებულ პროვინციაში, მდიდარ, დაფასებულ ოჯახში, მეგობრებით გარშემორტყმული, მხიარული, გულთბილი და მოსიყვარულე მამის გვერდით, სადაც ცხოვრება ძალზე ადვილი და ლამაზი ჩანდა.

ანტუანეტას თექვსმეტი წელი შეუსრულდა. ოლივიეს მალე პირველი ზიარება უნდა მიეღო. ბიჭი მისტიური ოცნებების ტყვე იყო. ანტუანეტა დამათრობელი მომავლის იმედის ტკბილ ჰანგს უსმენდა, მაისის ბულბულივით რომ ატკბობს ნორჩ გულებს. ახარებდა იმის შეგრძნება, რომ იფურჩქნებოდა მისი სული და სხეული, იცოდა, ლამაზი იყო და ამას პირშიც ეუბნებოდნენ. მამის ქება და წინდაუხედავი სიტყვებიც კმაროდა, მისთვის თავბრუ რომ დაეხვია.

ჟანენი აღტაცებული იყო თავისი ქალიშვილით. ართობდა მისი სიკეკლუცე, მიბნედილი მზერა სარკეში, უცოდველი და ახირებული ცელქობა. კალთაში ჩაისვამდა, აქეზებდა სასიყვარულო ამბებზე, მოპოვებულ გამარჯვებებსა და თაყვანისმცემლებზე ლაპარაკით, რომლებიც ვითომდა მის ხელს სთხოვდნენ. მერე ჩამოთვლიდა ხოლმე მათ, პატივცემულ ბურჟუებს, ერთიმეორეზე ხნიერებსა და შეუხედავთ. შეშინებული ანტუანეტა წამოიყვირებდა ხოლმე, თან იცინოდა. მამას კისერზე ჩამოეკიდებოდა, სახით ლოყაზე ეკვროდა. მამა ეკითხებოდა, ვინაა შენი ბედნიერი რჩეული — ბატონი რესპუბლიკის პროკურორი ხომ არა, ჩვენი მოხუცი ძიძა ჯოჯოხეთის მაშხალას რომ ეძახის? თუ გაბერილი ნოტარიუსიო? გოგონა ურტყამდა, ბაგეებზე ხელს აფარებდა, მამა რომ გაეჩუმებინა. ის კი ხელებს უკოცნიდა, კალთაში არწევდა და თან ცნობილ სიმღერას ღიღინებდა:

ტურფავ, მითხარ გულახდილად,
გონჯი ქმარი ხომ არ გინდა?

სიცილით გაგუდული გოგონა ქილვაშებს ნიკაპის ქვეშ შეუკრავდა და მიუმღერებდა ხოლმე:

გონჯი რად უნდა მინდოდეს,
კალმით დახატული მინდა!

ანტუანეტას დიდი ხანია განზრახული ჰქონდა თვითონვე გადაეწყვიტა თავისი ბედი. იცოდა, რომ იყო, ან იქნებოდა ძალიან მდიდარი (მამა სულ ამას ჩასჩიჩინებდა) და, მაშასადამე, სასურველი სარძლო გახლდათ. ადგილობრივი წარჩინებული ოჯახები, რომლებსაც საცოლე ვაჟები ჰყავდათ, ელაქუცებოდნენ და თეთრი ძაფით შეკერილ, პირმოთნეობისა და მზაკვრობის მსუბუქ ბადეს ისროდნენ, მშვენიერი ოქროს თევზი რომ დაეჭირათ. მაგრამ, სარისკო საქმეს სჩადიოდნენ: ეს თევზი მათთვის შესაძლოა აპრილის თევზად[1] ქცეულიყო, რადგან გამჭრიახ ანტუანეტას მათი ფანდები არ ეპარებოდა და ამით ერთობოდა კიდეც: დაე, ამაოდ ცდილიყვნენ თავისას, მისმა პატარა გონებამ უკვე გადაწყვიტა, ვისაც გაჰყვებოდა ცოლად.

ადგილობრივი არისტოკრატების (ჩვეულებრივ, ყველგანაა თითო ასეთი ოჯახი, თავიანთ თავს ადგილობრივი ძველი სენიორების შთამომავლებად რომ თვლიან, სინამდვილეში კი ეროვნული ქონების რომელიმე შემსყიდველის, მე-18 საუკუნის ინტენდანტის, ან ნაპოლეონის ჯარის მომმარაგებლის შთამომავლები არიან), ბონივეების ოჯახი ქალაქიდან ორი მილის მანძილზე თევზებიანი ტბორებით სავსე დაბურულ ტყეში ცხოვრობდა; ლაპლაპა ფიქალით გადახურული, წვერწამახულკოშკებიანი სიმაგრე ჰქონდათ. ისინი უკვე კარგა ხანია ჟანენებთან დამოყვრებას ესწრაფოდნენ. ახალგაზრდა ბონივე ანტუანეტას გულის მოგებას ცდილობდა. ლამაზი ბიჭი იყო, თავისი ასაკისათვის საკმაოდ ღონიერი და ჩასკვნილი. დილიდან საღამომდე ნადირობის, ჭამასმისა და ძილის მეტს არაფერს აკეთებდა. უყვარდა ცხენით ჯირითი, ცეკვა; საკმაოდ დახვეწილი მანერები ჰქონდა და არცთუ სხვაზე უჭკუო იყო. დროდადრო თავის ციხე-სიმაგრეს მიატოვებდა და ქალაქს ესტუმრებოდა ხოლმე. საქმეებს მოიმიზეზებდა, მაღალყელიან ჩექმებს ჩაიცვამდა და ცხენით ან თავისი ჯაყჯაყა ეტლით ბანკირს ეწვეოდა. ზოგჯერ ერთ კალათა ნანადირევს, ან ქალებისთვის ვეება თაიგულს ჩამოიტანდა. ამ შემთხვევით სარგებლობდა და ქალიშვილს ეარშიყებოდა. დასეირნობდნენ ბაღში, ვაჟი ყმაწვილ ქალს ტლანქი ქათინაურებით ამკობდა, სასიამოვნოდ ხუმრობდა, ულვაშებს იგრეხდა და ტერასის ქვაფენილზე დეზებს აწკარუნებდა. ანტუანეტას იგი მომხიბვლელად ეჩვენებოდა; ვაჟის ტრფიალი გულს ეფონებოდა და მის პატივმოყვარეობასაც მალამოდ ედებოდა. ბავშვური სიყვარულის ტკბილ წუთებს ეძლეოდა. ოლივიეს სძაგდა ეს წვრილი მემამულე, ღონიერი, ჩლუნგი და უხეში, ხმამაღლა რომ იცინოდა ხოლმე, ხელებს მუხრუჭებივით უჭერდა, მუდამ რაღაცნაირად ქედმაღლურად ეძახდა „პატარაო“ და ლოყაზე ჩქმეტდა. ყველაზე მეტად ოლივიეს იმიტომ სძაგდა, — თუმცა ამ მიზეზს თავსაც არ უმხელდა, — რომ ამ უცხო კაცს მისი და უყვარდა... მისი და, რომელიც მას ეკუთვნოდა, მხოლოდ მას და სხვას არავის...

---

[1] საფრანგეთში პირველი აპრილის ხუმრობას **poisson d'avril**-ს (აპრილის თევზს) უწოდებენ.

ამასობაში კატასტროფა ახლოვდებოდა. ადრე თუ გვიან ერთი კატასტროფა მაინც წამოეწევა ხოლმე ძველ ბურჟუაზიულ ოჯახებს, საუკუნეების მანძილზე მიწის ერთ ნაკვეთში რომ გაუდგამთ ფესვები და ამ ნიადაგის მთელი წვენი რომ გამოუწოვიათ. ისინი მშვიდად თვლემენ, თავიანთი თავი ისევე უკვდავად მიაჩნიათ, როგორც ნიადაგი, რომელზედაც ფეხი მოუკიდებიათ. მაგრამ ეს ნიადაგი მკვდარია და ფესვებიც კარგა ხანია გახმა. წერაქვის ერთი დაკვრაც საკმარისია, ყველაფერი რომ ამოძირკვოს. მაშინ მოჰყვებიან ჩივილს ბედის უკუღმართობაზე, თავს დატეხილ უბედურებაზე. ხე უფრო გამძლე ჯიშის რომ ყოფილიყო, უბედურება არ მოხდებოდა, განსაცდელი ქარბუქივით ჩაივლიდა, მხოლოდ რამდენიმე ტოტს ჩამოგლეჯდა, ხის მოთხრას კი ვერ შეძლებდა.

ბანკირი ჟანენი სუსტი, მიმნდობი, ცოტა ამპარტავანი კაცი გახლდათ. ბაქიაობა უყვარდა და „ასეა“-ს და „მგონია“-ს სიამოვნებით ურევდა ერთმანეთში. უამრავ ფულს ფანტავდა, უმიზეზოდ ანიავებდა, მაგრამ სინდისის ქენჯნის დროს ამ დანახარჯს მემკვიდრეობით მიღებული ხელმომჭირნეობა აწონასწორებდა (შეეძლო კუბომეტრი შეშა დაეწვა, ასანთის ღერის მომჭირნეობა კი გაეწია); ყოველივე ეს მის ქონებას შესამჩნევ ზიანს ვერ აყენებდა. საქმეებში მაინცდამაინც ფრთხილი არ იყო. ფულის სასესხებლად მოსულ მეგობარს არასოდეს გააწბილებდა; მასთან დამეგობრება კი არცთუ ისე ძნელი გახლდათ. ხშირად ხელწერილის გამოსართმევადაც არ იწუხებდა თავს. გასესხებულ ფულს დაუდევრად აღრიცხავდა და თუ ვალი არ მოჰქონდათ, თავად არასოდეს მოსთხოვდა. ისევე სწამდა სხვათა პატიოსნება, როგორც სხვებს შეეძლოთ დარწმუნებული ყოფილიყვნენ მის კეთილსინდისიერებაში. სხვათა შორის, გაცილებით უფრო მორცხვი იყო, ვიდრე მისი უცერემონიო და თავისუფალი მანერები გაფიქრებინებდათ. არასოდეს არ უკადრებია გაეძევებინა თავხედი მთხოვნელი, ან ეჭვი გამოეთქვა, ვალს არ გადამიხდისო. მის ყოველ საქციელში სიკეთეც გამოსჭვიოდა და სიმხდალეც. არ უნდოდა ვინმე გაენაწყენებინა, ერჩივნა მუდამ დაეთმო. სიამოვნებით იტყუებდა თავს — ჩემგან ფულის სესხება ჩემთვის სამსახურის გაწევას ნიშნავსო. მზად იყო კიდევაც დაეჯერებინა თავისივე გამონაგონი. თავმოყვარეობა და ოპტიმიზმი ადვილად არწმუნებდა, რომ ყოველი საქმე, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, მომგებიანი იყო.

ამგვარი საქციელით მოვალეების გულსაც ინადირებდა. გლეხებმა იცოდნენ, რომ ყოველთვის შეეძლოთ ჟანენისაგან ფულის სესხება და აღმერთებდნენ მას. ფულის სესხების შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ. მაგრამ ხალხის მადლიერება, კეთილი ხალხისაც კი, ისეთი ნაყოფია, დროულად რომ უნდა ამოწყვიტო. თუ გადაამწიფებ, თვალსა და ხელს შუა შემოგალპება. რამდენიმე თვის შემდეგ ბატონ ჟანენის მოვალეებს ეგონათ, რომ მათთვის გაწეული სამსახური ჩვეულებრივი ამბავი იყო. იმასაც კი ფიქრობდნენ, რაკი ბატონი ჟანენი სიამოვნებით დაგვეხმარა, თავადაც დაინტერესებული ყოფილაო. უფრო

სინდისიერნი ბაზრობა დღეს ნანადირევ კურდღელს ან საკუთარი ქათმების დადებულ ერთ კალათა კვერცხს მიართმევდნენ ბანკირს და დამშვიდებულნი იყვნენ, ვალი თუ არ გადავიხადეთ, მადლიერების გრძნობა მაინც გამოვხატეთო.

რადგან აქამდე საქმე მცირე თანხას ეხებოდა და ბატონ ჟანენსაც საკმაოდ პატიოსან ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა, ამას არავითარი უბედურება არ მოჰყოლია. დაკარგული თანხა, რომლის შესახებაც ბანკირს არასოდეს არავისთან კრინტიც არ დასცდენია, უმნიშვნელო იყო. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ჟანენი ვიღაც თაღლითს გადაეყარა, დიდი სამრეწველო საქმის წამოწყებას რომ აპირებდა; მას ბანკირის სიკეთეზე ბევრი გაეგონა და მისი ფინანსური მდგომარეობის ასავალ-დასავალიც გაეგო. ეს შთამბეჭდავი გარეგნობის კაცი, მკერდს საპატიო ლეგიონის ორდენი რომ უმშვენებდა, თავს ორი თუ სამი მინისტრის, არქიეპისკოპოსის, მრავალი სენატორის, ლიტერატურული და საფინანსო სამყაროს ვარსკვლავების და ერთი ყოველისშემძლე გაზეთის მეგობრად ასაღებდა. კარგად აეთვისებინა ავტორიტეტულ და თან შინაურ კილოზე საუბარი და ბანკირიც ამ ანკესზე ადვილად წამოეგო. რეკომენდაციის სახით, რაც ბატონ ჟანენზე უფრო გამჭრიახ კაცს თვალს აუხელდა, უტიფრად წარუდგინა სახელმოხვეჭილი ნაცნობებისაგან მიღებული ბანალური ქათინაურებით სავსე წერილები, რომლებშიც მადლობას უხდიდნენ სადილად მიპატიჟებისათვის, ანდა თავისთან იწვევდნენ. ცნობილია, რომ ფრანგებმა ამგვარ საქმეებში ძუნწობა არ იციან და არც ერთი საათის წინ გაცნობილი ხალხისათვის ხელის ჩამორთმევასა და მათთან სადილობას თაკილობენ. საკმარისია სტუმარი ართობდეთ და მათგან არაფერს მოითხოვდეს; თუმცა ბევრი ფრანგი ფულსაც არ დაუჭერს ახალგაცნობილ ადამიანს, თუკი ოდესმე სხვებიც ასე მოქცეულან. და ჰკვიან კაცსაც, ვინც ცდილობს მოყვასს ზედმეტი ფული გამოსცინცლოს და მით ტვირთი შეუმსუბუქოს, ისე როგორ გაუწყრება ღმერთი, რომ ბოლოს მაინც არ იპოვოს ისეთი ბატკანი, სხვებზე უწინ რომ ისკუპებს, რათა დანარჩენებიც აიყოლიოს. ჟანენამდე ასეთი ცხვარი სულაც რომ არ არსებულიყო, პირველი თვითონ იქნებოდა. მას ჩინებული მატყლი ემოსა და ამნაირ ძვირფას ცხვარს გაკრეჭა არ ასცდებოდა. ჟანენი აცდუნა კარგმა ნაცნობობამ, ყბედობამ, სტუმრის ტრაბახმა და მისი რჩევის პირველმა კარგმა შედეგებმა. თავდაპირველად მცირე თანხა გარისკა და მოიგო. მერე უფრო დიდი თანხა გადადო, და ბოლოს მთელი ქონება გასწირა — არამარტო საკუთარი, კლიენტების ფულიც კი. კლიენტები არ გაუფრთხილებია, დარწმუნებული იყო, მოიგებდა და უნდოდა გაწეული სამსახურით გაეოცებინა ისინი.

მაგრამ წამოწყება ჩაიფუშა. ამის შესახებ ერთი პარიზელი კორესპონდენტისაგან შეიტყო. იმან სხვათა შორის ჩამოუგდო სიტყვა კრახზე, ისე, რომ აზრადაც არ მოსვლია, თუ ჟანენიც ამ კრახის ერთერთი მსხვერპლი იქნებოდა.

ბანკირს სიტყვაც არავისთან დასცდენია. შეუფერებელი ქარაფშუტობა და დაუდევრობა გამოიჩინა — არ ისურვა რჩევა ეკითხა იმათთვის, ვისაც სწორი ცნობების მიცემა შეეძლო. ყველაფერი საიდუმლოდ მოიმოქმედა. საკუთარ კეთილგონიერებაში ღრმად დაჯერებული, ზერელე ცნობებით დაკმაყოფილდა. ასეთი შემთხვევებიც გვხვდება ცხოვრებაში: შეიძლება ითქვას, ზოგჯერ დაღუპვა გარდაუვალია. თითქოს გეშინია ვინმე არ მოგეშველოს, გაურბიხარ ყოველგვარ რჩევას, რომელსაც შეუძლია გადაგარჩინოს. იმალები, აღგზნებული გულმოდგინებით იჩქარი შენს გემოზე ჩაიძირო.

ბ-ნი ჟანენი სადგურისკენ გაექანა და სევდით გულმოკლული პარიზისკენ მიმავალ მატარებელს გაჰყვა. ნაცნობის საძებნელად მიდიოდა. ჯერ კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ ხმები ყალბი, უკიდურეს შემთხვევაში, გაზვიადებული აღმოჩნდებოდა. ნაცნობს ვერ მიაკვლია, სამაგიეროდ დარწმუნდა, რომ პირწმინდად გაკოტრებულიყო. შინ სასოწარკვეთილი დაბრუნდა, ხმას არ იღებდა. ჯერ კიდევ არავინ ეჭვობდა. შეეცადა რამდენიმე კვირა, თუნდაც რამდენიმე დღე მოეგო. ბუნებით იმედიანს სურდა დაეჯერებინა, რომ საკუთარი თუ არა, კლიენტების დანაკარგის ანაზღაურების საშუალებას მაინც გამონახავდა. შეეცადა რაიმე გამოსავალი მოენახა. ჩქარობდა, უთავბოლოდ ფართიფურთობდა, რამაც წარმატების ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო. ყველამ უარი უთხრა ფულის სესხებაზე. გაბედულმა სპეკულაციამ, რომელშიაც თავგზააბნეულმა გადარჩენილი თანხა დააბანდა, საბოლოოდ დაღუპა იგი. ამ დღიდან მკვეთრად შეეცვალა ხასიათი. არაფერს ამბობდა, ადვილად ღიზიანდებოდა, შფოთავდა, მკაცრი და მეტისმეტად ნაღვლიანი გახდა, უცხო ხალხთან კიდევ ცდილობდა თავი მხიარულად მოეჩვენებინა, მაგრამ მისი მღელვარება არავის ეპარებოდა. ამას მის ავადმყოფობას მიაწერდნენ. შინაურებში თავს ვერ იოკებდა; მათაც მაშინვე შეატყვეს, რომ რაღაც დიდ ამბავს მალავდა. საოცრად შეიცვალა. ზოგჯერ ოთახში შემოიჭრებოდა, უჯრებს ამოქექავდა, ქაღალდებს იატაკზე დაყრიდა და თუ რაიმეს ვერ იპოვიდა, საშინლად გაშმაგდებოდა. ისიც აღიზიანებდა, შინაურები მიხმარებას რომ შეეცდებოდნენ ხოლმე. მერე დაბნეული იდგა ამ არეულობაში. თუ ჰკითხავდნენ, რას ეძებო, ხეირიანად პასუხსაც არ გასცემდა. შინაურების ამბავი არ აინტერესებდა, ანდა ზოგჯერ თვალცრემლიანი ეხვეოდა ხოლმე ცოლ-შვილს. ძილი გაუტყდა, აღარც ჭამდა და აღარც სვამდა.

ქ-ნი ჟანენი აშკარად ხედავდა, კატასტროფა გარდუვალი იყო. მაგრამ ქმრის საქმეებში არასოდეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არც არაფერი გაეგებოდა მათი. მაინც შეეკითხა ქმარს, რა მოხდაო. ქმარმა უხეშად მოიცილა. ქალმა იწყინა და აღარც ჩასციებია. შიშით კანკალებდა და თავადაც კარგად ვერ გაეგო — რად.

ბავშვებს არ შეიძლებოდა საფრთხეზე რაიმე ეჭვი ჰქონოდათ. ანტუანეტა თუმცა ძალზედ ჭკვიანი იყო, იმდენად ჭკვიანი, რომ დედასავით გრძნობდა

უბედურებას, მაგრამ მთელის არსებით მისცემოდა ახლადგაღვიძებული სიყვარულის გრძნობას და არ უნდოდა სევდიან ამბებზე ეფიქრა. თავს ირწმუნებდა, ღრუბლები თავისთავად განიბნევიანო, ანდა, ჯერ კიდევ დიდი დროა მათ მოახლოებამდეო.

პატარა ოლივიე ყველაზე უკეთ გრძნობდა, რა ხდებოდა ბანკირის სულში. გრძნობდა, რომ მამა იტანჯებოდა და იდუმალად თანაუგრძნობდა მშობელს. მაგრამ ვერაფრის თქმას კი ვერ ბედავდა. არაფერი შეეძლო, არაფერი იცოდა. ცდილობდა განედევნა სევდიანი აზრი, რომლის არსიც არ ესმოდა; დედასა და დასავით ცრუმორწმუნე, ფიქრობდა, შესაძლოა უბედურებამ გვერდი აგვიაროსო. საბრალო ადამიანები, უბედურება რომ დაემუქრება, სირაქლემას ემსგავსებიან ხოლმე: თავს ქვას ამოაფარებენ და ჰგონიათ, უბედურებას ემალებიან.

საეკვო ხმები დაირხა. ამბობდნენ, ბანკი სანდო აღარააო. ბანკირი ამაოდ ცდილობდა კლიენტებისთვის თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს არაფერი მომხდარა. ზოგმა ჭკვიანმა კლიენტმა ანაბრის დაბრუნება მოითხოვა. ჟანენმა იგრძნო, რომ საქმე წაუხდა. სასოწარკვეთილი იცავდა თავს: ხან გულს მოიყვანდა, ხან ქედმაღლობდა, ხან კი მწარედ ჩიოდა, აღარ მენდობიანო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ძველ კლიენტებს საშინელი სკანდალი მოუწყო, რამაც საბოლოოდ დასცა იგი ხალხის თვალში. ნიაღვარივით მოაწყდა განცხადებები, ფულის გატანას მოითხოვდნენ; დევნილ კაცს საბოლოოდ აებნა თავგზა და მეზობელ აგარაკზე გაემგზავრა, უკანასკნელ საბანკო ქაღალდებზე რომ ეთამაშა; თხუთმეტ წუთში ყველაფერი წააგო და უკან დაბრუნდა.

მისმა უეცარმა გამგზავრებამ საბოლოოდ შეაშფოთა პატარა ქალაქი; ყველას პირზე ეკერა — ბანკირი გაიქცაო. ქალბატონ ჟანენს ძალიან გაუჭირდა გამკლავებოდა ხალხის გაშმაგებულ მღელვარებას: ეეედრებოდა, მოთმინება მოიკრიბეთ, ჩემი ქმარი მალე დაბრუნდებაო, ეფიცებოდა; არ უჯერებდნენ, თუმცა გულით ეწადათ, ქალი მართალი ყოფილიყო. ბანკირის დაბრუნება რომ გაიგეს, ყველამ შვებით ამოისუნთქა; ბევრმა ისიც კი გაიფიქრა, ამაოდ შევიწუხე თავიო. ჟანენები საკმაოდ ეშმაკები არიან და მუდამ შეძლებენ თავი დაალწიონ სამძიმო მდგომარეობას, თუკი ასეთი მდგომარეობა შეიქმნებაო. ბანკირის ქცევა ამ აზრს ადასტურებდა. ახლა, როცა იცოდა, რა გზა დარჩენოდა, დაღლილობა ეტყობოდა, მაგრამ მეტად მშვიდად გამოიყურებოდა. მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, სადგურის გამზირზე რამდენიმე მეგობარს მშვიდად გაესაუბრა. ილაპარაკეს ნათესებზე, რამდენიმე კვირაა წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილაო, ვენახს წელს კარგი პირი უჩანსო; მერე სამინისტროს გადადგომა მოიხსენიეს, საღამოს გაზეთები რომ იუწყებოდნენ.

შინ დაბრუნებულმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ცოლის აღელვებას ვერ

ამჩნევდა. ცოლმა კი მაშინვე მიირბინა მასთან, დაწვრილებით და არეულად უამბო, რაც მის არყოფნაში მოხდა. ქალი ცდილობდა ქმრის სახეზე ამოეკითხა, შეძლო თუ არა კაცმა მისთვის უცნობი საფრთხის თავიდან აცილება. სიამაყის გამო არაფერი უკითხავს: ელოდა თავად როდის გადაუშლიდა გულს. შაგრამ ჟანენს სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, რაც ორივეს ტანჯავდა. უხმოდ უარჰყო ცოლის სურვილი მინდობოდა და გულახდილი საუბარი წამოეწყო. შხოლოდ ისა თქვა, საშინლად დამცხა, თავი მტკივა, გზაშიაც გავილახეო და ჩვეულებრივ შემოუსხდნენ სუფრას.

დაღლილი, ფიქრებში ჩაფლული, შუბლშეჭმუხვნილი ბანკირი ცოტას ლაპარაკობდა, მაგიდაზე თითებს ათამაშებდა; ცდილობდა ეჭამა, იცოდა აკვირდებოდნენ და უაზრო თვალებით შესცქეროდა დუმილით შეწუხებულ ბავშვებსა და თავმოყვარეობაშელახულ, დაძაბულ ცოლს, თავაუღებლად თვალყურს რომ ადევნებდა ქმრის ყოველ მოძრაობას. სადილის ბოლოს თითქოს გამოცოცხლდა. შეეცადა, ანტუანეტასა და ოლივიეს გამოლაპარაკებოდა. ჰკითხა, რას აკეთებდით ჩემს არყოფნაშიო, მაგრამ პასუხი არ გაუგონია; მხოლოდ ბავშვების ხმები უწიოდა ყურში. თუმცა თვალებით მიშტერებოდა, მისი მზერა სხვაგან იყო. ოლივიემ იგრძნო ეს: შუა სიტყვაზე შეჩერდა, აღარ სურდა გაგრძელება. ანტუანეტაც წუთით შეკრთა, მაგრამ მხიარულმა ბუნებამ თავისი გაიტანა. კაჭკაჭივით ქაქანებდა, ხელში მამის ხელი ეჭირა, რამდენჯერმე მკლავზე მოქაჩა, მისი ყურადღება რომ მიეპყრო. ბ-ნი ჟანენი დუმდა. ხან ანტუანეტას გახედავდა, ხან ოლივიეს და შუბლი უფრო და უფრო ეჭმუხნებოდა. გოგონა შუა თხრობაში რომ იყო, ბანკირმა მეტს ვეღარ გაუძლო, სუფრიდან წამოდგა და მღელვარების დასაფარავად ფანჯარას მიაშურა. ბავშვებმა ხელსაწმენდები დაკეცეს და წამოდგნენ. ქალბატონმა ჟანენმა ისინი ბაღში გაისტუმრა სათამაშოდ. მალე მოისმა, როგორ დასდევდნენ ერთმანეთს ხეივანში და გამყივანად გაჰკიოდნენ. ქალბატონი ზურგით მდგარ ქმარს შესცქეროდა. შერე მაგიდას შემოუარა, ვითომ რაღაცას ალაგებდა. მოსამსახურეებს რომ არ გაეგონათ, მიუახლოვდა და შიშისა და მღელვარებისგან დაგუდული ხმით უთხრა:

— ბოლოს და ბოლოს, რა დაგემართა, ანტუან? რაღაცას მიმალავ... შეგემთხვა რაიმე?.. ნამდვილად რაღაცას მიმალავ... რაიმე უბედურება ხომ არ გვეწია... ავად ხომ არა ხარ?

ბ-ნმა ჟანენმა ერთხელ კიდევ მოუთმენლად აიჩეჩა მხრები და უხეშად მიუგო:

— არა! ხომ გითხარი, არა-მეთქი, თავი დამანებე!

შეურაცხყოფილი ქალი მოშორდა. ბრაზით აღვსილი საკუთარ თავს უმტკიცებდა, რაც უნდა შეემთხვეს, თავს აღარ შეევიწუხებო.

ბატონი ჟანენი ბაღში ჩავიდა. ანტუანეტა კვლავ ხუმრობდა, ძმას არბენინებდა, არ ასვენებდა ბიჭს. უცებ ოლივიემ განაცხადა, თამაში აღარ მინ-

დაო. მამისაგან რამდენიმე ნაბიჯზე ტერასის კედელს აეკრა. ანტუანეტამ სცადა ისევ გამოეწვია სათამაშოდ, მაგრამ გაბრაზებულმა ძმამ ხელი ჰკრა; დამ მკვახე სიტყვები მიახალა და რაკი აქ გასართობი აღარაფერი დარჩენოდა, შინ დაბრუნდა და პიანინოს მიუჯდა.

ბატონი ჟანენი და ოლივიე მარტონი დარჩნენ.

— რა მოგვიდა, ჩემო პატარავ, რატომ აღარ გინდა თამაში? — ალერსით ჰკითხა მამამ.

— დავიღალე, მამიკო.

— კარგი. აბა, მაშ აგერ იმ მერხზე ჩამოვსხდეთ.

ჩამოსხდნენ. სექტემბრის მშვენიერი ღამე იდგა. უღრუბლო ცა ჩამუქებულიყო. პეტუნიას მოტკბო სუნი ტერასის კედლის ძირას მთვლემარე არხის აშმორებულ სუნში ირეოდა. ღამის პეპლები, დიდი, ქერა სფინქსები ყვავილებს თავს დასტრიალებდნენ, ფრთებს აფართხუნებდნენ, პატარა ჯარასავით ზუზუნებდნენ. არხს გაღმა, სიჩუმეში, საკუთარ კარწინ ჩამომსხდარი მეზობლების მშვიდი ბაასი ისმოდა. სახლში ანტუანეტა იტალიურ კავატინებს უკრავდა ფიორიტურებით. ბატონ ჟანენს ოლივიეს ხელი ეჭირა; თამბაქოს აბოლებდა. წყვდიადი სახის ნაკვთებს თანდათანობით უფარავდა. მისი ჩიბუხის ცეცხლი ხან გაკრთებოდა, ხოლმე, ხან ბეჟუტავდა. დუმდნენ. ოლივიემ რამდენიმე ვარსკვლავის სახელი ჰკითხა. ბატონმა ჟანენმა, როგორც ყველა სოფლელმა ბურჟუამ, ბუნების მოვლენებისა მაინცდამაინც ბევრი არაფერი იცოდა, მხოლოდ რამდენიმე დიდ თანავარსკვლავედს ცნობდა, ყველა რომ ცნობს კარგად. მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ეგონა, სწორედ ამ ვარსკვლავებზე მეკითხებიანო და ისინი ჩამოუთვალა. ოლივიე აღარ შეჰკამათებია. მუდამ სიამოვნებდა, მოესმინა და ჩურჩულით გაემეორებინა ვარსკვლავთა მშვენიერი, ჯადოსნური სახელები. თანაც, მამასთან სულიერი სიახლოვე უფრო ეწადა, ვიდრე რაიმეს გაგება. კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ოლივიეს თავი მერხის ზურგზე ჩამოედო და პირდაღებული შესცქეროდა ვარსკვლავებს. მთლად გათოშილიყო. მამის ხელის სითბო მის სხეულშიც გადადიოდა. უცებ მამას ხელი აუკანკალდა, ოლივიეს ეუცნაურა ეს და ძილნარევი, მაგრამ მხიარული ხმით წამოიძახა:

— ო, მამა, როგორ გიკანკალებს ხელი!

ბატონმა ჟანენმა ხელი გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ ოლივიემ, რომლის პატარა გონებასაც ფიქრი არ ასვენებდა, ჰკითხა:

— განა შენც დაიღალე, მამა?

— ჰო, ჩემო პატარავ.

ბავშვმა ალერსით განაგრძო:

— ასე არ უნდა გადაიღალო ხოლმე, მამიკო.

ბატონმა ჟანენმა ოლივიეს თავი მკერდში ჩაიკრა და წასჩურჩულა:

— ჩემო საბრალო პაწიავ!

მაგრამ ოლივიე უკვე სხვა რამეზე ფიქრობდა. კოშკის საათმა რვა ჩამოჰკრა. ბიჭმა თავი გაითავისუფლა და — წავალ, წავიკითხავო — თქვა.

ხუთშაბათობით, ნავახშმევს, ოლივიეს ნებას აძლევდნენ დაწოლამდე ერთი საათი ეკითხა: ეს უდიდესი ბედნიერება იყო. ამ ერთი საათიდან ერთ წუთსაც ქვეყნად ვერავინ დაათმობინებდა.

ბატონმა ჟანენმა შვილი გაუშვა, თვითონ ცოტა ხანს კიდევ სცემდა ბოლთას ჩაბნელებულ ტერასაზე; მერე სახლში შევიდა.

დედა-შვილები ოთახში ლამპას შემოსხდომოდნენ. ანტუანეტა კორსაჟზე ბაფთას იკერებდა, თან განუწყვეტლივ ლაპარაკობდა ან ღიღინებდა, ეს კი მის ძმას აბრაზებდა. წარბშეკმუხვნილ ოლივიეს იდაყვები მაგიდაზე ჩამოეწყო, ყურები თითებით დაეცო, რომ არაფერი გაეგონა, და წიგნს ჩაჰკირკიტებდა. ქალბატონი ჟანენი წინდებს კემსავდა და მოხუც ძიძას ესაუბრებოდა, რომელიც გვერდით ედგა და დღის დანახარჯთა ანგარიშს აბარებდა, თანაც შემთხვევით სარგებლობდა და ყბედობდა. ამ ქალს სასაცილო ამბები არ ელეოდა, შეუდარებელი ჟარგონით ჰყვებოდა და ყველას სიცილით კლავდა. ანტუანეტაც ცდილობდა მისთვის მიებაძა. ბატონი ჟანენი მდუმარედ შესცქეროდა ყველას. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. წუთით გაუბედავად შეჩერდა, მერე ჩამოჯდა, წიგნი აიღო, სადაც მოხვდა, იქ გადაშალა, კვლავ დახურა, წამოდგა. ეტყობოდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. სანთელი აანთო და საღამო მშვიდობისაო, თქვა. ბავშვებს მიუახლოვდა, მხურვალედ გადაკოცნა. მათაც აკოცეს მამას, თუმცა არც კი შეუხედავთ მისთვის — ანტუანეტა ხელსაქმით იყო გართული, ოლივიე კი — წიგნის კითხვით. ბიჭს ყურებიდან თითები არ გამოუღია, გაჯავრებულმა წაიბურტყუნა — საღამო მშვიდობისაო და კითხვა განაგრძო: როცა კითხულობდა, სხვას ცეცხლიც რომ წაჰკიდებოდა, თავს არ შეიწუხებდა. ბატონი ჟანენი ოთახიდან გავიდა, ცოტა ხანს მეზობელ ოთახში შეყოვნდა. მალე ცოლიც შეჰყვა ლოგინის გასაშლელად — ძიძა უკვე წასულიყო. ქალბატონმა ჟანენმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ქმარს ვერ ამჩნევსო. კაცი ცოტა ხანს ყოყმანობდა, მერე მიუახლოვდა და უთხრა:

— მაპატიე, წეღან ცოტა უხეშად გელაპარაკე.

ცოლს სურდა ეთქვა: ჩემო საბრალოვ, არა მწყინს, მაგრამ გამაგებინე რა მოგივიდა, მითხარი, ასე რა გტანჯავსო!

მაგრამ ქალმა, იმით ბედნიერმა, რომ სამაგიეროს გადახდის საშუალება მიეცა, მიუგო:

— დამეხსენი! აუტანლად უხეში გახდი. წინათ მოსამსახურესაც არ მოეპყრობოდი ჩემსავით.

საყვედურები არ დააკლო, სეტყვასავით მიაყარა მკვახე-მკვახე და ღვარძლიანი სიტყვები.

ჟანენმა ხელი ჩაიქნია, მწარედ გაიღიმა და გავიდა.

გასროლის ხმა არავის გაუგონია. მეორე დღეს, მომხდარი ამბავი რომ შეიტყვეს, მეზობლებს გაახსენდათ, რომ შუაღამისას ჩაწყნარებულ ქუჩას რაღაც ხმაურმა გადაუარა, თითქოს მათრახმა გაიტკაცუნაო. ყურადღება არავის მიუქცევია. ქალაქში კვლავ ღამის სიმშვიდე ჩამოწვა და ცოცხლებიც და მკვდრებიც თავის მძიმე სამოსში გაახვია.

ქალბატონ ჟანენს ეძინა. მან ერთი თუ ორი საათის შემდეგ გაიღვიძა. ქმარი გვერდით რომ ვერ ნახა, შეწუხებული წამოდგა, ოთახები შემოირბინა, ქვედა სართულში ჩავიდა, სახლის მოსაზღვრე შენობაში, ბანკის კანტორაში შეიხედა და იქ, კაბინეტში, იპოვა იგი; სავარძელში იჯდა, საწერ მაგიდაზე გადამხობილი, საკუთარი სისხლის გუბეში ცურავდა. სისხლი ჯერ კიდევ წვეთავდა იატაკზე. ქალმა ცივი ხმით შეჰკივლა, სანთელი ხელიდან გაუვარდა და გრძნობა დაკარგა. სახლში მისი კივილი გაიგონეს. მოსამსახურეებმა მოირბინეს, წამოაყენეს, ცდილობდნენ, გრძნობაზე მოეყვანათ. ბატონი ჟანენის გვამი საწოლზე გადაიტანეს. ბავშვების ოთახი დაკეტილი იყო. ანტუანეტას ტკბილად ეძინა. ოლივიეს ლაპარაკი და ნაბიჯების ხმა შემოესმა. უნდოდა გაეგო რა მოხდა, მაგრამ შეეშინდა, და არ გავაღვიძოო, და კვლავ ძილს მისცა თავი.

მეორე დილით ბატონ ჟანენის თვითმკვლელობის ამბავი მთელ ქალაქს მოედო. ბავშვებმა ჯერ არაფერი იცოდნენ. თვალცრემლიანმა მოხუცმა ძიძამ გაუმხილა მათ ეს ამბავი. ქალბატონ ჟანენს არაფერზე არ შეეძლო ფიქრი. თავს ძალზე ცუდად გრძნობდა. ბავშვები მარტონი დარჩნენ სიკვდილის პირისპირ. თავდაპირველად შიში უფრო ტანჯავდათ, ვიდრე დარდი, თან იმის დროც კი არ ჰქონდათ, მშვიდად ეტირათ. მკაცრი იურიდიული ფორმალობანი დილიდანვე დაიწყო. ანტუანეტა ოთახში ჩაკეტილიყო და ახალგაზრდული ეგოიზმის მთელი ძალა ერთადერთი აზრისკენ მიემართა, — აზრისკენ, რომელიც გამანადგურებელი შიშის დაძლევაში დაეხმარებოდა. გოგონა თავის მეგობარზე ფიქრობდა. ყოველ წუთს ელოდა. უკანასკნელი შეხვედრისას ვაჟი ისე ტკბილად ეჭცეოდა, როგორც არასდროს; ეჭვიც არ ეპარებოდა, ბიჭი მოირბენდა, მწუხარებაში თანაუგრძნობდა. მაგრამ არავინ მოსულა. სიტყვაც არავის დაუძრავს. სიმპათიის არავითარი ნიშანწყალი არ გამოუმჟღავნებიათ. პირიქით, როგორც კი თვითმკვლელობა გახმაურდა, ხალხი, ვინც ფული ბანკირს ანდო, ჟანენებისკენ გამოეშურა, კარებს მოაწყდა და ქალბატონ ჟანენსა და ბავშვებს შეუბრალებლად მკაცრი, საშინელი სცენები გაუმართა.

ყველა უბედურება ერთად დაატყდათ თავს: ძვირფასი არსება, მთელი ქონება, მდგომარეობა, საზოგადოების პატივისცემა ერთბაშად დაკარგეს. მეგობრებმა ზურგი შეაქციეს; ყველაფერი გაქრა, არა გადარჩა რა, რითაც ადრე ცოცხლობდნენ. სამივენი ძალზედ წმინდა იყვნენ მორალურად, შერცხვენილები ძლიერ იტანჯებოდნენ და ბრალი კი არ მიუძღოდათ. დარდს ყველაზე მეტად ანტუანეტასთვის დაერია ხელი, რადგან აქამდე არ იცოდა, რა იყო დარდი, ბალბატონი ჟანენი და ოლივიე, მართალია, უბედურებას გაენადგურე-

ბინა, მაგრამ მწუხარება უცხო არ იყო მათთვის. ბუნებით პესიმისტები, ისინი უფრო შეურვებულნი იყვნენ, ვიდრე გაოცებულნი. სიკვდილზე ფიქრი მათთვის მუდამ თავშესაფარს წარმოადგენდა, და ახლა, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სიკვდილს ნატრობდნენ. ეს ნატვრა სიკვდილისა სავალალო ბედის მორჩილება გახლდათ, მაგრამ ისე საშიში როდი იყო, როგორც ახალგაზრდა, მიმნდობი, ბედნიერი და სიცოცხლის მოყვარული არსების აღშფოთება, რომელსაც გამოუვალი მწუხარება ან სიკვდილი მოულოდნელად ჩიხში მიიმწყვდევს და ენით გამოუთქმელ ძრწოლას ჰგვრის...

ანტუანეტამ ერთბაშად იხილა ამ ქვეყნის მთელი სისაძაგლე. თვალი აეხილა, ცხოვრება დაინახა; განსაჯა მამა, დედა, ძმა. ოლივიე და ქალბატონი ჟანენი ერთად ტიროდნენ, ანტუანეტა კი საკუთარ მწუხარებაში ჩაფლულიყო. მისი პატარა, სასოწარკვეთილი გონება წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ფიქრობდა. დაინახა, რომ აღარაფერი დარჩენოდა, არავითარი იმედი, არავითარი დასაყრდენი, აღარავისი სწამდა.

დასაფლავებამ პირქუშად, თითქმის სამარცხვინოდ ჩაიარა. ეკლესიამ უარი განაცხადა თვითმკვლელის გვამის გაპატიოსნებაზე. ძველი მეგობრების სიმხდალის წყალობით ქვრივი და ობლები მარტონი დარჩნენ; ორმა თუ სამმა კაცმა წუთით შემოირბინა, მაგრამ მათი შეწუხებული იერი კიდევ უფრო მტანჯველი იყო, ვიდრე სხვათა მოუსვლელობა; თითქოს მოსვლით მოწყალება გაიღეს; მათი დუმილი საყვედურებითა და ზიზღნარევი სიბრალულით იყო სავსე. ნათესავები კიდევ უფრო უარესად მოიქცნენ: თანაგრძნობის ნაცვლად მწარედ საყვედურობდნენ. ბანკირს თვითმკვლელობამაც ვერ უშველა, ცოდვები არ აპატიეს. ეს საქციელიც ისეთსავე დანაშაულად ჩაუთვალეს, როგორც გაკოტრება. ბურჟუაზია თვითმკვლელებს არაფერს პატიობს. აზრი, რომ პატივაყრილ სიცოცხლეს შეიძლება სიკვდილი გერჩიოს, საზარლად ეჩვენება. იგი მთელი ძალით, სიამოვნებით მოუხმობს კანონს იმათ წინააღმდეგ, ვინც იტყვის:

— ყველაზე დიდი უბედურება თქვენთან ცხოვრებაა.

ყველაზე მხდალები ყველაზე მეტად ისწრაფვოდნენ სიმხდალეში ჩამოერთმიათ ეს საქციელი. თუ თვითმკვლელი, ცხოვრებას რომ ეთხოვება, შეურაცხყოფს მათ ინტერესებს, ისინი შმაგდებიან; წუთითაც არ დაფიქრებულან იმაზე, ალბათ როგორ დაიტანჯა საწყალი ჟანენი, ამ გადაწყვეტილებამდე რომ მისულიყოო, უნდოდათ, ათასჯერ უფრო მკაცრად დაეტანჯათ, და რადგან ხელიდან დაუსხლტათ, განკიცხვა ჟანენის ახლობლებს დაუწყეს. ამას საკუთარ თავსაც ვერ უმხელდნენ, რადგან მშვენივრად იცოდნენ, რომ უსამართლობას სჩადიოდნენ; მაგრამ მაინც ასე იქცეოდნენ, ვინაიდან მსხვერპლი სჭირდებოდათ.

ქალბატონმა ჟანენმა, რომელსაც თითქოს კვნესის მეტი აღარაფერი შეეძლო, როცა ქმარი აუგად უხსენეს, მთელი ენერგია მოიკრიბა. ახლაღა იგრძნო, როგორ ჰყვარებია მეუღლე. და ეს სამი არსება, რომლებსაც ოდნავი წარ-

მოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, რა ბედი ეწეოდათ ხვალ, უყოყმანოდ შეთანხმდა უარი ეთქვათ დედისეულ მზითევზე და მთელ პირად ქონებაზე, რათა შეძლებისდაგვარად მამის ვალები დაეფარათ. ქალაქში აღარ დაედგომებოდათ და გადაწყვიტეს პარიზს გამგზავრებულიყვნენ.

ეს გამგზავრება გაქცევას ჰგავდა.

წინა საღამოს (სექტემბრის დამლევის სევდიანი საღამო იდგა, მინდვრები თეთრ ნისლში გახვეულიყვნენ, გზის ორივ მხარეს ნისლიდან გამოჩრილი სველი და მთრთოლვარე ბუჩქები აკვარიუმის მცენარეებს ჰგავდნენ)—გამოსამშვიდობებლად ერთად მიაშურეს სასაფლაოს. მუხლი მოიყარეს ქვის ვიწრო ფილებზე, ახლად გათხრილ საფლავს რომ ერტყა გარს. უსიტყვოდ იცრემლებოდნენ. ოლივიეს ნერვული სლოკინი აუტყდა; ქალბატონი ჟანენი სასოწარკვეთით იწმენდდა ცხვირს. იტანჯებოდა, თავში სულ ის სიტყვები უტრიალებდა, უკანასკნელად რომ უთხრა ქმარს. ოლივიეს მამასთან ტერასაზე საუბარი აგონდებოდა. ანტუანეტას მომავალი აკრთობდა. გულის სიღრმეში არცერთი ოდნავადაც არ ჰყვედრიდა უბედურს, თავი და ოჯახი რომ დაღუპა. მაგრამ ანტუანეტა ფიქრობდა:

— ო, ძვირფასო მამიკო, როგორ გაგვიჭირდება!

სქელი ნისლი ჩამოწვა, ნესტმა მთლად დაასველა სამივე, მაგრამ ქალბატონი ჟანენი წასვლას არ ჩქარობდა. ანტუანეტამ შეხედა აკანკალებულ ოლივიეს და დედას უთხრა:

— დედა, მცივა.

წამოდგნენ. წასვლისას ქალბატონი ჟანენი უკანასკნელად კვლავ მიბრუნდა საფლავისკენ.

— ჩემო საბრალო მეგობარო! — წაიჩურჩულა ქალმა.

სასაფლაოდან რომ გამოვიდნენ, ბინდდებოდა. ანტუანეტას ოლივიეს გაყინული ხელი ეჭირა.

ძველ სახლში დაბრუნდნენ. უკანასკნელი ღამე უნდა გაეთიათ ბუდეში, სადაც ამდენ ხანს ეძინათ, სადაც ჩაიარა ყოველი მათგანის და მათ წინაპართა ცხოვრებამ. კედლები, კერა, მიწის პატარა ნაგლეჯი ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოჯახის დარდთან თუ სიხარულთან, რომ თითოეულის ცხოვრების ნაწილად ქცეულიყო, იმ ნაწილად, რომელთანაც მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებდათ.

ბარგი შეკრული ჰქონდათ. დილით, მეზობელი ფარდულების გაღებამდე, პირველსავე მატარებელს უნდა გაჰყოლოდნენ. თავს არიდებდნენ ცნობისმოყვარეთა კირკიტსა და მტრულ გამოხდომებს. ერთადერთი სურვილი ჰქონდათ — მჭიდროდ ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს და მაინც თითოეულმა თავის ოთახს მიაშურა: იქ უძრავად იდგნენ, ქუდის მოხდა და პალტოს გახდაც არ უფიქრიათ, ხელს უსვამდნენ კედლებს, ავეჯს, ყველაფერს, რასაც შორდებოდნენ. შუბ-

ლით მინებს ეკვროდნენ, ცდილობდნენ შეესრუტათ და დიდხანს შეენახათ საყვარელ საგნებთან სიახლოვის გრძნობა. ბოლოს, შეეცადნენ, თავი დაეღწიათ ნაღვლიანი, ჯიუტი ფიქრებისთვის და ქალბატონ ჟანენის ოთახში შეიკრიბნენ, საგვარეულო ოთახში, რომლის ნიშშიც წალო იდგა: წინათ, თუ სტუმრები არ ჰყავდათ, საღამოობით, ნავახშმევს აქ იკრიბებოდნენ. წინათ... ეჩვენებოდათ, თითქოს ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო!.. მდუმარედ შემოუსხდნენ მბეუტავ ცეცხლს, მერე ერთად ილოცეს საწოლის წინ დაჩოქილებმა და ადრიანად დაწვნენ, რადგან ალიონზე უნდა ამდგარიყვნენ. თვალს რული არ ეკარებოდა.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ქალბატონმა ჟანენმა, ყოველ წუთში საათს რომ მისჩერებოდა, სანთელი აანთო და ადგა, ანტუანეტას მთელი ღამე თვალი არ მოეხუჭა. დედის ადგომა რომ გაიგო, მაშინვე წამოდგა. ოლივიეს გულისძილით ეძინა. ქალბატონმა ჟანენმა ნაღვლიანად შეხედა, გაღვიძება დაეანანა, თითის წვერებზე გაშორდა და ანტუანეტას უთხრა:

— ნუ ვიხმაურებთ, დატკბეს პატარა უკანასკნელი წუთებით ამ სახლში.

ქალები ჩაცმასა და ბარგის შეფუთვას მორჩნენ. სახლის ირგვლივ ღამეული, ცივი სიჩუმე გამეფებულიყო. ამ დროს ყოველი ცოცხალი არსება, ადამიანიცა და ცხოველიც ხარბად ეფლობა ტკბილ ძილში. ანტუანეტა კბილს კბილზე აცემინებდა, გულსა და სხეულში ყინული ჩასდგომოდა.

გაყინულ ჰაერში კარის ჯახუნი გაისმა. სახლის გასაღები მოხუც ძიძას ჰქონდა და ახლა მოვიდა, უკანასკნელად რომ მომსახურებოდა თავის ბატონებს. ტანდაბალი და მსუქანი ქალი იყო. სიმსუქნე აწუხებდა, მაგრამ თავისი ასაკის პირობაზე საოცრად სხარტი გახლდათ. თავზე შალი ეხვია, ცხვირი ასწითლებოდა, თვალები ცრემლებით ავსებოდა. ეწყინა, ქალბატონმა ჟანენმა ადგომა და სამზარეულოში ღუმელის დანთება რომ დაასწრო. მისი შემოსვლა იყო და ოლივიემაც გაიღვიძა, მაგრამ მსწრაფლ დახუჭა თვალები და ძილის შესაბრუნებლად გვერდი იცვალა. ანტუანეტამ მხარზე ნაზად შეახო ხელი და ხმადაბლა უთხრა:

— ოლივიე, ჩემო პატარავ, დროა!

ოლივიემ ამოიოხრა, თვალები გაახილა, დას ახედა. დამ ნაღვლიანად გაუღიმა, შუბლზე ხელი გადაუსვა, თან უმეორებდა — ადექიო.

ოლივიე ადგა.

სახლიდან ქურდებივით უჩუმრად გავიდნენ. ფუთები ეჭირათ ხელში. წინ მოხუცი ძიძა მიუძღოდათ, ურიკით ბარგს მიაგორებდა. რაც გააჩნდათ, თითქმის ყველაფერი დატოვეს. შეიძლება ითქვას, რომ მიჰქონდათ მხოლოდ ის, რაც ტანთ ემოსათ და ცოტა სხვა ჩასაცმელიც. მათთვის ძვირფას უბრალო ნივთებს მოგვიანებით გადაუგზავნიდნენ. ეს იყო რამდენიმე წიგნი, სურათები, ძველებური საათი, რომლის რეკვაც მათი ცხოვრების მაჯისცემას წააგავდა... სუსხიანი დილა იყო. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა; დარაბები ჩაერაზათ; ქუჩაში

არავინ ჭაჭანებდა. დუმდნენ. მხოლოდ ძიძა ლაპარაკობდა. ქალბატონი ჟანენი ცდილობდა უკანასკნელად კარგად აღებეჭდა მეხსიერებაში ეს სურათები, საკუთარ წარსულს რომ აგონებდა.

სადგურზე ქალბატონ ჟანენს თავმოყვარეობამ სძლია და მეორე კლასის ბილეთები შეიძინა. მართალია, გადაწყვეტილი ჰქონდა, მესამე კლასით ემგზავრათ, მაგრამ გამბედაობა არ ეყო რკინიგზის ორი თუ სამი ნაცნობი მოხელის წინაშე ასე დაემცირებინა თავი. სასწრაფოდ შეძვრა ცარიელ კუპეში და თავის პატარებთან ერთად იქ ჩაიკეტა. ფარდებს ამოფარებულთ ნაცნობი სახის გამოჩენისა ეშინოდათ. მაგრამ არავინ გამოჩენილა; მათი გამგზავრებისას ქალაქი ის-ის იყო იღვიძებდა. მატარებელი ცარიელი იყო, შიგ მხოლოდ სამი თუ ოთხი გლეხი იჯდა. იქვე, ვაგონის თეჯირიდან, რამდენიმე კამეჩს გამოეყო თავი და ნაღვლიანად ბღაოდა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მატარებელმა ერთი დაუსტვინა და ნისლში შერგო თავი. სამმა ლტოლვილმა ფარდები გადასწია, მინაზე აკრულებმა უკანასკნელად გადახედეს პატარა ქალაქს. გასცქეროდნენ გოთურ კოშკს ნისლის ფარდას ამოფარებული ძლივს რომ მოჩანდა, თივით დაფარულ ბორცვებს, თეთრად გადაჭირხლულ მინდვრებს, ოხშივარი რომ ასდიოდა: ეს პეიზაჟი უკვე შორეულ მოგონებად ქცეულიყო, ძლივსღა არსებობდა და როცა ისიც მოსახვევს მიეფარა, დარწმუნებულებმა, რომ არავინ უთვალთვალებდათ, თავი ვეღარ შეიკავეს. ქალბატონმა ჟანენმა სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და ატირდა. ოლივიე დედას მივარდა, თავი კალთაში ჩაუდო და ხელები ცრემლითა და კოცნით დაუფარა. კუპეს მეორე კუთხეში მოკალათებული ანტუანეტა ფანჯრისკენ შემობრუნებულიყო და ჩუმად ქვითინებდა. სამივე ერთი და იმავე მიზეზით როდი ტიროდა. ქალბატონი ჟანენი და ოლივიე მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რაც უკან დარჩათ... ანტუანეტა უფრო იმაზე დარდობდა, წინ რაც ელოდა: თავის თავს საყვედურობდა, უნდოდა მოგონებებში ჩაფლულიყო... არ ცდებოდა, მომავალზე რომ ფიქრობდა, იგი უფრო ნათლად ხედავდა მოვლენებს, ვიდრე დედა და ძმა. მათ პარიზის დიდი იმედი ჰქონდათ. ანტუანეტას კი ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ იქ კარგი არაფერი ელოდათ. პარიზში არასოდეს ყოფილან; ქალბატონ ჟანენის და პარიზში ცხოვრობდა, მდიდარ სასამართლოს მოხელეს ჰყავდა ცოლად; ქალბატონ ჟანენს მისი დახმარების იმედი ჰქონდა. სხვათა შორის, დარწმუნებულიც იყო, მის შვილებს, იმ განათლებით, რაც გააჩნდათ, და ბუნებრივი მონაცემებით (რაშიც, როგორც ყველა დედა, რა თქმა უნდა, ცდებოდა) არ გაუჭირდებოდათ პატიოსანი შრომით ლუკმაპური ეშოვათ.

პირველი შთაბეჭდილება მეტად ნაღვლისმომგვრელი იყო. ჯერ კიდევ სადგურის სატვირთო განყოფილებაში ზედახოცვამ და გასასვლელის წინ შეგროვილი ეტლების რიგ-რიგამ გააოგნა ისინი. წვიმდა. ეტლი ვერ იშოვეს. საკმაოდ ბევრი იჩანჩალეს ფეხით, ჩემოდნებმა ხელები ჩამოაწყვიტათ. მეტი რა გზა

ჰქონდათ, შუა ქუჩაში უნდა გაჩერებულიყვნენ, აქ კი სულ ადვილი შესაძლებელი იყო, ეტლი დასჯახებოდათ ან ტალახი შესხმოდათ. არცერთი მეეტლე ყურადღებას არ აქცევდა მათ. ბოლოს, როგორც იქნა, გააჩერეს ერთი საშინლად ბინძური ეტლი, რომელსაც ბებერი ჯაგლაგი მიათრევდა. ეტლში ბარგს რომ აწყობდნენ, საბნებიანი ფუთა ტალახში ჩაუვარდათ. სადგურის მტვირთავმა და მეეტლემ მათი გამოუცდელობით ისარგებლეს და ორმაგი ფასი გადაახდევინეს. ქალბატონმა ჟანენმა მეეტლეს ერთერთი იმ ძვირფასიანი სასტუმროს მისამართი მისცა, რომელსაც, მოუწყობლობის მიუხედავად, მაინც ეტანებოდნენ პროვინციელები, რადგან ოცდაათიოდე წლის წინ მათ წინაპარს იქ გაეთია ღამეაქაც ტყავი გააძვრეს. უთხრეს, სასტუმროში ტევა აღარ არისო, სამიენი ერთ პატარა ოთახში მოათავსეს და სამი ოთახის ფასი გადაახდევინეს. იფიქრეს, სადილისთვის ფულს ნაკლებს დავხარჯავთ და ტაბლდოტსაც თავს ავარიდებთო, ამიტომ უბრალო სადილი შეუკვეთეს, მაგრამ ისიც ძვირი დაუჯდათ და ისევ მშივრები დარჩნენ. ჩამოსვლისთანავე გაუცრუვდათ იმედები. სასტუმროში გატარებულ პირველ ღამეს, უჰაერო ოთახში შეჩუჩქულთ, თვალს რული არ ეკარებოდათ, სციოდათ, სცხელოდათ, ვერ სუნთქავდნენ, დერეფანში ნაბიჯების ხმაური, კარების ჯახუნი, ელექტროზარების რეკვა აკრთობდათ, საზიდრებისა და ეტლების გაუთავებელი გრუხუნისაგან თავი უსკდებოდათ, საშინელი შთაბეჭდილება შეექმნათ ამ საზარელ ქალაქზე, რომელშიც ასე თავგანწირვით გადაეშვნენ და ჩაიკარგნენ.

მეორე დღეს ქალბატონმა ჟანენმა თავის დას მიაშურა. იგი დიდებულ ბინაში ცხოვრობდა, ოსმანის ბულვარზე. ქალბატონი ჟანენი გულში იმედოვნებდა, პირველ ხანებში ჩემი და შეგვიფარებსო, მაგრამ ერთხელ მისვლაც საკმარისი იყო, რომ თვალი ახელოდა. პუაიე-დელორმები აღაშფოთა ნათესავის გაკოტრებამ. განსაკუთრებით კი ქალბატონი დელორმი ბრაზობდა, რადგან შიშობდა ამ ამბავში ჩემი ქმარიც არ გახვიონ და კარიერის გაკეთებაში ხელი არ შეეშალოსო. დიდ უსინდისობად მიაჩნდა, რომ გაკოტრებული ოჯახი ცდილობდა კისერზე დასჯდომოდა და მათთვისაც სახელი გაეტეხა. მოსამართლეც ასევე ფიქრობდა, მაგრამ უფრო კეთილი კაცი იყო; ცოლს თვალყური რომ არ ედევნებინა, — რაც, სხვათა შორის, სიამოვნებდა კიდეც, — უფრო ხელგაშლილიც იქნებოდა. ქალბატონმა პუაიე-დელორმმა და ყინულივით ცივად მიიღო. ქალბატონი ჟანენი განცვიფრებული დარჩა; თავს ძალა დაატანა და საკუთარი სიამაყე დათრგუნა: შეეცადა აეხსნა თავისი გაჭირვება და ეთქვა, რას მოელოდა პუაიეებისგან. მაგრამ მის ჩივილს ყური მოუყრუეს. საღამოს ვახშამზედაც არ მიიწვიეს. დიდის ამბით დაპატიჟეს კვირის ბოლოსათვის; თანაც, ქალბატონმა პუაიემ კი არა, მოსამართლემ გამოიდო თავი; ცოლის გულცივობით ცოტათი შეწუხებულმა სითბოს გამოჩენა სცადა, ცდილობდა კეთილ კაცად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მაინცდამაინც გულწრფელი არ იყო და დიდი ეგოისტიც გახლდათ. საბრალო ჟანენები სასტუმროში დაბრუნდნენ.

ვერ ბედავდნენ ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ შთაბეჭდილებები ამ პირველი ვიზიტის თაობაზე.

შემდეგი დღეები პარიზში ხეტიალს მოანდომეს. ბინას ეძებდნენ. სართულებზე ასვლა-ჩამოსვლით დაიქანცნენ. გული ერეოდათ ხალხით გადატენილი ყაზარმების, ჭუჭყიანი კიბეების, ბნელი ოთახების შემხედვარეთ, მათ პროვინციულ, დიდ სახლთან შედარებით ასე ნაღვლიანი იერი რომ ჰქონდათ. სულ უფრო და უფრო დაჩაგრულად გრძნობდნენ თავს. ყველაფერი აბრუებდათ — ქუჩები, მაღაზიები, რესტორნები — პარიზელები ამით სარგებლობდნენ კიდეც და საბრალოებს ყველგან იბრიყვებდნენ. ყველაფერი, რასაც მოითხოვდნენ, საშინლად ძვირი ღირდა; რასაც შეეხებოდნენ, თითქოს ოქროდ აქცევდნენ ხოლმე: ოქროდ, რომლის საზღაურიც მათ უნდა გადაეხადათ. წარმოუდგენლად მოუხერხებელნი იყვნენ და თავის დასაცავად ძალაც არ შესწევდათ.

მართალია, ქალბატონ ჟანენს დამ მოლოდინი გაუმტყუნა, მაგრამ მაინც დიდ იმედებს ამყარებდა სადილზე, რომელზედაც მიიწვიეს. გულისფანცქალით ელოდნენ ამ დღეს. მათ ისე შეხვდნენ, როგორც სტუმრებს და არა როგორც ნათესავებს, თუმცა სადილი ჩვეულებრივი სადილისაგან მხოლოდ ცერემონიული ტონით განსხვავდებოდა. ბავშვებმა ნახეს თავიანთი დეიდაშვილები, დაახლოებით მათი ტოლნი. არც ისინი აღმოჩნდნენ მშობლებზე უფრო გულთბილნი. ელეგანტური და კეკლუცი გოგონა ენამოჩლექით, ზრდილობიანად, მაგრამ საკუთარი უპირატესობის გრძნობით ლაპარაკობდა. მისი თვალთმაქცური, დაშაქრული მანერები და-ძმას აკრთობდა, აღაშფოთებდა. ბიჭს კი გული გაუწყალდა ღარიბი ნათესავების წრეში სადილით და წარბშეკრული იჯდა. სკამზე გაჭიმული ქალბატონი პუაიე-დელორმი თითქოს კერძის შეთავაზების დროსაც კი ჭკუას არიგებდა დას. ბატონი პუაიე-დელორმი, სერიოზული საუბრისათვის თავი რომ აერიდებინა, რაღაც წვრილმანებზე ლაპარაკობდა. ინტიმურ და საშიშ თემაზე საუბრისა ეშინოდათ, მარტო კერძებზე თუ იტყოდნენ რამეს, ბაასი ამ თემას არ გასცილებია. ქალბატონი ჟანენი შეეცადა საუბარი იმ საგანზე გადაეტანა, რაც აგრერიგად სტანჯავდა, მაგრამ ქალბატონმა პუაიე-დელორმმა რაღაც უმნიშვნელო შენიშვნით მაშინვე შეაწყვეტინა და ქალბატონ ჟანენსაც გამბედაობა აღარ ეყო ხელახლა წამოეწყო საუბარი.

ნასადილევს, ქალბატონმა ჟანენმა, შვილის ნიჭიერება რომ გამოემჟღავნებინა, ანტუანეტა აიძულა რაიმე დაეკრა. შეწუხებულმა, გაღიზიანებულმა გოგონამ საშინლად დაუკრა. მოწყენილი პუაიეები სულმოუთქმელად ელოდნენ, როდის დაასრულებდა. ქალბატონი პუაიე თავის ქალიშვილს შესცქეროდა, ირონიულ ღიმილს ძლივს იკავებდა და რაკი დაკვრა დიდხანს გაგრძელდა, ქალბატონ ჟანენისთვის ნაკლებსაინტერესო თემაზე საუბარი წამოიწყო. ბოლოს, მთლად თავგზააბნეულმა ანტუანეტამ შეშინებულმა შეამჩნია, რომ ერთერთი პასაჟის დაკვრისას, გაგრძელების ნაცვლად თავიდან დაიწყო პიესის დაკვრა; თავდახსნის ყოველგვარი იმედი რომ დაკარგა, ორი არაზუსტი და მესამე

მთლად ყალბი აკორდით მოულოდნელად შეწყვიტა დაკვრა. პუაიემ შესძახა— ბრავო, და ყავა მოითხოვა.

ქალბატონმა პუაიემ განაცხადა, ჩემს ქალიშვილს პუნო ამეცადინებსო. ქალიშვილმა, რომელსაც „პუნო ამეცადინებდა“ თქვა, მშვენიერია გენაცვალეო და იკითხა, სად სწავლობდაო ანტუანეტა.

პაუბარი არ ეწყობოდა. სალონის სამშვენისებსა და პუაიეს ოჯახის მანდილოსანთა ტუალეტზე სათქმელი გამოილია. ქალბატონი ჟანენი თავისთვის იმეორებდა:

— სწორედ ახლა შეიძლება ვუთხრა, უნდა ვუთხრა...

საშინლად იტანჯებოდა, ბოლოს, როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა და გადაწყვიტა, რაღაც ეთქვა. ქალბატონმა პუაიემ თითქოს უეცრად, მაგრამ უბოდიშოდ განაცხადა, ვწუხვართ, მაგრამ ათის ნახევრისთვის წასასვლელები ვართ, მიგვიწვიეს და უარის თქმა შეუძლებელიაო. შეურაცხყოფილი ჟანენები მაშინვე წამოდგნენ. მასპინძლები ვითომ შეეცადნენ შეეჩერებინათ. თხუთმეტი წუთის შემდეგ ზარი დარეკეს: მსახურმა აუწყა, თქვენი მეგობრები მოვიდნენ, მეზობლად, ქვედა სართულზე რომ ცხოვრობენო. პუაიემ და მისმა ცოლმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და მოსამსახურეებს ორიოდ სიტყვა წასჩურჩულეს. პუაიემ რაღაც მოიმიზეზა და ჟანენები გვერდით ოთახში გაიყვანა (უნდოდა მეგობრებისათვის დაემალა სამარცხვინო ნათესავების არსებობა და, განსაკუთბით, მათი სტუმრობა). ჟანენები მარტო დატოვეს, ცივ ოთახში. ბავშვები აღაფფოთა ამ დამცირებამ. ანტუანეტას თვალები ცრემლით აევსო. უნდოდა იქაურობას გასცლოდნენ. დედა ჯერ უარზე იყო, მაგრამ მასპინძლები რომ აღარ გამოჩნდნენ, მანაც წასვლა გადაწყვიტა. ოთახიდან გამოვიდნენ. დერეფანში პუაიე, რომელიც მოსამსახურეს გაეფრთხილებინა, დაეწია მათ და რაღაც ბანალური სიტყვებით მოუბოდიშა, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს უნდოდა ეთხოვა, დარჩითო, მაგრამ აშკარა იყო, მათი წასვლა ეჩქარებოდა. პალტოების ჩაცმაში მოეხმარა, ღიმილით კარისკენ უბიძგა, ხელი ჩამოართვა, თავაზიანად, ხმადაბლა რაღაც უთხრა და გაისტუმრა. სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, ბავშვებმა სიმწრისაგან იტირეს. ანტუანეტა ფეხებს აბაკუნებდა და ამბობდა, იმ ხალხთან ფეხს აღარასოდეს მივადგამო.

ქალბატონმა ჟანენმა მეხუთე სართულზე იქირავა ბინა, ბოტანიკური ბაღის მახლობლად. საწოლი ოთახის ფანჯრებიდან ბნელი ეზოს გაქუცული კედლები მოჩანდა. სასადილო და სასტუმრო ოთახები (ქალბატონ ჟანენს სურდა უთუოდ ჰქონოდათ სასტუმრო ოთახი) ხალხმრავალ ქუჩას გადაჰყურებდა. ყოველდღე დაქროდნენ ორთქლის ტრამვაები და ბალდახინები, ივრის სასაფლაოს[1] ჭიშკარში რომ უჩინარდებოდნენ. ტილიანი იტალიელები ბავშვების მთელი ჯგროთი მერხებზე უქმად ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ან ცხარედ კამა-

---

[1] ივრის სასაფლაო — ერთ-ერთი ღარიბთა უბნის სასაფლაო პარიზში.

თობდნენ. ისეთი ხმაური იდგა, კაცი ფანჯარას ვერ გააღებდა. საღამოს. შინ დაბრუნებისას, აყროლებული და მოფუსფუსე ბრბო უნდა გაერღვიათ, ტალახით სავსე ქვაფენილებიანი ვეებერთელა ქუჩები გადაეკვეთათ, მეზობელი სახლის ქვედა სართულში მოთავსებული საზიზღარი ლუდხანისთვის უნდა ჩაევლოთ. რომლის წინაც ჩასუქებული და გაბღენძილი, ფერუმარილწათხიპნილი ქერათმიანი ქალები გამვლელებს უტიფრად შესციცინებდნენ თვალებში.

ჟანენებს მცირეოდენი თანხა ხელში უდნებოდათ. ყოველ საღამოს გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ ფული თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. ცდილობდნენ უფრო მომჭირნედ ეცხოვრათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ესეც თავისებური მეცნიერებაა, რომლის შესწავლასაც მრავალი წლის გამოცდილება სჭირდება. ვინც ბუნებით მომჭირნე არაა, ამაოდ შეეცდება მომჭირნე გახდეს. როგორც კი ფულის ხარჯვის ახალი შემთხვევა მიეცემა, მაშინვე დათმობაზე წავა, ხელმომჭირნეობას მომავლისთვის გადადებს. და როცა მოიგებს, ან ფიქრობს სულ ცოტა მაინც მოვიგეო, იჩქარის მოგროვებული თანხა ისეთ რამეზე დახარჯოს, რაც ათჯერ მაინც აღემატება დანაზოგს.

რამდენიმე კვირის შემდეგ ფული სულ შემოეხარჯათ. ქალბატონი ჟანენი იძულებული გახდა თავმოყვარეობაზე ხელი აეღო და ბავშვებისგან დაბალულად პუაიესთვის ფული ეთხოვა. მოახერხა, რომ ბატონი პუაიე კაბინეტში დაემარტოხელებინა და შეევედრა მცირეოდენი თანხა მასესხეთ, სანამ რაიმე საარსებო საშუალებას გამოვნახავთო. მოსამართლე გულჩვილი კაცი იყო, თავდაპირველად შეეცადა უცბად არ დათანხმებულიყო, მაგრამ ბოლოს დანებდა. წუთიერ აღელვებას აჰყვა და ქალბატონ ჟანენს ორასი ფრანკი მისცა, თუმცა მაშინვე ინანა, განსაკუთრებით, როცა ქალბატონ პუაიესთან აღიარა თავისი საქციელი. ქალბატონი პუაიე აღაშფოთა ქმრის სისუსტემ და თაღლითი დის საქციელმა.

სამუშაოს ძებნას გადაყოლილი ჟანენები მთელი დღე პარიზში სირბილს უნდებოდნენ. ქალბატონ ჟანენს მდიდარი პროვინციელი ბურჟუას შეხედულებები ჰქონდა. თავისთვის და ბავშვებისთვის მხოლოდ ეგრეთ წოდებული „Liberales"[1] პროფესიით საქმიანობა მიაჩნდა დასაშვებად. (ასე უთუოდ იმიტომ უწოდებენ, რომ ამ საქმიანობით საბოლოოდ შიმშილით კვდებიან). იმის გაგონებაც არ უნდოდა, რომ მისი ქალიშვილი რომელიმე ოჯახში აღმზრდელად მოწყობილიყო. მხოლოდ სახელმწიფო სამსახურის ოფიციალური თანამდებობები არ მიაჩნდა სათაკილოდ. რაიმე საშუალება უნდა გამოენახათ, ოლივიეს სწავლა რომ დაემთავრებინა და მასწავლებელი გამოსულიყო. რაც შეეხება ანტუანეტას, ქალბატონ ჟანენს სურდა გოგონას რომელიმე სასწავლებელში გაკვეთილები მიეცა, ანდა, სიგელზე დაემთავრებინა კონსერვატორია, ფორტე-

[1] კალამბურია, Liberal — გულუხვი. Profession liberal — თავისუფალი პროფესია.

პიანოს გაბმით. მაგრამ, სასწავლებლებს, რომლებსაც ქალბატონმა ჟანენმა მიმართა, საკმაოდ ჰყავდა კვალიფიციური მასწავლებლები. მის ქალიშვილს კი მხოლოდ საშუალო განათლების ცნობა გააჩნდა. რაც შეეხება მუსიკას, უნდა ვალიაროთ, რომ ანტუანეტა მუსიკაში ნაკლებ ნიჭიერი იყო იმათთან შედარებით, მასავით ნიჭის გამოვლენის საშუალებას მოკლებულნი რომ იყვნენ. ჟანენებმა მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს, რა სასტიკად იბრძოდნენ არსებობისათვის და რა უმოწყალოდ ნთქავდა პარიზი იმ დიდი და მცირე გაქანების ხალხს, ვისაც სულ არ საჭიროებდა.

ბავშვები შეშინდნენ. რწმენა დაკარგეს. თავი უნიჭოებად ჩათვალეს; ცდილობდნენ თავადაც შეეგნოთ ეს და დედისთვისაც დაემტკიცებინათ. ოლივიე, პროვინციელ კოლეჯში არწივად რომ ითვლებოდა, ამ გამოცდამ მთლად გაანადგურა. თითქოს მთელი თავისი ნიჭი და უნარი ერთბაშად დაკარგა. როგორც იქნა, ბიჭი ლიცეუმში მიიბარეს და იმასაც მიაღწიეს, რომ მისთვის სტიპენდია დაენიშნათ. მაგრამ, პირველ ხანებში სწავლა ისე გაუჭირდა, რომ სტიპენდიაც კი მოეხსნეს. თავი მთლად სელელად ჩათვალა. აშინებდა პარიზი, ეს ფუსფესი, ამბანაგების აუტანელი უზნეობა, უღირსი საუბარი, ზოგი მათგანის დაუნდობლობა. უხამსობას რომ სთავაზობდნენ საბრალო ბიჭს. თავად კი იმის ძალაც არ შესწევდა, მათდამი ზიზღი გამოეხატა; მათ უზნეობას რომ უყურებდა, ფიქრობდა, მეც ზნედაცემული გავხდიო. ყოველ საღამოს დედასთან და დასთან ერთად მხურვალე ლოცვაში პოულობდა ერთადერთ თავშესაფარს ყოველდღიური იმედგაცრეებისა და ღრმა შეურაცხყოფისაგან, რაც მათ უცოდველ გულებს ისეთ სიბინძურედ ეჩვენებოდათ, რომ ერთმანეთსაც ვერ უმხელდნენ. მაგრამ ფარულ ათეისტურ აზროვნებასთან კონტაქტის წყალობით, რომლითაც პარიზში სუნთქავენ, ოლივიეს რწმენა მისდა შეუმჩნეველად თანდათანობით იფიტებოდა, ისევე, როგორც ახლადწასმული ბათქაში ცვივა კედლებიდან წვიმის დროს. ბიჭს ჯერ კიდევ არ დაეკარგა რწმენა, მაგრამ მის თვალწინ ღმერთი კვდებოდა.

ქალები ამაო სირბილს განაგრძნობდნენ. ქალბატონი ჟანენი კვლავ ეწვია პუაიეებს, რომლებმაც, თავიდან რომ მოეშორებინათ, რაღაც სამუშაო შესთავაზეს. ქალბატონ ჟანენს წიგნები უნდა ეკითხა ერთი მოხუცი ქალბატონისათვის, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში ატარებდა ზამთარს, ანტუანეტას კი აღმზრდელის ადგილი უშოვეს დასავლეთ საფრანგეთის ერთ-ერთ ოჯახში, რომელიც მთელი წლობით სოფლად ცხოვრობდა. პირობები არცთუ ისე ურიგო იყო, მაგრამ ქალბატონმა ჟანენმა უარი განაცხადა. სხვისი სამსახურით თავის დამცირებაზე უფრო ის ადარდებდა, რომ მისი ქალიშვილიც იძულებული იქნებოდა იგივე გაეკეთებინა. არც ის უნდოდა, ანტუანეტა კალთიდან მოეშორებინა. ძალზედ უბედურები იყვნენ და სწორედ ამ უბედურების გამო ერთად ყოფნა უნდოდათ. ქალბატონ პუაიეს ეს არ მოეწონა, — როცა ცხოვრების სახსარი არ გაგაჩნიათ, კუდი ყავარზე არ უნდა გქონდეთ გადებულიო, —

ურჩია. ქალბატონმა ჟანენმა ვერ მოითმინა და უგულობა უსაყვედურა დას. ქალბატონმა პუაიემ კადნიერად შეახსენა, გაკოტრებული ხართ და ჩვენი ფულიც გმართებთო. სამკვდრო-სასიცოცხლოდ ნაჩხუბარნი დაშორდნენ ერთმანეთს. მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა. ქალბატონ ჟანენს ერთიდა სურდა მხოლოდ — დისთვის ვალი დაებრუნებინა, მაგრამ ეს არ შეეძლო.

ამაო სიარული გრძელდებოდა. ქალბატონმა ჟანენმა დეპუტატი და თავიანთი დეპარტამენტის სენატორი ინახულა, რომლებისთვისაც ბატონ ჟანენს ბევრჯერ გაეწია სამსახური. ყველგან უმადურობასა და ეგოიზმს შეეჯახა. დეპუტატმა წერილებზეც კი არ უპასუხა და როცა ქალბატონმა ჟანენმა კარზე მიუკაკუნა, უბრძანა ეთქვათ, შინ არ არისო. სენატორმა უხეშად გამოუცხადა თანაგრძნობა მისი მდგომარეობის გამო, ბრალს ყველაფერში იმ „საცოდავ ჟანენს“ სდებდა, რომლის თვითმკვლელობასაც სასტიკად გმობდა. ქალბატონმა ჟანენმა ქმარი დაიცვა. სენატორმა დასძინა — ვიცი, უსინდისობის გამო კი არ ჩაიდინა ასეთი რამ, სისულელით მოუვიდა, გულუბრყვილო კაცი იყო საბრალო, თავქარიანი, რაც მოეპრიანებოდა, მუდამ იმას აკეთებდა, აზრს არავის ჰკითხავდა და არავის გაფრთხილებას ყურს არ უგდებდაო. მარტო თავი რომ დაეღუპა, ჯანდაბას, ღირსიც იქნებოდა! სხვების დაღუპვაზე რომ არაფერი ვთქვათ, საკუთარი ცოლ-შვილი გააღატაკა და მიატოვა, ახლა კი, როგორც შესძლებთ, ისე დაიძვრინეთ თავიო... თქვენ თუ წმინდანი ხართ, შეგიძლიათ აპატიოთ, მე კი, უბრალოდ, გონიერი, წინდახედული და საღად მოაზროვნე კაცი ვარ და არავითარი საფუძველი არ გამაჩნია შევუნდოო. კაცი, რომელიც ასეთ შემთხვევაში თავს იკლავს, უბადრუკი არსებაა. ერთადერთი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელმაც შეიძლება დაიცვას ჟანენი, ის გახლავთ, რომ იგი თავის საქციელზე პასუხს არ აგებსო. აქ მან ქალბატონ ჟანენს მოუბოდიშა, ცოტა მკვახედ ვილაპარაკე განსვენებულზე, მაგრამ მიზეზი თქვენდამი ჩემი სიმპათიაო, უჯრა გამოაღო და სამოწყალოდ ორმოცდაათფრანკიანი ბილეთი შესთავაზა. ქალმა უარი განაცხადა ამ ფულის აღებაზე.

სამუშაოს დიდ დაწესებულებებში ეძებდა. ასეთ საქმეებში გაჩვეული არ იყო და ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. წასვლისას მთელ მხნეობას იკრებდა, შინ კი ისე განაწამები ბრუნდებოდა, რამდენიმე დღე ხელის განძრევაც არ შეეძლო. როცა კვლავ მიაკითხავდა, უკვე დაგვიანებული იყო. ვერც ეკლესიის მსახურთა შორის ჰპოვა თანაგრძნობა. იქნებ იმიტომ, რომ მისგან არაფერს გამოელოდნენ, ანდა იმიტომ, რომ აღარ აინტერესებდათ გაკოტრებული ოჯახი, რომლის მამაც აშკარად ანტიკლერიკალი იყო. ამდენი წვალების ფასად ქალბატონმა ჟანენმა რომელიღაც მონასტერში მუსიკის მასწავლებლის ადგილი იშოვა — უმადური სამუშაო იყო, გასამრჯელოს ცოტას უხდიდნენ. ცოტა ზედმეტი ფული რომ ეშოვა, საღამოობით ერთერთი სააგენტოს ქაღალდებს ათეთრებდა. აქაც ულმობლად ექცეოდნენ. ხელწერას უწუნებდნენ. დიდი მეცადინეობის მიუხედავად, ზოგჯერ სიტყვა ან მთელი სტრიქონი გამორჩებო-

და ხოლმე (მას ხომ იმდენი საზრუნავი ჰქონდა!), რის გამოც გულისმომწყვლელ შენიშვნებს იმსახურებდა. ისეც მომხდარა, რომ თვალებდაწითლებულსა და გადაქანცულს შუაღამემდე უწერია, მეორე დღეს კი ნაწერი დაუწუნებიათ. შინ შეძრწუნებული დაბრუნებულა. მთელ დღეებს კვნესაში ატარებდა, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. კარგა ხანია, გული აწუხებდა. განსაცდელი კიდევ უფრო უუარესებდა ჯანმრთელობას და ავბედითი წინათგრძნობით ავსებდა. ზოგჯერ ისეთი კაეშანი იპყრობდა, ისე ეხუთებოდა სული, გეგონებოდათ კვდებაო. ქუჩაში გავლისას ჯიბეში მისამართსა და გვარს იდებდა, ვაითუ გზაში ცუდად გაეხდეო. რა მოხდებოდა, რომ მომკვდარიყო? ანტუანეტა, რაც შეეძლო, შველოდა, თუმცა ძალზე ღელავდა, თავს მშვიდად აჩვენებდა. ეველრებოდა, ოჯს გაუფრთხილდი და სამუშაო მე დამითმეო. მაგრამ ქალბატონი ჟანენი სიამაყის უკანასკნელ ნარჩენებს არ თმობდა, არ უნდოდა ქალიშვილსაც ისეთივე დამცირება გადაეტანა, რომლისგანაც თავად იტანჯებოდა.

ამაოდ იკლავდა თავს, ამაოდ ცდილობდა ხარჯი შეემცირებინა: რასაც შოულობდა, პურის ფულად არ ჰყოფნიდათ. რამდენიმე შემორჩენილი სამკაულის გაყიდვა მოუხდა. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ფული, რომელიც ასე სჭირდებოდათ, ქალბატონ ჟანენს აღებისთანავე მოჰპარეს. საბრალო ქალს საშინელი დაბნეულობა სჭირდა; მან ქუჩაში გამოსვლისთანავე აიხირა მაღაზია „Bon marché"-ში შეევლო: მეორე დღეს ანტუანეტას დღეობა იყო და უნდოდა პატარა საჩუქარი ეძღვნა. ფულის დაკარგვისა ეშინოდა და საფულე ხელში ეჭირა. საჩუქარს რომ ათვალიერებდა, მექანიკურად, საფულე ერთი წამით დახლზე დადო. ასაღებად რომ მოუბრუნდა — საფულე გამქრალიყო. ამ ელდამ ბოლო მოუღო.

რამდენიმე დღის შემდეგ, აგვისტოს ჩახუთულ საღამოს (ქალაქის თავზე სქელი ბუღი ტრიალებდა) ქალბატონმა ჟანენმა სააგენტოში სასწრაფო სამუშაო ჩააბარა და შინ ბრუნდებოდა. თუმცა სადილად აგვიანდებოდა, გადაწყვიტა ფეხით წასულიყო და ომნიბუსის სამი სუ გადაერჩინა. ეშინოდა, ბავშვებმა არ იღელვონო და ჩქარობდა. მთლად გასავათდა. მეხუთე სართულზე რომ აალწია, აღარც ლაპარაკი შეეძლო და ვერც სულს ითქვამდა. ამ მდგომარეობაში პირველად არ ბრუნდებოდა. ბოლოს და ბოლოს ბავშვებიც შეეჩვევნენ და აღარ უკვირდათ. ქალბატონმა ჟანენმა სცადა, ბავშვებთან ერთად სუფრას მისჯდომოდა. ბავშვები არაფერს ჭამდნენ. სიცხისგან გული ერეოდათ. თავისთვის ძალა უნდა დაეტანებინათ, რამდენიმე ლუკმა ხორცი ზიზღით რომ გადაეყლაპათ და ორიოდ ყლუპი უგემური წყალიც მიეყოლებინათ. დედისთვის გონს მოსვლა რომ ეცლიათ, ხმას არ იღებდნენ (ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდათ) და ფანჯარას შესცქეროდნენ.

უცებ, ქალბატონმა ჟანენმა ხელები გაშალა, მაგიდას ჩაებღაუჭა, ბავ-

---

[1] „Bon marché" — ერთ-ერთი დიდი უნივერმაღი პარიზში.

შვეცს შეხედა, ერთი დაიკვნესა და ჩაიკეცა. ანტუანეტამ და ოლივიემ ხელი შეაშველეს. გაშმაგებულნი ყვიროდნენ, ეველრებოდნენ:

— დედა, დედიკო!

მაგრამ დედა აღარ პასუხობდა. ბავშვებს თავგზა აებნათ. ანტუანეტა დედის სხეულს გულში იკრავდა, კოცნიდა, უხმობდა. ოლივიემ კარი გამოაღო და გვიშველეთო დაიძახა.

კონსიერჟი ქალი კიბეზე ამობობღდა; რა ნახა, რაც მომხდარიყო, ექიმთან გაიქცა. ექიმმა იმის თქმაღა შეძლო — ყველაფერი დამთავრებულიაო. ქალბატონი ჟანენის საბედნიეროდ, სიკვდილი ელვისებური იყო (მაგრამ ვინ იცის, რა გაიფიქრა უკანასკნელ წუთებში, როცა იგრძნო კვდებოდა და ბავშვებს მარტოდმარტო ტოვებდა აუწერელ სიღატაკეში!..).

მარტონი დარჩნენ საშინელი კატასტროფის წინაშე, მარტოებს უნდა ეტირათ, მარტოებს დააწვათ ის საშინელი საზრუნავი, სიკვდილს რომ ახლავს თან. კეთილი კონსიერჟი ცოტათი წაეხმარათ. მონასტრიდან, სადაც ქალბატონი ჟანენი ასწავლიდა, მხოლოდ გულგრილი თანაგრძნობის რამდენიმე სიტყვა შემოუთვალეს.

პირველი წუთები ენით გამოუთქმელი სასოწარკვეთით იყო აღსავსე. ოლივიეს კრუნჩხვები დაეწყო. ამან ანტუანეტას საკუთარი სატანჯველი დაავიწყა. მხოლოდ ძმაზე ფიქრობდა. მისმა მხურვალე სიყვარულმა ოლივიეს ავადმყოფობაც დათრგუნა, გამოიყვანა საზარელი მდგომარეობიდან, რომელშიც მწუხარებამ ჩააგდო. ერთმანეთს ჩაეკვრნენ საწოლთან, რომელზედაც დედა განისვენებდა. ოთახს ღამის ლამპა ანათებდა. ოლივიემ დაიჟინა — უნდა მოვკვდეთ, ამ წუთასვე უნდა მოვკვდეთ ორივეო და თან ფანჯრისკენ იშვერდა თითს. ანტუანეტაც მოეცვა ამ საზარელ აზრს, მაგრამ თავიდან იცილებდა, სიცოცხლე უნდოდა...

— რისთვის?

— ამისთვის — მიუგო ანტუანეტამ (და დედაზე მიუთითა) — ის მუდამ ჩვენთანაა, იფიქრე... ჩვენი გულისათვის რამდენს ეწამა. უნდა ვეცადოთ, ავარიდოთ ყველაზე დიდი მწუხარება — უბედურნი მოვკვდეთ... აჰ! — გაცხარებით განაგრძო მან, — ბედს ასე არ უნდა დაემონო, მე არ მსურს, ამის წინააღმდეგი ვარ: მინდა, რომ შენ მაინც იყო ბედნიერი ოდესმე!

— არასოდეს!

— კი, შენ ბედნიერი იქნები. ბევრი უბედურება გვინახავს, მაგრამ ყველაფერი შეიცვლება. უთუოდ ასე უნდა მოხდეს. ცხოვრებას მოიწყობ, ოჯახი გექნება, ბედნიერი იქნები, მე მინდა, ასე მინდა.

— როგორ ვიცხოვრებთ? ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ...

— შევძლებთ. ამას რა უნდა? სანამ ფეხზე დადგები, თავს როგორმე გაგი-

ტანთ: მე ვკისრულობ. ნახავ, თუ ვერ შევძლებ. ეჰ, დედას ადრევე რომ მოეცა ნება, ახლა უკვე...

— რას აპირებ? მე არ მინდა, რომ დამამცირებელ საქმეს მოჰკიდო ხელი. ამას თვითონაც ვერ შეძლებ.

— შევძლებ. დამამცირებელი არაფერია, თუკი პატიოსანი ხარ, თუ თავს საკუთარი შრომით ირჩენ. გთხოვ, ნუ იდარდებ. ნახავ, ყველაფერი მოგვარდება, შენ ბედნიერი იქნები, ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით, ჩემო ოლივიე. დედასაც გავაბედნიერებთ...

დედის კუბოს ორი ბავშვი მიჰყვებოდა. ისინი შეთანხმდნენ, რომ პუაიეებისთვის არაფერი ეცნობებინათ. პუაიეები მათთვის აღარ არსებობდნენ. როცა კონსიერჟმა ჰკითხა, ვინმე ნათესავი თუ გყავთო, — არავინო, უპასუხეს.

ხელიხელჩაკიდებულებმა ილოცეს ახლადგათხრილ საფლავთან. შეურიგებელნი და ამაყნი სასოწარკვეთას გაექვავებინა. გულგრილი და პირმოთნე ნათესავების თანაგრძნობას მარტოობა ამჯობინეს. შინ ფეხით დაბრუნდნენ. მათი მწუხარების, ფიქრების, მთელი მათი არსებისთვის უცხო ბრბოში მიიკვლევდნენ გზას. ამ ხალხთან საერთო მხოლოდ ენა ჰქონდათ, რომელზედაც ლაპარაკობდნენ. ანტუანეტას ოლივიე ხელმკლავით მოჰყავდა.

იმავე სახლის უკანასკნელ სართულზე ოროთახიანი პაწაწინა ბინა იქირავეს. პატარა წინაოთახი, სასადილოს მაგივრობაც რომ უნდა გაეწია და განჯინის ტოლა სამზარეულო ჰქონდათ. სხვა უბანში უკეთესი ბინის შოვნაც შეეძლოთ, მაგრამ ეჩვენებოდათ, აქ დედასთან ერთად ვართო; კონსიერჟი ქალი თავდაპირველად თანაგრძნობით ეკიდებოდა, მაგრამ მალე საკუთარმა საქმეებმა შთანთქა და ბავშვების ბედით მეტი აღარავინ დაინტერესებულა. არცერთი მდგმური არ იცნობდა ობლებს. თავადაც არ იცოდნენ, ვის გვერდით ცხოვრობდნენ.

ანტუანეტამ მონასტერში დედის მაგივრად მუსიკის მასწავლებლობა დაიწყო. სხვა გაკვეთილებსაც ეძებდა. ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ისე აღეზარდა ოლივიე, რომ ნორმალურ სასწავლებელში[1] შესვლა შესძლებოდა. ეს დამოუკიდებლად გადაწყვიტა. პროგრამები შეისწავლა, გადაიკითხა, შეეცადა ოლივიეს აზრიც გაეგო; მაგრამ, რადგან ოლივიეს ამ საკითხზე აზრი არ გააჩნდა, ანტუანეტამ ძმის მაგივრად აარჩია გზა. ნორმალურ სასწავლებელში თუ მოხვდება, ლუკმაპურის შოვნა არ გაუჭირდება და თავისი ბედის გამგებელი თავადვე იქნებაო. როგორმე უნდა მივაღწიო მიზანს, რადაც უნდა დამიჯდეს, ამ დღემდე უნდა ვიცოცხლო! ხუთი-ექვსი წელი ჭირს, მერე ყველაფერს ეშველება. ამ აზრმა უცნაური ძალით გაიდგა ფესვები, მთლად დაიმონა ანტუანეტა. მარტოობასა და გაჭირვებაში ცხოვრება, მომავალში აშკარად რომ ელოდა, მხოლოდ იმ დიდი გატაცების წყალობით შეიძლებოდა, გოგონა რომ მოეცვა.

---

[1] პარიზის პედაგოგიური სასწავლებელი.

გადაარჩინოს ძმა, თუკი თავად ვერ იქნება ბედნიერი, ძმის საბედნიეროდ მაინც იღრნოს ყველაფერი. ეს პატარა, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ფუქსავატი და მგრძნობიარე გოგონა სავსებით გარდაქმნა გმირულმა გადაწყვეტილებამ: მგზნებარე თავგანწირვა დაუფლებოდა და ბრძოლის სიამაყეს შეეპყრო. ვერავინ ვერ წარმოიდგენდა მას ასეთად, ანტუანეტას თვითონაც უკვირდა. ყველა ქალისათვის ამ კრიტიკულ ასაკში, აფეთქებული გაზაფხულის პირველ დღეებში, როცა სიყვარულის ძალა მოიცავს არსებას, მიწისქვეშა, მოჩუხჩუხე, ფარულ წყაროსავით განბანს, გარს ეკვრის, ავსებს და მუდმივ აცდუნებს, სიყვარული ყველა შესაძლო ფორმას ღებულობს. მხოლოდ იმას ეძებს, ვინ დააპუროს: ყველა საბაბი მოსწონს, უმანკო და ღრმა გრძნობა მზადაა ნებისმიერი მსხვერპლი გაიღოს. სიყვარულმა ანტუანეტა მეგობრობის მსხვერპლად აქცია.

მისი ძმა ასეთი მგზნებარე არ გახლდათ და არც ასეთი მიზანსწრაფვა გააჩნდა. ესეც არ იყოს, თვითონ კი არ მიჰქონდა თავი სამსხვერპლოზე, რაც მეტად სასიამოვნოა, როცა გიყვარს, არამედ მას ეწირებოდნენ. ქანცგამოცლილი დის ხილვისას სინდისი ქენჯნიდა; ამას არც უმალავდა. და კი ეუბნებოდა:

— აჰ, ჩემო პატარავ!... ნუთუ ვერ ხედავ, რომ მხოლოდ ამით ვცოცხლობ? შენზე რომ არ ვზრუნავდე, რა აზრი ექნებოდა ჩემს სიცოცხლეს?

ბიჭს ეს კარგად ესმოდა. ანტუანეტას ადგილზე ისიც სათუთად გაუფრთხილდებოდა ამ ძვირფას საზრუნავს. მაგრამ გული ეთანაღრებოდა, რომ დას ასეთი თავსატეხი გაუჩინა. თავმოყვარეობაც შელახული ჰქონდა. სუსტი არსებისათვის მეტად მძიმე ტვირთი იყო დაკისრებული პასუხისმგებლობა—აუცილებლად წარმატებისთვის მიეღწია, რადგან მისმა დამ, როგორც ბანქოს თამაშში იციან, მთელი თავისი სიცოცხლე ამ ქაღალდზე შეაგდო. ამაზე ფიქრიც კი ზარავდა. იმის ნაცვლად, რომ ორჯერ მეტი ძალა მოეკრიბა, ზოგჯერ სულ დაბეჩავდებოდა ხოლმე. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, და აიძულებდა ებრძოლა, ემუშავა, ეცოცხლა: გაეკეთებინა ის, რასაც ამ იძულების გარეშე ვერ გააკეთებდა. ოლივიე წინასწარვე შეგუებული იყო მარცხს, იქნებ თვითშკვლელობასაც; შესაძლოა, ამ გრძნობას საბოლოოდ მოეცვა კიდეც, მის დას რომ არ მოესურვებინა გაეხადა იგი პატივმოყვარე და ბედნიერი. იტანჯებოდა, რომ მისი ბუნება დამარცხდა; და მაინც ეს გამარჯვება იყო! თავადაც კრიტიკულ ასაკისა იყო, იმ საეჭვო ასაკისა, როცა ათასობით ახალგაზრდა იღუპება, გარყვნილებას რომ ეძლევა და ორი-სამი წლის სიშმაგეს დაუბრუნებლად სწირავს მთელს ცხოვრებას. საფიქრელი დრო რომ ჰქონოდა, ფუქსავატურ ცხოვრებას ან სასოწარკვეთას მიეცემოდა. როგორც კი საკუთარ გულში ჩაიხედავდა, ავადმყოფური ოცნება იპყრობდა, ეზიზღებოდა პარიზი, სადაც მილიონობით არსება სიბინძურის წუმპეში ჩაძირულიყო. ერთმანეთში ირეოდა და ერთად იხრწნებოდა. მაგრამ დის ხილვა ამ კოშმარს ფანტავდა: რაკი ანტუანეტა მხოლოდ იმისთვის ცოცხლობდა, რომ ძმას ეცოცხლა, ოლივიესაც გადაეწყვიტა, საკუთარი სურვილის მიუხედავად ეცოცხლა და ბედნიერი გამხდარიყო.

ამგვარად წარიმართა ცხოველ რწმენაზე დაფუძნებული მათი ცხოვრება. ეს რწმენა სიმამაცის, რელიგიისა და კეთილშობილი პატივმოყვარეობისაგან შედგებოდა. ორივე ბავშვი მთელი არსებით ერთადერთი მიზნისკენ — ოლივიეს წარმატებისაკენ მიისწრაფოდა. ანტუანეტა ყოველგვარ სამუშაოზე, ყოველგვარ დამცირებაზე თანახმა იყო. აღმზრდელად მუშაობდა ოჯახებში, სადაც თითქმის მოსამსახურესავით ეპყრობოდნენ. თავის მოწაფეებს ძიძასავით სასეირნოდ უნდა გაჰყოლოდა, მათთან ერთად საათობით უნდა ეთელა ქუჩები, იმ საბაბით, რომ გერმანული ესწავლებინა მათთვის. მაგრამ ძმის სიყვარული და საკუთარი სიამაყე ამ სულიერ ტანჯვასა და დაღლილობაში შვებას ჰგვრიდა.

ქანცგაწყვეტილი ბრუნდებოდა შინ; ახლა ოლივიეზე უნდა ეზრუნა: ბიჭი მთელ დღეს ლიცეუმში ატარებდა, ნახევრად პანსიონერად მიეღოთ და შინ მხოლოდ საღამოს მოდიოდა. ანტუანეტა გაზის ქურაზე, ან სპირტქურაზე ამზადებდა სადილს. ოლივიეს მადა არ ჰქონდა, ყველაფერი ეზიზღებოდა, ხორცი გულს ურევდა: ძალა უნდა დაგეტანებინა, რაიმე რომ ეჭამა; თავი უნდა გემტვრია, მისი მოსაწონი კერძი რომ გამოგეგონებინა; საბრალო ანტუანეტა კი არასოდეს ყოფილა დახელოვნებული მზარეული. დიდი ტანჯვა-წამების სანაცვლოდ დამამცირებელ შენიშვნებს ისმენდა ძმისგან — შენი ნახელავი პირში არ ჩაიდებაო. მხოლოდ გაზის ქურასთან გატარებული არაერთი სასოწარკვეთით სავსე საათის შემდეგ, იმ იდუმალი სასოწარკვეთის შემდეგ, რასაც ასე კარგად იცნობენ ახალბედა, გაუწაფავი დიასახლისები, რაც სიცოცხლესა და ზოგჯერ ძილსაც უწამლავს მათ, ისე, რომ არავინ არაფერი იცის ამის შესახებ,— ასე თუ ისე წარმატებასაც მიაღწია.

ნასადილევს ანტუანეტა ორიოდ დასვრილ თეფშს გარეცხავდა (ოლივიეს უნდოდა დას ამ საქმიანობაში მიხმარებოდა, მაგრამ იგი უარობდა) და დედასავით ზრუნავდა ძმაზე. გაკვეთილებს ათხრობინებდა, დავალებს უმოწმებდა. ზოგჯერ ამოცანის ამოხსნაშიც ეხმარებოდა, თან ცდილობდა ყოველივე ისე გაეკეთებინა, რომ ამ პატარა, ეჭვიანი არსებისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. საღამოობით იმ ერთადერთ მაგიდას შემოუსხდებოდნენ, ერთდროულად სასადილო და საწერი მაგიდის მაგივრობას რომ სწევდა. ოლივიე დავალებებს ამზადებდა, ანტუანეტა კერავდა ან წერდა. როცა ოლივიე წვებოდა, ანტუანეტას მისი ტანსაცმელი მოჰყავდა წესრიგში ან თავისთვის მუშაობდა.

თუმცა წელებზე ფეხს იდგამდნენ, გადაწყვიტეს, რომ ფულით, რომლის გადანახვასაც მოახერხებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ვალი გაესტუმრებინათ დედამ რომ აიღო პუაიესგან. იმიტომ კი არა, რომ მოსამართლე და მისი ცოლი ფულის თხოვნით თავს აბეზრებდნენ: პირიქით, მათი არსებობის არავითარი ნიშანწყალი არ ისმოდა; ისინი ამ ფულზე აღარც ფიქრობდნენ, სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნდათ: ბედნიერადაც კი თვლიდნენ თავს, ასე იოლად რომ მოიშორეს სახელისგამტეხი ნათესავები. მაგრამ სიამაყე და დედის ხსოვნისადმი პატივისცემა ნებას არ აძლევდა ბავშვებს, რომ დედა მათთვის საძულველი

ხალხის მოვალედ დარჩენილიყო. ყველაფერს იკლებდნენ, ხელს უჭერდნენ ყოველ გროშს, უარს ამბობდნენ გართობაზე, ჩასაცმელზე და საჭმელზე, მათთვის უზარმაზარი თანხა, ორასი ფრანკი რომ მოეგროვებინათ. ანტუანეტას უნდოდა მხოლოდ საკუთარი თავი შეეზღუდა. მაგრამ, როცა ძმა მიუხვდა საბრალელს, ვერაფერმა გადაათქმევინა, რომ ისიც დასავით მოქცეულიყო. ღონეს არ იშურებდნენ ამ მიზნის მისაღწევად და ბედნიერნი იყვნენ იმ დღეს, როცა რამდენიმე სუს გადაინახავდნენ.

სუს სუზე აწებებდნენ და სამი წლის მომჭირნეობის შედეგად შეძლეს საჭირო თანხის მოგროვება. ეს დიდი სიხარული იყო მათთვის... ერთ საღამოს ანტუანეტა პუაიეს ეწვია. არცთუ ალერსიანად მიიღეს, რადგან ეგონათ დახმარების სათხოვნელად მოვიდაო. იფიქრეს, გაღმა შეეედავოთო და გულცივად უსაყვედურეს, თქვენს ამბავს რატომ არ გვაგებინებ, დედის სიკვდილიც კი არ შეგვატყობინე, როცა დაგჭირდით, მხოლოდ მაშინ გაგვიხსენეო. ანტუანეტამ შეაწყვეტინა და უთხრა, თქვენს შეწუხებას არ ვაპირებ, მხოლოდ ნასესხები ფულის დასაბრუნებლად მოვედიო. მაგიდაზე ორი საბანკო ბილეთი დადო და ხელწერილი მოითხოვა. პუაიეებმა მაშინვე კილო შეიცვალეს, თავს აჩვენებდნენ, თითქოს ფულის აღება არ უნდოდათ: გოგონასადმი იმ უეცარი სიყვარულით განიმსჭვალნენ, კრედიტორი რომ გრძნობს ხოლმე მევალის მიმართ, როცა იგი წლების შემდეგ დაუბრუნებს ფულს, რომლის დაბრუნების იმედიც დაკარგული ჰქონდა. უნდოდათ გაეგოთ, სად და როგორ არიან ის და მისი ძმა. ანტუანეტამ პასუხს თავი აარიდა, კვლავ ხელწერილი მოითხოვა, მეჩქარებაო დასძინა, ცივად გამოემშვიდობა მასპინძლებს და შინისაკენ გასწია. ამ გოგოს უშადურობამ პუაიეები მოთმინებიდან გამოიყვანა.

აკვიატებული აზრისაგან განთავისუფლებულმა ანტუანეტამ კვლავ დუხჭირი ცხოვრება განაგრძო, ოღონდ ახლა უკვე ოლივიესთვის. საკუთარ თავში იკეტებოდა, ოლივიეს რომ არაფერი სცოდნოდა. საკუთარ ჩასაცმელსა და ზოგჯერ საკვებზეც მომჭირნეობდა, ძმისთვის ჩასაცმელი და გასართობი რომ არ მოეკლო, მისი ცხოვრება უფრო მშვიდი და ლამაზი რომ გაეხადა, საშუალება რომ მიეცა დროდადრო კონცერტზე ან მუსიკალურ თეატრში წასულიყო, რაც ოლივიესთვის უდიდესი ბედნიერება იყო. ოლივიეს დის გარეშე წასვლა არ უნდოდა: მაგრამ ანტუანეტა ყოველთვის პოულობდა მიზეზს, წასვლისთვის თავი რომ აერიდებინა და ძმას სინდისის ქენჯნა არ ეგრძნო. ამბობდა, ძალიან დავიღალე, წასვლა არ მინდა და არც მესიამოვნებაო. ოლივიე როდი იჯერებდა სიყვარულით ნაკარნახევ ამ ტყუილს, მაგრამ მისი ბავშვური ეგოიზმი იმარჯვებდა. თეატრში მაინც მიდიოდა. მისვლისთანავე კვლავ სინდისი ქენჯნიდა. მთელი წარმოდგენის განმავლობაში სულ ამაზე ფიქრობდა და ბედნიერებაც ჩაშხამებული ჰქონდა. ერთხელ, კვირას დამ „შატლე"-ში[1] კონცერტზე

---

[1] „შატლე" — თეატრი პარიზში.

რომ გაგზავნა, ნახევარი საათის შემდეგ უკან მობრუნდა და ანტუანეტას უთხრა, სენ-მიშელის ხიდს რომ მივაღწიე, გზის გაგრძელება ვეღარ შევძელი, კონცერტი აღარ მაინტერესებდა, მიმძიმს მარტომ ვისიამოვნოო. ამაზე ტკბილი არაფერი იყო ანუტანეტასთვის, თუმცა ეწყინა, რომ მის გამო ძმა კვირის ჟასართობს მოაკლდა. ოლივიე კი სულაც არ ნანობდა. შინ დაბრუნებულმა სახეგაბრწყინებული დის ხილვისას, ამაოდ რომ ცდილობდა დაემალა სიხარული, თავი ისე ბედნიერად იგრძნო, როგორც ვერცერთი, მსოფლიოში საუკეთესო მუსიკის მოსმენისას ვერ იგრძნობდა.

მთელი საღამო ფანჯარასთან ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ; ძმას წიგნი ეჭირა, დას — ხელსაქმე. მაგრამ არც ერთი კითხულობდა და არც მეორე ქერავდა; წვრილმანებზე ლაპარაკობდნენ, მაინცდამაინც არცერთს რომ არ აინტერესებდა. არასოდეს არცერთი კვირა ასეთი ტკბილი არ მოსჩვენებიათ. შეთანხმდნენ, დღეიდან კონცერტებზე სულ ერთად ვიაროთო. უერთმანეთოდ არ შეეძლოთ ბედნიერად ეგრძნოთ თავი.

ანტუანეტამ შეძლო ფარულად იმდენი ფული გადაენახა, რომ ოლივიესთვის სიურპრიზი დაეხვედრებინა, პიანინო ექირავებინა. საფასურს თუ სისტემატურად გადაიხდიდნენ, რამდენიმე თვის შემდეგ პიანინო მათი საკუთრება გახდებოდა. მძიმე ვალდებულება იკისრა! ფულის გადახდის ვადა რომ მოვიდოდა, თავი კოშმარში ეგონა ხოლმე, ძალ-ღონეს არ იზოგავდა, საჭირო ფული რომ ეშოვა. სამაგიეროდ, ეს გატაცება იმხელა ბედნიერებას ჰპირდებოდა ოლივიეს! მუსიკა მათთვის ნამდვილი სამოთხე იყო, უზარმაზარი ადგილი ეჭირა მათ ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში. მუსიკაში ეფლობოდნენ და ქვეყნად ყველაფერს ივიწყებდნენ. ეს არცთუ უხიფათო იყო. მუსიკა — თანამედროვე ადამიანის უდიდესი გამხრწნელია ზოგჯერ. მისი მხურვალე ნეტარება, ცხელი ოხშივარი ასუსტებს ან მაცდურ შემოდგომასავით მეტისმეტად აღაგზნებს გრძნობებს და ნებისყოფას ადუნებს. ანტუანეტას შრომისაგან გადაღლილ და ყოველგვარ სიხარულს მოკლებულ სულისთვის იგი ნამდვილი შვება იყო. საკვირაო კონცერტი მუხლჩაუდრეკელ შრომაში გატარებული კვირის ერთადერთი მოელვარე სხივი იყო. უკანასკნელ კონცერტს იგონებდნენ და მომავლის იმედით ცოცხლობდნენ; ამ ორი-სამი საათის განმავლობაში მათთვის არც დრო არსებობდა და არც პარიზი. წვიმასა თუ თოვლში, ქარსა თუ ყინვაში ქუჩაში დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ერთმანეთს ჩაკრულნი და ათრთოლებულნი, ვაითუ ადგილი აღარ იყოსო, ბოლოსდაბოლოს ხმაურიან ბრბოსთან ერთად თეატრში შედიოდნენ ვიწრო და ცუდად განათებული ადგილების დასაკავებლად. სიცხისა და სივიწროვისაგან გული თითქმის უწუხდებოდათ, მაგრამ ბედნიერნი იყვნენ, ბედნიერნი საკუთარი და ერთმანეთის ბედნიერებით; ბედნიერნი, რომ მათ სულში იღვრებოდა ბეთჰოვენისა და ვაგნერის სულიდან მომდინარე ნათელი და ძლიერი ტალღა; ბედნიერნი იმის ხილვით, როგორ აცისკროვნებდა სიხარული ძვირფას, ნაადრევი ზრუნვისა და დაღლილობისაგან გაფითრებულ

სახეს. მოქანცული ანტუანეტა უჩვეულო სისუსტეს გრძნობდა, ეჩვენებოდა, დედის მკლავები მკერდში მიკრავენო! გოგონა წყნარ და თბილ ბუდეში იკალათებდა და ხმადაბლა ქვითინებდა. ოლივიეს მისი ხელი ეჭირა. ჩაბნელებულ დარბაზში, სადაც მათ გარდა მრავალი იყო მუსიკის მშობლიურ ფრთას შეფარებული ტანჯული სული, მათ არავინ აქცევდა ყურადღებას.

ანტუანეტა სარწმუნოებაში ეძებდა შვებას. მეტად მორწმუნე იყო. ყოველ-ცისმარე დღე ხანგრძლივად და მხურვალედ ლოცულობდა, კვირაობით წირვას არ გააცდენდა. უსამართლობითა და გაჭირვებით სავსე ცხოვრებაში როგორ შეეძლო არ ეწამა ღვთაებრივი მეგობრის სიყვარული, მასთან ერთად რომ იტანჯებოდა და ოდესმე ნუგეში რომ უნდა ეცა მისთვის. ღმერთზე მეტად სულიერი კავშირი თავის მკვდრებთან ჰქონდა. ყოველ განსაცდელს მათ უზიარებდა. დამოუკიდებელი და გამჭრიახი გონების პატრონი, სხვა კათოლიკეებისაგან განზე იდგა და ისინიც არ უყურებდნენ კარგი თვალით, ბოროტ სულს ხედავდნენ მასში, ჯერ მთლად თავისუფლად მოაზროვნეს თუ არა, აშკარად ამ გზაზე მდგარს, რადგან, როგორც ყოველ ჭეშმარიტ ფრანგს, არ სურდა თავისუფალ აზროვნებაზე ხელი აეღო, სწამდა სიყვარულის გამო და არა უგუნური პირუტყვივით ბრმად.

ოლივიეს ღმერთი არ სწამდა. რწმენა პარიზში ჩამოსვლის პირველსავე თვეებში შეერყა და მისმა თანდათანობით დაკარგვამ საბოლოოდ გაანადგურა ბიჭი. ეს საშინლად ტანჯავდა, რადგან არც ძლიერი იყო და არც გონებაშეზღუდული, რწმენის გარეშეც იოლად რომ გასულიყო. ერთხანს საშინელი უგუნებობაც დასჩემდა. მისტიციზმისკენ მიდრეკილება კი მაინც შემორჩა. ურწმუნეობის მიუხედავად დის ფიქრები მეტად ახლობელი იყო მისთვის. ორივენი რელიგიური რწმენის ატმოსფეროში ცხოვრობდნენ. საღამოს, მთელი დღის განშორების შემდეგ, ქალაქის სხვადასხვა ბოლოდან შინ რომ ბრუნდებოდნენ, მათი ღარიბული, გაყინული, მაგრამ სუფთა პატარა ბინა ნამდვილ ნავსაყუდლად, ხელშეუხებელ თავშესაფრად იქცეოდა ხოლმე. რა შორს იყო აქედან პარიზის ბილწი ფიქრები!..

თავიანთ საქმეებზე მაინცდამაინც ბევრს არ ლაპარაკობდნენ; დაღლილი რომ ბრუნდები, სურვილი არა გაქვს მოყოლისას ხელახლა გადაიტანო მძიმე დღე; ცდილობდნენ, ერთად მიეცათ იგი დავიწყებისთვის. განსაკუთრებით პირველი საათის განმავლობაში. საღამოს, ვახშამს რომ მიუსხდებოდნენ, ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის არაფერი ეკითხათ. თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს „საღამო მშვიდობისაო“ და ზოგჯერ ისე დაასრულებდნენ ვახშმობას, სიტყვაც არ დასცდებოდათ. ანტუანეტა თეფშის წინ ჩაფიქრებით მჯდომ ოლივიეს შესცქეროდა. ბიჭი ისევე იჯდა, როგორც პატარაობისას სჩვეოდა ხოლმე. და ხელზე ნაზად შეეხებოდა.

— აბა, ყოჩაღად! — ეტყოდა ღიმილით.

ძმაც იღიმებოდა, ჭამას იწყებდა. ვახშამი ისე ჩაივლიდა, არცერთი არ

შეეცდებოდა საუბრის წამოწყებას; სიჩუმეს მოწყურებულნი იყვნენ... ბოლოს, ცოტას რომ ამოისუნთქავდნენ და გასული დღის ბინძური კვალის წამშლელ ურთიერთსიყვარულის გარემოცვას რომ იგრძნობდნენ, მაინც ამოიდგამდნენ ენას.

ოლივიე პიანინოს მიუჯდებოდა. ანტუანეტა თანდათანობით დაკვრასაც გადაეჩვია, რადგან მუდამ ძმას უთმობდა ამ სიამოვნებას: ეს ხომ ბიჭის ერთადერთი გასართობი იყო და ისიც მთელის ძალით ეძლეოდა ამ ნეტარებას. ოლივიე მუსიკალური ნიჭით უხვად იყო დაჯილდოებული. მისი ქალური ბუნება, უფრო სიყვარულისთვის რომ იყო შექმნილი, ვიდრე მოქმედებისთვის, იმ ავტორთა ქმნილებებს ერწყმოდა, რომლებსაც უკრავდა, ზუსტად გადმოსცემდა მათ უმცირეს ნიუანსებს, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევდა სუსტი მკლავები და სუნთქვა, „ტრისტანის“ ტიტანურ ძალასა და ბეთჰოვენის უკანასკნელ სონატებზე რომ იმსხვრეოდა. უფრო მეტად მოცარტისა და გლიუკის მუსიკაში ეძებდა თავშესაფარს. ანტუანეტას სწორედ ეს მუსიკა უყვარდა.

ზოგჯერ ანტუანეტაც მღეროდა, მაგრამ უბრალო და მოძველებულ სიმღერებს. ყრუდ მეღერი მეცო-სოპრანო ჰქონდა, ღრმა და ნაზი. იმდენად მორცხვი იყო, ოლივიეს გარდა არავისთან მღეროდა; მასთანაც ძლივს ბედავდა: სუნთქვა ეკვროდა. განსაკუთრებით ბეთჰოვენის ერთი მელოდია უყვარდა შოტლანდიური ბალადის სიტყვებზე. ეს გახლდათ „ერთგული ჯონი“ — მას ისე მშვიდი და თან ისე ნაზი მოტივი ჰქონდა!.. სულ მთლად ანტუანეტას ჰგავდა. ოლივიეს არ შეეძლო უცრემლოდ მოესმინა, როგორ მღეროდა ანტუანეტა ამ სიმღერას.

ანტუანეტას ძმის მოსმენა ერჩია. ცდილობდა, სწრაფად მოეთავებინა საქმე, სამზარეულოს კარს ღიას ტოვებდა, უკეთესად რომ მოესმინა, როგორ უკრავდა ოლივიე; თუმცა გოგონა ძალზე ფრთხილობდა, ოლივიე მაინც უჩიოდა, ხმაურით ალაგებო. მაშინ ანტუანეტა კარს მიხურავდა; საქმეს რომ მორჩებოდა, პიანინოდან მოშორებით, ბუხრის წინ, დაბალ სკამზე მოიკალათებდა (ძმა ვერ იტანდა დაკვრისას ვინმე რომ უჯდა გვერდით). ინსტრუმენტისკენ ზურგშექცევით მჯდარი ანტუანეტა კნუტივით მოიკუნტებოდა და ბუხრის ოქროსფერ ალს ჩააცქერდებოდა, სადაც უხმაუროდ იწვოდა ქვანახშირი. წარსულის მოგონებას ეძლეოდა. ცხრა საათი რომ დარეკავდა, უმძიმდა ოლივიესთვის შეეხსენებინა, დროა დაამთავროო. თავადაც უჭირდა ფიქრებს მოსწყვეტოდა. მაგრამ ოლივიეს სამუშაო ჰქონდა და ძალზედ გვიან დაწოლაც არ შეიძლებოდა მისთვის. თუმცა ბიჭი უცბად არ უჯერებდა დას. დაკვრის შემდეგ ცოტა დრო უნდა გასულიყო, წიგნის აღება რომ შესძლებოდა. მისი ფიქრები სადღაც დაფრინავდნენ. ხშირად საათი ათის ნახევარს ჩამოჰკრავდა, ის კი კვლავ რაღაც ბურუსით იყო გარემოცული. მაგიდის მეორე მხარეს სამუშაოზე დახრილმა ანტუანეტამ იცოდა, რომ ძმა არაფერს აკეთებდა, მაგრამ ვერ ბედავდა ხშირად გაეხედა მისკენ, ეშინოდა, ზედამხედველობით არ გავაჯავროო.

ოლივიე იმ ასაკისა იყო, როცა ყმაწვილთ უმადურობა სჩვევიათ, მაგრამ ბედნიერნი არიან, როცა მთელი დღეები უსაქმურობაში გადის ხოლმე. სუფთა შუბლი, ქუთუთოებჩალურჯებული, ქალიშვილივით დაღლილი, გულუბრყვილო თვალები ჰქონდა, დიდი პირი, ჯიუტი, ოდნავ ირიბი სქელი ტუჩები ბუნდოვანი, დაბნეული და ეშმაკური ღიმილით იღიმებოდნენ. თვალებზე ჩამოფხატული სქელი თმა კეფაზე შინიონივით ედო, ზედ ერთი ურჩი კულული აღმართულიყო. ყელსახვევი დაუდევრად ჰქონდა შეკრული (თუმცა და ყოველ დილით მზრუნველობით უკრავდა), ქურთუკზე ღილები მუდამ აწყვეტილი ჰქონდა, თუმცა ანტუანეტა ყოველდღე უკერებდა. სამაჯეებს არ ატარებდა. ძვალტყავა გრძელი თითები ჰქონდა, დამცინავი, ნამძინარევი და მიბნედილი იერი, გულგრილი იყო და დოყლაპია. უყვარდა ანტუანეტას ოთახის თვალიერება (სამუშაო მაგიდა გოგონას ოთახში იდგა). შესცქეროდა რკინის პატარა საწოლს, რომლის თავთანაც ბზის ტოტთან ერთად სპილოს ძვლის პატარა ჯვარცმა ეკიდა, დედისა და მამის პორტრეტებს, ძველ ფოტოსურათებს, რომლებზეც პატარა პროვინციული ქალაქი იყო გამოხატული კოშკითა და სარკესავით კამკამა წყლებით. მზერით მდუმარედ მომუშავე დის სახეს რომ მიადგებოდა, მისდამი უსაზღვრო სიბრალულისა და საკუთარი თავისადმი ზიზღის გრძნობა ეუფლებოდა. აღელვებული და საკუთარი უსაქმურობით გაღიზიანებული გარინდებიდან გამოერკვეოდა და დაკარგული დროის ასანაზღაურებლად ენერგიულად მუშაობდა.

თავისუფალ დროს ოლივიე კითხულობდა ხოლმე. თითოეული თავისთვის კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ერთი და იგივე წიგნის ერთად, ხმამაღლა კითხვა არ შეეძლოთ. ეს თითქოს მათ კდემამოსილებას შეურაცხყოფდა. კარგი წიგნი ისეთ საიდუმლოდ ეჩვენებოდათ, რომელიც მხოლოდ გულის სიღრმეში უნდა წაეჩურჩულებინათ. როცა რომელიმე გვერდით მოიხიბლებოდნენ, იმის ნაცვლად, რომ იგი ერთმანეთისთვის წაეკითხათ, წიგნს გაუწვდიდნენ, საინტერესო ნაწყვეტზე მიუთითებდნენ და — წაიკითხეო — იტყოდნენ.

სანამ ერთი კითხულობდა, მეორე გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა მეგობრის განცდას და მასთან ერთად ტკბებოდა.

ხშირად წიგნს შემოუსხდებოდნენ იდაყვებზე დაყრდნობილნი და კი არ კითხულობდნენ, — საუბრობდნენ. შეღამებისას უფრო უადვილდებოდათ საუბარი. ოლივიეს ნაღვლიანი ფიქრები არ შორდებოდა, ამ სუსტ არსებას უნდოდა დარდი გაექარვებინა, თავის სატანჯველს დას უმხელდა და მასაც ნაღველს აწვეთებდა გულში. ეჭვები ღრღნიდა. ანტუანეტას უნდა გაემხნევებინა იგი და საკუთარი თავისაგან დაეცვა. ეს უსასრულო ბრძოლა ყოველ ცისმარე დღე გრძელდებოდა. ოლივიე მწარე და ნაღვლიან ამბებს ჰყვებოდა და მსწრაფლ გულს მოეფონებოდა ხოლმე. მაგრამ თავს არ იწუხებდა იმაზე ფიქრით, რომ მათი სიმძიმე ახლა დას უკლავდა გულს. ძალიან გვიან შენიშნა, როგორ ქან-

ცავდა დას: ძალას ართმევდა და საკუთარი ეპვებით ავსებდა. ანტუანეტა არაფერს იმჩნევდა. ბუნებით გულადი და ლაღი გოგონა ცდილობდა ძმისთვის კვლავ მხიარულად მოეჩვენებინა თავი, თუმცა მისი მხიარულება კარგა ხანია გამქრალიყო. მას დაქანცულობისა და მუდმივად თავგანწირული სიცოცხლის წინააღმდეგ, თავად რომ მოიხვია თავს, აღშფოთების წუთებიც ჰქონდა. მაგრამ გმობდა ამ აზრებს და არ უნდოდა მათზე ეფიქრა. ეს აზრები თავისთავად აეკვიატებოდა, მაგრამ მყისვე უარყოფდა. ლოცვა შველოდა; გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მის გულს ლოცვა აღარ შეეძლო (ასეც ხდება ხოლმე), როცა გული ეფიტებოდა. მაშინ ისღა რჩებოდა, მდუმარეს, ალმურმოდებულსა და დარცხვენილს დაეცადა, რომ მადლი დაბრუნებოდა. ოლივიეს აზრადაც არ მოსდიოდა დის კაეშანი. ამ დროს ანტუანეტა მუდამ პოულობდა მიზეზს, რომ სახლიდან გასულიყო ან თავის ოთახში ჩაკეტილიყო. მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა, როცა კრიზისი ჩაივლიდა. მომღიმარი, განაწამები სახე ჰქონდა, გაცილებით უფრო ნაზი, ვიდრე წინათ, თითქოს გადატანილი ტანჯვისათვის სინდისი ქენჯნისო.

და-ძმის ოთახები ერთმანეთს ემიჯნებოდნენ. საწოლები ერთ კედელთან ედგათ. შეეძლოთ ერთმანეთთან ეჩურჩულათ; როცა რომელიმეს უძილობა აწუხებდა, წუნარი კაკუნი კედელზე ნიშნავდა — გძინავსო? მე არ მეძინებაო.

კედელი ისე თხელი იყო, და-ძმა თითქოს ორი მეგობარივით გვერდიგვერდ, უბიწოდ იწვნენ ერთ საწოლში. მაგრამ კარი მათ ოთახებს შორის ყოველღამ იკეტებოდა ინსტინქტური და ღრმა მოკრძალების წმინდა გრძნობის გამო. კარი ღიად მხოლოდ მაშინ რჩებოდა, როცა ოლივიე ავად იყო, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა.

ბიჭის სუსტი ჯანმრთელობა არ უმჯობესდებოდა. პირიქით, თითქოს უფრო შეირყა კიდეც. მუდამ იტანჯებოდა, ხან ყელი სტკიოდა, ხან მკერდი, ხან თავი ან გული; ოდნავი გაცივებაც კი შესაძლოა ბრონქიტად ქცეოდა. ერთხელ ქუნთრუშა დაემართა და კინაღამ გადაჰყვა კიდეც. კარგად მყოფიც კი ზოგჯერ სერიოზული ავადმყოფი გეგონებოდათ. ფილტვებსა და გულში მტკივნეულ ჩხვლეტას გრძნობდა. ერთხელ ექიმმა მოუსმინა და პერიკარდიტის თუ პერიპნევმონიის დიაგნოზი დაუსვა; შემდეგ უფრო ცნობილ სპეციალისტს მიმართეს. მანაც დაადასტურა დიაგნოზი. თუმცა მართალი არ გამოდგა; ოლივიეს, უბრალოდ, ნერვები ვერ ჰქონდა წესრიგში. ცნობილია, რომ ამ სახის სენი ყველაზე უფრო მოულოდნელ ფორმასაც კი იღებს, მაგრამ რამდენიმე დღის ნერვიულობის შემდეგ გაივლის. რა საშინელი იყო ეს დღეები ანტუანეტასათვის! რამდენი ღამე გაუტარებია უძილოდ! ხშირად წამოდგებოდა, კართან მივიდოდა, ძმის სუნთქვისთვის ყური რომ მიეგდო. ეშინოდა, ეგონა კვდებოდა: იცოდა, დარწმუნებული იყო ამაში. აკანკალებული საწოლზე წამოჯდებოდა, ხელებს იმტვრევდა. პირზე იფარებდა, რომ არ ეყვირა.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — ლოცულობდა იგი, — ნუ წამართმეკ

მის თავს! არა, ამის უფლება არა გაქვს!.. გთხოვ, გეევედრები!.. ო, ძვირფასო დედიკო! დამეხმარე! გადაარჩინე იგი, ისე ჰქმენ, რომ იცოცხლოს!

სხეული ეძაბებოდა.

— აჰ! მოკვდეს მაშინ, როცა უკვე ამდენი გააკეთა, როცა თითქმის მიაღწია მიზანს, როცა ბედნიერება თითქმის კარზე მოადგა..., არა, ეს შეუძლებელია, ეს უღმერთობა იქნება!..

მალე ოლივიემ სხვა საზრუნავი გაუჩინა დას.

ისიც დასავით ზედმიწევნით პატიოსანი იყო, მაგრამ სუსტი ნებისყოფა და ძალზედ თავისუფალი და რთული გონება ჰქონდა, მუდამ იწყნარებდა იმას, რაც ცუდად იცოდა, ცოტა დაბნეულსა და სკეპტიკოსს სიამოვნება უყვარდა. ანტუანეტა ისეთი სუფთა ბუნებისა იყო, დიდხანს ვერ შეძლო გაეგო, რა ხდებოდა ძმის სულში. ეს მან ერთ დღეს უეცრად აღმოაჩინა.

ოლივიეს და შინ არ ეგონა. ჩვეულებრივ, ამ დროს მას გაკვეთილი ჰქონდა, მაგრამ წასვლის წინ მოწაფისგან ბარათი მიიღო, დღეს ვერ ვიმეცადინებთო. ამან ფარული სიამოვნებაც კი მიანიჭა, თუმცა მის ღარიბულ ბიუჯეტს რამდენიმე ფრანკი დააკლდებოდა; მეტად დაღლილი იყო და საწოლზე გაიშოტა; სიამოვნებდა, რომ ერთ დღეს მაინც დაისვენებდა სინდისის ქენჯნის გარეშე. ოლივიე ლიცეიდან დაბრუნდა, ერთი ამხანაგიც მოჰყვა. გვერდით ოთახში მოიკალათეს და საუბარი გააბეს. ყველაფერი ისმოდა, რასაც ლაპრაკობდნენ: არავის ერიდებოდნენ, ეგონათ, მარტო იყვნენ. ანტუანეტა ღიმილით უსმენდა ძმის მხიარულ ხმას. მაგრამ მალე ღიმილი შეწყვიტა და ძარღვებში სისხლი გაეყინა. ბიჭები უხეში და გულისამრევი გამოთქმებით ჰყვებოდნენ ათასგვარ სისაძაგლეს. თითქოს ეს სიამოვნებდათ კიდეც. ანტუანეტას ესმოდა, როგორ იცინოდა ოლივიე, მისი პატარა ოლივიე, რომლის ბაგეებიდან, აქამდე უცოდველი რომ ეგონა, ახლა უწმაწური სიტყვები ამოდიოდა და გოგონას შიშისაგან გულს უყინავდა. ანტუანეტას გული მწვავე ტკივილმა დაუსერა. ამან დიდხანს გასტანა. ბიჭები ლაპარაკით არ იღლებოდნენ, ანტუანეტას კი არ შეეძლო ძმისთვის არ ესმინა. ბოლოს ბიჭები წავიდნენ და ანტუანეტა მარტო დარჩა. მაშინ იგი ატირდა. რაღაც ჩაკვდა მასში. მის მიერ შექმნილი ძმის, ბავშვის იდეალური სურათი წაიბილწა. ეს მომაკვდინებელი ტანჯვა იყო. საღამოს, ერთმანეთს რომ შეხვდნენ, გოგონას ძმისთვის არაფერი უთქვამს. ძმამ შენიშნა, რომ იგი ნამტირალევი იყო, მიზეზი კი ვერ გაიგო. ვერ გაიგო, რატომ შეიცვალა და მის მიმართ. დრო იყო საჭირო, ანტუანეტას საკუთარი თავი ხელში რომ აეყვანა.

მაგრამ, ყველაზე მტკივნეული დარტყმა, რომელიც ოლივიემ დას მიაყენა, ის იყო, რომ ერთ საღამოს შინ არ დაბრუნებულა. ანტუანეტა მთელი ღამე ელოდა, არ დაწოლილა. არა მხოლოდ ფაქიზი სული, გულის იდუმალი კუნჭულებიც ეტანჯებოდა; ის ღრმა კუნჭულები, სადაც საშინელი გრძნობები

დულდა და რომლებსაც საბურველით ფარავდა. ამ საბურველის გადაწევაც კი აკრძალული იყო.

ოლივიეს ძალიან სურდა დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. დილით დაბრუნდა: ბოფიქრებული ჰქონდა, როგორ მოქცეულიყო, მზად იყო კადნიერადაც ეპასუხა დისთვის, თუკი იგი შენიშვნას მისცემდა. ბინაში თითის წვერებზე შეიპარა, ანტუანეტა რომ არ გაეღვიძებინა. მაგრამ და ფეხზე დაინახა, მომლოდინე, გაფითრებული, თვალებდაწითლებული, ნამტირალევი, საყვედურის ნაცვლად მდუმარედ რომ ზრუნავდა მასზე, ლიცეუმში წასვლის წინ საუზმეს რომ უმზადებდა და თუმცა უგუნებოდ ჩანდა, ხმას არ იღებდა. მთელი მისი არსება ცოცხალი საყვედური იყო, და ბიჭმაც ვერ გაუძლო, მუხლებში ჩაუვარდა, თავი დის კალთაში ჩარგო. ერთად ატირდნენ. ბიჭს საკუთარი თავისა რცხვენოდა, გატარებული ღამის მოგონება გულს ურევდა. თავი მიწასთან გასწორებულად მიაჩნდა; უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ანტუანეტამ არ დაანება, პირზე ხელი ააფარა; ბიჭმა ხელები დაუკოცნა. მეტი არაფერი უთქვამთ. ერთმანეთს გაუგეს. ოლივიემ თავს შეჰფიცა, ისეთი გავხდები, როგორადაც ჩემს დას სურს მიხილოსო. მაგრამ ანტუანეტას ასე მალე არ უშუშდებოდა წყლული; თანდათანობით გამოდიოდა მდგომარეობიდან. დას კვლავინდებურად ძალიან უყვარდა ძმა, მაგრამ მის სულში რაღაც ისეთი დაიბადა, რაც ანტუანეტასთვის უცხო იყო და რისიც ეშინოდა.

ანტუანეტას განსაკუთრებით აღელვებდა ის, რასაც ოლივიეს გულში ამჩნევდა, რადგან თავადაც იტანჯებოდა მამაკაცების დევნის გამო. საღამოობით, შებინდებისას, შინ რომ ბრუნდებოდა, მითუმეტეს, თუ ნასადილევს უხდებოდა გასვლა რაიმეს მოსატანად ან გადაწერილი სამუშაოს დასაბრუნებლად, აუტანელი ნაღველი შემოაწვებოდა გულზე, თუ ვინმე აედევნებოდა, კუდში გაჰყვებოდა და მის ბინძურ წინადადებებს თუ მოისმენდა. ყოველთვის, როცა ძმის წაყვანა შეეძლო, თან მიჰყავდა, იმ საბაბით, რომ ცოტა გაესეირნებინა. ოლივიე მაინცდამაინც ხალისით არ თანხმდებოდა და გოგონაც დაჟინებას ვერ ბედავდა. არ უნდოდა მუშაობაში ხელი შეეშალა. მისი უმანკო და პროვინციული სული პარიზულ ადათებს ვერ ეგუებოდა. ღამით პარიზი მისთვის ტყე იყო. სადაც საძაგელი მხეცებისგან დევნილად გრძნობდა თავს. თავშესაფრიდან გასვლისა ეშინოდა. დიდხანს ყოყმანობდა. მუდამ იტანჯებოდა იმის გაფიქრებაზე. იქნებ ჩემი პატარა ოლივიეც იმ კაცებისთანაა, ჩემზე რომ ნადირობენო. საღამოს, შინ დაბრუნებისას, ძმისთვის ხელის ჩამორთმევა და საღამო მშვიდობისას თქმაც კი უჭირდა. ძმას კი ვერ წარმოედგინა, რაზე წუხდა მისი და...

ანტუანეტა ძალიან ლამაზი არ იყო, მაგრამ მეტად ეშხიანი გოგონა გახლდათ და მიხდაუნებურად მზერას იპყრობდა. უბრალოდ, თითქმის მუდამ ძაძებში ჩაცმული, მომცრო ტანის, სუსტი, ნაზი, არასოდეს ხმას არ იღებდა, მდუ-

მარედ გაძვრებოდა ბრბოში, სხვების ყურადღებას გაურბოდა და, პირიქით, თავისი დაღლილი და მშვიდი თვალების ღრმა, მომხიბვლელი გამომეტყველებითა და პატარა, უმანკო ბაგეებით ყურადღებას იქცევდა. რამდენჯერმე შენიშნა კიდეც, რომ მოსწონდათ; ამან შეაკრთო, მაგრამ მაინც ესიამოვნა. ვინ იცის, რამდენ სანდომიან, უმანკო, კეკლუც არსებას მისდაუნებურად აუღელდება მშვიდი სული სხვა სულებთან სასიამოვნო ურთიერთობას რომ შეიგრძნობს. ყოველივე ეს უხერხულ მოძრაობაში, ნაზ მზერაში გამოიხატებოდა, რაც სასიამოვნოც იყო და ამაღელვებელიც. ეს შიში კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა გოგონას. სურვილს აღძრავდა; რაკი ღარიბი გოგონა იყო და მფარველი არ გააჩნდა, არავინ ერიდებოდა და რაც მოეპრიანებოდათ, პირდაპირ ეუბნებოდნენ.

ზოგჯერ იგი მდიდარი ებრაელების, ნათანების სალონში დადიოდა. მათ იგი ერთერთი მეგობრის ოჯახში გაიცვნეს, სადაც ანტუანეტა მასწავლებლობდა. ნათანები დააინტერესა ანტუანეტამ. მიუხედავად სიმორცხვისა და თავდაჭერილობისა, გოგონამ მაინც ვერ შეძლო თავი დაეღწია ერთი თუ ორი წვეულებისაგან. ბატონი ალფრედ ნათანი პარიზში ცნობილი პროფესორი გახლდათ, გამოჩენილი მეცნიერი, საკმაოდ მაღალ წრეს ეკუთვნოდა, მეცნიერება და ფუქსავატობა უცნაურად აღრეულიყო მასში; ეს დამახასიათებელია ებრაული საზოგადოებისათვის. ქალბატონი ნათანი ჰეშმარიტი ქველმოქმედი და უკიდურესად დარბაისელი ქალი იყო. ანტუანეტას ხელგაშლილად, აშკარა სიმპათიითა და გულწრფელად ხვდებოდნენ, თუმცა არა ყოველთვის. ანტუანეტამ ებრაელებს შორის მეტი სიკეთე ჰპოვა, ვიდრე თანამორწმუნეებთან, მათაც ბევრი ნაკლი გააჩნდათ, მაგრამ უდიდესი და უპირველესი ღირსებაც ჰქონდათ. ისინი ცხოვრობენ, ადამიანურნი არიან, არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არაა, ცოცხალი არსებანი აინტერესებთ. მაშინაც, როცა ჰეშმარიტი, მხურვალე სიყვარული აკლიათ, ცნობისმოყვარეობა მაინც შერჩენიათ, რაც აიძულებს თავიანთგან განსხვავებულ ადამიანთა სულები და მეტნაკლებად ღირებული აზრები ეძებონ. ეს ჯერ კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ მათ დასახმარებლად დიდ რამეს აკეთებდნენ, რადგან ერთდროულად სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებთ და თუმცა უარობენ, სხვაზე მეტად ეძლევიან მაღალი წრის პატივმოყვარეობას; ყოველ შემთხვევაში, რაღაცას მაინც აკეთებენ და ეს უკვე დიდი რამაა თანამედროვე აპათიურ საზოგადოებაში. ისინი ყოველგვარი სიცოცხლის წყაროს, ცხოვრების საფუარს წარმოადგენენ. კათოლიკეებთან ანტუანეტა გაყინულ, გულგრილ კედელს შეეჯახა და გრძნობდა იმ ზედაპირული ინტერესების ფასს, რომელსაც ნათანები მის მიმართ იჩენდნენ. ქალბატონი ნათანი მიხვდა, რა თავგანწირულ ცხოვრებასაც ეწეოდა ანტუანეტა. გოგონას ფიზიკურმა და სულიერმა მომხიბვლელობამ გული აუჩვილა. უნდოდა მფარველობა გაეწია მისთვის. შვილები არ ჰყავდა, მაგრამ ახალგაზრდობა უყვარდა და ხშირად უყრიდა თავს საკუთარ სახლში. დაიჟინა, რომ ანტუანეტაც სწვეოდა ხოლმე, მარტოობისთვის თავი დაეღწია და ცოტა გართობილიყო. ადვილად მიხვდა, რომ

ანტუანეტას ველურობა, ნაწილობრივ, სიღარიბით იყო გამოწვეული; მოისურვა მისთვის რამდენიმე ლამაზი კაბა შეეთავაზებინა. გოგონამ უარი განაცხადა, მაგრამ კეთილმა მფარველმა გამონახა საშუალება, ანტუანეტა რამდენიმე პატარა საჩუქრის მიღებაზე დაეთანხმებინა, ანტუანეტას უხაროდა და რცხვენოდა კიდეც. თავს ძალას ატანდა, ცდილობდა იშვიათად ეღლო ქალბატონ ნათანის წვეულებებზე, მაგრამ ახალგაზრდა იყო და ყველაფრის მიუხედავად, მაინც სიამოვნებდა იქ ყოფნა.

ამ შერეულ საზოგადოებაში, სადაც ბევრი ახალგაზრდა იყრიდა თავს, ქალბატონი ნათანის ღარიბი და ლამაზი პროტეჟე მსწრაფლ იქცა ორი თუ სამი თავგასული ყმაწვილკაცის აღტაცების საგნად: რადგან ანტუანეტას მფრთხალი ბუნების დიდი იმედი ჰქონდათ, ამ ყმაწვილკაცებს საკუთარ წარმატებაში ეჭვი არ შეჰპარვიათ. ნიძლავსაც კი დებდნენ.

ერთ დღეს ანტუანეტამ ანონიმური წერილი მიიღო — უფრო ზუსტად, კეთილშობილი ფსევდონიმით ხელმოწერილი უსტარი — სიყვარულს უხსნიდნენ. ჯერ იყო და, პირმოთნე, მგზნებარე სასიყვარულო ბარათები პაემანს უნიშნავდნენ. მერე ეს ბარათები უფრო გაბედულად აღერდნენ, ემუქრებოდნენ, ხოლო ბოლოს ლანძღვითა და ცილისწამებით აივსნენ. ამ წერილებში გოგონას აშიშვლებდნენ. დაწვრილებით განიხილავდნენ მისი სხეულის ღირსებებს და თავიანთი ბინძური გულისთქმით შეურაცხყოფდნენ. ცდილობდნენ ანტუანეტას გულუბრყვილობით ესარგებლათ, თუ პაემანზე არ მოვიდოდა, საჯარო შერცხვენით ემუქრებოდნენ. გულმოკლული გოგონა მწარედ ტიროდა, ეს სიბინძურე თრგუნავდა მის სიამაყეს და გულს უთუთქავდა. არ იცოდა, როგორ დაეღწია თავი ამ მდგომარეობიდან. არ უნდოდა ძმისთვის რამე ეთქვა: იცოდა, ოლივიეს დატანჯავდა და ამით საქმესაც უფრო სერიოზულ სახეს მისცემდა. მეგობრები არ გააჩნდა. პოლიციისთვის მიემართა? სკანდალის შიშით უარს ამბობდა. და მაინც, ამას ბოლო უნდა მოღებოდა. გრძნობდა, ჩუმად ყოფნა არ იკმარებდა თავდასაცავად. არამზადა, ვინც სდევნიდა, თავისას არ დაიშლიდა, და თუ საფრთხეს არ დაინახავდა, არ შეეშვებოდა.

ერთ დღეს ვაემა ულტიმატუმიც კი წაუყენა ანტუანეტას, უბრძანებდა, ხვალ ლუქსემბურგის მუზეუმში მოდიო; ანტუანეტა მივიდა — დიდი ფიქრის შემდეგ დარწმუნდა. მდევნელი ქალბატონ ნათანის ერთ-ერთი სტუმართაგანი უნდა ყოფილიყო. წერილის რამდენიმე სიტყვა გადაკვრით მოაგონებდა იმ ფაქტს, რომელიც მხოლოდ ნათანების ბინაზე შეიძლება მომხდარიყო. მან სთხოვა ქალბატონ ნათანს, გაეწია მისთვის დიდი სამსახური — ეტლით წაჰყოლოდა მუზეუმის კარამდე და ცოტა ხანს იქ დალოდებოდა. ანტუანეტა მუზეუმში შევიდა. დათქმულ სურათთან შანტაჟისტი მიუახლოვდა და გადაჭარბებული ლაზიანობით დაუწყო ლაპარაკი. ქალი მდუმარედ მიაშტერდა. როცა კაცმა სათქმელი დაამთავრა, ხუმრობით ჰკითხა, ასე რატომ მათვალიერებთო. ქალმა მიუგო — ლაჩარს ვუმზერო.

ვაჟი ასე პატარა რამემ არ შეაცბუნა, თავისუფლად ეჭირა თავი. ქალმა უთხრა:

— გსურდათ სკანდალით დამმუქრებოდით? ახლა მე შემოგთავაზებთ სკანდალს, გინდათ?

მთელი ტანით კანკალებდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა; ჩანდა, ირგვლივ მყოფთა ყურადღების მიქცევა სურდა. მათ ირგვლივ სეირის მოყვარულებმა მოიყარეს თავი. კაცმა იგრძნო, რომ ანტუანეტა არაფერს მოერიდებოდა, უკან არ დაიხევდა. ხმას დაუწია. ანტუანეტამ უკანასკნელად მიახალა — ლაჩარი ბრძანდებითო და ზურგი შეაქცია.

კაცს არ უნდოდა დამარცხებული დარჩენილიყო და უკან გაჰყვა. ანტუანეტა მუზეუმიდან გავიდა; კაცი ფეხდაფეხ მისდევდა. გოგონა პირდაპირ იმ ეტლისაკენ გაეშურა, რომელშიც ქალბატონი ნათანი იჯდა და ელოდა. უცებ კარი გამოაღო და მისი მდევარი და ქალბატონი ნათანი პირისპირ აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, ქალბატონმა ნათანმა ვაჟი იცნო, მიესალმა და დაუძახა კიდეც. ვაჟი დაიბნა და მოკურცხლა.

თუმცა არ უნდოდა, ანტუანეტა იძულებული იყო უკიდურესი თავშეკავებით მოეთხრო თანამგზავრისთვის თავისი ამბავი. უმძიმდა, უცხო ადამიანისთვის გაენდო იდუმალი ტანჯვა. ქალბატონმა ნათანმა უსაყვედურა — რატომ ადრე არ გამაფრთხილეო. ანტუანეტა შეევედრა, არავისთან არაფერი დაგცდეთო. ეს ამბავი ამით დამთავრდა. ანტუანეტას მეგობარს არც კი დასჭირვებია თავისი სალონის კარი მიეხურა იმ ვაჟისათვის: იგი აღარ გამოჩენილა.

დაახლოებით იმავე დროს, ანტუანეტას სულ სხვა დარდიც აწუხებდა.

ერთი ძალზე პატიოსანი, ორმოციოდე წლის კაცი, რომელსაც შორეულ აღმოსავლეთში კონსულის პოსტი ეკავა და შვებულების რამდენიმე თვეს საფრანგეთში ატარებდა, ნათანებთან ანტუანეტას შეხვდა. მას ყმაწვილი ქალი შეუყვარდა. ქალბატონ ნათანს გადაწყვეტილი ჰქონდა უეჭველად გაეთხოვებინა თავისი პატარა მეგობარი. მან ისე მოაწყო მათი შეხვედრა, რომ ანტუანეტას არაფერი სცოდნოდა. კაცი ებრაელი გახლდათ. მაინცდამაინც ლამაზი არ ეთქმოდა. ცოტა მელოტი და წელში მოხრილი იყო. მაგრამ კეთილი თვალები და მოსიყვარულე გული ჰქონდა. მანერებსა და ქცევასაც ვერ დაუწუნებდით. ტანჯვა უცხო არ იყო მისთვის და სხვისი სატანჯველის გაზიარებაც იცოდა. ანტუანეტაც აღარ იყო კვლავინდებურად პატარა, რომანტიკული გოგონა, რომელიც ცხოვრებაზე ისე ოცნებობდა, როგორც ერთ მშვენიერ დღეს შეყვარებულთან გასეირნებაზე. ცხოვრება ახლა ხელჩართულ ბრძოლად მიაჩნდა, ყოველდღე ხელახლა რომ უნდა დაიწყო, წუთითაც ვერ შეისვენებ იმის შიშით, რომ წლების განმავლობაში მონაპოვარი შესაძლოა ნამცეც-ნამცეც დაკარგო. ხშირად უფიქრია, რა კარგი იქნებოდა მეგობრის მკლავზე დაყრდნობა, ძისთვის დარდის გაზიარება რომ შემეძლოსო. წუთით თვალს თუ მოხუჭავდა, მტკი-

ცედ ეცოდინებოდა, რომ მის მაგივრად მეგობარი იფხიზლებდა. იცოდა, ეს მხოლოდ ოცნება იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვაქკაცობა არ ჰყოფნიდა ამ ოცნებაზე უარის სათქმელად. გულის სიღრმეში კარგად იცოდა, უმზითვო ქალიშვილს არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობდა. მთელმა მსოფლიომ უწყოდა, რა ბილწი და ანგარებიანი იყო ძველი ფრანგული ბურჟუაზიის ქორწინება. ებრაელები ასე საძაგლად როდი არიან დახარბებული ფულს. მათ შორის არცთუ იშვიათად შეხვდებით მდიდარ ყმაწვილკაცს, ღარიბი გოგონა რომ ამოერჩიოს, ანდა ისეთ ქალიშვილს, ქონება რომ არ აკლია და გატაცებით ეძებს ჭკვიან კაცს. მაგრამ კათოლიკე და პროვინციელი ფრანგი ბურჟუების ქისა ქისას ეძებს, ნეტავ რა თავში იხლიან ამდენ სიმდიდრეს ეს უბედურნი? მათთვის უცხოა ამაღლებული კაცის მოთხოვნილებები. მხოლოდ ჭამა, მთქნარება, ძილი და მომჭირნეობა იციან. ანტუანეტა კარგად იცნობდა მათ. ბავშვობიდან მრავლად უნახავს; სიმდიდრისა და სიღარიბის თვალით განუჭვრეტია ისინი. ილუზიები აღარ გააჩნდა, აღარც რამეს მოელოდა მათგან სასიკეთოს. ამგვარად, მოქმედება კაცისა, რომელმაც ხელი სთხოვა, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო მისთვის. თუმცა თავიდანვე არ ჰყვარებია, თანდათანობით მისდამი მადლიერებისა და სინაზის გრძნობით განიმსჭვალა. წინადადებასაც დასთანხმდებოდა, იმ კაცთან ერთად კოლონიაში გამგზავრება და ძმის მიტოვება რომ არ ყოფილიყო საჭირო. ამიტომ უარი თქვა. კაცმა კი, თუმცა ჩინებულად გაიგო ამ მოსაზრებათა კეთილშობილება, მაინც არ აპატია: სიყვარულის ეგოიზმი ვერ ითმენს, ყველაფერი თუ არ შეიწირა, თვით სათნოებაც კი, საყვარელი არსების ყველაზე ძვირფასი განძი. კაცი აღარ ხვდებოდა ანტუანეტას. გამგზავრების შემდეგ აღარც წერილი მოუწერია; ანტუანეტამ მისი ასავალ-დასავალისა არაფერი იცოდა, სანამ ერთ დღეს, ხუთი თუ ექვსი თვის შემდეგ, ოფიციალურმა წერილმა, რომელზედაც მისამართი მისი ხელით ეწერა, არ მოიტანა ამბავი, რომ სხვა ქალი შეერთო.

ეს ანტუანეტასათვის დიდი მწუხარება იყო. კიდევ ერთხელ დაზაფრულმა ტანჯვა ღმერთს გაანდო. თავს ჩასძახოდა, იმიტომ ვიტანჯები, რომ წუთით დავივიწყე ჩემი ერთადერთი მიზანი, ძმისთვის თავგანწირვაო. და გადაწყვიტა, კვლავ ძმისთვის დაედო თავი.

სავსებით მოწყდა ამ ქვეყანას. ნათანებთანაც აღარ დადიოდა. ისინი ნაწყენები იყვნენ, ბედნიერება კარზე მივაყენეთ და ხელი გვიკრაო. ანტუანეტამ რომ მოიდო, არც ის მიზეზი მიაჩნდათ მიზეზად. ქალბატონ ნათანს, რომელმაც წინდაწინვე დაასკვნა, ეს ქორწინება აუცილებლად უნდა მოხდეს და კარგი საქმეაო, პატივმოყვარეობა შელახვოდა, საქმე ანტუანეტას გამო რომ ჩაიშალა. ქალიშვილის სინდისიერება მეტად საპატიოდ, მაგრამ გადაჭარბებულ მგრძნობელობად მიაჩნდა, დღითიდღე უნელდებოდა ინტერესი ამ პატარა ჭუკის მიმართ. მოთხოვნილებად ქცეოდა სიკეთე მოეტანა ხალხისათვის, იმას აღარ დაგიდევდათ, თვით მოყვასს სურდა ეს თუ არა. ცოტა ხნის შემდეგ ახალი პრო-

ტეჟი შეიგულა, რომელმაც მთლად შთანთქა ქალბატონ ნათანის ინტერესები და ყურადღება.

ოლივიემ არ იცოდა, რა ნაღველი უტრიალებდა დას გულში. სანტიმენტალური და ქარაფშუტა ბიჭი იყო. მაინცდამაინც მის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა, თუმცა გამჭრიახი და მომხიბვლელი გონებისა და ანტუანეტასავით უზომოდ კეთილი გულის პატრონი გახლდათ. შეეძლო მჭმუნვარებას, უქნარობას, ლამაზმანების სიყვარულს გადაჰყოლოდა და თვეების ნაშრომი წყალში ჩაეყარა. შეეძლო შეჰყვარებოდა გზად შემხვედრი ლამაზმანები, პატარა კეკლუცი გოგონები, რომლებსაც ოდესღაც სალონში გამოლაპარაკებოდა და რომლებიც ბიჭს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ადვილად იტაცებდა წიგნი, ლექსი, მუსიკა; თვეობით მათ ულოლიავებდა, სხვას ყველაფერს ივიწყებდა და მეცადინეობაში ხელი ეშლებოდა. მუდმივი თვალყურის დევნება სჭირდებოდა. თანაც, ძალზე ფრთხილი, მას არაფერი რომ არ შეემჩნია და გული არ სტკენოდა. ოლივიესაგან მუდამ იყო მოსალოდნელი განუსჯელი საქციელი. ხან მეტისმეტად აღიგზნებოდა და წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა, ხან მოუსვენრად თრთოდა, რაც ასე ხშირად ემართებათ ჭლექით დაავადებულთ. ექიმმა ანტუანეტას ეს საფრთხე არ დაუმალა. პროვინციიდან პარიზს გადმორგულ ავადმყოფ მცენარეს სუფთა ჰაერი და სინათლე სჭირდებოდა: ანტუანეტას უჭირდა, სახსარი და საშუალება არ ჰქონდა. იმდენი ფული არ გააჩნდათ, რომ არდადეგების დროს პარიზს გასცლოდნენ. წლის დანარჩენ დროსაც მთელი კვირა თავ-თავიანთ საქმით იყვნენ დაკავებულნი. კვირაობით კი გასავათებულთ გარეთ გამოსვლის სურვილიც არ ექნებოდათ, კონცერტზე რომ არ ყოფილიყვნენ წასასვლელნი.

ზოგჯერ, ზაფხულის კვირა დღეს ანტუანეტა თავს ძალას ატანდა და ოლივიე ქალაქგარეთ ტყეში მიჰყავდა შავილისა თუ სენ-კლუს[1] მხარეს. ტყეები სავსე იყო მოხმაურე წყვილებით, კაფე-რესტორნებიდან მომავალი სიმღერებით, გაქონილი ქაღალდებით. ეს ის საუცხოო სიმარტოვე არ გახლდათ, კაცს რომ მოასვენებს და განწმენდს. საღამოს — დაბალი, ვიწრო და ბნელი, სულისშემხუთავი საძაგელი ვაგონებით, სადაც ერთმანეთში ირეოდა ხმაური, სიცილი, სიმღერა, მოურიდებელი ლაპარაკი, მყრალი სუნი და თამბაქოს კვამლი, პარიზისკენ მიგრუხუნებდნენ. და-ძმას კი სულ სხვა, ამაღლებული სული ედგათ და შინ ხალისწართმეულნი, დატანჯულნი ბრუნდებოდნენ. ოლივიე დას ეევდრებოდა, სასეირნოდ ნუღარ წავალთო; სასეირნოდ არც ანტუანეტას მიუწევდა გული, მაგრამ ამ ექსკურსიებს მაინც არ თმობდა, თუმცა თვითონ უფრო ნაკლებ სიამოვნებდა, ვიდრე ოლივიეს. ფიქრობდა, ამგვარი გასეირნება ბიჭის ჯანმრთელობისთვის აუცილებელიაო და ძმასაც აიძულებდა ქალაქგარეთ გასვლას. ყოველივე მეორდებოდა და ოლივიე მწარედ საყვედურობდა დას. მაშინ ისინი ჩა-

[1] შავილი, სენ-კლუ — საგარაკო ადგილებია პარიზის მახლობლად.

ხუთულ ქალაქში რჩებოდნენ და ციხის მსგავს ეზოში გამომწყვდეულნი მინდვრებზე ნაღვლობდნენ.

დადგა სწავლის დასრულების წელი. ნორმალურ სასწავლებელში გამოცდების ჩაბარების დროც მოსულიყო. ანტუანეტას ქანცი გასწყვეტოდა. წარმატების იმედს მაინც არ კარგავდა. ოლივიეს საამისოდ ყველაფერი ხელს უწყობდა, ლიცეიში საუკეთესო კანდიდატად სთვლიდნენ. ყველა მასწავლებელი აქებდა პიეის მუშაობასა და მონაცემებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გონებაგაფანტულობას, რის გამოც მეტად უძნელდებოდა რაიმე გეგმას დამორჩილებოდა. მაგრამ დაკისრებული პასუხისმგებლობა იმდენად აბეჩავებდა, რომ, რაც უფრო ახლოვდებოდა გამოცდები, მით უფრო ერთმეოდა ძალ-ღონე. უკიდურესი დაღლილობა, ჩაჭრის შიში, ავადმყოფური მორცხვობა წინდაწინვე დამბლას სცემდა. იმის გაფიქრებაზეც კი აკრეოლებდა, საჯაროდ რომ უნდა წარმდგარიყო გამომცდელების წინაშე. სიმორცხვე ტანჯავდა. კლასში, როცა რაიმე უნდა მოეთხრო, ალმური ედებოდა, ყელი უშრებოდა. თავდაპირველად, თავისი ფვარის ამოკითხვისას პასუხს თუ გასცემდა, ესეც დიდი ამბავი იყო. გაცილებით ეიოლებოდა მოულოდნელ გაძახებაზე პასუხი, ვიდრე მაშინ, თუ წინასწარ იცოდა, რომ გამოჰკითხავდნენ. ასეთ შემთხვევაში ცუდად ხდებოდა, მაგრამ მისი გონება მუშაობას არ წყვეტდა, ყველა დეტალი, რაც კი შეიძლება თავს გადახდენოდა, ნათლად ედგა თვალწინ; რაც უფრო დიდხანს ელოდა, მით უფრო იტანჯებოდა. შეიძლება ითქვას, არ ყოფილა გამოცდა, რომ ორჯერ არ ჩაებარებინოს, რადგან გამოცდის წინა ღამეებში სიზმარშიაც გამოცდას აბარებდა, მთელ ენერგიას ამას ალევდა ხოლმე და მერე ნამდვილი გამოცდის ჩასაბარებლად ძალა აღარ ჰყოფნიდა.

მაგრამ იმ საშინელ ზეპირ გამოცდამდე, რომელზე ფიქრიც კი ცივ ოფლს ასხამდა, აღარ მიუღწევია. წერაზე, ფილოსოფიურ თხზულებაში, რომელიც სხვა დროს უეჭველად გაიტაცებდა, ექვსი საათის განმავლობაში ორი გვერდიც ვერ დაწერა. პირველი საათების განმავლობაში თავში არაფერი მოსდიოდა; არაფერზე, არაფერზე ფიქრობდა. თვალწინ რაღაც შავი კედელი აღმართულიყო, რომელსაც უნდა შესჯახებოდა. წერის დამთავრებამდე ერთი საათით ადრე კედელი გაიპო და ბზარში ნათელი სხივი გამოკრთა. მაშინ რამდენიმე ბრწყინვალე, მაგრამ ნიშნის მისაღებად არასაკმარისი სტრიქონი ჩააწიკწიკა; ნაღვლიანი გამოვიდა გამოცდიდან. ანტუანეტა მაშინვე მიხვდა, ოლივიეს მარცხი მოსვლიაო და შეწუხდა, თუმცა არაფერი გამოუმჟღავნებია; სასოწარკვეთის წუთებშიც კი შეეძლო შეურყეველი იმედი ჰქონოდა.

ოლივიე ჩაიჭრა.

იგი თავზარდაცემული იყო. ანტუანეტა კი, თითქოს დიდი არაფერი მომხდარაო, გაღიმებას ცდილობდა, მაგრამ ტუჩები უკანკალებდა. ძმა დაამშვიდა, უთხრა, ეს ადვილი გამოსასწორებელი მარცხია, მომავალ წელს ერთერთ

პირველთაგანს მიგიღებენო. კრინტიც არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ რაოდენ ესაჭიროებოდა, რომ ძმა წელს ჩარიცხულიყო, როგორ ეწამა სულითა და ხორცით, როგორ ეშინოდა მომავალი წელიც ამ წელს არ დამსგავსებოდა. და მაინც ასე მოხდა. ანტუანეტა რომ ოლივიეს მოწყობამდე მომკვდარიყო, ბიჭს მხნეობა არ ეყოფოდა, მარტოს გაეგრძელებინა ბრძოლა. ცხოვრება შთანთქავდა.

ანტუანეტამ ძმას დაღლილობა დაუმალა. ძალა გაიორკეცა, წელებზე ფეხს იდგამდა, არდადეგების დროს ძმას გასართობს არ აკლებდა, სასწავლო წლის დაწყებისას მეტი ენერგიით შეუდგებაო შრომას. მცირე დანაზოგი ხელში შემოადნა, გარდა ამისა ყველაზე მეტად შემოსავლიანი გაკვეთილები დაკარგა.

კიდევ ერთი წელი! გადამწყვეტ გამოცდას და-ძმა უკიდურესად დაეძაბა. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ეცოცხლათ და არსებობის სხვა საშუალება გამოენახათ. ანტუანეტა დათანხმდა აღმზრდელად ემუშავა გერმანიაში. ეს ადგილიც ნათანების წყალობით იშოვა. სხვა გზა არცა ჰქონდა. მოცდაც არ შეეძლო. ექვსი წლის განმავლობაში ძმა არასოდეს, ერთი დღითაც არ მიუტოვებია, ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა ისე, რომ ძმა არ ენახა და მისი ხმა არ გაეგონა. ოლივიესაც თავზარი დაეცა. მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ბედავდა: თავად იყო ამ გაჭირვების მიზეზი. სასწავლებელში რომ მიეღოთ, ანტუანეტა ამ უკიდურესობამდე არ მივიდოდა. ბიჭს წინააღმდეგობის, მწუხარების გამომჟღავნების უფლება არ ჰქონდა. ანტუანეტას თვითონ უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი.

ანტუანეტას გამგზავრებამდე დარჩენილი დღეები უსიტყვო ნაღველმა მოიცვა, თითქოს ერთერთი მათგანი უნდა მომკვდარიყო. როცა დარდი მოეძალებოდათ, ერთმანეთს გაურბოდნენ. ანტუანეტა ოლივიეს თვალებში ეძებდა რჩევას. ბიჭს რომ ეთქვა არ წახვიდეო, არ წავიდოდა, თუმცა გამგზავრება აუცილებელი იყო. უკანასკნელ საათამდე, ეტლში მჯდომიც კი, როცა აღმოსავლეთის სადგურისაკენ მიჰქროდნენ, მზად იყო უარი ეთქვა საკუთარ გადაწყვეტილებაზე: ღონე არ ჰყოფნიდა აღსრულებისათვის. ძმის ერთი, მხოლოდ ერთი სიტყვა კმაროდა!... მაგრამ ოლივიე ჩუმად იყო. ისიც თავს იკავებდა. ანტუანეტამ პირობა ჩამოართვა, ყოველდღე მომწერე, არაფერი დამიმალო და თუ რამე ავი შეგემთხვეს, დაუყოვნებლივ გამომიხმეო.

ანტუანეტა გაემგზავრა. იმ დროს, როცა გულგაყინული ოლივიე ლიცეის საძინებელ ოთახში ბრუნდებოდა, სადაც სრულ პანსიონზე მიიღეს, ნაღვლიან და გათოშილ ანტუანეტას მატარებელი მიაქროლებდა. ორივე გრძნობდა, როგორ აშორებდათ ყოველი წუთი, უხმოდ ეძახდნენ ერთმანეთს.

ანტუანეტას აშინებდა ის სამყარო, სადაც მიდიოდა. ექვსი წლის განმავლობაში ძალზე შეიცვალა. ოდესღაც გაბედული გოგონა, არაფერს რომ არ

ერიდებოდა, ისე შეეჩვია სიჩუმესა და სიმარტოვეს, მისთვის ნამდვილი წამება იყო ამ მდგომარეობის დათმობა. მოცინარი, მოქაქანე და მხიარული ანტუანეტა გარდასული ბედნიერების დღეებთან ერთად მოკვდა. უბედურებამ მთლად გააველურა. ალბათ ოლივიეს გვერდით ცხოვრებამ მასაც გადასდო ძმის სიმორცხვე. გარდა ძმისა, ყველასთან უჭირდა ლაპარაკი. ყველაფერი აფრთხობდა, სტუმრად წასვლა აშინებდა. ნერვიული კაეშანი იპყრობდა იმის გაფიქრებაზე, რომ უცხო ხალხთან უნდა ეცხოვრა, ესაუბრა, მუდამ უცხოთა თვალწინ ეტრიალა. ოლივიესი არ იყოს, არც მას გააჩნდა მასწავლებლობის მოწოდება. მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა, მაგრამ არ სწამდა და არც შეიძლებოდა შვება ეგრძნო საკუთარი შრომის საჭიროების შეგრძნებით. იგი სასიყვარულოდ იყო შექმნილი და არა სამასწავლებლოდ, მაგრამ მისი სიყვარულით თავს არავინ იწუხებდა.

სიყვარულისათვის ისე ზედმეტი არსად ყოფილა ანტუანეტა, როგორც ახალ ადგილზე, გერმანიაში. გრუნბაუმები, რომელთა ბავშვებისთვისაც მას ფრანგული უნდა ესწავლებინა, არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ მასწავლებლის მიმართ. ქედმაღალნი და ფამილარულნი, გულგრილნი და მოურიდებელნი იყვნენ. ფულს კი საკმაოდ კარგად უხდიდნენ. სამაგიეროდ ისე უყურებდნენ, როგორც მეკალეს და ფიქრობდნენ, მის მიმართ ყველაფრის უფლება გვაქვსო. განსწავლულ მოსამსახურესავით ეპყრობოდნენ. ნაბიჯებს უთვლიდნენ. თავისი ოთახიც კი არ გააჩნდა. ბავშვების ოთახის მომიჯნავე პატარა ოთახში ეძინა, რომლის კარი ღამითაც არ იკეტებოდა. არასოდეს მარტო არ რჩებოდა. ვერ ხვდებოდნენ, რომ დროდადრო საკუთარ თავთან განმარტოება სჭირდებოდა. არაფრად მიაჩნდათ შინაგანი მარტოობის წმინდა უფლება, ყველა არსებას რომ გააჩნია. მთელი მისი ბედნიერება ის იყო, რომ გონებით ძმასთან ყოფილიყო, მასთან ესაუბრა; საამისოდ თავისუფალ წამებს იყენებდა. მაგრამ ხელს უშლიდნენ. როგორც კი წერილის დასაწერად დაჯდებოდა, ოთახში მის ირგვლივ წრიალს იწყებდნენ, ეკითხებოდნენ, რას წერო. როცა წერილს კითხულობდა, აინტერესებდათ, რა სწერიაო. დამცინავი ფამილარობით ეკითხებოდნენ. „ძამიკოზე“. ზოგჯერ იძულებული იყო, წერილი დაემალა. მოსაყოლადაც კი უხერხულია, რა ღონეს არ მიმართავდა, საკუჭნაოში იკეტებოდა, ოლივიეს წერილები სხვების თვალწინ რომ არ წაეკითხა. წერილი ოთახში რომ დარჩენოდა, დარწმუნებული იყო, წაიკითხავდნენ; რადგან ჩემოდნის გარდა არავითარი ავეჯი არ გააჩნდა, რომელიც იკეტებოდა, იძულებული იყო, თან ეტარებინა ყველა ქაღალდი, რომლებიც არ უნდოდა წაეკითხათ. გამუდმებით იქექებოდნენ მის ნივთებსა და გულში, ცდილობდნენ იდუმალ ფიქრებშიაც შეეჭრილიყვნენ. იმიტომ კი არა, რომ ეს აინტერესებდათ, იმიტომ, რომ ასე მიაჩნდათ, რაკი ფულს ვუხდით, მისი სულიც ჩვენ გვეკუთვნისო. სხვათა შორის, ამას ბოროტი განზრახვის გარეშე აკეთებდნენ: უტაქტობა ბუნებით მოსდგამდათ და ამისა არც რცხვენოდათ.

ანტუანეტასთვის თავის დღეში არაფერი ყოფილა ისე აუტანელი, როგორც ეს ჯაშუშობა, მორალური მოუკრძალებლობა, დღეში ერთი საათითაც რომ არ აძლევდა საშუალებას მოურიდებელ მზერას დამალვოდა. ქალიშვილის ქედმაღლური თავშეკავებულობა გრუნბაუმებს შეურაცხყოფდა. ბუნებრივია, ისინი მაღალ მორალურ მიზეზებს პოულობდნენ, რათა დაესაბუთებინათ თავიანთი უხეში ცნობისმოყვარეობა და დაეძრახათ ანტუანეტას პრეტენზია, დამალვოდა უცხო თვალს. ფიქრობდნენ, „ჩვენი ვალია ვიცნობდეთ ინტიმურ ცხოვრებას ქალიშვილისა, რომელიც ჩვენთან ცხოვრობს და ჩვენი ოჯახის ნაწილს შეადგენს, რომელსაც ბავშვების აღზრდა ვანდეთ, ჩვენ მასზე პასუხისმგებლები ვართო“ — (ასე ამბობს თავის მოსამსახურეებზე ბევრი დიასახლისი, ვინც თავის მოვალეობად მიიჩნევს, წაართვას ამ უბედურთ ყოველგვარი სიამოვნება და იმას სულაც არ დაგიდევთ, დაიღლებიან, თუ ისეთ საქმეს გააკეთებენ, რაც სულაც არ ეამებათ) — „რადგან ანტუანეტას არ სურს აღიაროს ასეთი მოვალეობა, ასკვნიდნენ ისინი, ალბათ თავი უზადოდ არ მიაჩნია. პატიოსან ქალიშვილს რა აქვს დასამალიო“.

ასე დაიწყეს ანტუანეტას მუდმივი დევნა; ქალიშვილიც სულ იმის ცდაში იყო, როგორმე თავი დაეცვა და ეს კიდევ უფრო ცივსა და გულჩათხრობილს აჩენდა, ვიდრე ჩვეულებრივ იყო.

ძმა ყოველდღიურად სწერდა თორმეტგვერდიან წერილებს. ისიც ახერხებდა ყოველდღიურად, თუნდაც ორი-სამი ბწკარით ეპასუხა. ოლივიე ცდილობდა ყოჩაღად ყოფილიყო და საკუთარი ნაღველი მეტისმეტად არ გამოეაშკარავებინა. მოწყენილობა კლავდა. მისი ცხოვრება ისე განუყოფლად დაკავშირებოდა დის ცხოვრებას, რომ ახლა, როცა ერთმანეთს მოსწყვიტეს, ეჩვენებოდა, საკუთარი არსების ნახევარი დავკარგეო. ვერ მოესაზრებინა რა ექნა საკუთარი ხელ-ფეხისათვის, ფიქრებისათვის, როგორ ესეირნა, ოცნებაც მხოლოდ დაზე თუ შეეძლო. სასიკეთო არაფერი გამოუდიოდა ხელიდან: ფიქრით სხვაგან იყო, იტანჯებოდა ან დაზე ფიქრობდა, მის გუშინდელ წერილზე; საათს მიშტერებოდა და ახალ წერილს ელოდა. წერილს რომ მოუტანდნენ, სიხარულისა და შიშისაგან აცახცახებული თითებით ხსნიდა კონვერტს — არასოდეს, არავის ხელები შეყვარებულის წერილს ესოდენი სინაზითა და მღელვარებით არ აუცახცახებია. წერილი რომ წაეკითხა, ისიც ანტუანეტასავით იმალებოდა, ყველა წერილს უბით ატარებდა. ახლადმიღებულ ბარათს ღამით ბალიშის ქვეშ ამოიდებდა ხოლმე, დროდადრო ხელსაც შეავლებდა უძილო ღამეებში, თავის დაიკოზე ოცნებისას, უნდოდა დარწმუნებულიყო, კვლავ ჩემთანაა. რა შორს იყო დისგან! განსაკუთრებით, წერილის დაგვიანება ტანჯავდა, როცა ანტუანეტას გამოგზავნილი ბარათი მასთან მხოლოდ ორი დღის შემდეგ აღწევდა ხოლმე. მთელი ორი დღე და ღამე აშორებდა მათ!.. იგი დროსა და მანძილს აზვიადებდა, მითუმეტეს, რომ არასოდეს ემოგზაურა. მისი წარმოდგენა მსწრაფლ ამუშავდებოდა ხოლმე: „ღმერთო ჩემო! ავად რომ იყოს! ვაითუ ისე

მოკვდეს, მისი ნახვაც ვერ მოვასწრო!... რატომ მომწერა გუშინ მხოლოდ რამდენიმე ბწკარი?... ავად ხომ არ არის... ჰო, ნამდვილად ავად იქნება...“ სუნთქვა ეკვროდა — უფრო ხშირად კი შიში იპყრობდა, დისგან მოშორებით მოვკვდებიო, მარტო, ამ უსულგულო ხალხში, ამ საძაგელ ლიცეუმში, ამ სევდიან პარიზში. ეს ფიქრი ავად ხდიდა... „იქნებ მივწერო, ჩამოვიდეს?...“ მაგრამ საკუთარი სილაჩრისგან წითლდებოდა. სხვათა შორის, იმხელა ბედნიერება იყო დასთან ბაასი, რომ, როცა წერილს მისწერდა, წამით საკუთარი ტანჯვა ავიწყდებოდა. ეჩვენებოდა, დას ვხედავ, მისი ხმა მესმისო. ყველაფერს უყვებოდა; ერთად რომ იყვნენ, არასოდეს ასე გულახდილად, ასე გატაცებით არ უსაუბრია მასთან; უხმობდა დას — „ჩემო ერთგულო, ჩემო ყოჩაღო, ძვირფასო, საყვარელო დაიკო, როგორ მიყვარხარო“. მისი წერილები ნამდვილი სასიყვარულო ბარათები იყო.

ისინი ანტუანეტას გულს თავიანთი სინაზით ესალბუნებოდნენ. წერილები გოგონას ცხოვრების ერთადერთი სუფთა ჰაერი იყო. როცა დილით, ჩვეულებრივ დროს, წერილი არ მოდიოდა, თავს უბედურად გრძნობდა. ორ-სამჯერ ისე მოხდა, რომ გრუნბაუმებს გულგრილობისა თუ, ვინ იცის, იქნებ ბოროტი ხუმრობის მიზნით, საღამომდე, ერთხელ კი მეორე დილამდეც, დაავიწყდათ მისთვის წერილი გადაეცათ; გოგონას სიცხემ აუწია. ახალ წელს, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ორივეს ერთმა აზრმა გაუელვა; ერთმანეთს სიურპრიზად გრძელი დეპეშები გაუგზავნეს (ეს საკმაოდ ძვირი ჯდებოდა), რაც ორივემ ერთსა და იმავე დროს მიიღო. ოლივიე ანტუანეტას კვლავ სთხოვდა რჩევას თავისი საქმიანობის შესახებ; ანტუანეტა რჩევას აძლევდა, მხარში უდგა, საკუთარ ძალას შთაბერავდა.

თავადაც უკვე ძალა ელეოდა. სული ეხუთებოდა ამ უცხო მხარეში, სადაც არავის იცნობდა, არავის აინტერესებდა, გარდა ერთი მასწავლებლის ცოლისა, რომელიც ცოტა ხნის წინ დასახლებულიყო ამ ქალაქში და მასავით უცხოდ გრძნობდა თავს. კეთილი ქალი დედობრივად და თანაგრძნობით ეკიდებოდა ორი მოყვარული და ერთმანეთს დაშორებული ბავშვების დარდს (მან ანტუანეტას ნაწილ-ნაწილ ათქმევინა თავისი თავგადასავალი); მაგრამ ეს ქალი ისეთი ხმაურიანი და უხეში იყო, ისე აკლდა ტაქტი და თავდაჭერა, რომ ანტუანეტას არისტოკრატული პატარა სული დამფრთხალი გაურბოდა მას. ყმაწვილი ქალი ვერავის განდობოდა. ყოველგვარ საზრუნავს საკუთარ გულში ატარებდა. ეს საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო. დროდადრო ეგონა დავეცემიო, მაგრამ ტუჩებს კუმავდა და კვლავ გზას განაგრძობდა. ჯანმრთელობა შეერყა: თანდათან ხდებოდა და ილეოდა. ძმა სულ უფრო და უფრო სასოწარკვეთილ წერილებს იწერებოდა. სულიერი კრიზისის დროს „დაბრუნდი, დაბრუნდი, დაბრუნდიო“, სწერდა.

მაგრამ რცხვენოდა და როგორც კი წერილს გააგზავნიდა, სასწრაფოდ მეორე წერილსაც მიაყოლებდა, სადაც ევედრებოდა ანტუანეტას, წინა წერი-

ლი დაეხია და მასზე აღარ ეფიქრა. თავს მხიარულადაც კი აჩვენებდა, თითქოს და არც სჭირდებოდა. ავადმყოფურად თავმოყვარეს ეჭვი ტანჯავდა, არ იფიქრონ, უიმისოდ ვერ ვძლებო!

ანტუანეტა არ ტყუვდებოდა, ყველაფერს კარგად ხვდებოდა, მაგრამ არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ერთხელ ის-ის იყო, უნდა გამგზავრებულიყო, სადგურშიც წავიდა, პარიზის მატარებლის გასვლის დრო რომ გაეგო. მერე საკუთარ თავს უმტკიცებდა, ეს სიგიჟე იქნებაო, აქ ნაშოვნი ფული ოლივიეს პანსიონისთვის ესაჭიროებოდა. სანამ ორივეს შეეძლო გაძლება, უნდა გაეძლოთ. ენერგია არ ჰყოფნიდა რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად: დილით მისი ზეულადობა იღვიძებდა, მაგრამ რაც მეტად წვებოდა საღამოს ბინდი, ძალა ეცლებოდა, გაქცევაზე ფიქრობდა. სამშობლოზე დარდი კლავდა — იმ ქვეყნის დარდი, რომელიც მის მიმართ დაუნდობელი და მკაცრი იყო, მაგრამ სადაც მისი წარსულის რელიქვიები იყო დამარხული; ენატრებოდა ენა, რომელზეც მისი ძმა ლაპარაკობდა და თავადაც სიყვარულს გამოხატავდა ძმისადმი.

სწორედ ამ დროს, ამ პატარა გერმანულ ქალაქს ფრანგი მსახიობების დასი ეწვია. თუმცა ანტუანეტა იშვიათად დადიოდა თეატრში (საამისოდ არც დრო ჰქონდა და არც ხალისი), დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო, მოესმინა მშობლიური ენა, თავი კვლავ საფრანგეთში ეგრძნო. დანარჩენი უკვე ვიცით[1], თეატრში ადგილი არ იყო; ახალგაზრდა მუსიკოსს ჟან კრისტოფს შეხვდა; ვაჟი არ იცნობდა, მაგრამ რომ დაინახა შეწუხებული ყმაწვილი ქალი, თავისი ლოჟა შესთავაზა. ანტუანეტა განუსჯელად დათანხმდა. კრისტოფის გვერდით მისმა გამოჩენამ პატარა ქალაქი აალაპარაკა; ამ არაკეთილსასურველმა ხმებმა გრუნბაუმების ყურამდეც მიაღწია. ისინი ისედაც ეჭვის თვალით უყურებდნენ ახალგაზრდა ფრანგ გოგონას, გარდა ამისა, კრისტოფის წინააღმდეგ განწყობილებმა. ახვადასხვა მიზეზთა გამო, რომლებზეც უკვე გიამბეთ, ანტუანეტა უხეშად დაითხოვეს.

ეს უმანკო და მორცხვი სული, მთელი არსებით ძმის სიყვარულს რომ მოეცვა და ბინძური აზრებისაგან იფარავდა მას, კინაღამ სირცხვილით მოკვდა, როცა გაიგო რაში სდებდნენ ბრალს. წუთითაც არ გაბრაზებულა კრისტოფზე. იცოდა, რომ მასავით უდანაშაულო იყო და თუ ავნო, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის კარგის გაკეთება უნდოდა. ანტუანეტა მისი მადლიერი იყო. კრისტოფზე არაფერი იცოდა იმის გარდა, რომ მუსიკოსი იყო და რომ ძალზე უტევდნენ. ყმაწვილი ქალი, მართალია, ცხოვრებას არ იცნობდა, ავ-კარგს ბუნებრივი ალღოთი გრძნობდა, გაჭირვებამ რომ გაუმახვილა; ცუდად აღზრდილ, ცოტა უცნაურ მეზობელში თავისავით ფაქიზი სული და ვაჟკაცური სიკეთე ამოიცნო, რისი მხოლოდ გაგონებაც კი ახარებდა. ცუდს რომ ამბობდნენ, ეს სრულებითაც არ ურყევდა კრისტოფისადმი ნდობას. თავად მსხვერპლს, ეჭვიც არ ეპა-

---

[1] იხ. ჟან-კრისტოფი, II, „ჯანყი". — რ. რ.

რებოდა, რომ ყმაწვილიც იმ ბოროტი ხალხის ტანჯული მსხვერპლი იყო, მას რომ შეურაცხყოფდა; გადაჩვეული იყო საკუთარ თავზე ფიქრს და სხვებზე ფიქრობდა; აზრი, რომ ალბათ კრისტოფიც იტანჯებაო, საკუთარ სატანჯველს უმსუბუქებდა. არაფრის გულისათვის არ შეეცდებოდა ენახა ან მიეწერა მისთვის. სიფრთხილისა და სიამაყის გრძნობა ამას უკრძალავდა. თავს უმტკიცებდა, არ იცის, რა ზიანი მომაყენაო და რაკი გულკეთილი იყო, სურდა კრისტოფს თავის დღეში არაფერი გაეგო ამის შესახებ.

ასე გამოემგზავრა. შემთხვევამ ინება და ერთი საათის მგზავრობის შემდეგ, მატარებელი, რომელიც ანტუანეტას მიაქროლებდა, იმ მატარებელს შეხვდა, რომელსაც კრისტოფი მეზობელი ქალაქიდან მოჰყავდა, სადაც მას ეს დღე გაეტარებინა.

მათი ვაგონები რამდენიმე წუთის განმავლობაში გვერდიგვერდ იდგა. ღამის დუმილში ერთმანეთი დაინახეს; ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ. ბანალური სიტყვების გარდა, რისი თქმა შეეძლოთ? ამით ისინი ურთიერთშებრალებისა და იდუმალი სიმპათიის იმ განუსაზღვრელ გრძნობას წაბილწავდნენ, მათში რომ ჩაისახა და მხოლოდ მათი შინაგანი ხედვის რწმენას ემყარებოდა. ამ უკანასკნელ წუთს, როცა უცნობებმა ერთურთს თვალი შეავლეს, ორივემ ისე დაინახა ერთმანეთი, როგორც არავის, მათ გვერდით მცხოვრებს ისინი არ დაუნახავს. ყველაფერი დავიწყებას ეძლევა: სიტყვები, კოცნა, შეყვარებულ სხეულთა ხვევნა, მაგრამ წარუშლელია კონტაქტი სულთა, რომლებიც შეიყარნენ და ეფემერულ ფორმათა გროვაში ერთმანეთი ამოიცნეს. ანტუანეტამ ეს მოგონება გულის სიღრმეში შემოინახა; ნაღველით სავსე გულის სიღრმეში, საიდანაც მაინც გამოკრთოდა ნათელი სხივი, იმ შუქს რომ მოგვაგონებს, რომელშიაც „ორფეოსის"[1] ელისეს აჩრდილები ბანაობენ.

ანტუანეტამ კვლავ იხილა ძმა. სწორედ რომ დროზე დაბრუნდა. ოლივიე ის-ის იყო, ავად გამხდარიყო და ეს ნერვიული და განაწამები პატარა არსება, ვისაც, თუ და გვერდით არ ჰყავდა, მოგონილი ავადმყოფობა ცახცახს ჰგვრიდა, ახლა, როცა ნამდვილად ავად იყო, არაფერს ატყობინებდა დას, აქაოდა არ შეეშფოთოო. გონებით მხოლოდ მას უხმობდა, მის დაბრუნებას ისე ეევედრებოდა ღმერთს, როგორც სასწაულის მოვლინებას. და როცა სასწაული მოხდა, ლიცეუმის სავადმყოფოში იწვა სიცხიანი და ზმანებებში წასულიყო. ანტუანეტას დანახვაზე ხმა არ ამოუღია. რამდენჯერ მოსჩვენებია, როგორ შემოდიოდა იგი!... პირდაღებული, აკანკალებული ოლივიე ლოგინში წამოჯდა, კვლავ მოჩვენება ეგონა. როცა ანტუანეტა მის მახლობლად ლოგინზე ჩამოჯდა, გაყინული მკლავები მოხვია, მკერდში ჩაიკრა, ტუჩებთან დის ნაზი ლოყა იგრძნო,

---

[1] მხედველობაშია გლიუკის ოპერა „ორფეოსი და ევრიდიკე" (1762), რომელიც ძველი ბერძნული მითის თემაზეა შექმნილი. მომღერალი ორფეოსი საიქიოს ჩავიდა (ბერძნები საიქიოს ელისეს მინდვრებს ეძახდნენ), თავისი ცოლი ევრიდიკე სააქაოს რომ დაებრუნებინა.

ხელებში — მგზავრობით გათოშილი დის ხელები მოხვდა; ბოლოს და ბოლოს, რა დარწმუნდა, ეს ნამდვილად მისი და იყო, მისი პატარა გოგონა, ყმაწვილი ატირდა. სხვა არაფერი შეეძლო: სამუდამოდ ისეთსავე „პატარა დოყლაპიად“ დარჩა, როგორიც ბავშვობაში იყო. გულში იკრავდა დას. ეშინოდა, კვლავ არ დავკარგოო. როგორ შეცვლილან ორივენი! რა ნაღვლიანი სახეები აქვთ! მერე რა! ერთმანეთი ხომ იპოვეს; ყველაფერი გაცისკროვნდა: საავადმყოფო, ლიცეუმი, ღრუბლიანი დღე: დიდხანს ეკვროდნენ ერთმანეთს, მეტად აღარ გავიყაროთო. სანამ ანტუანეტა რამეს იტყოდა, ოლივიემ დააფიცა, რომ აღარ წავიდოდა, ერთმანეთს მოწყვეტილნი მეტად უბედურად გრძნობდნენ თავს. დედა მართალი იყო: განშორებას ყველაფერი სჯობს; დაე, გაჭირვებაში მოვკვდეთ, ოღონდ ერთად ვიყოთო.

საჩქაროდ იქირავეს ბინა; თუმცა ვერაფერი შვილი იყო, მაინც ისევ ძველი ბინის დაქირავება უნდოდათ, მაგრამ უკვე გაექირავებინათ. ახალი ბინაც ეზოში გადიოდა; კედლების თავზე აკაციის კენწერო მოჩანდა. მსწრაფლ თანამემამულესავით მიეჯაჭვნენ მას, მათსავით ქალაქის ქვაფენილის პატიმარს. ოლივიე მალე გამოჯანმრთელდა, ან უკეთ, ის მდგომარეობა დაუბრუნდა, რასაც ისინი ჯანმრთელობას ეძახდნენ (რაც მისთვის ჯანმრთელობა იყო, სხვა, უფრო ძლიერი ადამიანისთვის ავადმყოფობა იქნებოდა). გერმანიაში გატარებულმა სევდიანმა დღეებმა ანტუანეტას ცოტაოდენი სახსარი მაინც გაუჩინა; გარდა ამისა, ერთი გერმანული წიგნის თარგმანმა, რომლის დაბეჭდვაზეც ერთ-ერთი გამომცემელი დასთანხმდა, მისი რესურსები გაზარდა. მატერიალური საზრუნავი დროებით გადაიდო. ყველაფერი კარგად იქნებოდა, წლის ბოლოს ოლივიეს თუ მიიღებდნენ... მაგრამ რომ არ მიეღოთ?

როგორც კი კვლავ შეეჩვივნენ ერთად ყოფნის სიტკბოებას, მომავალი გამოცდის შიშმა მოიცვა ორივე. ცდილობდნენ, ამ თემაზე არ ელაპარაკათ, მაგრამ ამაოდ. კვლავ და კვლავ მას უბრუნდებოდნენ; აკვიატებული აზრი გართობის დროსაც კი არ ასვენებდათ. შუა კონცერტზე უცებ ჩნდებოდა ეს ფიქრი, ღამით უფსკრულივით გადაეშლებოდათ და აღვიძებდათ. მწველ სურვილს, დას შეშველებოდა, იმ გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ, ანტუანეტას საკუთარი ახალგაზრდობის ფასად რომ დაუჯდა, ოლივიეს სამხედრო სამსახურში გაწვევის შიშიც დაემატა. თუ არ ჩაირიცხებოდა, არაფერი უშველიდა (მაშინ, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა სამხედრო სამსახურისგან ათავისუფლებდა ყმაწვილკაცებს). ენით უთქმელ ზიზღს ჰგვრიდა ფიზიკური და სულიერი სივიწროვე, ინტელექტუალური დეგრადაცია, სამართლიანად თუ უსამართლოდ რომ ხდებოდა ყაზარმებში. ყველაფერი უბიწო და არისტოკრატული, რაც კი მასში იყო, ამ ვალდებულების წინააღმდეგ ამხედრებულიყო. გადაჭრით ვერც კი გეტყოდათ, სიკვდილი თუ არ ერჩია იქ მოხვედრას. ეს სწორედ ისეთი გრძნობაა, რომელსაც შეიძლება დასცინო ან დაგმო საზოგადოებრივი მორალის სახელით, რაც დღევანდელი დღის რწმენად ქცეულა. ბრმაა, ვინც ამას უარყოფს.

არაფერია სულიერი მარტოობის ტანჯვაზე უღრმესი, ჩვენი დღეების სულგრძელი და უხეში კავშირი რომ ბღალავს.

დაიწყო გამოცდები. ოლივიემ კინაღამ გამოცდებში მონაწილეობის უფლება დაკარგა. თავს ცუდად გრძნობდა და ისე ეშინოდა მღელვარების, რაც, ჩაირიცხებოდა თუ არა, მაინც ელოდა, რომ თითქმის ისურვა, მართლა ავად გამხდარიყო. ამჯერად წერითი გამოცდა საკმაოდ კარგად ჩააბარა. საშინელი იყო შედეგების ლოდინი. რევოლუციურ ქვეყანაში, ამავე დროს, მსოფლიოში ყველაზე რუტინულიც რომ იყო, არსებული უძველესი ადათების მიხედვით გამოცდები ივლისში, წლის ყველაზე პაპანაქება დღეებში ტარდებოდა. თითქოს სურდათ საბოლოოდ გაენადგურებინათ საბრალო აბიტურიენტები, ისედაც დასუსტებულნი რომ იყვნენ საშინელი პროგრამის მომზადებით, რომლის მეათედი ნაწილიც კი არ იცოდა არც ერთმა გამომცდელმა. თხზულებაში მიღებულ ნიშნებს თოთხმეტი ივლისის ზარ-ზეიმის მეორე დღეს აქვეყნებდნენ, ესოდენ სამძიმო მხიარულება რომ არის მათთვის, ვისაც არ ულხინს და სიჩუმეს ნატრობს. სახლის მომიჯნავე მოედანზე ბაზარი იყო, სადაც შუადღიდან შუაღამემდე ტკაცუნობდა ტირი, ორთქლის კარუსელის ხის ცხენები ჭიხვინებდნენ, არღანი ღრიალებდა. ზარ-ზეიმი ერთ კვირას გაგრძელდა. შემდეგ, რესპუბლიკის ერთ-ერთმა პრეზიდენტმა, საკუთარი პოპულარობა რომ განემტკიცებინა, მოღრიალე ბრბოს კიდევ ნახევარი კვირა დაუმატა. ეს მას არაფრად უღირდა. ბრბოს ხმაური მას არ ესმოდა. ხმაურისგან განაწამებ ოლივიესა და ანტუანეტას ფანჯრები ჩაერაზათ და თავიანთ ოთახებში გამოკეტილიყვნენ. ყურები თითებით დაეცოთ. ამაოდ ცდილობდნენ თავი დაეღწიათ გულის გამაწყალებელი, სულელური რეფრენებისაგან, დილიდან საღამომდე რომ ისმოდა და ჩაქუჩივით სცემდათ თავში. ორივენი სიმწრისაგან იგრიხებოდნენ.

ზეპირი გამოცდა წერის ნიშნების გამოცხადებისთანავე დაიწყო. ოლივიე დას შეეევედრა, გამოცდას ნუ დაესწრებიო. ანტუანეტა კართან ელოდა და ძმაზე მეტად თრთოდა. ოლივიე არ ამბობდა, კმაყოფილი იყო თუ არა თავისი პასუხებით.

საბოლოო შედეგების გამოცხადების დღეც დადგა. მიღებული კანდიდატების სია სორბონის ეზოში გამოაკრეს. ანტუანეტას არ უნდოდა მარტო გაეშვა ოლივიე. სახლიდან რომ გამოვიდნენ, ორივე იმაზე ფიქრობდა, რომ უკან დაბრუნებისას ყველაფერი ეცოდინებოდათ და შესაძლოა, ენატრათ კიდეც შიშით აღსავსე ეს წუთები, როცა იმედის ნაპერწკალი მაინც უელავდათ გულში. სორბონი რომ დაინახეს, მუხლი მოეკვეთათ. ჩვეულებრივ ყოჩაღმა ანტუანეტამ ძმას უთხრა:

— თუ ღმერთი გწამს, ასე ჩქარა ნუ მიდიხარ...

ოლივიემ შეხედა დას, გაღიმებას რომ ცდილობდა და მიუგო:

— მოდი, ცოტა ხნით ამ მერხზე ჩამოვსხდეთ.

არც მას უნდოდა ბოლომდე წასვლა, მაგრამ წამიც არ გასულა, დამ ხელზე ხელი მოუჭირა და უთხრა:

— არა უშავს, ჩემო პატარავ, განვაგრძოთ გზა.

სია მაშინვე ვერ ნახეს. რამდენიმე სია წაიკითხეს, სადაც ჟანენის გვარი არ ეწერა. ბოლოს და ბოლოს, როცა ნახეს, პირველად ვერც კი გაიგეს კარგად, რამდენჯერმე ჩაიკითხეს, ვერ იჯერებდნენ. მერე, რა დარწმუნდნენ, რომ ჟანენი ოლივიე იყო, რომ ჟანენი მიეღოთ, ხმა ვეღარ ამოიღეს, ისე მოკურცხლეს შინისაკენ. ანტუანეტამ ძმას ხელი ჩასჭიდა, ძმა მის ხელს ეყრდნობოდა. თითქმის გარბოდნენ, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდნენ; ბულვარს რომ ჭრიდნენ, კინაღამ ეტლი დაეჯახათ. „ჩემო პატარავ!... ჩემო პატარავ", — ამასღა გაიძახოდნენ.

სულმოუთქმელად აირბინეს თავიანთ სართულზე. შინ რომ დაიგულეს თავი, ერთმანეთს გადაეხვივნენ. ანტუანეტამ ძმას ხელი ჩასჭიდა, მშობლების სურათებთან მიიყვანა, საწოლთან რომ ეკიდა ანტუანეტას ოთახის ერთ კუთხეში და მისთვის წმიდათაწმიდა იყო. სურათების წინ დაიჩოქეს და ჩუმად აქვითინდნენ.

ანტუანეტამ მოისურვა კარგი სადილი შეეკვეთათ, მაგრამ პირიც ვერ დააკარეს! არ შიოდათ. მთელი საღამო ოლივიე ხან ფერხთით, ხან კალთაში უჯდა დას და ისიც პატარა ბავშვივით ეალერსებოდა. ხმას თითქმის არ იღებდნენ. დაქანცულებს ძალაც არ ჰყოფნიდათ, ბედნიერება ბოლომდე შეეგრძნოთ. ცხრა საათიც არ იყო, რომ დაწვნენ და მკვდრებივით ჩაეძინათ.

მეორე დღეს ანტუანეტას ძალიან სტკიოდა თავი; სამაგიეროდ, უზარმაზარი ტვირთი მოიხსნა გულიდან. ოლივიეს ეჩვენებოდა, რომ პირველად ამოისუნთქა შვებით. გადარჩა, დამ გადაარჩინა, თავისი ვალი შეასრულა, ძმამ კი მისი ნდობა გაამართლა!... პირველად იყო, მრავალი წლის განმავლობაში, რომ ნებივრობის ნება მისცეს თავს. შუაღამემდე იწვნენ, ოთახებს შორის კარი ღია ჰქონდათ და ლაპარაკობდნენ; სარკეში ხედავდნენ ერთმანეთის ბედნიერსა და დაღლილობისგან შეშუპებულ სახეებს. უღიმოდნენ ერთმანეთს, კოცნას უგზავნიდნენ, მერე კვლავ ჩასთვლემდნენ, ერთმანეთს მძინარეს შესცქეროდნენ; დაქანცულნი და მოტეხილნი ძლივს პოულობდნენ ძალას, რომ ერთმანეთისთვის ალერსიანი სიტყვა ეთქვათ.

ანტუანეტამ გროშ-გროშ მოაგროვა მცირეოდენი თანხა შაკი დღისთვის. ძმას არ უმხელდა, თუ რა სიურპრიზს უმზადებდა. ერთი თვით შვეიცარიაში წავიდეთო, უთხრა ნორმალურ სასწავლებელში მიღების მეორე დღეს. ეს მძიმე შრომაში გატარებული წლების ჯილდო გახლდათ. ახლა ოლივიე გარანტირებული იყო, რომ სამ წელს სახელმწიფოს ხარჯზე გაატარებდა ნორმალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სამსახურსაც იშოვიდა; ამიტომ

შეეძლოთ ხელგაშლილობა გამოეჩინათ და მთელი დანაზოგი დაეხარჯათ. ამის გაგონებაზე ოლივიემ აღფრთოვანებით შესძახა. ანტუანეტა კიდევ უფრო ბედნიერი იყო ძმის ბედნიერებით. ბედნიერი იყო იმითაც, რომ განაწამები, ბოლოს და ბოლოს, კვლავ ნახავდა ბუნებას.

სამოგზაუროდ მომზადება მათთვის საკმაოდ დიდი საქმე და თან უდიდესი სიამოვნება იყო; აგვისტო კარგა ხნის დამდგარი გახლდათ, როცა გაემგზავრნენ. მოგზაურობას დიდად ჩვეულნი არ იყვნენ. წინა ღამეს ოლივიემ თვალი ვერ მოხუჭა, ვერც მატარებელში შეძლო დაძინება. მთელი ღამე იმის შიში ჰქონდა, სადგურში მისვლა არ დაგვაგვიანდესო. ძლიერ ჩქარობდნენ, სადგურში კინაღამ გაისრისნენ, ისეთი ჭყლეტა იყო. მეორე კლასის ვაგონში ავიდნენ, სადაც იმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, თავი მკლავზე ჩამოედოთ და ჩაეთვლიმათ (ესოდენ დემოკრატიული ფრანგული სარკინიგზო კომპანიები ცდილობენ წაართვან ღარიბ მგზავრებს ეს სიამოვნება, რათა მდიდრები დატკბნენ სასიამოვნო ფიქრით, ამ სიკეთით მხოლოდ ჩვენ ვსარგებლობთო). ოლივიეს წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი. ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულიყო, რომ მატარებელი არ შეეშალათ და ყოველი სადგურის სახელს უთვალთვალებდა. ანტუანეტამ ჩასთვლიმა, მაგრამ წამდაუწუმ იღვიძებდა. ვაგონი საშინლად ინჯღრეოდა. ოლივიე ამ მოძრავი სარკოფაგის ჭერზე დაკიდებული ლამპის შუქზე შესცქეროდა დას. გაოცდა, როგორ შესცვლოდა ნაკვთები, თვალები ჩასცვენოდა, ბავშვური ბაგეები დაღლილობისაგან ნახევრად ღია ჰქონდა, სახეზე ყვითელი ფერი გადაჰკრავდა, ლოყებზე, რომლებზედაც მღელვარებასა და სასოწარკვეთას თავიანთი კვალი დაემჩნიათ, აქა-იქ პატარა ნაოჭები გასჩენოდა. დაბერებული, ავადმყოფური იერი ჰქონდა. მართლაც, ძალზედ დაღლილი იყო; გამგზავრების გადაწევა ვერ გაბედა, არ უნდოდა ძმისთვის სიამოვნება ჩაეშხამებინა. სურდა თავი დაერწმუნებინა, რომ მისი უქეიფობა მხოლოდ დაღლილობის ბრალი იყო და სოფელი გამოაკეთებდა. როგორ ეშინოდა, გზაში ავად არ გავხდეო. გრძნობდა, რომ ძმა უმზერდა. რულს ძლივს წაართვა თავი, თვალები გაახილა, მუდამ ასე ახალგაზრდული, გამჭვირვალე, ნათელი თვალები, რომლებშიაც დროდადრო უნებური სევდა გამოკრთებოდა, როგორც ღრუბელი გამოჩნდება ხოლმე პატარა ტბის თავზე. შეწუხებულმა ძმამ ხმადაბლა ჰკითხა, თავს როგორ გრძნობო. ანტუანეტამ ხელი ხელზე მოუჭირა და დაარწმუნა, კარგადა ვარო. სიყვარულით ნათქვამი ერთი სიტყვაც კი საიქიოდან მოაბრუნებდა ხოლმე.

დოლსა და პონტარლიეს[1] შორის ვარდისფერ აისში გახვეული, გაცრეცილი მინდვრები იღვიძებდნენ. ჰორიზონტიდან მხიარული მზე ამოდიოდა, მზე, რომელიც მათსავით მტვრიანი ქუჩების, პარიზის სქელი კვამლის ტყვეობას

---

[1] დოლი, პონტარლიე — ცენტრალური საფრანგეთის აღმოსავლეთი ნაწილის ქალაქებია შვეიცარიის საზღვართან.

გაჰქცეოდა; მობიბინე მდელოები რძესავით თეთრ, მსუბუქ ნისლში გახვეულიყვნენ. გზად სოფლის პატარა სამრეკლო, მოწანწკარე ნაკადული, ოდნავ რომ მოჩანდა, თვალსაწიერიდან ამოჩრილი ბორცვების ლურჯი ზოლი ფაწოლილიყო. ზოგჯერ მატარებელი ჯერ კიდევ მძინარე სოფელში ჩერდებოდა, ნიავს ეკლესიის ზარების რეკვის შორეული, გულისამაჩუყებელი ხმა მოჰქონდა. გზის ზემოთ, ფერდობზე, ოცნებაში წასული ჯოგის დინჯი სილუეტები ჩანდა — ყველაფერი იპყრობდა ანტუანეტასა და მისი ძმის ყურადღებას, ყველაფერი ახლად ეჩვენებოდათ. ორ გამხმარ ხეს წააგავდნენ, სიამოვნებით რომ ეწაფებიან ნამს.

დილით შვეიცარიის საბაჟოში მოუხდათ ჩამოსვლა. პატარა სადგური ტრიალ მინდორში იდგა. უძილო ღამის შემდეგ გული ერეოდათ, განთიადის სიგრილისაგან აკანკალებდათ. კარგი ამინდი იყო, ცა — მოწმენდილი, ირგვლივ მინდვრების სუნთქვა იფრქვეოდა, პირში ეღვრებოდათ, ენაზე ადნებოდათ, ყელში გადადიოდა, გულის სიღრმემდე აღწევდა, როგორც პატარა ნაკადული. მაგიდასთან ფეხზე მდგარი მგზავრები სუფთა ჰაერზე მიირთმევდნენ ცხელ, გამაცოცხლებელ ყავას ნაღებიანი რძით, ბალახისა და მინდვრის ყვავილების სურნელება რომ დაჰკრავდა.

შვეიცარულ ვაგონებში ავიდნენ. ვაგონის მათთვის უცხო განლაგებამ ბავშვური სიამოვნება მოჰგვარათ. მაგრამ რა დაღლილი იყო ანტუანეტა! ვერაფრით აეხსნა თავისი უქეიფობა. თუმცა ირგვლივ ყველაფერი ასე ლამაზი და საინტერესო იყო, მაინც ასე ცოტა სიამოვნებას რად ჰგვრიდა. განა ამაზე არ ოცნებობდა წლების მანძილზე? მშვენიერი მოგზაურობა ძმასთან ერთად, მომავლის საზრუნავი მოგვარებულია, ბუნებაც ჩინებულია... მაშ რაღა დაემართა; საკუთარ თავს საყვედურობდა, უნდოდა თვითონაც აღფრთოვანებულიყო და ძმის გულუბრყვილო სიხარული გაეზიარებინა...

ტუნში[1] გაჩერდნენ. მეორე დღეს მთაში უნდა გამგზავრებულიყვნენ. ღამით, სასტუმროში ანტუანეტას სიცხემ აუწია, გული ერეოდა და თავი სტკიოდა. ოლივიე შფოთავდა, მთელი ღამე ვერ მოისვენა, იძულებული იყვნენ დილით ექიმი მოეყვანათ (ეს გაუთვალისწინებელი ხარჯი მათი პატარა თანხისათვის საგრძნობი დანაკარგი იყო). ექიმმა ვერაფერი სერიოზული ვერ დაადგინა. უკიდურესი გადაღლილობისა და დასუსტებული ორგანიზმის ბრალიაო. გზის გაგრძელებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ექიმმა ანტუანეტას ადგომა აუკრძალა. თანაც, ტუნში ცოტა შეყოვნება ურჩია. შეწუხდნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილნი დარჩნენ, ამ ფასად რომ გადაურჩნენ იმას, რისიც უნდა შინებოდათ. მაგრამ მაინც საშინელებაა, ასე შორიდან ჩამოხვიდე და სასტუმროს უბადრუკ ოთხ კედელში გამოიკეტო, სადაც მხურვალე მზე ისე აცხუნებს, როგორც სათბურში. ანტუანეტამ ძმას სთხოვა, ცოტა მაინც გაისეირნეო. ოლივიეც რამოდე-

[1] ტუნი — ქალაქი შვეიცარიაში.

ნიმე ნაბიჯით გაშორდა სასტუმროს და დაინახა ლამაზ, მწვანე სამოსში გახვეული აარი. შორს, ცაში აღმართული თეთრი მწვერვალი ტივტივებდა. სიხარულისგან გული აუჩუყდა; მაგრამ არ შეეძლო ეს სიხარული მარტოს ეტვირთა! სასწრაფოდ დის ოთახს მიაშურა, აღელვებულმა უამბო, რაც იხილა. დამ გაიოცა მისი ასე მალე დაბრუნება და სთხოვა, კიდევ გაისეირნეო. ოლივიემ ისე უპასუხა, როგორც წინათ, შატლეს კონცერტიდან რომ დაბრუნდა:

— არა, ეს მეტად ლამაზია, უშენოდ ამის ნახვა არ შემიძლია.

ეს გრძნობები მათთვის უცხო არ იყო: იცოდნენ, რომ ერთად თუ არ იქნებოდნენ, მთელი სისრულით ვეღარ იგრძნობდნენ საკუთარ „მე“-ს, მაგრამ ამის მოსმენა მაინც მუდამ ეამებოდათ. ყოველგვარ წამალზე უკეთ ამ სიტყვებმა არგო ანტუანეტას. ბედნიერი და დათენთილი იღიმებოდა. ღამით კარგად გამოიძინა. თუმცა დიდად გონივრული არ იყო გამგზავრება, გადაწყვიტეს დილით ადრე წასულიყვნენ, ისე, რომ ექიმი არ გაეფრთხილებინათ; ვაითუ კვლავ დაგვიშალოსო, შიშობდნენ. სუფთა ჰაერისა და იმის წყალობით, რომ ამ ლამაზი ბუნებით ერთად ტკბებოდნენ, ანტუანეტას არ დასჭირვებია ეზღო წინდაუხედავი ნაბიჯისათვის. დაუბრკოლებლად მიაღწიეს თავიანთ მოგზაურობის მიზანს — შპიცის[1] მახლობლად, ტბის პირას გაშენებულ მთის სოფელს.

იქ პატარა სასტუმროში გაატარეს სამი თუ ოთხი კვირა. ანტუანეტასთვის სიცხეს აღარ აუწევია, მაგრამ საბოლოოდ ვერ გამოკეთდა. თავში რაღაც აუტანელ სიმძიმეს გრძნობდა და სუსტად იყო. ოლივიე ხშირად ეკითხებოდა, როგორა ხარო, უნდოდა ცოტა ფერმოსული ეხილა და, მაგრამ ბუნების სიმშვენიერით მთვრალი იყო და ინსტინქტურად დევნიდა ნაღვლიან ფიქრებს. ანტუანეტა არწმუნებდა, ძალიან კარგად ვგრძნობ თავსო. ბიჭს უნდოდა, დაეჯერებინა, რომ და მართალი იყო, თუმცა კარგად იცოდა, ანტუანეტა ატყუებდა. სხვათა შორის, დაც ტკბებოდა ძმის სიხალისით, იერით, დასვენებით. რა კარგი იყო დასვენება ამ საშინელი წლების შემდეგ!

ოლივიეს უნდოდა ანტუანეტა ყოველთვის თან წაეყვანა სასეირნოდ. ისიც ბედნიერი იყო ძმასთან ერთად სეირნობით, მაგრამ, არაერთხელ, გულადად წასული, იძულებული გამხდარა ოციოდე წუთის შემდეგ სუნთქვაშეკრული და გულამოვარდნილი შეჩერებულიყო. მაშინ ოლივიე მარტო აგრძელებდა ექსკურსიებს. მთაზე ადიოდა. ეს საშიში სულაც არ იყო, მაგრამ ანტუანეტა მის დაბრუნებამდე მოსვენებას კარგავდა; ანდა, ერთად გაისეირნებდნენ ხოლმე. ანტუანეტა მკლავზე ეყრდნობოდა, ტაატით მიჰყვებოდა, ხმადაბლა საუბრობდნენ. ოლივიე ენას ამოიდგამდა, იცინოდა, გეგმებს აწყობდა, სასაცილო ამბებს ჰყვებოდა. ხეობის ზემოთ გაჭიმული გზიდან უყურებდნენ, როგორ იცქირებოდნენ უძრავ ტბაში ქუდა ღრუბლები, უყურებდნენ გემებს, გუბურის თავზე მოცურავე მწერებს რომ წაგავდნენ. თბილი ჰაერითა და ჯოგის ზანზალაკების მუსიკით სუნთქავდნენ, მოცელილი ბალახისა და ცხელი ფისის სუნთან ერთად ნაწყვეტ-ნაწყვეტ რომ მოჰქონდა ქარს. ერთად ფიქრობდნენ წარსულ-

[1] შპიცი — ქალაქი შვეიცარიაში.

ზე, მომავალზე, აწმყოზე, რაც მათ ყველა ოცნებაზე არარეალურად და დამა-თრობლად მიაჩნდათ. ზოგჯერ ძმის ბავშვური მხიარულება ანტუანეტასაც გადაედებოდა ხოლმე: ერთმანეთს დასდევდნენ, ბღუჯა ბალახს ესროდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ოლივიემ დაინახა, რომ ანტუანეტა ძველებურად იცინოდა, ისევე როგორც ბავშვობაში, კეთილი, პატარა გოგონას გიჟმაჟი სიცილით, წყაროს წყალივით გამჭვირვალე რომ იყო და ამდენი წელია რომ არ გაეგონა.

ხშირად ოლივიე შორს გასეირნების ცთუნებას ვერ უძლებდა და მერე სინდისი ქენჯნიდა, თავს საყვედურობდა, სეირნობის ნაცვლად დასთან რატომ არ ვისაუბრეო. ხშირად სასტუმროში მარტო ტოვებდა ანტუანეტას. იქ ყმაწვილებისა და ქალიშვილების პატარა წრე იყო, რომელსაც და-ძმა თავდაპირველად გაურბოდა; შემდეგ მორცხვი ყმაწვილი მიიზიდა ამ ჯგუფმა. ბავშვობიდან მეგობრები არასოდეს არ ჰყოლია; საკუთარი დის გარდა მხოლოდ ლიცეუმის უხეშ ამხანაგებსა და მათ საყვარლებს იცნობდა, ზიზღს რომ ჰგვრიდნენ. მისთვის ჭეშმარიტი სიამოვნება იყო კარგად აღზრდილ, თავაზიან და მხიარულ თავის ტოლა ჭაბუკებსა და ქალიშვილებთან ყოფნა. თუმცა საკმაოდ ველური იყო, გულუბრყვილოდ ცნობისმოყვარე და სანტიმენტალური, უბიწოდ მგრძნობიარე გული ჰქონდა, რომელსაც ადვილად აჯადოებდა ქალის თვალთაგან გამონაკრთომი მკრთალი, ცბიერი სხივი. სიმორცხვის მიუხედავად, თავადაც შეიძლებოდა ვინმეს მოსწონებოდა. გულწრფელად სწყუროდა ჰყვარებოდა ვინმე და თავადაც ვინმეს ჰყვარებოდა და ეს მისდა უნებურად ახალგაზრდულ მომხიბვლელობას ანიჭებდა, მოყვარულ, თავაზიან სიტყვებსა და ჟესტებს სძენდა, რომელთა მოუქნელობა კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მას. ოლივიეს ირგვლივ სიმპათიის გამოწვევა შეეძლო. თუმცა მარტოობაში გონებით მეტად ირონიულად განწყობილიყო, თვალნათლივ ხედავდა ხალხის ველურობასა და ნაკლს, ასე რომ სძაგდა; როცა მათ პირისპირ იყო, მხოლოდ თვალებს ხედავდა, საიდანაც შეჰყურებდა არსება, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მოკვდებოდა, არსება, რომელსაც მასავით მხოლოდ ერთი სიცოცხლე ჰქონდა და მასავით მალე უნდა დაეკარგა იგი. მაშინ ამ არსებისადმი უნებური სიყვარულით იმსჭვალებოდა. ვერაფრის გულისთვის ვერ აწყენინებდა; სურდა თუ არა, თავაზიანად უნდა მოპყრობოდა. სუსტი იყო და ამის გამო; მხოლოდ იმისთვის გახლდათ შექმნილი, რომ მოსწონებოდა „მაღალ საზოგადოებას“, რომელიც ყოველგვარ ნაკლს, ასე განსაჯეთ, ყოველგვარ სათნოებასაც კი შეგინდობთ, გარდა ძალისა, რაც ყველა სხვა სათნოების საწინდარია.

ანტუანეტა ამ ახალგაზრდულ წრეში არ ერეოდა. ჯანის სისუსტე, დაღლილობა, უჩინარი მიზეზით გამოწვეული უგუნებობა ხელ-ფეხს უბორკავდა. ზრუნვასა და მძიმე შრომაში გატარებულმა წლებმა, სხეულსა და სულს რომ ცვეთს, მასსა და ძმას შორის როლები შეცვალა. ახლა იგი ამ ქვეყნიდან შორს გრძნობდა თავს, ყველაფრისგან ძალიან შორს იყო... აღარ შეეძლო ამქვეყნად მობრუნება; ეს საუბრები, ხმაური, სიცილი, წვრილმანი

ინტერესები სევდას ჰგვრიდა, ქანცავდა, შეურაცხყოფდა კიდეც. იმისგანაც ეტანჯებოდა, რომ ასეთად იქცა. უნდოდა ამ ქალიშვილებს ჰგვანებოდა, დაინტერესებულიყო იმით, რაც მათ აინტერესებდათ, გაეცინა იმაზე, რაზეც ისინი იცინოდნენ... მაგრამ ვაი, რომ აღარ შეეძლო! გული შეკუმშვოდა, ეჩვენებოდა, ვკვდებიო. საღამოს ოთახში გამოიკეტებოდა. ხშირად ლამპასაც არ ანთებდა, სიბნელეში რჩებოდა, მაშინ, როცა ოლივიე ქვემოთ, სასტუმროში, მისთვის ჩვეული პატარა, რომანტიკული სიყვარულის სიტკბოს ეძლეოდა. გაოგნებიდან მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როცა ოლივიეს ფეხის ხმას გაიგონებდა; ძმა ზღურბლთან იდგა, იცინოდა, მეგობრებთან ქაქანებდა, დაუსრულებლად იმეორებდა „საღამო მშვიდობისაო“, მაგრამ მათ ვერ შორდებოდა, ანტუანეტა სიბნელეში იღიმებოდა და ლამპის ასანთებად დგებოდა. ძმის სიცილი სიცოცხლეს უბრუნებდა.

შემოდგომა იწურებოდა. მზეს თანდათანობით სხივი მოაკლდა. ბუნება გაიცრიცა. ოქტომბრის ღრუბლებისა და ნისლის ქულებს ქვეშ ფერები ხუნდებოდა. მთებზე ჩამოთოვა და ბარში ნისლი ჩამოწვა. ჩამოსულები ჯერ თითოთითოდ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად უკან გაემგზავრნენ. სამწუხარო იყო გეხილა, როგორ მიემგზავრებოდნენ მეგობრები, თვით უცხოებიც კი, ყველაზე მეტად — როგორ მიიპარებოდა ზაფხული, სიწყნარისა და ბედნიერების ჟამი, ცხოვრების ოაზისი. უკანასკნელად, ოქტომბრის ღრუბლიან დღეს, მთის გასწვრივ, ტყეში ერთად გაისეირნეს. არ ლაპარაკობდნენ. მელანქოლიურ ოცნებებს მისცემოდნენ. პალტოებში გახვეულიყვნენ, საყელო აეწიათ და გაყინული თითები ერთმანეთისთვის ჩაეჭიდათ. სველი ხეები სიჩუმეში იცრემლებოდნენ. ტყის სიღრმიდან მარტოხელა ფრინველის ნაზი და დამფრთხალი ხმა აღწევდა, ისიც გრძნობდა ზამთრის მოახლოებას. ჯოგის ზანზალაკები ნისლში, სადღაც შორს, თითქოს ცხოველების მკერდიდან ძლივს გასაგონად წკარუნობდნენ...

პარიზს დაბრუნდნენ. ორივე სევდას მოეცვა. ანტუანეტას ჯანმრთელობა ვერ გაუმჯობესდა.

ანტუანეტას ოლივიეს სასწავლებელში წასაღები ბარგისათვის უნდა მიეხედა. ამაზე დახარჯა უკანასკნელი დანაზოგი. ყელსაბამიც კი გაყიდა ძმისგან ფარულად. რა მნიშვნელობა ჰქონდა? მოგვიანებით განა მასვე არ დაუბრუნდებოდა? მითუმეტეს, რომ ახლა ძმის გარეშე ისე ცოტა რამ დასჭირდებოდა! ცდილობდა არ ეფიქრა მომავალზე, როცა ოლივიე გვერდით აღარ ეყოლებოდა; თეთრეულს უმზადებდა, ამ საქმეს მთელი იმ მხურვალე ალერსით ეკიდებოდა, რაც ძმის მიმართ გააჩნდა. ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, თითქოს უკანასკნელად ზრუნავდა ძმაზე.

ბოლო დღეებში ერთმანეთს არ შორდებოდნენ, წუთის დაკარგვისაც ეშინოდათ. უკანასკნელ საღამოს გვიანობამდე ცეცხლის პირას შერჩნენ, ანტუა-

ნეტა ერთადერთ სავარძელში იჯდა, ოლივიე მის ფერხთით, ტაბურეტზე მოკალათებულიყო. ანტუანეტა როგორც მოზრდილ, განებივრებულ ბავშვს, ისე ეალერსებოდა ძმას. ოლივიე შეფიქრიანებულიყო, ახალი ცხოვრება აინტერესებდა. ანტუანეტა ფიქრობდა, ჩვენს მყუდროებას ბოლო მოეღოო და შიშით ეკითხებოდა საკუთარ თავს, აწი რა მომელისო? თითქოს ეწადა ეს ფიქრი მისთვის უფრო მწველი გაეხადა, ოლივიე ისე ნაზი არასოდეს ყოფილა, როგორც ამ უკანასკნელ საღამოს. მასში იმ არსებათა გულუბრყვილო კეკლუცობა გამოსჭვიოდა, უკანასკნელ, გამგზავრების წინა საათს რომ ელიან იმის გამოსამჟღავნებლად, რაც ყველაზე საუკეთესო და მომხიბვლელი გააჩნიათ. პიანინოს მიუჯდა და დიდხანს უკრავდა მოცარტისა და გლიუკის იმ ნაწარმოებებს, ყველაზე მეტად რომ უყვარდა და-ძმას, ამაღელვებელი ბედნიერებისა და წმინდა სევდის ამ სურათთან მათი ცხოვრების წარსული იყო დაკავშირებული.

განშორების დღე რომ დადგა, ანტუანეტამ ოლივიე სასწავლებლის კარამდე მიაცილა. მერე შინ დაბრუნდა. კიდევ ერთხელ დარჩა მარტო. მაგრამ ეს არ ჰგავდა გერმანიაში გამგზავრებას, როცა მასზე იყო დამოკიდებული, კვლავ ძმას დაბრუნებოდა, თუ ვეღარ აიტანდა განშორებას. ამჯერად იგი შინ რჩებოდა, ოლივიე კი დიდი ხნით, სამუდამოდ გაემგზავრა. ანტუანეტა იმდენად იყო გამსჭვალული დედობრივი გრძნობით, რომ საკუთარ თავზე მეტად ძმაზე ფიქრობდა. ოლივიეს ახალი ცხოვრება აღელვებდა, სასწავლებელში ახალბედებს ავიწროვებდნენ, იქაური პატარ-პატარა უსიამოვნებანი ადვილად იღებდა შემაზრზენ პროპორციებს მარტოხელა ადამიანის თვალში, რომელიც საყვარელ არსებათათვის ტანჯვასაა შეჩვეული. ეს საზრუნავი, ყოველ შემთხვევაში, მასზე კარგად მოქმედებდა, ცოტათი მაინც უქარვებდა მარტოობით გამოწვეულ სევდას. იგი უკვე იმ ნახევარ საათზე ფიქრობდა, ძმას რომ ნახავდა მისაღებში. თხუთმეტი წუთით ადრე მივიდა. ძმა მეტად ალერსიანად შეხვდა, მაგრამ ძალიან დაკავებული იყო, ართობდა კიდეც, რაც იქ ნახა. მომდევნო დღეებში, როცა სიყვარულით აღვსილი ანტუანეტა კვლავ მიდიოდა, კონტრასტი იმისა, რას ნიშნავდა ეს წუთები მისთვის, და რას ნიშნავდა ძმისთვის, კიდევ უფრო მკვეთრი ხდებოდა. ანტუანეტასთვის ახლა ეს მთელი სიცოცხლე იყო. ოლივიეს, ცხადია, ნაზად უყვარდა ანტუანეტა, მაგრამ შეუძლებელი იყო მისთვის მოგეთხოვათ მხოლოდ დაზე ეფიქრა. ერთხელ თუ ორჯერ მისაღებში დაგვიანებით მივიდა. ერთხელ ანტუანეტამ ჰკითხა, მოწყენილი ხომ არა ხარ ხოლმეო. არაო, უპასუხა მან. ანტუანეტასთვის ეს მტკივნეული დარტყმა იყო — ბრაზობდა, ასეთი რატომ ვარო, ეგოისტი გავხდიო, ფიქრობდა; კარგად იცოდა, რომ უაზრობა, ცუდი და არაბუნებრივიც იქნებოდა, უერთმანეთოდ გაძლება რომ არ შესძლებოდათ და ცხოვრებაში სხვა მიზანი რომ არ ჰქონოდათ. დიახ, იცოდა ყველაფერი ეს, მაგრამ რას შველოდა ამის ცოდნა? ეს მის ძალას აღემატებოდა. ათი წლის განმავლობაში მთელი მისი სიცოცხლე ამ ერთადერთ ფიქრს,

ძმას ეწირებოდა. ახლა, ცხოვრების ეს ერთადერთი ინტერესი წაერთვა და აღარაფერი დარჩენოდა.

ანტუანეტამ მამაცურად გადაწყვიტა, კვლავ დაბრუნებოდა თავის საქმიანობას, კითხვას, მუსიკას, საყვარელ წიგნებს... ღმერთო! რა ცარიელი იყო ძმის გარეშე შექსპირი და ბეთჰოვენი!.. დიახ, ცხადია, მშვენიერი გახლდათ... მაგრამ ძმა აქ აღარ იყო! რაღად უნდოდა ეს სილამაზე, თუკი მას საყვარელი არსების თვალებით ვერ დაინახავდა? რა უნდა ვუყოთ სილამაზეს, თვით სიხარულს, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად არ განვიცდით?

ანტუანეტა უფრო ძლიერი რომ ყოფილიყო, შეეცდებოდა მთლად გარდაექმნა თავისი ცხოვრება, სხვა მიზანი დაესახა. მაგრამ, ქანცი გასწყვეტოდა. ახლა, როცა არაფერი აიძულებდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გამაგრებულიყო, ნებისყოფა დაეძაბა, — დაუძლურდა; ავადმყოფობა, ერთი წლის წინ რომ შეუჯდა და აქამდე ყმაწვილი ქალი ენერგიით რომ სძლევდა, ახლა ადვილად მოერია.

მარტოდმარტო დარჩენილი სევდით სავსე საღამოებს შინ ატარებდა, ჩაფერფლილი ცეცხლის პირას. ძალა არ ჰყოფნიდა, ცეცხლისთვის შეეკეთებინა, ან დაწოლილიყო. შუაღამემდე იჯდა, მთვლემარე, ფიქრებში წასული და აკანკალებული. ხელახლა განიცდიდა თავის ცხოვრებას. უსიყვარულოდ დაკარგული ახალგაზრდობის გამო საშინელი სევდა იპყრობდა, ფარული, გაუმხელელი ტკივილი... ქუჩაში ბავშვი იცინოდა, ქვაფენილზე გაუბედავად დაბაჯბაჯებდა... ეჩვენებოდა, თითქოს ეს პატარა ფეხები მის გულზე დააბიჯებდნენ; ეჭვსა და უსიამოვნო ფიქრებს შეეპყრო; მის დასუსტებულ სულს ეგოისტური და საკუთარ სიამოვნებაში ჩაფლული ქალაქი წამლავდა — სინანულს ებრძოდა, საკუთარი სურვილების რცხვენოდა, ვერ გაეგო, რა ტანჯავდა. ამას თავისი ცუდი ინსტინქტებით ხსნიდა; საბრალო პატარა ოფელია, უცნაური სენი რომ ღრღნიდა, შიშით გრძნობდა, როგორ ამოდიოდა მისი არსებიდან რაღაც ბნელი და უხეში სურვილი, თვით ცხოვრების ძირიდან რომ მოიწევდა. აღარ მუშაობდა. გაკვეთილები თითქმის მიატოვა. მუდამ დილაადრიან რომ დგებოდა, ახლა ნაშუადღევამდე ლოგინში იყო. ადგომას და დაწოლას აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ცოტას წაციცქნიდა, ანდა სულაც არაფერს ჭამდა. იმ დღეებში, როცა ძმა თავისუფალი იყო, ხუთშაბათს — ნაშუადღევს და კვირას — დილიდანვე, თავს ძალას ატანდა, ძველებურად სჩვენებოდა.

ოლივიე ვერაფერს ამჩნევდა. ჭაბუკს ძალზე აინტერესებდა თუ ართობდა ახალი ცხოვრება და ვეღარ ახერხებდა კარგად დაჰკვირვებოდა დას. იმ ასაკში იყო, როცა უჭირთ მთელი არსებით მიეცნენ, ან გულგრილად არიან განწყობილნი იმის მიმართ, რაც ცოტა ხნის წინ აღელვებდათ და მალე კვლავ ააღელვებთ. ზოგჯერ ასაკოვანთ, როგორც ჩანს, უფრო ცოცხალი შთაბეჭდილებები აქვთ, უფრო გულუბრყვილოდ ტკბებიან ბუნებითა და სიცოცხლით, ვიდრე ოცი წლისანი. ამბობენ, ახალგაზრდები გულით ნაკლებ ჭაბუკნი არიანო. ამაში ხშირად ცდებიან. ისინი უგრძნობლები იმიტომ კი არ გვეჩვენებიან, რომ მო-

ყირჯებული აქვთ ყველაფერი, არამედ იმიტომ, რომ მათი სული ვნებებში, პატივმოყვარეობაში, სურვილებსა და აკვიატებულ აზრებში ჩაფლულა. როცა სხეული გაცვეთილია და ცხოვრებისგან აღარაფერს მოელი, უინტერესო გრძნობები კვლავ თავის ადგილს პოულობენ და კვლავ მოედინება ბავშვური ცრემლების ნაკადული. ოლივიე ათასობით წვრილმან საქმეს მისცემოდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი უაზრო გატაცება იყო (მას მუდამ გააჩნდა ასეთი გატაცებები), რომელსაც იმდენად შეეპყრო, რომ თითქმის დაებრმავებინა და ყველაფერი ამქვეყნიურის მიმართ გულგრილი გაეხადა. ანტუანეტამ არ იცოდა რა სჭირდა ძმას. ხედავდა მხოლოდ, რომ ძმა გაურბოდა. ეს მარტო ოლივიეს ბრალიც არ იყო. ზოგჯერ შინ დაბრუნება და დასთან ბაასი უხაროდა კიდეც. მაგრამ ოთახში შემოვიდოდა თუ არა, გაქვავდებოდა ხოლმე. მოუსვენარი სიყვარული და ძალა, რომლითაც და ეჭიდებოდა, მის სიტყვებს ეწაფებოდა და თავისი მზრუნველობით ტანჯავდა — სიყვარულისა და უდიდესი ყურადღების ეს მოჭარბება ყოველგვარ სურვილს უკარგავდა, დას განდობოდა. ოლივიეს უნდა შეენიშნა, რომ ანტუანეტას რაღაც ემართებოდა; ყოველივე ეს ძალიან არ ჰგავდა მისთვის ჩვეულ თავაზიან თავდაჭერილობას. მაგრამ ოლივიე ამაზე არ ფიქრობდა. მის კითხვაზე „არაო“ ან „ჰოო“ პასუხობდა; რაც უფრო მეტად ცდილობდა ანტუანეტა, გამოეყვანა ძმა ამ მდგომარეობიდან, ოლივიე მით უფრო ჯიუტად დუმდა, ანდა უხეში პასუხით დას გულს სტკენდა ხოლმე. მაშინ ქალიშვილიც ჩუმდებოდა გულმოკლული. ასე გადიოდა, უფრო სწორად, იკარგებოდა დღე. როგორც კი სახლის ზღურბლს გადააბიჯებდა, სასწავლებელში მიმავალი სასოწარკვეთას ეძლეოდა, ასე რატომ მოვექეცი დასო. მთელი ღამე ტანჯავდა იმაზე ფიქრი, რაც ჩაიდინა. სასწავლებელში მისვლისთანავე დას სინანულით აღსავსე წერილებს სწერდა. მაგრამ, მეორე დილით რომ გადაიკითხავდა, მსწრაფლ დახევდა ხოლმე. ანტუანეტამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ფიქრობდა, ძმას აღარ ვუყვარვარო.

ანტუანეტამ ერთხელ კიდევ იგრძნო უკანასკნელი სიხარული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდული გრძნობის უკანასკნელი აღელვება, უცებ რომ გააცოცხლა მისი გული — მასში მოულოდნელად გაიღვიძა სიყვარულის, რწმენისა და ბედნიერების გრძნობამ. ეს იმოდენა უაზრობა იყო და ისე ეწინააღმდეგებოდა მის მშვიდ ბუნებას! ეს რომ მომხდარიყო, ამისათვის აუცილებელი იყო მისი მღელვარება, სულიერი დაცემა და მეტისმეტი აღგზნებულობა, ავადმყოფობას რომ უძღოდა წინ.

ძმასთან ერთად „შატლე“-ში კონცერტს ესწრებოდა. ოლივიეს ის-ის იყო, ერთ პატარა ჟურნალში მუსიკალური განყოფილება ჩააბარეს, ამიტომ ცოტა უკეთესი ადგილები ჰქონდათ, ვიდრე წინათ, მაგრამ გაცილებით უფრო უსიამოვნო საზოგადოებაში იმყოფებოდნენ. პარტერის წინა რიგებში ისხდნენ, სცენის მახლობლად. კრისტოფ კრაფტს უნდა დაეკრა. ამ გერმანელ მუსიკოსს არ

იცნობდნენ. ანტუანეტას მის დანახვაზე გული აუჩქროლდა; თუმცა მისმა დაქანცულმა თვალებმა იგი მხოლოდ სადღაც, ნისლს მიღმა დაინახეს, შემოსვლისთანავე იცნო გერმანიაში გატარებული მძიმე დღეების უცნობი მეგობარი. ძმასთან მასზე არასოდეს კრინტი არ დაუძრავს. საკუთარ თავთანაც უჭირდა ამაზე ლაპარაკი: მთელი მისი გონება ცხოვრებისეულ საზრუნავს მოეცვა. თანაც ჭკვიანი ფრანგი გოგონა იყო, ვერ აჰყვებოდა ბუნდოვან გრძნობას, რომლის წყაროც გაურკვეველი იყო და არც მომავალი გააჩნდა. თავადვე რცხვენოდა თავისი სულის შეუცნობელ კუნჭულებში მიძინებული გრძნობების. იცოდა, რომ მათ იქ მოეკალათებინათ, მაგრამ თვალს არიდებდა, რელიგიური შიშით იყო შეპყრობილი იმ რაღაც იდუმალის მიმართ, გონების კონტროლს რომ გაეპარება ხოლმე.

სული რომ მოეთქვა, ძმას ლორნეტი გამოართვა. უნდოდა კრისტოფისთვის შეეხედა. პროფილში ხედავდა, დირიჟორის პულტთან მდგომს, ენერგიული და ღრმააზროვანი გამომეტყველება ჰქონდა. მოძველებული ტანსაცმელი საშინლად არ უხდებოდა. ხმაგაკმენდილი და გაყინული ანტუანეტა ესწრებოდა ამ სავალალო კონცერტს, რომელზედაც კრისტოფი მსმენელის აშკარა არაკეთილსინდისიერებას შეეჯახა; მსმენელისა, რომელიც ცუდად იყო განწყობილი გერმანელი მუსიკოსის მიმართ და რომელიც მისმა მუსიკამ არ დააინტერესა.[1] სიმფონიის შემდეგ, რომელიც ძალიან გრძელი ეჩვენათ, კრისტოფი კვლავ რომ გამოვიდა რამდენიმე საფორტეპიანო პიესის შესასრულებლად, უხეში შეძახილებით შეხვდნენ. ცხადი იყო, მისი ხელახლა ხილვა მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არავის ჰგვრიდა. მაინც დაიწყო დაკვრა მოწყენილ მსმენელთა წინაშე. წუთითაც არ შემწყდარა უხეში შენიშვნები, უკანასკნელი იარუსის ორი მაყურებელი ხმამაღლა რომ უზიარებდა ერთმანეთს მთელი დარბაზის გასართობად. მაშინ კრისტოფი შეჩერდა: ბავშვური ჟინით ატანილმა ცალი თითით დაუკრა „მალბრუკი მიდის ომში“-ს მელოდია, როიალს მოშორდა და მსმენელთ მიახალა:

— აი, თქვენ ეს შეგფერით!

ხალხმა პირველად ვერ გაიგო მუსიკოსის განზრახვა და ყვირილი ატეხა. წარმოუდგენელი ღრიანცელი ატყდა; უსტვენდნენ, ყვიროდნენ:

— ბოდიში მოიხადოს! მობრძანდეს და ბოდიში მოიხადოს!

ბრაზისაგან ალეწილი, აღელვებული ხალხი ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ ნამდვილად შეურაცხყვეს, მაგრამ უფრო ზუსტად, მოხარულნი იყვნენ ხმაურსა და დასვენების შემთხვევა რომ მიეცათ: ისე იქცეოდნენ, როგორც გიმნაზიელები მეორე გაკვეთილის შემდეგ.

ანტუანეტას ძალა არ ჰყოფნიდა გასანძრევად, გაქვავებულიყო. მოკუმშული თითები უხმაუროდ ძიძგნიდნენ ხელთათმანს. სიმფონიის პირველივე ბგე-

---

[1] იხ. ჟან კრისტოფი, 11, ბაზრობა მოედანზე.

რებიდან გრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო, გრძნობდა, როგორ იზრდებოდა მსმენელთა ფარული მტრობა; კრისტოფს შეატყო, ამბოხება გარდუვალი იყო და მღელვარებით ელოდა ამ ამბოხს. ძალ-ღონეს ძაბავდა, რათა ხელი შეეშალა და როცა ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც იწინასწარმეტყველა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ბედისწერამ გასრისა, რომლის წინააღმდეგაც ვერაფერს გააწყობ კაცი. თვალს არ აშორებდა კრისტოფს, რომელიც უტიფრად შესცქეროდა მაყურებელს, მას რომ უსტვენდა. მათი მზერა ერთმანეთს შეეჯახა. კრისტოფის თვალებმა შესაძლოა წამით იცნო კიდეც. მაგრამ ამ ორომტრიალში იგი ვერ მიხვდა, რომ ეს ანტუანეტა იყო (კარგა ხანია, აღარც უფიქრია მასზე). სტვენა არ წყდებოდა, კრისტოფი სცენიდან გავიდა.

ანტუნეტას უნდოდა ეყვირა, რაიმე ეთქვა, მაგრამ შებოჭილი იყო, როგორც კოშმარულ სიზმარში ხდება ხოლმე. მისთვის ნამდვილი შვება ის გახლდათ, რომ მისმა ყოჩაღმა, პატარა ძამიკომ არაფერი იცოდა, რაც მის გულში ტრიალებდა და მაინც მის სევდასა და გულისწყრომას ინაწილებდა... ოლივიე სულით მუსიკოსი იყო და დამოუკიდებელი, ურყევი გემოვნება გააჩნდა. თუ რაიმე მოსწონდა, მთელი ქვეყანა რომ წინ აღდგომოდა, მაინც მოსწონდა. სიმფონიის პირველივე ტაქტებიდან იგრძნო რაღაც დიადი, არასოდეს ცხოვრებაში რომ არ შეხვედრია. ხმადაბლა, აღგზნებით იმეორებდა:

— რა მშვენიერია! რა მშვენიერია!

მადლიერებით აღვსილი ანტუანეტა ინსტინქტურად ეკვროდა ძმას. სიმფონია რომ დამთავრდა, მაყურებლის ირონიული გულგრილობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად ოლივიე მხურვალედ სცემდა ტაშს. აურზაური რომ ატყდა, წონასწორობა დაკარგა. ეს წყნარი ბიჭი სწრაფად წამოხტა, კრისტოფი მართალიაო, დაიძახა, მათ, ვინც სტვენდა, წესრიგისკენ მოუხმო, მათთან ჩხუბი უნდოდა. მისი ხმა ხმაურში იკარგებოდა; უხეშად უყვიროდნენ, ცინგლიანი უწოდეს. „შინ წადი, დაიძინეო“, ურჩიეს. ანტუანეტამ კარგად იცოდა ამ ჯანყის ამაოება, ძმას ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

— გაჩუმდი, გევედრები, გაჩუმდი!

ოლივიე სასოწარკვეთილი დაჯდა, კვლავ ოხრავდა:

— სირცხვილია, სირცხვილი! საძაგლები!

ანტუანეტა ხმას არ იღებდა, ჩუმად იტანჯებოდა; ოლივიეს ეგონა, ამ მუსიკისადმი გულგრილიაო და ჰკითხა:

— ანტუანეტა, ნუთუ არ მოგეწონა?

ყმაწვილმა ქალმა ანიშნა, მომეწონაო. გაოგნებული იჯდა, ძალა არ შესწევდა, გამოცოცხლებულიყო. როცა ორკესტრს ახალი ნაწყვეტი უნდა დაეკრა, უცბად წამოდგა და ძმას ზიზღით წასჩურჩულა:

— წამოდი, წამოდი, ამ ხალხის ყურება აღარ შემიძლია.

სასწრაფოდ წავიდნენ. ქუჩაში ოლივიემ დას ხელმკლავი გაუკეთა და გატაცებით დაუწყო ლაპარაკი. ანტუანეტა ხმას არ იღებდა.

შემდეგ დღეებში, თავის ოთახში მარტოდმარტო დარჩენილი, იმ გრძნობებში ჩაეფლო, რომლებისთვისაც თვალი ვერ გაესწორებინა, მაგრამ რომლებიც ყველა მის აზრს ისევე კვეთდა, როგორც სისხლის ყრუ ჩქეფა მის საფეთქლებს, ასე რომ სტკიოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოლივიემ დას კრისტოფის „სიმღერების" კრებული მოუტანა, რომელიღაც გამომცემელთან ახლახან რომ აღმოეჩინა. ანტუანეტამ ალალბედზე გადაშალა და პირველსავე გვერდზე, ერთ-ერთი ნაწყვეტის სათაურთან შემდეგი მიძღვნა ამოიკითხა გერმანულად: „ჩემს საბრალო, ძვირფას, პატარა მსხვერპლს". ქვემოთ თარიღი იყო მიწერილი.

მას კარგად ახსოვს ეს თარიღი. ამან ისე ააღელვა, რომ მეტის გადაფურცვლა აღარ შეეძლო. რვეული დადო და ძმას შეევედრა, დაუკარიო. თვითონ თავის ოთახში შევიდა და იქ ჩაიკეტა. ახალი მუსიკით ნასიამოვნებმა ოლივიემ დაკვრა დაიწყო, დის აღელვება არ შეუმჩნევია. გვერდით ოთახში მჯდომი ანტუანეტა გულის ძგერას ძლივს იკავებდა. უცებ წამოდგა, კარადაში ანგარიშის წიგნაკი მოძებნა, გერმანიაში გამგზავრებისა და კიდევ ერთი საიდუმლო თარიღი რომ დაედგინა. მან ეს რიცხვი წინდაწინვე იცოდა: დიახ, ეს იმ საღამოს წარმოდგენა იყო, კრისტოფთან ერთად რომ ესწრებოდა. ლოგინზე წამოწვა და თვალები დახუჭა. ალმური მოეკიდა, ხელები მკერდში ჩაიკრა, საყვარელ მუსიკას ისმენდა. გული მადლიერების გრძნობით ჰქონდა სავსე. მაგრამ, თავი ასე რად სტკიოდა?

ანტუანეტა აღარ გამოსულა. დაკვრა რომ დაამთავრა, ოლივიე მასთან შევიდა და ლოგინზე გაშოტილი იხილა. ჰკითხა, ცუდად ხომ არა ხარო. ცოტა დავიღალეო, მიუგო ანტუანეტამ და ძმა მარტო რომ არ დაეტოვებინა, თავს ძალა დაატანა და მაინც წამოდგა. წაისაუბრეს. ანტუანეტა ძმის კითხვებზე სწრაფად ვერ პასუხობდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სადღაც შორს იყო. იღიმებოდა, წითლდებოდა, ბოდიშს იხდიდა, თავი ძალიან მტკივა და მთლად გამოვყეყეჩდიო. ბოლოს ოლივიე წავიდა. ანტუანეტამ სთხოვა, სიმღერების რვეული დამიტოვეო. გვიან ღამემდე მარტო იჯდა პიანინოსთან, კითხულობდა, არ უკრავდა, ზოგჯერ ოდნავ შეეხებოდა კლავიშებს, ეშინოდა, მეზობლები არ შევაწუხოო. არც კი კითხულობდა, უფრო ოცნებობდა, ბედნიერებისა და იმ ადამიანის სიყვარულის გრძნობას შეეპყრო, რომელსაც იგი შეებრალა და იდუმალი სიკეთით მოცულმა მისი სულის წაკითხვა შეძლო. აზრს ვერ იკრებდა. ბედნიერი და სევდიანი იყო — სევდიანი! ო, როგორ სტკიოდა თავი!

ტკბილ და მტანჯველ ოცნებაში გაატარა მთელი ღამე. მელანქოლიას მოეცვა; მეორე დღეს, გაოგნებისთვის თავი რომ წაერთვა, გარეთ გავიდა. თავის ტკივილი კვლავ ტანჯავდა. უმიზნოდ რომ არ ევლო, დიდ მაღაზიაში წავიდა საყიდლებზე. სულაც არ ფიქრობდა, რას აკეთებდა. თუმცა საკუთარ თავსაც არ უმხელდა, მხოლოდ კრისტოფზე ფიქრობდა. მაღაზიიდან რომ გამოვიდა, განაწამები და ნაღვლით აღსავსე, ჯგლეთაში მოჰყვა. უცებ, ქუჩის მეორე მხა-

რეს, ტროტუარზე მიმავალი კრისტოფი შენიშნა. კრისტოფმაც იმავე წუთში დაინახა. მაშინვე (ეს მოუფიქრებლად მოხდა) ანტუანეტამ ხელი გაიწვდინა მისკენ. კრისტოფი შეჩერდა: ამჯერად იცნო იგი. ანტუანეტასთან რომ მისულიყო, ქუჩა გადმოირბინა. ანტუანეტამ მის შესახვედრად გასწია, მაგრამ უხეშმა ბრბომ ბუმბულივით წაიღო მაშინ, როცა ომნიბუსში შებმული ცხენი სრიალა ასფალტზე დაეცა და კრისტოფის წინ რამდენიმე წამით გადაულახავი ბარიერი აღიმართა. ამის მიუხედავად, კრისტოფი გასვლას ლამობდა: ეკიპაჟებს შორის მოექცა, ვერც წინ მიდიოდა, ვერც უკან. ბოლოს და ბოლოს, როცა თავი დააღწია და იმ ადგილს მიაღწია, სადაც ანტუანეტა დაინახა, ქალი უკვე შორს იყო: ანტუანეტა ამაოდ ცდილობდა შებრძოლებოდა ხალხის ნიაღვარს, მერე ფარ-ხმალი დაყარა. გაბრძოლება აღარ უცდია, რაღაც საბედისწერო ძალას შეეპყრო და კრისტოფთან შეხვედრას უშლიდა. ბედისწერის წინააღმდეგ კი რას გააწყობ! როცა ბრბოდან გამოსვლა მოახერხა, უკან დაბრუნება აღარ უცდია; შერცხვა. რა უნდა ვუთხრა? ეს რა გავბედე? რას იფიქრებდაო! — და შინისაკენ მოკურცხლა.

შინ რომ მივიდა, მხოლოდ მაშინ დამშვიდდა. ჩაბნელებულ ოთახში მაგიდას მიუჯდა, ღონე არ ჰყოფნიდა ქუდი მოეხადა ან ხელთათმანები წაეძრო. იტანჯებოდა, ხმა რად ვერ გავეც კრისტოფსო, თან გრძნობდა, რომ სხეულში ავადმყოფობა შეჯდომოდა. გაუთავებლად, დაწვრილებით იგონებდა ყველაფერს, რაც მოხდა. ცოტათი ასხვაფერებდა, ცდილობდა წარმოედგინა, რა მოხდებოდა, საქმე სხვაგვარად რომ დატრიალებულიყო. გაახსენდა, როგორ გაიშვირა ხელი კრისტოფისაკენ, როგორ გაუცისკროვნდა სახე, კრისტოფმა რომ იცნო; იცინოდა და სახეზე ალმური ედებოდა. მარტოდმარტო, ჩაბნელებულ ოთახში, სადაც ვერავინ დაინახავდა, კვლავ გაიშვირა მისკენ ხელები. ამდენს ვეღარ გაუძლებდა. გრძნობდა, რომ იღუპებოდა, ინსტინქტურად ცდილობდა, ჩაბღაუჭებოდა ძლიერ სიცოცხლეს, გვერდით რომ ჩაუარა და კეთილი თვალით გადმოხედა. სიყვარულითა და ნაღველით სავსე მისი გული წყვდიადში კრისტოფს მოუხმობდა — მიშველე, გადამარჩინეო.

აღელვებული წამოდგა ლამპის ასანთებად. ქაღალდი და კალამი აიღო. წერილი მისწერა კრისტოფს. ამ მორცხვ და ამაყ გოგონას არასოდეს აზრადაც არ მოუვიდოდა, მიეწერა მისთვის, მაგრამ ახლა ავად იყო. თვითონაც არ იცოდა, რას წერდა. თავს ვერ იკავებდა; მოუხმობდა, მიყვარხარო, ეუბნებოდა. შუა წერაში თავზარდაცემული შეჩერდა; წერილის გადაკეთება უნდოდა. მის აღფრთოვანებას ფრთები შეეკვეცა. თავი უხურდა და სტკიოდა. საშინლად უჭირდა სიტყვების პოვნა; ქანცი გამოსცლოდა, რცხვენოდა... რა საჭირო იყო ყოველივე ეს? კარგად იცოდა, რომ თავს იტყუებდა, რომ არასოდეს გაუგზავნიდა წერილს... კიდევაც რომ ნდომოდა, როგორ გაუგზავნიდა?... მისი მისამართი არ გააჩნდა... საბრალო კრისტოფი! რა შეეძლო გაეკეთებინა მისთვის, ყველაფერიც რომ სცოდნოდა და კარგადაც ყოფილიყო მის მიმართ განწყობილი? ძალიან გვიან

იყო. არა, არა, ყველაფერი ამაო იყო; ყოველივე ეს მომაკვდავი ჩიტის უკანასკნელ გაფართხალებას ჰგავდა, მთელი ძალით რომ სცემდა ფრთებს. უნდა დანებებულიყო...

ფიქრში წასული კვლავ დიდხანს უჯდა მაგიდას; გაოგნებისთვის თავი ვერ დაეღწია. შუაღამე გადასული იყო, მთელი ძალა რომ მოიკრიბა და წამოდგა. ჩვეულებისამებრ, წერილი თავისი ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წიგნში ჩადო. ძალა არ ჰყოფნიდა, რომ შეენახა ან დაეხია. სიცხისაგან აკანკალებული დაწვა. ამოცანა გადაჭრილი იყო. გრძნობდა, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხდებოდა.

სრული სიმშვიდე დაეუფლა.

კვირა დილას სკოლიდან დაბრუნებულ ოლივიეს ანტუანეტა ლოგინში დახვდა; ქალს დროდადრო აბოდებდა... ოლივიემ ექიმი იხმო. ექიმმა სწრაფმავალი ჭლექის დიაგნოზი დაუსვა.

ბოლო დღეებში ანტუანეტას კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა. ბოლოს და ბოლოს მიხვდა იმ სულიერი მღელვარების მიზეზს, ელდას რომ სცემდა. საბრალო გოგონასთვის, საკუთარი თავისაც რომ რცხვენოდა, თითქმის შვება იყო იმაზე ფიქრი, რომ თავად არაფერ შუაში იყო, რომ ყოველივე ამის მიზეზი მხოლოდ მისი ავადმყოფობა გახლდათ. ღონე მოიკრიბა და სიფრთხილის ზომები მიიღო; ქაღალდები დასწვა, ქალბატონ ნათანს წერილი მისწერა: შეევედრა, მისი „სიკვდილის" (უჭირდა ამ სიტყვის დაწერა) შემდეგ, პირველ კვირებში, მიეხედა მისი ძმისთვის.

ექიმს არაფერი შეეძლო. ავადმყოფობას მაგრად გაედგა ფესვები, ანტუანეტას ორგანიზმი კი შრომით გადატვირთულ წლებს გაეცვითა.

ანტუანეტა მშვიდად იყო; რაც თავი დაღუპულად ჩათვალა, სევდაც გადაიგდო გულიდან. ყველა გადატანილ სატანჯველს იხსენებდა. მისი მიზანი შესრულებული იყო. გადაარჩინა საყვარელი ოლივიე. გული აუწერელი სიხარულით ჰქონდა სავსე, თავს ეუბნებოდა:

— ეს მე გავაკეთე.

თან საყვედურობდა კიდეც თავს ამ სიამაყეს.

— მარტო ვერაფერს შეეძლებდი, ღმერთი დამეხმარა.

ღმერთს მადლობა შესწირა, მიზნის შესრულებამდე რომ აცოცხლა. გული სტკიოდა, რომ ახლა უნდა მომკვდარიყო, მაგრამ წუწუნს ვერ ბედავდა. ეს ღვთის მიმართ უმადურობა იქნებოდა, ხომ შეეძლო, ცოტა ადრეც მიეხმო იგი. უარესი არ იქნებოდა, ერთი წლის წინ რომ მომკვდარიყო? ოხრავდა და მადლიერების გრძნობა ეუფლებოდა.

ტანჯვის მიუხედავად, არაფერზე წუწუნებდა, თუ არა ღრმა ძილში, როცა ზოგჯერ პატარა ბავშვივით წამოიკვნესებდა ხოლმე. ყველას და ყველაფერს მორჩილი ღიმილით შესცქეროდა. ოლივიეს ხილვა სიხარულით ავსებდა. უსიტყვოდ, ბაგეებით მოუხმობდა. უნდოდა მასთან ბალიშზე ჩამოედო თავი!

თვალს თვალში გაუყრიდა და დიდხანს შეჰყურებდა მდუმარედ. მერე წამოიწევდა, მის თავს მკერდში ჩაიკრავდა და ეუბნებოდა:

— ო, ოლივიე, ოლივიე!...

ყელსაბამი მოიძრო და ძმას ჩამოჰკიდა. თავის სულიერ მამას, ექიმს, ყველას ჩაბარა ოლივიე. გრძნობდა, რომ იგი უკვე მხოლოდ ძმაში ცოცხლობდა, რომ სიკვდილის წუთს, როგორც კუნძულს, მას შეაფარებდა თავს. ზოგჯერ სიყვარულის მისტიური აღფრთოვანებითა და რწმენით მთვრალს ჰგავდა, ტკივილს აღარ გრძნობდა, ნაღველი სიხარულად ექცეოდა — ღვთაებრივ სიხარულად, მის ბაგეებსა და თვალებში რომ ელავდა.

ბედნიერი ვარო, იმეორებდა.

გაოგნება იპყრობდა. უკანასკნელ წუთებში, სანამ გრძნობას დაჰკარგავდა, მისი ბაგეები ამოძრავდნენ, რაღაცას ამბობდნენ. ოლივიე დის სასთუმალთან მივიდა და დაიხარა. ანტუანეტამ იცნო ძმა და მისუსტებულმა გაუღიმა. მისი ტუჩები კვლავ მოძრაობდნენ, თვალები ცრემლით ავსებოდა, ვერ გაიგებდი, რისი თქმა სურდა... მაგრამ, ოლივიემ ნიავივით დაიჭირა ძველებური სიმღერის სიტყვები, ასე რომ უყვარდათ და ანტუანეტას არაერთხელ რომ უმღერია მისთვის. I will come again, my sweet and bonny, I will come again[1].

მერე ანტუანეტამ გონება დაკარგა და... მიიძინა.

ანტუანეტამ თავადაც არ იცოდა, რაოდენ სიმპათიას უნერგავდა ხოლმე ბევრ მისთვის უცნობ ადამიანსაც კი: მაგალითად, მეზობლებს, რომლების სახელებიც კი არ იცოდა. ოლივიეს მისთვის უცხო ხალხმა გამოუცხადა თანაგრძნობა. ანტუანეტა ისე უპატრონოდ არ დაუკრძალავთ, როგორც დედამისი. მეგობრები, ძმის ამხანაგები, ოჯახები, სადაც გაკვეთილებს აძლევდა, ხალხი, რომელთა წინაშეც მხოლოდ უხმოდ ჩაევლო, სიტყვაც არ დაეძრა თავის ცხოვრებაზე, და რომელთაც, თავის მხრივაც, არაფერი უთქვამთ მისთვის, მაგრამ ჩუმად ტკბებოდნენ ამ ქალით, რაკი კარგად იცოდნენ, რა თავგანწირულიც იყო. ღატაკებიც კი: მოსამსახურე ქალი, მას რომ ეხმარებოდა, მისი უბნელი წვრილი ვაჭრები — სასაფლაომდე გაჰყვნენ. უარის მიუხედავად, სიკვდილის დღიდანვე ოლივიე ქალბატონმა ნათანმა წაიყვანა, მისთვის დარდი რომ შეემსუბუქებინა.

ეს ერთადერთი შემთხვევა იყო ოლივიეს ცხოვრებაში, ასეთი კატასტროფის გამკლავება რომ შეძლო. ერთადერთი, როცა ნება არ მისცეს, მთლიანად მისცემოდა სასოწარკვეთას. ის-ის იყო, ახალი ცხოვრება დაიწყო, ერთ ჯგუფს დაუახლოვდა და მისდა უნებურად დინებას მიჰყვა. სასწავლებლის საქმიანობა და საზრუნავი, ინტელექტუალური წვა, გამოცდები, სიცოცხლისთვის ბრძოლა საშუალებას არ აძლევდა საკუთარ თავში ჩაკეტილიყო. მარტო ყოფნა არ

[1] „მე დაებრუნდები, საყვარელო, მე დაებრუნდები“...

შეეძლო. იტანჯებოდა ამით, მაგრამ ეს მისი ხსნა იყო. ეს ერთი წლით ადრე, ან რამდენიმე წლის შემდეგ რომ მომხდარიყო, უსათუოდ დაიღუპებოდა.

რამდენადაც შეეძლო, დის მოგონებებთან განმარტოვდებოდა ხოლმე. გული სტკიოდა, რომ ვერ შეძლო შეენარჩუნებინა ბინა, სადაც ერთად ცხოვრობდნენ. საამისოდ ფული არ გააჩნდა. იმედოვნებდა, ისინი, ვინც სამძიმარს უცხადებდნენ, გაუგებდნენ, როგორ იტანჯებოდა, რომ არ შეეძლო იმის გადარჩენა, რაც დას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ვერავინ გაუგო. ნაწილობრივ ნასესხები და ნაწილობრივ გაკვეთილებით ნაშოვნი ფულით მანსარდა იქირავა და იქ მოათავსა ყველაფერი, რაც დის ავეჯიდან დაიტოვა: მისი საწოლი, მაგიდა, სავარძელი. მოგონებების ტაძარი მოიწყო. როცა მწუხარება შეიპყრობდა, იქაურობას აფარებდა თავს. მისი ამხანაგები ფიქრობდნენ, ალბათ ვინმე შეუყვარდაო. თავისთვის განმარტოვდებოდა და საათობით ფიქრობდა დაზე, ხელებში თავჩარგული. სამწუხაროდ, მისი პორტრეტიც არ გააჩნდა, ერთი პატარა ბავშვობის სურათის გარდა, რომელზედაც ორივე ერთად იყვნენ გადაღებულნი. ოლივიე ესაუბრებოდა დას, ტიროდა... სად იყო ანტუანეტა? ქვეყნის მეორე ბოლოში რომ ყოფილიყო, ნებისმიერ ადგილას, რა სიხარულით, დაუოკებელი გულმოდგინებით გაექანებოდა მის საძებნელად, არად დაგიდევდათ ათას სატანჯველს, საუკუნეების მანძილზე ფეხშიშველი ივლიდა, თუკი თითოეული ნაბიჯი დასთან მიაახლოებდა!.. დიახ; დამდე მიღწევის ათასიდან ერთი შესაძლებლობაც რომ ჰქონდეს... მაგრამ არაფერი... არავითარი საშუალება არ არსებობდა მასთან მისაღწევად... რა მარტო იყო... რა მიტოვებული, უმწეო ბავშვივით იყო რაც და გვერდით აღარ ჰყავდა, რომ ჰყვარებოდა იგი, ენუგეშებინა!... მას ვისაც ბედნიერება ხვდა, თუნდაც ერთხელ შეეცნო მეგობრული გულის სრული და უსაზღვრო სიახლოვე, მან შეიგრძნო ღვთაებრივი სიხარული, სიხარული, რომელიც მერე მთელი სიცოცხლე გააუბედურებს.

Nessun maggior dolore che ricordarsi del tempo felice nella miseria...[1]

სუსტი და ფაქიზი სულისთვის საშინელი უბედურებაა, ერთხელ მაინც თუ იგემა უდიდესი ბედნიერება.

მაგრამ, რაც უნდა დასანანი იყოს, სიცოცხლის დასაწყისში დაკარგო საყვარელი ადამიანი, მაინც ნაკლები საშინელებაა, ვიდრე მისი მოგვიანებით დაკარგვა, როცა სიცოცხლის წყარო დამშრალია. ოლივიე ახალგაზრდა იყო; მიუხედავად თანდაყოლილი პესიმიზმისა, მიუხედავად ბედკრულობისა, სიცოცხლე უნდოდა. თითქოს ანტუანეტამ სიკვდილის წინ თავისი სულის ნაწილი ძმას შთაბერა. მას ასე სჯეროდა. თუმცა დისებრი რწმენა არ ჰქონია, ფარულად თავს ირწმუნებდა, ანტუანეტა სამუდამოდ არ გამქრალაო, დაპირების თანახმად, იგი ჩემში ცოცხლობსო. ერთი ბრეტონული ანდაზა ამბობს — ახალგაზრდა მიცვალებულები მიცვალებულები არ არიანო. იმ ასაკამდე, სანამ მიწიერი

---

[1] „მოგონება გარდასრული ბედნიერების, უბედობის ჟამს უდიდესი სატკივარია“ (დანტე, ღვთაებრივი კომედია, ჯოჯოხეთი, ქება V).

ირსებობის ნორმალურ ასაკს მიაღწევენ, ისინი იმ ადგილებში დაფარფატებენ, სადაც ცხოვრობდნენო. ამგვარად, ანტუანეტა ოლივიეს გვერდით განაგრძობდა სიცოცხლეს.

ოლივიემ ანტუანეტას დარჩენილი ქაღალდები გადაიკითხა. სამწუხაროდ, თითქმის ყველაფერი დაეწვა. სხვათა შორის იგი ისეთი ქალი არ იყო, საკუთარი ცხოვრება აღენუსხა. თავისი აზრის გაშიშვლებაზე სირცხვილით იწვოდა. მხოლოდ პატარა უბის წიგნაკი ჰქონდა, მის გარდა, თითქმის ყველასთვის გაუგებარი, რომელშიც ყოველგვარი შენიშვნების გარეშე სწერდა გარკვეულ თარიღებს, განსაკუთრებულ მოვლენებს ყოველდღიური ცხოვრებიდან, რომლებსაც ოდესღაც სიხარული თუ მღელვარება მოუტანიათ მისთვის და რომელთა დაწვრილებით ჩაწერა არ სჭირდებოდა მეხსიერებაში აღსადგენად. თითქმის ყველა ეს ჩანაწერი ოლივიეს ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენასთან იყო დაკავშირებული. ძმის წერილები უკლებლივ ჰქონდა შენახული. ოლივიე კი ნაკლებ მზრუნველი აღმოჩნდა. დის გამოგზავნილი თითქმის ყველა წერილი დაეკარგა. რაში სჭირდებოდა ისინი? ეგონა, და მუდამ გვერდით ეყოლებოდა. სიყვარულის ეს ძვირფასი წყარო დაუშრეტელი ეჩვენებოდა. დარწმუნებული იყო, იგი მუდამ გაუგრილებდა გულსა და ბაგეებს. წინდაუხედავად გაფლანგა მისგან მიღებული სიყვარული, რომლის უმცირესი წვეთების შეკრებასაც ახლა ლამობდა...

როგორ აღელდა, როცა ანტუანეტასეული ერთ-ერთი ლექსების კრებულის ფურცვლისას, ქაღალდის ნაგლეჯზე ფანქრით მინაწერი შემდეგი სიტყვები აღმოაჩინა:

„ოლივიე, ჩემო ძვირფასო ოლივიე!“

კინაღამ ცუდად გახდა. ქვითინებდა, ტუჩებით ეკონებოდა უხილავ ბაგეებს, საფლავიდან რომ ესაუბრებოდა.

ამ დღიდან მის ყოველ წიგნს სათითაოდ ფურცლავდა, რომ ენახა, რაიმე საიდუმლო ხომ არ დაუტოვებია შიგ. კრისტოფისადმი მინაწერ წერილს წააწყდა და დის გულში ჩასახული იდუმალი სიყვარულის ამბავი შეიტყო. ოლივიე პირველად შეიჭრა მის ინტიმურ ცხოვრებაში, რომლის შესახებ არაფერი იცოდა და რომლის გაგება არც უცდია. კვლავ განიცადა მღელვარებით სავსე უკანასკნელი დღეები, მისგან მიტოვებული, უცნობი მეგობრისკენ რომ იშვერდა ხელს. მისთვის არასოდეს გაუმხელია, რომ კრისტოფი ენახა. მისი წერილის რამდენიმე სტრიქონმა აუწყა, რომ ისინი ოდესღაც გერმანიაში შეხვედრიან ერთმანეთს. მიხვდა, რომ კრისტოფი ანტუანეტას კეთილისმყოფელი ყოფილა რომელიღაც გარემოებაში, რომლის დეტალებიც არ იცოდა, და რომ აქედან დაწყებულა ანტუანეტას გრძნობა, ბოლომდე საიდუმლოდ რომ შეინახა.

ოლივიეს, მართალია, უკვე უყვარდა კრისტოფი მისი მშვენიერი ხელოვნებისათვის, მაგრამ უეცრად ეს კაცი უსაზღვროდ ძვირფასი გახდა მისთვის. ანტუანეტას უყვარდა კრისტოფი. ოლივიეს ეჩვენებოდა, რომ დის სიყვარულს

თანაუგრძნობდა. ყველაფერს აკეთებდა, რომ კრისტოფს დაახლოებოდა. არც ისე ადვილი იყო მისი კვალის მიგნება. მარცხის შემდეგ კრისტოფი უზარმაზარ პარიზში გაუჩინარდა, ყველას ჩამოშორდა, ისიც აღარავის აინტერესებდა. რამდენიმე თვის შემდეგ ოლივიე შემთხვევით ქუჩაში შეხვდა კრისტოფს. ფერმკრთალი იყო და ახლახან გადატანილი ავადმყოფობის გამო გამხდარიყო. ოლივიეს გამბედაობა არ ეყო, შეეჩერებინა. სახლამდე გაჰყვა. უნდოდა წერილი მიეწერა, მაგრამ ვერ გაბედა. რა მიეწერა? ოლივიე მარტო არ იყო, ანტუანეტა ახლდა თან. მისი სიყვარული, მისი სიფრთხილე ძმაში გადასულიყო. იმის გაფიქრება, რომ ანტუანეტას კრისტოფი უყვარდა, კრისტოფის წინაშე ისე აწითლებდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო ანტუანეტა. და მაინც, როგორ ეწადა კრისტოფთან დაზე ესაუბრა! მაგრამ არ შეეძლო. მისი საიდუმლო ბაგეებს ამოექოლათ.

ცდილობდა კრისტოფს შეხვედროდა. ეძებდა ყველგან, სადაც ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა კრისტოფი ყოფილიყო. სურვილი კლავდა, ხელი ჩამოერთმია მისთვის, მაგრამ, როგორც კი დაინახავდა, ემალებოდა, ეშინოდა, არ შემამჩნიოსო.

ბოლოსდაბოლოს კრისტოფმა იგი ერთ საღამოს მეგობრის სალონში შენიშნა. ოლივიეს მისგან შორს ეჭირა თავი. არაფერს ამბობდა, კრისტოფს უყურებდა მხოლოდ. უეჭველია, ამ საღამოს ანტუანეტა ძმასთან ერთად იყო, რადგან კრისტოფმა იგი ოლივიეს თვალებში დაინახა; სწორედ მოულოდნელად გახსენებულმა მისმა სახემ მიიყვანა სასტუმრო ოთახის ბოლოდან უცნობ მაცნესთან, ახალგაზრდა ჰერმესის[1] მსგავსად სამოთხის აჩრდილის სევდიანი და ტკბილი სალამი რომ მოუტანა.

---

[1] ჰერმესი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევსის შვილი ჰერმესი მამის ბრძანებებს აუწყებდა მოკვდავთ.

ЭПЕ

БОЕВОЕ
ПЭРЦЫ

წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის

ჟან-კრისტოფის მეგობრებს

წლების განმავლობაში ჩემს ნაცნობ და უცნობ მეგობრებთან ფიქრებით საუბარი დამჩემდა, დღეს კი მინდა, ხმამაღლა გავესაუბრო მათ. უმადური ვიქნებოდი, მადლობა მაინც არ მეთქვა მათთვის, ვისგანაც ესოდენ დავალებული ვარ. მას შემდეგ, რაც ჟან-კრისტოფზე ამ ვრცელი ამბის წერას შევუდექი, განუწყვეტლივ ვგრძნობ მეგობრების შემწეობას, მათთვის ვწერ. ისინი მამხნევებენ, მოთმინებით მომყვებიან გვერდით, მათი თანაგრძნობით ვარ გამთბარი. თუ ზოგიერთი მათგანის წინაშე მცირედი სიკეთე მეც მიმიძღვის, ათმაგად შიზღეს. ეს თხზულებაც იმ ფიქრების ნაყოფი გახლავთ, რომლებიც ერთად აღგვეძრა.

გამოვტყდები, როდესაც კალამს მოვკიდე ხელი, მეგონა, რომ ჩვენ ერთი მუჭა მეგობრები ძლივს შევგროვდებოდით: ჩემს პატივმოყვარეობას უფრო მეტი მეგობარი როდი ეგულებოდა, ვიდრე სოკრატეს სახლს. მაგრამ წლები გადიოდა და სულ უფრო ძლიერ ვგრძნობდი, რომ ძმები ვართ ყველანი, ვისაც ერთი სიხარული გვახარებს და ერთი წუხილი გვაწუხებს, პარიზში ვცხოვრობთ თუ პროვინციაში, საფრანგეთში თუ მის ფარგლებს გარეთ. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი სულ ახლახან, როდესაც გამოქვეყნდა ამ თხზულების წინა ტომი, სადაც კრისტოფმა (ჩემთან ერთად) გული მოიოხა და ზიზღით დაგმო „ბაზრობა მოედანზე". ასე სწრაფი გამოხმაურება არც ერთ ჩემს წიგნს არ გამოუწვევია. ეს იმიტომ, რომ, სიმართლე უნდა ვთქვა, იქ მარტო მე არ ვლაპარაკობ: ჩემს სიტყვებში ჩემი მეგობრების ხმა ღაღადებს. მათ უწყიან, რომ კრისტოფი მხოლოდ ჩემი კუთვნილება როდია; მათი ნაწილიც არის. კრისტოფში ხორცშესხმულა ყველა ჩვენგანის სული.

* * *

რაკი კრისტოფი ჩემს მკითხველებს ეკუთვნის, მოვალე ვარ ზოგიერთი ახსნა-განმარტება მივცე მათ „ჟან-კრისტოფის" ამ ახალი ტომის შესახებ, რომელსაც დღეს გთავაზობთ. ვშიშობ, რომ მან არ გაგიცრუოთ მოლოდინი. ისე-

ვე, როგორც „ბაზრობა მოედანზე“, სატრფიალო თავგადასავლებით ვერც ეს წიგნი გაგართობთ, თანაც კრისტოფის ცხოვრების ამბავი გაწყვეტილი მოგეჩვენებათ. აქ უფრო გმირის გარემომცველ სამყაროზეა თხრობა, ვიდრე თვით გმირზე.

უნდა აგიხსნათ ის ვითარება, რომელშიც ხელი მოვკიდე მთელ ამ ნაწარმოებს.

მარტოდმარტო დავრჩი. როგორც მრავალი ჩემნაირი საფრანგეთში, ვიხუთებოდი მორალურად მტრულ სამყაროში. მინდოდა სული მომეთქვა; ვცდილობდი, წინ აღვდგომოდი სნეულ ცივილიზაციას, შევბრძოლებოდი საზოგადოების „რჩეულთა“ დამყაყებულ აზრს, მსურდა, პირში მიმეხალა ამ ვაირჩეულთათვის: „ტყუილს ჩმახავთ, საფრანგეთზე წარმოდგენა არა გაქვთ“.

ამისათვის კი გულწრფელი, უმწიკვლო გმირი მჭირდებოდა; მას უნდა ჰქონოდა სპეტაკი სული, რომ უფლებამოსილი ყოფილიყო ელაპარაკა, და მჭექარე ხმა, რათა ეიძულებინა, ყური მიეპყრათ. მე მოთმინებით ვქმნიდი ამ გმირს. სანამ ნაწარმოების პირველი სტრიქონის დაწერას გავბედავდი, გულში ვატარებდი მას წლების მანძილზე; კრისტოფს არ გამოვემშვიდობე მანამ, ვიდრე არ მივაგენი გზას, რომელსაც ბოლომდე უნდა მიეყვანა იგი. ზოგიერთი თავი „მოედანზე ბაზრობიდან“ და „ჟან-კრისტოფის“ ბოლო ტომების ზოგიერთი ნაწილიც[1] კი, რომლებიც მოგვიანებით გამოქვეყნდება, „რიჟრაჟზე“ ადრე, ან მასთან ერთად დაიწერა. საფრანგეთის სახეს, როგორც კრისტოფსა და ოლივიეშია აღბეჭდილი, თავიდანვე მიჩენილი ჰქონდა ადგილი ამ წიგნში. ამიტომ აქ ამბიდან გადახვევა კი არ უნდა დავინახოთ, არამედ განზრახ შედგომა, შესვენება გზაზე — ცხოვრების ერთ-ერთ იმ მაღალ სერზე, საიდანაც თვალს გადაავლებ უკვე გადალახულ ველს, წინ კი შორეული ჰორიზონტი მოჩანს, რომლისკენაც უცნობი გზა გელის.

ცხადია, აზრადაც არ მომსვლია, რომ ამ ბოლო ტომებისთვის—„ბაზრობა მოედანზე“, „შინ“ — და, საერთოდ, „ჟან-კრისტოფისათვის“ რომანი მეწოდებინა. მაშ რა არის ეს თხზულება? პოემა? რა ბედენაა რას დავარქმევთ? როდესაც ადამიანი გვინდა გავიცნოთ, განა იმას ვკითხულობთ, რომანია იგი თუ პოემა? მე ადამიანი შევქმენი. ადამიანის სიცოცხლე კი ვერ ეტევა ლიტერატურულ ფორმათა ჩარჩოებში. სიცოცხლის კანონი თვით სიცოცხლეშია; ყოველ სიცოცხლეს კი საკუთარი კანონი აქვს. მისი არსი გამოხატულებაა ბუნების ძალისა. ზოგი ადამიანის სიცოცხლე წყნარ, უშფოთველ ტბას ჰგავს, ზოგისა— ცივ უძირო ლაჟვარდს, რომელშიაც ღრუბლები დაცურავენ; ერთნი ნაყოფიერ ველებს შეიძლება შევადაროთ, მეორენი — ცადაზიდულ მთათა განმარტოებულ მწვერვალებს. ჟან-კრისტოფი კი მდინარეს მომაგონებდა ყოველთვის. ამაზე აკი პირველივე ფურცლებიდან გავამახვილე ყურადღება. მდინარეებსაც

[1] მაგალითად, „უწვი მაყვლოვანის“ მეორე ნაწილი. — რ. რ.

ხომ აქვთ გაშლილი ადგილები, სადაც დინება მდორდება და მძინარეს ემსგავსება წყლის ზედაპირი, რომელზედაც კამკამა ცა და სოფლის ნაპირები იხატება. წყალი კი დის დაუსრულებლივ და ემორჩილება მარადიულ ცვალებადობას; ხოლო ზოგჯერ, ამ მოჩვენებითი უძრაობის ქვეშ ჩქარი დინება იმალება, რომლის იდუმალი ძალა მოულოდნელად თავს იჩენს ქვემოთ, პირველსავე დაბრკოლებასთან შეჯახებისას. აი, ამ სახით წარმოგვიდგება „ჟან-კრისტოფის" წინამდებარე ტომი. ახლა, როდესაც ეს მდინარე განივრცო და წყალუხვი გახდა, თავის ნაკადში რომ შეირთო გაღმა-გამოღმა ნაპირთა ფიქრები, იგი კვლავ განაგრძობს თავის სრბოლას ზღვისკენ, საითაც მივედინებით ყველანი.

ივნვარი, 1909 წ.

რ. რ.

ნაწილი პირველი

მეგობარი მყავს!... ნეტარებაა ჰპოვო ერთგული სული, რომელსაც მიეკვრები ცხოვრების ქარიშხალში მობუზული; თავი შეაფარო თბილ, მყუდრო სავანეს, სადაც დამაშვრალი სულს მოითქვამ და დაიყუჩებ აქოშინებულ გულს! აღარ იგრძნო მარტოობა, აღარ დაგჭირდეს იფხიზლო დღედაღამ იარაღმომარჯვებულმა და უძილობისაგან გათანგულმა, ვიდრე ბოლოს ღონემიხდილი მტრის ლუკმა არ გახდები! გყავდეს ძვირფასი მესაიდუმლე, მთელი არსებით რომ მიენდობი და მთელი არსებით მოგენდობა. ბოლოს, დატკბე სიმშვიდით — იძინო, როცა ის ფხიზლობს, იფხიზლო, როცა მას სძინავს. ვინც გიყვარს, ვინც გულწრფელი ბავშვივით გენდობა, მისი გამოქომაგების სიხარული განიცადო. გამოსცადო კიდევ უფრო დიდი სიხარული, რომ ენდობი, გრძნობ, ყველა შენი გულისნადები იცის, განაგებს შენს სულს. წუთისოფლის ტვირთის ზიდვით ქანცგაწყვეტილს, წელში ოთხად მოხრილსა და დაჩაჩანაკებულს მეგობრის უბეში სიჭაბუკე დაგიბრუნდეს და ფერი იცვალო; მისი თვალით იხილო სამყაროს განახლება, მისი გულით შეიგრძნო სიცოცხლის მომხიბვლელობა და მისი გონებით შეიცნო ცხოვრების სილამაზის წარმავალობა... მასთან ერთად წუხდე... აჰ, რა ბედნიერებაა თვით მწუხარებაც, როცა ერთად ვართ!

მეგობარი მყავს! შორს არის თუ ახლოს, მარად ჩემს გულშია. ის ჩემია. მე მისი ვარ. ვუყვარვარ, მიყვარს. სიყვარულმა შეასისხლხორცა ჩვენი სულები.

რუსენებთან წვეულების მეორე დღეს დილით, გამოეღვიძა თუ არა, კრისტოფს პირველად ოლივიე ჟანენი გაახსენდა. მყის ახალი ნაცნობის მონახულების დაუოკებელი წადილი დაეუფლა. ტანთ ჩაიცვა და გავიდა. ჯერ რვა საათი არ იყო. ნაადრევი აპრილის თბილი, ჩამოხუთული დილა იდგა: პარიზის ცა საავდროდ მოქუფრულიყო.

ოლივიე სენტ-ჟენევიევის გორის ძირას, ბოტანიკური ბაღის მახლობლად, ვიწრო შესახვევში ცხოვრობდა. სახლი იდგა იქ, სადაც ქუჩა ყველაზე მეტად ვიწროვდებოდა. ჩაბნელებული, ათასგვარი სიმყრალით აშმორებული ეზოს სიღრმეში იწყებოდა მაღლა, სართულიდან სართულზე აკლაკნილი კიბე, რომლის საფეხურები ფანქრის ნაჯღაბნებით აჭიჭყნილი კედლისაკენ გადაბრეცილიყვნენ. მეოთხე სართულზე პერანგგაღეღილმა, თმაგაჩეჩილმა ჭაღარა მანდილო-

'სანმა ფეხის ხმაზე კარი გამოაღო და უცნობი რომ დაინახა, დაფეთებით მიიჯა-ხუნა. კიბის ყოველ ბაქანზე რამდენიმე ბინა იწყებოდა; ცუდად მიხურული კარების ფარღალალებიდან ბავშვების ალიაქოთისა და ღრიანცელის ხმა ის-მოდა. გულისამრევი ეზოს გარშემო ერთიმეორეზე დაშენებულ დაბალ სარ-თულებში შეჭუჭკულიყვნენ და ფუთფუთი გაჰქონდათ ადამიანურ არსებებს, სიბინძურესა და უღიმღამო ყოფაში რომ ამოსდიოდათ სული. „ნეტავი რა ცთუნებას მოუზიდავს ეს ადამიანები აქ, — კითხულობდა გულში ზიზღმორეუ-ლი კრისტოფი, — ასე შორს ლაღი ველებიდან, სადაც ჰაერი მაინც მოიპოვება ყველას სამყოფი? რა სარგებელს გამოელიან ისინი პარიზისაგან, რომ მთელ ცხოვრებას, თავიანთი ნებით, ამ ჯურღმულში ცოცხლად დამარხულნი ატარე-ბენ?“.

კრისტოფი უკვე ოლივიეს სართულზე ასულიყო. ზართან გამონასკული ბაწარი ება. კრისტოფმა ისე ღონივრად გამოსწია იგი, ხმაურზე რამდენიმე კარ-მა კვლავ გაიჭრიალა კიბეზე. ოლივიემ გააღო. მისმა სადა, მაგრამ ფაქიზმა ჩაც-მულობამ გააოცა კრისტოფი. ეს სიფაქიზე, სხვა გარემოებაში რომ ალბათ შე-უმჩნეველი დარჩებოდა, აქ სასიამოვნო მოულოდნელობად ეჩვენა; ამ მოღუ-შულ, ბინძურ გარემოში მას რაღაც სილაღისა და სიჯანსაღის ელფერი შეჰ-ქონდა. ოლივიეს სპეტაკი და ნათელი თვალების დანახვამ უცებ წუხანდელი შთაბეჭდილება განუახლა კრისტოფს. ხელი გაუწოდა ოლივიეს. მან შემკრ-თალმა წაილუღლუღა:

— თქვენ... თქვენ აქ!..

კრისტოფმა, რომელიც შეეპყრო სურვილს, ჩასწვდომოდა ამ ჯერ კიდევ უცნობი ჭაბუკის მომხიბვლელ სულს, წუთიერი დაბნეულობისას თავის ბუ-ნებრიობაში რომ გამოკრთა, მხოლოდ გაიღიმა და არაფერი უპასუხა. ბიძგით ოლივიე წინ გაიგდო და შევიდა მის ერთადერთ ოთახში, რომელიც საძინებე-ლიც იყო და სამუშაო ოთახის მაგივრობასაც სწევდა. ფანჯრის ახლოს, კედელ-თან, რკინის ვიწრო საწოლი იდგა; კრისტოფს თვალში ეცა მუთაქაზე ერთი-მეორეზე მიწყობილი ბალიშების გროვა. მთელ მოწყობილობას სამი სკამი, შავად შეღებილი მაგიდა, პიანინო და თაროზე დალაგებული წიგნები შეადგენ-და. ოთახი მომცრო, დაბალი და ბნელი გახლდათ; მაგრამ ყველგან მისი ბინად-რის სხივმოსილ თვალთა ანარეკლი ეფინა. ყველაფერი ისე გაქათქათებული და გაწკრიალებული იყო, თითქოს ქალის ხელი შევლებოდა. სურაში ჩაწყობილი ვარდების კონას გაზაფხულის სურნელი დაეფრქვია ძველი ფლორენციელი მხატვრების რეპროდუქციებით დამშვენებულ ოთხ კედელს შორის.

— მაშ თქვენ ჩემთან, ჩემს სანახავად მოხვედით? — აღელვებული იმეო-რებდა ოლივიე.

— მეტი რა ჩარა იყო, — მიუგო კრისტოფმა. — ვიცი, თქვენ არ მომა-კითხავდით.

— რატომ გგონიათ? — შეეპასუხა ოლივიე.

მერე იქვე დასძინა:

— თუმცა მართალი ხართ. მაგრამ არა იმიტომ, რომ არ მეწადა.

— აბა, რა დაგიჭერდათ?

— ძალიან მსურდა.

— რა კარგი მიზეზია!

— დიახაც, რომ ასეა, ტყუილად დამცინით. მეშინოდა, ვაითუ თქვენ ასე ძალიან არ გსურდათ.

— მაგაზე ფიქრით შევიწუხებდი თავს! თქვენი ნახვა მომესურვა — ავდექი და მოვედი. თუ არ გესიამოვნათ, ალბათ, მივხვდები.

— მაგის მიხვედრა არც ისე იოლია.

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და გაეღიმათ.

— რა ბრიყვულად ვიქცეოდი წუხელ. თქვენი მეხათრებოდა. გაუბედაობა ნამდვილ ავადმყოფობად გადამექცა: თითქოს ენა მებმება, ლაპარაკს ვეღარ ვახერხებ ხოლმე.

— ნუ სწუხხართ. თქვენში ყბედები ისედაც ბლომად არიან; ბედნიერებაა, როდესაც აქა-იქ ისეთებსაც შეხვდები, ვინც ზოგჯერ მაინც დუმს, თუნდაც ეს გაუბედაობით, ანუ უნებურად მოსდიოდეს.

კრისტოფი იცინოდა, საკუთარი ენამახვილობით ნასიამოვნები.

— გამოდის, რომ ჩემი დუმილი მოგეწონათ?

— დიახ, თქვენი დუმილი. თქვენი დუმილის ნიჭი. დუმილსაც ხომ ცოდნა უნდა: მე მიყვარს, თქვენ რომ დუმხართ, მორჩა და გათავდა.

— შეყვარება სადღა მოასწარით? ჯერ ხომ ძლივს მიცნობთ.

— ეგ უკვე ჩემი ხელობაა. არჩევანში ყოყმანი არ მიყვარს. თუ ცხოვრებაში თვალწინ ჩამიარა კაცმა, რომელიც მომეწონა, ბევრს აღარ ვაყოვნებ: მყისვე უკან გამოვედევნები, რომ არ დავკარგო.

— ამ დევნაში ჯერ არ გაგცრუებიათ იმედი?

— ხშირად.

— იქნებ ამჯერადაც ცდებით?

— ვნახოთ.

— ოჰ! მაშინ წასულა ჩემი საქმე! ეგ დაჟინებული ცქერა მმსჭვალავს. იმის გაფიქრებისას, რომ მაკვირდებით, ბრინჯივით ვიბნევი.

კრისტოფი ალერსიანი ცნობისმოყვარეობით მიშტერებოდა ოლივიეს მეტყველ სახეს, რომელიც ხან უჭარხლდებოდა და ხან უფითრდებოდა: გრძნობები ისე იხატებოდა მასზე, როგორც ღრუბლები წყალზე.

„რა მგრძნობიარე არსება ყოფილა! — ფიქრობდა კრისტოფი. — თითქოს ქალი იყოს“.

ოლივიეს მუხლზე ხელი დაადო.

— კარგი ერთი, — უთხრა კრისტოფმა, — ხომ არ გგონიათ, რომ თქვენს გამოსაჩხრეკად მოვსულვარ? მძულს, ფსიქოლოგიაში სავარჯიშოდ საკუთარი

შეგობრების სულში რომ იქექებიან. მე მხოლოდ ერთ რამეს მოვითხოვ — უფლება გვქონდეს ორივეს, ვიყოთ თავისუფალი და გულწრფელი, ვიქცეოდეთ ისე, როგორც გული გვიკარნახებს, ძალდაუტანებლად, ცრუ მორცხვობის გარეშე; არ გვეშინოდეს, ვაითუ დღევანდელი ნაბიჯი ხვალ სანანურად გაგვიხდეს, ვაითუ საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოვექცეთ, — უფლება გვქონდეს, გვიყვარდეს ამ წუთს და უკვე ერთი წუთის შემდეგ აღარ გვიყვარდეს. განა ეს უფრო ვაკაცური, უფრო წესიერი არ არის?

ოლივიემ სერიოზულად შეხედა და უპასუხა:

— რასაკვირველია. ეს ნამდვილად ვაკაცურია და თქვენ საამისო ძალაც შეგწევთ. მაგრამ მე ძლიერი როდი ვარ.

— მწამს, რომ ხართ, — მიუგო კრისტოფმა, — ოღონდ სხვა მხრივ. თუმცა მეც ხომ სწორედ იმისათვის მოვედი, რომ დაგეხმაროთ, ძლიერი გახდეთ, თუ მოისურვებთ. ვინაიდან წეღანდელი ჩემი ნათქვამი უფლებას მაძლევს განსაკუთრებით გულახდილი ვიყო, გავკადნიერდები დავძინო, რომ მიყვარხართ ამ წუთს, ხვალისას კი წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

ოლივიე ყურებამდე გაწითლდა. უხერხულობისგან ენა დაება და ვერაფერი უპასუხა.

კრისტოფმა ოლივიეს ბინა მოათვალიერა.

— ძალზე ვიწროდ გიცხოვრიათ. მეტი ოთახი არა გაქვთ?

— საკუჭნაო.

— უჰ! კაცს სული შეეხუთება! აქ როგორ ცხოვრობთ?

— ყველაფერს შეგუება სცოდნია.

— მე კი ვერასოდეს შევეგუებოდი.

კრისტოფმა ჟილეტი შეიხსნა, ეტყობოდა, სუნთქვა უჭირდა.

ოლივიე ფანჯარასთან მივიდა და ყურთამდე გაიღო.

— ქალაქში თავს ლაღად ვერასოდეს იგრძნობთ, ბატონო კრაფტ. მე, საბედნიეროდ, სუსტი ვარ: ისე მცირე ჰაერი მყოფნის, ყველგან ვახერხებ გაძლებას. თუმცა ზაფხულში, ღამ-ღამობით, მეც მიჭირს. დაღამებისა მეშინია: წამომჯდარი ვარ ლოგინში და მგონია, საცაა გავიგუდები.

კრისტოფმა შეხედა საწოლზე აგროვილ ბალიშებს, ოლივიეს დაღლილ სახეს და თვალწინ დაუდგა მისი ბორგვაში გათენებული ღამეები.

— სხვაგან გადადით, — უთხრა კრისტოფმა. — აქ როგორ ჩერდებით?

ოლივიემ მხრები აიჩეჩა და გულგრილად უპასუხა:

— ეჰ! რა ბედენაა, აქ თუ სხვაგან?...

ჭერზე ბრაგუნა ჩექმები დაალაჯუნებდნენ. ქვედა სართულზე ორი გაანჩხლებული ხმა ერთმანეთს ლანძღავდა. ქუჩაში ომნიბუსის რახრახზე კედლებს წამდაუწუმ ზანზარი გაჰქონდა.

— ესეც თუ სახლია! — განაგრძო კრისტოფმა. — ირგვლივ სიბინძურეს, საშინელ სიმყრალესა და არაადამიანურ სიღატაკეს დაუსადგურებია. როგორ

არ გზარავთ, რომ აქ უნდა დაბრუნდეთ ყოველ საღამოს? ნუთუ ეს აზრი სასო-წარკვეთილებაში არ გაგდებთ? მე აქ ერთ ღამესაც ვერ გავათენებდი. ათასჯერ ვამჯობინებდი ხიდქვეშ დამეძინა.

— პირველ ხანებში მეც მიმძიმდა. მეც ისეთივე ზიზღს განვიცდიდი, როგორც თქვენ. მახსოვს, ბავშვობაში ხალხით გაჭედილ ჭუჭყიან ქუჩებში სასეირნოდ რომ წამიყვანდნენ, გული ჩქროლვას დამიწყებდა და რაღაც უცნაური შიში შემიპყრობდა ხოლმე, რაც ვერავისთვის გამემხილა. „უცებ მიწისძვრა რომ მოხდეს, — ვფიქრობდი გულში, — ხომ აქ მოვკვდებოდი და სამუდამოდ ამ სიბინძურეში დავრჩებოდი-მეთქი“. მაშინ ეს ყველაზე საშინელ უბედურებად მიმაჩნდა. რას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე, ჩემივე ნება-სურვილით, ამ ჯურღმულებში მომიწევდა ცხოვრება, და ალბათ, სიკვდილიც. ბედმა ნაკლებ გულაზიზი გამხადა. ყოველივე ეს დღესაც არანაკლებ მეზიზღება, მაგრამ ვცდილობ, აღარ ვიფიქრო ამაზე. კიბეზე რომ ამოვდივარ, თვალებს ვხუჭავ, ყურებს ვიცობ, სუნთქვას ვიკრავ, ყველა შეგრძნებას ვიქოლავ და საკუთარ არსებაში ვიკეტები. აბა, აი იქ, სახურავის ზემოთ აიხედეთ, აკაციის ტოტები რომ მოჩანს. მივჯდები ამ კუთხეში და ისე, რომ გარშემო მეტი ვეღარაფერი დავინახო, ვუმზერ მის კენწეროებს. მწუხრისას, როცა სიო აკაციის ტოტებს არხევს, მელანდება, ვითომ პარიზიდან შორსა ვარ; ზოგჯერ დიდი, დაბურული ტყეების შრიალი ისე ნეტარად არ ესალბუნება ჩემს სულს, როგორც მის კუწუბიან ფოთოლთა საამო შარიშური.

— ვხვდები, — მიუგო კრისტოფმა, — რომ საოცნებო არ გელევათ. მაგრამ დასანანია, რომ ცხოვრების წვრილმან უსიამოვნებებთან ბრძოლაში ფუჭ ოცნებებზე იფლანგება ფანტაზიის ის მადლი, რომელიც ხელოვანის შემოქმედებას უნდა ხმარდებოდეს.

— ეს ხომ ყოველი ჩვენგანის ხვედრია. განა თქვენ ცოტას იხარჯებით ამაო გაშმაგებასა და ბრძოლაში?

— მე სხვა ვარ. მე ბრძოლისთვის დავიბადე. შეხედეთ ჩემს ხელებს, ამ ღონიერ მკლავებს. ჩემთვის ბრძოლა ჯანმრთელობაა. თქვენ კი ზედმეტი ძალა არ გაგაჩნიათ. ეს ისედაც ნათლად ჩანს.

ოლივიემ ხელის სუსტ, გამხდარ მტევნებზე დაიხედა და ნაღვლიანად თქვა:

— დიახ, სუსტი გახლავარ. ასეთი ვარ, რაც თავი მახსოვს. მაგრამ რას იზამ? ცხოვრება თავისას მოითხოვს.

— რით ცხოვრობთ?

— მოსწავლეებს ვამეცადინებ.

— რაში?

— ყველაფერში — ლათინურში, ბერძნულში, ისტორიაში. ბაკალავრის ხარისხისათვის ვამზადებ. ამას გარდა, ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში ზნეობას ვასწავლი.

— რას?

— ზნეობას.

— ეგ რაღა სიბრძნეა? მაშ, თქვენში ზნეობასაც ასწავლიან?

ოლივიეს გაეღიმა:

— რასაკვირველია.

— განა რა შეგონებებს აძლევთ, რომ ათ წუთში ვერ დაგიმთავრებიათ?

— კვირაში თორმეტი საათი მაქვს.

— ასწავლით, ცუდი როგორ ჩაიდინონ?

— რატომ?

— მაშ რა საჭიროა ამდენი ჩიჩინი იმისათვის, რომ იცოდნენ რა არის კარგი?

— თუ იმისათვის, რომ არ იცოდნენ?

— ღმერთმანი, უფრო სწორად: რომ არ იცოდნენ! ეს კი ყველაზე უარესი საშუალება როდია, რომ სულ დააბნიო. სიკეთე მეცნიერება არ გახლავს; იგი ქმედებაა. ზნეობაზე გაუთავებელი პაექრობა მხოლოდ ნევრასტენიკების საქმეა. ყოველგვარი ზნეობის უპირველესი კანონი კი ის არის, ნევრასტენიკი არ იყო. დალახვროს ეშმაკმა ეს ჭკუის დამრიგებლები! ეგლა მაკლია, კუტებმა სიარული მასწავლონ.

— ისინი თქვენისთანებისთვის როდი ქადაგებენ. თქვენ იცით, მაგრამ რამდენიც გნებავთ იმდენია, სიარულიც რომ არ იციან.

— რა უშავს! დაე, ფეხაუდგმელი ბავშვებივით ოთხზე იფოფხონ, ვიდრე თავისით არ გაივლიან. მანამდე კი, ორ ფეხზეა თუ ოთხზე, მთავარია, რომ დადიან.

კრისტოფი დიდი ნაბიჯებით ბოლთას სცემდა ოთახში, რომლის სიგრძე ოთხ ნაბიჯს არ აღემატებოდა. უცებ პიანინოს წინ გაჩერდა, სახურავი ასწია, ნოტები გადაფურცლა და კლავიშებს შეეხო; მერე ოლივიეს მიმართა:

— დაუკარით რამე!

ოლივიე შეკრთა:

— მე? — გაიკვირვა. — რამ მოგაფიქრათ?

— მადამ რუსენმა მითხრა, რომ კარგად უკრავთ. მიდი, დაუკარით!

— თქვენი თანდასწრებით? ოჰ! — წამოიძახა. — სირცხვილით დავიწვები.

ამ უნებლიე, გულუბრყვილო შეშფოთებაზე კრისტოფმა გულიანად გადაიხარხარა და ოლივიესაც გაეცინა დარცხვენილს.

— როგორ! — გაიკვირვა კრისტოფმა. — ფრანგებმა იცით სირცხვილი რა ხილია?

ოლივიე კვლავ თავს იცავდა:

— კი მაგრამ, რად გინდათ? რა საჭიროა?

— დაუკარით და გაიგებთ.

— რა?

— რაც გინდათ.

ოლივიემ ამოიგმინა და პიანინოს მიუჯდა: მიხვდა, ვეღარაფერს გააწყობდა ამ უცებ გამოცხადებული მეგობრის მბრძანებლურ ნებასთან და, დიდი ყოყმანის შემდეგ, დაიწყო მოცარტის წარმტაცი ადაჯიო სი-მინორში. პირველად თითები უცახცახებდა, უღონოდ რომ ეხებოდნენ კლავიშებს; მერე ოლივიე თანდათან გათამამდა, გული გაიმხნევა, მე ხომ მხოლოდ ვასრულებო მოცარტის ქმნილებას, და საკუთარი სული გამოამჟღავნა უნებლიეთ. მუსიკა ცუდი მესაიდუმლეა: იმათს ყველაზე იდუმალ გულისნადებს, ვისაც იგი უყვარს, უმხელს მათ, ვისაც მისი ენა ესმის. მოცარტის ადაჯიოს ღვთიურ ჰანგებში კრისტოფი ეკვრეტდა არა მოცარტის, არამედ ამ ჯერ კიდევ უცნობი მეგობრის უხილავ სულისკვეთებას: მთრთოლვარე, მოტრფიალე, მოკრძალებული და უბიწო არსების ნაღვლიან სიმშვიდეს, მის კდემამოსილ, ნაზ ღიმილს. ხოლო როდესაც დასასრულს მიუახლოვდა, სადაც მტანჯველი სიყვარულის ჰანგი მეჰმუნვარების მწვერვალს აღწევს და იმსხვრევა, — უნაზესმა მორცხვობამ მელოდია გააწყვეტინა ოლივიეს; თითები მოუდუნდნენ და კლავიშებს ხმა ჩაუწყდათ. პიანინოს ხელები მოსწყვიტა და წარმოთქვა:

— მეტი აღარ ძალმიძს.

კრისტოფი მის ზურგსუკან იდგა, დაიხარა, ორივე ხელი შემოხვია და გაწყვეტილი მელოდია დაამთავრა. მერე მეგობარს მიუბრუნდა:

— ახლა ვიცი, როგორ ყღერს თქვენი სული.

ოლივიეს ხელები თავის ხელებში მოიმწყვდია და დიდხანს მიშტერებოდა თვალებში. მერე დასძინა:

— უცნაურია!.. თითქოს სადღაც მინახავხართ... რა კარგად, რა დიდი ხანია გიცნობთ!

ოლივიეს ტუჩები აუთრთოლდა: თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ ისევ გაჩუმდა.

კრისტოფმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა იგი. მერე უსიტყვოდ გაუღიმა და წავიდა.

გულგაცისკროვნებული კრისტოფი კიბეზე დაეშვა. უცებ ორი ტურტლიანი ბიჭუნა შეეფეთა. ერთს პური ამოეჩარა, მეორე კი ზეთით სავსე ბოთლს მიაცუნცულებდა. ბიჭუნებს სიყვარულით ხელი მოუთათუნა ლოყებზე. გასასვლელში მოღუშულ მეკარეს გაუღიმა. ნელი ღიღინით ქუჩას გაუყვა. შალე ლუქსემბურგის ბაღში ამოყო თავი. ჩრდილში სკამზე მიწვა და თვალები მილულა. ჰაერი დახშულიყო, ნიავი არსაიდან იძვროდა. ბაღში თითო-ოროლა მოსეირნე იყო. შადრევნის ყრუ, უთანაბრო ხმაური და კანტიკუნტად გამვლელთა ფეხქვეშ ქვიშის ხრაშა-ხრუში არღვევდა მყუდროებას. კრისტოფი გადაულახავ სიზარმაცეს შეეპყრო; მზეზე მიფიცხებული ხვლიკივით მოთენთილიყო; ჩრდილი, რა ხანია, გაპარულიყო მისი სახიდან. განძრევა კი ვერ გადაეწყვიტა. აზრები ციბრუტივით უტრიალებდნენ თავში; არ ცდილა, ცნობიერებაში ამოეტივტივებინა რაიმე გარკვეული აზრი: ბედნიერების შუქს გაესხივოსნებინა

მთელი გონება. ლუქსემბურგის სასახლეზე საათმა დაჰკრა; ყური არ უგდია, უცებ მოეჩვენა, რომ თორმეტჯერ დარეკა. ზეზე წამოიჭრა; მიხვდა, რომ ზოზინში ორი საათი გაფრენილიყო: ჰეხტთან პაემანი გაეცდინა, დილა ხელიდან გასხლტომოდა. გაეცინა და სტვენით შინისაკენ გაუყვა. მოვაჭრის შეძახილზე, ხელდახელ, რობდო შეთხზა „კანონის" ფორმით. ნაღვლიანი მელოდიებიც მხიარულ ყღერადობას იძენდნენ მის სულში. ნაცნობ ქუჩაზე სამრეცხაოს რომ ჩაუარა, ჩვეულებისამებრ, შიგ შეიჭყიტა და თვალი მოჰკრა წითურ გოგონას, რომელიც აუთოებდა; ფერმკრთალი სახე სიცხისაგან აღაყღაყებოდა, უსახელო კოფთაში მხრებამდე შიშველი გამხდარი მკლავები და გაღეღილი მკერდი მოუჩანდა. როგორც ყოველთვის, გოგონამ ამჯერადაც გამომწვევი მზერა სტყორცნა ჭაბუკს; პირველად მოხდა, რომ ამ მზერამ არ გააღიზიანა კრისტოფი. გაეცინა კიდეც. თავის ოთახში რომ მოვიდა, აღარ გახსენებია არც ერთი დილანდელი საზრუნავი. ქუდი, ქურთუკი და ჟილეტი აქეთ-იქით დაუდევრად ისროლა და ისეთი აღმაფრენით შეუდგა მუშაობას, თითქოს მსოფლიოს დაპყრობა განეზრახა. მიმოფანტული შავად ნაწერი ფურცლები წამოკრიფა; კითხულობდა, მაგრამ სხვაგან დაჰქროდა გონებით; თვალები უაზროდ დარბოდნენ ნოტებზე. ცოტაც და — ისევ ლუქსემბურგის ბაღის ნეტარი თვლემა დაეუფლა: თავი ნამთვრალევივით უბრუოდა, თვალები ელულებოდა. ერთიორჯერ თავი გაიქნ-გამოიქნია, სცადა გამოფხიზლებულიყო, მაგრამ ამაოდ. მერე მხიარულად შეიკურთხა, წამოდგა და ცივი წყლით სავსე ტაშტში ჩაყო თავი. ამან ცოტა გამოაფხიზლა. ისევ მაგიდას მიუჯდა; ბაგეზე გაურკვეველი ღიმილი დასთამაშებდა. იგი უკვე ოცნებაში ჩაძირულიყო:

„რა განსხვავებაა ამ გრძნობასა და სიყვარულს შორის?"

უნებურად ხმას დაუწია, თითქოს შერცხვაო; მხრები აიჩეჩა და ჩურჩულით განაგრძო ფიქრი:

„ორგვარი სიყვარული არ არსებობს... ან, უფრო სწორად, იგი ორგვარია: სიყვარული, ყველაფერს რომ სწირავენ, და სიყვარული, რომლისთვისაც თავიანთი სიჭარბის მონარჩენს იმეტებენ მხოლოდ. ღმერთო, დაიფარე გული ჩემი ამგვარი სიძუნწისაგან!"

აზრი გაუწყდა; იდუმალმა მორცხვობამ ფიქრი აღარ გააგრძელებინა. დიდხანს გარინდებული უღიმოდა შინაგან ოცნებას. გული მღეროდა მდუმარებაში.

„Du bist mein, und nun ist das Meine meiner als jemals"...

(„შენ ჩემი ხარ, და ამიერიდან თავი ჩემი მე მეკუთვნის, როგორც არასდროს...")

ნოტების ფურცელი აიღო და დამშვიდებულმა გულიდან ამოხეთქილი სიმღერის წერა დაიწყო.

გადაწყვიტეს, ერთად დაექირავებინათ ბინა. კრისტოფი მოითხოვდა, ახლავე გადავიდეთ, დარჩენილ ქირას ნუღარ გამოვეკიდებითო. ოლივიე, უფრო

წინდახედული, ურჩევდა, თვის გასვლამდე მოეთმინათ, თუმცა მეგობართან ერთად ცხოვრება კრისტოფზე ნაკლებ არ ეწადა. კრისტოფს ვერ გაეგო ასეთი დაწვრილმანება. ყაირათიანობას, როგორც ეს ყველა ჯიბეგაფხეკილს სჩვევია, არაფრად აგდებდა. ამიტომ დაასკვნა, ალბათ, ოლივიეს ჩემზე მეტად უჭირსო. ერთხელ, როდესაც მეგობრის ხელმოკლეობამ გული დაუთუთქა, უეცრად გავიდა და ორი საათის შემდეგ დაბრუნებულმა გამარჯვებულივით წინ დაუწყო რამდენიმე ფრანკი, რომელიც ჰეხტისაგან ავანსად აეღო. ოლივიე გაწითლდა და უარი უთხრა. განაწყენებულმა კრისტოფმა დააპირა, გადაეყარა ფული იტალიელი მუსიკოსისათვის, ამ დროს ეზოში რომ უკრავდა. ოლივიემ არ დაანება. კრისტოფი გამწყრალივით წავიდა; გულში კი საკუთარ თავზე იყო გაბრაზებული: ოლივიეს უარს თავის მოუქნელობას აბრალებდა.

მეგობრის წერილი მალამოდ მოეცხო მის დაკოდილ გულს. ოლივიე სწერდა, რაც კრისტოფისთვის პირადად ვერ ეთქვა: რომ ბედნიერი იყო მისი გაცნობით და გულაჩუყებული მისი მეგობრული საქციელით. კრისტოფმა აღგზნებული და შმაგი წერილით უპასუხა, თხუთმეტი წლისას რომ მიუწერია მეგობარ ოტოსადმი; წერილი აღსავსე იყო Gemüth[1]-ითა და მიკიბულ-მოკიბული ამბებით; აკვესებდა ფრანგულ და გერმანულ ქარაგმებს, რომლებიც მუსიკალურადაც კი გაეფორმებინა.

ბოლოს, როგორც იქნა, გადავიდნენ. ბინა, რომელიც მონპარნასის უბანში, დანფერის მოედნის მახლობლად მდებარეობდა, მოთავსებული იყო ძველი შენობის მეექვსე სართულზე და სამი პაწაწინა ოთახისა და სამზარეულოსაგან შედგებოდა. იგი გადაჰყურებდა ერთი ციცქნა ბაღს, რომელიც მაღალი კედლებით იყო შემოზღუდული. მათი სართულიდან, მოპირდაპირე მოდაბლო კედლის გადაღმა იშლებოდა მონასტრის დიდი ბაღი, როგორიც მრავლად მოიპოვება პარიზში, თვალისათვის უხილავი და უცნობი. კაცის ჭაჭანება არ იყო მის უკაცრიელ ხეივნებში. ბებერი ხეები, უფრო მაღალი და გაფოთლილი, ვიდრე ლუქსემბურგის ბაღში, ტოტებში მოთამაშე მზის სხივებს ეშრიალებოდნენ; ჩიკჩიკებდნენ ფრინველთა გუნდები; როგორც კი ირიჟრაჟებდა, არემარეს ეფინებოდა შაშვების სალამურთა ტკბილი ჰანგები, რომლებსაც მალე ბეღურების გუნდის აღგზნებული და ხმაშეწყობილი გალობა ცვლიდა; ბინდისას კი, ზაფხულობით, ყურთასმენა იყო წაღებული ნამგალების ჭყივილით, რომლებიც აპობდნენ ჩამავალი მზის სხივებით გაცისკროვნებულ ცას და მის ლაქვარდში დასრიალებდნენ. ხოლო ღამით, მთვარის შუქზე, გუბის ზედაპირი წყლიდან ამოტივტივებული ბუშტებით იხატებოდა, რომლის ნოტებზე გომბეშოებს გაუთავებელი ყიყინი გაებათ. ალბათ, დაგავიწყდებოდათ, რომ პარიზში იყავით, მძიმე ფორნების რახრახი რომ არა, რომელიც ძველი შენობის კედლებს ზოგჯერ ისეთი ძალით შეაზანზარებდა ხოლმე, თითქოს დედამიწას ციებ-ცხელებისგან შეაკრეჭოლაო.

[1] გულითადობა (გერმ.).

ერთი ოთახი სხვებზე მოზრდილი და უკეთესი გახლდათ. მეგობრები დიდ-ხანს დავობდნენ: არა შენ, არა შენაო. საქმე კენჭისყრაზე მიდგა; კრისტოფმა, რომელმაც ეს იდეა შესთავაზა, ეშმაკობა იხმარა (ეს ისე მარჯვედ გამოუვიდა, თვითონვე გაუკვირდა) და მოახერხა, რომ ოთახი ოლივიესთვის ერგუნებინა.

მაშინ მათს ცხოვრებაში უსაზღვრო ბედნიერების ხანა დადგა. ბედნიერება არ ყოფილა ერთ გარკვეულ რამეში, იგი სუფევდა ერთბაშად ყველაფერში; მის შუქს გაეცისკროვნებინა ყოველი მათი მოქმედება, მათი ფიქრი. ბედნიერების განცდა არ სცილდებოდა მათს გულებს არც ერთი წამით.

მეგობრობის ამ თაფლობის თვის განმავლობაში, ისინი თითქმის არ ლაპარაკობდნენ, ერთმანეთთან ლაპარაკი ერიდებოდათ: ამ უსაზღვრო და მუნჯი ლხენის ნეტარებას მიხვდება მხოლოდ ის, „ვისაც თუნდ ერთადერთი სული ამ ქვეყნად თავისად ეგულვის“... — Ja, wer auch nur eine Seele sein nennt auf dem Erdenrund... საკმარისი იყო, ერთმანეთის გვერდით ეგრძნოთ თავი, მზერა მზერას შეხვედროდა, უბრალოდ სიტყვა დაეძრათ და — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, კვლავ რწმუნდებოდნენ, რომ მათი ფიქრები ერთსა და იმავე დინებას გაეტაცებინა. არაფერს ჰკითხავდნენ, თვალსაც კი არ შეავლებდნენ ერთმანეთს, და მაინც განუწყვეტლივ ხედავდნენ ერთიმეორის გამომეტყველებას. შეყვარებული შეუცნობლად ემსგავსება ბუნებით მას, ვინც უყვარს; ისე დიდი წადილი აქვს, არაფრით ეხამუშოს მას, მისი ორეული გახდეს, რომ ანაზდად, იდუმალი წინათგრძნობის წყალობით, მისი სულის უხილავ მოძრაობებს ჭვრეტს. მეგობარი გამჭვირვალეა მეგობრისათვის; ისინი უზიარებენ ერთმანეთს საკუთარი არსების იდუმალებას. ხასიათი ბაძავს ხასიათს, სული ბაძავს სულს,— ვიდრე ერთ დღეს შინაგანი ბოროტი ძალა უცებ არ აიწყვეტს და თავს არ დააღწევს სიყვარულის ხიბლს, რომელსაც დაეტყვევებინა იგი.

კრისტოფი ხმადაბლა ლაპარაკობდა, ფეხაკრეფით დადიოდა იატაკზე, ფრთხილობდა, რომ ხმაურით მყუდროება არ დაერღვია გვერდით ოთახში მყოფი, მდუმარე ოლივიესათვის. მეგობრობას გარდაექმნა კრისტოფი: მისი გამომეტყველება ისეთ ბედნიერებასა და ნდობას გამოხატავდა, როგორიც არ ენახათ ჯერ კრისტოფის სახეზე. იგი აღმერთებდა ოლივიეს. ის კი, რომელსაც სულ ადვილად შეეძლო ბოროტად გამოეყენებინა ეს, მხოლოდ წითლდებოდა თავისი ძალაუფლებით, როგორც დაუმსახურებელი წარმატებით, რადგან ოლივიე კრისტოფზე დაბლა აყენებდა თავს, თუმცა, თავის მხრივ, კრისტოფიც არანაკლებ თავმდაბალი გახლდათ. ეს ურთიერთმოკრძალება, დიდი სიყვარულიდან რომ მომდინარეობდა, მათ მეგობრობას კიდევ უფრო მეტ სიამეს ანიჭებდა. ნეტარება მას, ვისაც მეგობრის გულში ესოდენ დიდი ადგილი მოუპოვებია, მით უმეტეს, თუ მის წინაშე არაფერი დაგიმსახურებია. ამის გამო, ორივე მეგობარი მხურვალე მადლიერებით იყო გამსჭვალული ერთმანეთის მიმართ.

ოლივიემ თავისი ბიბლიოთეკა კრისტოფის წიგნებს შეუერთა და ერთმანეთისგან აღარ განურჩევია ისინი. თუ რომელიმე მათგანის დასახელება უნ-

დოდა, იგი არ იტყოდა: „ჩემი წიგნი“, არამედ: „ჩვენი წიგნიო“. მხოლოდ მცირეოდენი საგნები არ შეურევია საერთო განძში; ეს ის ნივთები გახლდათ, რომელიც ოდესღაც მისი დის კუთვნილებას წარმოადგენდა, ან მის ხსოვნასთან იყო დაკავშირებული. კრისტოფს, რომელიც სიყვარულს უაღრესად გულხმიერი და თავდაჭერილი გაეხადა, მხედველობიდან არ გამოეპარა ოლივიეს საქციელი, მაგრამ არაფერი უგრძნობინებია; თუმცა ვერ აეხსნა იგი. კრისტოფმა იცოდა, რომ ოლივიეს მშობლები აღარ ჰყავდა, მაგრამ მათ შესახებ არასოდეს არაფერი უკითხავს: ჯერ ერთი, შეყვარებულის თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა მეგობრის ოჯახური საიდუმლო გამოეჩხრიკა; გარდა ამისა, ეშინოდა, მიძინებული მწუხარება არ გაეღვიძებინა მის გულში. რაღაც უცნაური მოკრძალება ბორკავდა მის ძლიერ სურვილს, მისულიყო ოლივიეს მაგიდასთან და ყურადღებით დაეთვალიერებინა ფოტოსურათები, საიდანაც იმზირებოდნენ გაჯგიმულ პოზაში გადაღებული მამაკაცი, მანდილოსანი და თორმეტი წლის გოგონა, რომლის ფერხთით მოზრდილ ნაგაზს მოეკალათებინა.

ახალ ბინაში გადასვლიდან ორი-სამი თვის შემდეგ ოლივიე გაცივდა და ლოგინად ჩავარდა. კრისტოფი, რომელმაც დედობრივი მზრუნველობის უნარი გამოამჟღავნა, სიყვარულით დასტრიალებდა თავს ავადმყოფს. ექიმმა ფილტვის ზედა ნაწილში ანთების ნიშნები აღმოუჩინა ოლივიეს და კრისტოფს დაავალა, იოდით დაეზილა ავადმყოფის ზურგი. ერთხელ, პირნათლად რომ ასრულებდა დავალებას, კრისტოფმა ხატი შენიშნა ოლივიეს ყელზე. მეგობარს უკვე საკმაოდ იცნობდა და იცოდა, რომ რელიგიური რწმენისაგან იგი თვით კრისტოფზე უფრო თავისუფალი იყო. ამიტომ გაკვირვება ვეღარ დამალა.

ოლივიე გაწითლდა და წარმოთქვა:

— სახსოვარია. ჩემს საბრალო პატარა ანტუანეტას ეკიდა ყელზე სიკვდილის წუთებში.

კრისტოფს გაეჩერა: ანტუანეტას სახელმა ელვასავით გაიბრწყინა მის სულში.

— ანტუანეტა? — შეეკითხა იგი.

— ჩემი და, — განმარტა ოლივიემ.

— ანტუანეტა?... ანტუანეტა ჟანენი?... მაშ, თქვენი და იყო?... მაგრამ, — თქვა კრისტოფმა და მაგიდაზე ფოტოსურათს დააცქერდა. — იგი ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ყოფილა, როცა დაგიკარგავთ?

ოლივიემ ნაღვლიანად გაიღიმა:

— ეგ პატარაობის სურათია, სხვა არ გამაჩნია... იგი ოცდახუთი წლის იყო, როდესაც სამუდამოდ დამტოვა.

— აა! — წამოიძახა აღელვებულმა კრისტოფმა. — იგი ერთ დროს გერმანიაშიც ცხოვრობდა, არა?

ოლივიემ თავი დაუქნია.

კრისტოფმა ხელები დაუჭირა:

— მე ვიცნობდი მას!

— ვიცი, — უპასუხა ოლივიემ და კრისტოფს ყელზე ჩამოეკიდა.

— საბრალო გოგონა! საბრალო ბავშვი! — იმეორებდა კრისტოფი.

ორივენი ტიროდნენ.

კრისტოფს გაახსენდა, რომ ოლივიე შეუძლოდ იყო. დამშვიდება სცადა, მკლავები ლოგინში შეაყოფინა, საბანი მხრებზე წამოახურა და მშობლიური მზრუნველობით ცრემლი მოსწმინდა; თავთით დაუჯდა და თვალებში ჩახედა.

— აი, თურმე რატომ მეცნობოდი, — თქვა კრისტოფმა. — პირველსავე საღამოს გიცანი.

(ძნელი გამოსაცნობი იყო, რომელ მეგობარს ესაუბრებოდა: მას, რომელიც ამ წუთს მის წინ იდგა, თუ მას, ამ ქვეყნად რომ უკვე აღარ იყო).

— მაშ, — განაგრძო კრისტოფმა ცოტა ხნის შემდეგ, — შენ ეს იცოდი?... რატომ აქამდის არაფერს მეუბნებოდი?

ოლივიეს თვალებით ანტუანეტამ უპასუხა:

„მე არ შემეძლო მეთქვა. შენ უნდა ამოგეკითხა“.

ერთხანს დუმდნენ, კრისტოფს ხელი დაედო მეგობრის ხელზე; მერე ოლივიემ, გაუნძრევლად რომ იწვა, ღამის სიჩუმეში ხმადაბლა მოუთხრო მას ანტუანეტას თავგადასავალი. მაგრამ არ უთქვამს ის, რასაც ვეღარ ეტყოდა: საიდუმლო, რომელიც ანტუანეტამ გულში ჩაიმარხა, და კრისტოფმა, ალბათ, უთქმელადაც იცოდა.

მას შემდეგ ანტუანეტას სულმა თავის შარავანდედში გაახვია ორივე მეგობარი. როდესაც ერთად იყვნენ, ანტუანეტაც მათთან იმყოფებოდა. საჭირო არ იყო, მასზე ეფიქრათ: ყველაფერი, რასაც ერთად ფიქრობდნენ, მას უკავშირდებოდა. ანტუანეტას სიყვარული ის შემაკავშირებელი რგოლი იყო, რომელიც აერთებდა მათს გულებს.

ოლივიე ხშირად ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა ანტუანეტას სახე. ეს გახლდათ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონებები, ცალკეული შემთხვევები. ამ მოგონებათა წუთიერ შუქზე წარმოდგენაში ცოცხლდებოდა უდროოდ გამქრალი არსების კდემამოსილი და მოხდენილი ჟესტი, მისი ნორჩი, დინჯი ღიმილი, მისი ფიქრმორეული სიტურფე. კრისტოფი მდუმარედ უსმენდა და მისი გონება დაკარგული მეგობრის ანარეკლებს გაესხივოსნებინა. თავისი ბუნების კანონის ძალით, ბუნებისა, რომელიც ყველგან და ყოველთვის სხვაზე ხარბად შეიწოვდა სიცოცხლის ნექტარს, — კრისტოფი ზოგჯერ ისე ცხადად ისმენდა შორეულ გამოძახილს ოლივიეს სიტყვებში, თავად ოლივიესაც რომ ვერ ესმოდა: კრისტოფის წარმოდგენაში უფრო ცხოვლად აღდგებოდა გარდაცვლილი გოგონას არსება.

კრისტოფს, უნებლიეთ, ანტუანეტას მაგივრობა სურდა გაეწია ოლივიესათვის; და რარიგ გულის ამაჩუყებელი სანახავი იყო, როდესაც ეს მოუხეშავი

ჯერმანელი ცდილობდა ანტუანეტასებრ ნაზი გულისხმიერება და თავაზიანობა გამოეჩინა მეგობრისადმი. ზოგჯერ ვეღარც კი გაეგო, ოლივიე უყვარდა ანტუანეტაში, თუ ანტუანეტა ოლივიეში. სიყვარულის ფაქიზი გრძნობით შთაგონებული, საიდუმლოდ დადიოდა ანტუანეტას საფლავზე და ყვავილები მიჰქონდა. ოლივიემ დიდხანს არ იცოდა ეს. ამას მაშინ მიხვდა, როდესაც დის სამარეზე ცოცხალი ყვავილები დაინახა. თუმცა კრისტოფის გამოტეხა არც ისე იოლი აღმოჩნდა. როდესაც ოლივიემ ამის თაობაზე გაუბედავად ჩამოუგდო ლაპარაკი, კრისტოფმა ბურტყუნით სიტყვა ბანზე აუგდო: გაგონებაც არ სურდა, რომ ამის შესახებ ოლივიეს რაიმე სცოდნოდა. ასე ჯიუტობდა, ვიდრე ერთ დღეს ივრის სასაფლაოზე მოულოდნელად არ შეეფეთნენ ერთმანეთს.

თავის მხრივ, ოლივიე, მეგობრის ნამალავად, წერილებს სწერდა კრისტოფის დედას: შვილის ამბავს ატყობინებდა; უყვებოდა, როგორ უყვარდა კრისტოფი, რარიგ აღტაცებული იყო მისით. ლუიზა ერთფეროვანი და მოკრძალებული წერილებით უპასუხებდა, რომლებშიც მადლობით ავსებდა ოლივიეს; შვილს კი სულ ისე იხსენიებდა, თითქოს იგი ისევ პატარა ბიჭუნა ყოფილიყო.

გავიდა უტყვი სიყვარულის ხანა, ხანა იმ „წარმტაცი სიმშვიდისა, გულს გამოუცნობი ლხენით რომ ავსებს“, და მეგობრებს ენა გაეხსნათ: საათობით ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს მეგობრის სულის ჯერ კიდევ მიუკვლეველ იდუმალებათა შესაცნობად.

კრისტოფი და ოლივიე სულ სხვადასხვა ყალიბისანი იყვნენ, მაგრამ ორივე ერთი წმინდა ლითონისგან ჩამოსხმულნი. ერთმანეთი უფრო იმიტომ უყვარდათ, რომ ესოდენ განსხვავდებოდნენ და მაინც ერთი და იგივე იყვნენ შინაგანად.

ოლივიე სუსტი და უღონო, არსებობისათვის ბრძოლაში უსუსური იყო. რაიმე დაბრკოლებას რომ წააწყდებოდა, უმალ უკან იხევდა; მაგრამ არა იმიტომ, რომ ეშინოდა, არამედ ერიდებოდა, უფრო კი ეთაკილებოდა ის უხეში, უღირსი ხერხები, რომლებიც საჭიროა ცხოვრებაში წარმატების მოსაპოვებლად. თავს გაკვეთილებით ირჩენდა; აქვეყნებდა წიგნებს ხელოვნებაზე, რაშიც, ჩვეულებრივ, სამარცხვინო გროშებს უხდიდნენ. შიგადაშიგ მიმოხილვებსაც წერდა ჟურნალებისთვის, სადაც თავის აზრს თავისუფლად ვერასოდეს გამოთქვამდა, თანაც ისეთ თემებზე, მაინცდამაინც რომ არ აღელვებდა: იმაზე, რაც მას აღელვებდა, მოთხოვნილება არ იყო. არასოდეს სთხოვდნენ გაეკეთებინა ის, რაც მას ყველაზე უკეთ შეეძლო; ბუნებით პოეტი იყო, მას კი კრიტიკულ სტატიებს აწერინებდნენ; მუსიკაში ერკვეოდა და ფერწერაზე ალაპარაკებდნენ. იცოდა, ამ სფეროში, რაღაც საშუალოს გარდა, საგულისხმოს ვერაფერს იტყოდა; მათ სწორედ ეს საშუალო მოსწონდათ, რადგან ელაპარაკებოდა საშუალოებს თავიანთ ენაზე. ბოლოს შეზიზღდა და ხელი აიღო წერაზე. მუშაობის ხალისს მხოლოდ პატარა ჟურნალებთან თანამშრომლობაში პოულობდა; ისინი თუმცა არაფერს უხდიდნენ, მაგრამ მრავალი ახალგაზრდა ავტორის მსგავ-

ხად, ერთგულად ემსახურებოდა მათ, რადგან იქ თავისუფალი იყო. მხოლოდ მის ფურცლებზე შეეძლო გამოემეღავნებინა ის ნამდვილად ღირებული, რომელიც ცოცხლობდა მასში.

წყნარი, თავაზიანი და გარეგნულად მომთმენი ოლივიე უაღრესად მგრძნობიარე გახლდათ. ოდნავ მკვახე სიტყვა გულს უკოდავდა; უსამართლობა სულს უშანთავდა მაშინაც, როცა მას საკუთარ თავზე განიცდიდა, და მაშინაც, თუ სხვის მიმართ იჩენდნენ. საუკუნეთა წინათ ჩადენილი სულმდაბლობა ისე ტანჯავდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო მისი მსხვერპლი. ბრაზისაგან ფითრდებოდა, ბოღმა ახრჩობდა, უბედურად რაცხდა თავს იმ ადამიანის სიბრალულით, ვისაც ეს დაუმსახურებელი დამცირება აეტანა, და წუხდა, რომ საუკუნეები აშორებდა, გამოსარჩლებოდა. ხოლო როდესაც უსამართლობის უშუალო მოწმე გახდებოდა, ისეთი გულისწყრომა იფეთქებდა ხოლმე მასში, მთელი სხეულით ცახცახებდა, ზოგჯერ ავადაც ხდებოდა და ძილი ეკარგებოდა. ოლივიემ იცოდა თავისი სისუსტე და ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა, რომ მოთმინებიდან გამოსულს პირში არ მიეხალა სიმართლე, რასაც არასოდეს ივიწყებენ ადამიანები. ეს წყენა განსაკუთრებით გულში რჩებოდათ მისგან, ვიდრე შუდამ ფიცხი კრისტოფისაგან, რადგან ხვდებოდნენ, რომ ოლივიე წონასწორობიდან გამოსვლის წუთებშიც მხოლოდ და მხოლოდ იმას ლაპარაკობდა, რასაც გონებაში ფიქრობდა. ეს მართალიც იყო. იგი მათ კრისტოფისებური ბრმა გაზვიადებით, ანდა რაღაც ილუზიებით კი არ სჯიდა, არამედ ულმობლად ფხიზელი გონებით. ამას კი ადამიანები ყველაზე უფრო არ გაპატიებენ. ამიტომ ოლივიე უმეტესად დუმილს ამჯობინებდა და ერიდებოდა კამათს: იცოდა, ყოველგვარი კამათი ამაო იყო. მაგრამ გაჩუმებაც ყოველთვის როდი გახლდათ იოლი. ოლივიე ყველაზე მეტად მაინც თავის მორიდებულობას განიცდიდა, რომლის გამო ხშირად იძულებული იყო ეღალატა საკუთარი მრწამსისათვის, ბოლომდე არ დაეცვა იგი, ანდა ბოდიშიც კი მოეხადა მოკამათის წინაშე, როგორც მაგალითად, ლუსიენ ლევი-კერთან მოიქცა კრისტოფზე კამათის დროს. ოლივიემ ბევრჯერ გამოსცადა სასოწარკვეთილება, ვიდრე საბოლოოდ შეურიგდებოდა გარესამყაროს და თვით საკუთარ თავს. სიჭაბუკის წლებში, როდესაც მას ჯერ კიდევ გრძნობები განაგებდა, მის ცხოვრებაში სულიერი აღმაფრენის ხანას ბევრჯერ მოჰყოლია ხანა გულგატეხილობისა, უეცრად და გარდუვალად რომ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. იმ დროს, როდესაც ბედნიერებაში მყოფი ნეტარებას მისცემოდა, უნდა ეფიქრა, რომ ბედი ახალ მწუხარებას უმზადებდა. მართლაც, ანაზდად, ვიდრე გონს მოსვლას მოასწრებდა, მისი რისხვა საიდანღაც თავს დაატყდებოდა. მაგრამ მარტო მწუხარებას როდი აკმარებდა: თავისივე უბედურების საბაბად აქცევდა, რომ სანანებლად გაეხადა თავისი სიტყვები, გაეკიცხა თავისი საქციელი, განეცადა სინდისის ქენჯნა და საკუთარი თავის ბრალმდებელი გამხადირყო. გული გაშმაგებით უჩქროლავდა მკერდში, თავის თავთან უმწეოდ დავობდა და ხმა უწყდებოდა. მაგრამ ანტუანეტას სიკვდილის

შემდეგ, იქნებ სწორედ ამ სიკვდილის წყალობითაც, იმ ნათელი შარავანდედის წყალობით, რომლითაც ზოგიერთი ჩვენი გარდაცვლილი მახლობელი ისე გვაცისკროვნებს და გვაწყნარებს, როგორც განთიადის სხივი ავადმყოფის სულს,— ოლივიემ შესძლო დაემორჩილებინა საკუთარი ვნებები და თუმცა ვერ აიცილა მოზღვავებული მწუხარება, მოითმინა და არ გაეთელინა მას. ბევრი როდი ხვდებოდა ამ შინაგან ჭიდილს. ოლივიე გულში იკლავდა, ვით დამამცირებელ საიდუმლოს, უნებლიე დრტვინვას მიკნავებული და ტანჯული სხეულისა, რომელსაც ვერ მორეოდა, მაგრამ არც მას ემონებოდა ლაღი და წყნარი გონება — „შინაგანი სიმშვიდე, რომელიც სუფევს უსაზღვრო მღელვარების წიაღში“.

ამას გაეცებინა კრისტოფი. ეს სიმშვიდე გამოკრთოდა მეგობრის თვალთაგან. ოლივიეს ადამიანთა გულთამხილავი წინათგრძნობა და ფართო, გამჭრიახი, ცნობისმოყვარე და ყველაფრისადმი გახსნილი გონება ჰქონდა; იგი არაფერს უარყოფდა, არაფერს შეიძულებდა და ყოველივე ადამიანურს დიდსულოვანი თანაგრძნობით უყურებდა, — ცხოვრების საღი ხედვის უნარი ის ფასდაუდებელი ნიჭი გახლავთ, რომელიც გულს ჭაბუკურ ხალისს უნარჩუნებს და მარადიული განახლების სიტკბოებას შეაგრძნობინებს. თავის შინაგან სამყაროში, სადაც ოლივიე უსაზღვრო თავისუფლებასა და მეუფებას გრძნობდა, საკუთარი სისუსტე და ხორციელი სატკივარი ავიწყდებოდა. იგი დამცინავი სიბრალულით უმზერდა შორიდან თავის უძლურ სხეულს, რომელსაც ყოველ წუთს უკვალოდ გაქრობა მოელოდა და ეს აზრი რაღაც იდუმალ სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა: ასე, სიკვდილით არაფერს დაკარგავ, ხოლო სიცოცხლეს კი უფრო მხურვალედ შეიყვარებ. მთელ თავის ძალ-ღონეს, რომელსაც ოლივიე მოქმედების ასპარეზზე უარყოფდა, სიყვარულსა და აზროვნებას ახმარდა. მას არ ჰყოფნიდა თავისი ნექტარი, რომ მარტოოდენ საკუთარი არსებით ეცოცხლა. იგი სუროს ჰგავდა, რომელსაც სჭირდება რაღაცას შემოეხვიოს. იმაზე მდიდრად არასოდეს გრძნობდა თავს, როდესაც მთლიანად ვინმეს ეკუთვნოდა. ქალური ბუნება ჰქონდა, რომელსაც არ შეუძლია არავინ უყვარდეს და არავის უყვარდეს. ოლივიე კრისტოფისათვის იყო შექმნილი და კრისტოფი ასულდგმულებდა მას. ასეთნი იყვნენ ის ჩინებული და წარმტაცი მეგობრები, რომლებიც ახლდნენ ცხოვრების გზაზე თითქმის ყველა დიდ მხატვარს; ისინი, ვით ნაზი ყვავილები, ამ შემოქმედთა ძალუმი სულიდან შეიწოვდნენ სიცოცხლის საზრდოს: ბელტრაფიო — ლეონარდოს მეგობარი, კავალიერი — მეგობარი მიქელანჯელოსი, უმბრიელი ამხანაგები ჭაბუკი რაფაელისა და აერტ ვან გელდერი, ბოლომდე ერთგული რომ დარჩა გაღატაკებული და მოხუცი რემბრანდტისა. მათ არ გააჩნიათ ხელოვანთა დიდება; მაგრამ რაც კი რამ კეთილშობილი და წმინდაა ამ ხელოვანთა სულში, თითქოს კიდევ უფრო შთაგონებულად გაცოცხლებულა მათს მეგობრებში. ისინი გენიოსების იდეალური თანამგზავრნი არიან.

მეგობრობა მადლად მოევლინა ორივეს. მეგობარი ფასს ანიჭებს ცხოვრებას; მისი გულისათვის ცოცხლობ, მისი გულისათვის იცავ შენი არსების სიმრთელეს დროის ხავსისაგან.

ისინი ავსებდნენ და ამდიდრებდნენ ერთმანეთს. ოლივიეს მშვიდი გონება ჰქონდა, მაგრამ უძლური იყო, კრისტოფი კი — ძლიერი, მაგრამ მშფოთვარე სული ჰქონდა. ისინი დამბლადაცემულსა და უსინათლოს ჰგავდნენ. ახლა, როცა ერთმანეთი გვერდით ჰყავდათ, ორივენი ავსებდნენ ერთიმეორეს. მეგობრის ჩრდილში ოლივიეს კვლავ სინათლისკენ გაუწია გულმა; კრისტოფი თავისი მჩქეფარე ცხოველმყოფელობის, თავისი ხორციელი და სულიერი სიძლიერის ნაწილს გადასცემდა მეგობარს, რაც ოპტიმიზმს უნარჩუნებდა ოლივიეს მაშინაც კი, როცა მწუხარება ეუფლებოდა, როცა თვით უსამართლობასა და სიძულვილს ხვდებოდა. მაგრამ კრისტოფი მაინც გაცილებით მეტს იღებდა ოლივიესაგან, ვიდრე ოლივიე კრისტოფისაგან, რადგან, თანახმად კანონისა, გენიოსი, რაც უნდა ბევრს გასცემდეს, მაინც მეტს იღებს სიყვარულში, ვიდრე გასცემს, quia nominor leo[1], იმიტომ რომ გენიოსია; გენიოსობა კი ნახევრად იმას ნიშნავს, რომ შთანთქას რაც მის გარშემო დიდი და მაღალია, რათა იგი კიდევ უფრო განადიდოს და აღამაღლოს. ქონებავ, სად მიხვალ და — საცა ბევრიაო,— ამბობს ხალხური სიბრძნე. ძალა ძლიერთან მიდის. კრისტოფი ოლივიეს აზრებით საზრდოობდა; იჟღინთებოდა მისი გონებრივი სიმშვიდით, მისი ცივი განსჯის, საგნებისა და მოვლენების საღი ხედვის უნარით, რომელიც შეიცნობს და მდუმარედ მბრძანებლობს ყველაფერზე. ხოლო კრისტოფში გადანერგილი და მის ნოყიერ ნიადაგში ნახარები მეგობრის ღირსებანი სულ სხვა ძალით იფურჩქნებოდნენ.

ორივენი აღტაცებაში მოჰყავდა ხასიათის თავისებურებებს, ერთმანეთში რომ აღმოაჩენდნენ ხან ერთი, ხან მეორე. რამდენი რამ ჰქონიათ გასაზიარებელი! მეგობრები გულუხვად უნაწილებდნენ ერთურთს თავ-თავის აურაცხელ სიმდიდრეს, რომელიც აქამდე თვითონაც არ ჰქონდათ თურმე შეცნობილი; ეს მათი ხალხების სულიერი საუნჯე იყო: ოლივიე საფრანგეთის ვრცელ კულტურასა და ფსიქოლოგიური წვდომის უნარს უმხელდა, კრისტოფი კი — გერმანიის შინაგან მუსიკალობასა და ბუნების შეცნობის თანდაყოლილ ალღოს.

კრისტოფს ვერ გაეგო, რა ფრანგი იყო ოლივიე. მისი მეგობარი ხომ ესოდენ არ ჰგავდა არც ერთ იმ ფრანგს, რომლებიც მანამდე ენახა! სანამ ოლივიეს შეხვდებოდა, კრისტოფი მზად იყო, რომ თანამედროვე ფრანგი ინტელიგენტის ტიპიურ წარმომადგენლად მიეჩინა ლუსიენ ლევი-კერი, რომელიც სინამდვილეში მის კარიკატურად თუ გამოდგებოდა. მაგრამ აი, ოლივიეს მაგალითი არწმუნებდა, რომ პარიზში ყოფილან ლუსიენ ლევი-კერზე უფრო გონებაფხიზელი და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ამავე დროს სიწმინდესა და ურყევობას ინარჩუნებდნენ. კრისტოფს სურდა დაემტკიცებინა ოლი-

[1] იმიტომ რომ ლომი მქვია (ლათ.).

ვიესათვის, რომ იგი და მისი და — ანტუანეტა წმინდა ფრანგები არ უნდა ყოფილიყვნენ.

— ჩემო კეთილო მეგობარო, — უთხრა ოლივიემ, — რა იცი შენ საფრანგეთის შესახებ?

კრისტოფი შეეპასუხა, სამწუხაროდ, უკვე საკმაოდ ვიცი, და ჩამოუთვალა ყველა ფრანგები, სტივენსებისა და რუსენების საზოგადოებაში რომ შეხვედროდა: ებრაელები, ბელგიელები, ლუქსემბურგელები, ამერიკელები, რუსები, აღმოსავლელები და აქა-იქ თითო-ოროლა მკვიდრი ფრანგი ძლივს დაასახელა.

— აკი გითხარი, — მიუგო ოლივიემ, — შენ ჯერ კიდევ არც ერთი ნამდვილი ფრანგი არ გინახავს. საფრანგეთზე მსჯელობ ამ გარყვნილ საზოგადოებით, ამ ავხორცი პირუტყვებით, სინამდვილეში რომ არც არიან ფრანგები, დარდიმანდი მოქეიფეებით, პოლიტიკანებით, უქნარებით, მთელი ამ ყარტაყურტათი, რომელიც ისე ქრება, რომ ვერავითარ ნაკვალევს ვერ ტოვებს ერის სახეზე. შენ გინახავს შემოდგომის მწიფე ბაღების სურნელით გაღიზიანებული კრაზანების მირიადები, მაგრამ ვერ შეგინიშნავს დაუცხრომელი ფუტკრის სკები, შრომის ფერხული და აზრის გაცხოველებული რუდუნება.

— მომიტევე, — უთხრა კრისტოფმა, — მაგრამ თქვენი ინტელიგენციის ნაღებიც მინახავს.

— რა? ორი-სამი ათეული მწიგნობარი? დიდი ამბავი! დღეს, როცა მეცნიერებამ და მოქმედებამ ასეთ მასშტაბებს მიაღწიეს, ლიტერატურა ხალხის აზრის ყველაზე ზერელე გამოხატულებად იქცა. თუმცა ან ლიტერატურას რას იცნობ, თუ არა მხოლოდ თეატრს, თეატრს ფუფუნებისა, ამ ინტერნაციონალურ სამზარეულოს, რომელიც კოსმოპოლიტურ სასტუმროთა მდიდარი მუშტრის გემოვნებას აკმაყოფილებს. პარიზის თეატრები? იცი, რომ მშრომელ კაცს წარმოდგენა არა აქვს, რა გადის იქ? პასტერი თავის სიცოცხლეში ათჯერაც არ ყოფილა თეატრში! როგორც ყველა უცხოელი, შენ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებ ჩვენს რომანებსა და ბულვარულ სპექტაკლებს, ჩვენი პოლიტიკოსების ხრიკებს... მე შემიძლია, გაჩვენო ფრანგი ქალები, რომლებიც არასოდეს კითხულობენ რომანებს, პარიზელი ქალიშვილები, რომელთაც არ იციან თეატრის გზა, კაცები, თავის დღეში პოლიტიკაში რომ არ ჩარეულან, — და ეს ინტელექტუალურ ადამიანთა შორის. შენ არც ჩვენს მეცნიერებს იცნობ, არც ჩვენს პოეტებს. არც ჩვენი ხელოვანნი გინახავს, მარტოობაში ჩუმად რომ იფერფლებიან; არც ჩვენი რევოლუციონერების გულში მოგიზგიზე ნაღვერდალის მხურვალება გიგრძვნია. არ გინახავს არც ერთი ჭეშმარიტი მორწმუნე, არც ერთი ჭეშმარიტი ურწმუნო. ხალხზე უკვე აღარას ვამბობ. რა იცი მის შესახებ? ვის იცნობ იმ საწყალი ქალის მეტს, შენ რომ გივლიდა? სად უნდა შეხვედროდი მათ? რამდენ პარიზელს იცნობ, მესამე ან მეოთხე სართულზე ზევით რომ ცხოვრობდეს? თუ მათ არ იცნობ, მაშასადამე, არც საფრანგეთი გცნობია. არ

იცნობ პარიზის სხვენებსა და ღარიბულ ქოხმახებში შეხიზნულ, აგრეთვე, შიყრუებულ პროვინციაში მცხოვრებ გულწრფელ, პატიოსან ადამიანებს, მთელი თავიანთი უღიმღამო ცხოვრების მანძილზე ერთგულად რომ ემსახურებიან მაღალ პრინციპებს და მსხვერპლად სწირავენ თავიანთ ყოველდღიურ არსებობას; ისინი იმ მცირე ეკლესიას ქმნიან, რომელიც მუდამ არსებობდა საფრანგეთში, — მცირე რიცხობრივად, მაგრამ დიადი თავისი სულით; ეს თითქმის უცნობი კრებული, რომელიც არ ცდილობს ძალით თავი გამოიჩინოს, წარმოადგენს სწორედ საფრანგეთის მთელ ძალას: იგი დუმს და ძლებს, მაშინ როდესაც ე. წ. „ელიტა“ განუწყვეტლივ ლპება და ცვალებადობას განიცდის... შენ გაგკვირვებია, რომ შეხვდი ფრანგს, რომელიც ცოცხლობს არა იმისათვის რომ ისიამოვნოს, დატკბეს რადაც უნდა დაუჯდეს, არამედ განახორციელოს თავისი მრწამსი ან ემსახუროს მას. ათასობით არიან ჩემისთანა და ჩემზე გაცილებით ღირსეულნი, უფრო ერთგულნი, უფრო თავდადებულნი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ურყევად რომ იცავენ ერთ იდეალს, ერთ ღმერთს, თუმცა მას არ ესმის მათი ღაღადისი. არ იცნობ უბრალო ხალხს, მომჭირნე, წესიერ, მუყაითსა და მშვიდობიან ადამიანებს, ვის გულშიაც ჯერ არ განელებულა გზნების ალი, — მუდამ განწირულ ხალხს, რომელსაც ოდესღაც ამა ქვეყნის ძლიერთა სიხარბის წინააღმდეგ ჩემი თანამემამულე, ცისფერთვალება მოხუცი ვობანი გამოესარჩლა. არ იცნობ ხალხს, არ იცნობ მის ჭეშმარიტ რჩეულთ. წაგიკითხავს ერთი წიგნი მაინც იმათ შორის, რომლებიც ჩვენს ერთგულ მეგობრებად და თანამოაზრეებად გვეგულებიან და გვამხნევებენ ცხოვრებაში? უბრალოდ თუ იცი, რომ არსებობს ახალი ჟურნალები, სადაც ამდენი თავდადება და რწმენა იხარჯება? იქნებ ეჭვი გეპარება, რომ გვყავს ზნეობრივად მაღალი პიროვნებები, რომლებიც ჩვენს მზედ დაგვისახავს და ვისი მდუმარე ბრწყინვალებაც კი შიშის ზარსა სცემს ფარისეველთა ბრბოებს? ეს უკანასკნელნი, პირდაპირ ბრძოლას რომ ვერ უბედავენ, ქედს იხრიან მათს წინაშე, რათა უფრო ადვილად მოახერხონ მათი ღალატი. ფარისეველი მონაა; ხოლო როდესაც მონებს ახსენებენ, ბატონებიც იგულისხმება. შენ მხოლოდ მონებს იცნობ, ბატონებს კი არა... შენ ნახე ჩვენი შეტაკება და ველურ უაზრობად მოგეჩვენა იგი: იმიტომ რომ ვერ ჩასწვდი მის აზრს. ჩრდილებსა და მკრთალ ანარეკლებს ხედავ, მაგრამ ვერ ამჩნევ კაშკაშა სინათლეს — ჩვენს მრავალსაუკუნოვან სულს. გიცდია კი ოდესმე, შეგეცნო იგი? თვალი გადაგივლია ოდესმე ჩვენი გმირული ღვაწლისათვის — ჯვაროსნული ლაშქრობიდან მოკიდებული პარიზის კომუნამდე? მიმხვდარხარ ფრანგული სულის ტრაგიკულობას? დახრილხარ ოდესმე პასკალის უფსკრულის თავზე? როგორ კადრულობ, ცილი დასწამო ხალხს, რომელიც ათ საუკუნეზე მეტია იღვწის და ქმნის, ვინც გოთიკური ხელოვნებით, მეჩვიდმეტე საუკუნითა და რევოლუციით მთელი მსოფლიო თავის ყაიდაზე გარდაქმნა, — ხალხს, რომელმაც ბარე ოცჯერ გამოიარა ცეცხლის გამოცდა, მაგრამ ვერ მოკლეს და ოცჯერვე აღდგა კიდევ უფრო გამოწრთობილი!.. ერთნი

ხართ ყველანი. საფრანგეთში ჩამოსული ყოველი შენი თანამემამულე მხოლოდ იმ მუქთახორებს ამჩნევს, ჩვენს ხალხს რომ ღრღნიან, ლიტერატურას, პოლიტიკასა და ფულიან საქმეებს მიტმასნილ ავანტურისტებს, თავიანთი მომმარაგებლებით, მუშტრებითა და მეძავი ქალებით; და საფრანგეთზე მსჯელობთ ამ არამზადებით, რომლებიც მხოლოდ სისხლს სწოვენ მას. არც ერთ თქვენგანს თავში არ მოსვლია დაფიქრებულიყო ნამდვილ, ჩაგრულ საფრანგეთზე, ქვეყნის პროვინციაში არსებულ ცოცხალ ძალებზე, მთელ ამ ხალხზე, შრომაში გართული აინუნში რომ არ აგდებს თავისი დღემოკლე ბატონების ღრიანცელს... დიახ, სრულიად ბუნებრივია, რომ არაფერი იცით ამის შესახებ; არც გამტყუნებთ: ან კი საიდან უნდა გცოდნოდათ? თავად ფრანგებიც ძლივს სცნობენ დღეს თავიანთ სამშობლოს. ქვეყნის საუკეთესო შვილები მომწყვდეული არიან და საპყრობილედ ჰქცევიათ საკუთარი მიწა-წყალი... ვერავინ გაიგებს ყოველივე იმას, რაც ჩვენ გამოგვივლია, თუმცა მუდამ ერთგული დავრჩენილვართ ერის სულისა, რომლის წმინდა ნათელს სალოცავი ხატივით ვუფრთხილდებოდით და თავგანწირვით ვიცავდით მტრების მუქარისაგან, მის ჩაქრობას რომ ლამობდნენ; მარტოდმარტონი, ამ გადამთიელთა მიერ მოწამლულ გარემოში ვიხუთებოდით: ისინი თავს ესხმოდნენ ჩვენ აზრებს, როგორც ბუზების გუნდი, რომელთა საზიზღარი მატლები ღრღნიღნენ ჩვენს გონებას და ბღალავდნენ ჩვენს გრძნობას; ნაღალატევნი მათგან, ვისაც მინდობილი ჰქონდა ჩვენი დაცვა — ჩვენი წინამძღოლებისა და კრიტიკოსების მიერ, რომლებიც თავიანთი სირეგვნით ან სილაჩრით, მტრის წინაშე პირმოთნეობენ და პატიებას ითხოვენ იმისათვის, რომ ჩვენი მოღგმისანი არიან; მიტოვებულნი თვით მშობელი ხალხისაგან, რომელსაც ჩვენთვის არა სცალია და არც გვიცნობს... რით შეგვიძლია თავი გავაცნოთ მას? ჩვენ მისკენ გზა ვერ გაგვიგნია... სწორედ ეს არის ყველაზე ძნელი! ვიცით, რომ ათასობით თანამოაზრე გვყავს საფრანგეთში, ვიცით, ერთმანეთის გულისნადებს ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთიმეორისთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია! მტერს ხელთ უპყრია ყველაფერი: გაზეთი, ჟურნალი, თეატრი... პრესა გაურბის აზრს და დაუშვებლად მიაჩნია ყველაფერი, რაც გართობის საშუალებას, ან რომელიმე პარტიის იარაღს არ წარმოადგენს. წრეები და ჯგუფები კარს იმ პირობით გიღებენ, რომ მათს დაკრულზე იცეკვო. ცალკე სიღატაკე და აუტანელი შრომა სიქას გვაცლის. პოლიტიკოსებს, მარტოოდენ გამდიდრების წყურვილი რომ ამოძრავებთ, პროლეტართაგან მხოლოდ ისინი აინტერესებთ, ვისი მოსყიდვაც შეიძლება. გულგრილი და თავკერძა ბურჟუაზია კი მშვიდად გვიყურებს, როგორ ვიცლებით სისხლისაგან. ჩვენ არ გვიცნობს საკუთარი ხალხი; იმათაც კი, ვინც ჩვენსავით იბრძვის და ჩგენებრ დუმილით არის მოცული, ისევე არ იციან, რომ ვარსებობთ, როგორც ჩვენ არ ვიცით მათი არსებობა... ო, ეს ნავსი პარიზი! ცხადია, გარკვეული სიკეთე გაუწევია, თავი რომ მოუყრია ფრანგული აზრის მთელი ძალებისათვის, მაგრამ მასთან ერთად არც ბოროტება დაუკლია; ხოლო ისეთ ხანაში კი, როგორიც ჩვენი დროა,

სიკეთეც ბოროტებად მოქცეულა. საკმარისი გამხდარა, რომ დროებით პარიზს დაპატრონებულ თვითმარქვია „ელიტას“ პროპაგანდის უშველებელ საყვირში ჩაეძახა და მთელი დანარჩენი საფრანგეთის ხმა დახშულა. უფრო მეტი: მას შეცდომაშიც კი შეუყვანია ფრანგი ერი; იგი გაჩუმებულა და საგონებელში ჩავარდნილს ეჭვი ეპარება საკუთარ აზრებში... ოდესღაც ეს მე ძალზე მტანჯავდა. ახლა კი, კრისტოფ, მშვიდად აღვიქვამ ყოველივე ამას. მე ვირწმუნე საკუთარი ძალა, ძალა ჩემი ხალხისა. უნდა დაველოდოთ, სანამ ეს წყალდიდობა არ ჩაივლის. იგი ვერ გამოუთხრის ძირს საფრანგეთის უმტკიცეს გრანიტს. თუმცა ტალახს წაულეკავს იგი, მე ხელს შეგახებინებ ამ გრანიტზე. აგერ, აქა-იქ წყლიდან უკვე ამოჩრილა მისი მაღალი მწვერვალები...

კრისტოფი მიხვდა იდეალიზმის იმ უზარმაზარ ძალას, მის თანამედროვე ფრანგ პოეტებს, მუსიკოსებსა და მეცნიერთ რომ შთააგონებდა. იმ დროს, როდესაც ქვეყნის დროებითი მეუფენი უხეში სენსუალიზმის ბრახა-ბრუხით ფრანგული აზრის ხმას ახშობდნენ, ეს აზრი, მეტისმეტად კეთილშობილი, რომ ამ ვიგინდარასთან უტიფარ ყვირილში გაჯიბრება ეკადრა, თავისთვის და თავისი ღმერთისათვის მგზნებარე, გულჩათხრობილ სიმღერას განაგრძობდა. თითქოს იგი კმაყოფილიც კი იყო, რომ გაჰქცეოდა ამქვეყნიურ ორომტრიალს და თავისი კოშკის ცხრაკლიტულში განმარტოებულიყო.

პოეტები, ის ერთეულნი, ვინც ნამდვილად იმსახურებდა ამ წარმტაც წოდებას, რასაც პრესა და აკადემიები გულუხვად ურიგებდნენ ფულსა და პატივმოყვარეობას დახარბებულ ყველა ყბედს, — პოეტები, ვისაც სძულდა ურცხვი მაღალფარდოვნება და მონური რეალიზმი, საგანთა ქერქს რომ ღრღნის, მაგრამ ვერ აღწევს მის შიგნით, შეხიზნულიყვნენ საკუთარი სულის საფარში და მისცემოდნენ მისტიკურ ხილვას, რომელშიც ფორმათა და აზრთა სამყარო შეიწოვებოდა, როგორც ტბაში ჩამდინარე ნიაღვარი, და შინაგანი ცხოვრების ელფერით იღებებოდა. აღტყინებულობა ამ იდეალიზმისა, რომელიც ჩაკეტილიყო საკუთარ თავში, რათა გარდაექმნა სამყარო, — მიუწვდომელი გამხდარიყო ბრბოსათვის. პირველად ვერც კრისტოფი გაერკვა მასში. „მოედანზე ბაზრობის“ შემდეგ, უცებ ამ იდეალიზმთან შეჯახება — მეტისმეტად მოულოდნელი გახლდათ. თითქოს თვალისმომჭრელი სინათლიდან, განწირული წივილ-კივილით გაყრუებული — ღამის წყვდიადსა და სიჩუმეში მოხვდა. ყურები უბჟუოდა და ვეღარაფერს ხედავდა. კრისტოფს, რომელიც მჩქეფარე სიცოცხლეზე იყო შეყვარებული, პირველ ხანს საშინლად არ ეჭაშნიკა ეს კონტრასტი. გარეთ კვლავ მოქუხდა ვნებათაღელვის ნიაღვარი, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა საფრანგეთს და მთელი კაცობრიობა შეეძრა. ხელოვნებაში კი, ერთი შეხედვით, არაფერი აღბეჭდილიყო. კრისტოფი კითხვას კითხვაზე აყრიდა ოლივიეს:

— თქვენ ცაში ვარსკვლავებამდე აღზევდით და უცებ დაექანეთ დრეიფ-

უსის საქმის უფსკრულში. სად არის პოეტი, ვის არსებაშიც გაიარა ამ გრიგალმა? ამჟამად მორწმუნე ადამიანთა სულში მიმდინარეობს ყველაზე ღირსშესანიშნავი ბრძოლა, რომლის მსგავსი ჯერ საუკუნეებს არ ახსოვთ: ბრძოლა ეკლესიის ხელისუფლებასა და სინდისის უფლებებს შორის. სად არის პოეტი, ვინც ასახავდა ამ წმიდათაწმიდა ტკივილებს? მშრომელი მასები საბრძოლველად ემზადებიან; ზოგი ერი კვდება, ზოგი მკვდრეთით აღსდგება; სომხებს ჟლეტენ; აღმოსავლეთის ხალხები ათასწლოვანი ძილისაგან იღვიძებენ და ძირს ამხობენ მოსკოვის კოლოსს, ევროპის ამ მეკლიტურს; თურქეთი, ადამის მსგავსად, პირველად ახელს თვალს; ადამიანი იპყრობს ცას; ბებერი დედამიწა სკდება ჩვენს ფეხქვეშ და პირს აღებს; იგი მთელ ხალხებს ნთქავს... რა იქნა ყველა ეს სასწაული, სულ რაღაც ოციოდე წელში რომ მოხდა და ბარე ოც „ილიადას" ეყოფოდა შთაგონებად? სად გაქრა მათი მგზნებარე კვალი თქვენი პოეტების წიგნებიდან? ნუთუ მხოლოდ მათთვის დახშულა სიცოცხლის პოეზიის კარი?

— მოთმინება, მეგობარო, მოთმინება!—მშვიდად უპასუხებდა ოლივიე.— ჩუ! იყუჩე, ყური დაუგდე...

ნელ-ნელა მიწყნარდა დედამიწის ღერძის ჭრიალი; შორს, ცხოვრების ქვაფენილზე მიწყდა მოქმედების მძიმე ეტლის რახრახი, და გაისმა სიჩუმის ღვთაებრივი გალობა.

ბზუის ფუტკარი, სურნელება იფრქვევა ცაცხვის...
და ცელი სიო მდელოს ეშხით ეალერსება...
ჟუჟუნებს წვიმა და დაგათრობს სურნელი ვარდის.

ისმოდა ყღერა პოეტთა საჭრეთლებისა, რომელთაც ლარნაკის გვერდებზე გამოეძერწათ

. მოკრძალებული სიდიადე უბრალოების,

დაეხატათ მძიმე და მხიარული ცხოვრება,

ოქროს სალამურთ, აბანოზის სალამურთ ხმები,

მოწიწებული სიხარული და რწმენის შადრევანი, მოჩუხჩუხე მათი გულებიდან,

ვისთვის მარადის ნათელია ყოველი ბნელი...

ნეტარი ტანჯვა, ღიმილით რომ გვარწევს,

ვის კუშტ სახეზე
კრთის ნათელი ზებუნებრივი...

და

მშვიდი სიკვდილი, თავის დიდი, წყნარი თვალებით.

ეს კრიალა ხმების სიმფონია იყო. მართალია, მათ არ გააჩნდათ კორნელებისა და ჰიუგოების სახალხო ბუკთა მაღალი ყღერადობა, მაგრამ რაოდენ ღრმა

და უფრო ნატიფიც ჩანდა მათი ჰარმონია! იგი თანამედროვე ევროპის ყველაზე დიდებული მუსიკა გახლდათ.

— ახლა ხომ გესმის? — უთხრა ოლივიემ კრისტოფს, რომელიც სმენად ქცეულიყო.

თავის მხრივ, კრისტოფმა ანიშნა იყუჩეო. თუმცა გერმანელი ყოველთვის უპირატესობას აძლევდა უფრო ვაჟკაცურ ჰანგებს, მაგრამ ამ წუთს იგი ხარბად დასწაფებოდა ჭალების ჩურჩულსა და ნაკადულების რაკრაკს პოეტთა სულისა, რომლის შარიშურს უკვე არჩევდა. ისინი გალობდნენ ხალხთა შორის უგუნური ბრძოლების ფონზე, რათა განედიდებინათ სამყაროს მარადიული სიჰაბუკე და

მშვენიერების სიკეთე ქველი.

იმ დროს, როდესაც კაცობრიობა

შიშისგან ძრწის და საბრალოდ გოდებს,
მწირ, უკუნ ველზე ბრუნავს, ვით ჩარხი,

როცა მილიონობით არსება სასოწარკვეთილი დასტაკებოდა ერთმანეთს, რათა ხელიდან გამოეგლიჯა თავისუფლების გასისხლიანებული ნაგლეჯები, — ნაკადულები და ჭალები იმეორებდნენ:

„იყავნ თავისუფალი!... თავისუფალი!...
Sanctus, Sanctus...“[1]

მაგრამ მათ ეგოისტური მყუდროების ზმანება როდი არწევდათ. პოეტთა გუნდში ტრაგიკული ხმებიც გაისმოდა: ხმა სიამაყის, ხმა ტრფობის და ხმა ტკივილების.

ეს მთვრალი გრიგალი იყო,

ხან მძვინვარე, ხან თვინიერი, უსათნოესი,

მათი ძალების ბობოქრობა, მათი წარმოდგენებით აღგზნებული ეპოპეები, ვინც უმღეროდა ბრბოების ამხედრებას, მიწიერი ღმერთების გოლიათურ შერკინებასა და შრომისაგან დაქანცულ ადამიანებს,

კუპრივით ქცეულ შავ სახეებს, ბინდსა და ნისლში,
ბეჭებდაკუნთულთ, თუ ჯაფისგან მოხრილებს უცებ,
ბრძმედთან გახვითქულთ, უროს ცემით ხელდაკოერილებს...

ხვალინდელი დღის სამოთხეს რომ ჭედნენ.

კიდევ, ეს იყო „გონების მყინვარებზე“ მოფენილ კაშკაშა და იდუმალ შუქში გამომჭვირვალი გმირული ბოღმა ამ განმარტოებულ სულთა, რომელნიც ამაოდ ცდილობდნენ მის გაქარვებას უნუგეშო ლხენით.

---

[1] წმინდა, წმინდა (ლათ.).

ამ იდეალისტთა მრავალი თვისება გერმანელ კომპოზიტორს უფრო მშობლიური ეჩვენებოდა, ვიდრე ფრანგული. მაგრამ ყველას ჰქონდა სიყვარული „ფრანგული სიტყვის სიფაქიზისადმი“ და მათი პოემებიდან ძველბერძნული მითების ნექტარი იღვრებოდა. საფრანგეთის ბუნების სურათები და მისი ყოველდღიური ყოფა მათი თვალის გუგებში, რაღაც სასწაულებრივი ძალით, ატიკის ხილვად გარდაიქმნებოდა. თითქოს XX საუკუნის ფრანგებში კიდევ ცოცხლობდნენ შორეულ წინაპართა სულები, რომლებიც ლამობდნენ გაეძროთ თანამედროვეობის ძონძები და კვლავ თავიანთი სიშიშვლის მშვენიერებაში წარმომდგარიყვნენ.

ამ პოეზიის ანსამბლიდან იფრქვეოდა საუკუნეების მანძილზე დაბრძნილი მდიდარი ცივილიზაციის სურნელება, რომლის მსგავსს ვერსად შეიგრძნობდით ევროპაში. ვინც ერთხელ მაინც იყნოსავდა, ვეღარასოდეს დაივიწყებდა მას. იგი ანდამატივით იზიდავდა უცხოელ ხელოვანთ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, და ისინი თავგამოდებული ფრანგი პოეტები ხდებოდნენ; ფრანგულ კლასიკურ ხელოვნებას ამ ანგლო-საქსებზე, ფლამანდიელებსა და ბერძნებზე უფრო მგზნებარე მიმდევრები არცა ჰყოლია.

კრისტოფი, რომელსაც მიუძღოდა ოლივიე, იმსჭვალებოდა ფრანგული მუზის ფიქრმორეული სიტურფით, თუმცა ამ არისტოკრატული არსების წინაშე, მეტისმეტად ჭკვიანი რომ იყო მისთვის, გულის სიღრმეში კვლავ უპირატესობას ანიჭებდა ხალხიდან გამოსულ, უბრალო, ჯანმრთელსა და ჩათქვირებულ ლამაზმანს, რომელიც ასე ღრმად ვერ მსჯელობს, მაგრამ უფრო ძლიერი სიყვარული იცის.

ეს odor di bellezza[1] ისე იფრქვეოდა მთელ ფრანგულ ხელოვნებაში, როგორც მწიფე მარწყვის სურნელი მზის სხივებით გამთბარ შემოდგომის ტყეში. ბალახებში მიმალული ამ მარწყვების ერთ-ერთი პატარა მდელო მუსიკა იყო. გერმანიაში მუსიკის გაბარდულ ბუჩქნარებს შეჩვეულმა კრისტოფმა გვერდით ჩაუარა და ვერ შენიშნა იგი. მაგრამ უცებ საამო სუნი იგრძნო და შეჩერდა; ეკლის ბარდებსა და გაყვითლებულ, დამჭკნარ ფოთლებს შორის, მუსიკად რომ ასაღებდნენ თავს, კრისტოფმა, ოლივიეს შემწეობით, ერთი მუჭა მუსიკოსთა ნატიფი და ქორფა ხელოვნება აღმოაჩინა. დემოკრატიის ბოსტნებსა და ქარხნის საკვამლეებს შორის, შუაგულ სენ-დენის ველზე, პატარა წმინდა ჭალაში ცეკვავდნენ უზრუნველი ფავნები. კრისტოფი გაოგნებული უსმენდა მათი საკვირველი სალამურის დამცინავსა და უშფოთველ ჰანგებს, რომლებიც არ ჰგავდნენ არც ერთ მელოდიას, რაც აქამდის მის ყურს გაეგონა:

> კმარა ლერწმის მცირე ღერო,
> რომ ბალახი ავაბგერო,

---

1 მშვენიერების სურნელი (იტალ.).

და თვით მდელოც,
ტირიფებიც,
და რაკრაკა ნაკადულიც;
კმარა ლერწმის მცირე ღერო,
ტყე უღრანი ავამღერო...

ამ პატარა საფორტეპიანო პიესების, სიმღერებისა და მთელი ფრანგული კამერული მუსიკის უზრუნველ სიკეკლუცესა და გარეგნულ დილეტანტიზმში, რომელსაც გერმანული მუსიკა თავს არ უყადრებდა და რომლის პოეტურ მადლმოსილებას აქამდე თვითონაც უგულებელყოფდა, კრისტოფი რაინგაღმა ჯერ უცნობ ჩქროლვასა და განახლების აღტყინებას გრძნობდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ფრანგი მუსიკოსები თავიანთი ხელოვნების ყამირ მიწაზე ნაყოფიერი მომავლის ჩანასახს ეძიებდნენ. იმ დროს, როდესაც გერმანელი კომპოზიტორები მამების ბანაკში გამაგრებულნი ერთ ადგილს ტკეპნიდნენ და ისწრაფოდნენ თავიანთი წარსული გამარჯვებებით მსოფლიოს განვითარება დაებრკოლებინათ, — ცხოვრება განაგრძობდა წინსელას; ფრანგები, წინა რიგებში მიმავალნი, პირველნი მიდიოდნენ დაზვერვაზე: ისინი იკვლევდნენ ხელოვნების შორეულ მიჯნებს, მზეებს ჩამქრალთ და მზეებს ახლად აღმობრწყინებულთ, გარდასულ საბერძნეთსა და საღათის ძილისაგან გამოღვიძებულ შორეულ აღმოსავლეთს, სინათლისაკენ რომ მიეპყრო უამრავი ზმანებებით მოთენთილი, მოგრძო თვალები. დასავლეთის მუსიკას, წესრიგის სულისკვეთებითა და კლასიკური გონებით გაჭრილ არხში რომ მიედინებოდა, ფრანგებმა ძველი ყაიდის რაბები გაუღეს და ვერსალის აუზში მსოფლიოს ყოველი კუთხიდან იწყო დენა მუსიკის ნაკადმა: იღვრებოდა ხალხური მელოდიები და ჰანგები, ეგზოტიკური და ანტიკური მოტივები, ახალი და ახლებურად აყღერებული ინტონაციები. როგორც ადრე ფრანგმა იმპრესიონისტმა მხატვრებმა — ფერთა ამ ქრისტეფორე კოლუმბებმა ახალი სამყარო გადაუშალეს ადამიანის თვალს, ასევე ბგერათა სამეფოს დასაპყრობად დაგეშილმა ფრანგმა მუსიკოსებმა ყველაზე ღრმად შესცურეს სმენის იდუმალ ოკეანეში და უცნობი ხმელეთის ნაპირები აღმოაჩინეს. თუმცა ეს კია: ისინი აღარ დაუწყებენ კირკიტს საკუთარ აღმოჩენილს. თანახმად თავიანთი ჩვეულებისა, ფრანგები კაცობრიობის გზის გამკვალავნი არიან მხოლოდ.

კრისტოფი აღტაცებაში მოეყვანა ფრანგული მუსიკის სითამამეს, გუშინ ფეხადგმული უკვე წინა რიგებში რომ მიაბიჯებდა. რამხელა გამბედაობა ჰქონია ამ პაწაწინა კეკლუც ქმნილებას! კრისტოფი ახლა შემწყნარებლურად უყურებდა მის სულელურ მხარეებს, ცოტა ხნის წინათ ასე რომ აღიზიანებდა. არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს ქმნის. ცოცხალი ჭეშმარიტების ძიებაში დაშვებული შეცდომა კი უფრო სასარგებლოა, ვიდრე მკვდარი ჭეშმარიტება.

რა შედეგიც უნდა გამოეღო, საოცრად დიდი მეცადინეობა იყო

გაწეული. ოლივიე უჩვენებდა კრისტოფს, რაც ამ ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე შექმნილიყო — იმ უზარმაზარ დახარჯულ ენერგიას, რომელსაც არარსობის წყვდიადიდან გამოეყვანა ფრანგული მუსიკა, მძინარე 1870 წლამდე: არ გააჩნდა საკუთარი სიმფონიური სკოლა, არ ჰქონდა დიდი კულტურა, ტრადიციები, არც ოსტატი ჰყავდა, არც მსმენელი, მარტოოდენ ბერლიოზის ამარა რომ იყო და მასაც სული ეხუთებოდა უპაერობისა და მოწყენილობისაგან. ჰოდა, კრისტოფი უკვე პატივისცემით გამსჭვალულიყო იმათ მიმართ, ვისაც ეროვნული გამოცოცხლების უღელი გაეწია და აზრად აღარ მოსდიოდა ქილიკობა დაეწყო მათი ესთეტიკური შეხედულებების შეზღუდულობასა და გენიის უქონლობაზე. მათ შეექმნათ მუსიკალურ ნაწარმოებზე უფრო მეტი — მუსიკოსთა მთელი ერი. იმ დიდ შემოქმედთა შორის, ვისაც ახალი ფრანგული მუსიკა გამოეპედა, კრისტოფისათვის ყველაზე ძვირფასი ცეზარ ფრანკის სახელი გახლდათ, რადგან იგი ვერ შეესწრო გამარჯვებას, რომელსაც თვითონ ჩაუყარა საფუძველი და, მოხუცი შიუცის მსგავსად, ფრანგული ხელოვნების პირქუშ დროში უმწიკვლოდ შეინახა საკუთარი რწმენის საუნჯე და თავისი ერის სულისკვეთება. ამაღელვებელი გამოცხადება იყო: სიტკბოების მაძიებელ პარიზელებს შორის ცხოვრობდა ეს ღვთიური მაესტრო, მუსიკის წმინდანი, ვინც ხელმოკლე ცხოვრებისა და შრომის ათვალწუნების ჟამს უღრუბლო სიმშვიდე შეინარჩუნა უდრტვინველ სულში, რომლის უწყინარი ღიმილი სიკეთით აცისკროვნებდა მის შემოქმედებას.

საფრანგეთის ცხოვრებას ჯერ კიდევ ღრმა გაუცნობელ კრისტოფს თითქმის სასწაულად ესახებოდა ურწმუნო ხალხის წიაღიდან ამ რწმენით აღსავსე კომპოზიტორის მოვლინება.

მაგრამ ოლივიემ ოდნავ მხრები აიჩეჩა და ჰკითხა, ევროპის კიდევ რომელ ქვეყანაში მოიძებნებაო ბიბლიის გზნებით უფრო შთაგონებული მხატვარი, ვიდრე პურიტანი ფრანსუა მილე, ან უფრო მხურვალე და მოწიწებული რწმენით გამსჭვალული მეცნიერი, ვიდრე ნათელმოსილი პასტერი, რომელმაც მუხლი მოიდრიკა უსასრულობის იდეის წინაშე, და როცა ეს აზრი მის სულს დაეუფლებოდა, „მჭმუნვარე ფიქრებით შეპყრობილი, — როგორც თვითონ იტყოდა, — შენდობას შესთხოვდა საკუთარ გონებას, რომ საცაა პასკალის მაღალ უგონობას მისცემდა თავს“. ღრმა კათოლიციზმი ვერ გახდა დაბრკოლება როგორც პირველის გმირული რეალიზმისათვის, ისე მეორის მგზნებარე გონებისათვის, რომელიც მტკიცე ნაბიჯით, მიუხვევ-მოუხვევლად, მიისწრაფოდა უმარტივესი ბუნების იდუმალებაში, უსასრულო მცირე სიდიდეთა უკუნ ღამეში, ყოფიერების იმ მიკარგულ უფსკრულში, სადაც ისახება სიცოცხლე“. ეს რწმენა, რომელიც მუდამ ღვიოდა მადლიან ფრანგულ მიწაზე და რომლის არსებობის უარყოფას ამაოდ ლამობდა ყბედ დემაგოგთა მცირე ხროვა,—მათ იმ პროვინციელი ხალხის წიაღში შეიწოვეს, საიდანაც ეს დიდი ადამიანები გა-

მოვიდნენ. ოლივიე კარგად იცნობდა ამ რწმენას: იგი თვითონაც დიდხანს ეტარებინა გულში.

ოლივიე უჩვენებდა კრისტოფს კათოლიციზმის განახლებისათვის ოცდახუთწლიან დიად მოძრაობას, საფრანგეთში ქრისტიანული აზრის იმ გაცხარებულ მეცადინეობას, რომელსაც სურდა რწმენა გონებასთან, თავისუფლებასა და ცხოვრებასთან შეეხამებინა; იმ საოცარ სულიერ მამებს, რომელთაც გამბედაობა ჰქონდათ, როგორც ერთმა მათგანმა გამოთქვა, „კაცად მონათლულიყვნენ“, და მოითხოვდნენ კათოლიციზმისათვის უფლებას — გაეგო და მხარი დაეჭირა ყოველი გულწრფელი აზრისათვის, რამეთუ „ყოველი გულწრფელი აზრი, თუნდაც მცდარი, წმინდა და ღვთაებრივია“; უჩვენებდა ათასობით ახალგაზრდა კათოლიკეს, ვისაც დაედო დიდსულოვანი აღთქმა — შეექმნა ქრისტიანული რესპუბლიკა, თავისუფალი, წმინდა, ძმური და ღია ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის; განახლების სულისკვეთებით გამსჭვალულ იმ ჭეშმარიტ ქრისტიანთა პატარა რაზმს, რომელნიც, მიუხედავად საზიზღარი დევნისა, ერესში ბრალდებისა და ვერაგი ხრიკებისა მარჯვნიდან და მარცხნიდან (მეტადრე მარჯვნიდან),—მიიწევდნენ წინ მკაცრ ხეობაში, მომავლისაკენ მიმავალ გზაზე, და წყნარი მზერით, მშვიდად ელოდნენ ყოველგვარ განსაცდელს, დარწმუნებულნი, რომ მტკიცე შენობას ვერ ააგებ ისე, თუ საკუთარი სისხლითა და ცრემლით არ ჩაკირავ მას.

ცხოველი იდეალიზმისა და მგზნებარე ლიბერალიზმის ამ ქროლას სხვა სარწმუნოებანიც გამოეცოცხლებინა საფრანგეთში. ახალი ცხოვრების ჟრუანტელმა პროტესტანტიზმსა და იუდაიზმსაც დაუარა ვეება, დაბუჟებულ სხეულზე. ყველანი ჩაბმულიყვნენ დიდსულოვან შეჯიბრში — შეექმნათ თავისუფალი კაცობრიობის სარწმუნოება, რომელიც მსხვერპლად არ მოითხოვდა არაფერს— არც სულის ლაღ აღმაფრენას და არც გონების განსჯის უნარს.

ეს რელიგიური აღტყინება მარტო სარწმუნოებრივი დრტვინვა როდი იყო; იგი რევოლუციურად განწყობილი სულის გამოხატულება გახლდათ. სწორედ აქ იჩენდა თავს მისი ტრაგიკული ხასიათიც. კრისტოფი აქამდე მხოლოდ მდარე სოციალიზმს იცნობდა, სოციალიზმს პოლიტიკანებისა, რომლებიც თავიანთ დამშეულ მუშტრებს აცთუნებდნენ ბედნიერების, ანუ, გულახდილად რომ ვთქვათ, საყოველთაო ტკბობის ბავშვური, ბრიყვული ოცნებით, რომლის განხორციელება ძალაუფლებაზე დაყრდნობილ მეცნიერებას შეუძლიაო. კრისტოფი ხედავდა, რომ ამ გულისამრევი ოპტიმიზმის წინააღმდეგ ამხედრებულიყო რჩეულთა გააფთრებული მისტიციზმი, მუშათა პროფკავშირებს საბრძოლველად რომ მიუძღოდა. იგი მოუწოდებდა „ომისაკენ, რომელსაც შეუძლია ერთადერთს შვას ამაღლებული, და მომაკვდავ სამყაროს აზრი, მიზანი და იდეალი დაუბრუნოს“. ამ დიდ რევოლუციონერებს, ზიზღით რომ უარყოფდნენ „ბურჟუაზიულ, ვაჭრულ, პაციფისტურ, ინგლისური ყაიდის“ სოციალიზმს, მისთვის დაეპირისპირებინათ ტრაგიკული მსოფლმხედველობა, „რომლის კანონი

ანტაგონიზმია“ და მხოლოდ მსხვერპლი, განუწყვეტელი და მარად ახალი მსხვერპლი ასულდგმულებს. თუ შესაძლოა საეჭვო იყო, რომ ამ მეთაურთა მიერ ძველ სამყაროზე საიერიშოდ დაგეშილ ლაშქარს ზედმიწევნით ესმოდა მათი მებრძოლი მისტიციზმის არსი, ძალმომრეობით მოქმედებას ერთდროულად კანტისა და ნიცშეს ფილოსოფიით რომ ამართლებდა, — ამის გამო ნაკლებ საოცარ სანახაობას როდი წარმოადგენდა ეს რევოლუციური არისტოკრატია, რომლის აღტყინებული პესიმიზმი, გმირული ცხოვრების ჟინი და ომისა და მსხვერპლის რწმენით გამსჭვალვა ტეეტონთა ორდენის რაინდებისა ან იაპონელი სამურაების სამხედრო და სარწმუნოებრივ იდეალს მოგვაგონებდა.

და მაინც ეს გახლდათ პიტალო ფრანგული მოვლენა: ფრანგული ჯილაგის გამოხატულება, ჯიუტად რომ ინარჩუნებდა თავის ზნეს საუკუნეების მანძილზე. კრისტოფს ეცნაურებოდა ფრანგი კაცის ეს ხასიათი კონვენტის ტრიბუნთა და პროკონსულთა, ძველი წყობილების რომელიმე ფრანგი მოაზროვნის, მოღვაწისა და რეფორმატორის სიტყვებიდან, ოლივიეს რომ მოჰყავდა ხოლმე. კალვინისტებსაც და იანსენისტებსაც, იაკობინელებსაც და სინდიკალისტებსაც — ყველას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი პესიმისტური იდეალიზმის ეს ნაცნობი სულისკვეთება, ერთთავად რომ ებრძვის და ემიჯნება გარესამყაროს, ფუჭი იმედებისა და ასევე უსარგებლო სასოწარკვეთილების გარეშე; ეს სულისკვეთება ის რკინის ჯავშანია, რომელიც ნიადაგ იცავს და საკუთარ სახეს უნარჩუნებს ერს, თუმცა ხშირად ნამცეცებად აქცევს და აქუცმაცებს კიდეც მას.

კრიტოფი ისუნთქავდა ამ მისტიკური ბრძოლების ჰაერს და თანდათან ხვდებოდა სიდიადეს ამ ფანატიზმისა, რაშიც საფრანგეთი ისეთ შეუბღალავ პატიოსნებას იჩენდა, რომლის მსგავსზე ათასგვარ combinazioni[1]-ს ჩვეულ ერებს წარმოდგენა არ გააჩნდათ. როგორც ყველა უცხოელს, თავდაპირველად კრისტოფსაც სიამოვნებას ჰგვრიდა ელაზღანდარა მეტისმეტად აშკარა წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობდა ფრანგების დესპოტურობასა და იმ გრძნეულ ფორმულირებას შორის, რითაც რესპუბლიკას შენობის ფასადის შელამაზება უყვარდა. იგი პირველად ჩასწვდა მებრძოლი თავისუფლების არსს — გონების ამ მახვილ ხმალს, ასე რომ ეთაყვანებოდნენ ფრანგები. არა, გონების გაღმერთება უბრალო მაღალფარდოვნება ან ბუნდოვანი იდეოლოგია არ ყოფილა მათთვის, როგორც ადრე ეგონა, ხალხში, რომლისთვისაც გონების მოთხოვნილებანი უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს, არ არსებობს უფრო მთავარი საზრუნავი, ვიდრე გონების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა. მერე რა ვუყოთ, რომ ეს ბრძოლა შესაძლოა უაზრობად მოეჩვენოთ ერებს, რომელნიც თავიანთ თავს პრაქტიკულ ხალხებად ასაღებენ? ასე რომ ჩავყვეთ, განა ნაკლებ ამაო აღმოჩნდება მსოფლიოს დასაპყრობად, იმპერიის შესაქმნელად, ან ფულის მოსახვეჭად გაჩაღებული ყოველი ომი? მილიონი წლის შემდეგ რომ ერთიც და

---

[1] კომბინაციები (იტალ.).

მეორეც აღიგვება პირისაგან მიწისა. მაგრამ თუ ცხოვრების აზრი ბრძოლის დაძაბულობაა, რომელშიაც სრულად ვლინდება ადამიანური არსების მთელი ძალები, თვით უმაღლესი არსისათვის მსხვერპლად შეწირვამდე, — მაშინ ცოტა ბრძოლა ანიჭებს ცხოვრებას ისეთ აზრს, როგორც გონების სახელით საფრანგეთში ატეხილი მუდმივი ომი. მათ, ვისაც ერთხელ მაინც გაუსინჯავთ მისი ჭაშნიკი, ანგლო-საქსების ნაქები გულგრილობა და შემწყნარებლობა ფრიად ლუგუმი და დონდლო მოეჩვენებათ. ანგლოსაქსები თავს იმით იმართლებენ, რომ სხვა რამეში ხარჯავენ თავიანთ ენერგიას. იქ კი, სადაც ჯერ არს, ვერ გამოუყენებიათ. შემწყნარებლობა მხოლოდ მაშინ იძენს სიდიადეს, როდესაც პარტიათა შეხლა-შემოხლის დროს მისი სიმტკიცე გმირობას უტოლდება. დღევანდელ ევროპაში კი იგი უფრო დაუდევრობას მოგვაგონებს, რომელსაც რწმენა და სიცოცხლის უნარი აკლია. ინგლისელები, ვოლტერის სიტყვები თავიანთებურად რომ გაუგიათ, თავმომწონედ იკვეხნიან, რომ „რწმენათა მრავალფეროვნებამ მეტი შემწყნარებლობა წარმოშვა ინგლისში“, ვიდრე რევოლუციამ საფრანგეთშიო. მაგრამ საქმე ის არის, რომ საფრანგეთის რევოლუციაში უფრო მეტი რწმენაა, ვიდრე ინგლისის მთელ სარწმუნოებებში.

მებრძოლი იდეალიზმის რვალისებრი წრიდან, გონებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ველიდან, ვითარცა ვერგილიუსმა დანტე, ოლივიემ ხელჩაკიდებული გამოიყვანა კრისტოფი და აუძღვა მთის მწვერვალზე, სადაც ჭეშმარიტად თავისუფალ ფრანგთა მცირე კრებული მდუმარებასა და სიმშვიდეში სადგურობდა.

უფრო თავისუფალი ადამიანი არსად მკვიდრობდა დედამიწის ზურგზე. მათი სიმშვიდე ცაში მონავარდე ჩიტის უშფოთველობას ჰგავდა. ამ სიმაღლეზე ჰაერი ისე სუფთა და გაუხშოებული იყო, რომ კრისტოფს სუნთქვა უჭირდა. აქ იყვნენ ხელოვანნი, ვინც ოცნების უსაზღვრო თავისუფლებას ელტვოდნენ, — თავაწყვეტილი სუბიექტივისტები, რომელთაც, როგორც ფლობერს, სძულდათ „ყეყეჩი პირუტყვები, საგანთა რეალობა რომ სჯეროდათ“; აქვე იყვნენ მოაზროვნენი, ვისი დაუდგრომელი და მრავალსახოვანი აზრი — მოძრაობაში მყოფ საგანთა დაუსრულებელი ნაკადის გამოხატულება — „მიედინებოდა და მიგორავდა შეუწყვეტლივ, არსად არ ჩაგუბდებოდა, ვერავითარი მყარი ნიადაგი, ვერავითარი სალი კლდე ვერ დააოკებდა და, როგორც მონტენი იტყოდა, „ასახავდა არა მუდმივ არსებულს, არამედ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ს, გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ს მარად, დღითი დღე და წამით წამამდე“; აქ იყვნენ აგრეთვე მეცნიერნი, ვისაც შეცნობილი ჰქონდა სიცარიელე და არარაობა სამყაროსი, სადაც ადამიანმა გამოიგონა თავისი აზრი, თავისი ღმერთი, თავისი ხელოვნება, თავისი მეცნიერება, და კვლავ განაგრძობდა სამყაროსა და მისი კანონების შექმნას — ამ უზარმაზარ, ერთი დღის საგზალ ოცნებას. ისინი მეცნიერებაში არ ეძებდნენ სიმშვიდეს, ბედნიერებას, თვით ჭეშმარიტებასაც კი, რადგან ეჭვი ეპარებოდათ, რომ ჰპოვებდნენ მას; მეცნიერება უყვარდათ მეცნიერებისათვის, იმიტომ

რომ ის მშვენიერი იყო, ერთადერთი მშვენიერი, ერთადერთი რეალური. ეს მეცნიერნი, ეს მგზნებარე პირონელნი, გულგრილნი ტანჯვის, იმედგაცრუებისა და ლამის თვით სინამდვილის მიმართაც კი, იდგნენ აზრის მწვერვალებზე და თვალებმილულული უსმენდნენ სულების მდუმარე კონცერტს, რიცხვებისა და ფორმების ნატიფსა და დიდებულ ჰარმონიას. ეს დიდი მათემატიკოსნი, ეს თავისუფალი ფილოსოფოსნი — მსოფლიოს ზუსტი და უტყუარი გონების მქონენი მისტიკური აღგზნების ზღვარზე იმყოფებოდნენ; ისინი იკვლევდნენ ირგვლივ სიცარიელეს; უფსკრულში გადაკიდულნი, გაბრუებულიყვნენ მისი თავბრუდამხვევი სიღრმით და ზეციური ლხენით აღვსილნი, თავიანთი აზრების ელვით ანათებდნენ უსაზღვრო ღამეს.

ამათ გვერდით დახრილი კრისტოფიც ლამობდა ჩაეხედა უფსკრულში, მაგრამ თავბრუ ესხმოდა. იგი, თავისუფალი რომ ეგონა თავი, რაკი აღარ სცნობდა აღარავითარ კანონს, საკუთარი სინდისის კანონის გარდა, — გაოგნებული გრძნობდა, რაოდენ ვერ იყო ჯერ კიდევ თავისუფალი ამ ფრანგებთან შედარებით. რომელთათვისაც არ არსებობდა თვით გონების არავითარი აბსოლუტური კანონი, არავითარი კატეგორიული იმპერატივი, არავითარი ცხოვრების აზრი. მაშ, რიღასთვის ცხოვრობდნენ?

— რათა თავისუფლების სიხარული განიცადონ, — მიუგებდა ოლივიე.

მაგრამ კრისტოფს, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი ვერ ეპოვა ამ თავისუფლებაში, კვლავ დისციპლინის ძლიერი სულისკვეთება და გერმანული ავტორიტარულობა მონატრებოდა.

— ეგ სიხარული, — განაგრძობდა იგი, — ფუჭი თავისმოტყუებაა, თრიალქის კვამლში გახვეული ოცნება. თქვენ თავს იბრუებთ თავისუფლებით, მაგრამ გავიჭუდებათ ცხოვრება. აბსოლუტური თავისუფლება სულისათვის სიგიჟეა, სახელმწიფოსათვის — ანარქია... თავისუფლება! ვინ არის თავისუფალი ამ ქვეყანაზე? ვინ არის თავისუფალი თქვენს რესპუბლიკაში? არამზადები. თქვენ კი, ყველაზე უკეთესთ, სული გეხუთებათ. თქვენ მხოლოდ ისღა დაგრჩენიათ, რომ იოცნებოთ. მალე, ალბათ, ოცნებაც სანატრელი გაგიხდებათ.

— მერე რა! — უპასუხა ოლივიემ. — შენ ვერ მიხვდები, ჩემო კეთილო კრისტოფ, თავისუფლების განცდის ნეტარებას. ღირს საფრთხეში ჩაიგდო თავი, იტანჯო და თვით სიცოცხლეც კი გასწირო მისი გულისათვის. თავისუფალი იყო და გრძნობდე, რომ თავისუფალია შენს გარშემო ყოველი სულმდგმული, — დიახ, თვით არამზადებიც! ეს ხომ ენით გამოუთქმელი სიტკბოებაა: თითქოს სული უსასრულო სივრცეში დანავარდობს; სხვა გარემოში იგი ვეღარ გაძლებს. რა თავში ვიხლი მაგ შენს უშიშროებას, მკაცრ წესრიგსა და უზადო დისციპლინას საიმპერიო კაზარმის ოთხკედელშუა გამომწყვდეული? მე იქ გავიჭუდები და სულს გავაფრთხობ. ჰაერი! სულ უფრო მეტი ჰაერი! სულ უფრო მეტი თავისუფლება!

— ცხოვრებას კანონები სჭირდება, — თქვა კრისტოფმა. — ადრე თუ გვიან პატრონი მოდის.

ხოლო ოლივიემ დამცინავად მოაგონა კრისტოფს მოხუცი პიერ დე ლ'ეტუალის სიტყვები:

> მთელი მიწიერი ძალნი ისევე უძლურნი არიან
> სიტყვის თავისუფლება წაართვან ფრანგებს,
> როგორც მიწაში ჩამარხონ, ან
> ბნელ ხარიში ჩაამწყვდიონ
> მზე.

ნელ-ნელა კრისტოფი ეჩვეოდა უსაზღვრო თავისუფლების ჰაერს. ფრანგული აზრის მწვერვალებიდან, სადაც ოცნებას მისცემოდნენ ჭეშმარიტად თავისუფალ ფრანგთა რჩეულნი, ვისი სულებიც ანათებდნენ უკუნ ღამეს, კრისტოფი დაჰყურებდა დაბლა ციცაბო ფერდობებს: სულ ზევით, მწვერვალის მისადგომებთან, მოჩანდა რჩეულთა გმირული რაზმი, რომელიც იბრძოდა ქვეყნად ცხოველი რწმენისათვის, სულ ერთია, რაშიც უნდა ყოფილიყო გამოხატული ეს რწმენა, და სულმოუთქმელად მიიწევდა მაღლა, მთის წვერზე ასაღწევად,—ისინი, ვინც წმიდათაწმიდა ომს ეწეოდა უმეცრების, ავადმყოფობებისა, სიღატაკის წინააღმდეგ, ვინც შეეპყრო გამომგონებლობის მგზნებარე ჟინს და თანამედროვე პრომეთეთა და იკაროსთა აღტყინებული იდეები აბოდებდა, ვისაც დაეპყრო სინათლე, გზას კვალავდა ცაში და ბუნებაზე მეცნიერების ბუმბერაზ შეტევას ახორციელებდა; უფრო დაბლა ხედავდა პატიოსან და თავმდაბალ ადამიანთა მდუმარე ჯგუფს — კეთილი ნების ქალებსა და კაცებს, რომლებიც რის ვაი-ვაგლახით ფერდობის შუამდე კი აფოფხებულიყვნენ, მაგრამ მეტზე ვეღარ ასულიყვნენ და, გაჯახირებულ ცხოვრებას მიჯაჭვულნი, საიდუმლოდ იფერფლებოდნენ გამოუთქმელი პრინციპების ერთგულებაში; კიდევ უფრო დაბლა, მთის ძირას, ციცაბო ფერდობების ვიწრო ბილიკებზე გაჩაღებულიყო დაუსრულებელი ბრძოლა ფანატიკოსთა განყენებულ აზრებსა და ბრმა ინსტინქტებს შორის, გააფთრებით რომ ეკვეთებოდნენ ერთმანეთს და ეჭვის შეტანაც კი არ სურდათ, რომ მათ თავზე აღმართული სალი კლდეების მაღლა კიდევ რამ არსებობდა; სულ დაბლა კი, მოჩანდა ჭყანტობები და პირუტყვი, საკუთარ ნაკელში რომ გორაობდა. ხოლო ყველგან, საითაც უნდა გაგეხედათ, მთის კალთები ხელოვნების ნორჩი ყვავილებისა და მუსიკის სურნელოვანი მარწყვის მდელოებით მოფენილიყო, ირგვლივ კი ნაკადულების რაკრაკ-მღერა და პოეტ ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობა გაისმოდა.

და კრისტოფმა ჰკითხა ოლივიეს:

— თქვენი ხალხი სადღაა? მე მარტო „რჩეულთ“ ვხედავ — კეთილისმყოფელთ ან მავნეთ.

— ხალხი? იგი თავის ბაღს მარგლავს. მას ჩვენთვის არა სცალია. რჩეულთა ორივე ჯგუფი ცდილობს თავის მხარეზე გადაიბიროს და იმსახუროს იგი. მას კი ერთიც და მეორეც ფეხებზე ჰკიდია. წინათ ის სეირის საყურებლად

მაინც მიიხედავდა პოლიტიკურ ტაკიმასხარათა ძახილზე, შემომხედეთ რა ყო-ჩაღი ვარო. ახლა აღარც ამაზე იბერტყავს ყურს. მილიონობით ადამიანი აღარც კი სარგებლობს თავისი საარჩევნო ხმის უფლებით. პარტიებს ერთმანეთიც დაუხოცავთ, ხალხმა მაგაზე არ ინაღვლოს, — ოღონდ ამ აყალმაყალში მისი ნათესები არ გათელონ: მაშინ კი იგი ცხარდება და განურჩევლად ხან ერთ პარტიას უბარტყუნებს, ხან — მეორეს. იგი არც ერთს არ ემხრობა, მხოლოდ წინააღმდეგობას უწევს, სულერთია რომელი იქნება, ვინც მეტისმეტად ხელს უშლის შრომასა და დასვენებაში. მეფეები, იმპერატორები, რესპუბლიკელები, ხუცესები, ფრანკ-მასონები თუ სოციალისტები, ვინც უნდა იჩემებდეს მის ბელადობას, — ერთადერთი, რასაც ხალხი მათგან მოითხოვს, ის არის, რომ ააცილონ მას საქვეყნო უბედურებანი: ომები, უწესრიგობანი და ეპიდემიები; სხვა მხრივ, თავში ქვა უხლიათ, ოღონდ კი ხელი არ შეუშალონ, მშვიდად იფუს-ფუსონ თავის ბაღში. გულში ფიქრობს: „ნეტა როდის დამეხსნებიან ეს პირუ-ტყვები?“

მაგრამ ეს პირუტყვები ისე რეგვენნი ბრძანდებიან, რომ თავს არ დაანებე-ბენ ამ ხათრიანი კაცის გაღიზიანებას მანამ, სანამ იგი ფიწალს არ წამოავლებს უცებ ხელს და გარეთ არ გააპანღურებს ყველა მათ, — რაც ერთ მშვენიერ დღეს მართლაც მოელით დღევანდელ ჩვენს მედროვე ბატონებს. ოდესღაც ხალხს აღაფრთოვანებდა დიადი საქმეები. ეგებ ძველებურად კვლავ აღიგზნოს მისი გული, თუმცა რა ხანია, ვნებები დაუცხრა; ყოველ შემთხვევაში, ხალხის აღგზნება ხანგრძლივი არ არის: იგი მალე უბრუნდება თავის ბებერ მშობელს— დედამიწას. იგი აჯაჭვავს ფრანგებს საფრანგეთთან, როგორც ბევრ სხვას თავის მიწა-წყალთან. რამდენი მოდგმის ხალხი მხარდამხარ იღვწის ოდითგან ამ მად-ლიან დედამიწაზე, მათ რომ აკავშირებს; მიწაა ადამიანების ყველაზე დიდი სიყ-ვარული. სიხარულსა თუ მწუხარებაში დაუცხრომლად ხნავენ და ამუშავებენ მას; მათთვის ძვირფასია ყოველი მისი კენჭი, ყოველი მისი მტკაველი.

კრისტოფი გარშემო იხედებოდა. ყველგან, სადამდეც კი თვალი მისწვდე-ბოდა — გზისპირებზე, ჭაობის ნაპირებსა და კლდეთა ფერდობებზე, ბრძოლის ველებსა და ომის ნანგრევებს შორის, — ერთიანად აეყვავებინა კაცის ხელს საფრანგეთის მთა-ბარი. თვალწინ გადაშლილიყო ევროპული ცივილიზაციის ვრცელი ბაღნარი. მისი წარმტაცი სიმშვენიერე მარტოოდენ ნოყიერი ნიადა-გის წყალობა არ ყოფილა; იგი უფრო იმ დაუღალავი ხალხის შეუპოვარი გულ-მოდგინების ნაყოფი გახლდათ, ვინც საუკუნეთა მანძილზე არასოდეს დამცხრა-ლა და დღენიადაგ ხნავდა, თესავდა და ამშვენიერებდა მას.

საოცარი ხალხია! ყველა უმდგრადობას უკიჟინებს; მასში კი არაფერი იცვ-ლება. ოლივიეს უტყუარი თვალი გოთიკურ ქანდაკებაში დღევანდელი პროვინ-ციის მცხოვრებთა ყველა ტიპს პოულობდა; ისევე, როგორც კლუესა და დიუმუს-ტიეს ფანქრით ნახატებში მაღალი წრის წარმომადგენელთა და ინტელიგენტთა დაღლილი, დამცინავი სახეები, ანდა კიდევ, ძმები ლენენების სურათებში ილ-

ლე-ფრანსელი და პიკარდიელი მუშისა და გლეხის გონიერი, ნათელი თვალები ეცნაურებოდა. გარდასულ დროთა ფიქრით გამსჭვალულიყო თანამედროვეთა შეგნება. პასკალის სულისკვეთება კვლავ ცოცხლობდა არა მარტო მოაზროვნე და მორწმუნე ელიტაში, არამედ ყველასათვის უცნობ ბურჟუებსა და რევოლუციურად განწყობილ სინდიკალისტებშიც. კორნელისა და რასინის ხელოვნება კვლავ ცხოველმყოფელი იყო ხალხისათვის; უბრალო პარიზელი მოხელისათვის მეფე ლუი XIV ხანის ტრაგედია უფრო ახლობელი იყო, ვიდრე ტოლსტოის რომანი ან იბსენის დრამა. თანამედროვე ფრანგებს მეტი სულიერი ნათესაობა აკავშირებდათ შუა საუკუნეების სიმღერებთან და ძველ ფრანგულ „ტრისტანთან“, ვიდრე ვაგნერის „ტრისტანთან“. აზრის ყვავილები, XII საუკუნიდან მოკიდებული განუწყვეტლივ რომ იფურჩქნებოდნენ საფრანგეთის წალკოტში, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, ძალზე ჰგავდნენ ერთმანეთს და აშკარად განსხვავდებოდნენ სხვა დანარჩენისაგან.

კრისტოფი ისე ზედმიწევნით არ იცნობდა საფრანგეთს, რომ მისი თვისებების მდგრადობას ჩასწვდომოდა. ნაირფერად ფრანგულ პეიზაჟში ყველაზე მეტად მას მიწის ნაკვეთების უკიდურესი დაქუცმაცება ხვდებოდა თვალში. როგორც ოლივიე იტყოდა, ყველას თავისი ბაღი ჰქონდა შემოღობილი; ყოველ მტკაველ მიწას კედლები, ცოცხალი მესერი და ათასგვარი ზღუდე ჰყოფდა დანარჩენებისაგან. მხოლოდ აქა-იქ, კანტიკუნტად თუ სადმე შეგვხვდებოდათ საზოგადო მდელო და ჭალა, ანდა მდინარის გამოღმა მცხოვრებთ ასე თუ ისე კიდევ რაღაც ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, ვიდრე გაღმელებთან. ყველა თავის ნაჭუჭში ჩაკეტილიყო; და იმის ნაცვლად, რომ ეს იჭვნეული ინდივიდუალიზმი საუკუნეობრივი მეზობლობის შედეგად ცოტა შესუსტებულიყო, პირიქით, ისე გაძლიერებულიყო, როგორც არასოდეს. კრისტოფი გულში ფიქრობდა:

„რა მარტონი არიან!“

არაფერი ამ მხრივ ისე ნიშანდობლივი არ ყოფილა, როგორც სახლი, რომელშიც კრისტოფი და ოლივიე ცხოვრობდნენ. ეს გახლდათ მთელი საზოგადოება რაკურსში მოქცეული, დაპატარავებული საფრანგეთი, პატიოსანი და შრომისმოყვარე, რომლის გათიშულ წევრებს შორის კავშირის ნატამალი არ არსებობდა. სახლი წარმოადგენდა ძველი, მორყეული შენობის ექვს სართულს, გვერდზე გადაბრეცილი კედლებით, მოჭრაჭუნე იატაკითა და დაფუტუროებული ჭერით. კრისტოფისა და ოლივიეს ბინაში, სახურავის ქვეშ რომ იყო მოთავსებული, წვიმა ჩამოდიოდა; საჭირო გახდა ხელსნები მოეყვანათ, რომ სახურავი როგორმე მიეკოწიწ-მოეკოწიწებინათ. კრისტოფს ესმოდა, როგორ მუშაობდნენ და მასლაათობდნენ მხურავები ზედ მის თავზე. მეტადრე ერთი მუშა აცდენდა და აღიზიანებდა კრისტოფს თავისი ოხუნჯობით: წუთით ენას არ ასვენებდა, ხითხითებდა, ღიღინებდა, ლაზღანდარობდა, ზოგჯერ სასაცილოდ წა-

უსტვენდა, თავისთავს ესაუბრებოდა და თან საქმეს განაგრძობდა; უსათუოდ ხმამაღლა უნდა განეცხადებინა, რასაც აკეთებდა:

— ახლა ლურსმანი მივუკაკუნო! ჩაქუჩი სადღა ეშმაკში დაიკარგა? ეს ერთი. ახლა მეორე. ერთი ჩაქუჩიც ვუთავაზო! აჰა, ჩემო ბებრუხუნავ, ესეც ასე...

კრისტოფი რომ როიალის დაკვრას დაიწყებდა, მხურავი ერთხანს გატვრინდებოდა, უსმენდა, მერე კი ისევ სტვენას მოჰყვებოდა კიდევ უფრო ეშხში შესული, თან მელოდიის წარმტაც გადასვლებში ჩაქუჩს ყურისწამღებად აყოლებდა სახურავზე. ბოლოს, მოთმინებადაკარგული კრისტოფი სკამზე შეხტა და სხვენის სამერცხულში გაყო თავი, რომ ლაზათიანად გამოეთათხა ეს ვიღაც აბეზარი. მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა სახურავის კოჭზე გადალაჯულსა და მხიარული გამომეტყველების, პირში ლურსმნებგაჩრილ მუშას, კრისტოფს სიცილი წასკდა და მხურავმაც გულიანად გადაიხარხარა. კრისტოფს გადაავიწყდა, რომ გაბრაზებული იყო და მუსაიფი გაუბა. უცებ გაახსენდა, რისთვისაც ამოფოფხდა სამერცხულში.

— ჰო მართლა, — უთხრა კრისტოფმა, — მინდოდა მეკითხა, ხელს ხომ არ გიშლით ჩემი როიალის ჟღარაჟღური?

მუშამ დაარწმუნა, სრულიადაც არაო; ოღონდ ცოტა უფრო ჩქარი რამე დაუკარი, თორემ მაგ გაჭიანურებულ მელოდიას რომ ვყვები, ძალაუნებურად მუშაობაში ვყოვნდებიო. ერთმანეთს მეგობრებად დაშორდნენ. სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთში კრისტოფმა უფრო მეტი სიტყვა დახარჯა მასთან, ვიდრე ექვსი თვის მანძილზე მათს სახლში მობინადრე ყველა მეზობელთან ერთად აღებული.

ყოველ სართულზე ორ-ორი ბინა იყო მოთავსებული: თითო სამოთახიანი, თითო კი—ორიანი. ოთახი შინამოსამსახურისათვის გათვალისწინებული არ ყოფილა: ყველა მდგმური თავად უნდა მომსახურებოდა საკუთარ ოჯახს, გარდა პირველი და მეორე სართულების მობინადრეებისა, რომლებსაც ორ-ორი გაერთიანებული ბინები ეკავათ.

მეექვსე სართულზე კრისტოფსა და ოლივიეს კარის მეზობლად ჰყავდათ ორმოციოდე წლის მღვდელი აბატი კორნელი, ფრიად განსწავლული, თავისუფლად მოაზროვნე და გონებაგახსნილი ადამიანი, ერთ-ერთ დიდ სემინარიაში ეგზეგეტიკის ყოფილი მასწავლებელი, რომელიც მეტისმეტად თანამედროვე აზრებისათვის ამასწინათ რომის მიერ შერისხული გახლდათ. აბატი უხმოდ დათანხმდა სასჯელს და, თუმცა არ ეთანხმებოდა მას გულის სიღრმეში, მაინც დუმილი არჩია: არ იკადრა ბრძოლა, რათა თანამდებობაზე აღედგინათ, და იმის შესაძლებლობაც კი უარყო, საჯაროდ დაეცვა თავისი შეხედულებანი და თავისი პიროვნების გარშემო ხმაურის ატეხასა და სამარცხვინო აურზაურს საკუთარი მრწამსის დაღუპვა ამჯობინა. კრისტოფს ვერაფრით ვერ აეხსნა თვინიერი მეამბოხის ეს ტიპი. სცადა კიდეც გამოლაპარაკებოდა მას, მაგრამ აბატი ზრდილო-

ბიანად და ცივად უსმენდა და კრინტსაც არ ძრავდა იმის თაობაზე, რაც მოსაუბრეს ყველაზე უფრო აინტერესებდა; თითქოს საკუთარ ღირსებად მიაჩნდა ცოცხლად ამოექოლა თავი.

ქვედა სართულზე ზუსტად ისეთივე ბინაში, როგორიც მეგობრებს ეკავათ, ცხოვრობდა ელი ელისბერჟეს ოჯახობა: ინჟინერი, ცოლითა და ორი ბავშვით — შვიდისა და ათი წლის გოგონებით; ისინი ფრიად ზრდილი და სასიამოვნო ხალხი იყვნენ, მაგრამ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, მეტადრე ცრუ თავმოყვარეობის გამო, რომ მათი ხელმოკლეობა არავის გაეგო. ყმაწვილი ქალი, ოჯახზე ზრუნვას მამაცურად რომ აკლავდა თავს, დამცირებას გრძნობდა ამით; იგი სიამოვნებით გაიორკეცებდა ჯაფას, ოღონდაც ამის შესახებ არავის სცოდნოდა, — აი ფრანგული ხასიათის კიდევ ერთი თავისებურება, რომლის გაგებას ვერ ახერხებდა კრისტოფი. ელსბერჟეები პროტესტანტები, წარმოშობით აღმოსავლეთ საფრანგეთიდან იყვნენ. რამდენიმე წლის წინათ ორივე ცოლ-ქმარი დრეიფუსის საქმის გრიგალმა აიტაცა; ამ უსამართლო პროცესმა აღაგზნო და გაცოფებამდე მიიყვანა მთელი მათი არსება, როგორც ათასობით ფრანგი, რომელნიც შვიდი წლის მანძილზე ურყევად იდგნენ ამ წმიდათაწმიდა ისტორიის მძვინვარე ქარტეხილში. მას შესწირეს მოსვენება, მდგომარეობა, ნაცნობობა: მას ანაცვალეს ესოდენ ძვირფასი მეგობრული ურთიერთობანი ადამიანებთან და კინაღამ საკუთარი ჯანმრთელობა შეირყიეს. მთელი თვეების მანძილზე ძილი გაუკრთათ და მადა დაეკარგათ; მანიაკური ჟინიანობით იმეორებდნენ კვლავ და კვლავ ერთსა და იმავე დამამტკიცებელ საბუთებს, აღაგზნებდნენ ერთმანეთს; მიუხედავად მათი მორცხვობისა და შიშისა, რომ შესაძლოა სასაცილო გამოჩენილიყვნენ, ცოლ-ქმარი ელსბერჟეები მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრაციებში, გამოდიოდნენ მიტინგებზე, საიდანაც წარმოდგენებით დამძიმებული გონებითა და მტკივანი გულით ბრუნდებოდნენ შინ და ღამ-ღამობით ერთად ტიროდნენ. ამ ბრძოლას იმდენი ენთუზიაზმი და ვნება შეალიეს, რომ როდესაც გამარჯვების დღე დადგა, ძალა აღარ ეყოთ სიხარულისათვის; ენერგიისგან ისე დაწრეტილიყვნენ, რომ ცხოვრებისათვის არაქათი გამოლეოდათ. ისე მაღალი იმედები ჰქონდათ, ისე წმინდა იყო მათი თავგანწირვის გზნება, რომ სასაცილოდ მოეჩვენათ გამარჯვება იმასთან შედარებით, რაზეც ოცნებობდნენ. ასეთ პირდაპირ ადამიანთა სულში, სადაც ადგილი არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტებისათვის, მათი გმირების პოლიტიკური გარიგებანი და დათმობები მწარე იმედგაცრუებას იწვევდნენ. მათ საკუთარი თვალით იხილეს, რომ თავიანთი თანამებრძოლნი, — ადამიანები, რომლებიც შთაგონებულნი ეგონათ სამართლიანობის იმავე ერთადერთი წყურვილით, — როგორც კი მტერი დამარცხებული დაინახეს, მყისვე ნადავლს ეძგერნენ, ძალაუფლება მოიგდეს, პატივი და თანამდებობანი დაირიგეს და, თვითეულმა თავის ჯერად, ფეხქვეშ გათელა იგივე სამართალი!.. საკუთარი მრწამსის ერთგული დარჩნენ მხოლოდ ერთი მუჭა ადამიანები: ღარიბნი, განმარტოებულნი და ყველა პარტიისაგან გა-

რიყულნი; მერე თვითონაც ზურგი აქციეს ყველას, ჩრდილში დადგნენ და გაურბოდნენ ერთმანეთსაც კი, მწუხარებასა და ნევრასთენიისაგან გათანგულნი, ყველაფერზე იმედგადაწყვეტილნი, ადამიანებზე გულგატეხილნი და წუთისოფლის ბრუნვისაგან დაქანცულნი. ამ დამარცხებულთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ სწორედ ინჟინერი და მისი ცოლი.

მათი ბინიდან ხმაური არასოდეს გამოდიოდა; ცოლ-ქმარი შეეპყრო ავადმყოფურ შიშს, არ შეეწუხებინათ მეზობლები, თუმცა თვითონ მთლად მოსვენებული არ ყოფილან მათგან. მაგრამ სიამაყე ნებას არ აძლევდათ დაეჩივლათ. კრისტოფს ებრალებოდა მათი ორი პატარა გოგონა, რომლებსაც წამდაუწუმ უხშობდნენ მხიარული ჟღურტულის, შეყვირების, კუნტრუშისა და კისკისის დაუოკებელ სურვილს. კრისტოფი აღმერთებდა ბავშვებს; როდესაც პატარა მეზობლებს კიბეზე შეხვდებოდა, იგი ალერსით ეფერებოდა და ესიყვარულებოდა ხოლმე. გოგონები ჯერ მორცხვობდნენ, მაგრამ მალე შეეჩვივნენ კრისტოფს, რომელსაც მუდამ რაღაც სასაცილო ამბავი, ან რაიმე ყელის ჩასაკოკლოზინებელი ჰქონდა მათთვის შემონახული; გოგონები მის შესახებ შინ ჰყვებოდნენ: პირველად მშობლებმა ფრიად ალმაცერად შეხედეს ამას, მაგრამ ბოლოს გული მოუნადირათ გულწრფელობამ ამ აბეზარი მეზობლისა, რომლის გამო არაერთხელ დასწყევლეს ქვეყნად როიალის მომგონი და ზედა სართულიდან თავზე დატეხილი ყურთასმენის წამღები აურზაური (რადგან ოთახში სულშეხუთული კრისტოფი გალიაში გამომწყვდეული დათვივით ბორგავდა და აქეთ-იქით აწყდებოდა). თუმცა ადვილად როდი მოხერხდა მათი საუბარში ჩათრევა. კრისტოფის მოუხეშავი ქცევა ხშირად უკან ახევინებდა ელ-ელსბერჟეს. მაგრამ ინჟინერი ამაოდ ცდილობდა ხელუხლებლად დაეცვა გულჩათხრობილობის კედელი, ადამიანებისაგან თავშესაფრად რომ აღემართა; შეუძლებელი იყო ყოველთვის გასძალიანებოდა გერმანელის მოზღვავებულ გულღიაობას, რომელიც ნათელი და სათნოებით მზირალი თვალებით მისჩერებოდა, და ხანდახან კრისტოფი ახერხებდა გულის კარი გაღებინებინა მეზობლისათვის. ელსბერჟე უცნაური სულის კაცი გახლდათ: მამაცი და უხალისო, გულნაკლული და ბედს დანებებული. ძალა შესწევდა, ღირსეულად ეზიდა წუთისოფლის ტვირთი, მაგრამ არ ძალუძდა შეეცვალა იგი. თითქოს კმაყოფილიც კი ჩანდა ამით, რომ შეეძლო საკუთარი პესიმიზმი გაემართლებინა. ამასწინათ ხელსაყრელი ადგილი შეეთავაზებინათ მისთვის: ხელმძღვანელობა გაეწია ერთ-ერთი საწარმოსათვის ბრაზილიაში, მაგრამ ელსბერჟემ უარი თქვა, ვაითუ უცხო ჰავამ ცოლ-შვილი დასცადოსო.

— მაშინ, ოჯახი აქ დატოვეთ, — უთხრა კრისტოფმა.—მარტო წადით და სიმდიდრე მოუპოვეთ.

— ოჯახი აქ დავტოვო? — გაიკვირვა ინჟინერმა. — გეტყობათ, რომ შვილები არა გყავთ.

— რომც მყოლოდა, მაინც ასე მოვიქცეოდი.

— არამც და არამც! არაფრის გულისათვის!.. თანაც სამშობლოდან სადღაც გადავიხვეწო?.. არა! მირჩევნია აქ ვიტანჯო.

კრისტოფს უცნაური ეჩვენებოდა სამშობლოსა და თავისიანების ასეთი სიყვარული, რაც იმას გულისხმობდა, რომ ერთად ეცოდვილათ და ისე გაეთრიათ წუთისოფელი. მაგრამ ოლივიეს ესმოდა ინჟინრისა:

— წარმოიდგინე,—ამბობდა იგი, — ხომ შეიძლება უცებ გადაბრუნდე და მოკვდე კაცი იქ, უცხო მიწაზე, სადაც არავინ გიცნობს და არავინ გყავს დამტირებელი? არა, ამ საშინელებას ყველაფერი სჯობია! ესეც არ იყოს, განა რამდენ ხანს ვცოცხლობთ ამქვეყნად, რომ ამდენ დავიდარაბას მოჰყვე?..

— რაღა უსათუოდ სიკვდილზე უნდა ვიფიქროთ? — მხრების აჩეჩით მიუგებდა კრისტოფი. — ხოლო თუ იგი მაინც გარდუვალია, არა სჯობია, მათი ბედნიერებისათვის ბრძოლაში მოკვდე, ვინც გიყვარს, ვიდრე ასე უხალისობაში დაიშრიტო?

მათს პირდაპირ, მეხუთე სართულის პატარა ბინაში იდგა ელექტრომონტიორი, გვარად ობერი. თუ ყველა დანარჩენ მობინადრეთაგან მასაც განზე ეჭირა თავი, ამაში უკვე მარტო მონტიორს როდი მიუძღოდა ბრალი. ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულ ამ კაცს საშინლად სურდა აღარასოდეს დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც იყო წარმოშობით. ობერი ჩია ტანისა და ავადმყოფური სახის კაცი იყო; ჯიუტი შუბლის ქვეშიდან დაყინებით იცქირებოდნენ მისი ცქვიტი თვალები, რომელთა მზერა ბურღივით გესობოდათ; ქერა ულვაშები და დამცინავად მოკუმული პირი ჰქონდა, ყრუ ხმა ლაპარაკში მსტვენ ბგერებს გამოსცემდა; ყელი ერთთავად ხილაბანდით ჰქონდა შეხვეული და წამდაუწუმ ხველა უვარდებოდა, რასაც კიდევ უფრო უღიზიანებდა თამბაქოს გამუდმებული წევის ცუდი ჩვეულება; თავისი აღგზნებული მოძრაობებით ობერი ზედგამოჭრილ ჭლექიანის ხასიათს განასახიერებდა. თვითკმაყოფილების, ირონიისა და სევდის ნარევის მიღმა იმალებოდა მისი აღფრთოვანებული, მაღალფარდოვანი და მიამიტი სული, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე იმედს უცრუებდა ცოხვრება. ვიღაც ბურჟუას ნაბიჭვარმა (წარმოდგენა არ ჰქონდა საკუთარ მამაზე), გაზრდილმა დედის მიერ, რომელიც პატივისცემას არ იმსახურებდა, — ობერმა მრავალი მწუხარებისა და ჭუჭყის ნახვა მოასწრო ადრეულ ბავშვობაში. ელექტრომონტიორმა ბევრი ხელობა გამოიცვალა, მოიარა მთელი საფრანგეთი. სწავლის საოცარი წყურვილის მეოხებით, წარმოუდგენელი ძალღონის დაძაბვის ფასად, თვითგანათლება შეიძინა; კითხულობდა განურჩევლად ყველაფერს: ისტორიას, ფილოსოფიას, დეკადენტ პოეტებს; თვალს ადევნებდა ყველაფერს: თეატრს, გამოფენებს, კონცერტებს. ობერს თაყვანსაცემ კერპად დაესახა ბურჟუაზიული ლიტერატურა და ნააზრევი, მოჯადოებულივით რომ იზიდავდნენ თავისკენ. იგი გაჟღენთილი იყო იმ ბუნდოვანი და მხურვალე იდეოლოგიით, რომელიც რევოლუციის პირველ წლებში ყველა ბურჟუას აბოდებდა. მას მტკიცედ სწამდა გონების შეუცდომლობა, უსასრულო პროგრესი, —

quo non ascendam?[1] —მოახლოებული ბედნიერების დამყარება დედამიწაზე, მეცნიერების ყოვლისშემძლეობა, კაცობრიობა — ღმერთად და საფრანგეთი— კაცობრიობის უფროს ასულად. აღფრთოვანებული და გულუბრყვილო ანტიკლერიკალისტი ობერი ყოველგვარ რელიგიას, განსაკუთრებით კი კათოლიციზმს, ბნელეთის მოციქულობად რაცხდა და ყველა მღვდელში სინათლის დაუძინებელ მტერს ხედავდა. სოციალიზმი, ინდივიდუალიზმი, შოვინიზმი — ყველაფერი ერთად არეულიყო მის თავში. თავისი შეხედულებებით ჰუმანისტი, ტემპერამენტით დესპოტი და საქმით კი ანარქისტი გახლდათ. ობერი ამპარტავანი ბრძანდებოდა და რაკი იცოდა თავისი განათლების ნაკლი, იძულებული იყო საუბრის დროს დიდი სიფრთხილე გამოეჩინა: ყურებდაცქვეტილი უსმენდა, რასაც ელაპარაკებოდნენ, მაგრამ რჩევას კი არასოდეს ჰკითხავდა თავად,— ეგონა, ეს დაამცირებდა; ამრიგად, ვერავითარი მიხვედრილობა და საზრიანობა მონტიორს კლასიკური განათლების უქონლობას ვერ უნაზღაურებდა. აიჩემა, მწერალი ვარო. მრავალი უსწავლელი ფრანგის მსგავსად, ობერს სტილის გრძნობა და მახვილი ხედვის თანდაყოლილი უნარი ჰქონდა, მაგრამ აბდა-უბდა აზრები გამოსდიოდა. ერთხელ, თავისი ნაცოდვილარი ერთ აღიარებულ ჟურნალისტს წააკითხა, ვისიც სწამდა; მან მასხრად აიგდო ახალბედა მწერალი. ობერი საშინლად შეურაცხყოფილი დარჩა და კრინტი აღარავისთან დაუძრავს თავისი ნაწარმოებების თაობაზე. წერას კი მაინც განაგრძობდა: შინაგანი მოთხოვნილება ჰქონდა, საკუთარი სული გადმოეფრქვია, და ეს ამაყი სიხარულით ავსებდა მას. თავად ფრიად კმაყოფილი გახლდათ თავისი ღვლარჭნილი სიტყვებითა და მოფილოსოფიურო აზრებით, თუმცა ისინი გროშის ფასადაც არ ღირდნენ, და არაფრად აგდებდა ცხოვრების სინამდვილეზე მიგნებულ თავის შენიშვნებს, რომლებიც ხშირად ძალზე საგულისხმო იყვნენ. თავი ფილოსოფოსად წარმოედგინა და დაიჟინა, გინდა თუ არა სოციალური დრამები და მაღალაზროვანი რომანები უნდა შევთხზაო. გადაუჭრელ საკითხებს ერთი დაკვრით წყვეტდა და ყოველ ნაბიჯზე ახალ ამერიკას აღმოაჩენდა. ხოლო როდესაც მიხვდებოდა, რომ იგი უკვე აღმოჩენილი იყო, იმედგაცრუება ეუფლებოდა, რასაც განაწყენებამდე მიჰყავდა და ცოტაღა აკლდა, აქაც ინტრიგების ძებნა არ დაეწყო. დიდების წყურვილით ანთებულს თავდადების გზნება სწვავდა და იტანჯებოდა, რომ არავის სჭირდებოდა. მისი ოცნება იყო, ცნობილი მწერალი გამხდარიყო, რომ კარი გაეღო მისთვის მჯღაბნელთა მაღალ საზოგადოებას, რომელიც ზეციური შარავანდედით მოსილი ეჩვენებოდა. თუმცა ცდილობდა თავი მოეტყუებინა ფუჭი იმედებით, ობერს საკმაო კეთილგონიერება და ირონიის გრძნობა ჰქონდა და არ შეეძლო ვერ მიმხვდარიყო, რომ წარმატების არავითარი შანსი არ გააჩნდა. მაგრამ ბურჟუაზიული აზრის ატმოსფეროს ხომ მაინც ისუნთქავდა, შორიდან ასე სხივმოსილი რომ ესახებოდა. ეს სურვილი, თავის-

---

1 სად არ ავაღწევ (ლათ.).

თავად უწყინარი, ერთი რამით საზიანო გახლდათ: იგი უძნელებდა ურთიერთობას ადამიანებთან, რომელთა შორის იძულებული იყო ეცხოვრა. და რაკი ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელსაც ობერი ესწრაფოდა, კარი დაეხშო მისთვის, ელექტრომონტიორს ისღა დარჩენოდა, რომ განმარტოებულიყო. ამიტომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა კრისტოფისათვის, დაახლოებოდა მას. პირიქით, სულ მალე კრისტოფი იძულებული გახდა თავი დაეღწია მისი ხშირი სტუმრობისაგან, თორემ ობერი მალე კარზე დაუსახლდებოდა: იგი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ გაიჩინა ხელოვანი მეგობარი, ვისთანაც შეეძლო გაუთავებლად ესაუბრა მუსიკაზე, თეატრზე და სხვ. მაგრამ კრისტოფს, ცხადია, დიდად არ ხიბლავდა ეს პერსპექტივა: უბრალო ხალხისგან გამოსულ ადამიანთან უბრალო ხალხზე საუბარი ერჩია. ობერს კი ეს არ სურდა, ხალხს აღარც კი იცნობდა.

რაც უფრო დაბლა სართულზე ცხოვრობდნენ, ბუნებრივია, მით უფრო ნაკლები ურთიერთობა ჰქონდა კრისტოფს მეზობელ მდგმურებთან. რაღაც ჯადოსნური სიტყვა, რაღაც „სეზამ, გაიღე“ იყო საჭირო, რომ მეოთხე სართულის მობინადრეებთან შეგეღწიათ. კიბის ერთ მხარეს ცხოვრობდა ორი მგლოვიარე მანდილოსანი, რომლებიც თითქოს მონუსხულიყვნენ, უკვე დიდი ხნის ძაძები ვეღარ გაეხადათ: ოცდათხუთმეტი წლის ქ-ნი ჟერმენი, რომელსაც ქმარი და ერთადერთი გოგონა დაღუპოდა და განდეგილივით ცხოვრებას ეწეოდა ღვთისმოსავი, მოხუცი დედამთილის გვერდით. მოპირდაპირე ბინაში იდგა გაურკვეველი ასაკის, ასე, ორმოცდაათიდან სამოცამდე წლის, იდუმალებით მოცული პიროვნება, ათიოდე წლის გოგონასთან ერთად. იგი მელოტი იყო, ლამაზი, მოვლილი წვერი, დარბაისლური მიხრა-მოხრა, არისტოკრატიული ხელები ჰქონდა და დინჯი საუბარი იცოდა. გვარად ვატლე გახლდათ. ანარქისტს, რევოლუციონერსა და უცხოელს უწოდებდნენ, მაგრამ ზუსტად არავინ იცოდა, სადაური ან რა ეროვნებისა იყო — რუსი თუ ბელგიელი? სინამდვილეში კი ჩრდილოელი ფრანგი გახლდათ და ფრიად საეჭვოა, კიდევ რევოლუციონერი ყოფილიყო, მაგრამ ისევ ძველი სახელით იცნობდნენ. 1871 წლის კომუნის ამბებში გარეულმა და სიკვდილმისჯილმა, ხეირიანად თვითონაც არ იცოდა, როგორ დააღწია სასჯელს თავი; ათი წლის მანძილზე ევროპის რომელ ქვეყანაში აღარ მოუწია ცხოვრებამ. ვინ მოთვლის, რამდენი სისაძაგლის მოწმე გამხდარა პარიზის ქარიშხლიან დღეებში, და მერეც, გადასახლებაში ყოფნისას, თუ სამშობლოში დაბრუნების დროს, — როგორც ძველი ამხანაგების წრეში, ხელისუფლებას რომ შეურიგდნენ შემდეგში, ისე ყველა რევოლუციური პარტიის რიგებში, რომელთაც ჩამოსცილდა და თავისთვის მშვიდად ინახავდა გულში საკუთარ მრწამსს, შეუბღალავსა და უნაყოფოს. ვატლე ბევრს კითხულობდა; ხანდახან წიგნებსაც წერდა, მშვიდ სიტყვებში აღმგზნები აზრები რომ იყო დამალული; მასთან მოდიოდა (როგორც ამტკიცებდნენ) ძალზე შორს — ინდოეთში თუ სადღაც შორეულ აღმოსავლეთში გაბმული ანარქისტული მოძრაობის ყვე-

ლა ქსელი, იკვლევდა საყოველთაო რევოლუციას და ასევე საყოველთაო, მაგრამ უფრო უწყინარ საკითხებს: მსოფლიო ენასა და მუსიკის სწავლების ყველასათვის ხელმისაწვდომ ახალ მეთოდს. მეზობლებში არავისთან ჰქონდა მისვლა-მოსვლა და მათთან შეხვედრისას თავის მდაბლად დაკვრით კმაყოფილდებოდა. მაინც თავს ნება მისცა, მუსიკის სწავლების საკუთარ მეთოდზე რამდენიმე სიტყვა გაეზიარებინა კრისტოფისათვის. მაგრამ კრისტოფს ეს ყველაზე ნაკლებ აინტერესებდა: მისთვის სულერთი იყო, რა ნიშნებით გადმოსცემდა იგი თავის აზრს: თავად ნებისმიერ ენაზე ახერხებდა მის გადმოცემას. ვატლე კი თავისას არ იშლიდა და დინჯი დაბეჯითებით განაგრძობდა საკუთარი სისტემის განმარტებას; ხოლო რაც შეეხება ვატლეს წარსულს, მის შესახებ კრისტოფმა ვერაფერი შეიტყო. ამიტომ, როდესაც მას კიბეზე შეხვდებოდა, კრისტოფი იმისათვის თუ შეჩერდებოდა, რომ შეეთვალიერებინა გოგონა, მუდამ თან რომ დაჰყვებოდა ვატლეს: ეს გახლდათ ქერათმიანი, ფერმკრთალი, სისხლნაკლული, ცისფერთვალა ბავშვი, რომელსაც თხელი პროფილი, სუსტი ტანი და ავადმყოფური, არცთუ ძალიან გამომეტყველი იერი ჰქონდა. კრისტოფს, როგორც ყველას, გოგონა ვატლეს შვილი ეგონა. მაგრამ იგი ობოლი გახლდათ, მუშის შვილი; ვატლემ იგი იშვილა ოთხი თუ ხუთი წლისა, როდესაც ეპიდემიის დროს მშობლები დაეხოცნენ. იგი უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული ღარიბი ბავშვებისადმი. ამ გულთბილობას რაღაც მისტიკური ხასიათი მიეღო მასში, ვენსან დე პოლის სულისკვეთების მსგავსი. ხოლო ვინაიდან ვატლე უნდობლად ეკიდებოდა ყოველგვარ ოფიციალურ ქველმოქმედებას და მოეხსენებოდა, რას ნიშნავდა ფილანტროპიული საზოგადოებანი, იგი ამჯობინებდა სიკეთე ჩაედინა მარტოს, თვითონ კი არ გამოჩენილიყო: ამაში რაღაც იდუმალ სიხარულს პოულობდა. ვინმესთვის რაიმე სარგებლობის მოტანა რომ შესძლებოდა, ვატლემ მედიცინა შეისწავლა. ერთხელ, იქვე ახლოს მცხოვრებ მუშასთან რომ შეიარა, ნახა, რომ მთელი ოჯახი ავად იყო და მკურნალობა დაუწყო. ცოტაოდენი სამედიცინო ცოდნა გააჩნდა და გადაწყვიტა სრულეყო იგი. ვატლეს არ შეეძლო ეცქირა ბავშვის ტანჯვისათვის: სიბრალულით გული ეწვოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი ნეტარება, როდესაც საბრალო პატარას ტკივილის კლანჭებისგან გამოიხსნიდა და სუსტი ღიმილი გამოკრთებოდა მის გამხდარ სახეზე! ვატლე სიხარულისაგან ცას ეწეოდა. თავი სამოთხეში ეგონა. იგი ავიწყებინებდა იმ გულისტკენას, სიკეთის სანაცვლოდ რომ იმკიდა უმადური ადამიანებისაგან. იშვიათად თუ ვინმე დარჩენილა მადლიერი. მეკარე ქალი ცოფებს ჰყრიდა, ვატლესთან ათასი ვიღაც უცნობები დაიარებიან და კიბეს მიტალახიანებენო, და გამწარებული ჩიოდა. სახლის პატრონი, შეშფოთებული ანარქისტთა ამ თავყრილობებით, საყვედურებს გამოთქვამდა. ვატლეს უკვე გუნებაში ჰქონდა, ბინა გამოეცვალა, მაგრამ უჭირდა გადაწყვეტილება მიეღო; მასაც თავისი უცნაურობა სჭირდა: მეტისმეტად დინჯი და დაუდევარი იყო და საყვედურებზე ყურს არ იბარტყუნებდა.

ბავშვების სიყვარულმა კრისტოფს გარკვეული ნდობა მოუპოვა ვატლეს თვალში. ეს სიყვარული მათი დამაკავშირებელი რგოლი გახდა. ვატლეს გოგონას დანახვისას კრისტოფს გული შეეკუმშებოდა ხოლმე: იდუმალი მსგავსების წყალობით, რომელიც მიუწვდომელია გონებისათვის და მხოლოდ ალღო გრძნობს, იგი აგონებდა კრისტოფს საბინას პატარა ასულს, პირველი და შორეული სიყვარულის წუთიერ აჩრდილს, ვისი მდუმარე სიტურფე ჯერ კიდევ არ წაშლილიყო მის სულში. ამიტომ მიიპყრო მისი ყურადღება ამ პატარა, ფერმკრთალმა არსებამ, რომელიც არასოდეს დახტოდა, არ დარბოდა, თითქმის ვერ გაიგონებდით მის ხმას, არ გააჩნდა ტოლ-მეგობარი და მუდამ მარტო, ხმაამოუღებლად ერთობოდა ჯდომელა, წყნარი თამაშით ეფერებოდა თოჯინას ან ხის პაწია ჯოხს და ტუჩების ცმაცუნითა და ჩურჩულით რაღაც თავგადასავალს ყვებოდა თავისთვის. გოგონა მოსიყვარულე და ამავე დროს გულგრილიც იყო; რაღაც უცნაური და აუხსნელი უცხოობა იგრძნობოდა მასში, მაგრამ მამობილი ამას ვერ ამჩნევდა: მას უყვარდა ბავშვი. ვაგლახ! ამ საოცარ უცხოობას არა ვგრძნობთ მუდამ ღვიძლ შვილებშიც კი, ჩვენს სისხლსა და ხორცში?.. კრისტოფმა სცადა პატარა გაჭდეგილისათვის ინგინრის გოგონები გაეცნო, მაგრამ, როგორც ელსბერჟეს, ასევე ვატლეს მჭირდ. ცივი უარი მიიღო—თავაზიანი, ოღონდ კატეგორიული. თითქოს ამ ადამიანებს პირადი ღირსების საკითხათ მიაჩნდათ, რომ ყველას ცალ-ცალკე, თავ-თავიანთ ბუნაგში ცოცხლად დაემარხა საკუთარი თავი. თუ საჭიროება მოითხოვდა, თითოეული მათგანი მზად იყო, დახმარება გაეწია მეზობლისათვის. მაგრამ ყველას ეშინოდა, სხვას არ გაეგო, რომ თვითონ სჭირდებოდა შველა; ხოლო ვინაიდან ორივე მხარე ერთნაირად თავმოყვარე გახლდათ. და ერთიც და მეორეც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, იმედის ნატამალიც არ არსებობდა, რომ რომელიმე მათგანი გაბედავდა, პირველს გაეწოდებინა ხელი.

მესამე სართულის დიდი ბინა თითქმის სულ მუდამ ცარიელი იყო. სახლის პატრონს იგი თავისთვის დაეტოვებინა, თუმცა შიგ არასოდეს ცხოვრობდა. ეს გახლდათ ყოფილი კომერსანტი. რომელმაც ერთბაშად მიატოვა სავაჭრო საქმიანობა, როგორც კი ნაგროვებმა ქონებამ დასახულ თანხას მიაღწია. წელიწადის უმეტეს ნაწილს პარიზის გარეთ ატარებდა: ზამთარს — ლაჟვარდოვანი სანაპიროს სასტუმროში, ზაფხულს — ნორმანდიის პლაჟზე, და ცხოვრობდა წვრილი რანტიეს კვალობაზე, რომელიც ცდილობს მცირე სახსრებით ფუფუნების ილუზია შეიქმნას, სხვების განცხრომას უჭვრეტს და მათებრ უსარგებლო ცხოვრებას ეწევა.

პატარა ბინა უშვილო წყვილს — ცოლ-ქმარ არნოებს ჰქონდათ დაქირავებული. ქმარი, ორმოცი-ორმოცდახუთი წლის კაცი, ლიცეუმის მასწავლებელი იყო. გაკვეთილებით, საშინაო დავალებების სწორებითა და რეპეტიციებით გადატვირთულმა, დისერტაციის დასაწერად ვეღარ მოიცალა და ბოლოს საერთოდ ხელი აიღო ამ განზრახვაზე. ცოლი, ათი წლით მასზე უმცროსი, სან-

დომიანი და უაღრესად მორიდებული ქალი გახლდათ. ორივენი ჭკვიანი, განათლებული და მოსიყვარულე მეუღლენი იყვნენ, მაგრამ მისვლა-მოსვლა არავისთან ჰქონდათ და შინიდან გარეთ არ გამოდიოდნენ. ქმარს არ ეცალა, ცოლს კი მოცლილობისაგან გული უღონდებოდა; მაგრამ იგი წესიერი ყმაწვილი ქალი იყო და მხნედ უმკლავდებოდა მოძალებულ ნაღველს, ანუ, რაც უფრო საგულისხმოა, საგულდაგულოდ მალავდა მას და რითაც შეეძლო იმით ირთობდა თავს: კითხულობდა, ქმარს კონსპექტებს უდგენდა, ქმრის კონსპექტებს ათეთრებდა, ტანსაცმელს უკერებდა და თავისი ხელით კაბებსა და ქუდებს იკერავდა. დროგამოშვებით უარს არ იტყოდა თეატრში წასვლაზეც, მაგრამ არნოს ეზარებოდა: საღამოობით ძალზე დაღლილი ბრუნდებოდა და ქალიც ხმას აღარ იღებდა.

მათი ყველაზე დიდი სიხარული მუსიკა იყო. ისინი აღმერთებდნენ მას. ქმარმა არ იცოდა დაკვრა; ცოლმა კი, თუმცა იცოდა, მაგრამ მეტისმეტად მორცხვი გახლდათ: როდესაც ვინმეს თანდასწრებით, თუნდაც ქმრის წინაშე უკრავდა, ისე ღელავდა, იტყოდით, პიანინოს ბავშვის ხელები ეხებიანო. ცოლ-ქმარს კი ესეც კმაყოფილებას ჰგვრიდა; გლუკი, მოცარტი და ბეთჰოვენი, რომელთა მუსიკა ჟღურტულით ელამუნებოდათ, მათი მეგობრები გამხდარიყვნენ. არნოებმა ზედმიწევნით იცოდნენ კომპოზიტორთა ცხოვრების ყველა წვრილმანი და მათ მიერ განცდილი ტანჯვა სიყვარულითა და თანაგრძნობით მსჭვალავდა მეუღლეთა გულებს. ბედნიერებას ანიჭებდათ აგრეთვე საყვარელი წიგნების ერთად კითხვა, რასაკვირველია, კარგი წიგნებისა. მაგრამ თანამედროვე ლიტერატურაში სანთლით საძებარია კარგი წიგნი: მწერლები დღეს აღარ ირჯებიან მათი გულისათვის, ვინც ვერ მოუპოვებს მათ რეპუტაციას, სიამესა და ფულს, — იმ თავმდაბალი მკითხველებისათვის, რომლებიც ხშირ-ხშირად არ იკრიბებიან მაღალ საზოგადოებაში, არსად არაფერს წერენ და მხოლოდ სიყვარული და დუმილი შეუძლიათ. ხელოვნების ეს მდუმარე შარავანდედი, რომელიც ამ პატიოსან და მოწიწებულ ადამიანთა სულში თითქმის ზებუნებრივ შუქს ასხივებს, და ის ურთიერთსიყვარული, ცოლ-ქმარს რომ ჰქონდა, საკმარისი იყო, რათა არნოებს მშვიდად და ფრიად ბედნიერად ეგრძნოთ თავი, თუმცა არც ნაღველი აკლდათ (ერთი მეორეს სულაც არ გამორიცხავს), მარტონი და ცხოვრებისგან ცოტა გულნატკენნი იყვნენ. ორივენი გაცილებით მაღლა იდგნენ იმ ხვედრზე, რომელიც ბედმა არგუნათ. ბ-ნ არნოს უამრავი ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არც დრო ჰყოფნიდა და ახლა უკვე აღარც გამბედაობა, რომ ხელში კალამი აეღო. სტატიისა თუ წიგნის გამოქვეყნებას იმდენი დავიდარაბა სჭირდებოდა, რომ ჩიტი ბდღვნად არ ღირდა: ფუჭი პატივმოყვარეობა გახლდათ. რას წარმოადგენდა იმ მოაზროვნეთა გვერდით, რომელთაც თაყვანს სცემდა! მას მეტისმეტად უყვარდა ხელოვნება, რომ თვითონაც ხელოვანად გახდომა მოესურვებინა: ასეთ პრეტენზიას კადნიერად და სასაცილოდ ჩათვლიდა. საკუთარი ხვედრი, მისი აზრით, ის გახლდათ, რომ ხელოვნების ქმნილებანი სხვებისთვის გაეცნო. თავის იდეებს კი მოსწავლეებს უნერგავდა: ამ იდე-

ებზე ისინი წიგნებს დაწერდნენ შემდეგში, თუმცა, ცხადია, აღარავინ მოიხსენიებდა თავიანთ მასწავლებელს. უამრავი სხვადასხვა გამოცემის გამოწერაში არავინ იმდენ ფულს არ ფლანგავდა, რამდენსაც ბ-ნი არნო. ღარიბები ყოველთვის უფრო გულუხვნი არიან: ისინი ყიდულობენ წიგნებს; მდიდრებს თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნიათ, რომ მუქთად არ უბოძონ წიგნი. არნო დაენელებინა წიგნებს: ეს მისი სისუსტე იყო, მისი ნაკლი. თვითონვე რცხვენოდა ამისი და ცოლს უმალავდა, თუმცა ქალი არ საყვედურობდა — მის ადგილას, ალბათ, თვითონაც ასევე მოიქცეოდა. ცოლ-ქმარი მუდამ წარმტაც გეგმებს აწყობდნენ, რომ ფული დაეზოგათ და იტალიაში სამოგზაუროდ წასულიყვნენ, თუმცა მშვენივრად იცოდნენ, რომ მათ განზრახვას განხორციელება არ ეწერა; მერე მხიარულად იცინოდნენ ხოლმე, რომ მომჭირნეობა არ შეეძლოთ. არნო გულს არ იტეხდა: მოსიყვარულე მეუღლე ჰყავდა; ამასთან, შრომა და შინაგანი სიხარულიც ჰყოფნიდა ცხოვრებაში. ცოლს რაღა უნდა ჰქონოდა დასამდური? აკი არც ჩიოდა. მას ვერ გაებედა ეთქვა, რომ კარგი იქნებოდა ქმარი ცოტა ცნობილი ადამიანი ყოფილიყო, რომ მისი სახელის ანარეკლი ცოლსაც მოჰფენოდა; იგი გააცისკროვნებდა ქალის ცხოვრებას და ოჯახსაც კეთილდღეობას შემატებდა. შინაგანი სიხარული ცუდი არ არის, მაგრამ რა უშავს, ცოტაოდენი სინათლე რომ გარედანაც კრთოდეს?!... და მაინც ქალი სიტყვიერად არაფერს ამბობდა, ვინაიდან გაუბედავი გახლდათ; თანაც იცოდა, ქმარს ბევრიც რომ ეცადა, საეჭვოა სახელი შეეძინა: უკვე გვიანღა იყო!.. ცოლ-ქმარი არნოები ყველაზე უფრო მაინც იმით იყვნენ გულდაწყვეტილი, რომ შვილი არ ჰყავდათ. ამ გულნაკლულობას ორივენი უმალავდნენ ერთმანეთს, რაც მათს ცოლქმრობას კიდევ უფრო ნაზს ხდიდა: თითქოს ამ საცოდავებს ერთიმეორესთან საბოდიშო ჰქონდათ. ქ-ნი არნო კეთილი და გულითადი ადამიანი იყო; იგი სიამოვნებით დაუახლოვდებოდა ქ-ნ ელსბერჟეს, მაგრამ ვერ გაებედა: ინჟინრის ოჯახი არ აგრძნობინებდა, რომ მასაც სურდა ეს. რაც შეეხება კრისტოფის გაცნობას, ცოლ-ქმარი არნოები უკეთესს ვერაფერს ინატრებდნენ: ორივენი მოჯადოებული იყვნენ მისი მუსიკის შორეული ჰანგებით. მაგრამ ამქვეყნად არაფრის გულისათვის თვითონ არ გადადგამდნენ პირველ ნაბიჯს: ეს ხომ ძალითმაცხონეობა იქნებოდა.

მეორე სართული მთლიანად ცოლ-ქმარ ფელიქს ვაილებს — მდიდარ, უშვილო ებრაელებს ეკავათ, რომლებიც წელიწადის ექვს თვეს ქალაქგარეთ, აგარაკზე ატარებდნენ. თუმცა უკვე ოცი წელი იყო, რაც ამ სახლში ცხოვრობდნენ (მიჩვევის გამო, თორემ არ გაუჭირდებოდათ თავიანთი ქონების შესაფერი ბინა ეშოვათ), ვაილები აქ ყოველთვის წასასვლელად გამზადებულ სტუმრებს ჰგავდნენ. მეზობლებს არასოდეს გამოელაპარაკებოდნენ და მათ შესახებ ვერავის იმაზე მეტი ვერ გაეგო, რაც მათი მოსვლის პირველ დღეს იცოდნენ. მაგრამ ხალხს ეს ხელს არ უშლიდა, ისინი ეძრახა; უფრო მეტიც: ვაილები სძულდათ

�-ქმარი, ცხადია, არც ცდილობდა მათი სიყვარული მოეპოვებინა; მაგრამ ისე, ღირსი კი იყვნენ, ცოტა უკეთ გაეცნოთ: ორივენი ჩინებული გულის ადამიანები იყვნენ და, ამავე დროს, ჭკუა-გონებით სავსენი. ქმარი, სამოც წელს მიღწეული მოხუცი, ასირიოლოგი გახლდათ, რომელსაც სახელი გაეთქვა შუა აზიაში არქეოლოგიური გათხრებით; ეს გონებაგახსნილი და ცნობისმოყვარე კაცი, მრავალი თავისი თანამოძმის მსგავსად, თავისი სპეციალობის ნაჭუჭში არაოდეს იკეტებოდა და ქვეყანაზე ყველაფერი აინტერესებდა: ხელოვნება, სოციალური საკითხები და თანამედროვე აზრის ყოველგვარი გამოვლინება. მაგრამ ვერც ერთი დარგი ან საკითხი ვერ აოკებდა, რომ მხოლოდ მისით შეზღუდულიყო. ბ-ნი ვაილი ძალზე ჭკვიანი გახლდათ, მეტისმეტად ჭკვიანი და მეტისმეტად თავისუფალი ყოველგვარი ხუნდებისაგან, და მუდამ მზად იყო, ცალი ხელით ნანგრევებად ექცია ის, რასაც მეორეთი ქმნიდა; ხოლო ქმნიდა ბევრს: დიდ შრომებსა და საკუთარ თეორიებს. ეს დაუცხრომელი ადამიანი, რომელიც შრომობდა ჩვეულების ძალით და გონების ჰიგიენის გულისათვის, მოთმინებით და გულდაგულ განაგრძობდა მეცნიერების ყამირის გატეხას და ბელტს ბელტზე აწვენდა. თუმცა არ ეჯერა იმის სარგებლობა, რასაც აკეთებდა. ვაილს ბეღნიერება არა ჰქონდა, რომ ღარიბი ყოფილიყო: ეგებ ცხოვრების აზრი არსებობისათვის ბრძოლაში მაინც ეპოვა; ხოლო აღმოსავლეთის ექსპედიციის შემდეგ, რომლის ხელმძღვანელობამაც წლების მანძილზე თავი მოაბეზრა, ვაილმა უარი თქვა ყოველგვარ ოფიციალურ თანამდებობაზე. მაგრამ, ამავე დროს, თავის დარგში კვლევასთან ერთად, იგი ჩვეული გამჭრიახობით მუშაობდა საპერსონალო საკითხებსა და პრაქტიკული მნიშვნელობის გადაუდებელ სოციალურ რეფორმებზე, სახელდობრ, სახალხო განათლების რეორგანიზაციაზე საფრანგეთში: აყენებდა ახალ-ახალ იდეას, აყალიბებდა მთელ მიმდინარეობას, მოძრაობაში მოჰყავდა უზარმაზარი ინტელექტუალური მექანიზმები და მყისიე ხალისი ეკარგებოდა. რამდენჯერ აღშფოთება გამოუწვევია ადამიანებში, რომლებიც თავისი მოსაზრებებით ჯერ რაიმე საქმისათვის წაუქეზებია, და მერე თვითონვე. ამავე საქმის ნამოწყებისათვის ყველაზე ღვარძლიანი და ყველაზე გულისგამტეხი კრიტიკა დაუტეხია თავზე მათთვის. ამას განზრახ როდი სჩადიოდა: ეს მისი ბუნების შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენდა; მეტად ნერვულსა და დამცინავს, უჭირდა თვალი დაეხუჭა სასაცილო მხარეებზე, თავისი დაკვირვების გამო ეწებურად რომ ამჩნევდა ცხოვრებასა და ადამიანებში. ხოლო რადგან არ არსებობს ქვეყნად ისეთი ქველი საქმე, ან ისეთი კეთილისმყოფელი ადამიანები, რომელთაც, გარკვეული კუთხითა და გამადიდებელი შუშით რომ გაეხედოთ, სასაცილო მხარე არ აღმოაჩნდეთ, — ვაილის ირონიაც არავის ინდობდა. ამ გზით კი მეგობრებს სულაც ვერ შეიძენ. და მაინც მას გულითადი სურვილი ჰქონდა, სიკეთე ჩაედინა ადამიანებისათვის, და სჩადიოდა კიდეც, მაგრამ მთლად მადლიერი არავინ დარჩენილა: მათაც კი, ვისაც მისი კარგი ახსოვდათ, გულის სიღრმეში ვერ ეპატიებინათ, რომ მის თვალში სასაცილონი

გამოჩნდნენ. ვაილი იძულებული იყო მეტისმეტად ახლოს არ მიეშვა ადამიანები, რომ მათი სიყვარული შესძლებოდა. იმიტომ კი არა, თითქოს მიზანთროპი იყო: ისე თავდაჯერებული როდი გახლდათ, რომ კაცთმოძულეობა რწმენად გაეხადა. იგი მორიდებულობას იჩენდა იმ საზოგადოების წინაშე, რომელიც დაცინვას იწვევდა მის გულში: დარწმუნებული არ იყო, რომ მაინცდამაინც საზოგადოება ცდებოდა მასთან; ამიტომ ცდილობდა მეტისმეტად განსხვავებული არ გამოჩენილიყო სხვებისაგან, და ზედმიწევნით მიებაძა მათთვის ქცევასა და შეხედულებებში. მაგრამ ამაოდ: თავს ვერ იკავებდა, არ განესაჯა ისინი, რადგან ყოველგვარი გაზვიადება, უბრალოების სულ მცირე დარღვევაც კი გულზე ეკლად ესობოდა და ვეღარ ითმენდა. ვაილს განსაკუთრებით ებრაელების სასაცილო მხარეები ხვდებოდა თვალში, ვინაიდან მათ უკეთ იცნობდა. თუმცა მისი თავისუფლად მოაზროვნე გონება ერებს შორის ზღუდეებს არ სცნობდა, თვითონ ხშირად ეჯახებოდა სხვა ერის ადამიანების მიერ მის წინაშე აღმართულ ამ ზღუდეებს; და რადგან, მიუხედავად ამისა, მაინც უცხოდ თვლიდა მას ქრისტიანული აზრის სამყარო, ვაილი, საკუთარი ღირსება რომ არ შეელახა, განზე გამდგარიყო და თავი შეეკედლებინა ილაჯის გამწყვეტი ირონიისა და ცოლისადმი ღრმა სიყვარულისათვის.

ყველაზე უარესი კი ის ეახლდათ, რომ ქმრის ირონიისაგან არც ქ-ნი ვაილი ყოფილა დაზღვეული. ეს სათნო, ყოჩაღი ქალი იმის ცდაში იყო, ვინმესთვის ხელი გაემართა და ერთთავად საქველმოქმედო საქმეებით იყო გართული. ქმართან შედარებით გაცილებით მარტივი ბუნებისა, ქ-ნი ვაილი ებღაუჭებოდა კეთილისმყოფელობის ზნეობრივ პრინციპსა და ცოტა განუსჯელ, საგულისხმო, მაგრამ ძალზე მაღალ აზრს, რომელიც ლამის მოვალეობად გაეხადა. დიდ სიხარულსა და დიდ სიყვარულს მოკლებული ეს უშვილო ქალი მთელ თავის ნაღვლიან ცხოვრებას ამყარებდა ამ ზნეობრივ რწმენაზე, უფრო რწმენის სურვილს რომ ჰგავდა. ქმრის ირონიას არ შეეძლო გამოჰპარვოდა ამ რწმენაში დამალული ნებაყოფლობითი გაბრიყვების წილი და (რაც უკვე მის ძალ-ღონეს აღემატებოდა) თავი შეეკავებინა ცოლის დაცინვისაგან. ბ-ნი ვაილი წინააღმდეგობათა მთელი ხლართი იყო. მოვალეობის მაღალი გრძნობა ცოლზე ნაკლებ როდი ჰქონდა შეგნებული, მაგრამ ამავე დროს ულმობელი სურვილი იპყრობდა დაუსრულებლივ ეანალიზებინა, ეკრიტიკებინა, რომ გულკეთილობა გულუბრყვილობაში არ ჩამოერთვათ: ეს აზრი გლეჯდა და ნაფლეთებად აქცევდა მის ზნეობრივ იმპერატივს. იგი ვერ ამჩნევდა, რომ ამით ცოლს ფეხქვეშ ნიადაგს აცლიდა და სასტიკ სასოწარკვეთილებაში აგდებდა. როდესაც ამას ხვდებოდა, ცოლზე მეტად იტანჯებოდა; მაგრამ ბოროტება უკვე ჩადენილი იყო. ცოლ-ქმარს მაინც ერთგულად უყვარდათ ერთმანეთი, კვლავ იღვწოდნენ და განაგრძობდნენ სიკეთის ჩადენას. მაგრამ ქ-ნ ვაილის ცივ სათნოებას მისი ქმრის ირონიაზე უკეთ როდი აფასებდნენ; ხოლო რადგან მეტისმეტად ამაყნი იყვნენ და არ გაჰყვიროდნენ, რომ სიკეთეს სჩადიან, ან აპირებენ ჩაიდინონ,

მათს თავდაჭერილობას გულგრილობად აცხადებდნენ, კარჩაკეტილობას კი ეგოიზმად ნათლავდნენ. მაგრამ რაც უფრო აშკარად გრძნობდნენ, რომ ხალხს მათზე ასეთი წარმოდგენა ჰქონდა, ვაილები მით უფრო ნაკლებ ირჯებოდნენ, რომ მათთვის აზრი შეეცვლევინებინათ. მრავალი მათი თანამოძმის უბოდიშო მოურიდებლობის საპირისპიროდ, ცოლ-ქმარი ვაილები იმ თავდაჭერილი გულჩათხრობილობის მსხვერპლი გამხდარიყვნენ, რომელშიაც ესოდენი სიამაყე იმალებოდა.

დაბოლოს, პირველ სართულზე, რამდენიმე საფეხურით პატარა ბაღში რომ ჩადიოდა, ცხოვრობდა კოლონიური საარტილერიო ჯარების გადამდგარი ოფიცერი, მაიორი შაბრანი. ამ ჯერ კიდევ ჯანმაგარსა და მხნე კაცს ბრწყინვალე ბრძოლები ჩაეტარებინა სუდანში და მადაგასკარზე; მერე უეცრად ყველაფერი ჯანდაბას გაუყენა, ამ სახლში მოიკალათა, ჯარის გაგონება აღარ სურდა და დილიდან საღამომდე ყვავილნარს ჩიჩქნიდა, ან ფლეიტაზე ვარჯიშობდა წარუმატებლად, ანდა პოლიტიკაზე განაწყენებული ებუზღუნებოდა და ტუქსავდა თავის ქალიშვილს, რომელსაც აღმერთებდა. ეს გახლდათ ოცდაათიოდე წლის არცთუ მზეთუნახავი, მაგრამ ფრიად სანდომიანი ყმაწვილი ქალი, რომელიც მამის სიყვარულით ვერ გათხოვილიყო, რომ მარტოკა არ დაეტოვებინა იგი. ფანჯარაზე გადაყუდებული კრისტოფი ხშირად ხედავდა მამა-შვილს, რომელთაგან მის ყურადღებას, ბუნებრივია, უფრო ასული იპყრობდა, ვიდრე მამა. ნაშუადღევს ქალიშვილი მეტწილად ბაღში ატარებდა: კერავდა, ოცნებობდა, თავს ევლებოდა ყვავილებს და მუდამ დაყვავებით უპასუხებდა თავის ბუზღუნა მამას. კრისტოფს ამოესმოდა ქალიშვილის წყნარი, მკაფიო ხმა, რომელიც სიცილის კილოთი ეხმიანებოდა ერთთავად აღრენილ მაიორს, გაუთავებლად ბოლთას რომ სცემდა ქვიშამოყრილ ხეივანში; მერე კაცი სახლში შებრუნდებოდა, ქალიშვილი კი ბაღში რჩებოდა, იჯდა სკამზე, საათობით კერვაში გართული, ერთ მდგომარეობაში გარინდული და გაურკვეველი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე; ამასობაში, საქმეგამოლეული ოფიცერი შინ თავის ფლეიტას აწრიპინებდა, ანდა, ეს რომ მოსწყინდებოდა, ახლა მოშლილ ფისჰარმონს ააჭყვიტინებდა, რაც ხან აცინებდა, ხან აღიზიანებდა კრისტოფს (გააჩნია, როგორ გუნებაზე შეხვდებოდა).

ყველა ეს ადამიანი გვერდიგვერდ ცხოვრობდა ამ სახლში, ფასადი ბაღის კედლებით რომ ჰქონდა ჩაკეტილი და ქვეყნის ორომტრიალს გაცლილნი ერთმანეთისგანაც შეუღწევი ზღუდეებით გათიშულიყვნენ. მხოლოდ კრისტოფი, თანაზიარობის შინაგანი მოთხოვნილებითა და მჩქეფარე ცხოველმყოფელობით, ჰფენდა ყველას, მათდა შეუცნობლად, თავის უხვ თანაგრძნობას — ბრმასა და, ამავე დროს, ყოვლისმხილველს. კრისტოფს არ ესმოდა მათი არ ძალედვა მათი გაგება: მას არ გააჩნდა ოლივიესებრი სულში ჩახედვის უნარი, მაგრამ უყვარდა ისინი, თავს მათს მდგომარეობაში იყენებდა უნებლიეთ, და ნელ-ნელა, თითქოს იდუმალ მოქცევათა ძალით, კრისტოფის გონებაში ამოტივტივდა ამ ახლობელ

და, ამასთანავე, შორეულ სიცოცხლეთა ბუნდოვანი გაგება: მგლოვიარე მანდილოსნის ძაძებში გაყინვა; აბატის, ებრაელის, ინჟინრისა და რევოლუციონერის ამაყი და სტოიკური გულჩათხრობილობა, ნაზი გრძნობისა და რწმენის მკრთალი, საამო ალი, უხმაუროდ რომ ფერფლავდა ცოლ-ქმარ არნოების გულებს; უბრალო ხალხისგან გამოსული კაცის გულუბრყვილო მისწრაფება განათლებისაკენ; მაიორის გულში ჩაკლული ამბოხი და მისი უსარგებლო ყოფა; ბოლოს, იასამნის ჩრდილში მეოცნებე ქალიშვილის უდრტვინველი სიმშვიდე. ხოლო ამ ადამიანთა სულების მდუმარე მუსიკაში ჩაწვდომა კი მარტოდმარტო კრისტოფს ძალედვა; თვითონ მათ იგი არ ესმოდათ: ყველანი საკუთარ დარდებსა და ოცნებებში ჩანთქმულიყვნენ.

თუმცაღა ყველანი შრომობდნენ, —მოხუცი სკეპტიკოსი მეცნიერიცა და პესიმისტი ინჟინერიც, — აბატიცა და ანარქისტიც, ყველა ეს ამაყი თუ გულგატეხილი ადამიანები. სახურავზე კი კალატოზი თავისთვის ღიღინებდა.

კრისტოფი იმავე სულიერ მარტოობას ამჩნევდა სახლის გარეთაც, თვით საუკეთესოთა შორის, მაშინაც კი, როცა ისინი ერთ ჯგუფში გაერთიანებულიყვნენ.

ოლივიემ მას პატარა ჟურნალის თანამშრომლები გააცნო, სადაც თვითონაც მოღვაწეობდა. ჟურნალს „ეზოპე“ ერქვა და დევიზად მონტენის სიტყვები ჰქონდა წამძღვარებული:

> „ორ სხვა მონასთან ერთად, ეზოპე გასაყიდად გამოიყვანეს. მუშტარმა პირველ მონას ჰკითხა: რის გაკეთება იცი; მონამ, თავი ძვირად რომ დაეფასებინა, დაიტრაბახა, ოქროს კოშკებს ავაგებო; თავის ქებაში მას არც მეორე მონა ჩამორჩა. როდესაც ჯერი ეზოპეზე მიდგა და ჰკითხეს, შენ რაღა შეგიძლიაო, მან მიუგო: არაფერი. თუკი რამ იყო, სულ მაგათ მიითვისეს, ყველაფერი მაგათ სცოდნიათო“.

ეს გახლდათ აგდებული დამოკიდებულების აშკარა გამოხატულება იმათი „უტიფრობის“ მიმართ, ვინც, როგორც მონტენი იტყოდა, „ყველაფერი მარტო თვითონ იცის და ეჭვი არასოდეს ეპარება საკუთარ ცოდნაში“. სკეპტიკოსებად წოდებული ეს ეზოპელები სინამდვილეში ყველაზე მხურვალე რწმენით იყვნენ გამსჭვალული. მაგრამ ხალხის თვალში ირონიის ამ ნიღაბს, ბუნებრივია, მაინცდამაინც დიდი მიმზიდველობა არ ჰქონია; პირიქით: იგი საწინააღმდეგო გრძნობასაც კი იწვევდა მათში. ხალხი მხოლოდ იმას მიჰყვება, ვინც მას უბრალო, ნათელ, კონკრეტულ და უტყუარ ცხოვრებაზე ესაუბრება. ხალხს მჭლე ჭეშმარიტებას მსუყე ტყუილი ურჩევნია. სკეპტიციზმზე კი მხოლოდ მაშინ შეიძლება კიდევ დათანხმდეს, თუ მასში კეთილი ნატურალიზმის ან ქრისტიანული კერპთაყვანისმცემლობის მოზრდილი ულუფა იმალება. ეს უგულებელმყოფელი პირონიზმი კი, რომელშიც გახვეულიყო ჟურნალი „ეზოპე“, შეიძლებოდა გა-

საგები ყოფილიყო მხოლოდ თითო-ოროლა alme sdegnose[1] - თათვის, ვინც დარწმუნებული იყო თავის შინაგან სიძლიერეში. მაგრამ საბოქმედოდ ეს ძალა უკვე უკარგისი გახლდათ.

ოუმცა ისინი აინუნშიც არ აგდებდნენ ამას. რაც უფრო დემოკრატიული ხდებოდა საფრანგეთი, თითქოს მით უფრო არისტოკრატულდებოდა ფრანგების აზრი, მათი ხელოვნება, მათი მეცნიერება. სპეციფიკური ტერმინებით გაბუნდოვნებული მეცნიერება, თავისი ტაძრის სიღრმეში რომ შეფარებულიყო და მობურულიყო სამმაგი რიდით, რომლის ახდა ხელდასხმულთ შეეძლოთ მხოლოდ, გაცილებით ნაკლებ მისაწვდომი გამხდარიყო, ვიდრე ბიუფონისა და ენციკლოპედისტების ხანაში. არც ხელოვნება ყოფილა ნაკლებ შეუვალი, უპირველეს ყოვლისა სწორედ ის ხელოვნება, რომელიც კვლავ ინარჩუნებდა პირად ღირსებას და თაყვანსა სცემდა მშვენიერებას: იგი უგულებელყოფდა ხალხს. თვით მწერალთა შორისაც კი, მოქმედებით გართულთ მშვენიერებისათვის რომ არ ეცალათ, ხოლო ზნეობრივ იდეალებს ესთეტიკურ იდეალებზე წინ აყენებდნენ, — ხშირად არისტოკრატულობის უცნაური სულისკვეთება სუფევდა. მგონი, საკუთარი გზნების შინაგანი სიწმინდის დაცვას უფრო ესწრაფოდნენ, ვიდრე მკითხველებში მის ანთებას. თითქოს თავიანთი აზრების გამარჯვება კი არა, მხოლოდ მათი დადასტურება ეწადათ.

მართალია, მათ შორის ისეთებიც მოიძებნებოდნენ, ვინც სახალხო ხელოვნებისთვისაც იცლიდა. მაგრამ ერთნი — ყველაზე უფრო გულწრფელთაგანნი — თავიანთ ნაწარმოებებში აფრქვევდნენ ანარქისტულ, დამანგრეველ იდეებსა და სამერმისო, შორეულ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ასი წლის, ან ოცი საუკუნის შემდეგ თუ იქნებოდნენ სასიკეთო, დღესდღეობით კი მხოლოდ უქმად აღაგზნებდნენ და დაგავდნენ სულს; მეორენი მწუხარების აღმძვრელ ან გამთანგველი ირონიით აღსავსე პიესებს თხზავდნენ, რომლებიც თავის მოტყუებისათვის ნუგეშის აღარავითარ ნასახს აღარ უტოვებდნენ მკითხველს. მათი წაკითხვის შემდეგ კრისტოფი ორ დღეს გონს ვეღარ მოდიოდა.

— მერედა, ამას სთავაზობთ ხალხს? — კითხულობდა იგი და გული სიბრალულით ევსებოდა იმ ადამიანების ცოდვით, რომლებიც თეატრში მიდიოდნენ, ეგებ რამდენიმე საათით მაინც გადაევიწყებინათ თავიანთი ტკივილები, მაგრამ იქაც გულის დამაძვარებელი სანახაობებით უმასპინძლდებოდნენ. — ამით ხომ საწყალ კაცს მთლად ბოლოს მოუღებ და ის იქნება!

— ნუ ღელავ,—მიუგებდა სიცილით ოლივიე.—ხალხი თეატრში არ დადის.

— ბარაქალა მის კეთილგონიერებას! გაგიკვირდით? თქვენ გინდათ მას უკანასკნელი მხნეობაც ჩაუკლათ?

— რატომ? განა მას კი არ მართებს, როგორც ჩვენ, მიხვდეს ცხოვრების მწუხარებას და მაინც მხნედ გასწიოს თავისი უღელი?

[1] მჭეინვარე სულნი (იტალ.) დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან", „ჯოჯოხეთი", ქება VIII.

— მხნედ? ფრიად ვეჭვობ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უხალისოდ მაინცხოლო თუ ადამიანს სიცოცხლის ხალისს წაართმევ. შორს ვეღარ წავა.

— რას იზამ? უფლება არა გაქვს, ჭეშმარიტებას უღალატო.

— მაგრამ არც იმის უფლება გაქვს, ყველას ყველაფერი ჩაუკენჭო.

— და ამას შენ ლაპარაკობ? შენ, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ ჭეშმარიტებას მოითხოვ, შენ, ვინც აცხადებ, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე უფრო ჭეშმარიტება გიყვარს!

— დიახ, ჭეშმარიტებას მოვითხოვ ჩემთვის და იმათთვის, ვისაც საკმაო ძალა შესწევს, რომ იგი ზიდოს. მაგრამ ჭეშმარიტება უთხრა ყველას — სისასტიკეა და სისულელე. ამას მე ახლა მივხვდი. სამშობლოში ეს აზრადაც არასოდეს მომივიდოდა; იქ, გერმანიაში, არ არიან თქვენებრ ჭეშმარიტების სენით შეპყრობილნი: ისინი მეტისმეტად მიჯაჭვულან ცხოვრებაზე და სიფრთხილის გამო ცდილობენ არ შეამჩნიონ ის, რისი დანახვაც არ სურთ. თქვენ სწორედ იმისათვის მიყვარხართ, რომ ასეთნი არა ხართ; თქვენ გაბედაობა გაქვთ და ღიად თამაშობთ. მაგრამ ულმობელნი ხართ: მოგეჩვენებათ თუ არა, რომ ჭეშმარიტება გამოჩხრიკეთ, მყისვე გინდათ ქვეყანას მოჰფინოთ იგი და არ განაღვლებთ, ვაი თუ მან, კუდზე ცეცხლწაკიდებული ბიბლიური მელიების მსგავსად, ხანძრის ალში გაახვიოს მთელი სამყარო. ჭეშმარიტება რომ პირად ბედნიერებას გირჩევნიათ, ამისათვის პატივს გცემთ, მაგრამ როდესაც იგი სხვის ბედნიერებას ემუქრება... აქ უკვე ფრთხილად! მოუკრეფავში გადადიხართ. ჭეშმარიტება საკუთარ თავზე მეტად უნდა გიყვარდეს, მაგრამ მოყვასი უფრო მეტად, ვიდრე ჭეშმარიტება.

— გამოდის, რომ უნდა მოატყუო.

კრისტოფმა გოეთეს სიტყვებით უპასუხა:

„უმაღლეს ჭეშმარიტებათა შორის, ჩვენ მხოლოდ მათი ხმამაღლა გამოთქმის უფლება გვაქვს, რომელთაც სიკეთის მოტანა შეუძლიათ კაცობრიობისათვის; დანარჩენი გვმართებს გულში დავიტოვოთ: დაე, მათი ნათელი, ვითარცა დამალული მზის ნეტარი შუქი, აცისკროვნებდეს ყოველ ჩვენს მოქმედებას“.

მაგრამ ასეთი სინდისის ქენჯნის გრძნობას მოკლებული იყვნენ ფრანგი მწერლები. ისინი სულაც არ ირჯებოდნენ იმაზე ფიქრით, რას ტყორცნიდა მათს ხელში მოზიდული მშვილდი — „იდეისა“ თუ „სიკვდილის“ ისარს, თუ ორივესას ერთად. ისინი მეტისმეტად ინტელექტუალურები იყვნენ. მაგრამ არ ჰყოფნიდათ სიყვარული. როდესაც ფრანგს აზრი გაუჩნდება, მას სწადია, თავს მოახვიოს იგი ყველას. მას სწადია ეს მაშინაც, როცა აზრი საერთოდ არ გააჩნია; ხოლო რაკი ხედავს, რომ ამას ვეღარ ახერხებს, მოქმედების ყოველგვარი ხალისი ეკარგება. აი, რატომ იყო, რომ ეს რჩეულნი არ ერეოდნენ პოლიტიკაში. ყველა საკუთარ რწმენაში, თუ ურწმენობაში ჩაკეტილიყო.

დიდი მეცადინეობა გახდა საჭირო იმისათვის, რომ ეს ინდივიდუალიზმი

დაეძლიათ და ჯგუფები ჩამოეყალიბებინათ; მაგრამ მათი უმრავლესობა მყისვე ლიტერატურულ სალაყბოებად იქცეოდა, ანდა სასაცილო ფრაქციებად იყოფოდა. ყველაზე საუკეთესონი ერთმანეთს ბურტყლს აცლიდნენ. მათ შორის შესანიშნავი პიროვნებანიც მოიპოვებოდნენ, აღსავსენი ძალითა და რწმენით, რომლებიც მოწოდებული იყვნენ შეეკავშირებინათ და წინ გასძღოლოდნენ კეთილი ნების, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ადამიანებს. მაგრამ ყველას თავისი ნახირი ჰყავდა და არავინ თანხმდებოდა სხვის სამწყსოში შეერია იგი. ამრიგად, ეს ერთი მუჭა ინტელიგენცია დაქსაქსული იყო პატარ-პატარა ჟურნალებად, კავშირებად, საზოგადოებებად, რომლებსაც ყველა ზნეობრივი ღირსება გააჩნდა, გარდა ერთისა — უარი ეთქვა საკუთარ პატივმოყვარეობაზე: რადგან არც ერთ დაჯგუფებას არ სურდა თავი დაემდაბლებინა მეორის წინაშე; და ასე, მცირერიცხოვან და კიდევ უფრო მცირეიღბლიან, პატიოსან მკითხველთა ციცქნა ყურადღებისათვის ერთმანეთთან კინკლაობაში ამოსდიოდათ სული, სანამ როგორღაც კიდევ ბოგინობდნენ სისხლისაგან დაცლილნი და შიმშილისაგან გამოლასტულნი; ბოლოს იშლებოდნენ ისე, რომ ვეღარასოდეს აღმდგარიყვნენ, მაგრამ არა მტრის ხელით, არამედ — (რაც ყველაზე გულსატკენია)— თავიანთივე მოკავშირეთა ხელით. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები—ლიტერატორები, დრამატურგები, პოეტები, პროზაიკოსები, ლექტორები, მასწავლებლები, ჟურნალისტები — უამრავ პატარ-პატარა კასტებს ქმნიდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მცირე კასტებად იყოფოდნენ და შეუვალი გამხდარიყვნენ ერთიმეორისათვის. ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილი იყო. არ ყოფილა საკითხი, რომლის ირგვლივ ერთსულოვნება ყოფილიყო საფრანგეთში, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ეს ერთსულოვნება ეპიდემიურ ხასიათს ღებულობდა და, ჩვეულებრივ, მცდარი საფუძველი ჰქონდა, რადგან ავადმყოფური აღტყინების შედეგს წარმოადგენდა. ფრანგული ცხოვრების ყველა დარგში, — როგორც მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, ისე კომერციაში, — გამეფებული იყო ინდივიდუალიზმი, რომელიც ხელს უშლიდა ვაჭრებს, გაერთიანებულიყვნენ და მწარმოებელთა კავშირები ჩამოეყალიბებინათ. ეს ინდივიდუალიზმი მეღავნდებოდა არა უბრალო მაღალფარდოვნებასა და მყვირალა თავშეკავებულობაში, არამედ ჩაბუდებულიყო ადამიანებში, ძვალრბილში გასჯდომოდა მათ, თავისთვის ყოფილიყვნენ, გასაყოფი არავისთან არაფერი ჰქონოდათ, ყველასთან არ გათქვეფილიყვნენ, რომ მათი უპირატესობით დაჩრდილულთ თავიანთი ამაყი განმარტოების მყუდროება არ დარღვეოდათ — აი, თითქმის ყველა იმ ადამიანის იდუმალი აზრი, რომლებიც „ცალკე" ჟურნალებს, „ცალკე" თეატრებსა და „ცალკე" დაჯგუფებებს ქმნიდნენ; ჟურნალები, თეატრები, დაჯგუფებები თავიანთი არსებობის გამართლებას უმეტესად იმაში ხედავდნენ, რომ არ სურდათ ყოფილიყვნენ სხვების მხარეზე, უნარი არ შესწევდათ დარაზმულიყვნენ მათთან ერთად საერთო საქმის ან საერთო აზრის გარშემო, არ ჰქონდათ მათი ნდობა, უკეთუ გათიშუ-

ლი არ იყვნენ პარტიული შუღლით, რომელსაც ერთიმეორისათვის წაეკიდებინა ადამიანები, ყველაზე მეტად ერთმანეთის გაგება რომ მოეკითხებოდათ.

მაშინაც კი, როცა ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული ინტელექტუალები, ჟურნალ „ეზოპეს" ირგვლივ შემოკრებილ ოლივიესა და მის თანამოკალმეთა მსგავსად საერთო ამოცანით გაერთიანებულიყვნენ, მათ ურთიერთობას მუდამ სიფრთხილის დაღი აჩნდა და ისინი მოკლებული იყვნენ გერმანელთათვის ჩვეულ ლაღ გულღიაობას, ხშირად ასე მოსაბეზრებელი რომ ხდება ხოლმე. ამ ახალგაზრდა კალმოსანთა ჯგუფში კრისტოფს განსაკუთრებით ერთი პიროვნება[1] იზიდავდა: იგი მასში არაჩვეულებრივ ძალას გრძნობდა; ეს გახლდათ რკინისებური ლოგიკისა და მტკიცე ნებისყოფის მწერალი, შთაგონებული მაღალი ზნეობრივი მრწამსით, რასაც არასოდეს ღალატობდა და მზად იყო შეეწირა მისთვის მთელი სამყარო და თვით საკუთარი თავიც კი; ეს მრწამსი რომ დაეცვა, მას დაეარსებინა ჟურნალი, რომელშიც მთელი მასალის დამუშავება თითქმის მარტოს უხდებოდა; მას ფიცი დაედო, რომ აიძულებდა საფრანგეთსა და ევროპას, წმინდა, თავისუფალი და გმირული საფრანგეთის იდეა ეღიარებინათ; მას მტკიცედ სწამდა, დადგებოდა დღე, როდესაც ყველა გაიგებდა, რომ იგი ფრანგული აზრის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გაბედულ ფურცელს წერდა; იგი არც ცდებოდა. კრისტოფს სწადდა მასთან დაახლოება და ნაცნობობის გაბმა, მაგრამ ვერ ხერხდებოდა. თუმცა ოლივიეს ხშირად უხდებოდა მასთან ურთიერთობა, მაგრამ მათი საუბარი ყოველთვის მოკლე იყო და მხოლოდ საქმეს შეეხებოდა; პირადულ ამბებს არასოდეს იკითხავდნენ; დიდი-დიდი, ორიოდე განყენებული აზრი გაეზიარებინათ ერთიმეორისათვის; უფრო სწორად (რადგან მეტი სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ ყველა თავ-თავის თვალსაზრისზე რჩებოდა და არავითარი გაზიარება არ ხდებოდა), რიგრიგობით მონოლოგებს წარმოთქვამდნენ ერთმანეთის წინაშე. მიუხედავად ამისა, მაინც ჭეშმარიტი თანამებრძოლები იყვნენ და ამხანაგის ფასიც იცოდნენ.

ამ გულჩათხრობილობას მრავალი მიზეზი ჰქონდა, რომელთა ახსნა თვითონვე გაუჭირდებოდათ. უპირველეს ყოვლისა, მეტისმეტი მიდრეკილება კრიტიკისადმი, რომელიც ულმობელი სიცხადით ააშკარავებს ადამიანთა ხასიათებს შორის გადაულახავ განსხვავებებს, და მეტისმეტი ინტელექტუალიზმი, ამ განსხვავებებს გადაჭარბებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებს; აგრეთვე უქონლობა იმ მხურვალე და წრფელი თანაგრძნობისა, რომელიც წარმოუდგენელია უსიყვარულოდ და მხოლოდ მის გულში ღვივის, ვისაც სჭირდება უყვარდეს და სიყვარულში დაიფერფლოს, რომ იცოცხლოს. შესაძლოა ამის მიზეზი ყოფილიყო კიდევ მოვალეობის შეგნების წელშიგამწყვეტი ტვირთი, მეტისმეტად მძიმე ცხოვრება და უკიდურესი დაძაბულობა აზრისა, საღამოობით მეგობრული

[1] შარლ პეგი. — რ.რ.

საუბრების ხალისს რომ გისპობს. ბოლოს კი, ის საშინელი გრძნობა, რომლის გამხელისა ეშინია ყოველ ფრანგს თვით საკუთარ თავთან, თუმცა ნიადაგ გულში უბორგავს: საფრანგეთის მკვიდრი ყველა ფრანგი არ არის; სხვადასხვა ეპოქაში საფრანგეთის მიწა-წყალზე დასახლებულა სხვადასხვა მოდგმის ხალხი, რომელიც ერთ ერად გაერთიანებულან, მაგრამ განსხვავებულად აზროვნებენ და, საერთო სარგებლობისათვის, არც უნდა ინატრონ ერთსულოვნება. ხოლო ყველაფერ ამას დაუმატეთ თავისუფლების დამათრობელი და სახიფათო ვნებაც: თუ ერთი გემო გაუსინჯე, მერე რაღას არ ანაცვლებ მას; ეს თავისუფლების მომნიჭებელი მარტოობა მით უფრო ძვირფასია, რამდენადაც იგი მრავალი წლის გამოცდილების ფასად არის შეძენილი. რჩეულნი მას იმიტომ ელტვიან, რომ თავი დააღწიონ უფერული ყოველდღიურობის მონობას. განმარტოება საპასუხო რეაქციაა რელიგიური და პოლიტიკური ბლოკების ტირანიის წინააღმდეგ, ოჯახის, საზოგადოებრივი აზრის, სახელმწიფოს, საიდუმლო კავშირების, პარტიების, წრეებისა და სკოლების სახით უზარმაზარ ტვირთად რომ აწვება და ბუღლეტს პიროვნებას საფრანგეთში. წარმოიდგინეთ ტუსაღი, რომელსაც ტყვეობიდან გასაქცევად ოცი პირი ზღუდე მაინც აქვს გადასალახავი; ბოლომდე რომ მიაღწიოს, თუ მანამდე კისერი არ მოიტეხა, იგი ძალზე ძლიერი უნდა იყოს. მკაცრი სკოლაა თავისუფალი ნებისყოფისათვის! ხოლო იმათ კი, ვინც ამ სკოლას გაივლის, სამუდამო დაღი დააჩნდებათ მთელი ცხოვრების მანძილზე — თვითმყოფობის ჟინი შეიპყრობთ და ვერასოდეს ვეღარავის იგუებენ.

სიამაყის მარტოობის გარდა, არსებობდა კიდევ ცხოვრებისაგან განდგომის სურვილით გამოწვეული მარტოობა. რამდენი პატიოსანი ადამიანი საფრანგეთში თავის გულკეთილობას, პირად სიამაყესა და სიყვარულის უნარს იძულებული გაუხდია, ბოლოს ყველაფერზე უარი ეთქვა! ათას საპატიო თუ არასაპატიო მიზეზს ხელი აუღებინებია მათთვის მოქმედებაზე. ზოგისათვის ეს ყოფილა ხათრიანობა, მორიდებულობა და ჩვეულების ძალა. სხვებისათვის — ადამიანის ღირსების პატივისცემა, სასაცილოდ გამოჩენის შიში, იმის შიში, რომ ყველას ყურადღების ცენტრში არ აღმოჩნდეს, ბრბოს სალაპარაკო არ გახდეს, გულწრფელი საქციელი ანგარებით არ ახსნან. ერთნი უარს ამბობენ პოლიტიკურ და სოციალურ ბრძოლაში მონაწილეობაზე, მეორენი თავს არიდებენ საქველმოქმედო საზოგადოებებთან თანამშრომლობას, რადგან ხედავენ, რომ მხოლოდ თითო-ოროლა ვინმეს თუ ამოძრავებს საკუთარი სინდისი და ნამდვილად კეთილი ზრახვა, და შიშობენ, ისინიც მათსავით თაღლითებად ანდა ბრიყვებად არ ჩათვალონ. ხოლო თითქმის ყველას ემჩნევა გულაცრუება და დაღლა, ყველას ბორკაზე მოქმედების, ტანჯვის, სიმახინჯის, სისულელის, რისკისა და პასუხისმგებლობის შიში და ის საშინელი „რისთვის", რომელიც დღესაც ბევრ ფრანგს უსპობს კეთილ ნებას. ისინი მეტისმეტად ჭკვიანები არიან (თუმცა მათს ჭკუას ფრთები აქვს შეკვეცილი) და მეტისმეტად თვალნათლივ

ხედავენ ყველა „რატომს“ და ყველა „იმიტომს“. არ ჰყოფნით ცხოველმყოფელობა. აკლიათ სიცოცხლის უნარი. როდესაც სიცოცხლისუნარიანი ხარ, არ კითხულობ, რისთვის ცხოვრობ; ცხოვრობ იმისათვის, რომ იცოცხლო, რადგან სიცოცხლე — ეს შესანიშნავი რამ არის!

დასასრულ, ყველაზე უკეთესთ ხელ-ფეხს უკრავს მიმზიდველ, მაგრამ არასახარბიელო თვისებათა ერთობლიობა: წყნარი ფილოსოფია, სურვილების ზომიერება, ერთგულება ოჯახის, მშობელი მიწისა და ზნე-ჩვეულებებისადმი, თავდაჭერილობა, აკვიატების, თავის მობეზრების შიში, გრძნობების გამომჟღავნების სირცხვილი, მუდმივი თავშეკავებულობა. ყველა ეს სათნო და მომხიბლავი თვისება ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა კიდეც ეთანხმებოდეს სულიერ სიმშვიდეს, შინაგან მხნეობასა და გულმხიარულებას; მაგრამ ამჯერად იგი აშკარად დაკავშირებული იყო ფრანგული ცხოვრების სისხლნაკლებობასა და სიცოცხლისუნარიანობის თანდათანობით დაქვეითებასთან.

დაბლა, კრისტოფისა და ოლივიეს სახლის წინ გაფურჩქვნილი ტურფა ბალნარი, ოთხივ მხრივ მაღალ კედლებში, როგორც ორმოში რომ იყო გამომწყვდეული, ამ მინიატურული საფრანგეთის სიმბოლოს განასახიერებდა. ეს გახლდათ პატარა მწვანე კუთხე, გარე სამყაროსათვის დახშული. მხოლოდ ზოგჯერ, მძვინვარე ქარის კორიანტელი თუ შეაღწევდა შიგ და მეოცნებე ქალიშვილს შორეული ველებისა და ვრცელი მდელოების სუნთქვას აგრძნობინებდა.

ახლა, როცა კრისტოფი იწყებდა მიხვედრას, რა ფარულ ძალთა საბაღოები არსებობდა საფრანგეთში, იგი აღეშფოთებინა იმას, რომ ასეთი ქვეყანა ვიღაც ვიგინდარების საჯიჯგნი გამხდარიყო. ის ბინდით მოცული ყოფა, რომელშიაც ეს მდუმარე რჩეულნი ჩაძირულიყვნენ, კრისტოფს სულისშემხუთველი ეჩვენებოდა. სტოიციზმი მხოლოდ უკბილოთათვის ვარგა. მას კი სივრცე, ფართო აუდიტორია, დიდების მზე და ათასობით ადამიანის სიყვარული სჭირდებოდა, სურდა გულში ჩაეხუტებინა მოყვარე, გაეცამტვერებინა მტერი, ებრძოლა და გაემარჯვა.

— შენ ეს ძალგიძს, — უთხრა ოლივიემ, — ძლიერი ხარ და შექმნილი იმისათვის, რომ გაიმარჯვო; საამისოდ, ყველა შენს სათნოებასთან ერთად, მომიტევე, მაგრამ ყველა საჭირო ბიწიც გაგაჩნია. ბედი გწყალობს, ეკუთვნოდე ერს, რომელიც მეტისმეტ არისტოკრატობაზე თავს არა სდებს. ბრძოლა არ გეთაკილება. საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკურ მოღვაწეობასაც კი არ მოერიდებოდი!.. ამის გარდა, ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ხარ, რომ შენს სათქმელს მუსიკით გამოხატავ. შენი არ გაეგებათ და ყველაფერი შეგიძლია თქვა. ამ ადამიანებმა რომ იცოდნენ, მათდამი რა ზიზღი იმალება შენს მუსიკაში, რამხელა რწმენა იმისა, რასაც ისინი უარყოფენ, ესმოდეთ მარადიული ჰიმნი, აჟღერებული იმის სადიდებლად, რის ჩაკვლასაც ისინი ესწრაფვიან, — არ გაპატიებდნენ: გასაქანს არ მოგცემდნენ, დევნას დაგიწყებდნენ და ისე გაგაწამებდნენ,

რომ მთელ შენს საუკეთესო ძალებს მათთან ბრძოლაში გაფლანგავდი; მერე, გამარჯვებული რომც გამოსულიყავი, ძალა აღარ გეყოფოდა, შენი საქმე დაგესრულებინა — შენი ცხოვრებაც დასრულდებოდა. გენიოსები აღიარებას იმის წყალობით აღწევენ, რომ გაუგებარნი რჩებიან უბრალო მოკვდავთათვის. მათში აღტაცებას ჰგვრით სწორედ ის, რის საპირისპიროც სინამდვილეში ისინი არიან.

— უჰ! — წამოიძახა კრისტოფმა. — არ იცით, რა ლაჩრები ბრძანდებიან თქვენი ბატონები, პირველად მეგონა, მარტო იყავი და გაპატიე უმოქმედობა. თურმე თანამოაზროვნეთა მთელი ლაშქარი ყოფილხართ, თქვენს მჩაგვრელებზე ასჯერ უფრო ძლიერნი და ათასჯერ უფრო ღირსეულნი, მაგრამ საშუალებას აძლევთ მორჩილებაში გიყოლიონ თავიანთი უტიფრობით! თქვენი ველარაფერი გამიგია! ყველაზე ლამაზი ქვეყანა თქვენა გაქვთ, ყველაზე ჭკვიანი აზრი თქვენში იბადება, ყველაზე კაცთმოყვარული გრძნობა თქვენგან მოდის, მაგრამ რა გამოვიდა ამით? ერთი მუჭა არამზადების ხროვას ნებას აძლევთ, გიბრძანებლონ, შეურაცხგყონ და ფეხქვეშ გაგთელონ! გონს მოდით, რა ეშმაკი შეგიჯდათ! ნუ ელით, ვიდრე ღმერთი გადმოგხედავდეთ, ან ახალი ნაპოლეონი მოგევლინებოდეთ! აღსდექით, გაერთიანდით, საქმეს მოჰკიდეთ ყველამ ხელი და გამოგავეთ თქვენ-თქვენი საკუთარი სახლი!

ხოლო ოლივიემ, დაღლილობის გამომხატველი დამცინაობით, მხრები აიჩეჩა და წარმოთქვა:

— აბა მუშტი-კრივი გავუმართოთ? არა, ეს ჩვენი ხელობა არ გახლავს, ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი საქმე გვაკისრია. მე ზიზღსა მგვრის ძალმომრეობა. ძალიან კარგად ვიცი, რა მოჰყვებოდა მას. გაბოროტებული ბებერი უიღბლოები, გულუბრყვილო ყმაწვილი როიალისტები, ძალადობისა და სიძულვილის ბილწი მოციქულნი სათავეში მოექცეოდნენ ჩემს მიერ წამოწყებულ ბრძოლას და წარყვნიდნენ მას. შენ რა, სიძულვილის ძველისძველ დევიზს ხომ არ გინდა დამაბრუნო: Fuori Barbari[1]! ანდა: საფრანგეთი ფრანგებს!

— რატომაც არა? — მიუგო კრისტოფმა.

— არა, ეს სიტყვები ფრანგი ადამიანის სულისკვეთების გამომხატველი არ არის. ამაოდ ცდილობენ ამგვარი ფრაზები პატრიოტიზმად გაასაღონ ჩვენში. იგი მხოლოდ ბარბაროსების სამშობლოებს გამოადგებათ. ჩვენი სამშობლო სიძულვილისათვის როდია შექმნილი. ჩვენი ხალხის გენია სხვათა უარყოფით ან დანგრევით კი არ მკვიდრდება, არამედ მათი შთანთქმით. მოუშვით ჩვენთან უუბარი ჩრდილოეთიცა და ყბედი სამხრეთიც...

— შხამიანი აღმოსავლეთიც?

— შხამიანი აღმოსავლეთიც; მასაც ისევე შთანვთქავთ, როგორც დანარჩე-

---

1 გაეთრიეთ ბარბაროსებო! (იტალ.).

ნები გადავყლაპეთ. რამდენი მაგისთანა გადაგვისანსლავს! სასაცილოდ არ მყოფნის მისი გამარჯვებული გამომეტყველება (ისევე, როგორც ზოგიერთი ჩემი თანამოძმის სულმოკლეობა). საწყალს ჰგონია, რომ დაგვიპყრო და იბღინძება ჩვენს ბულვარებზე, ჩვენს გაზეთებსა და ჟურნალებში, ჩვენი თეატრების სცენებსა და ჩვენი პოლიტიკის ასპარეზზე. სულელი! თვითონ კია დამარცხებული! როცა დარწმუნდება, რომ ჩვენ უკვე გაგვათავა, სწორედ მაშინ თავად მოეღება ბოლო. გალიას[1] მაგარი კუჭი აქვს: ამ ოც საუკუნეში მან არაერთი ცივილიზაცია მოინელა. ჩვენზე ვეღარავითარი შხამი ვეღარ მოქმედებს... დაე, თქვენ, გერმანელებს გეშინოდეთ! თქვენ გჭირდებათ შეინარჩუნოთ სიწმინდე, თორემ გადაშენდებით. ჩვენთვის კი მთავარია არა სიწმინდე, არამედ უნივერსალურობა. თქვენ იმპერატორი გყავთ, დიდი ბრიტანეთიც იმპერიას ეძახის თავის თავს; სინამდვილეში კი ყველგან ჩვენი ლათინური სული მეფობს. ჩვენ ქალაქმსოფლიოს მოქალაქენი ვართ. Urbis. Orbis[2].

— ყველაფერი კარგად მიდის, — მიუგო კრისტოფმა, — სანამ ერი ჯანმრთელია და ძალების გაფურჩქვნის ხანაში იმყოფება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მისი ენერგია იშრიტება; მაშინ მას უცხოური გავლენის მოზღვავებისაგან წალეკვა ემუქრება. ჩვენს შორის დარჩეს და, ხომ არ ატყობ, რომ ეს დღე უკვე დამდგარა?

— რამდენჯერ ეგონათ ასე საუკუნეთა მანძილზე! იმდენჯერ ჩვენმა ისტორიამ გააქარწყლა ეს შიში. ჩვენ არაერთი უფრო მძიმე განსაცდელი გადაგვიტანია ორლეანელი ქალწულის დროიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ უკაცრიელ პარიზში მგლის ხროვები დაძრწოდნენ. ჩვენი დღეების აღვირახსნილი გარყვნილება, მარტოოდენ ხორციელი ტკბობით გატაცება, უნებისყოფობა და ანარქია ოდნავაც არ მაშინებს. მოთმინება! ვისაც გადარჩენა სურს, უნდა გაუძლოს. მშვენივრად ვიცი, რომ შემდეგში ეს სხვა მორალური ვითარებით შეიცვლება, რომელიც იქნებ არც სჯობდეს დღევანდელს და ალბათ არანაკლებ ლანძღვა-გინებას გამოიწვევს: მის მომხრეთა შორის ნაკლებ თავგამოდებული როდი აღმოჩნდებიან ისინი, ვინც დღეს საზოგადოების კორუფციის ხარჯზე განცხრომით ცხოვრობს!.. მაგრამ ჩვენ რა? ეს ცვალებადობანი ოდნავაც ვერ ეხება საფრანგეთის ნამდვილ ხალხს. დამპალი ნაყოფი ვერ ალპობს ხეს. იგი ძირს ვარდება. ამ ადამიანებს ცოტა რამ აკავშირებთ თავიანთ ერთან! ისინი გინდა ყოფილან, გინდ არა. ღირს კი მათს წინააღმდეგ კავშირები ჩამოვაყალიბო და რევოლუციები მოვაწყო? დღევანდელი სენი წყობილების შედეგი როდია. იგი კეთრია, რომელსაც ფუფუნება იწვევს; ეს ადამიანები ერის ჭონებრივი და გონებრივი სიმდიდრის პარაზიტები არიან: ისინი გაქრებიან.

— როცა მთლიანად გამოგხრავენ.

---

[1] გალია — საფრანგეთის ძველი სახელწოდება.

[2] ქალაქისა. მსოფლიოსი. (ლათ.).

— ისეთ ხალხზე როგორიც ფრანგი ერია, უფლება არა გაქვს გული გაიტეხო. მასში იმდენი ფარული ღირსება. სიწათლისა და ქმედითი იდეალიზმის ისეთი ძალაა, რომ იგი იმათაც გადაედებათ ხოლმე, ვინც მას კისერზე ასხედან და სისხლსა სწოვენ. ხარბი პოლიტიკოსებიც კი ვერ აღწევენ თავს მის გრძნობას. თვით ყველაზე გონებაშეზღუდულნი, ხელისუფლების სათავეში რომ მოექცევიან, აღტაცებაში მოჰყავს მისი ბედისწერის სიდიადეს: იგი მათ საკუთარ თავზე ამაღლებს; ხელიდან ხელში გადასცემს მათ თავის ჩირაღდანს, და ისინი, ერთიმეორის მიყოლებით, განაგრძობენ წმიდათაწმიდა ომს წყვდიადის წინააღმდეგ. მათ აღაფრთოვანებთ თავიანთი ხალხის გენია, და, ნებსით თუ უნებლიეთ, აღასრულებენ იმ ღმერთის კანონს რომელსაც უარყოფენ — Gesta Dei per Francos...[1] ძვირფასო სამშობლოვ, მშობელო მხარეე, შენში ეჭვი არასოდეს შემეპარება! ხოლო თვით შენი სასიკვდილო განსაცდელის ჟამმაც რომ დაჭკრას, იგი მხოლოდ სიამაყით აღავსებს ჩემს გულს, რამეთუ შევასრულეთ ჩვენი მიზანი ამ ქვეყანაზე. სრულიადაც არ მინდა, რომ ჩემი საფრანგეთი ავადმყოფივით შინ ჩაიკეტოს და ჰაერზე გამოსვლისა ეშინოდეს. არა მსურს სული ვაცოდვილო. ვისაც ჩვენისთანა დიდება ღირსებია, ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე ღაკნინდეს. დაე, მთელი მსოფლიოს აზრნა გადმოჩქეფოს ჩვენს ნააზრევში! მე ამისი არ მეშინია. წყალდიდობა ჩაიკლის და მისი შლამი ჩემს ნიადაგს გაანოყიერებს.

— საბრალო ბავშვო, — უთხრა კრისტოფმა. — დღესდღეობით სასიხარულოს ვერაფერს ვხედავ. ხოლო სანამ შენი საფრანგეთი ამ ნილოსიდან ამოყვინთავს, შენი ძვლებიც აღარ იქნება. არა სჯობდა გებრძოლა? ბრძოლაში, შესაძლოა, გემუქრებოდა მხოლოდ დამარცხება, რომლისთვისაც შენი ნებით განწირულხარ მთელი ცხოვრების მანძილზე.

— დამარცხებაზე გაცილებით მეტი მემუქრებოდა, — მიუგო ოლივიემ. — მე მემუქრებოდა გონების სიმშვიდის დაკარგვა, საკუთარი გონების სიმშვიდეს კი გამარჯვებაზე უფრო ვაფასებ. არ მინდა მძულდეს. მინდა სამართლიანი დავრჩე თვით ჩემი მტრების მიმართ. ვნებათა აღტყინების ჟამსაც კი მსურს შეეინარჩუნო საღი აზრი, ყველაფერი გავიგო და ყველაფერი შევიყვარო.

მაგრამ კრისტოფი, ვისთვისაც სიცოცხლის ისეთი სიყვარული, ცხოვრებისაგან განდგომაში რომ მდგომარეობს, თითქმის სიკვდილისადმი დანებებას ნიშნავდა, გრძნობდა, ვით მოხუცი ემპედოკლე, როგორ აყღერებულიყო მის სულში სიძულვილისა და მისი ღვიძლი ძმის — სიყვარულის მტერი ჰიმნი, სიყვარულისა, რომელიც ხნავს, თესავს და ნაყოფიერება მოაქვს დედამიწაზე. იგი არ იზიარებდა ოლივიეს მშვიდ ფატალიზმს და, მეგობრისაგან განსხვავებით, ნაყლებ სწამდა დღეგრძელობა ერისა, რომელიც არ ცდილობს თავი დაიცვას.

---

1 საღეთო საქმენი, ჩადენილი ფრანგთა მიერ. (ლათ.).

ამიტომ უნდოდა მოწოდებით მიემართა ერის ჯანსაღი ძალებისათვის და საფრანგეთის ყველა პატიოსანი ადამიანი საბრძოლველად აემხედრებინა.

როგორც გულთამხილავი სიყვარულის ერთი წუთი უკეთ გვაცნობს ადამიანის სულს, ვიდრე თვეობით მისი შორიდან კვლევა, — ასევე კრისტოფმა, ოლივიესთან ერთი კვირის მეგობრობის წყალობით, თითქმის შინიდან გარეთ გამოუსვლელად, მეტი გაიგო საფრანგეთის შესახებ, ვიდრე პარიზში მთელი წლის ხეტიალისა და ინტელექტუალურ და პოლიტიკურ სალონებში ხშირი სტუმრობის შემდეგ. ამ საყოველთაო ანარქიის წიაღში, სადაც მას ფეხქვეშ ნიადაგი ვერ ეპოვა, მეგობრის სული უცნაურ „ილ-დე-ფრანსად“ ეჩვენებოდა, გონებისა და სიმშვიდის კუნძულად შუა ზღვაში. შინაგანი უშფოთველობა, რომელიც სუფევდა ოლივიეში, კრისტოფს მით უფრო აოცებდა, რომ ამ უშფოთველობას არ გააჩნდა არავითარი გონებრივი დასაყრდენი: ოლივიეს ცხოვრება არ იძლეოდა სულიერი სიმშვიდის საფუძველს (იგი ღარიბი და მარტო იყო, ხოლო მისი სამშობლო დაკნინებული ჩანდა), ამასთან, სუსტი და ავადმყოფური აგებულება ჰქონდა და ზოგჯერ ვეღარ ერეოდა საკუთარ ნერვებს. ეს უშფოთველობა არც ნებისყოფის დაძაბვის ნაყოფს ჰგავდა (რადგან სწორედ ნებისყოფა აკლდა), — იგი მისი არსებისა და მისი ხალხის შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობდა. ამ ᲗᲣᲤᲠᲝᲑᲣᲛᲘ-ს — „წყნარი ზღვის მყუდროების“ შორეულ ანარეკლს კრისტოფი ოლივიეს გარშემო ბევრ სხვაშიაც ამჩნევდა; და გერმანელი მუსიკოსი, რომელმაც იცოდა, რა ძნელი იყო, თუნდაც უდიდესი ნებისყოფის დაძაბვით, სულიერი წონასწორობა შეენარჩუნებინა ხოლმე, როდესაც მის სულში ქარიშხალი აბობოქრდებოდა და ერთბაშად ააფორიაქებდა მის ძლიერ ბუნებას, — აღტაცებული იყო ამ იდუმალი ჰარმონიით.

საფრანგეთის შინაგანი, ფარული სახის ხილვამ საბოლოოდ თავდაყირა დააყენა მთელი მისი წარმოდგენა ფრანგულ ხასიათზე. მხიარული, გულღია, უდარდელი და სახეგაბრწყინებული ხალხის ნაცვლად კრისტოფი ხედავდა გულჩათხრობილ, განმარტოებულსა და მოჩვენებით ოპტიმიზმში, როგორც გასხივოსნებულ ნისლში გახვეულ, მაგრამ ღრმა და წყნარ პესიმიზმში ჩაძირულ ადამიანებს, რომლებიც ისეთი აკვიატებული აზრებით, ინტელექტუალური ვნებებითა და ურყევი სულისკვეთებით შეპყრობილიყვნენ, რომ უფრო ადვილი იყო მათი მოსპობა, ვიდრე მათთვის აზრის შეცვლევინება. ცხადია, ეს მხოლოდ ფრანგი ერის რჩეულნი იყვნენ; მაგრამ კრისტოფი გაკვირვებული კითხულობდა, მაინც სად ღებულობსო სათავეს მათი ასეთი სტოიციზმი და ასეთი რწმენა. ოლივიემ მიუგო:

— დამარცხებაში. ეს თქვენ გამოგვჭედეთ ასეთად, ჩემო კეთილო კრისტოფ. ვაგლახ! ეს უმტკივნეულოდ არ მომხდარა. თქვენ ვერც კი მიხვდებით, რა შავბნელ ვითარებაში გავიზარდეთ: შეურაცხყოფილი და სისხლისაგან დაცლილი საფრანგეთი, რომელსაც თვალებში შეეხედა სიკვდილისათვის, ყოველ წუთს ძალმომრეობის საბედისწერო მუქარას განიცდიდა. ჩვენი სიცოცხლე,

ჩვენი სული, ჩვენი ფრანგული ცივილიზაცია და ათი საუკუნის სიღრმე, ვგრძნობ ეს, ხელში ჩაეგდო უხეშ დამპყრობელს, რომელსაც არ გაეგებოდა მისი ინჩი-ბინჩი, მთელი არსებით სძულდა და ყოველთვის მზად იყო სამუდამოდ აღეგავა იგი პირისაგან მიწისა. საჭირო იყო, გაგვეძლო ამ ხვედრისათვ-ს! გიხსენე ის პაწია ფრანგები, რომლებიც დამარცხების ბინდში, დათალხულ სახლებში დაიბადნენ, ვინც სასოწარკვეთილი აზრებით საზრდოობდნენ და სისხლიანი, ავბედითი და, იქნებ, ფუჭი რევანშის სულისკვეთებით აღიზარდნენ: რადგან პირველი, რაც მათ ყველაზე ადრეულ ასაკში შეიცნეს, იყო ის, რომ სამართალი ლიტონი სიტყვაა, სამართალი არ არსებობს ამ ქვეყანზე — ძალა თელავს უფლებას! ამგვარი აღმოჩენები რწმენას უკარგავს, ან სამუდამოდ აკაუებს ნორჩის სულს. ბევრმა ხელი ჩაიქნია; ფიქრობდნენ: „რახან ასეა, რისთვის ვიბრძოლოთ? რიღასთვის გავისარჯოთ? არარა არარაა. შორს ამაზე ფიქრი! თავი მივცეთ სიტკბოებას". მაგრამ ვინც გაუძლო, ხელშეუვალი გახდა; ვეღარავითარი იმედგაცრუება ვერ შეარყევს მათს რწმენას, რადგან ერთხელ და სამუდამოდ მიხვდნენ: მათი გზა ბედნიერების გზა არ არის და რაკი არ არსებობს სხვა არჩევანი, უნდა იარონ ამ გზით, სხვანაირად დაიღუპებიან. ეს რწმენა ერთბაშად არ მოდის. ამაოდ ელი მას თხუთმეტი წლის ასაკში. მანამდე ჯერ ბევრი მწუხარების განცდა, მრავალი ცრემლის დანთხევა მოგელის. მაგრამ ასეა საჭირო. ასეც უნდა იყოს...

„ო, რწმენავ, ფოლადის ქალწულო...
მოხან შენი ბასრი მახვილით ერების გათელილი სული!..."

კრისტოფმა უსიტყვოდ ხელი მოუჭირა ოლივიეს ხელზე.

— ძვირფასო კრისტოფ, — უთხრა ოლივიემ, — შენმა გერმანიამ ბევრი ტანჯვა მოგვაყენა.

კრისტოფი კი, თითქოს თვითონ მიუძღოდა ამაში ბრალი, მზად იყო ბოდიში მოეხადა.

— ნუ სწუხხარ, — განაგრძო ღიმილით ოლივიემ. — სიკეთე, რომელიც მან თავისდაუნებურად გაგვიწია, გადაძალავს მის მიერ მოყენებულ ზიანს. ეს თქვენ გააღვივეთ კვლავ ჩვენი მიმქრალი იდეალიზმი, თქვენ აღგვიგზნეთ კვლავ მეცნიერებისა და რწმენის ცეცხლი, თქვენ გვაიძულეთ სკოლებით მოგვეფინა მთელი საფრანგეთი, თქვენ აღატყინეთ პასტერის შემოქმედებითი ძალები.— მარტო მისი აღმოჩენები აანაზღაურებდა ხუთ მილიარდ კონტრიბუციას; თქვენ გვიბიძგეთ აგვეღორძინებინა ჩვენი პოეზია, ჩვენი მხატვრობა და მუსიკა და სწორედ თქვენვე უნდა გიმადლოდეთ ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. დაჯილდოვდა ჩვენი გულმოდგინეებაც, ვინც რწმენის შენარჩუნებას პირადი ბედნიერება ვანაცვალეთ, რადგან, ამ საყოველთაო აპათიის ჟამს ისეთ სულიერ ძალას ვგრძნობთ, რომ უკვე ეჭვი აღარასოდეს შეგვეპარება საკუთარ

თავში და თვით გამარჯვებაც კი ვირწმუნეთ. ხედავ, ჩემო კეთილო კრისტოფ, რაც უნდა ცოტა ვიყოთ და რა სუსტნიც უნდა ვჩანდეთ, — მცირე წვეთი გერმანული ძალის ოკეანეში, — მაინც გვწამს, რომ ეს ერთი წვეთი მთელ ოკეანეს შეღებავს. მაკედონური ფალანგა შეიჭრება ევროპული პლებსის ურიცხვ ლაშქარში.

კრისტოფმა შეხედა ოლივიეს მიკნავებულ სახეს, რწმენით გაბრწყინებულ თვალებს:

— საბრალო, უსუსურო, ჩია ფრანგებო! თქვენ ჩვენზე ძლიერნი ხართ!

— ო, სათნო დამარცხებავ, — იმეორებდა ოლივიე, — დაილოცოს შენი გამანადგურებელი ძალა! არასოდეს უარგყოფთ შენ! ჩვენ შენი პირმშონი ვართ!

ნაწილი მეორე

დამარცხება ხელახლა ჭედავს ერის რჩეულთ. იგი ახარისხებს ადამიანებს სულიერი ღირსებების მიხედვით: ცალკე არჩევს წმინდასა და მტკიცეს და კიდევ უფრო განწმენდს და განამტკიცებს. მაგრამ ამასთანავე იგი აჩქარებს დანარჩენების დაღუპვას, ან აღმაფრენას უსპობს მათ. ამრიგად, ხალხის უდიდესი მასა, რომელიც ეცემა, შორდება რჩეულთ, რომლებიც განაგრძობენ სვლას. რჩეულნი ხვდებიან ამას და ტანჯავთ ეს განშორება; თვით ყველაზე მხნეთ გულს უღრღნით იდუმალი სევდა, თავიანთი უმწეობისა და მარტოობის განცდა. ყველაზე ძნელი კი მაინც ის არის, რომ მშობელი ხალხის გულს მოწყვეტილნი, ერთმანეთისაგანაც გათიშნული არიან. ყველა თავისი თავის იმედით იბრძვის. ძლიერნი მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობენ: „ო ადამიანო, შენს თავს შენ თვითონ უშველე!...“ მათ დავიწყებიათ ვაჟკაცობის წესი, რომელიც მოითხოვს: „ო, ადამიანებო, ერთმანეთს უშველეთ!“ აღარავის აქვს ნდობა, თანაგრძნობის გამოჩენისა და ერთობლივი მოქმედების ხალისი, რასაც ბადებს ერში გამარჯვება, საკუთარი სრულყოფილების შეგრძნება და მწვერვალზე ასვლა.

კრისტოფმა და ოლივიემ ამის შესახებ პირადი გამოცდილებით იცოდნენ. პარიზში, სადაც არც ისე ცოტა მოიძებნებოდა მათი გამგები, იდუმალი მეგობრებით ავსებულ ამ სახლში — ისინი ისე მარტონი იყვნენ, როგორც აზიურ უდაბნოში.

მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. თითქმის აღარავითარი საარსებო წყარო. ხანდახან კრისტოფს თუ მოუხდებოდა ნოტების გადაწერა და მუსიკალური ტრანსპონირება, ჰეხტი რომ უკვეთავდა ხოლმე. ოლივიე წინდაუხედავად მოიქცა, თავი რომ დაანება უნივერსიტეტში ლექციების კითხვას; ეს მოხდა ერთ ქალიშვილთან უიღბლო რომანით გამოწვეული, ჯერ კიდევ გაუქარვებელი გულგატეხილობის შემდეგ (იგი ქ-ნ ნათანის საზოგადოებას ეკუთვნოდა), რასაც ზედ დაერთო დის სიკვდილი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა. ამის თაობაზე კრისტოფისათვის არასოდეს არაფერი უთქვამს, რადგან რცხვენოდა პირად უსიამოვნებებზე წუწუნი; მის ერთ-ერთ წარმტაც თვისებას წარმოადგენდა, საამკარაოზე არასოდეს გამოეტანა თავისი ინტიმური საიდუმლო, თვით ყველაზე ახლობელ ადამიანებთანაც კი. ამ სულიერი დაძაბუნების ჟამს, როდესაც

კაცს დუმილი სწყურია, ლექციების კითხვა ნამდვილ ტანჯვად იქცა ოლივიესათვის. მისი ხასიათი ვერ ეგუებოდა ამ საქმიანობას; ამ ხელობის კაცს მოგეთხოვება გამოაჩინო შენი ცოდნა. ხმამაღლა გამოთქვა პირადი აზრები და, მაშასადამე, არ იყო მარტო. ლიცეუმის მასწავლებლობა, კეთილსინდისიერად რომ ემსახურო საქმეს, მოციქულურ მოწოდებას მოითხოვს, რომელიც არ გააჩნდა ოლივიეს; უნივერსიტეტის ლექტორი კი იძულებულია მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდეს აუდიტორიასთან, რაც წამებაა ისეთი მარტოობას მონატრებული სულებისათვის, როგორიც ოლივიე გახლდათ. ორ-სამჯერ მას საჯაროდ გამოსვლა მოუხდა და რაღაც უცნაური დამცირება იგრძნო. ესტრადიდან თავისი ცოდნის გამოვლინება საზიზღარი ეჩვენა. იგი ხ ე დ ა ვ დ ა დარბაზში მსხდომთ, გრძნობდა მსმენელთა განწყობილებას, თითქოს უხილავი ანტენებით ყოფილიყო მათთან დაკავშირებული, და ხვდებოდა, მათი უმრავლესობა უსაქმური ადამიანებისაგან შედგებოდა, აქ მარტოოდენ გასართობად რომ მოსულიყვნენ; ოფიციალური გამრთობის როლი კი ოლივიეს გუნებას ვერ ეთვისებოდა. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ კათედრიდან წარმოთქმული სიტყვა ამახინჯებს აზრს და თუ სიფრთხილე არ გამოიჩინე, შესაძლოა ცუდი მსახიობივით ხელების ქნევას, გამოთქმით ლაპარაკს, პოზიორობასა და მანჭვა-გრეხას მოჰყვე აზრების ჩამოყალიბების დროს, თვით უსიტყვო აზროვნების პროცესშიც კი. ლექცია თავისებური ჟანრია, რომელიც დაცურავს ორ რიფს შუა: მოსაწყენ კომედიასა და მაღალი წრის პედანტებს შორის. ასობით უცნობ და მდუმარე პირთა წინაშე ხმამაღლა წარმოთქმული მონოლოგის ეს ფორმა, მზა ტანსაცმელი, რომელიც შეკერილია ყველასათვის, მაგრამ მორგებული არავისა აქვს, — უკარება და ამაყი სულის ხელოვანისათვის რაღაც საშინლად ყალბს წარმოადგენს. ჰოდა, ოლივიემ, რომელიც შინაგან მოთხოვნილებას გრძნობდა, სათქმელი წინასწარ ღრმად მოეფიქრებინა და არ წარმოეთქვა არც ერთი ზედმეტი სიტყვა, რაც მისი აზრის ზედმიწევნით ადეკვატური არ იქნებოდა, — თავი დაანება უნივერსიტეტში მუშაობას, სადაც თავის დროზე რის ვაი-ვაგლახით მოეწყო; ხოლო ვინაიდან გვერდით აღარ ჰყავდა თავისი და, რომ მისი ოცნებები დაეოკებინა, ოლივიემ ხელი მოჰკიდა წერას. მას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ რაკი მის ნაწარმოებს მხატვრული ღირსება გააჩნდა, შეუძლებელი იყო არ ეღიარებინათ იგი, თუნდაც მას ამისათვის თითი აღარ გაენძრია.

იგი მწარედ მოტყუვდა. რაიმეს გამოქვეყნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ოლივიე ეშვიანი სიყვარულით ეტრფოდა თავისუფლებას: მას შიშს უნერგავდა ყოველივე, რასაც შეეძლო ხელეყო იგი. ეს აიძულებდა მას განმარტოებით მდგარიყო, როგორც კედლის ჩრდილში ამოსული ნორჩი ყლორტი, უშზეოდ რომ ჭკნება, — მომწყვდეული პოლიტიკურ პარტიათა ბლოკებს შორის, რომელთა მტრულ დაჯგუფებებს დაენაწილებინათ მთელი ქვეყანა და პრესა. ოლივიე არ შედიოდა არც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებაში, გაურბოდა მათ, თუმცა არც ისინი აგლეჯდნენ კალთებს. იქ მას არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა ჰყო-

ლოდა მეგობარი. იგი უფრთხოდა უსულგულობას, გულცივობასა და ეგოიზმს ამ ინტელექტუალური ადამიანებისას (თითო-ოროლა პიროვნების გამოკლებით, ვისაც ჭეშმარიტი მოწოდება ამოძრავებდა, ან თავდავიწყებით იტაცებდა მეცნიერული კვლევა). საზიზღარ სანახაობას წარმოადგენს კაცი, რომელიც გრძნობის უნარს უჩლუნგებს საკუთარ გულს, რომ რაიმე არგოს ტვინს, — მაგრამ ვაგლახ! არც ტვინი აქვს დიდი ბარაქა. აღარც სიკეთე შერჩენია და ამისთანა ინტელექტიც ქარქაშში ჩაგებულ ხანჯალსა ჰგავს: არავინ იცის, როდის გაძგერებს იგი თავის ბასრ მახვილს; დღენიადაგ ფხიზლად ყოფნა გმართებს. მეგობრობა შესაძლებელია მხოლოდ კეთილ ადამიანებთან, რომელთაც უყვართ მშვენიერება და არ ეძებენ მასში რაიმე სარგებელს; ასეთნი კი, ჩვეულებრივ, ხელოვნების სამყაროს მიღმა ცხოვრობენ. ხელოვნების ჰაერის სუნთქვა დამღუპველია უბრალო მოკვდავთათვის. მხოლოდ ძალიან დიდებს ძალუძთ სული მოითქვან მის სამყაროში და არ დაკარგონ სიყვარულის უნარი, რაიც სიცოცხლის წყაროს წარმოადგენს.

ოლივიეს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეეძლო ჰქონოდა. ეს კი ვერაფერი შეღავათი გახლდათ. ყოველი ნაბიჯის გადადგმას მთელი დავიდარაბა სჭირდებოდა. თუმცა თანახმა როდი იყო ყოველგვარი დამცირება აეტანა, ოღონდაც მისი ნაწარმოები მიეღოთ. იგი სირცხვილისაგან იწვოდა ხოლმე იმ ახალბედა ავტორების დანახვაზე, რომლებიც სულმდაბლურად მლიქვნელობდნენ მავანი ღირსსაცნობი თეატრის დირექტორის წინაშე, და ისიც, მათი სილაჩრით უფრო გათამამებული, ისე კადნიერად ეპყრობოდა მათ, საკუთარ მოახლეს რომ ვერ შებედავდა. ოლივიე ასე ფეხქვეშ ვერავის გაეგებოდა, თუნდაც ამაზე მისი სიკვდილ-სიცოცხლე ყოფილიყო დამოკიდებული. იგი იმით კმაყოფილდებოდა, რომ თავის ხელნაწერებს ფოსტით აგზავნიდა, ანდა თეატრისა თუ ჟურნალის კანცელარიაში აბარებდა: ისინი იქ თვეობით ეყარა და მათს წასაკითხად არავის ეცალა. მაგრამ ერთ დღეს ბედნიერმა შემთხვევამ იგი ლიცეუმის ძველ ამხანაგს შეახვედრა; ამ სათნო ზარმაცს მადლიერებისა და აღტაცების გრძნობა კვლავ შერჩენოდა ოლივიესადმი იმ დაუზარებლობისა და სიიოლისათვის, რომლითაც ოლივიე საშინაო დავალებებს უსრულებდა ხოლმე მას. ბევრი არაფერი გაეგებოდა ლიტერატურისა, ოღონდ, რაც უფრო საგულისხმოა, ბევრ ლიტერატორს იცნობდა და, როგორც შეძლებული და საზოგადოებაში გამოსული, სნობიზმის გამო, ჩუმად თავსაც აყვლეფინებდა მათ. მან ოლივიეს შესახებ ერთი სიტყვა უთხრა რედაქციის მდივანს იმ სქელტანიანი ჟურნალისა, რომლის აქციონერიც თვითონ იყო. მაშინვე ამოქექეს ქაღალდებში დამარხული ერთ-ერთი ხელნაწერი და წაიკითხეს; ბოლოს, დიდი ჭოჭმანის შემდეგ (რადგან ნაწარმოებს თითქოს არა უშავდა რა, მაგრამ არაფერს ამბობდა ავტორის გვარი, რომელიც სრულიად უცნობი იყო), — გადაწყვიტეს მიეღოთ. ეს სასიხარულო ამბავი რომ შეიტყო, ოლივიემ დაიჯერა, ჩემს წვალებას ბოლო მოეღოო. მაგრამ წვალება ახლა იწყებოდა.

ნაწარმოები მიაღებინო პარიზში, კიდევ ისე ძნელი არ არის; გაცილებით ძნელია, გამოაქვეყნებინო იგი. მოგიწევს ელოდო, ელოდო თვეობით, ზოგჯერ მთელი ცხოვრებაც კი, თუ არ გამოიჩინე ნიჭი — ელაქუცო ადამიანებს, ანდა თავი მოაბეზრო მათ, დროდადრო ცხვირწინ აეტუზო ამ პატარა მონარქებს დილის მიღებებზე, შეახსენო, რომ არსებობ და გადაწყვეტილი გაქვს არ მოეშვა, სანამ შენსას არ მიაღწევ. ოლივიეს კი მხოლოდ ის შეეძლო, რომ შინ იჯდა და ლოდინში გული უწვრილდებოდა. დიდი-დიდი, წერილი მიეწერა, რაზეც არ პასუხობდნენ. ნერვიულობისაგან მუშაობა აღარ შეეძლო. რა აზრი აქვს! მაგრამ მარტო აზრი რწმენას ვერ გაძლევს. გულისგადამლევ გაურკვევლობაში ჩაძირული ოლივიე მაგიდასთან იჯდა და ელოდა ყოველი ფოსტის მოსვლას; გარეთ იმისათვის თუ გამოვიდოდა, რომ დაბლა, მეკარესთან ჩაერბინა და სასოებით სავსე მზერა შეევლო თავისი წერილების ყუთისათვის, მყისვე იმედს რომ უცრუებდა; ხანდახან ქუჩაში გაისეირნებდა, მაგრამ გარშემო ვერაფერს ამჩნევდა და ერთი ფიქრი ჰქონდა — შინ დაბრუნებულიყო; ხოლო როდესაც ბოლო ფოსტაც წავიდოდა და ოთახის მყუდროებას მის თავზე მეზობლის ფეხების ბრაგა-ბრუგიღა არღვევდა, ოლივიეს ჰკლავდა ადამიანების გულგრილობაზე ფიქრი. ერთი სიტყვა მაინც აღირსონ, მხოლოდ სიტყვა! ნუთუ ეს მოწყალებაც არ ემეტებათ? ის, ვინც თავს არ იწუხებდა პასუხი გაეცა ოლივიესათვის, ვერ წარმოიდგენდა, რა ტკივილს აყენებდა მას. ყველა საკუთარი თვალით ზომავს ამ ქვეყანას. ვისაც თავად გულისხმიერება აკლია, უსულგულო ეჩვენება მთელი სამყარო; ისინი ვერ ხვდებიან მოლოდინით, იმედითა და ტანჯვით მოფანცქალე გულების თრთოლას, ნორჩ მკერდებს რომ აჩქროლებს; ანდა, თუ ხვდებიან, გულცივად და მოყირჭებულის ტლანქი ირონიით სჯიან მათ.

ბოლოს, ნაწარმოები გამოქვეყნდა. ოლივიე იმდენ ხანს ელოდა, რომ ამან ვერავითარი სიამოვნება ვეღარ მიანიჭა: იგი უკვე მკვდარი იშვა მისთვის. მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ სხვებისთვის ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა. მის სტრიქონებში ისეთი პოეზია და აზრი ელვარებდა, რომ არ შეიძლებოდა იგი შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ნაწარმოები მდუმარებამ შთანთქა. არავითარი გამოხმაურება. ოლივიემ ერთი-ორჯერ კიდევ სცადა კალამი. ყოველგვარი ლიტერატურული ჯგუფებისაგან დამოუკიდებელი, ყოველთვის დუმილს, ან უფრო სწორად, მტრობას აწყდებოდა. ოლივიეს ვერაფერი გაეგო. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ახალ ნაწარმოებს, თუნდაც იგი არ ყოფილიყო მთლად უნაკლო, ბუნებრივი კეთილგანწყობილება უნდა გამოეწვია ყოველ ადამიანში. მართლაცდა, რა უნდა გქონდეს საწინააღმდეგო იმ ადამიანის მიმართ, ვისაც სურს მცირეოდენი სილამაზის, მხნეობისა და სიხარულის განცდა მოგანიჭოს? ოლივიე კი მხოლოდ გულგრილობას ან კილვას ხვდებოდა. თანაც იცოდა, რომ ის, რაზეც იგი წერდა, მარტო მას არ აწუხებდა; ამ აზრს სხვებიც იზიარებდნენ. მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რომ ამ პატიოსან ადამიანებს უბრალოდ არ წაეკითხათ მისი ნაწარმოები და, საერთოდ, ისინი არავითარ გავლენას

არ ახდენდნენ ლიტერატურულ კრიტიკაზე. თუ მათ შორის თითო-ოროლა ვინმეს მაინც მოუხდებოდა თვალი გადაევლო მისი სტრიქონებისათვის და თანაგრძნობით გაიმსჭვალებოდა, ავტორი ამას ვერასოდეს გაიგებდა, რადგან ეს ადამიანები თავიანთი დუმილის ცხრაკლიტულში ჩაკეტილიყვნენ. ისინი არ მონაწილეობდნენ ხელოვნების ამბებში ისევე, როგორც თავს იკავებდნენ არჩევნებში; არ კითხულობდნენ წიგნებს, გულს რომ უფუჭებდათ; არ დადიოდნენ ოპერაში, ყოველგვარ ხალისს რომ აკარგვინებდათ; მაგრამ საშუალებას აძლევდნენ თავიანთ მტრებს, კენჭი ეყარათ და გამძვრალიყვნენ არჩევნებში, ხელს არ უშლიდნენ, მყვირალა რეკლამა გაეწიათ და სკანდალური წარმატება მოეპოვებინათ იმ ნაწარმოებებისა და იდეებისათვის, რომლებიც მხოლოდ უტიფარი უმცირესობის თვალსაზრისს გამოხატავდნენ.

ჰოდა, ოლივიე, რომელსაც არ შეეძლო თავის თანამოაზრეთა გამოქომაგების იმედი ჰქონოდა, რადგან მათ წარმოდგენა არ გააჩნდათ მასზე, მარტო აღმოჩნდა მტრების ხროვაში — მისი აზრების მოძულე ლიტერატორთა და მათ დამქაშ კრიტიკოსებს შორის.

პირველმავე შეჯახებამ მათთან განუკურნელი ჭრილობა მიაყენა ახალბედა ავტორს. იგი მეტისმეტად მგრძნობიარე გახლდათ კრიტიკისადმი, როგორც მოხუცი ბრუკნერი, რომელიც ისე გაეწამებინა პრესის ღვარძლიანობას, რომ უარს ამბობდა, მისი ნაწარმოებები შეესრულებინათ. ოლივიესთვის მხარი არ დაუჭერიათ არც უნივერსიტეტის ყოფილ კოლეგებს, რომლებსაც, თავიანთი პროფესიის წყალობით, კიდევ შერჩენოდათ ფრანგული აზრის ტრადიციის გრძნობა და შეეძლოთ გაეგოთ მისთვის. საერთოდ, ისინი ჩინებული ადამიანები იყვნენ, მაგრამ თვითონ დისციპლინის მარწუხებს დამორჩილებულნი და სამუშაოთი გაბეზრებულნი, ცოტა გაებოროტებინა უმადურ პროფესიას და ვერ ეპატიებინათ ოლივიესათვის, რომ მან არ ისურვა მათსავით მოქცეულიყო. როგორც ყოველ წესიერ მოხელეს სჩვევია, მიდრეკილება ჰქონდათ, ნიჭის უპირატესობა მხოლოდ მაშინ ეღიარებინათ, როდესაც იგი თანამდებობრივ უპირატესობას შეესაბამებოდა.

მოვლენათა ასეთი მსვლელობის დროს სამი გამოსავალი არსებობდა: ან ძალით დაემსხვრია ყოველგვარი წინააღმდეგობა; ან დამამცირებელ დათმობებზე წასულიყო; ანდა, შერიგებოდა იმას, რომ მხოლოდ თავისთვის ეწერა. პირველი, ისევე როგორც მეორე, ოლივიეს ძალ-ღონეს აღემატებოდა: იგი მესამის ამარა დარჩა. თავი რომ ერჩინა, ძალისძალად მოსწავლეებს ამზადებდა და წერდა ნაწარმოებებს, რომლებსაც არავითარი შესძლებლობა არ გააჩნდათ, გაფურჩქნულიყვნენ სინათლეზე და თანდათან ჭკნებოდნენ, ქიმერული და სინამდვილისაგან დაშორებული ხდებოდნენ.

კრისტოფი ჭექა-ქუხილივით შეიჭრა ამ ბინდით მოცულ სიცოცხლეში. იგი აღშფოთებული იყო ადამიანების სულმდაბლობით და, აგრეთვე, ოლივიეს მოთმინებით:

— შენ რა, ძარღვებში სისხლი ხომ არ გაგეყინა? — ყვიროდა კრისტოფი.— როგორ ძალგიძს აიტანო ასეთი ცხოვრება? იცი, რომ მაღლა დგახარ ამ პირუტყვებზე და ნებას აძლევ გაგთელონ მათ!

— რას იზამ? — მიუგებდა ოლივიე. — ვერ ვახერხებ თავი დავიცვა, ზიზღს მგვრის ბრძოლა მათთან, ვინც გულს მირევს; ვიცი, რომ მათ შეუძლიათ ყოველგვარი იარაღი გამოიყენონ ჩემს წინააღმდეგ, მე კი ეს არ ძალმიძს. არა მარტო იმიტომ, რომ მეთაკილება არასაკადრისი საშუალებები ვიხმარო, არამედ მეშინია, ვნება არ მივაყენო. ბავშვობაში ბრიყვულად ვეტყეპინებოდი ხოლმე თანატოლებს. მხდალად მთვლიდნენ, ეგონათ მუშტებისა მეშინოდა, მაგრამ მე უფრო იმისი მეშინოდა, სხვისთვის მერტყა, ვიდრე ჩემთვის ერტყათ. ერთხელ, როდესაც ერთ-ერთი ჩხუბისთავი, დაბრიყვებული რომ ვყავდი, საცემად იწევდა ჩემზე, ვიღაცამ წამაქეზა: „მიდი, ისეთი სთხლიშე, რომ დაამახსოვრდეს: წიხლი ჩასცხე შიგ მუცელში!“ ამან შემზარა. სჯობს ისევ მე მცემოს-მეთქი.

— არა, შენ ძარღვებში სისხლი არ გიჩქეფს, — გაიძახოდა კრისტოფი. — ახლა, ეგ შენი ბრიყვული ქრისტიანული აზრები!... თქვენი რელიგიური აღზრდა, კატეხიზმოს დაზუთხვით რომ ამოიწურება საფრანგეთში; გამოფიტული „სახარება“, უსუსური და უფხო „ახალი აღთქმა“... კაცთმოყვარეობით გულის აჩუყება, თვალზე მუდამ ცრემლი... მერე, რევოლუცია, ჟან-ჟაკი, რობესპიერი, 48 წელი და, ბოლოს, ებრაელები!... სჯობს, მიირთვა ყოველ დილით ძველი ბიბლიის სისხლიანი, მსუყე ნაჭერი.

ოლივიე ეწინააღმდეგებოდა. იგი თანდაყოლილ ანტიპათიას განიცდიდა „ძველი აღთქმისადმი“. ეს შეგრძნება მას ბავშვობიდან გამოჰყვა, როდესაც მალულად ფურცლავდა ხოლმე სურათებიან ბიბლიას თავიანთ პროვინციულ ბიბლიოთეკაში, სადაც მას არავინ კითხულობდა (ბავშვებს აკრძალულიც ჰქონდათ მისი წაკითხვა). ზედმეტი სიფრთხილე! ოლივიეს არც შეეძლო დიდხანს სჭეროდა ეს წიგნი გადაშლილი და მალე ხურავდა მას გამწყრალი და გულნატკენი; ხოლო როგორი შვება ეუფლებოდა, როცა ამ წიგნის შემდეგ „ილიადას“, „ოდისეას“, ანდა „ათასერთი ღამის“ კითხვით გაერთობოდა ხოლმე.

— „ილიადას“ ღმერთები, — ამბობდა ოლივიე, — ლამაზი, ძლიერი, მანკიერი ადამიანები არიან: მე მესმის მათი, მომწონს ან არ მომწონს ისინი; მაგრამ მაშინაც კი, როცა არ მომწონს, მაინც მიყვარს. მე შეყვარებული ვარ მათზე. პატროკლესთან ერთად მეც ვემთხვევი გასისხლიანებული აქილევსის მშვენიერ ფეხთ. ბიბლიის ღმერთი კი — ბებრუხანა ებრაელი, მანიაკი და ბორგვნეული გიჟია, რომელიც ერთთავად ღრინავს, იქადნის, გამძვინვარებული მგელივით ღმუის და ქადაგად ეცემა. მე მისი არ მესმის და არ მიყვარს, თავი მისკდება მისი გაუთავებელი წყევლა-კრულვით, მზარავს მისი ულმობელობა:

განაჩენი მოაბს...
განაჩენი დამასკოს...

განაჩენი ბაბილონს...
განაჩენი ეგვიპტეს...
განაჩენი ზღვის უდაბნოს...
განაჩენი სიონის ხევს...

ეს შეშლილია, რომელსაც დაუჩემებია, რომ თვით არის ხალხების მსაჯულიც, ბრალმდებელიცა და ჯალათიც, და თავისი საპყრობილის ეზოში სასიკვდილო განაჩენები გამოაქვს ყვავილებისა და კენჭებისათვის. სულს გიხუთავს ძვალრბილში გამჯდარი სიძულვილი, რომლითაც გაჟღენთილია ეს კვნესითა და გოდებით აღსავსე წიგნი: „ხმობს შემუსრვა... შეერთო ჯმობა საზღვრისა მოაბელასი თაილიადმდე, და ვალალაები მისი, ვიდრე ჯურღმულამდე ელიმისა...“

დროდადრო იგი განცხრომას ეძლევა ხოცვა-ყლეტის შემდეგ, გაუპატიურებულ და მუცელგამოფატრულ ქალთა და ჩვილ ბავშვთა გასრესილ გვამებს შორის; მერე, რომელიმე ქალაქს რომ მოაოხრებს, სუფრას მიუჯდება და ხითხითებს ისუ ნავეს ხეპრე ჯარისკაცივით:

„და უყოს უფალმან საბაოთ, მთასა ამას ზედა ყოველთა ზედა ნათესავთა სასუმელი ჯმაᲘ ნელობათა სასუმელი თხლეთა, სუმიდენ მხიარულებით, სუმიდენ ღვნოსა, იცხებდენ მირონთა... მახჯლი უფლისა აღივსო სისხლითა, განზრქა ცმელისაგან კრავთასა, და ცმელისაგან ვაცთა და ვერძთასა...“

ხოლო ყველაზე უარესი არის ვერაგობა ამ ღმერთისა, რომელიც თავის წინასწარმეტყველს გზავნის, რომ დააბრმავოს ადამიანები, რათა მერე საბაბი მიეცეს, ტანჯოს ისინი.

„და თქუა ვიდოდე, და არქუ ერსა ამას: სმენით გესმათ და არ გულის ხმა ჰყოფთ, და მხედველნი ხედავთ და არა იხილოთ. რამეთუ განზრქა გული ერისა ამის, და ყურითა მძიმედ ისმინენ, და თვალნი მათნი დაიწუხნეს ნუ უკუᲘ და იხილონ თვალითა, და ყურითა ისმინონ და გულითა გულის ხმა ყონ, და მოვიქცე და განვკურნნე იგინი. და ვთქუ, ვიდრემდის უფალო, და თქუა ვიდრემდისცა მოოჯრდენ ქალაქნარ დამკჯდრებითა, და სახლნი არ ყოფითა კაცთათა, და ქუᲘყანა დატევებულ იქმნეს ოჯრად...“

არა, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი ბოროტი ადამიანი!...

ისეთი ბრიყვი როდი ვარ, რომ არ მესმოდეს ამ წიგნის ენის სიძლიერე. მაგრამ არ შემიძლია, აზრი ფორმისაგან გამოვყო; ხოლო თუ ზოგჯერ ამ ებრაელ ღმერთს მაინც აღტაცებაში მოვყავარ, ეს იმ აღტაცებასა ჰგავს, ვეფხვის ხილვა რომ გვგვრის. თვით შექსპირმაც კი, ურჩხულთა შექმნის ამ დიდოსტატმა, ვერ შექმნა სიძულვილის ასეთი გმირი, — წმინდა და სათნო სიძულვილისა. ეს წიგნი შეძრწუნებას იწვევს. ყოველგვარი სიგიჟე გადამდებია. ამ სიგიჟის საფრთხე კი მით უფრო დიდია, რომ მის სისხლისმსმელ ამპარტავნობას განმწმენდელის მისია დაუჩემებია. ერუანტელი მივლის იმის გაფიქრებაზე, რომ ინგლისი ამ გიჟური იდეებით იკვებებოდა საუკუნეების მანძილზე. სიამოვნებას მანიჭებს იმის შეგნება, რომ ჩვენ ლამანშის უფსკრული გვთიშავს მისგან.

შთლად ცივილიზებულად ვერასოდეს მივიჩნევ ხალხს, რომლის სულს კვლავ ბიბლია ასაზრდოებს.

— მაშინ ჩემთან ფრთხილად, — უთხრა კრისტოფმა, — რადგან მე ვითვრები მისი კითხვით. მასში ლომებრი ძალაა. მისგან მაგრდება სუსტი გულები. „სახარება“, „ძველი აღთქმის“ სანელებელს მოკლებული, ლუგუმი და მაწყინარი კერძია. ბიბლია ხერხემალია ხალხებისა, რომელთაც სიცოცხლე სწყურიათ. საჭიროა ბრძოლა, საჭიროა სიძულვილი.

— მძულს სიძულვილი, — თქვა ოლივიემ.

— მისი სიძულვილი თუ მაინც შეგიძლია! — მიუგო კრისტოფმა.

— მართალს ამბობ, მაგის ძალაც არ შემწევს. რას იზამ? არ შემიძლია, ვერ გავიგო მტრის სიმართლე და გულში ვიმეორებ შარდენის სიტყვებს: „შემწყნარებლობა! შემწყნარებლობა!...“

— ეს რა თვინიერი ბატკანი ყოფილა! — წამოიძახა კრისტოფმა. — მაგრამ ამაოდ ჯიუტობ; სულერთია, ჩამოგსვამ მაგ ეშმაკის ცხენიდან და დაფდაფის ცემითა და ყიჟინით საბრძოლველად გაგიყოლებ.

მართლაც, კრისტოფმა ხელში აიღო ოლივიეს საქმე და შეუდგა მის დაცვას. დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა. პირველსავე სიტყვაზე ბრაზი ერეოდა და ისე თავგამოდებით იწყებდა მეგობრის გამოსარჩლებას, რომ უნებლიეთ ენებდა მას; მერე, თავის შეცდომას რომ მიხვდებოდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა საკუთარი მოუხერხებლობა.

ვალში არც ოლივიე რჩებოდა. იგი ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდა კრისტოფის გულისათვის. თუმცა ოლივიეს ნათელი და დამცინავი გონება, რომელსაც სასაცილოდ ეჩვენებოდა ყოველგვარი უკიდურესობა სიტყვებსა და საქციელში, უარყოფდა ბრძოლას, მაგრამ როდესაც ჯერი კრისტოფის დაცვაზე მიდგებოდა, სიმძაფრეში აჭარბებდა ყველას, თვით კრისტოფსაც კი. იგი გონებას კარგავდა. სიყვარულში უნდა შეგეძლოს ბევრი არ განსაჯო. აქ კი ოლივიეს არაფერი ეშლებოდა. ასე თუ ისე. იგი უფრო მეტ სიმარჯვეს იჩენდა, ვიდრე კრისტოფი. ეს ყმაწვილი, თავის საქმისთვის რომ შეურიგებელი და შოუქნელი იყო, მეგობრის წარმატებისათვის გაქნილი პოლიტიკოსი და გაიძვერაც კი გახლდათ: საოცარ ენერგიასა და მოხერხებას ავლენდა, რომ მეგობრისათვის მომხრეები შეეძინა; შეეძლო მუსიკალურ კრიტიკოსთა და მეცენატთათვის ცნობისმოყვარეობა აღეძრა კრისტოფის მიმართ, ოღონდაც კრინტს ნუ დააძვრევინებდით პირად სათხოვარზე.

მაგრამ მიუხედავად მთელი ამ მეცადინეობისა, მეგობრებს მაინც თავი ვერ დაეღწიათ გაჭირვებისათვის. ერთმანეთის სიყვარული მრავალ სისულელეს ადენინებდათ. კრისტოფი ვალებში ჩაეფლო, რომ ოლივიესაგან მალულად მისი ლექსების კრებული გამოეცა, თუმცა არც ერთი ცალი არ გაყიდულა. თავის მხრივ, ოლივიემ შეაგულიანა კრისტოფი, კონცერტი გაემართა, რომელზეც არავინ მისულა. ცარიელი დარბაზის შემყურე კრისტოფი ჰენდელის სიტყვე-

ბით იმხნევებდა თავს: „ჩინებულია! ჩემი მუსიკა ასე უფრო უკეთ იყღერებს...“ მაგრამ ეს იხტიბარის არგატეხა გაფლანგულ ფულს აღარ უნაზღაურებდათ; მეგობრები გულდაწყვეტილი ბრუნდებოდნენ შინ.

ამ სიძნელეებს შორის, ერთადერთი, ვინც მათ დახმარების ხელი გაუწოდა, გახლდათ ორმოციოდე წლის ებრაელი, თადე მოოხი. მას მხატვრობის ფოტორეპროდუქციების მაღაზია ჰქონდა გახსნილი და გატაცებული იყო თავისი საქმით, რაშიც საკმაო გემოვნებასა და მარიფათს ამჟღავნებდა; მაგრამ, ვაჭრობის გარდა, კიდევ იმდენი რამ იტაცებდა, რომ ხშირად დაუდევრობას იჩენდა მოგებისადმი. თუ მაინც ამ ხელობას მისდევდა, ეს იმიტომ, რომ ცდილობდა ტექნიკური გაუმჯობესება შეეტანა და რეპროდუქციის ახალი ხერხები აეთვისებინა, რაც, მისი მახვილგონიერების მიუხედავად, იშვიათად გამოსდიოდა და ფრიად ძვირიც უჯდებოდა. მოოხი ძალზე ბევრს კითხულობდა და თვალს ადევნებდა ყოველ ახალ აზრს ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, მეცნიერებასა და პოლიტიკაში; მას განსაცვიფრებელი ალღო ჰქონდა, თვითმყოფადი ნიჭი აღმოეჩინა: თითქოს უხილავი მაგნიტი იზიდავდა მისკენ. მოოხი დამაკავშირებელი რგოლი გამხდარიყო ოლივიეს მეგობრებისათვის, ოლივიესავით განმარტოებულნი, ყველანი ცალ-ცალკე რომ იღვწოდნენ. იგი მიმოდიოდა ერთიდან მეორესთან და მისი მეშვეობით, მათდა შეუცნობლად, აზრთა განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა დამყარებულიყო მათ შორის.

როდესაც ოლივიემ სურვილი გამოთქვა, მოოხი კრისტოფისათვის გაეცნო, კრისტოფმა თავდაპირველად იუარა: მოყირჭებული ჰქონდა ისრაელის ტომის ადამიანებთან გაცნობის ცდები. ოლივიე არ ეშვებოდა და სიცილით ამბობდა, რომ იგი კიდევ უფრო ცუდად იცნობდა ებრაელებს, ვიდრე ფრანგებს. კრისტოფი დათანხმდა; მაგრამ როდესაც პირველად დაინახა თადე მოოხი, გერმანელი უკმაყოფილოდ დაიჯღანა. გარეგნობით მოოხი პიტალო ებრაელს ჰგავდა, სწორედ ისეთს, როგორსაც ხატავენ ხოლმე ისინი, ვისაც ებრაელები გულზე არ ახატიათ: ჩია ტანის, მელოტი, ბაჯაჯღანა, გადღლარძული ცხვირი, დიდრონი, გადმოკარკლული თვალები, მსხვილი სათვალის ქვეშიდან ელმად რომ იცქირებოდნენ; ჯაგარივით უხეში, შავი წვერით გაბანჯგვლული პირისახე; გრძელი ბალნიანი ხელები და კოტიტა, მოგრეხილი ფეხები, — ერთი სიტყვით, პატარა სირიელი ბაალის განსახიერებას წარმოადგენდა. მაგრამ მასში ისეთი გულკეთილობა გამოსჭვიოდა, რომ კრისტოფს გული აუჩუყდა. მეტადრე, მოოხი უბრალო იყო და ზედმეტად სიტყვას არ იტყოდა. არავითარი გაზვიადებული ქათინაური. მხოლოდ თავდაჭერილი მოწონება ზოგჯერ. თუმცა მუდამ მზად იყო, ვინმეს გამოსდგომოდა: ვიდრე თხოვნას დაასწრებდი, სამსახური უკვე გაწეული გქონდათ. ხშირად შემოივლიდა, მეტისმეტად ხშირადაც კი, და თითქოს ყოველთვის რაიმე სასიხარულო ამბავი უნდა ემცნო: სამუშაო ეშოვა ერთ-ერთი მეგობრისათვის; ხელოვნების საკითხზე სტატიის დაწერა, ან მოსწავლეების

მომზადება — ოლივიესათვის, გაკვეთილები მუსიკაში — კრისტოფისათვის. იგი დიდხანს არასოდეს ჩამოჯდებოდა; რაღაცას მოიმიზეზებდა, რომ თავი არ შეეწყინა. ადვილი შესაძლებელია, მოოხი იმასაც გრძნობდა, რომ მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა კრისტოფს, რომელიც ვერ მალავდა გაღიზიანებას, როდესაც კარებში გამოჩნდებოდა ამ კართაგენული კერპის გაბარჯღული სიფათი (შეტსახელად მოლოხი რომ შეარქვა), თუმცა მეორე წუთში მადლიერებით ევსებოდა გული ებრაელისადმი, მისი ალალი გულკეთილობის გამო.

გულკეთილობა იშვიათი თვისება როდია ებრაელებში: ყველა სათნოებათაგან ყველაზე უფრო მისაღები მათთვის სწორედ გულკეთილობა გახლავთ, თუნდაც მას არ იჩენდნენ ცხოვრებაში. მართალია, უმრავლესობაში მისი უარყოფითი ან პასიური ფორმა გვხვდება: შემნდობლობა, გულგრილობა, ცუდის ჩადენისადმი ზიზღი და დამცინავი შემწყნარებლობა. მოოხის გულკეთილობა კი მხურვალე და ქმედითი გახლდათ. იგი მუდამ მზად იყო, მტლად დასდებოდა ვინმეს ან რაიმე საქმეს: თავის ღარიბ თანამორწმუნეებს თუ რუს ლტოლვილებს, ყველა ერის ჩაგრულ შვილებს, ყველა უიღბლო ხელოვანს, ყველა ბედკრულს, ყოველ დიდსულოვან საქმეს. მისი ქისა გახსნილი იყო ყოველთვის და რაგინდ ქესატიც გამხდარიყო იგი, მოოხი მაინც მოახერხებდა, შიგ ერთი-ორი გროში კიდევ გამოეჩხრიკა; ხოლო უკეთუ იგი სრულიად გაფხეკილი აღმოჩნდებოდა, მოოხი ახლა სხვას ამოაქექინებდა ქისას. იგი არც ძალ-ღონეს იშურებდა და არც ცდას აკლებდა, როდესაც ვინმეს ხელის გაწოდება სჭირდებოდა. მოოხი ამას ალალად, გადაჭარბებული გულალალობითაც კი სჩადიოდა. მხოლოდ ეს კია, ცოტა გულისგამაწყალებლად უყვარდა შეხსენება, ალალი და უეშმაკო ვარო; მაგრამ მთავარი ის არის, რომ ნამდვილად ასეთი გახლდათ.

კრისტოფმა, რომელიც ხან ანტიპათიისა და ხან სიმპათიის გრძნობით იმსჭვალებოდა ებრაელისადმი, ერთხელ, მოოხის გულკეთილობით აღელვებულმა, მეგობრულად დაუჭირა მას ორივე ხელი და გულუბრყვილოდ მიახალა:

— რა უბედურებაა!.. რა უბედურებაა, რომ ებრაელი ხართ!

ოლივიე შეკრთა და გაწითლდა, თითქოს ეს სიტყვები მას შეეხებოდა. უხერხულობისაგან მიწა რომ გასკდომოდა, ის ერჩია, აღარ იცოდა, როგორ გამოესყიდა მეგობრის მიერ მოოხისადმი მიყენებული შეურაცხყოფა.

მოოხმა ნაღვლიანი ირონიით გაიღიმა და მშვიდად უპასუხა:

— გაცილებით უფრო დიდი უბედურებაა, რომ ადამიანი ხარ.

კრისტოფმა ეს უბრალო მახვილსიტყვაობად ჩათვალა. მაგრამ ამ სიტყვებში ჩამარხული პესიმიზმი უფრო ღრმა იყო, ვიდრე კრისტოფს ეგონა; ოლივიე კი, თავისი ალღოიანი მგრძნობიარობის წყალობით, მიხვდა, რისი თქმაც სურდა მას. მოოხის ნიღაბქვეშ, რომელსაც ისინი იცნობდნენ, სულ სხვა ადამიანი ცხოვრობდა — ფრიად განსხვავებული და ბევრ რამეში სრულიად საწინააღმდეგოც კი. ეს ხასიათი, რომლის გამოჩენასაც მოოხი ყოველნაირად ცდილობ-

და, თავის შინაგან ბუნებასთან ხანგრძლივი ბრძოლის შედეგს წარმოადგენდა. ეს კაცი, ერთი შეხედვით უბრალო, უაღრესად რთული ბუნებისა გახლდათ: როდესაც საკუთარ თავს ნებდებოდა, მყისვე მოთხოვნილება უჩნდებოდა, გაერთულებინა მარტივი საგნები და თავისი ყველაზე მართებული გრძნობებისათვის ნაძალადევი დამცინავობის ელფერი მიეცა. ამ კაცს, გარეგნულად თავმდაბალს რომ ჰგავდა და ზოგჯერ მეტისმეტად მოკრძალებული გეგონებოდათ, სულის სიღრმეში ფარული სიამაყე ჰქონდა; ეს თავადვე იცოდა, რისთვისაც მკაცრად სჯიდა საკუთარ თავს. მისი ხალისიანი ოპტიმიზმი, მისი დაუცხრომელი საქმიანობა, ნიადაგ იქითკენ მიმართული, რომ ხელი შეეწყო ადამიანებისათვის, მალავდა მის ღრმა ნიჰილიზმსა და სასოწარმკვეთ გულგატეხილობას, რომელსაც შიშით თავსაც ვერ უმხელდა, მოოხი თითქოს მტკიცე რწმენას ავლენდა ბევრ რამეში: კაცობრიობის პროგრესში, ებრაელობის განწმენდილი სულის მომავალში და საფრანგეთის — ამ განახლების ჯარისკაცის ბედისწერაში (იგი ხალისით აიგივებდა სამივე ამ ცნებას). მაგრამ ოლივიე, რომელსაც არაფერი გამოეპარებოდა, ეუბნებოდა კრისტოფს:

— სულის სიღრმეში მას არაფერი არა სწამს.

მთელი თავისი საღი აზრისა და დამცინავი სიმშვიდის მიუხედავად, მოოხი ნევრასთენიკი გახლდათ; მას ეშინოდა თავისი შინაგანი სიცარიელისათვის შეეხედა. შეტევები ჰქონდა ხოლმე არარაობის შეგრძნებისა: უცებ, შუაღამისას გაეღვიძებოდა და შეძრწუნებული კვნესოდა. იგი განუწყვეტლივ ეძებდა საბაბს მოქმედებისათვის, რომელსაც ცდილობდა ისე ჩაბღაუჭებოდა, როგორც წყალწაღებული ხავსს.

ძვირად უჯდებათ ადამიანებს უპირატესობა — ეკუთვნოდნენ ძველისძველ რასას. მათ აწევთ წელში გამწყვეტი ტვირთი წარსულის, მოყირჭებული გამოცდილების, გრძნობისა და გონების იმედგაცრუებისა, — მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მთელი ეს ნადუღი, რომლის ფსკერზე დალექილა მოწყენილობის წმახე ლექი... მოწყენილობა, უსაზღვრო სემიტური მოწყენილობა, რომელიც არაფრით არა ჰგავს ჩვენს არიულ მოწყენილობას; იგი არც ჩვენ გვაკლებს ტანჯვას, მაგრამ მაინც გარკვეული მიზეზი წარმოშობს და მასთან ერთადვე ქრება, რადგან ჩვენთვის იგი სხვა არა არის რა, თუ არა მხოლოდ წუხილი მიუწვდომელი სურვილის გამო. ებრაელთა გარკვეულ ნაწილს კი სასიკვდილო საწამლავით მოშხამვია თვით სიცოცხლის წყარო. აღარაფრის სურვილი, აღარაფრით გატაცება: არც პატივმოყვარეობა, აღარც სიყვარული, აღარც ამქვეყნიური სიამე. მხოლოდ ერთი რამ კვლავ ბოგინობს აღმოსავლეთის ფესვებს მოწყვეტილ ამ ადამიანებში, რომელთაც დაშრეტიათ საუკუნეთა მანძილზე უხვად ნახარჯი ენერგია და ელტვიან ატარაქსიას — აბსოლუტურ სულიერ სიმშვიდეს, თუმც ვერ აღწევენ კი მას: ეს გახლავთ მიდრეკილება მეტისმეტი განსჯის, დაუსრულებელი ანალიზისადმი, რაც არათუ არ დაუკარგავთ, არამედ ავადმყოფურად გასძლიერებიათ, წინასწარვე ფრთებს რომ აკვეცს მათს სიხა-

რულს და ყოველგვარი მოქმედების ხალისს აკარგვინებთ. ხოლო ყველაზე ენერგიულნი თავს იდებენ რაიმე როლს და ლამობენ ითამაშონ იგი, ვიდრე იმოქმედონ საკუთარი გულისწადილით. საგულისხმო უცნაურობა, რომელიც ჩვენს მრავალ მათგანს, ამასთან ფრიად გონიერთ და ზოგჯერ არანაკლებ დარბაისელთაც კი! რეალური ცხოვრებისადმი ეს გულგრილობა ჰკარნახობს მათ მოწოდებას თუ იდუმალ სურვილს, იმსახიობონ, ითამაშონ ცხოვრება, — ერთადერთი ნირი, როგორითაც შეუძლიათ მათ იცხოვრონ!

მოოხიც თავისებურად მსახიობი გახლდათ. იგი საზრუნავს იჩენდა და მოუსვენრობდა, რომ თავი დაევიწყებინა. მაგრამ თუ მეტ წილ ადამიანებს არ ასვენებთ პირად სარგებლობაზე ფიქრი, მოოხი სხვების სარგებლობისათვის მოუსვენრობდა. მისი ერთგულება კრისტოფისადმი, ერთსა და იმავე დროს, გულის ამაჩუყებელიც იყო და მომაბეზრებელიც. კრისტოფი მას აბუჩად იგდებდა, თუმცა მერე ნანობდა ხოლმე. მოოხს არასოდეს არაფერი სწყინდა კრისტოფისაგან. მის ერთგულებას ვერაფერი არყევდა. არა იმიტომ, თითქოს კრისტოფის სიყვარულით აღარ იცოდა რა ექნა. მას უფრო ერთგულების გამოჩენა უყვარდა ადამიანებისადმი, ვიდრე ადამიანები, რომელთა მიმართ ერთგულებას იჩენდა. ადამიანები მხოლოდ საბაბს წარმოადგენდნენ მისთვის, რომ სიკეთე ჩაედინა და, მაშასადამე, ეცხოვრა.

მან იმდენი მოახერხა, რომ დაიყოლია ჰეხტი, „დავითი“ და კრისტოფის ზოგიერთი სხვა კომპოზიცია გამოექვეყნებინა. ჰეხტი აფასებდა კრისტოფის ნიჭს, მაგრამ არ ჩქარობდა, პირველს ეღიარებინა იგი. ხოლო როდესაც დაინახა, რომ მოოხი მზად იყო, თავის ხარჯზე სხვა გამომცემელთან დაებეჭდა ისინი, ჰეხტმა, თავმოყვარეობის გამო, გადაწყვიტა თვითონ ეთავა.

მოოხს დაებადა აგრეთვე აზრი, — კრიტიკულ ჟამს, როდესაც ოლივიე ლოგინად ჩავარდა და ფული გაუჭირდათ, — მიემართა მდიდარ არქეოლოგ ფელიქს ვაილისათვის, მეგობრების მეზობლად რომ ცხოვრობდა. მოოხი და ვაილი იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ დიდ სიმპათიას არ გრძნობდნენ ერთიმეორისადმი. ისინი სულ სხვადასხვა ყაიდის ადამიანები იყვნენ: მოოხი ფაცურა, მისტიკოსი და რევოლუციონერი გახლდათ, „მდაბიური“ მანერებით, რასაც, მგონი, განზრახ უფრო ხაზს უსვამდა, რომ დახვეწილმანერებიანი, კონსერვატიული სულისკვეთების, დინჯი და დამცინავი ვაილის ირონია გაეღიზიანებინა. თუმცა საერთოც ბევრი ჰქონდათ: ორივენი ერთნაირად მოკლებულიყვნენ მოქმედების ხალისის აღმძვრელ შინაგან იმპულსს და მხოლოდ თავიანთი ცხოველუნარიანობა აძლებინებდათ, სისხლხორცეული და ანგარიშმიუცემელი. მაგრამ სწორედ ამაში არ სურდა არც ერთს, გამოსტყდომოდა საკუთარ თავს: ისინი ამჯობინებდნენ თავზე არ აეღოთ არაფერი, გარდა როლისა, რომელსაც ასრულებდნენ; მათს როლებს კი საერთო არა ჰქონდათ რა. ჰოდა, ვაილმაც საკმაოდ ცივად მიიღო მოოხი; როდესაც ამ უკანასკნელმა სცადა, არქეოლოგი ოლივიესა და კრისტოფის შემოქმედებითი გეგმებით დაეინტერესებინა, იგი მის დამ-

ცინავ სკეპტიციზმს წააწყდა. მოოხის დაუსრულებელი გატაცებანი ახალ-ახალი უტოპიებით დაცინვას იწვევდა ხოლმე ებრაელთა საზოგადოებაში, სადაც მას სახიფათო „სესხიად“ იცნობდნენ. მაგრამ ამჯერადაც, როგორც ჩვეულებრივ, მოოხს არ დაუკარგავს იმედი; და როდესაც დაჟინებით განაგრძობდა მოყოლას კრისტოფისა და ოლივიეს მეგობრობაზე, ვაილს დაინტერესება დაეტყო. მოოხმა ეს შენიშნა და — კიდევ უფრო შეაფერადა.

იგი მის მგრძნობიარე სიმს შეეხო. ყველაფრისაგან განზე გამდგარი და უმეგობროდ დარჩენილი მოხუცი ვაილი თაყვანს სცემდა ჭეშმარიტ მეგობრობას; დიდი გრძნობით ათბობდა მის ცხოვრებას ერთგულება მეგობრისადმი, რომელიც უდროოდ დაკარგა; ამ გრძნობას საუნჯესავით ინახავდა გულში: როდესაც მეგობარზე ფიქრობდა, ვაილი მხნეობას გრძნობდა. მან სტიპენდიები დააარსა მეგობრის სახელზე. წიგნები მიუძღვნა მის ხსოვნას. მოოხის მონათხრობმა კრისტოფისა და ოლივიეს ერთგულ მეგობრობაზე ააღელვა ვაილი. მათი ამბავი თავის პირად ცხოვრებას აგონებდა. დაკარგული მეგობარი თითქოს უფროსი ძმა იყო მისთვის, სიჭაბუკის თანამგზავრი და მეგზური, რომელსაც აღმერთებდა. ეს გახლდათ ერთი იმ ახალგაზრდა ებრაელთაგანი, რომელთაც წვავთ საკუთარი გონების მგზნებარება და დიდსულოვნების ცეცხლი, ტანჯავთ მძიმე გარემო; ვისაც მიზნად დაუსახავს, აღამაღლოს თავისი ერი და, მისი მეშვეობით, მთელი კაცობრიობა; ვინც საკუთარ ალზე იხრუკება, იდაგება და თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე გიზგიზებს, როგორც ფისის ჩირაღდანი. მისმა მხურვალებამ გაათბო ყმაწვილი ვაილის აპათია. სანამ მეგობარი ცოცხალი ჰყავდა, ვაილი მის გვერდით მიაბიჯებდა, მოსილი რწმენის შარავანდედით, — რწმენისა მეცნიერებისადმი, ადამიანის გონების შესაძლებლობისა და ბედნიერი მომავლისადმი, რომელსაც თავის გარშემო ასხივებდა ეს მესიისებური სული. ხოლო როდესაც მან მარტო დატოვა, ვაილმა, სუსტმა და დამცინავმა, ვეღარ შეძლო ამ იდეალიზმის მწვერვალებზე დარჩენა და დაეშვა ეკლესიასტეს მწირ სკეპტიციზმში, რომელიც სუფევს ყოველ ებრაულ გონებაში, მუდამ მზად რომ არის შეიწოვოს იგი. მაგრამ ვაილს არ დავიწყებოდა მეგობართან ერთად, მის სხივმოსილებაში გატარებული დღეები, რომლის მიმქრალ შუქს კვლავ სათუთად ინახავდა სულში. მისი სახელი არასოდეს არავისთან უხსენებია, თვით ცოლთანაც კი, რომელიც ასე უყვარდა: მეგობრის სახე წმინდა ხატი გამხდარიყო მისთვის. ეს მოხუცი, პროზაულ და უგულო ადამიანად რომ მიაჩნდათ, თავისი ცხოვრების დასალიერამდე, საიდუმლოდ იკლავდა გულში ძველი ინდოელი ბრაჰმანის ნაღვლიან და საგულისხმო სიტყვებს:

„შხამიანი ხე ცხოვრებისა ორ ნაყოფს ისხამს, უფრო ტკბილს, ვიდრე ცხოვრების წყაროს წყალი : ერთი პოეზიაა, მეორე კი — მეგობრობა“.

მას შემდეგ იგი კრისტოფისა და ოლივიეს ბედით დაინტერესდა. მათი სიამაყე რომ იცოდა, ჩუმად გამოართვა მოოხს ოლივიეს ახლადგამოქვეყნებული ლექსები და ისე, რომ მეგობრებს არაფერი უთხოვიათ, უბრალოდ ეჭვიც

არ აუღიათ მის განზრახვაზე, ვაილმა მოახერხა, წიგნისათვის აკადემიის პრემია მიენიჭებინათ, რამაც გაჭირვებაში ჩაცვივნულ მეგობრებს ზედ სულზე მიუსწრო.

როდესაც კრისტოფმა შეიტყო, რომ ეს მოულოდნელი დახმარება მოდიოდა იმ კაცისაგან, რომლის მიმართ იგი წინასწარ ცუდად განწყობილი იყო, სინდისის ქენჯნა იგრძნო იმის გამო, რაც აქამდე მასზე დაუფიქრებლად ეთქვა ან გულში გაევლო და, თუმცა არ უყვარდა სტუმრად სიარული, თავს ძალა დაატანა მისულიყო ვაილთან და მადლობა გადაეხადა. მაგრამ კრისტოფის კეთილი განზრახვა არ დაჯილდოებულა. მისმა ჭაბუკურმა აღფრთოვანებამ მოხუც ვაილს ირონია აღუძრა, თუმცა ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა იგი; ერთი სიტყვით, ერთმანეთში საერთო ვერაფერი გამონახეს.

იმავე დღეს, როდესაც მადლიერი და თან გულმოსული კრისტოფი, ვაილთან სტუმრობის შემდეგ, თავის სხვენში დაბრუნდა, მას იქ, კეთილ მოოხთან ერთად, ოლივიესათვის ახალი სამსახურის შესათავაზებლად რომ მოსულიყო, დახვდა ლუსიენ ლევი-კერის მიერ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია, სადაც გაბიაბრუებული იყო მისი მუსიკა, თანაც პირდაპირი კრიტიკით კი არა, არამედ შეურაცხმყოფელი ჭკუისდამრიგებლობით: სიტყვების ეშმაკური გადაკვრა-გადმოკვრით, ავტორი თავს იქცევდა იმით, რომ კრისტოფი გვერდში ამოეყენებინა იმ მესამე თუ მეოთხეხარისხოვანი კომპოზიტორებისათვის, რომლებიც ზიზღს იწვევდნენ გერმანელში.

— თუ შეგინიშნავს, — უთხრა კრისტოფმა ოლივიეს, როდესაც მოოხი წავიდა, — რომ ჩვენ ყოველთვის ებრაელებთან გვაქვს საქმე, მხოლოდ და მხოლოდ ებრაელებთან? დალახვროს ეშმაკმა, ჩვენც უკვე ებრაელებად ხომ არ ვქცეულვართ? გამაგებინე, მაშ, რა ხდება? ჩვენ თითქოს ვიზიდავთ მათ. ყოველ ნაბიჯზე მათ ვაწყდებით — მტრებს თუ მოკავშირეებს.

— იმიტომ, რომ ისინი სხვებზე მეტად გამგებიანნი არიან, — თქვა ოლივიემ. — ჩვენში თითქმის ერთადერთი ებრაელები არიან, ვისთანაც თავისუფალ კაცს შეუძლია ისაუბროს რაიმე ახალზე, რაიმე ცოცხალზე. სხვები წარსულის ცქერაში გარინდულან, განსვენებულ საგნებს მიშტერებიან. მათდა საუბედუროდ, ებრაელთათვის ეს წარსული არ არსებობს, ან ყოველ შემთხვევაში, იგი ის არ არის, რაც ჩვენთვის. მათთან მხოლოდ დღევანდელზე შეგვიძლია ლაპარაკი, ჩვენს ხალხთან კი მხოლოდ გუშინდელზე. შეხედე, რა აქტიურნი არიან ისინი ცხოვრების ყოველ დარგში: კომერციაში, მრეწველობაში, განათლებაში, მეცნიერებაში, ქველმოქმედებასა თუ ხელოვნებაში...

— ხელოვნებაზე ნურაფერს ვიტყვით, — უთხრა კრისტოფმა.

— მე არ ვამბობ, რომ ყოველთვის სიამოვნებას მგვრის, რასაც ისინი სჩადიან; ხშირად ეს საზიზღარიც კია. მაგრამ ისინი მაინც ცოცხალი ადამიანები არიან და უნარი აქვთ, ესმოდეთ ცოცხლებისა. უიმათოდ ჩვენ იოლად ვერ წავალთ.

— ნურც ეგრე გააზვიადებ, — მიუგო დამცინავად კრისტოფმა. — პირადად მე იოლად წავიდოდი.

— შენ, ალბათ, სიცოცხლეს კი შეძლებდი, მაგრამ რა აზრი ექნებოდა შენს არსებობას, თუ შენი ცხოვრება და შენი შემოქმედება ყველასათვის უცნობი დარჩებოდა, რაც, შესაძლოა, ასეც მოხდებოდა, ისინი რომ არა. ნუთუ გგონია, რომ ჩვენი ერთმორწმუნე თანამემამულენი მოვიდოდნენ ჩვენს საშველად? კათოლიციზმი ხედავს, როგორ იღუპებიან მისი ღირსეული შვილები და თითსაც არ ანძრევს, რომ იხსნას ისინი. ყველას, ვინც ჭეშმარიტი მორწმუნეა, ვინც სიცოცხლესაც კი არ იშურებს, რათა დაიცვას მაღალი ღმერთი, — თუ გაბედა თავი დააღწიოს კათოლიციზმის დოგმებს და უარი თქვა დაემორჩილოს რომს, მას მაშინვე არა მარტო ურჩად, არამედ მტრად აცხადებს უღირსი ხროვა თვითმარქვია კათოლიკეთა, რომელნიც ჩქმალავენ მის დამსახურებას და საჯიჯგნად უგდებენ მას საერთო მტრებს. თავისუფალი გონების ადამიანი, რაგინდ დიდიც იყოს იგი, ქრისტიანი სულით, თუ არ არის ქრისტიანი მორჩილებითაც, კათოლიკენი აღარ დაგიდევენ, რომ იგი, შესაძლოა, ყოველივე იმას განასახიერებდეს, რაც მათს რწმენაში წმინდაზე წმინდა და ჭეშმარიტად ღვთაებრივია. ის ხომ არ ეკუთვნის იმ ჯოგს, იმ ბრმა და ყრუ სექტას, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. მას განკვეთენ და ტკბებიან მისი მზერით, მარტოობით განაწამები და მტერთაგან ნაჯიჯგნი, საშველად რომ მოუხმობს თავის მოყვასთ, ვისი რწმენისთვისაც კვდება. დღევანდელ კათოლიციზმში მომაკვდინებელი ინერტულობა გამეფებულა. იგი უფრო ადვილად შეუნდობს თავის მტრებს, ვიდრე მათ, ვისაც სურს გამოაღვიძოს და სიცოცხლე დაუბრუნოს მას... რა უნდა გვექნა, ჩემო კეთილო კრისტოფ, რას გავხდებოდით ჩვენ — კათოლიკენი წარმოშობით, ვინც თავი დავაღწიეთ მის დოგმებს — ეს ერთი მუჭა პროტესტანტები და ებრაელები რომ არა? დღეს ევროპაში ებრაელები ყველაზე სიცოცხლისუნარიანი მატარებლები არიან ყოველივე იმისა, რაც კი რამ კარგი ან ავი ხდება. ისინი, ალალბედზე, ხელს უწყობენ ადამიანთა გონების დამტვერვას გამანაყოფიერებელი აზრებით. განა მათ შორის არ შეიძინე შენი ყველაზე პირველი მეგობრებიც?

— მართალია, — თქვა კრისტოფმა, — ისინი მამხნევებდნენ, მხარს მიჭერდნენ, მომმართავდნენ სიტყვებით, საბრძოლველად რომ აღგანთებენ, რადგან რწმუნდები, რომ გაგიგეს. რასაკვირველია, ამ მეგობართაგან ბევრი აღარავინ შემომრჩა: მათი მეგობრობა ჩალასავით აბურბურდა და ჩანავლდა. მაგრამ რა უშავს! ეს წუთიერი გაელვებაც დიდი რამ არის უკუნ ღამეში. მართალი ხარ: ნუ ვიქნებით უმადურნი.

— მეტადრე, ნუ ვიქნებით არაგონიერნი, — შენიშნა ოლივიემ. — მოდი, ნუღარ დავამახინჯებთ ჩვენს ისედაც სნეულ ცივილიზაციას და ნუ ვეცდებით შემოვამტვრიოთ მას ყველაზე ცხოველუნარიანი რტოები. უბედურება რომ მოხდეს და ებრაელები გააძევონ ევროპიდან, მასში ისე გაღატაკდებოდა აზრი

და ჩაკვდებოდა მოქმედება, რომ სრული გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა იგი. განსაკუთრებით ჩვენში, ფრანგული სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითების ვითარებაში, მათი გაძევება კიდევ უფრო სისხლისაგან დაცლიდა ერს, ვიდრე პროტესტანტების განდევნამ უყო მეჩვიდმეტე საუკუნეში. რასაკვირველია, ადგილი, რომელიც ამჟამად მათ უკავიათ, არ შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ებრაელები სარგებლობენ დღევანდელი პოლიტიკური და მორალური ანარქიით, რომელსაც — თავიანთი ბუნებრივი მიდრეკილების წყალობით და, აგრეთვე, იმის გამო, რომ მასში უფრო ლაღად გრძნობენ თავს— თვითონვე ცოტათი როდი უწყობენ ხელს. საუკეთესონი, ამ სათნო მოოხის მსგავსად, ამაოდ ირჯებიან, გულწრფელად რომ აიგივებენ საფრანგეთის მომავალს თავიანთ ებრაულ ოცნებებთან, რომლებიც ზოგჯერ უფრო სახიფათოა ჩვენთვის, ვიდრე სასარგებლო. მაგრამ ცოდვად ვერ ჩაუთვლი იმას, რომ ოცნებობენ, თავიანთ ყაიდაზე გარდაქმნან საფრანგეთი: ეს ხომ მათ სიყვარულით მოსდით. თუ მათი სიყვარული საშიშია, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მათ თავიანთი შესაფერი ადგილი მივუჩინოთ, ეს ადგილი კი მეორე რიგშია. იმიტომ კი არა, რომ ისინი ჩვენზე დაბალი რასის ხალხად მიმაჩნია (რასობრივ უპირატესობაზე მსჯელობა საზიზღარი ჩმახვაა). მაგრამ დაუშვებელია, რომ უცხო ერი, ჯერ კიდევ რომ არ გათქვეფილა ჩვენში, იჩემებდეს, თითქოს ჩვენზე უკეთ ერკვევა იმაში, თუ რა არის ჩვენთვის საჭირო. ებრაელნი ჩინებულად გრძნობენ თავს საფრანგეთში, — კეთილი და პატიოსანი! მაგრამ დაე, ნუ ეცდებიან იუდეად აქციონ იგი! ჭკვიანი და ძლიერი მთავრობა, რომელიც მოახერხებდა თავისი ადგილი მიეჩინა ებრაელობისათვის, მათ ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო იარაღად გახდიდა საფრანგეთის განსადიდებლად და ამით სამსახურს გაუწევდა როგორც მათ, ასევე ჩვენც. ამ უაღრესად აღგზნებულ, მოუსვენარსა და მერყეე არსებებს ესაჭიროებათ მკაცრი კანონი, მათ რომ დააოკებდა და, აგრეთვე, მაგარი, მაგრამ სამართლიანი მბრძანებელი, რომელიც მოათვინიერებდა მათ. ებრაელები ქალებივით არიან: ისინი ჩინებულნი არიან, თუ მათ ლაგამს ამოსდებ; ხოლო ბატონობა, როგორც პირველთა, ისე მეორეთა, საძაგელია; ისინი კი, ვინც მათ ბატონობას ემორჩილებიან, სასაცილო სანახაობას წარმოადგენენ.

მიუხედავად მათი ურთიერთსიყვარულისა და მახვილი წინათგრძნობისა, გამოუცნობს რომ არას ტოვებდა მეგობრის სულში, კრისტოფი და ოლივიე ზოგჯერ ისეთ თვისებას გამოამჟღავნებდნენ, რომ მეგობრები ვეღარ უგებდნენ ერთმანეთს და ეჩოთირებოდათ კიდეც ერთმანეთის ქცევა. მეგობრობის პირველ ხანს, — როდესაც თვითეული ცდილობს მხოლოდ ის თვისება გამოავლინოს, რომელიც მსგავსი აქვს მეგობართან, — ისინი ამას ვერ ამჩნევდნენ. მაგრამ შემდეგ, თანდათან ზედაპირზე ამოტივტივდა ორი სხვადასხვა ერის თავისებურე-

ბანი. თავი იჩინა პაწია უსიამოვნებებმა, რომლებსაც ყოველთვის ვეღარ უმკლავდებოდა მათი ნაზი მეგობრობა.

ისინი გაუგებრობებში გაიხლართნენ. ოლივიეს სული წარმოადგენდა რწმენის, თავისუფლების, ვნების, ირონიისა და ყოვლისმომცველი ეჭვის რაღაც ნარევს, რომლის ფორმულას ვერაფრით ჩასწვდომოდა კრისტოფი. თავის მხრივ, არც ოლივიეს ეპიტნავებოდა კრისტოფის მეტისმეტი უეშმაკობა; ძველი, ინტელექტუალური ერის არისტოკრატიზმით გამსჭვალულ ფრანგში ღიმილს იწვევდა გერმანელის ძლიერი, მაგრამ მძიმე და პირდაპირი გონების მოუქნელობა, რომელსაც არ შეეძლო თვითანალიზი და მუდამ ვიღაცისაგან ან საკუთარი თავისაგან გაბრიყვებული რჩებოდა. კრისტოფის გრძნობადაუფარობა, მისი პირშიმიმხლელი თავშეუკავებლობა, მისი უცაბედი აფეთქება ხანდახან აღიზიანებდა ოლივიეს და ცოტა სასაცილოც ეჩვენებოდა; აღარაფერს ვამბობთ ძალის იმ საქვეყნოდ აღიარებულ კულტზე, მუშტის სამართლის— Faustrecht[1] — უპირატესობის გერმანულ მრწამსზე, რომლის ზნეობრიობაში ოლივიესა და მის ხალხს საკმაო საფუძველი ჰქონდათ, ეჭვი შეეტანათ.

ხოლო კრისტოფი ვერ იტანდა ოლივიეში მის ირონიას, რასაც ხშირად გაცოფებამდე მიჰყავდა იგი; ვერ იტანდა მის მეტისმეტ მიდრეკილებას მსჯელობის, განუწყვეტელი ანალიზისადმი, მის რაღაცნაირ ინტელექტუალურ ამორალიზმს, განსაკუთრებით უცნაური რომ ეჩვენებოდა ისეთი ზნეობრივი სიწმინდის მოყვარე ადამიანისაგან, როგორიც ოლივიე გახლდათ: ეს სულისკვეთება მომდინარეობდა ოლივიეს გონებრივი შეუზღუდაობიდან, რომელიც არასოდეს არაფერს უარყოფდა და სიამოვნებას ჰგვრიდა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებით თავშექცევა. ოლივიე ერთგვარი ისტორიული, პანორამული თვალთახედვით ჰვრეტდა საგნებსა და მოვლენებს და ისე ძლიერი მოთხოვნილება ჰქონდა გაეგო ყველაფერი, რომ ერთსა და იმავე დროს ნათლად ხედავდა მედლის ორივე მხარეს და, რიგრიგობით, ხან ერთ მხარეს იცავდა, ხან მეორეს, იმის მიხედვით, თუ მოკამათე რომელს უარყოფდა ხელაღებით; ბოლოს კი თვითონაც საკუთარ წინააღმდეგობებში იხლართებოდა. მით უფრო თავგზას უბნევდა იგი კრისტოფს. მაგრამ ეს არ ყოფილა საწინააღმდეგოს მტკიცების სურვილით, ან პარადოქსებისადმი მიდრეკილებით გამოწვეული; არამედ ეს გახლდათ სამართლიანობისა და საღი აზრის შინაგანი მოთხოვნილების გამოხატულება: მას აწვალებდა წინასწარშეგონებული აზრის შეზღუდულობა და არ შეეძლო არ გაებათილებინა იგი. ის ნაჩქარევი, უხეში მიდგომა, რომლითაც კრისტოფი უზნეო საქციელსა და უზნეო ადამიანებს სჯიდა და ამრიგად აზვიადებდა სინამდვილეს, ეჩოთირებოდა ოლივიეს, რომელიც თუმცა კრისტოფივით სპეტაკი გახლდათ, მაგრამ არ იყო მისებრ ფოლადივით უდრეკი და გარეგანი ძალები ზემოქმედებდნენ, გავლენას ახდენდნენ და სახეს უცვლიდნენ მას. იგი ეკამათებოდა

[1] მუშტის სამართალი (გერმ.).

კრისტოფს გაზვიადებისა და უკიდურესობაში გადავარდნისათვის და თვითონაც მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა. ყოველდღიურად ასეთ ახირებას ოლივიე ზოგჯერ იქამდე მიჰყავდა, რომ თავისი მეგობრების წინააღმდეგ მეტოქეთა დამქაშობასაც კი იწყებდა. კრისტოფი ბრაზდებოდა. იგი უსაყვედურებდა ოლივიეს სოფიზმებისა და შემწყნარებლობის გამო. ოლივიე იღიმებოდა: მან კარგად იცოდა, რა უილუზიობა იფარებოდა ამ შემწყნარებლობაში; იცოდა, რომ მის მეგობარს ბევრი რამ სწამდა, რასაც თვითონ არ იზიარებდა, მაგრამ ოლივიე ამას ურიგდებოდა! ხოლო კრისტოფი, რომელიც არც მარჯვნივ იხედებოდა, არც მარცხნივ, ჯიქურ მიიწევდა წინ, როგორც გარეული ტახი. განსაკუთრებით კი, პარიზელთა ყბადაღებულ „ლმობიერებაზე“ მიჰქონდა იერიში.

— მთავარი არგუმენტი, რომლის მოშველიება არამზადების „პატიების“ გასამართლებლად პარიზელებს ასე ეამაყებათ, — ამბობდა იგი, — გახლავთ ის, რომ, მათი აზრით, არამზადებს თავიანთ უბედურებად თითქოს ისიც ეყოფათ, რომ არამზადები არიან, ანუ არ გაჩნიათ პასუხისმგებლობის გრძნობა... მაგრამ, ჯერ ერთი, მართალი არ არის, თითქოს ის, ვინც ბოროტებას სჩადის, უბედურია. ეს იმ მიამიტი მელოდრამების, იმ ბრიყვული ოპტიმიზმის გულისგამამხნევებელი მორალია, რომლის მსგავსი გულარხეინი თვითკმაყოფილებით იფრქვევა სკრიბისა და კაპიუსის პიესებიდან (სკრიბი და კაპიუსი ხომ პარიზის სახელგანთქმული შემოქმედნი არიან, რომელთა ღირსია ჭეშმარიტად თქვენი საზოგადოება — ეს სიტკბოების მძებნელი, ფარისეველი და გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ისე ლაჩრები არიან, რომ ვერ ბედავენ თვალი გაუსწორონ საკუთარ სულმოკლეობას). არამზადას თავისუფლად შეუძლია ბედნიერი იყოს. საამისოდ მას ყველაზე მეტი შესაძლებლობაც კი აქვს. რაც შეეხება იმას, თითქოს მას პასუხი არ მოეკითხება, — ეგეც მეორე სისულელე! გამბედაობა მოიკრიბეთ და აღიარეთ, რომ თუ ბუნება ცოდვა-მადლისადმი განურჩეველია, და ამდენად ბოროტიც, რატომ არ შეიძლება, ადამიანი ბოროტმოქმედი იყოს და ბედნიერად გრძნობდეს თავს? სათნოება ბუნების ქმნილება როდი გახლავთ. იგი ადამიანის გამონაგონია. დაე, მანვე დაიცვას იგი! ადამიანთა საზოგადოება ერთი მუჭა ძლიერთა და დიდ პიროვნებათა შემწეობით აშენებულა. მათი ვალია, გულბილწ არამზადებს არ შეარყევინონ ეს გმირული ნაგებობა.

ეს აზრები, თავისი არსით, დიდად არ განსხვავდებოდა ოლივიეს შეხედულებებისაგან; მაგრამ, წონასწორობის იდუმალი ინსტინქტით, არასოდეს ისე დილეტანტად არ გრძნობდა თავს, როგორც კრისტოფის მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული სიტყვების მოსმენისას.

— ნუ ღელავ, მეგობარო, — ეუბნებოდა იგი კრისტოფს. — დაანებე ქვეყანას, სული განუტევოს. ჩვენ კი, ვით დეკამერონის მეგობრებმა, მშვიდად ვისუნთქოთ აზრის ბაღნართა საამო სურნელი, ვიდრე დაბლა, კვიპაროსებით მოფენილი და ვარდის ბუჩქებით მოხატული გორაკის გარშემო, ფლორენციას მუსრს ავლებს შავი ჭირი.

მთელი დღეების განმავლობაში იგი ისწრაფვოდა ნაწილებად დაეშალა ხელოვნების, მეცნიერების, აზრის მექანიზმი, რათა ჩასწვდომოდა მის მამოძრავებელ ძალას; ოლივიე პირონიზმამდე მიდიოდა: ყოველივე, რაც არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს, ცაში გამოკიდებული გამოსახულებაა, რომელსაც ისეთი გამართლებაც კი არა აქვს, როგორიც თუნდ გეომეტრიულ ფიგურებს, რომ აუცილებელი იყოს გონებისათვის. კრისტოფი გაცოფებულიყო:

— მანქანა ხომ მუშაობდა! მაშ, რაღა საჭირო იყო მისი დაშლა? შენ მას მთლად დაამტვრევ. ვთქვათ, მიაღწიე, რაც გსურდა! რა გინდა დაამტკიცო? ის, რომ არარა არარაა? დალახვროს ეშმაკმა! ეგ ხომ ისედაც ვიცოდი. არარსობა ხომ ყოველი მხრიდან გვიტევს და მეც ვიბრძვი. არაფერი არ არსებობს? მე ვარსებობ. აზრი არა აქვს, იმოქმედო? მე მაინც ვმოქმედობ. მათ, ვისაც სიკვდილი სურთ, ფეხებიც გაუფშეკიათ, თუკი ეს მათ ეამებათ! მე კი სიცოცხლე მწყურია და ვცოცხლობ. სასწორის ცალ თეფშზე ჩემი სიცოცხლე დევს, მეორეზე — აზრი... ეშმაკსაც წაუღია აზრი!

კრისტოფს მთელი არსებით გაშმაგება იპყრობდა და კამათის დროს ენიდან შეურაცხმყოფელი სიტყვები სწყდებოდა. თუმცა ძლივს ასწრებდა მათ წარმოთქმას, რომ უკვე ნანობდა. სიამოვნებით უკანვე წაიღებდა, მაგრამ გვიანღა იყო. ოლივიე მეტისმეტად მგრძნობიარე გახლდათ, ვერ გაიგებდი, რა ეწყინებოდა; ოდნავ მკვახე სიტყვაც კი, მეტადრე იმ ადამიანისგან, ვინც უყვარდა, მწვავე ტკივილს აყენებდა მის სულს. თუმცა სიამაყის გამო არაფერს იმჩნევდა და წყენას გულში იკლავდა. შეუძლებელი იყო, ოლივიეს არ შეენიშნა მეგობარში შეუგნებელი ეგოიზმის ის ანაზდეული გაელვებანიც, რომლებსაც ყველა დიდ ხელოვანში ვხვდებით. ზოგჯერ იმასაც კი გრძნობდა, რომ მისი სიცოცხლე კრისტოფს მშვენიერი მუსიკის ერთ გაჟღერებაზე მეტად არ უღირდა (კრისტოფი სულაც არ ცდილობდა ამის დამალვას!). ოლივიეს ესმოდა ეს და ამართლებდა კიდეც მეგობარს; მაგრამ მაინც გული სწყდებოდა.

გარდა ამისა, კრისტოფის ბუნებაში მძვინვარებდნენ ათასგვარი ბუნდოვანი სტიქიური ძალები, რომლებიც ვერ აეხსნა და აშფოთებდნენ ოლივიეს. ისინი მეღავნდებოდნენ დროდადრო უცნაური და საშიში ხასიათის უეცარ გახუმრებებში. ზოგიერთ დღეებში ლაპარაკი ეზარებოდა, ანდა ღვარძლიანი დაცინვის ჟინი წამოუვლიდა და ცდილობდა შეურაცხყოფა მიეყენებინა მეგობრისათვის. ზოგჯერ უცებ სადღაც გაუჩინარდებოდა: მთელი დღე დაკარგული იყო და შუაღამისასღა ბრუნდებოდა. ერთხელ, მთელი ორი დღე აღარ გამოჩენილა. ღმერთმა უწყის, სად დაეხეტებოდა! რიგიანად თვითონაც არ იცოდა... მართლაც, მისი ძლიერი ბუნება, ხელმოკლე ცხოვრებასა და საქათმესავით ვიწრო ბინაში შეხუთული, დროდადრო მზად იყო გამსკდარიყო და ნაფლეთებად ექცია ყველაფერი. მეგობრის სიმშვიდეს პირდაპირ გაეცოფებინა კრისტოფი: მას სურვილი ჰქონდა ტკივილი მიეყენებინა ოლივიესათვის. კრისტოფი სახლიდან გარბო-

და და აღარ ბრუნდებოდა, სანამ ქანცი არ გაუწყდებოდა. დაყიალობდა პარიზის ქუჩებსა და გარეუბნებში, ანგარიშმიუცემლად ეძებდა რაიმე თავგადასავალს, რასაც ზოგჯერ კიდეც აწყდებოდა; იგი არც იმით რჩებოდა უკმაყოფილო, ანაზდად ფათერაკსაც რომ გადაჰყროდა: ოღონდ კი შესაძლებლობა მისცემოდა, თავისი ჭარბი ძალები დაეხარჯა რაღაცაში, თუნდაც ეს მუშტი-კრივი ყოფილიყო... ოლივიეს, თავისი უბადრუკი ჯანმრთელობითა და ხორციელი უძლურებით, უჭირდა ამის გაგება. თუმცა არც თვითონ კრისტოფს ჰქონდა ეს შეცნობილი. ამ ცთომილებათა ბურანიდან გამორკვეული, როგორც მძიმე, დამღლელი სიზმრებიდან გამოფხიზლებული, იგი თითქოს დარცხვენილი და შეცბუნებული იყო იმით, რაც ჩაედინა და რასაც, ალბათ, კიდევ ჩაიდენდა. ხოლო როდესაც სიგიჟის გრიგალი ჩადგებოდა, კრისტოფი კვლავ ეუფლებოდა საკუთარ თავს და ეჩვენებოდა, რომ იგი იყო ქარიშხლის შემდეგ მოკრიალებული ვრცელი ცა, განწმენდილი ყოველგვარი მწიკვლისაგან, წყნარი და უზენაესი. იგი კიდევ უფრო გულთბილი ხდებოდა ოლივიესადმი, ვიდრე უწინ და ტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ტკივილი მიაყენა მას. კრისტოფს ვეღარ აეხსნა, როგორ მოსდიოდათ მეგობრებს ასეთი წვრილმანი უთანხმოებანი. ამაში ყოველთვის თვითონ როდი მიუძღოდა ბრალი, მაგრამ მაინც უფრო საკუთარ თავს ადანაშაულებდა; კიცხავდა თავის ენებიან გაცხარებას, რომლითაც ცდილობდა თავისი სიმართლე დაემტკიცებინა: რადგან ხვდებოდა, რომ სჯობს ცდებოდე მეგობართან ერთად, ვიდრე მართალი იყო მის წინააღმდეგ.

ეს გაუგებრობანი განსაკუთრებით მძიმე იყო, როდესაც ისინი საღამოობით წარმოიშობოდნენ და მეგობრებს უხდებოდათ ღამე გაეთიათ ერთმანეთთან უმძრახობაში, რაც სულიერ აფორიაქებას იწვევდა ორივე მათგანში. უცებ კრისტოფი ლოგინიდან წამოიჯრებოდა, რათა ორიოდე სიტყვა წაეჯღაბნა და ოლივიეს კარქვეშ შეეცურებინა; მეორე დილით კი, როდესაც ოლივიე ადგებოდა, კრისტოფი მას ბოდიშს უხდიდა. ანდა, შუაღამითვე კარზე უკაკუნებდა: გათენებას ვეღარ უცდიდა. რული არც ოლივიეს თვალს ეკარებოდა. იცოდა, რომ კრისტოფს უყვარდა იგი და განზრახ როდი მიაყენა შეურაცხყოფა; მაგრამ სურდა, კრისტოფის პირით მოესმინა ეს. კრისტოფიც ამბობდა — და ყველაფერი ავიწყდებოდათ. რა ნეტარი სიმშვიდე ისადგურებდა მაშინ მათ სულში! და რარიგ ტკბილი ძილი ეუფლებოდათ მერე!

— ოჰ! — ამოიგმენდა ოლივიე. — რა ძნელია, ერთმანეთს გაუგო!

— საჭირო კია, რომ ყოველთვის უგებდე? — მიუგებდა კრისტოფი. — მე უარს ვამბობ ამაზე. მთავარია, გიყვარდეს.

ეს პაწია წყენინებანი, შეშფოთებული ალერსიანობით რომ ცდილობდნენ შემდეგ გამოესყიდათ, ადრინდელზე უფრო ძვირფასსაც კი ხდიდნენ მათ ერთიმეორისათვის. წალაპარაკების წუთებში კრისტოფს ეჩვენებოდა, რომ ოლივიეს თვალებიდან ანტუანეტა უყურებდა. მაშინ ორივე მეგობარი ქალურ გულისხმიერებას იჩენდა ერთმანეთის მიმართ. კრისტოფი ისე არ გაატარებდა

ოლივიეს დაბადების დღეს, რომ რაღაცით არ აღენიშნა — ან მუსიკალურ ნაწარმოებს მიუძღვნიდა, ანდა თაიგულს, ტორტს თუ რაიმე საჩუქარს მიართმევდა, რასაც ეშმაკმა იცის, საიდან და რით ყიდულობდა! (როცა ხშირად ყოველდღიური საჭიროებისთვის არ გააჩნდათ ფული). ხოლო ოლივიე გვიანობამდე იჯდა და ღამე მალვით თვალებს ითხრიდა კრისტოფის პარტიტურების გადათეთრებით.

გაუგებრობანი მეგობრებს შორის არასოდეს ღებულობს საშიშ ხასიათს, ვიდრე მათ შუა არ ჩადგება მესამე პირი. ეს კი ხშირად არ აყოვნებს ხოლმე: ამქვეყნად ძალზე ბევრი ადამიანი უბოდიშოდ ჩრის ცხვირს სხვების შინაურ საქმეებში, რომ მათ შორის წყალი აამღვრიოს.

ოლივიე იცნობდა სტივენსებს, რომლებთანაც ამ ცოტა ხნის წინათ კრისტოფმაც დაიწყო სიარული; ამასთან, ოლივიეს გული მოენადირებინა კოლეტის სიკეკლუცეს. კრისტოფი მხოლოდ იმის გამო ვერ ხვდებოდა ხოლმე ოლივიეს თავისი ყოფილი ახლო ნაცნობის პატარა კარზე, რომ იმხანად ოლივიე, დის სიკვდილით დამწუხრებული, საკუთარ მჭმუნვარებაში ჩაკეტილიყო და აღარსად დადიოდა. თავის მხრივ, არც კოლეტი ცდილა, ენახა იგი: მას თითქოს უყვარდა ოლივიე, მაგრამ არ უყვარდა უბედური ადამიანები; ამბობდა, ისე სუსტი გული მაქვს, რომ ვინმეს მწუხარებას რომ ვხედავ, ცუდად ვხდებიო. ამიტომ გადაწყვიტა, აღარ გაეხსენებინა ოლივიე, სანამ მწუხარება არ გაუვლიდა. ხოლო როდესაც შეიტყო, მგონი, განკურნებულა და ინფექციის აღარავითარი საშიშროება აღარ არსებობსო, გაბედა ნიშანი მიეცა. ოლივიესაც არ უხვეწინებია. იგი ერთსა და იმავე დროს უკარებაც იყო და ადამიანებთან ურთიერთობას მოწატრებულიც, და ადვილად შეიძლებოდა მისი დაყოლიება; ამასთან, კოლეტისადმი სისუსტესაც იჩენდა. როდესაც მან კრისტოფს გაანდო თავისი განზრახვა, კოლეტთან შეხვედრები განეახლებინა, კრისტოფმა, რომელიც მეტისმეტად პატივს სცემდა მეგობრის თავისუფლებას, რომ გადაწყვეტილება დაეშალა მისთვის, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და დამცინავი კილოთი უთხრა:

— შენ იცი, ჩემო კარგო, როგორც გენებოს.

მაგრამ თავად კი არ გაჰყვა. გადაწყვეტილი ჰქონდა აღარასოდეს გაჰკარებოდა არც ასეთ კეკლუც არსებებს და არც მათს საზოგადოებას. არა იმიტომ, თითქოს ქალთმოძულე ყოფილიყოს, — სულაც არა. უბრალოდ, მას უფრო იმ მშრომელი ყმაწვილი ქალებისადმი მიუწევდა გული, იმ მუშა გოგოების, მოსამსახურე ქალიშვილებისაკენ, რომლებიც დილაობით, ნახევრად გამოუძინებელნი, დაგვიანების შიშით თავიანთი საამქროებისა და კანცელარიებისაკენ მიიჩქარიან. კრისტოფი თვლიდა, რომ ქალი მხოლოდ მაშინ აღწევს თავის ჭეშმარიტ სრულყოფილებას, როდესაც იგი იღვწის, ცდილობს თვითონ ირჩინოს თავი, მოიპოვოს თავისი ლუკმა და დამოუკიდებლობა. მას მიაჩნდა, რომ სწორედ ასეთ დროს შეიძლება გამოვლინდეს ქალის მთელი ეშხი და სიკისკასე,

გაიღვიძოს ყველა მისმა გრძნობამ, მთლიანობაში წარმოდგეს მისი სიცოცხლე და მისი ნებისყოფა. მას არ უყვარდა მოცლილი და ნიადაგ სიტკბოების მძებნელი ქალები: ისინი ეჩვენებოდნენ ღორმუცელა ცხოველებად, რომლებიც მხოლოდ ნთქავენ და გული უწყალდებათ არაჯანსაღ ოცნებებში. ოლივიე კი, პირიქით, თაყვანს სცემდა ქალების far niente[1]-ს, მათს მომხიბვლელობას, რადგან ისინი, მსგავსად ყვავილებისა, იმისათვის გაჩენილან ქვეყნად, რომ მოგვხიბლონ თავიანთი სიტურფით და დაგვათრონ თავიანთი სურნელებით. მას უფრო არტისტული ბუნება ჰქონდა, კრისტოფს — უფრო ადამიანური. კრისტოფს სწორედ კოლეტის საპირისპირო ხასიათები მოსწონდა, — ისინი, ვისაც ცხოვრებაში მეტი მიწიერი ტანჯვის განცდა ერგოთ წილად: თითქოს რაღაც და-ძმური თანაგრძნობის მსგავსი აკავშირებდა მათთან.

მეტადრე მას შემდეგ, რაც კრისტოფისა და ოლივიეს დამეგობრების ამბავი გაიგო, კოლეტი მოუსვენარმა სურვილმა შეიპყრო, კვლავ ენახა ოლივიე, რადგან აინტერესებდა, კრისტოფის შესახებ ყველაფერი გამოეკვლია: იგი ცოტა განაწყენებული გახლდათ კრისტოფზე, რომელმაც უყურადღებობა გამოიჩინა მისდამი, დაივიწყა იგი. ამიტომ გადაწყვიტა, — არა შურისძიების სურვილით (ეს გარჯად არ ღირდა: რადგან შურისძიებას გარჯა სჭირდება), არამედ უბრალოდ სიამოვნებისათვის — რაიმე ოინი ეყო მისთვის. აი, კატა რომ გაგეთამაშება და კბილებით ლოღნას გიწყებს, რათა ყურადღება მიგაქცევინოს. მაცთუნებელი სიტყვებით, რაშიც ფრიად გაწაფული გახლდათ, კოლეტმა ადვილად გადააშლევინა გული ოლივიეს. არავინ ისე გამჭრიახი და ძნელად გასაბრიყვებელი არ ყოფილა, როგორც ოლივიე, როდესაც შორს იყო ადამიანებისაგან; მაგრამ, ამავე დროს, არავინ იჩენდა მისებრ გულუბრყვილო მიმნდობლობასაც, როდესაც იგი წყვილი საყვარელი თვალის წინაშე იმყოფებოდა. კოლეტის დაინტერესება მისი და კრისტოფის ურთიერთობით იმდენად გულწრფელი მოეჩვენა ოლივიეს, რომ მოხსნა პირი და მოუთხრო თავიანთი მეგობრობის ამბავი და გაანდო თვით ზოგიერთი თავიანთი მეგობრული გაუგებრობაც კი, რომლებიც ახლა უკვე სახუმარო ეჩვენებოდა, ხოლო მტყუანად ყველაფერში საკუთარი თავი მიაჩნდა. მან კოლეტს გაუზიარა აგრეთვე კრისტოფის შემოქმედებითი გეგმები და ზოგიერთი მისი მსჯელობა — ამასთან, სულაც არამაამებლური — საფრანგეთსა და ფრანგებზე. ყოველივე ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა როდი ჰქონდა, მაგრამ კოლეტმა არ დააყოვნა გაეხმაურებინა ოლივიეს ნაამბობი და თან თავისებურად გადაასხვაფერა, — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უფრო მეტი ეშხი მიეცა ამბისათვის, და მეორეც, გულში განაწყენებული იყო კრისტოფზე. ხოლო პირველი, ვისაც კოლეტმა ეს საიდუმლო გაანდო, ბუნებრივია, გახლდათ მისი განუყრელი ლუსიენ ლევი-კერი, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნდა საიდუმლოდ შეენახა მოსმენილი, — იგი მთელ ქვეყანას მოე-

---

[1] უქმად ყოფნა (იტალ.).

დო, გზადაგზა კიდევ უფრო შელამაზდა და დამცინავი, ცოტა შეურაცხმყოფელი ელფერი მიიღო ოლივიესათვის, რომელიც კრისტოფის მსხვერპლად წარმოსახეს. თითქოს ამ ამბავს მაინცდამაინც დიდად არავინ უნდა დაეინტერესებინა, რადგან ორივე გმირი ძალზე ცოტა ვინმესთვის თუ იყო ცნობილი; მაგრამ პარიზელი რის პარიზელია, თუ ყოველთვის არ გამოიჩინა ცნობისმოყვარეობა ისეთი რამის მიმართ, რაც მას სულაც არ ეხება. ასე რომ, ერთ დღესაც კრისტოფმა მოისმინა ეს საიდუმლო ქ-ნ რუსენის პირით. იგი კრისტოფს კონცერტზე შეხვდა და უთხრა, მართალია, რომ იმ საბრალო ოლივიე ჟანენთან ჩხუბი მოგსვლიათო? მერე, მისი შემოქმედებითი მუშაობა იკითხა და თან ისეთ ნიშანდობლივ რაღაცეებზე გადაუკრა სიტყვა, რაც, დარწმუნებული იყო, მისი და ოლივიეს მეტმა არავინ იცოდა. ხოლო როდესაც კრისტოფმა ჰკითხა, თუ ვისგან გაიგო ქ-მა რუსენმა ეს წვრილმანები, მან უპასუხა; ლუსიენ ლევი-კერისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, ოლივიესაგან შეუტყვიაო.

ამან განგმირა კრისტოფი. გულფიცხსა და განუსჯელს, აზრადაც არ მოსვლია, ეპვი შეეტანა ამ ცნობის დამაჯერებლობაში; ერთი რამ ცხადი გახლდათ: საიდუმლო, რომელიც ოლივიეს გაანდო, უკვე გამხელილი იყო, გამხელილი ლუსიენ ლევი-კერისათვის. კონცერტზე ყოფნა ვეღარ შეძლო და მყისვე დარბაზიდან გავიდა. გარშემო ყველაფერი დაცარიელდა, წყვდიადმა მოიცვა ყოველივე. იგი ჩასჩიჩინებდა თავის თავს: „მეგობარმა მიღალატა!...“

ოლივიე კოლეტთან იყო. კრისტოფმა შიგნიდან გასაღებით ჩაიკეტა თავისი ოთახის კარი, რომ შინ დაბრუნებისას, ოლივიე, ჩვეულებისამებრ, მასთან წასამუსაიფებლად ვერ შესულიყო. მცირე ხნის შემდეგ, ბისი ფეხის ხმაც შემოესმა; ოლივიემ ამაოდ სცადა კარი შეეღო და გასაღების ჭუჭრუტანიდან ძილი ნებისა უსურვა. კრისტოფი არ განძრეულა. ბნელაში, ლოგინზე იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო და კვლავ იმეორებდა გულში: „მეგობარმა მიღალატა!...“ ასე გაატარა თითქმის მთელი ღამე. ახლაღა მიხვდა, როგორ ჰყვარებია ოლივიე: მას არ შეეძლო გასჯავრებოდა მეგობარს ღალატისათვის და მხოლოდ გულში იტანჯებოდა. მას, ვინც გიყვარს, ყველაფრის უფლება აქვს შენთან, უფლება — თვით სხვა შეიყვაროს. არ შეიძლება გაუპრაზდე მას ამის გამო; შეგიძლია მხოლოდ საკუთარ თავს დაემდურო, რომ არა ყოფილხარ სიყვარულის ღირსი, რაკი მიგატოვა. ეს კი სასიკვდილო განაჩენს უდრის, სიცოცხლის ხალისს რომ გისპობს.

მეორე დღეს დილით, როდესაც ოლივიე ნახა, კრისტოფს ხმა არ გაუცია: დამამცირებელი მოეჩვენა საყვედური ეთქვა, საყვედური იმის გამო, რომ ბოროტად გამოიყენა მეგობრის ნდობა და მისი საიდუმლო საერთო მტრების სასაცილო გახადა; ამიტომ ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა. მაგრამ ყველაფერზე მეტყველებდა მისი სახე — მტრული და გაყინული. ოლივიე გაოცებას შეეპყრო: ვერაფერს მიმხვდარიყო. მორიდებით სცადა გაეგო, რაზე უწყრებოდა კრისტოფი. მან უხეშად ზურგი შეაქცია და პასუხი არ გასცა. ოლივიე, თავის

მხრივ, შეურაცხყოფილი, დადუმდა და უსიტყვოდ ჩაიკლა გულში მწუხარება. მთელი დღე ერთმანეთი თვალით აღარ უნახავთ.

ოლივიეს ათასჯერ უფრო მეტი ტანჯვა რომ მიეყენებინა, კრისტოფი მაინც შურს არაფრით იძიებდა და არც თავის მართლებას დაიწყებდა მასთან: ოლივიე წმინდა ხატი იყო მისთვის. მაგრამ გულისწყრომა, რომელსაც განიცდიდა კრისტოფი, აუცილებლად უნდა დაენთხია ვიღაცაზე, რომ შვება ეგრძნო; და რაკი ოლივიე გამორიცხული იყო, ნიშანში ლუსიენ ლევი-კერი ამოიღო. ჩვეული უსამართლობითა და აღგზნებულობით, კრისტოფმა ერთბაშად მას გადააბრალა მთელი პასუხისმგებლობა ოლივიეს მიერ დაშვებული შეცდომისათვის; ამასთანავე, კრისტოფს საშინელი ეჭვიანობით გამოწვეული ჯავრიც ჰქონდა ლევი-კერის მიმართ, რომელიც ცდილობდა წაერთმია მისთვის მეგობრის სიყვარული, როგორც შეეცილა ადრე კოლეტ სტივენსთან მეგობრობაში. მისი მოთმინების ფიალა რომ აევსო, იმავე დღეს კრისტოფს თვალში მოხვდა ლუსიენ ლევი-კერის სტატია „ფიდელიოს“ დადგმის თაობაზე. ავტორი მქირდავი კილოთი ლაპარაკობდა ბეთჰოვენზე და ქირქილით აცხადებდა, რომ მისი გმირი ქალი მონტიონის პრემიის ღირსიაო. კრისტოფი სხვებზე უკეთ ხედავდა ოპერის სუსტ მხარეებს და თვით ზოგიერთ ხინჯსაც მუსიკაში; ყოველთვის არც თვითონ იჩენდა გადაჭარბებულ პატივისცემას აღიარებული ავტორიტეტებისადმი. მაგრამ იგი თავადაც არ იჩემებდა ყველაფერში შემცდარ თანმიმდევრობასა და ფრანგულ ლოგიკურობას. კრისტოფი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც თვითონ ხალისით ამჩნევენ შეცდომებს საყვარელ ადამიანებში, მაგრამ არ აძლევენ ამის ნებას სხვებს. თუმცა სულ სხვა არის, გააკრიტიკო დიდი შემოქმედი, თუნდაც ისეთი ულმობელობით, როგორიც სჩვეოდა ხელოვნებისადმი მხურვალე რწმენითა და, მისსავე განსადიდებლად, პირშიმძრახველი სიყვარულით შთაგონებულ კრისტოფს, მცირე უკმარისობასაც კი რომ ვერ იტანდა მასში, — ხოლო სულ სხვაა, აკრიტიკო, როგორც ამას ლუსიენ ლევი-კერი სჩადიოდა, მხოლოდ იმისათვის, რომ აამო ბრბოს სულმდაბლობას, გააცინო ხალხი და ჭკვიანი გამოჩნდე დიდი ადამიანის ხარჯზე. გარდა ამისა, რაც უნდა პირუთვნელი ყოფილიყო კრისტოფი ნაკლის დაუფარაობაში, იყო მუსიკა, რომელიც დუმილით გარემოეცვა და ტაბუდ გამოეცხადებინა: მისი მიკარება აკრძალული იყო, — მუსიკა ყოვლად სპეტაკის, დიდისა და მოწყალე სულისა, თვით მუსიკაზე უფრო მეტი და უფრო მაღალი, ნუგეშს, მხნეობასა და იმედს რომ გვინერგავს. ასეთს განეკუთვნებოდა ბეთჰოვენის მუსიკა. ხოლო როდესაც კრისტოფი ხედავდა, რომ ვიღაც უტიფარი უხეშად ბღალავდა მას, იგი მოთმინებას კარგავდა. ეს უკვე ხელოვნებისა კი აღარა, არამედ ღირსების საკითხი გახლდათ; ყოველივე, რაც კი ფასს აძლევს ცხოვრებას — სიყვარული, გმირობა, მხურვალე სათნოება, მოყვასისათვის მტლად დადების სურვილი, — ყველაფერი ილახებოდა. ამ მუსიკის განქიქება უკვე დაუშვებელი გახლდათ. შეუძლებელი იყო, ნება მიეცა ხელეყოთ იგი ისევე, როგორც შეუძლებელია

აღუშფოთებლად უცქირო შენი პატივსაცემი და საყვარელი მანდილოსნის შეურაცხყოფას: შეურაცხმყოფელი სიძულვილს იმსახურებს და სიკვდილის ღირსია იგი... და რაღა ეთქმოდა, თუკი ადამიანი, ვინც ეს შეურაცხყოფა მიაყენა, იყო პიროვნება, რომელიც ყველაზე მეტად სძულდა ქვეყანაზე!

განგებამ ინება, რომ იმავე საღამოს, ორივენი პირისპირ შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ოლივიესთან მარტო რომ არ დარჩენილიყო, კრისტოფი, ჩვეულების წინააღმდეგ, წვეულებაზე წავიდა რუსენებთან. სთხოვეს დაეკრა. გუნებაზე ვერ იყო, მაგრამ უარი აღარ უთქვამს. ერთი წუთის შემდეგ კი, იგი უკვე მთელი არსებით მუსიკით იყო გატაცებული, როდესაც თავი ასწია და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ერთ-ერთ ჯგუფში, შენიშნა ლუსიენ ლევი-კერი, დამცინავი თვალები მისკენ დაყენებით რომ მიეშტერებინა. კრისტოფი სახტად დარჩა: მუსიკა შეა ტაქტზე გაწყვიტა, ადგა და როიალს ზურგი შეაქცია. უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. გაოცებული ქ-ნი რუსენი ნაძალადევი ღიმილით მიუახლოვდა კრისტოფს და რაკი მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ ნაწარმოები დამთავრდა, ფრთხილად ჰკითხა:

— აღარ განაგრძობთ, ბატონო კრაფტ?

— მოვრჩი, — ცივად უპასუხა მან.

მაგრამ როგორც კი დაამთავრა სიტყვა, მიხვდა, რომ უმართებულოდ მოიქცა; თუმცა იმის მაგივრად, რომ უფრო ფრთხილი გაეხადა იგი, ამან მხოლოდ კიდევ მეტად გააღიზიანა. კრისტოფმა აინუნში არ ჩააგდო იქ მყოფთა დამცინავი გაოცება, წავიდა და დაჯდა დარბაზის კუთხეში, საიდანაც შეეძლო თვალი ედევნებინა ლუსიენ ლევი-კერის ქცევისათვის. მისმა მეზობელმა, ლოყებღაჟღაჟა და სახენამძინარევმა, ბავშვური გამომეტყველების, ღია ცისფერთვალა მოხუცმა გენერალმა თავი ვალდებულად ჩათვალა, ქათინაურები ეთქვა კრისტოფისათვის მუსიკალური ნაწარმოების ორიგინალობის გამო. კრისტოფმა, გაბეზრებულმა, თავი მდაბლად დაუკრა და პასუხად რაღაც ჩაიდუდუნა. გენერალი განაგრძობდა საუბარს, უაღრესად თავაზიანად, არაფრისგამომხატველი, უწყინარი ღიმილით; ისურვებდა, აეხსნა მისთვის კრისტოფს, თუ როგორ ახერხებდა იგი მთელი ფურცელი ნოტების ზეპირად დამახსოვრებას. მოთმინებიდან გამოსულ კრისტოფს ცოტაღა აკლდა, დივანიდან ძირს არ გადაეკოტრიალებინა ეს აბეზარი მოხუცი. იგი ცდილობდა გაერჩია, რას ლაპარაკობდა ლუსიენ ლევი-კერი: საბაბს ეძებდა, რომ დასტაკებოდა მას. უკვე რამდენიმე წუთია, კრისტოფი გრძნობს, რომ საცაა რაღაც სისულელეს ჩაიდენს; მაგრამ ამქვეყნად ვერავითარი ძალა ვეღარ შეაკავებს. ამასობაში, ლუსიენ ლევი-კერი, თავისი წრიპინა ხმით უხსნიდა მანდილოსნების ჯგუფს, თუ რა ფარული ზრახვანი ამოძრავებთ დიდ ხელოვანთ. წამით სიჩუმე ჩამოვარდა და კრისტოფმა გარკვევით გაიგონა, რომ ოხუნჯური ქარაგმებით იგი ვაგნერისა და ლუი მეფის მეგობრობაზე გადაუკრავდა.

— კმარა! — დაიღრიალა კრისტოფმა და მუშტი დაჰკრა მის ახლოს მდგომ მაგიდას.

გაოცებულნი, ყველანი მისკენ შემოტრიალდნენ. ლუსიენ ლევი-კერი, კრისტოფის მზერას რომ წააწყდა, ოდნავ გაფითრდა და წარმოთქვა:

— ეს მე შემეხება?

— სწორედ შენ, ძაღლო! — მიაძახა კრისტოფმა.

და მყის ფეხზე წამოიჭრა.

— შენ ხომ ვერ მოისვენებ ისე, რომ არ გასვარო ყოველივე, რაც კი ქვეყნად დიდებულია, — განაგრძო მან გაშმაგებით. — გაეთრიე აქედან, შე ლაზღანდარავ, თორემ ფანჯრიდან გისროლე!

იგი ლუსიენისაკენ გაემართა. მანდილოსნები უნებლიე შეძახილებით გზიდან ჩამოეცალნენ. შეიქნა ჩოჩქოლი. კრისტოფს გარს შემოერტყნენ. ლუსიენ ლევი-კერმა ასადგომად წამოიწია, მაგრამ ისევ სავარძელზე დაეშვა და ისეთიეე დაუდევარი პოზა მიიღო. ხმადაბლა მოიხმო მსახური, გვერდით რომ გაიარა, და სადარბაზო ბარათი გადასცა; მერე კვლავ საუბარი განაგრძო, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, თუმცა ნერვიულობისაგან ქუთუთოები უთრთოდა და დაბნეულად მოხამხამე თვალებს აქეთ-იქით აპარებდა, რომ გარშემო მყოფი ადამიანები დაეზვერა. რუსენი წინ გადასდგომოდა კრისტოფს, ხელი ჩაევლო მისთვის ფრაკის გადანაკეცებში და კარისაკენ უბიძგებდა. გამძვინვარებული და დარცხვენილი კრისტოფი თავდახრილი იდგა და მისჩერებოდა მისი თეთრი პერანგის ფართო გულისპირს, რომელზეც უკვე მერამდენედ თვლიდა ბრილიანტის ღილებს; იგი თავის სახეზე გრძნობდა მსუქანი კაცის ქოშინს.

— დამშვიდდით, ჩემო კარგო, დამშვიდდით! — ეუბნებოდა რუსენი. — რა დაგემართათ? რას ჰგავს ეს? ეშმაკმა დალახვროს, დაუკვირდით რას სჩადიხართ! სად გგონიათ თქვენი თავი? ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ?

— ეშმაკსაც წაუღივარ, თუ კიდევ ფეხი მოვადგა თქვენსა! — წამოიძახა კრისტოფმა და ხელი გააშვებინა; შეტრიალდა და კარისაკენ გაემართა.

ყველამ სიფრთხილით დაუთმო გზა. გასახდელ ოთახში მსახურმა სინი გაუწოდა: ზედ იდო ლუსიენ ლევი-კერის სადარბაზო ბარათი. კრისტოფმა, ვერაფერს რომ ვერ მიხვდა, აიღო და ხმამაღლა წაიკითხა იგი; მერე უცებ სიბრაზისაგან სუნთქვაშეკრულმა ჯიბეები ამოიქექა, მთელ ბღუჯა სხვადასხვა ნივთებს სამი-ოთხი დაჭმუჭნილი და გაჭუჭყიანებული ბარათიც ამოაყოლა.

— აჰა! აჰა! — ჩაიბურტყუნა და ისე ღონივრად დაანარცხა ბარათები სინზე, რომ ერთ-ერთი იატაკზე გადავარდა.

და გავიდა.

ამის შესახებ ოლივიემ სრულებით არაფერი იცოდა. კრისტოფმა სეკუნდანტებად აიყვანა პირველი შემხვედრი ნაცნობები: მუსიკის კრიტიკოსი თეოფილ გუეარი და ერთი გერმანელი — შვეიცარიის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენ-

ტი, დოქტორი ბართი, რომელსაც ერთ საღამოს ლუდხანაში შეხვედროდა და ნაცნობობა გაება; თუმცა კრისტოფს დიდად არ ეპიტნავებოდა გერმანელი, მაგრამ შეეძლო მასთან ერთად სამშობლოზე ესაუბრა. ლუსიენ ლევი-კერის სეკუნდანტებთან მოლაპარაკების შემდეგ, შეთანხმდნენ პისტოლეტებით ესროლათ. კრისტოფისთვის ყველა იარაღი ერთი იყო, რადგან არც ერთის ხმარება არ იცოდა, და გუჟარმა ურჩია, ცუდს არ იზამდი, ტირში გამომყოლოდი, რომ რამდენიმე გაკვეთილი მაინც მომეცაო; მაგრამ კრისტოფმა უარი თქვა და ხვალინდელი დღის მოლოდინში კვლავ სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

მაგრამ გონება გაფანტული ჰქონდა. თითქოს ცუდ სიზმარში იყო, ყურებში უბჟუოდა აკვიატებული აზრი, რომელსაც გაებრუებინა მისი ცნობიერება... „არასასიამოვნოა, დიახ, არასასიამოვნო... რას ვამბობდი? ჰო, ეს დუელი, ხვალ... არაფერია: მიზანში არასოდეს ისვრიან... თუმცა ხომ შეიძლება, რომ... კი მაგრამ, მაშინ?... მაშინ ის, რომ საკმარისია ამ პირუტყვმა, რომელსაც გულზე არ ვახატივარ, ერთი თითი გამოსწიოს და — მშვიდობით სიცოცხლევ!... მერე მიდი და უყარე კაკალი! დიახ, ხვალ, ორ დღეში, შესაძლოა, უკვე პარიზის ამ აყროლებულ მიწაში განვისვენებდე... თუმცა რა ბედენაა, ეს მიწა იქნება თუ სხვა?... ეს რა, სიმხდალე ხომ არ შემპარვია გულში? არა, მაგრამ საძრახისი იქნებოდა, რაღაც სისულელის გულისათვის დამესამარებინა აზრთა მთელი სამყარო, რომელიც უკვე ჩასახულა ჩემში... დალახვროს ეშმაკმა ეს თანამედროვე დუელები, ვითომ მოწინააღმდეგეთა შანსებს რომ ათანაბრებს! რა მშვენიერი თანასწორობაა: ვიღაც არამზადას სიცოცხლეს ისეთსავე ფასს ადებს, როგორც ჩემსას! რატომ ერთმანეთზე მუშტებით და კეტებით არ მიგვიშვებენ! მაშინ გენახათ სეირი! ეს გულგრილი დახვრეტა კი!.. მან, რასაკვირველია, სროლაც იცის, მე კი პისტოლეტი ხელში არ ამიღია... მართალი მითხრეს: საჭიროა წავივარჯიშო... მას სურს მომკლას? უწინ მე მოვკლავ მას!“

ძირს ჩამოვიდა. ტირი მათი სახლიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იყო. კრისტოფმა იარაღი გადმოაღებინა და სთხოვა აეხსნათ, როგორ ეხმარა. პირველი გასროლით კინაღამ ტირის გამგე გააგორა; ორ-სამჯერ კიდევ სცადა, მაგრამ უკეთესობა არ ეტყობოდა; მაშინ გაბრაზდა — და უარესად გამოუვიდა. მის გარშემო რამდენიმე ახალგაზრდა კაცს მოეყარა თავი და იცინოდნენ. კრისტოფს ყურადღება არ მიუქცევია მათთვის. გერმანელისათვის ჩვეული სიჯიუტით, იგი ისე დაჟინებით ცდილობდა მიზანში მოერტყა და ისე გულგრილი იყო დაცინვისადმი, რომ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მისმა გულგაუტეხელმა ნებისყოფამ მალე ყველა დააინტერესა და ერთმა მაყურებელთაგანმა რჩევა-დარიგება მისცა. კრისტოფი ჩვეულებრივ თვითნება, ამჯერად ყველაფერს დამჯერი ბავშვივით ასრულებდა, ცდილობდა დაემორჩილებინა ნერვები. რომ ხელი არ აჰკანკალებოდა: ძალ-ღონე მოეკრიბა, წარბები შეეჭმუხნა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ლოყებზე, ხმას არ იღებდა, თუმცა დროდადრო უცებ გული მოუვიდოდა, მერე ისევ სროლას იწყებდა. ასე გაატარა ორი საათი. ორი

საათის შემდეგ უკვე მიზანში არტყამდა. არაფერი ისე არ იპყრობდა მნახველის თვალს, როგორც ამ მოუქნელი და ურჩი სხეულის მომათვინიერებელი ნებისყოფა, უნებლიეთ პატივისცემას რომ აღგიძრავდათ. დამცინავი მაყურებელი ზოგნი წავიდ-წამოვიდნენ, ზოგნიც თანდათან ჩაჩუმდნენ და ვეღარ მიეტოვებინათ საინტერესო სანახაობა. ხოლო როდესაც კრისტოფმა წასვლა დააპირა, მეგობრულად დაემშვიდობნენ.

დაბრუნებისას, კრისტოფს შინ დახვდა კეთილი მოოხი, რომელიც შეშფოთებული ელოდა მას. ლუსიენ ლევი-კერთან მისი უსიამოვნების ამბავი შეეტყო და გამოქცეულიყო: უნდოდა ჩხუბის მიზეზი გაეგო. მიუხედავად კრისტოფის მიკიბულ-მოკიბული პასუხისა, რომელსაც არ სურდა დაედანაშაულებინა ოლივიე, მოოხი ბოლოს ყველაფერს მიხვდა. ვინაიდან გულგრილი იყო და ორივე მეგობარს კარგად იცნობდა, დარწმუნდა, რომ ოლივიე მთლად დამნაშავე არ უნდა ყოფილიყო იმ პატარა ღალატში, რომელიც მას ბრალდებოდა. მოოხმა გამოიძია და იოლად დაადგინა, რომ მთელი ბოროტება კოლეტისა და ლევი-კერის ჭორების ბრალი იყო. სასწრაფოდ დაბრუნდა კრისტოფთან და დამამტკიცებელი საბუთები მოუტანა; ფიქრობდა, ამით დუელს ავაცილებო. მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო: როდესაც შეიტყო, რომ ლევი-კერის გამო მეგობრის ერთგულებაში დაეჭვდა, კრისტოფი კიდევ უფრო გაბრაზდა მასზე. თავიდან რომ მოეცილებინა მოოხი, რომელიც აფიცებდა ხელი აეღო დუელზე, დაჰპირდა ყველაფერს შეგისრულებო. მაგრამ საქმის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ახლა მას უხაროდა კიდეც: დუელში გადიოდა ოლივიეს შეურაცხყოფისთვის და არა თავისი გულისათვის!

ერთ-ერთი სეკუნდანტის გამონათქვამმა, როდესაც ეტლი ტყეში შემავალ ხეივანში შეგრიალდა, უცებ კრისტოფის ყურადღება გაამახვილა. სცადა ამოეკითხა, რაზე ფიქრობდნენ ისინი ამ წუთს და მიხვდა, რარიგ გულგრილნი იყვნენ მის მიმართ. დოქტორი ბართი ანგარიშობდა, რომელ საათზე დამთავრდებოდა ეს დავიდარაბა და მოასწრებდა თუ ვერა დროზე დაბრუნებულიყო, რომ დაემთავრებინა საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერებზე დაწყებული მუშაობა. კრისტოფის სამ თანმხლებთაგან, გერმანული თავმოყვარეობის გამო, ყველაზე მეტად სწორედ მას აღელვებდა ბრძოლის შედეგი. გუჟარი კი, რომელსაც არც კრისტოფისთვის ეცალა და არც მეორე გერმანელისათვის, დოქტორ ჟულიენს ფიზიოლოგიის საჩოთირო თემებზე ესაუბრებოდა. ეს გახლდათ ახალგაზრდა ტულუზელი ექიმი, ადრე კრისტოფის კარის მეზობლად რომ ცხოვრობდა და დროდადრო ხან სპირტის ლამპას თხოულობდა კრისტოფისაგან, ხან ქოლგასა თუ ყავის ფინჯნებს, რომლებიც უსათუოდ დაზიანებული უნდა დაებრუნებინა. სამაგიეროდ, იგი მუქთად სინჯავდა ხოლმე კრისტოფს, ცდიდა მასზე ახალ წამლებს და ერთობოდა მისი გულუბრყვილობით. კასტილიელი იდალგოს აღუშფოთველი გამომეტყველების მიღმა განუწყვეტლივ ეღვიძა დაცინვის დაუოკე-

ბელ ვნებას. ექიმი არაჩვეულებრივ გაემხიარულებინა ამ ფათერაკს, რომელიც მეტისმეტად სასაცილო ეჩვენებოდა, და წინდაწინვე ტკბებოდა კრისტოფის მოუქნელობით. მას სიამოვნებას ჰგვრიდა ეს გასეირნება ტყეში ეტლით, გულუხვი კრაფტის ხარჯზე. ეტყობა, ეს გახლდათ მთელი ამ სამეულის მთავარი გულისნადებიც: მათთვის ეს დუელი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ გასართობ სეირს, რაშიც თვითონ არაფერი ეკარგებოდათ. არც ერთი მათგანი ოტისოდენა მნიშვნელობასაც კი არ აძლევდა მის შედეგს. თუმცა სამივენი მზად იყვნენ ყოველგვარი შემთხვევითობისათვის, რასაც არხეინად ელოდნენ.

დათქმულ ადგილზე პირველნი თვითონ გამოცხადდნენ. შუაგულ ტყეში იდგა პატარა სამიკიტნო. ეს გახლდათ დროს გასატარებელი კუთხე, ფრიად უსუფთაო, სადაც პარიზელები მოდიოდნენ აგრეთვე თავიანთი ტალახში ამოსვრილი ღირსების განსაბანად. გარშემო სულ ასკილის აყვავებული ბუჩქნარები იყო, ცოცხალ ღობეს რომ ქმნიდნენ. ბრინჯაოსფოთლებიანი მუხების ჩრდილში პატარა მაგიდები გაეშალათ. ერთ-ერთ მაგიდასთან სამი ველოსიპედისტი იჯდა: მოკლე შარვალსა და დაბალყელიან შავ წინდებში გამოწყობილი, უმარილწასმული ქალი და ფლანელის ხალათებში ჩაცმული, სიცხისაგან გამობენტერებული ორი მამაკაცი, რომლებიც ხანდახან რაღაცას წაიდუდღუნებდნენ ხოლმე, თითქოს ლაპარაკი დავიწყებიათო.

კრისტოფის ეტლის მოსვლამ ცოტაოდენი გამოცოცხლება შეიტანა იქ მყოფთა შორის. გუჟარმა, რომელიც დიდი ხანია იცნობდა სამიკიტნოსა და მის პატრონებს, განაცხადა, საქმის მსვლელობის ხელმძღვანელობას მთლიანად მე ვკისრულობო. ბართმა ტალავერში შეიპატიჟა კრისტოფი და ლუდი შეუკვეთა. ჰაერში საამო სიგრილე და ფუტკრების გაბმული ბზუილი იდგა. კრისტოფს დავიწყებოდა კიდეც, თუ რისთვის მოსულიყო აქ. ბართმა ბოთლში დარჩენილი ლუდი დაისხა და მცირე დუმილის შემდეგ თქვა:

— უკვე ვხედავ, რას გავაკეთებ.

ლუდი მოსვა და განაგრძო:

— კიდევ მოვასწრებ: აქედან პირდაპირ ვერსალში წავალ.

მოისმა გუჯარის ხმა, გაცხარებით რომ ევაჭრებოდა მეპატრონე ქალს დუელის ადგილის ფასზე. ჟულიენი კი დროს არ კარგავდა: მან ველოსიპედისტებს ახლოს გაუარა და, ყველას გასაგონად, აღტაცება გამოხატა ქალის შიშველი კანჭების გამო; ამას მოჰყვა უშვერი შეძახილების მთელი ნიაღვარი, რომლის დროს ჟულიენი არავის ჩამორჩენია. ბართმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ფრანგები ბილწები არიან. შენი გამარჯვებისა იყოს, ძმაო.

მან ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა კრისტოფს. კრისტოფი ოცნებაში იყო; მწერების ჰარმონიულ ზუზუნზე მის თავში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მუსიკის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები. კრისტოფს ძილი ერეოდა.

მეორე ეტლის ბორბლებმა ხრაშა-ხრუში აუყენეს ქვიშას ხეივანში. კრისტოფმა თვალი მოჰკრა ლუსიენ ლევი-კერის ფერმკრთალ სახეს, ჩვეულებისა-

მებრ რომ იღიმებოდა; კვლავ ბრაზი მოაწვა და ზეზე წამოიჭრა. ბართიც აჰყვა.

ლევი-კერი, ყელზე შემოჭერილი, მაღალი საყელოთი, საგანგებოდ იყო გამოწყობილი, რაც აშკარა კონტრასტს ქმნიდა მისი მოწინააღმდეგის დაუდევარ ჩაცმულობასთან. მას ეტლიდან გადმოჰყვნენ გრაფი ბლოხი, სპორტსმენი, ცნობილი თავისი სასიყვარულო თავგადასავლებით, ძველებური ბარძიმების კოლექციითა და ულტრაროიალისტური შეხედულებებით; ლეონ მუე, აგრეთვე მაღალ საზოგადოებაში მიღებულთაგანი, დეპუტატი ლიტერატურის წყალობით და ლიტერატორი პოლიტიკური პატივმოყვარეობით, ახალგაზრდა, მელოტი, წვერგაპარსული, ფერმკრთალი და ღვარძლიანი, რომელსაც გრძელი ცხვირი, ბუსავით მრგვალი თვალები და მუშტისოდენა თავი ჰქონდა; და ბოლოს, დოქტორი ემანუელი, პიტალო სემიტის განსახიერება, კეთილმოსურნე და გულგრილი, სამედიცინო აკადემიის წევრი და საავადმყოფოს დირექტორი, ცნობილი თავისი თეორიული ნაშრომებით და ყოველგვარი წამლებისადმი სკეპტიკური განწყობილებით, რაც აიძულებდა ირონიული თანაგრძნობით ესმინა თავისი პაციენტების ჩივილისათვის, ხოლო მათს განსაკურნად კი არაფერი ეღონა.

ახალმოსულნი დარბაისლური თავაზიანობით მიესალმნენ დამხვდურთ. კრისტოფმა ოდნავი თავისდაქნევით უპასუხა, მაგრამ შენიშნა და არ ესიამოვნა, რომ მისმა სეკუნდანტებმა მეტისმეტი მოწიწება და მონური ქედისმოხრა გამოიჩინეს ლევი-კერის სეკუნდანტების მიმართ. ჟულიენი იცნობდა ემანუელს, გუჟარი კი — მუეს, და ორივენი პირფერული ღიმილით მიეგებნენ ეტლიდან გადმოსულთ. მუემ ისინი ცივი თავაზიანობით მიიღო, ხოლო ემანუელი მისთვის ჩვეული დამცინავი უცერემონიობით შეხვდა მათ. რაც შეეხება გრაფ ბლოხს, ლევი-კერს გვერდიდან რომ არ მოსცილებია, მას უკვე მოესწრო მოწინააღმდეგე ბანაკის სერთუკებისა და საცვლების დათვალიერება, რაზეც თავის ფალავანს სასაცილო და მოკლე შენიშვნებს უზიარებდა, — ამას ისე აკეთებდა, რომ თითქმის ტუჩებს არ ამოძრავებდა, და ორივეს მშვიდად და წესიერად ეჭირათ თავი.

ლუსიენ ლევი-კერს არხეინი გამომეტყველება მიეღო და ელოდა გრაფ ბლოხის ნიშანს, რომელიც ორთაბრძოლას ხელმძღვანელობდა. ლევი-კერისთვის ეს დუელი უბრალო ფორმალობა იყო. თავად ჩინებული მსროლელი, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რა გაუწაფავი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ლევი-კერი მაინც გულში ვერ გაივლებდა, გამოეყენებინა თავისი უპირატესობა და ეცადა მოერტყა კრისტოფისათვის, რომც მომხდარიყო დაუჯერებელი და სეკუნდანტებს არ ეზრუნათ, დუელი უვნებლად დამთავრებულიყო: მას ესმოდა, რომ იმაზე დიდი უგუნურება არა არის რა, მსხვერპლად გახადო მტერი, გაცილებით უხიფათოა, მშვიდობიანად ჩამოიცილო იგი. ამასობაში კრისტოფს ქურთუკი გაეძრო, პერანგი გაეხსნა, მსხვილი კისერი და ღონიერი მაჯები გაეთავისუფლებინა და ელოდა შუბლდახრილი, თან გამგმირავად მიშტერებოდა ლევი-კერს, მთელი ძალ-ღონე მოეკრიბა და სახის ყოველ ნაკვთზე მკვლელობის

ჩადენის უმოწყალო ჟინი აღბეჭდოდა; და გრაფმა ბლოხმა, კრისტოფს რომ უყურებდა, უნებლიეთ გაიფიქრა: კიდევ კარგი, ცივილიზაციამ ყველაფერი იღონა, რომ დუელის რისკი არარაობამდე დაეყვანაო.

როგორც კი ორივე მხრიდან თითო-თითო გაისროლეს, — რასაკვირველია, უშედეგოდ, — სეკუნდანტები მიეგებნენ და მილოცვა დაუწყეს დუელანტებს. პატივი დაკმაყოფილებული იყო. მაგრამ კრისტოფი არა. იგი კვლავ ადგილზე იდგა პისტოლეტმომარჯვებული და ვერ დაეჯერებინა, რომ ყველაფერი ამით დამთავრდა. სიამოვნებით დათანხმდებოდა დარჩენილიყო აქ, როგორც გუშინ ტირში, და ესროლათ ერთმანეთისთვის მანამ, ვიდრე ერთი მათგანი მიზანში არ მოარტყამდა. როდესაც გამოერკვა, რომ გუჟარი წინადადებას სთავაზობდა, ხელი ჩამოერთმია მოწინააღმდეგისათვის, რომელმაც, თავისი მარადიული ღიმილით სახეზე, რაინდულად გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი მის შესახვედრად, — კრისტოფი აღაშფოთა ამ კომედიამ. იარაღი გაშმაგებით მიწაზე დაანარცხა, გუჟარი ხელისკვრით მოიცილა და ლევი-კერისაკენ გაექანა. ძლივს ძლივობით შეაკავეს იგი, რომ მუშტი კრივით არ განეგრძო ბრძოლა.

სეკუნდანტები შუაში ჩაუდგნენ, ლევი-კერმაც დრო იხელთა და გაეცალა. კრისტოფმა გაარღვია მათი ალყა და, ყური არ უგდია მათი სიცილ-ხარხარისა და საყვედურებისათვის, ტყისკენ გაემართა დიდი ნაბიჯებით, თან ხმამაღლა თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდა და გააფთრებით ხელებს იქნევდა. მან ისიც კი ვერ შენიშნა, რომ დუელის ადგილზე ქურთუკი და ქუდი დარჩა. კრისტოფი შორს შევიდა ტყეში. მას ესმოდა თავისი სეკუნდანტების სიცილნარევი ძახილის ხმები; მერე მოსწყინდათ და ხელი ჩაიქნიეს მასზე. როდესაც ეტლების ხმაური მიწყნარდა, კრისტოფი მიხვდა, რომ ყველანი წასულიყვნენ. იგი მარტოდმარტო დარჩენილიყო მდუმარე ხეებს შორის. ბრაზი უკვე დასცხრომოდა. მიწაზე დაემხო და ბალახებში გაგორდ-გამოგორდა.

სულ მალე, სამიკიტნოს მოოხი მოადგა. ღილას აქეთ კრისტოფის ძებნაში იყო. მას უთხრეს თქვენი მეგობარი ტყეში გავარდაო. მოოხი მის საძებრად გამოეშურა. შემოირბინა ყველა ბუჩქნარი, გაეხმიანა ყველა ექოს, მაგრამ ვერსად მიაგნო მის ასავალ-დასავალს. და როდესაც ხელცარიელი ბრუნდებოდა უკან, უცებ კრისტოფის მღერა შემოესმა. ხმას მიჰყვა და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა კრისტოფი ერთ პატარა კორდზე: ფეხები მაღლა აეშვირა და ცელქ ხბოსავით კოტრიალობდა. მოოხი რომ დაინახა, კრისტოფი მხიარულად გამოეხმაურა, დაუძახა „ჩემო ძველო მოლოხოო“ და დააბუქა, ჩემი მოწინააღმდეგე საცერივით დავცხრილეო; ძალით ათამაშა ართურმა, ზურგზე გადაახტა და აიძულა თვითონაც გადახტომოდა, თან ლაზათიან დარტყმებს უთავაზებდა ხოლმე. მიუხედავად თავისი მოუქნელობისა, გულკეთილი მოოხი კრისტოფზე ნაკლებ არ მხიარულობდა. მერე მეგობრული მუსაიფით სამიკიტნოში დაბრუნდნენ და უახლოეს სადგურში პარიზის მატარებელს გაჰყვნენ.

ოლივიემ არაფერი იცოდა, რა მოხდა. კრისტოფის გულთბილობამ გააოცა

იგი: ვერ მიმხვდარიყო ამ უეცარი ფერისცვალების მიზეზს. მხოლოდ შეორე დღესღა, გაზეთებიდან შეიტყო, რომ კრისტოფს დუელში მიეღო მონაწილეობა. ოლივიე კინაღამ ავად გახდა, როდესაც წარმოიდგინა, რა საფრთხეს გადაურჩა მისი მეგობარი. სურდა გაეგო, რისი გულისათვის გავიდა დუელში. კრისტოფი უარს ამბობდა, რაიმე ეთქვა. ბოლოს, ოლივიე რომ აღარ მოეშვა, სიცილით უთხრა:

— შენი გულისათვის.

ამის მეტი ოლივიემ მას სიტყვა ვეღარ დააცდენინა. მოოხმა უამბო, როგორც იყო საქმე. სახტად დარჩენილმა ოლივიემ გულიდან ამოიგდო კოლეტი და კრისტოფს შეეკედრა, მაპატიე წინდაუხედაობაო. დაუყოლიებელმა კრისტოფმა ძველი ფრანგული ანდაზა მოაგონა, ეშმაკურად რომ გადააკეთა კეთილი მოოხის გასაღიზიანებლად, რომელიც იქვე იყო, შერიგებული მეგობრების ნეტარებით გაბედნიერებული:

— დაე, ეს შენთვის ჭკუის სასწავლებელი ყოფილიყოს, ჩემო კარგო...

მოცლილი და ენაჭარტალა დედაკაცისგან,
პირმოთნე და გაიძვერა ებრაელისგან,
ორპირ მეგობრისაგან,
შინაური მტრისაგან
და დაძმარებული ღვინისაგან —
Libera nos, Domine![1]

კრისტოფმა და ოლივიემ კვლავ ჰპოვეს ერთმანეთი. მეგობრობის დაკარგვის საშიშროებამ, რამაც აგრძნობინა მათ განშორების სიმძიმე, კიდევ უფრო ძვირფასი გახადა მათთვის ეს მეგობრობა. წვრილმანი გაუგებრობანი გაქრა: თვით ხასიათთა სხვაობა ერთმანეთს შორის მეგობრებს ახლა, პირიქით, მიმზიდველიც კი ეჩვენებოდათ. კრისტოფი თავის სულში ითავსებდა ორი სამშობლოს სულისკვეთებას, ჰარმონიულად შერწყმულს ერთიმეორესთან. იგი გრძნობდა, რომ მდიდარი და სავსე ჰქონდა გული; და ეს ნეტარი სიუხვე ჩვეულებისამებრ მუსიკის ნაკადულად გარდაქმნილიყო მასში.

ოლივიე აღტაცებაში მოეყვანა ამას. თავისი გადაჭარბებული მსჯელობით იგი იქამდე მიდიოდა, რომ ლამის ერწმუნა, თითქოს მისმა სათაყვანებელმა მუსიკამ უკვე თქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა. მას მოსვენებას უკარგავდა ავადმყოფურად აკვიატებული აზრი, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმავლობას გარდუვალად მოსდევს დაქვეითება, და შიშისაგან ძრწოდა, რამეთუ ეს წარმატაცი ხელოვნებაც სიცოცხლის სიყვარულის უნარს რომ უნარჩუნებდა მას, დაიშრიტებოდა უცებ, დაშრებოდა მიწაში ჩაწრეტილ წყაროსავით. კრისტოფს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეს სულმოკლე, შიშნეული ფიქრები. წინააღმდეგობის სულისკვეთებით გამსჭვალული, იგი ამტკიცებდა, რომ ჩემამდე

[1] გვიხსენ, უფალო! (ლათ.).

ჯერ არაფერი შექმნილა, ყველაფერი მხოლოდ ახლა უნდა შეიქმნასო. თავის მხრივ, ოლივიეს მაგალითად მოჰყავდა ფრანგული მუსიკა, რომელმაც, — ამბობდა ივი, — სრულყოფილებისა და სინატიფის ისეთ ზღვარს მიაღწია, რომლის იქით განვითარება მთავრდებაო. კრისტოფი მხრებს იჩეჩდა:

— ფრანგული მუსიკა?... იგი ჯერ არც მოვლინებულა ქვეყანაზე... თუმცა რამდენი მშვენიერი ქმნილება შეგეძლოთ შეგექმნათ მსოფლიოსათვის! ხოლო თუ თქვენ თვითონ აქამდე ვერ მიმხვდარხართ ამას, გამოდის, რომ მოკლებული ყოფილხართ მუსიკის გრძნობას. ოჰ, ფრანგი რომ ვყოფილიყავი!..

და ჩამოუთვალა ყოველივე, რაც ფრანგს შეიძლებოდა დაეწერა:

— თქვენ ისეთ ჟანრებს ებღაუჭებით, რაც სათქვენო არ არის, ხოლო იმას კი არ აკეთებთ, რაც თქვენს მოწოდებას წარმოადგენს. თქვენ შნოსა და ლაზათის, ნატიფი პოეზიის, დახვეწილი მანერების, მოხდენილი მიხრა-მოხრის, პოზების, მოდისა და ჩაცმა-დახურვის ხალხი ხართ, მაგრამ აღარ წერთ ბალეტებს, მაშინ, როცა შეგეძლოთ შეგექმნათ შეუდარებელი ხელოვნება პოეტური ცეკვისა... თქვენ ლაღი სიცილისა და მხიარული კომედიების ხალხი ხართ, მაგრამ აღარ თხზავთ კომიკურ ოპერებს, ანდა ხელში უგდებთ ამ ჟანრს უნიჭო მუსიკოსებს, მუსიკას მიტმასნილ ადამიანებს. ოჰ, ფრანგი რომ ვყოფილიყავი, მუსიკაში ავაჟღერებდი რაბლეს, სასაცილო ეპოპეებს შევთხზავდი... თქვენ რომანისტებით ცნობილი ხალხი ხართ, მაგრამ არ ქმნით რომანებს მუსიკაში (ვინაიდან გუსტავ შარპანტიეს ფელეტონებს რომანებს ვერ ვუწოდებ). თქვენ ვერ იყენებთ ფსიქოლოგიური ანალიზის ნიჭს, ხასიათების წვდომის უნარს. ოჰ, ფრანგი რომ ვყოფილიყავი, მუსიკალურ პორტრეტებს შეგიქმნიდით... (ვინდა, ხელდახელ დაგიხატო აგერ ის ასული, დაბლა, ბაღში, იასამნის ქვეშ რომ ჩამომჯდარა?)... სიმებიან კვარტეტზე გადავიტანდი სტენდალს... თქვენ პირველი დემოკრატია ხართ ევროპაში, მაგრამ არ გაგაჩნიათ სახალხო თეატრი, სახალხო მუსიკა. ოჰ, ფრანგი რომ ვყოფილიყავი, მუსიკაზე გადავიტანდი თქვენს რევოლუციას: 14 ივლისს, 10 აგვისტოს, ვალმის, ფედერაციას... მუსიკაზე გადავიტანდი ხალხს! მაგრამ არა ვაგნერული მაღალფარდოვნების ყალბი სტილით. მე მსურს სიმფონიები, გუნდები, ცეკვები. არავითარი მეტყველება! მომბეზრდა ეს. კმარა ლაპარაკი მუსიკალურ დრამაში. სიმშვიდე სიტყვებს! მოუსვით თამამი ფუნჯი, ააფერადეთ ვრცელი სიმფონიები მრავალხმიანი გუნდებით, ხატეთ თვალუწვდენელი მუსიკალური პეიზაჟები, ჰომეროსისებური და ბიბლიური ეპოპეები, ცეცხლი, მიწა და წყალი, მოკაშკაშე ცა, გულების ამაჩქროლებელი მხურვალება, ინსტინქტთა აღტყინება, ხალხის ბედ-იღბალი და ტრიუმფი რიტმის — სამყაროს ამ ყოვლისშემძლე მბრძანებლისა, რომელსაც დაუმონებია მილიონობით ადამიანი და მათს არმიებს სასიკვდილოდ ერეკება... მუსიკა ყველგან, მუსიკა ყველაფერში! მუსიკოსნი რომ იყოთ, ცალკე მუსიკა გექნებოდათ ყოველი თქვენი საჯარო დღესასწაულისათვის, ყოველი თქვენი წესჩვეულებისათვის, მეშათა კორპორაციების, სტუდენტთა კავშირებისა და თქვენი საოჯა-

ხო ზეიმებისათვის... მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მუსიკოსნი რომ იყოთ, თქვენ შექმნიდით წმინდა მუსიკას, რომელსაც არაფრის თქმა არ სურს, მუსიკას, რომელიც არაფრის მარგია, არაფრისა, გარდა ერთისა: რომ გული გაგითბოს, სუნთქვა შეგიმსუბუქოს და სული შთაგბეროს... ქმენით მზე! Sat prata![1] (როგორც ამბობ ხოლმე ლათინურად?). გეყოფათ ამდენი ავდარი. თქვენი მუსიკა სურდოს მიჩენს. ნათლად აღარ ჩანს: აანთეთ კვლავ ფარნები... დღეს თქვენ ბევრს წუწუნებთ ამ იტალიური porcherie[2]-ს გამო, რომელიც მოსდებია თქვენს თეატრებს, დაუპყრია თქვენი მაყურებლის ყურადღება და გარეთ გყრით საკუთარი სახლიდან! მაგრამ ვისი ბრალია? მაყურებელს მობეზრდა თქვენი ბინდით მოცული ხელოვნება, თქვენი ნევრასთენიული ჰარმონიები, თქვენი პედანტური კონტრაპუნქტები. იგი იქ მიდის, სადაც სიცოცხლეა, — რარიგ ტლანქიც იყოს ეს სიცოცხლე. რატომ განდგომიხართ ცხოვრებას? თქვენი დებიუსი, რაგინდ დიდი ხელოვანიც უნდა იყოს იგი, მაინც ზიანის მომტანია თქვენთვის: იგი კიდევ უფრო ბურანში გხვევთ. თქვენ კი ლაზათიანი შენჯღრევა გჭირდებათ, რომ გამოფხიზლდეთ.

— იქნებ შტრაუსი?

— არამც და არამც. იგი მთლად ბოლოს მოგიღებდათ. ჩემი თანამემამულეების კუჭი უნდა გქონდეს, რომ ამ უზომო სმის შემდეგ ფეხზე დგომა შეძლო. თავად გერმანელნიც კი ძლივს იმაგრებენ თავს და ბარბაცებენ... შტრაუსის „სალომეა“!.. ჭეშმარიტი შედევრი! მე არ ვისურვებდი, ვყოფილიყავი მისი ავტორი... მახსენდება, საწყალი პაპაჩემი და ბიძია გოტფრიდი როგორი მოწიწებით და უნაზესი სიყვარულით მიყვებოდნენ ხოლმე ბგერათა მშვენიერ ხელოვნებაზე!.. იყო ამ ღვთიურ ძალთა განმგებელი და — ასე ბოროტად იყენებდე მათ!... ხანძრის გამჩენი მეტეორი! იზოლდა, ვიღაც ებრაელი მეძავი. მტანჯველი და ცხოველური ავხორცობა. მკვლელობის, გაუპატიურების, სისხლაღრეკვითი კავშირის ჟინი, ინსტინქტების თავაწყვეტილობა, რომელიც ბობოქრობს გერმანული დეკადანსის წიაღში... თქვენს ფრანგულ დეკადანსში კი მელანქოლიური და რაღაც სიამოვნების მომგვრელი თვითმკვლელობის კრუნჩხვა ვლინდება... იქ მხეცია, აქ კი — მსხვერპლი. სადღაა ადამიანი?... თქვენი დებიუსი კარგი გემოს გენიაა, შტრაუსი—ცუდისა. პირველი ერთობ ლუგუმია, მეორე—მეტისმეტად წმახი. პირველი ვერცხლისფრად მოლაპლაპე წყლის გუბესა ჰგავს, ლელიანში ჩამდგარი დამპლის სუნს რომ უშვებს; მეორე—სწრაფად მოვარდნილ ტალახიან ნიაღვარს... ოჰ, რა მდარე იტალიელობისა და ნეომაიერბერელობის, რა ყარტაყურტა გრძნობების სუნს გამოსცემს მისი ტალღები!... ბილწი შედევრი! სალომეა, ასული იზოლდასი... ნეტავი ვისი დედა გახდება სალომეა?

— დიახ, — თქვა ოლივიემ, — ვისურვებდი ნახევარი საუკუნით გვიან მე-

---

[1] კმარა მდელოები (ლათ.).

[2] ღორობა (იტალ.).

ცხოვრა. ეს თავაწყვეტილი ჭენება უფსკრულისაკენ ასე თუ ისე უნდა დამთავრდეს: ან შედგება ცხენი, ანდა უფსკრულში გადაიჩეხება. მაშინ შვებით ამოვისუნთქავთ. მადლობა ღმერთს, დედამიწა მაინც შეიმოსება ყვავილებით და ისხივოსნებს ცაზე მზე, უმუსიკოდაც. რად გვინდა ესოდენ არაადამიანური ხელოვნება?... დასავლეთი საკუთარ ცეცხლში იწვის... მალე... სულ მალე... უკვე ვხედავ სხვა სხივებს, აღმოსავლეთის სიღრმიდან რომ ამოდის.

— ნუ მომაბეზრე თავი მაგ შენი აღმოსავლეთით! — მიუგო კრისტოფმა.— დასავლეთს ჯერ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა. ნუთუ გგონია, რომ უკვე უარს ვამბობ მასზე? საუკუნეების მანძილზე გამწვდება იგი. გაუმარჯოს საკუთარი ბედისადმი დაუმორჩილებლობის ჟინს! გაუმარჯოს სიყვარულს, გულებს რომ გვიჩქროლებს! გაუმარჯოს მეგობრობას, რომელიც ათბობს ჩვენს რწმენას, — მეგობრობას, თვით სიყვარულზე უტკბესს! გაუმარჯოს დღის ნათელს! გაუმარჯოს ღამის წყვდიადს! დიდება მზეს! Laus Deo[1], ღმერთს ოცნებისა და მოქმედების, ღმერთს — მუსიკის შემოქმედს! ოსანა!..

მერე მაგიდას მიუჯდა, და წერდა უკლებლივ ყველაფერს, რაც თავში გაურბენდა; მას უკვე აღარ ახსოვდა წუთის წინ წარმოთქმული თავისი მგზნებარე სიტყვები.

იმ დროისათვის კრისტოფი თავისი ხორციელი და სულიერი ძალების სრული გაფურჩქვნისა და წონასწორობის ხანაში იმყოფებოდა. იგი თავს არ იწუხებდა ამა თუ იმ მუსიკალური ფორმის ესთეტიკურ ღირებულებაზე პაექრობებითა და ახლის გონებრივი ძიებებით; მას წვალებაც არ სჭირდებოდა, რომ თავისი მუსიკისათვის სიუჟეტები ეპოვა. მისთვის ყველაფერი ვარგოდა. თავისთავად იღვრებოდა მუსიკის ნაკადი და კრისტოფმა არც იცოდა, როგორ გრძნობებს გამოხატავდა. იგი ბედნიერი იყო, — მორჩა და გათავდა, — ბედნიერი იმით, რომ გამოვლინდა და გამჟღავნდა, ბედნიერი, რომ თავის ძარღვებში მსოფლიო ცხოვრების მაჯისცემა შეიგრძნო.

ეს სიხარული და ეს სისავსის განცდა მის გარშემო მყოფთაც გადაედებოდათ.

სახლი, წინ ჩამოფარებული ჩაკეტილი ბაღით, კრისტოფს მეტისმეტად ფიწრო ეჩვენებოდა. თუმცა ბაღს გადაღმა კიდევ დარჩენილიყო პატარა გადასახედი, საიდანაც მოჩანდა მონასტრის პარკი, თავისი მყუდრო, განიერი ხეივნებითა და ასწლოვანი ხეებით: მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც უკვე სანატრელი გამხდარიყო: მათი ფანჯრის პირდაპირ დაწყებული ჰქონდათ შვიდსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელიც საცაა დაფარავდა მთელ ხედს და საბოლოოდ მოწყვეტდა მათ სახლს გარესამყაროსაგან. ყოველდღე, დილიდან საღამომდე,

---

[1] დიდება უფალს (ლათ.).

კრისტოფს სიამოვნება ჰქონდა, დამტკბარიყო ჭოჭონაქების ღრჭიალით, ქვების ჭახაჭუხითა და ფიცრების რაკუნით. უცებ მუშებს შორის კრისტოფმა თავისი მეგობარი მხურავი შენიშნა, ამასწინათ სახლის სახურავზე რომ გაიცნო. ხელის აწევით გულითადი სალმები ვაუგზავნეს ერთმანეთს შორიდან. ერთხელ კრისტოფი მას ქუჩაშიც შეხვედროდა, ღვინის სარდაფში დაეპატიჟებინა და ორიოდე ჭიქაც გადაეკრათ ერთად, რასაც დიდად გაეოცებინა ოლივიე და ცოტა არ იყოს, აღეშფოთებინა კიდეც. კრისტოფს უბრალოდ ართობდა სასაცილო ენაწყლიანობა ამ კაცისა, მუდამ კაი გუნებაზე რომ იყო. თუმცა ამის გამო კრისტოფი ნაკლებ ლანძღვა-გინებას როდი უგზავნიდა მას და მის ხელმარჯვე ამხანაგებს — ამ უტვინო პირუტყვების მთელ ბრიგადას, რომლებსაც ზღუდე ამოჰყავდათ ზედ მისი ფანჯრის წინ და უკანასკნელ ჰაერსა და სინათლეს ჰპარავდნენ. ოლივიე კი მაინცდამაინც არ ჩიოდა; იგი შეჰგუებოდა კედლებით ამოქოლილ ჰორიზონტს: ეს მას აგონებდა დეკარტეს ღუმელს, საიდანაც შეკუმშული აზრი მეტი გამალებით მიილტვის თავისუფალი ზეცისაკენ. მაგრამ კრისტოფს ჰაერი სჭირდებოდა. ამ შეზღუდულ სივრცეში გამომწყვდეული, იგი გულს იმით იოხებდა, რომ გაცხოველებულ ურთიერთობას ამყარებდა თავის გარშემო მყოფ ადამიანებთან. იგი შეიწოვდა მათ სულებს და მუსიკაზე გადაჰქონდა ისინი. ოლივიე ეუბნებოდა, შეყვარებულს ჰგავხარო.

— შეყვარებული რომ ვყოფილიყავი, — მიუგებდა კრისტოფი, — ვეღარაფერს დავინახავდი, სხვას ვეღარაფერს შევიყვარებდი და ვეღარაფერი დამაინტერესებდა, ჩემი სიყვარულის გარდა.

— მაშ, რა მოგდის?

— ის, რომ ჯანმრთელი ვარ და ჩინებული მადა მაქვს.

— რა ბედნიერი ხარ, კრისტოფ! — შენატროდა ოლივიე. — ნეტავი ცოტაოდენი შენი მადა ჩვენთვისაც გადმოგედო.

ჯანმრთელობა ისევე გადამდებია, როგორც ავადმყოფობა. პირველი, ვინც ამ ძალის კეთილისმყოფელი გავლენა განიცადა, ბუნებრივია, ოლივიე იყო. სწორედ ძალა აკლდა მას ყველაზე მეტად. იგი გაურბოდა საზოგადოებას, რადგან გულს ურევდა ადამიანების სიტლანქე. თავის დიდ ჭკუასთან და არაჩვეულებრივ მხატვრულ ნიჭთან ერთად, იგი მეტისმეტად ფაქიზი გახლდათ, რომ დიდი ხელოვანი გამხდარიყო: დიდი ხელოვანნი არ განიცდიან ზიზღს ცხოვრებისადმი; ყოველი ჯანმრთელი არსებისათვის უპირველეს კანონს წარმოადგენს სიცოცხლის წყურვილი,—მით აუცილებელს, თუ იგი გენიოსია, რადგან გენიოსი უფრო ძალუმი სიცოცხლით ცხოვრობს. ოლივიე კი გაურბოდა ცხოვრებას; იგი დაცურავდა უსხეულო, უხორცო, არარეალურ ზმანებათა პოეტურ სამყაროში. იგი მიეკუთვნებოდა ინტელიგენციის იმ რჩეულთა რიცხვს, რომელნიც მშვენიერებას ცხოვრების სინამდვილის მიღმა — გარდასულ საუკუნეებში, ანდა წარმოდგენათა სამყაროში ეძიებენ. თითქოს სიცოცხლის ნექტარი არ იყოს დღეს ისევე დამათრობელი და მისი წყარო ისევე მოჩუხჩუხე, როგორც ოდესღაც!

მაგრამ დაღლილ სულებს ზიზღსა ჰგვრით სინამდვილის უშუალო შეხება; მათ არ ძალუძთ იგუონ ცხოვრება ზმანებათა საბურველის გარეშე, რომელსაც ქსოვს დაუბრუნებელი წარსულის დაშორება და ოდესღაც ცოცხალ არსებათა მკვდარი სიტყვების უცნაური გამოძახილი. კრისტოფის მეგობრობა დაეხმარა ოლივიეს, ნელ-ნელა გამოეღწია ხელოვნების ამ ბურუსით მოცული კარიბჭიდან. და მზემ შეანათა მისი სულის გათოშილ კუნჭულებში.

კრისტოფის ოპტიმიზმის ინფექცია ინჟინერ ელსბერჟესაც გადაედო. თუმცა ვერავითარი ცვლილება ვერ დაეტყო მის ჩვეულებებს: ისინი უკვე ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი; ამიტომ, ცხადია, მოსალოდნელი არ ყოფილა, მას ერთბაშად ისეთი ფხა გამოეჩინა, რომ საფრანგეთი დაეთმო და ბედის საძიებლად უცხო მხარეში გამგზავრებულიყო. ეს ტყუილი იმედის ქონა იქნებოდა. მაგრამ უხალისობამ თანდათან მაინც გაუარა და კვლავ დაუბრუნდა მეცნიერული კვლევის, კითხვისა და მუშაობის სურვილი, რაც დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა. ელსბერჟე ფრიად გაოცდებოდა, მასში საკუთარი პროფესიისადმი ინტერესის გამოღვიძება ვინმეს კრისტოფის გავლენით რომ აეხსნა; მაგრამ ყველაზე მეტად კი ეს, ალბათ, თავად კრისტოფს გაუკვირდებოდა.

სახლის მთელ ბინადართა შორის, რომლებსაც კრისტოფი ყველაზე მალე დაუახლოვდა, იყო მესამე სართულზე მცხოვრები უშვილო ცოლ-ქმარი. მრავალჯერ, როცა კი მათი კარის წინ გაივლიდა, იგი ყურს მიუგდებდა ხოლმე როიალის ხმას, რომელზეც გემოვნებით უკრავდა მარტოდ დარჩენილი ქ-ნი არნო. ერთხელ კრისტოფმა თავისი კონცერტის ბილეთები გაუგზავნა ცოლ-ქმარს. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს კრისტოფს. ამის შემდეგ, იგი საღამოობით ბინაშიც შეუვლიდა ხოლმე არნოებს. მაგრამ ახალგაზრდა ქალის დაკვრა კი ვერ იქნა და ვეღარ მოისმინა: ქ-ნი არნო მეტისმეტად მორცხვი გახლდათ, რომ ვინმეს თანდასწრებით დაეკრა; ხოლო როდესაც გაიგო, ოთახიდან ხმა კიბეზეც გადისო, მაშინაც კი, როცა მარტო იყო, ჩუმადღა იკლავდა სურვილს. სამაგიეროდ კრისტოფი იჯერებდა ხოლმე გულს დაკვრით; მერე კი დიდხანს საუბრობდნენ მუსიკის დამატყვევებელ ძალაზე. არნოები ისეთი გატაცებითა და ჭაბუკური მგზნებარებით ლაპარაკობდნენ მუსიკაზე, რომ კრისტოფი აღტაცებული იყო. მას ვერ წარმოედგინა, თუ ფრანგებს შეეძლოთ ასე მთელი გულით ჰყვარებოდათ მუსიკა.

— ეგ იმიტომ, — შენიშნა ოლივიემ, — რომ დღემდე შენ მხოლოდ მუსიკოსებს იცნობ.

— კარგად მომეხსენება, — მიუგო კრისტოფმა, — რომ მუსიკა ყველაზე ნაკლებ მუსიკოსებს უყვართ; მაგრამ ვერ დამაჯერებ, რომ ისეთი ადამიანები, როგორც შენ და არნოები ხართ, ათასობით იყვნენ საფრანგეთში.

— სულ ცოტა, რამდენიმე ათასი მაინც.

— მაშინ, ეს ახალი ეპიდემია იქნება, უკანასკნელი მოდა?

— მოდა არაფერ შუაშია, — ჩაერია არნო. — „უკეთუ კაცსა საკრავთა სა-

ამო ჰანგი ესმას, ანდა ნაზი მღერა ადამიანური ხმის და — არ დატკბეს, არ აღელდეს, სიამოვნებისაგან ჟრუანტელმა არ დაუაროს მთელ ტანში და მოხიბლული თავდავიწყებას არ მიეცეს, ეს ნიშნავს, რომ იგი გრძნობაჩლუნგი, ბიწიერი დ ზნეწამხდარია და გმართებს განერიდო მას, ვითარცა ბოროტ ვარსკვლავზე დაბადებულს...“

— ვიცი, საიდანაც არის ეგ, — თქვა კრისტოფმა, — ჩემი მეგობარი შექსპირისაა.

— არა, — მშვიდად მიუგო არნომ, — ეს სიტყვები ეკუთვნის ჩვენს რონსარს, რომელიც შექსპირზე ადრე ცხოვრობდა. როგორც ხედავთ, თუ მუსიკის სიყვარულს საფრანგეთში შეიძლება მოდა ვუწოდოთ, ყოველ შემთხვევაში, იგი გუშინდელი არ ყოფილა.

მუსიკა რომ უყვარდათ საფრანგეთში, კრისტოფს კიდევ ისე არ გაჰკვირვებია, როგორც ის, რომ აქაც დაახლოებით ისეთივე მუსიკა უყვარდათ, როგორიც გერმანიაში. პარიზელ ხელოვანთა და სნობთა წრეში, რომელთა გარდა იგი აქამდე არავის იცნობდა, კარგ ტონად ითვლებოდა, გერმანელი კომპოზიტორები გამორჩეულ უცხოელებად მოეხსენებინათ, რომელთა წინაშე თუმცა აღტაცებას არ მალავდნენ, მაგრამ შორს იჭერდნენ თავს მათგან: ამ ვაჟბატონებს უყვარდათ დაეცინათ გლუკის სიტლანქისა და ვაგნერის ბარბაროსობისათვის, რომელთაც ფრანგულ სინატიფეს უპირისპირებდნენ. და როდესაც კრისტოფი გერმანული ოპერების შესრულების ფრანგულ ყაიდას გაეცნო, მას საბოლოოდ ეჭვი შეეპარა, რომ ფრანგებს საერთოდ ესმოდათ გერმანული მუსიკა. ამ ცოტა ხნის წინათ იგი აღშფოთებული დაბრუნებულიყო გლუკის წარმოდგენიდან: ამ „მახვილგონიერ“ პარიზელებს ჭკუაში წოსელოდათ, აცუნცრუკებულ ბერიკაცად წარმოესახათ მრისხანე მოხუცი; გამოეპრანჭათ და ბაფთებით გამოეკოპწიაევებინათ იგი, ბამბებით შეეფუთნათ მისი რიტმები და იმპრესიონისტული ფერებით აჭიჭყნილი დეკორაციებითა და ავხორცი ცეკვებით აეჭრელებინათ მისი მუსიკა ...საბრალო გლუკი! რაღა დარჩა მისი გულწრფელი მჭევრმეტყველებისაგან, მისი ამაღლებული გრძნობებისაგან, მისი ზნეობრივი სიწმინდის, მისი გაშიშვლებული ტკივილებისაგან? ნუთუ ფრანგებს არ ძალედვათ შეეგრძნოთ ყოველივე ეს? მაგრამ აი, კრისტოფი ხედავდა ახლა, რაოდენ ღრმა და ნაზი სიყვარულით გამსჭვალულიყვნენ მისი ახალი მეგობრები ყოველივე იმისადმი, რაც ყველაზე იდუმალი იყო გერმანულ სულში, ძველ გერმანულ Lied-ებსა და გერმანელ კლასიკოსთა შემოქმედებაში. კრისტოფი ეკითხებოდა მათ, ნუთუ მართალია, რომ ეს გერმანელი კომპოზიტორები თქვენ უცხოელებად არ მიგაჩნიათ და, საერთოდ, ფრანგებს შეგიძლიათ უცხო ერის ხელოვანნი მთელი გულით შეიყვაროთო?

— რატომაც არა! — შეეკამათნენ ისინი. — ეგ ჩვენი კრიტიკოსები კადნიერდებიან ილაპარაკონ ჩვენი სახელით. რაკი თავად მუდამ მოდის ტყვეობაში იმყოფებიან, მოითხოვენ, რომ ჩვენც მათ ფეხის ხმას უნდა ავყვეთ. ჩვენ კი

მათ ისევე არ ვაგდებთ აინუნში, როგორც ისინი ჩვენ. აი, ამ ტაკიმასხარებს მოსურვებიათ აგვიხსნან, თუ რა არის ფრანგული და რა — არაფრანგული! და ეს ჩვენ — ძველი საფრანგეთის მკვიდრ ფრანგებს!... უნდათ დაგვარწმუნონ, თითქოს საფრანგეთი — ეს ჩვენი რამო ან რასინია და არავინ სხვა! გეგონება, ათას ჩვენგანს, პროვინციასა თუ პარიზში, პირადად არ გვეგრძნოს, რამდენჯერ ბეთჰოვენი, მოცარტი და გლუკი მოსულან და ჩამომსხდარან ჩვენს კერასთანაც, ჩვენთან ერთად გაუთენებიათ ღამე ჩვენი საყვარელი მახლობლის სასთუმალთან, გაუზიარებიათ ჩვენი მწუხარება და ნუგეში უციათ, მივმხვდარვართ, რომ ისინი ჩვენი სისხლი და ხორცი არიან! გულახდილად რომ ითქვას, ჩვენი კრიტიკოსების მიერ ცამდე აყვანილი რომელიმე ფრანგი ხელოვანი უფრო აღმოჩნდებოდა უცხო ჩვენთვის.

— ჰეშმარიტება, — თქვა ოლივიემ, — ის არის, რომ თუ ხელოვნებაში საერთოდ არსებობს საზღვრები, ეს გახლავთ არა იმდენად ეროვნული, რამდენადაც კლასობრივი ზღუდეები. მე არ ვიცი არსებობს თუ არა წმინდა ფრანგული და წმინდა გერმანული ხელოვნება, მაგრამ ნამდვილად არსებობს მდიდართა ხელოვნება და იმათი ხელოვნება, ვისაც სიმდიდრე არ გააჩნია. გლუკი, ბურჟუაზიის დიდი წარმომადგენელი, ჩვენი კლასის ღვიძლი შვილია. მავან ფრანგ ხელოვანს კი, რომელიც საჭიროდ არ მიმაჩნია დავასახელო, ჩვენი არაფერი სცხია: თუმცა ჩვენი წრიდან არის გამოსული, მაგრამ რცხვენია, რომ ჩვენი წარმოშობისაა, უარგვყოფს ჩვენ; ჩვენი მხრივ, ჩვენც უარვყოფთ მას.

ოლივიე მართალი იყო. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა კრისტოფი ფრანგ ადამიანებს, მით უფრო თვალში ეცემოდა მას საოცარი მსგავსება საფრანგეთისა და გერმანიის პატიოსან ადამიანებს შორის. ცოლ-ქმარი არნოები აგონებდნენ მას ძვირფას მოხუც შულცს, ხელოვნებისადმი წმინდა, უანგარო სიყვარულით, მშვენიერებისადმი თავდავიწყებითა და ერთგულებით. და შულცის მოსაგონებლად კრისტოფი სიყვარულით განიმსჭვალა არნოებისადმი.

სხვადასხვა ეროვნების პატიოსან ადამიანთა შორის ზნეობრივი საზღვრების უაზრობას რომ მიხვდა, კრისტოფი, ამავე დროს, დარწმუნდა ერთი და იმავე ეროვნების, მაგრამ სხვადასხვა შეხედულებების პატიოსან ადამიანთა შორის საზღვრების უაზრობაშიც. მისი წყალობით, თუმცა მისი მეცადინეობის გარეშე, ორმა ადამიანმა, რომელთაც თითქოს არავითარი საერთო არ გააჩნდათ, რომ ერთიმეორისათვის გაეგოთ, — აბატმა კორნელმა და ბ-ნმა ვატლემ ერთმანეთი გაიცნეს.

კრისტოფი წიგნებს თხოულობდა ორივე მათგანისაგან და, ისე უბოდიშოდ, რომ სახტად რჩებოდა ოლივიე, ერთის წიგნს მეორეს ათხოვებდა ხოლმე. აბატი კორნელი ამაზე არასოდეს აღშფოთებულა: მას უნარი შესწევდა ჩაეხედა ადამიანის სულში, და აბატმა, თავისი ჭაბუკი მეზობლის შეუმჩნევლად, ღრმა დიდსულოვნება ამოიკითხა მის სულში და თვით კრისტოფისთვის შეუცნობე-

ლი რელიგიურობაც კი აღმოაჩინა. დაახლოება დაიწყო ბ-ნ ვატლესაგან ნათხოვარი კროპოტკინის წიგნით, რომელიც, თუმცა სხვადასხვა მიზეზით, სამივეს საყვარელი საკითხავი გახლდათ. მოხდა ისე, რომ ერთ დღეს, შემთხვევით, ორივენი კრისტოფის ბინაში შეიყარნენ. თავდაპირველად კრისტოფი შეფიქრიანდა, სტუმრები ერთმანეთთან არაფერზე შეკინკლავდნენო. მაგრამ მოხდა პირიქით: ერთიმეორის მიმართ უაღრესი თავაზიანობა გამოიჩინეს. აბატი კორნელი და ბ-ნი ვატლე საუბრობდნენ უწყინარ თემებზე—თავიანთ მოგზაურობებზე, ადამიანებისაგან მიღებულ გამოცდილებაზე. მათ ერთმანეთში აღმოეჩინათ გულდამშვიდებულობა და ევანგელიური სული, აღსავსე განუხორციელებელი იმედებით. თუმცა ყველა საფუძველი ჰქონდათ, სასოწარკვეთილებას მისცემოდნენ. და ორივენი გამსჭვალულიყვნენ ოდნავ დამცინავი, მაგრამ ერთობ მოკრძალებული ურთიერთთანაგრძნობით. ისინი არასოდეს ეხებოდნენ სხვისი რწმენის საფუძველს. იშვიათად ნახულობდნენ და არ ეძებდნენ ერთმანეთს; ხოლო როცა შეხვდებოდნენ, სიამოვნებას ჰგვრიდათ ერთიმეორის დანახვა.

აბატი კორნელი ვატლეზე ნაკლებ დამოუკიდებელი სულის ადამიანი როდი აღმოჩნდა. ამას კრისტოფი არამც და არამც არ მოელოდა. ნელ-ნელა თვალწინ გადაეშალა ამ რელიგიური და თავისუფალი აზრის სიდიადე, მისი ძალუმი და წყნარი, ყოველგვარ გაცხარებას მოკლებული მისტიციზმი, რომლითაც გამსჭვალული იყო მღვდლის ყოველი ფიქრი, ყოველი მისი მოქმედება, მთელი მისი წარმოდგენა სამყაროზე, რაც შთააგონებდა მას ეცხოვრა ქრისტეში, როგორც. მისი რწმენით, ქრისტე ცხოვრობდა ღმერთში.

იგი არ უარყოფდა არაფერს, არავითარ ცხოერებისეულ ძალას. მისთვის ყველა წერილი — ძველი და თანამედროვე, სასულიერო და საერო, მოსედან მოყოლებული ბერტელომდე — უტყუარი, ღვთაებრივი, ღმერთის გამოვლინება იყო. საღვთო წერილი მათგან მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში გახლდათ, როგორც ეკლესია — ღმერთში გაერთიანებულ ძმათა უმაღლესი კრებული; მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ ჩაეტეს სული უძრავ ჭეშმარიტებაში. ქრისტიანობა ცოცხალ ქრისტეს წარმოადგენდა. კაცობრიობის ისტორია სხვა არა იყო რა, თუ არა მხოლოდ ღვთიური აზრის განუწყვეტელი ზრდა-ვანვითარების ისტორია. იერუსალიმის ტაძრის დაცემა, წარმართული სამყაროს დაღუპვა, ჯვაროსნულ ლაშქრობათა მარცხი, ბონიფაციუს VIII-სათვის გაწნული სილა, გალილეი, ჩვენი დედამიწა თავბრუდამხვევ სივრცეში რომ დაჰკიდა, უსასრულო მცირე სიდიდეთა მეტი სიძლიერის აღმოჩენა დიდ სიდიდეებთან შედარებით, სამეფოთა და კონკორდატთა ძალაუფლების აღსასრული — ყოველივე ეს თავის დროზე თავგზას უბნევდა ადამიანთა შეგნებას. ერთნი სასოწარკვეთილნი ჩაჰბღაუჭებოდნენ მას, რაც უკვე სასიკვდილოდ განწირული იყო; მეორენი ჩასჭიდებოდნენ შემთხვევით წყალზე მოტივტივე ფიცარს და დინებას მიჰყვებოდნენ. აბატი კორნელი მხოლოდ ეკითხებოდა თავის თავს:

„რა ამოძრავებთ დღეს ადამიანებს? რა ანიჭებთ მათ სიცოცხლის ძალას?“ რადგან სწამდა: „სადაც სიცოცხლეა, იქ არის ღმერთიც!“ სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი სიმპათიას გრძნობდა კრისტოფისადმი.

თავის მხრივ კრისტოფსაც სიამოვნებას ჰგვრიდა ესმინა ეს წარმტაცი მუსიკა, რასაც თავისთავად დიდი რელიგიური სული წარმოადგენს. იგი შორეულ და ღრმა გამოძახილს აღვიძებდა მასში. ყველაფრის აღქმისა და დაუყოვნებლივ შეგრძნების იმ თვისების წყალობით, რაიც ძლიერბუნებოვან ადამიანებში სიცოცხლის ინსტინქტს, თვით თავდაცვის ინსტინქტს წარმოადგენს, იმ ნიჩბის მოსმას, წონასწორობას რომ უნარჩუნებს და ახალ გაქანებას აძლევს ნავს,— გადაჭარბებულ სკეპტიციზმსა და პარიზული სენსუალიზმისადმი ორი წლის მანძილზე დაგროვილ ზიზღს, ნელ-ნელა, ღმერთი გამოეცოცხლებინა კრისტოფის გულში. არა, ღმერთი კი არ იწამა: იგი კვლავინდებურად უარყოფდა მას; მაგრამ აღსავსე იყო ღმერთით. აბატი კორნელი ღიმილით ეუბნებოდა კრისტოფს, რომ შენი მფარველი კეთილი ბუმბერაზის მსგავსად, შენდა შეუცნობლად ღმერთს ატარებო შენში.

— მაშ, რატომღა ვერ ვხედავ მას? — ეკითხებოდა კრისტოფი.

— თქვენც ისევე მოგდით, როგორც ათას სხვას: ღმერთს ყოველდღე ხედავთ, მაგრამ ვერ გიცვნიათ იგი. ღმერთი ყველას სხვადასხვა სახით ეცხადება: ზოგს — თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც წმინდა პეტრეს გალილეაში; სხვებს (მაგალითად, თქვენს მეგობარ ბ-ნ ვატლეს), ისევე როგორც წმიდა თომას — იარების მოშუშებასა და გაჭირვებისაგან გამოხსნაში; თქვენ კი — თქვენი იდეალის ღირსებაში: Noli me tangere!...[1] დადგება დღე, თქვენ მას შეიცნობთ.

— არასოდეს ვიტყვი უარს ჩემს უფლებაზე, — უპასუხა კრისტოფმა. — თავისუფალი ვარ და ასეთივე დავრჩები.

— ღმერთით კიდევ უფრო თავისუფალი გახდებით, — წყნარად მიუგო მღვდელმა.

მაგრამ კრისტოფს ვერ დაეშვა ის აზრი, რომ ვინმეს, მისი ნების გარეშე შეეძლო მორწმუნე ქრისტიანად გაეხადა იგი. კრისტოფი ისეთი გულუბრყვილო გაცხარებით იცავდა თავს, თითქოს იოტისოდენა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ იარლიყს მიაკრავდნენ მის აზრებს. აბატი კორნელი უსმენდა მას მოძღვარისებური ოდნავშესამჩნევი დამცინავობითა და დიდი გულკეთილობით. მას ჰქონდა დაუშრეტელი მოთმინება, რომელიც მის ჩვეულებად გადაქცეულ რწმენას ემყარებოდა. თანამედროვე ეკლესიის განსაცდელს გამოეწრთო იგი, და თუმცა მწვავე სულიერი ტრავმები მიეყენებინა და ღრმა სევდის დაღი დაემჩნია მისთვის, მაინც ვერ შეერყია მისი რწმენა. ცხადია, მძიმე იყო იმის შეგნება, რომ გავიწროებენ შენი უფროსები, ყოველ შენს ნაბიჯს

[1] ნუ შემეხები მე (ლათ.).

უთვალთვალებენ ეპისკოპოსები, ხელსაყრელ შემთხვევას ეძებენ ყველა ჯურის თავისუფლად მოაზროვნენი, რათა ბოროტად გამოიყენონ შენი აზრები და შენივე რწმენის წინააღმდეგ მიმართონ ისინი, არ ესმით შენი და გდევნიან საკუთარი ერთმორწმუნენიცა და შენი სარწმუნოების მტრებიც. შეუძლებელია წინააღმდეგობა გაუწიო, რადგან ვალდებული ხარ დაემორჩილო. მაგრამ შეუძლებელია დაემორჩილო გულით, რადგან დარწმუნებული ხარ, რომ ის, ვისაც უნდა დაემორჩილო, ცდება. ამიტომ ძნელია გაჩუმდე. მაგრამ ვაითუ სთქვა და ცუდად გაგიგონ! აღარას ვამბობთ იმაზე, რომ გაბარია კიდევ სხვა სულნი, რომლებზეც პასუხისმგებელი ხარ, ვინც რჩევასა და შემწეობას მოელის შენგან და რომელთა ტანჯვასაც უყურებ... აბატი კორნელი იტანჯებოდა თავის გამოც და მათი გულისათვისაც, მაგრამ ბედს დანებებოდა. იცოდა, რომ დღევანდელი განსაცდელი არაფერს ნიშნავდა ეკლესიის ხანგრძლივ ისტორიასთან შედარებით. მიუხედავად ამისა, იგი თავის მუნჯ უდრტვინველობაში ჩაკეტილიყო და ნელ-ნელა სისხლისაგან იცლებოდა, გაუბედავი ხდებოდა, ეშინოდა გაშოეთქვა თავისი აზრი, რაც უფრო და უფრო ბორკავდა ყოველ მის მოქმედებას და მდუმარებასა და უძრაობის საბურველში ხვევდა მას. აბატი გრძნობდა, რომ უმოქმედობაში იძირებოდა, და წუხდა, მაგრამ არაფერს კი იღონებდა. კრისტოფის გაცნობა დიდ შემწეობად მოევლინა. ის ჭაბუკური მგზნებარება, ის მეგობრული და გულუბრყვილო ინტერესი, რომელსაც იჩენდა მისდამი მეზობელი, მალამოდ ეცხებოდა აბატს. კრისტოფი აიძულებდა მას, დაბრუნებულიყო ცოცხალთა საზოგადოებაში.

ობერი, ელექტრომონტიორი, აბატს ერთხელ კრისტოფთან შეხვდა. მღვდელი რომ დაინახა, მას პირს კატა ეცა. ადვილად ვერ მოახერხა, დაემალა თავისი ათვალწუნება. მერეც, როცა ეს პირველი შეგრძნება დაძლია, ობერი კვლავ მოუსვენრად იყო, რაღაც ეუხერხულებოდა ამ ანაფორიანი კაცის გვერდით ყოფნა, გაურკვეველ პიროვნებას რომ წარმოადგენდა მისთვის. მაგრამ აზრის გაზიარების ინსტინქტმა და განათლებულ ადამიანებთან საუბრის სიამოვნებამ ბოლოს მაინც აჯობეს სასულიერო პირთა მიმართ მის მტრულ განწყობილებას. ობერი გაეკვირვებინა იმ გულითადობას, რაც ბ. ნ ვატლესა და აბატ კორნელს შორის დამყარებულიყო; იგი არანაკლებ გაეოცებინა იმას, რომ ცხადად ხედავდა, მღვდელი დემოკრატი იყო, ხოლო რევოლუციონერი—არისტოკრატი: ეს თავდაყირა აყენებდა მთელ მის შეხედულებებს. ობერი ამაოდ ცდილობდა რომელიმე სოციალური კატეგორიის მიხედვით დაეჯგუფებინა ისინი, რადგან სჯირდებოდა დაეჯგუფებინა, რომ გაეგო ადამიანები. ადვილი როდი გახლდათ ეპოვა განყოფილება, სადაც ადგილი მიეჩინებოდა მშვიდ თავისუფლებას ამ მღვდლისა, რომელსაც წაეკითხა ანატოლ ფრანსი და რენანი და დინჯად, სამართლიანად და ზედმიწევნით მართებულად მსჯელობდა მათზე. შემეცნების საკითხში აბატ კორნელს წესად ჰქონდა ყური ეთხოვებინა მისთვის, ვინც იცოდა, ვიდრე მისთვის, ვინც განკარგულებებს იძლეოდა. იგი პატივს სცემდა ხელი-

სუფლებას, მაგრამ მას მეცნიერებასთან ერთ რიგში როდი ათანაბრებდა. ხორცი, სული, გულმოწყალება — აი, სამი რიგი, ღვთაებრივი კიბის, იაკობის კიბის სამი საფეხური. რასაკვირველია, ჩვენი გულუბრყვილო ობერი ვერა თუ მიხვდებოდა, ვერც გაიაზრებდა ამგვარ სულისკვეთებას. აბატი კორნელი კი უწყინარი ხმით ეუბნებოდა კრისტოფს, ობერი იმ ფრანგ გლეხებს მაგონებს, რომლებთანაც ერთხელ ასეთ სურათს შეეესწარიო: ერთმა ინგლისელმა ქალიშვილმა გლეხებს გზა ჰკითხა. იგი ინგლისურად ელაპარაკებოდა. გლეხები დინჯად უსმენდნენ, თუმცა ვერაფერი გაიგეს. მერე ფრანგულად დაუწყეს ლაპარაკი. ქალიშვილი ვერაფერს მიხვდა. მაშინ გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს, სიბრალულით თავები გააქნიეს და მუშაობა განაგრძეს, თან ჩაილაპარაკეს:

— საცოდავი! მერე, რა მშვენიერი გოგონაა!...

პირველ ხანს ობერი, აბატისა და ბ-ნ ვატლეს ცოდნისა და სიდარბაისლის წინაშე მორიდებული, დუმდა და სმენადქცეული ნთქავდა მათს საუბარს. მერე, საკუთარი აზრის გამოთქმის ცთუნებას რომ ვეღარ გაუძლო, ნელ-ნელა თვითონაც ჩაერია. ელექტრომონტიორმა გადმოუშალა მათ თავისი კაცთმოყვარული და ფრიად ბუნდოვანი მოძღვრება. ორივენი თავაზიანად უსმენდნენ, უნებლიეთ ღიმმორეულნი. გატაცებულ ობერს ამით არ ამოუწურავს: მან ისარგებლა აბატ კორნელის ყურის დაგდებით, ხოლო მალე ბოროტად გამოიყენა მისი უსაზღვრო მოთმინება და ახლა თავისი ნაჯახირები თხზულებები წაუკითხა. მღვდელი კვლავ მორჩილად უსმენდა; იგი არც ისე გაბეზრებული ჩანდა, რადგან მოძღვარი ყურს უგდებდა არა იმდენად სიტყვებს, რამდენადაც ადამიანს. შემდეგ კი, როდესაც კრისტოფმა ამის გამო სამძიმარი უთხრა აბატს, მან უპასუხა:

— ეგ რაა! მაგაზე უარესი მომისმენია!

ობერი მადლიერი იყო ბ-ნ ვატლესი და აბატ კორნელისა; და სამივენი, თავს აღარ იწუხებდნენ იმით, რომ ჩასწვდომოდნენ ერთიმეორის აზრებს, უკეთუ კიდევ აინტერესებდათ ისინი, სიყვარულით განიმსჭვალნენ ერთმანეთის მიმართ, თუმცა კარგად თვითონაც ვერ მიმხვდარიყვნენ — რატომ. მათ უკვირდათ, რომ ასე დაახლოებულიყვნენ. ამას ვერასოდეს წარმოიდგენდნენ. მათ აკავშირებდათ კრისტოფი.

კრისტოფს ჰყავდა უმანკო მესაიდუმლენი სამი გოგონას სახით — ელსბერჟეს ორი კუდრაჭა და ბ-ნ ვატლეს შვილობილი. კრისტოფი მათ მეგობრად გახდომოდა; ისინიც აღმერთებდნენ მას. კრისტოფს გული ეკუმშებოდა იმ მარტოობით, რომელშიაც ეს ბავშვები ცხოვრობდნენ. იგი ხშირად ესაუბრებოდა ელსბერჟეს გოგონებს პატარა უცნობი მეზობლის შესახებ, რამაც თანატოლის გაცნობის დაუოკებელი სურვილი აღუძრა მათ. ისინი უკვე ფანჯარაში ხელებით ანიშნებდნენ ერთმანეთს; კიბეზე საიდუმლოდ რაღაცას გადასძახოდნენ. გოგონებმა, კრისტოფის ხელშეწყობით, მიაღწიეს, რომ მშობლებს ნება დაერთოთ, ხანდახან ლუქსემბურგის ბაღში ერთად გაესეირნათ. თავისი ჩანა-

ფიქრის წარმატებით გახარებულმა კრისტოფმა პირველ დღეს თვითონაც შეიარა ბაღში, რომ მათი თამაშობისათვის ეცქირა; მაგრამ ნახა, რომ გოგონები უხერხულად, შებოჭილად გრძნობდნენ თავს და არ იცოდნენ, რა ექნათ ამ ციდან ჩამოვარდნილი ბედნიერებისათვის. კრისტოფმა ერთბაშად ხელ-ფეხი გაუხსნა მათ, მოიგონა თამაშები, შეაჯიბრა გასწრებაზე, ათამაშა დაჭერობანა; მერე თვითონაც აჰყვა და ისეთი გატაცებით ჩაერთო თამაშში, თითქოს ისიც ათი წლისა ყოფილიყოს. გამვლელ-გამომვლელი მოსეირნეები დამცინავი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ამ მოზრდილ ყმაწვილს, ყვირილით რომ დარბოდა, ხეებს გარშემო ურბენდა და უკან დაიდევნებდა სამ თითისტოლა გოგუცუნას. მაგრამ რაკი მშობლები, მუდამ უნდოდ განწყობილნი, დიდ ხალისს არ იჩენდნენ, რომ ეს გასეირნებები ლუქსემბურგის ბაღში გახშირებულიყო (ძნელი იყო იქ წესიერად თვალი სჭეროდათ ბავშვებზე), — კრისტოფმა მოახერხა, რომ პირველ სართულზე მცხოვრებ მაიორ შაბრანს გოგონები სახლის წინ მდებარე ბაღში სათამაშოდ მიეწვია.

მაიორ შაბრანს იგი შემთხვევამ შეჰყარა (შემთხვევა მუდამ მას ეძებს, ვინც მას ხელიდან არ უშვებს). კრისტოფს სამუშაო მაგიდა ფანჯარასთან ედგა. ერთხელ ქარმა ნოტები მოსტაცა და დაბლა, ბაღში ჩააფრიალა. კრისტოფი დაედევნა ფურცლებს, თავშიშველი და გაღეღილი, ისევე, როგორც იყო. გაიფიქრა, მოსამსახურე ვინმე გამომხედავსო. კარი ქალიშვილმა გაუღო. კრისტოფმა, ცოტა არ იყოს დაბნეულმა, თავისი მოსვლის მიზეზი აუხსნა. ქალიშვილმა გაიღიმა და შიგნით შეიპატიჟა. ბაღი ერთად გაიარეს. წამოკრიფა თუ არა ნოტები, კრისტოფი ჩქარობდა მოეძურწა და ის-ის იყო ქალიშვილს უნდა გამოეცილებინა, რომ უცებ მაიორი შემოხვდათ კარებში. შაბრანმა გაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ტანსაცმელამოჩაჩული, უცნაური სტუმარი. ქალიშვილმა ღიმილით წარუდგინა იგი მამას.

— აა! ეს თქვენ ხართ მუსიკოსი? — თქვა გადამდგარმა ოფიცერმა.

— მოხარული ვარ. კოლეგები ვყოფილვართ.

ხელი ჩამოართვა კრისტოფს. მერე მეგობრული ირონიით გაისაუბრეს იმ კონცერტების შესახებ, რომლებითაც ერთმანეთს უმასპინძლდებოდნენ კრისტოფი როიალზე, ხოლო მაიორი — ფლეიტაზე. კრისტოფმა წასვლა დააპირა, მაგრამ მასპინძელმა არ გაუშვა და მუსიკაზე გაუთავებელ მსჯელობას მოჰყვა. უცებ გაჩუმდა და კრისტოფს მიმართა:

— მოდით, ჩემი „ზარბაზნები“ გაჩვენოთ.

კრისტოფი გაჰყვა; გულში კი ფიქრობდა: რაში სჭირდება მას, ფრანგულ არტილერიაზე ჩემი აზრი გაიგოსო. შაბრანმა, გამარჯვებულის გამომეტყველებით, მუსიკალური კანონები“[1] უჩვენა გერმანელს. ეს გახლდათ თავსატეხი

[1] ფრანგული სიტყვა canon აღნიშნავს როგორც „ზარბაზანს“, ასევე მუსიკალურ „კანონს“. (მთარგმ. შენიშვ.).

პიესები, რომელთა დაკვრაც შეიძლებოდა ბოლოდან დაწყებულიყო, ანდა შესრულებულიყვნენ ოთხი ხელით—ერთს წაღმა ჩაეკითხა გვერდი, მეორე კი უკუღმა ამოჰყოლოდა. პოლიტექნიკური სკოლის[1] ყოფილ კურსანტს, მაიორ შაბრანს იმთავითვე იტაცებდა მუსიკა, მაგრამ ყველაზე მეტად მასში მაინც გამოცანა უყვარდა: მუსიკა მიაჩნდა მას (რადგან ნაწილობრივ ეს ასეც არის) გონების დიდებულ თამაშად; და გადამდგარი ოფიცერი გულდაგულ ადგენდა და ხსნიდა მუსიკაზე აგებულ ათასგვარ გამოცანებს, ერთიმეორეზე აბდაუბდასა და უსარგებლოს. ცხადია, თავისი სამსახურის მანძილზე მაიორს არ ეცალა საკუთარი ჟინი დაეკმაყოფილებინა; მაგრამ მას შემდეგ, რაც პენსიაზე გავიდა, მთელი არსებით მას მიეცა; ამ საქმეს ალევდა მთელ თავის ენერგიასა და გამჭრიახობას, როგორითაც ოდესღაც აფრიკის უდაბნოებში მისდევდა ზანგ ბელადთა უკუქცეულ რაზმებს, ანდა თავს აღწევდა მათ მიერ დაგებულ ხაფანგს. კრისტოფი გაამხიარულა ამ შარადებმა და ახლა თვითონ შეადგინა კიდევ უფრო ძნელი. ოფიცერი აღტაცებაში მოვიდა; გაეჯიბრნენ ვინ უკეთესს მოიგონებდა, და მუსიკალური რებუსები სეტყვასავით დააყარეს ერთმანეთს. თამაშით რომ გული იჯერეს, კრისტოფი შინ დაბრუნდა. მაგრამ სისხამ დილით მეზობელმა ახალი გამოცანა დაახვედრა — ნამდვილი თავსატეხი, რომლის შედგენაზე მაიორმა თითქმის მთელი ღამე თეთრად გაათენა. მანაც უპასუხა და ბრძოლა მანამდის არ შეწყვეტილა, ვიდრე კრისტოფმა, უკვე ყელში რომ ამოუვიდა თამაში, თავი დამარცხებულად არ სცნო. ამაზე ოფიცერი სიხარულით ცას ეწია: ეს გამარჯვება მან გერმანიაზე რევანშის აღებად ჩათვალა. კრისტოფი სადილად დაპატიჟა. გერმანელის გულაბდილობამ, პირში რომ მიახალა მაიორს, თქვენი მუსიკალური კომპოზიციები საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებენო, და მისმა შეყვირებამ, როდესაც ოფიცერმა თავის ფისჰარმონზე ჰაიდნის „ანდანტე“ ააწრიპინა — საბოლოოდ დაიპყრო შაბრანი. შემდეგში ისინი ხშირად ბაასობდნენ ხოლმე ერთად, მაგრამ მუსიკაზე კი — აღარასოდეს. კრისტოფს არცთუ ძალიან აინტერესებდა ამ საკითხზე მეზობლის ზერექვერე მსჯელობები და ამჯობინებდა სამხედრო ამბებზე ესაუბრათ. მაიორსაც მეტი რა უნდოდა: მუსიკით ეს საცოდავი კაცი ძალისძალად თავს იქცევდა, გულის სიღრმეში კი ნაღველი შემოსწოლოდა.

მას დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია, მოეთხრო თავის აფრიკულ ლაშქრობებზე. ეს გახლდათ არაჩვეულებრივი თავგადასავლები, ღირსი პისაროსი და კორტესისა! კრისტოფი გაშტერებული შეჰყურებდა თვალწინ გაცოცხლებულ ამ საკვირველ და ბარბაროსულ ეპოპეას, რომლის შესახებ აქამდე არაფერი სმენოდა და რაზეც წარმოდგენა არა ჰქონდათ თურმე თვით ფრანგებსაც: მთელი ოცი წლის მანძილზე უხვად იხარჯებოდა გმირული აღტყინება, გონივრული გაბედუ-

---

[1] სამხედრო საოფიცრო სასწავლებელი საფრანგეთში (მთარგ. შენიშ.).

ლეპა და ზეადამიანური ენერგია ერთი მუჭა ფრანგი დამპყრობლებისა, შავი კონტინენტის ჯუნგლებში გადაკარგულნი, ზანგთა არმიებით ალყაშემორტყმულნი და მოქმედების უმარტივეს საშუალებებს მოკლებულნი, მიუხედავად საზოგადოებრივი აზრის სიმხდალისა და მთავრობის პოლიტიკის სილაჩრისა, მაინც განუწყვეტლივ რომ განაგრძობდნენ ბრძოლას, რათა დაეპყროთ საფრანგეთისათვის, საფრანგეთისავე სურვილის წინააღმდეგ, თვით საფრანგეთზე დიდი და ვრცელი იმპერია. ძალუმი სიხარულით გამმსჭვალავ, სისხლის სუნით გაჟღენთილ ამ ბრძოლებში კრისტოფს თვალწინ ეხატებოდა თანამედროვე კონდოტიერთა და გმირული თავგადასავლების მაძიებელთა სახეები, რომლებიც უჩვეულოდ მოჩანდნენ დღევანდელი საფრანგეთის ფონზე და რომელთა სახელის გახსენებაზე სირცხვილით იწვოდა დღევანდელი საფრანგეთი, კდემით რომ ცდილობდა დავიწყების რიდე ჩამოეფარებინა მათთვის. ამ ლაშქრობებს რომ იგონებდა, მაიორს ხმაში მხნეობა ემატებოდა; იგი ჰყვებოდა ხალისიანი გულღიაობით და ამ ეპიკურ თხრობაში უცნაურად ჩაურთავდა ხოლმე საგულისხმო ცნობებს, ზუსტი და ცივი ტერმინებით, ნიადაგის გეოლოგიური აღნაგობის შესახებ, იმ ქანცისგამწყვეტ ურთიერთდევნაზე, ერთმანეთზე დაგეშილ ადამიანთა ნადირობაზე, რომლის დროს, ამ ულმობელ ბრძოლაში, ხან მონადირე ხარ და ხან ნადირი. კრისტოფი უსმენდა, უყურებდა და თანაგრძნობით გამსჭვალულიყო ადამიანური მოდგმის ამ ჯანსაღი ცხოველის მიმართ, უმოქმედობისათვის განწირული, სასაცილო თამაშში რომ ცდილობდა დაეხარჯა თავისი ენერგია. კრისტოფს უკვირდა, როგორ ურიგდებოდა მაიორი ბედს. ამის შესახებ მან პირადადაც ჰკითხა ოფიცერს. თავდაპირველად მაიორი შაბრანი, ჩანს, არ აპირებდა, გარეშე ვინმესთვის გაენდო გულში დამარხული წყენა. მაგრამ ფრანგებს უჭირთ ენას კბილი დააჭირონ, მეტადრე თუ საქმე ეხება ერთმანეთისათვის ბრალის დადებას.

— რა მესაქმება დღევანდელ მაგათ ჯარში? — მიუგო მან. — მეზღვაურებს მწერლობა დაუწყიათ. ქვეითი ჯარისკაცები სოციოლოგობას ჩემულობენ. ისინი ახერხებენ ყველაფერს, გარდა ომისა. ომისათვის კი აღარც ემზადებიან; უფრო სწორად, ემზადებიან იმისათვის, რომ აღარ იომონ და ფილოსოფოსობენ ომზე... ომის ფილოსოფია! აი გალახული ვირების თავშესაქცევი, რომლებსაც არ ასვენებთ იმაზე ფიქრი, რომ ხვალ კიდევ მიბეგვავენ!... ყბედობა და ფილოსოფოსობა ჩემი ხელობა არ გახლავთ. მირჩევნია შინ ვიჯდე და მუსიკალური „ზარბაზნები“ ვასხა!

მაგრამ სირცხვილით ხმა არ ამოუღია იმაზე, რაც ყველაზე მეტად გულს უღრღნიდა: მაბეზღარობის წამქეზებლობაზე, უნდობლობას რომ თესავდა ოფიცერთა შორის, უმეცარ და მავნე პოლიტიკოსთა უტიფრულ ბრძანებებზე, ჯარისკაცის თავმოყვარეობას რომ ლახავდნენ, არმიის ტკივილებზე, არმიისა, რომელსაც პოლიციის საზიზღარ მოვალეობას აკისრებდნენ — აეწერა საეკლესიო ქონება, ჩაეხშო მუშათა გაფიცვები, ეიძულებინა ემსახურა მმართველი

პარტიის, ამ წვრილბურჟუაზიული რადიკალებისა და ანტიკლერიკალების ინტერესებისათვის და მათს მტრებზე შურის საძიებლად — მთელი დანარჩენი ქვეყნის წინააღმდეგ. აღარაფერს ვამბობთ ამ ძველი „აფრიკელის“ ზიზღზე ახალი კოლონიური ჯარისადმი, რომელსაც აკომპლექტებდნენ ერის ყველაზე უღირსი ნაწილისაგან, რათა ეამებინათ მათი ეგოიზმისა და სიმხდალისათვის, ვინც უარს აცხადებდა მონაწილეობა მიეღო „დიდი საფრანგეთის“ — საფრანგეთის ზღვისგაღმა სამფლობელოთა დაცვის უზრუნველყოფის საპატიო და საროსკო საქმეში.

კრისტოფი არ აპირებდა ჩარეულიყო ფრანგების შინაურ დავაში: ეს მას არ ეხებოდა; მაგრამ იგი თანაუგრძნობდა ყოფილ ოფიცერს. რა აზრისაც უნდა ყოფილიყო ომზე, კრისტოფს მიაჩნდა, რომ ჯარი მოწოდებული იყო შეექმნა ჯარისკაცები, როგორც ვაშლის ხემ უნდა დაისხას ვაშლი, და უცნაურ გაუკუღმართებას წარმოადგენდა, ემყნოთ მასზე პოლიტიკოსები, ესთეტები და სოციოლოგები. და მაინც კრისტოფს ვერ გაეგო, ამ ჯერ კიდევ მხნე კაცს რატომ დაეთმო გზა სხვებისათვის. იმაზე დიდი თავის მტრობა არა არის რა—არ ებრძოლო შენს მტრებს. ჩანს, ყოველ ცოტად თუ ბევრად ღირსეულ ფრანგში საკუთარი თავის უარყოფის, თვითგანდგომის უცნაური სულისკვეთება ფესვგადგმულა. ეს სულისკვეთება, ოღონდ უფრო ღრმა და უფრო გულდასაწყვეტი, კრისტოფმა ოფიცრის ასულშიაც აღმოაჩინა.

მას სელინს ეძახდნენ. მაღლა გულმოდგინედ ავარცხნილ და თავზე ნაწნავად დაგრაგნილ ნაზ თმებს გამოეჩინათ მისი მაღალი, მრგვალი შუბლი, ოდნავ წაწვეტებული ყურები და გამხდარი ლოყები, რომლებსაც სოფლური სილამაზის კოხტა ნიკაპი ამშვენებდათ; მიმზიდველი მაყვლისფერი თვალები ჰქონდა — ჭკვიანი, მიმნდობი, ძალზე წყნარი და ახლომხედველი; ცხვირი ოდნავ სქელი, ტუჩის ზედა კუთხეში პატარა ხალი შვენოდა, უსიტყვო ღიმილი ქვედა, ოდნავ გაბერილ ტუჩს მოხდენილად წინ უწევდა და ეშხიან ნაოჭს უკეთებდა. სელინი კეთილი, გამრჯე და გონებამახვილი ქალიშვილი გახლდათ, მაგრამ არავითარ ცნობისმოყვარეობას არ იჩენდა, რომ გათვითცნობიერებულიყო: კითხულობდა ცოტას, არ იცნობდა არც ერთ ახალ წიგნს, არ დადიოდა თეატრში, არ მოგზაურობდა (რომ სევდა არ აღეძრა მამისათვის, რომელსაც თავის დროზე ბევრი ემოგზაურა), არ მონაწილეობდა საზოგადოებრივი ქველმოქმედების დაწესებულებებში (მამა კიცხავდა მათ), არ ცდილობდა ესწავლა (მაიორი დასცინოდა ნასწავლ ქალებს) და თითქმის არასოდეს სცილდებოდა თავისი ბაღის კუნჭულს, ოთხივ მხრიდან მაღალი კედლებით შემოზღუდული, ვეება ჭას რომ მოგაგონებდათ. მაგრამ სელინი არ იყო მაინცდამაინც მოწყენილი. ერთობოდა, როგორც შეეძლო და არხეინად შერიგებოდა ბედს. ქალიშვილის სახიდან და იმ პატარა სამყაროდან, შეუცნობლად რომ იქმნის თავისთვის ყოველი ქალი, შარდენის სურათების განწყობილების სიო მობერავდა: ჩვეულებრივი საქმით გართულ ადამიანთა ყურადღებიანი (ცოტა გაშტერებული) სახეებისა და პო-

ზების თბილი სიწყნარე; ყოველდღიური ყოფის, შეჩვეული ცხოვრების პოეზია, დაუსრულებელი მწკრივი წინასწარ ცნობილი აზრებისა და ჟესტებისა, ერთსა და იმავე საათზე და ერთსა და იმავე სახით რომ გვეცხადებიან, და მაინც ნაზი და მთრთოლვარე სიყვარულით გვმსჭვალავენ; უბრალო ადამიანების მშვენიერ სულთა უდრტვინველი მოკრძალებულობა: პატიოსნება, სინდისი, გულმართლობა, სიმშვიდე, მშვიდი შრომა, მშვიდი სიხარული, მშვიდი, მაგრამ მაინც პოეტური; ჯანმრთელი სიტურფე, სულიერი და ხორციელი სიწმინდე, საამო, როგორც თბილი პურის სუნი და ლავანდის სურნელი, ტკბილი, როგორც გულწრფელობა და გულკეთილობა; საგნებისა და ადამიანების მშვიდი ყოფა და ძველი სახლებისა და მოღიმარე სულთა მყუდროება...

კრისტოფი, რომლის გულითადი მიმნდობელობა საპასუხო ნდობას აღძრავდა ადამიანებში, ძალიან დაუმეგობრდა სელინს. ისინი უკვე საკმაოდ თავისუფლად საუბრობდნენ; მალე მან ისეთი თამამი შეკითხვების მიცემა დაუწყო, რომ ქალიშვილს თვითონვე უკვირდა, როდესაც უპასუხებდა: ისეთ რამეებს უმხელდა ჭაბუკს, რასაც არავის, თვით ყველაზე ახლობელ გულის მესაიდუმლესაც კი არ გაანდობდა.

— ეგ იმიტომ, — ეუბნებოდა კრისტოფი, — რომ ჩემი არ გეშინიათ. ჩვენ არ გვემუქრება საფრთხე, რომ ერთმანეთი შეგვიყვარდეს: საამისოდ უკვე მეტისმეტად ახლო მეგობრები ვართ.

— რა სათნო ხართ, — მიუგებდა ქალიშვილი ღიმილით.

მის ჯანმრთელ ბუნებას, ისევე, როგორც კრისტოფისას, ზიზღს ჰგვრიდა მეგობრობით შენიღბული სიყვარულის ფორმა, რომელსაც ესწრაფვიან ჩვეულებრივ არაგულწრფელი ადამიანები, ეშმაკურად რომ მალავენ თავიანთ ნამდვილ გრძნობებს. კრისტოფი და სელინი ხალასი მეგობრები იყვნენ.

ერთხელ კრისტოფმა ჰკითხა: ნაშუადღევს ბაღში, სკამზე რომ ზიხართ ხოლმე და ხელსაქმე მუხლებზე დაგიდვიათ, მთელი საათობით რაზე გარინდულხართო. ქალიშვილი გაწითლდა და შეეპასუხა, საათობით არასოდეს, მხოლოდ ხანდახან, ორიოდე წუთით, დიდი-დიდი მეოთხედი საათით თუ შემოსვენია, რომ „თავგადასავალი განმეგრძოო“.

— რომელი თავგადასავალი?

— ჩემს თავს რომ ვუყვები.

— თქვენს თავს თავგადასავლებს უყვებით? საინტერესოა! ერთი მეც მოგიყევით!

ქალმა უთხრა, მეტისმეტად ცნობისმოყვარე ყოფილხართო, და მხოლოდ ის გაუმხილა, ამ თავგადასავლების გმირი მე არ გახლავართო.

კრისტოფმა გაიკვირვა:

— რაკი თავგადასავლები გინდათ უამბოთ თქვენს თავს, უჯრო ბუნებრი-

ვი არ იქნებოდა, საკუთარი თავგადასავალი მაინც გეამბნათ, ცოტა შელამაზებული, რომ უფრო ბედნიერად წარმოიდგინოთ თავი.

— საკუთარს არ ვისურვებდი, — თქვა სელინმა, — ეს სასოწარკვეთილებაში ჩამაგდებდა.

იგი კვლავ გაწითლდა, რომ უნებლიეთ თავისი სულის იდუმალებაში სხვა ჩაახედა, და განაგრძო:

— ჰოდა, ბაღში რომ ვზივარ და ცელქი სიო სახეზე მელამუნება, ბედნიერი ვარ. ხოლო როდესაც ბაღში შორით მონაქროლი მძვინვარე ქარი შემოიჭრება, რამდენ ამბებს მიყვება!

მიუხედავად მისი მოჩვენებითი სიმშვიდისა, კრისტოფი ჭვრეტდა ქალიშვილის სულში დაფარულ ღრმა სევდას, თავისი მხიარული განწყობილებითა და ხალისიანობით რომ ცდილობდა დაემალა, თუმცა ამით თავს ვერ იტყუებდა და სევდას ვერ იმსუბუქებდა. რატომ არაფერს იღონებდა იგი, თავი დაეღწია ამ კარჩაკეტილობისათვის და ახალი ცხოვრება შეექმნა? ის ხომ ბუნებით მჩქეფარე და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის იყო გაჩენილი! სელინი იმიზეზებდა, რომ ვერ დაეთმო მშობელი მამა, რომელსაც გაგონებაც არ სურდა ქალიშვილის გათხოვებაზე. კრისტოფი ამაოდ ჩასჩიჩინებდა, ისეთ მაგარსა და მხნე კაცს, როგორიც მაიორი გახლავთ, სულაც არ სჭირდება თქვენი მზრუნველი ხელი, მისებრ ნაწრთობი ადამიანი თავისუფლად გაძლებს სრულიად მარტოც და უფლება არა აქვს. მსხვერპლად შეიწიროს შვილის მომავალიო. სელინი ცდილობდა დაეცვა მამა; მაგრამ გასამართლებელი რომ ვეღარაფერი ეპოვა, ტყუილშიღა ეძებდა ხსნას და ირწმუნებოდა, ვითომ მამა კი არ უშლიდა გათხოვებას, არამედ თვითონ ვერ შელეოდა მამას. თუმცა არც ეს იყო მთლად საფუძველს მოკლებული. ჩანს, ოდითგანვე, სელინსაც, მამამისსაც და მთელ მათს ნათესაობასაც შეურყეველად მიაჩნდათ, რომ ასე მოითხოვდა წესი და სხვანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო. სელინს ჰყავდა ცოლიანი ძმა, რომელიც უცნაურს ვერაფერს ხედავდა იმაში, რომ დას თავი გაეწირა და თავისი დღენი შინ, მამის გვერდით მჯდარიყო. თავად იგი შვილებს იყო გადაყოლილი. ეჭვიანი სიყვარულით დღენიადაგ კუდში დასდევდა და დამოუკიდებლად ნაბიჯს არ ადგმევინებდა მათ. ეს სიყვარული მისთვის და განსაკუთრებით მისი მეუღლისათვის გახლდათ ნებაყოფლობით დადგმული უღელი, მძიმე ტვირთად რომ აწვებოდა მათს სიცოცხლეს და ბოჭავდა ყოველ მათს მოქმედებას; თითქოს მას შემდეგ, რაც შვილები ეყოლათ, ცოლ-ქმარის პირადი ცხოვრება დამთავრდა, სამუდამოდ უარი უნდა ეთქვათ საკუთარ წინსვლაზე; ეს სიცოცხლით სავსე, ჭკვიანი და ჯერ სრულიად ახალგაზრდა კაცი უკვე ითვლიდა, რამდენი წელი უკლდა კიდევ, რომ პენსიაზე გასულიყო. კრისტოფი გრძნობდა, რომ ამ ჩინებული ადამიანებისათვის მძიმე კირთებად ქცეულიყო ოჯახზე გადაგების სულისკვეთება, რომელსაც საფრანგეთში ოჯახისადმი ღრმა, მაგრამ გამთანგველი, ილაჯის წამართმევი სიყვარული ასულდგმულებდა. ეს სიყვარული მით უფრო წელში გამწყვე-

ტია, რომ ფრანგული ოჯახი, ჩვეულებრივ, მხოლოდ და მხოლოდ დედის, მამისა და ერთი ან ორი შვილისაგან შედგება. აქედან წარმოსდგება ის მოკანკალე, შიშნეული და სულგაკმენდილი სიყვარული, რომელიც ძუნწის ხელში მომუჭული ოქროსადმი სიხარბეს მოგვაგონებს.

გაუთვალისწინებელმა გარემოებამ, რამაც უფრო გააღვივა კრისტოფის ინტერესი ქალიშვილისადმი, თვალნათლივ დაანახა მას, რარიგ მიჯაჭვული იყვნენ ფრანგი ადამიანები საკუთარ ოჯახებს, რარიგ ეშინოდათ ეცხოვრათ, ნებაზე მიეშვათ თავიანთი ბედი და მიეღოთ ის სიკეთე, რაც მათ წილად ერგებოდათ.

ინჟინერ ელსბერეეს ჰყავდა ათი წლით უმცროსი ძმა, რომელიც აგრეთვე ინჟინერი იყო. ეს გახლდათ პატიოსანი ყმაწვილი კაცი, როგორსაც ხშირად შეხვდებით წესიერ ბურჟუაზიულ ოჯახებში, შემოქმედებით მიდრეკილებებს რომ ამჟღავნებენ; ეს ახალგაზრდები სიამოვნებით იმოღვაწებდნენ ხელოვნების ასპარეზზე, მაგრამ არ უნდათ შეილახონ თავიანთი მდგომარეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. სინამდვილეში მთელი სიძნელე ამაში როდი მდგომარეობს; ამ ამოცანას ჩვენი დროის ხელოვანთა უმრავლესობა ისე წყვეტს, რომ თითი არ გაიკაწროს. მთავარია, გული გულობდეს, გსურდეს; მაგრამ ამ ერთი შეხედვით უბრალო ნებისყოფის გამოვლენის უნარიც ყველას როდი შესწევს: ისინი საკმაოდ ღარწმუნებული არ არიან, რომ ნამდვილად სურთ ის, რასაც ელტვიან; ხოლო ისაც უფრო მყარი ხდება მათი მდგომარეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ეს ადამიანები ბის ფერხულში ებმებიან უჯანყოდ და უხმაუროდ, ვინ ღაძრახავდა მათ იმისათვის, რომ უხეირო ხელოვანის სახელს კარგი ბურჟუაზია ამჯობინეს. მაგრამ ადრინდელი იმედგაცრუება ძალიან ხშირად იდუმალი უკმაყოფილების კვალს ტოვებს მათს სულში, ერთგვარ qualis artifex pereo[1]-ს, რომლის მიღმა ის ნაღვლიანი განწყობილება იმალება, პირობითად ფილოსოფიურ ჩაფიქრებულობას რომ ეძახიან და სწამლავს მათს ცხოვრებას მანამ, ვიდრე მუხთალი დრო და ახალი საზრუნავი არ წარხოცავს ძველი სევდის გამოძახილს. სწორედ ამ დღეში იყო ანდრე ელსბერეეც. თავიდან მას ლიტერატურული მოღვაწეობა იზიდავდა. მაგრამ ძმამ, თავისი მრწამსის სისწორეში მტკიცედ დაჯერებულმა, დაიყენა ისიც მეცნიერებას გაჰყოლოდა. ანდრე ჭკვიანი ყმაწვილი გახლდათ და ერთნაირად მიდრეკილებას იჩენდა როგორც მეცნიერებისადმი, ასევე ლიტერატურისადმი; იგი საკმაოდ დარწმუნებული არ იყო, რომ მწერალი გამოვიდოდა. მაგრამ საკმარისზე მეტად იყო დარწმუნებული, რომ შეეძლო ბურჟუა გამოსულიყო; თავდაპირველად, დროებით (ალბათ მიხვდებით, რას ნიშნავს ეს სიტყვა), დაჰყვა ძმის ნებას: შეევიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ჩაბარა მისაღები გამოცდები არც ისე ბრწყინვალედ, დაამთავრა არცთუ დიდი წარმატებით და მას აქეთ მუშაობდა ინჟინრის

---

[1] „რა მსახიობი ვკვდები!" (ლათ.) — სიკვდილის წინ წარმოთქმული ფრაზა რომის იმპერატორ ნერონის მიერ, რომელსაც ღიდ მსახიობად მიაჩნდა თავი.— რედ. შენიშვნა.

თანამდებობაზე, კეთილსინდისიერად, მაგრამ ყოველგვარი ინტერესის გარეშე. რასაკვირველია, ამასობაში მას გაუქრა შემოქმედებითი მიდრეკილების ის მცირე ნიშნებიც, ადრე რომ ამჟღავნებდა; ამიტომ ახლა თავის ადრინდელ გატაცებას მხოლოდ ირონიით თუ გაიხსენებდა ხოლმე.

— ესეც არ იყოს, — იტყოდა ხოლმე ანდრე (კრისტოფი ამ მსჯელობაში ოლივიეს პესიმიზმს სცნობდა), — ცხოვრება იმად არა ღირს, რომ მიუღწეველ კარიერაზე ფიქრით თავი აიტკიო. ერთი უხეირო პოეტით ქვეყანას არც არა მოემატება რა, არც დააკლდება!..

ძმებს უყვარდათ ერთმანეთი; ორივენი ერთი და იგივე სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული, მაგრამ საერთო ენა ვერ ეპოვათ. ადრე ორივენი დრეიფუსელები იყვნენ. მაგრამ ანდრე, სინდიკალისტურ იდეებს აყოლილი, ანტიმილიტარისტი გახდა; ელი კი პატრიოტი დარჩა.

ბევრჯერ ყოფილა, ანდრე, კრისტოფთან რომ დადიოდა ხოლმე, ძმასთან არც კი შეივლიდა. კრისტოფს აკვირვებდა ეს; მას დიდი გულითადობა არ აკავშირებდა ანდრესთან. ეს უკანასკნელი ერთთავად გაჩუმებული იჯდა, მხოლოდ ვინმეზე ან რამეზე თუ დაიწუწუნებდა, რაც უკვე მოსაბეზრებელი გამხდარიყო; ხოლო როდესაც კრისტოფი ლაპარაკობდა, ანდრე სხვა რამეზე ფიქრობდა. ჰოდა, კრისტოფსაც ძალიან არ მოხათრებია პირში მიეხალა, რომ მისი ხშირი სტუმრობა დროის უქმად ფლანგვად მიაჩნდა; მაგრამ ანდრე აინუნში არ აგდებდა, ვითომც არ გაუგონიაო. ბოლოს კრისტოფი მიხვდა, რა მუცლის გვრემაც ჰქონდა თურმე ანდრეს: ერთ დღესაც კრისტოფმა შეამჩნია, რომ სტუმარი ლამის ფანჯრიდან გადავარდნილიყო, მთელი გულისყური იქით ჰქონდა, რა ხდებოდა დაბლა, ბაღში და ნაკლებად აინტერესებდა მასპინძლის საუბარი. კრისტოფმა აგრძნობინა, მიგიხვდიო და ანდრესაც გამოტეხა არ დასჭირვებია, აღიარა, რომ იცნობდა მადმუაზელ შაბრანს და ნაწილობრივ ეს გახლდათ კრისტოფთან მისი ხშირი სტუმრობის მიზეზიც. ხოლო რაკი ერთი პირი მოხსნა, მოუყვა, რომ დიდი ხანია გულში აქვს სელინის სიყვარული და, შესაძლოა, უფრო მეტიც: ელსბერჟეების ოჯახი ადრიდანვე დაკავშირებული ყოფილა შაბრანებთან და ხშირი მისვლა-მოსვლაც ჰქონიათ ერთმანეთში, მაგრამ პოლიტიკას, ახალ მოვლენებს გაეთიშათ ისინი; ჰოდა, მას აქეთ ერთმანეთს აღარ ვხვდებითო. კრისტოფს არ დაუმალავს, რომ ეს მტკნარ სისულელედ მიაჩნია. ნუთუ არ შეიძლება, სხვადასხვა შეხედულება გვქონდეს და მაინც პატივს ვცემდეთო ერთმანეთს? ანდრე დაეთანხმა და განაცხადა, აზროვნების თავისუფლების მომხრე ვარო; მაგრამ თავისი შემწყნარებლობა არ გააავრცელა ორ-სამ საკითხზე, რომლებზეც, მისი რწმენით, დაუშვებელი იყო მეორე აზრის არსებობა; ასეთად დაასახელა დრეიფუსის გახმაურებული საქმე. მერე რაღაც სისულელეები მიბოდ-მობოდა, ჩვეულებრივ, ამ საქმის გახსენებას რომ მოსდევს ხოლმე. კრისტოფი იცნობდა ამ ჩვეულებას და აღარ შეჰკამათებია; მხოლოდ ის კი ჰკითხა, ნუთუ მაგ დრეიფუსის საქმეს დამთავრება აღარ ეღირსება და წყევლა-კრულ-

ვად უნდა გაისმოდესო ქვეყნის აღსასრულამდე, ჩვენი შვილიშვილებისა და მათი შვილთა შვილების თავზე. ანდრემ სიცილი დაიწყო და, პასუხის გაცემის ნაცვლად, სელინ შაბრანის შესამკობად გულისამაჩუყებელ ქებას მოჰყვა, თან ბრალს სდებდა ეგოიზმში მამამისს, რომელსაც სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ქალიშვილს მისთვის შეეწირა თავისი მომავალი.

— მაშ, რატომ არ შეირთავთ მას, — ჰკითხა კრისტოფმა, — თუკი გიყვართ და მასაც უყვარხართ?

ანდრემ გულისტკივილით აღნიშნა, სელინი კლერიკალიაო. კრისტოფმა ჰკითხა, კი მაგრამ, ეგ რას ნიშნავსო. ანდრემ განუმარტა სიტყვის მნიშვნელობა: ეს ნიშნავს, რელიგიურ წესჩვეულებებს ასრულებდე და რაღაც ღმერთისა და მის ქურუმთა მორჩილი გახდეო.

— მერედა, თქვენ ამით რა?

— მე ის, რომ არ მინდა ჩემი ცოლი ჩემს გარდა კიდევ სხვას ეკუთვნოდეს.

— როგორ! იმის გამოც ეჭვიანობთ, რომ ცოლს სწამდეს? გამოდის, თქვენ კიდევ უფრო ეგოისტი ყოფილხართ მაიორზე!

— როგორც გნებავთ, ისე გამოგყავთ: თვითონ თქვენ თუ შეირთავდით ქალს, რომელსაც არ ეყვარებოდა მუსიკა?

— ეგ უკვე მიცდია!

— კი, მაგრამ, როგორ უნდა იცხოვრონ ერთად, თუ არ ექნებათ ერთნაირი აზრები?

— თავი დაანებეთ მაგ თქვენს აზრებს! აჰ! ჩემო კეთილო მეგობარო, რა მნიშვნელობა აქვს აზრებს, როდესაც გიყვარს! რას ვაქნევ, ჩემსავით ეყვარება თუ არა მუსიკა ქალს, რომელიც მიყვარს? იგი თავად არის მუსიკა ჩემთვის! როდესაც ბედი კარზე მოგდგომია და გიპოვია ძვირფასი არსება, რომელსაც ეტრფი და რომელიც გეტრფის, დაე, სწამდეს, რამდენიც მას გაუხარდება და თქვენც გწამდეთ, რამდენიც თქვენს გულს ენებოს! ბოლოს და ბოლოს ყველა თქვენს აზრს ერთი ფასი აქვს; ამ ქვეყანაზე ერთადერთი ჭეშმარიტება არსებობს: ადამიანებს ერთმანეთი უყვარდეთ.

— თქვენ პოეტურად მსჯელობთ. მაგრამ ვერ ხედავთ ცხოვრებას. მე ვიცნობ ძალიან ბევრ ცოლ-ქმარს, რომლებიც უაღრესად იტანჯებოდნენ ამ აზრთა სხვაობის გამო.

— იმიტომ, რომ საკმაოდ არ უყვარდათ ერთმანეთი. საჭიროა იცოდე, რა უფრო გინდა.

— მარტო სურვილი საკმარისი არ გახლავთ ცხოვრებაში. გულითაც რომ მდომოდა ცოლად შემერთო მადმუაზელ შაბრანი, ვერ შევძლებდი ამას.

— საინტერესოა, მაინც რატომ!

ანდრე მოჰყვა ლაპარაკს სინდისის ქენჯნაზე: რომ მდგომარეობა ხელს არ უწყობს, ქონება არ გააჩნია, არც ჯანმრთელობა აქვს სახარბიელო. განა აქვს უფლება, ცოლი ითხოვოს ამ პირობებში? ეს ხომ დიდ პასუხისმგებლობას აკის-

რებს. ვაითუ ამით უბედურება მოუტანოს მასაც, ვინც უყვარს და საკუთარ თავსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ შვილებზე, რომლებიც ეყოლებათ... ამიტომ სჯობია მოიცადოს, ანდა საერთოდ უცოლო დაბერდეს.

კრისტოფმა მხრები აიჩეჩა:

— კარგი სიყვარულია, მე და ჩემმა ღმერთმა! თუ მას უყვარხართ, იგი ბედნიერი იქნება, თავი განაცვალოთ. ხოლო რაც შეეხება შვილებს, სასაცილო ხალხი ხართ ეს ფრანგები! არ გინდათ სიცოცხლე მიანიჭოთ თქვენს ბავშვებს, თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ მათ პატარა ჩასუქებული რანტიეს უზრუნველ ცხოვრებას შეუქმნით, რათა თვითონ აღარაფერზე იწვალონ და გაისარჯონ. ეშმაკმა დალახვროს! ეგ რა თქვენი საქმეა? თქვენი ვალია შთაბეჭდოთ მათ სული, შთაუნერგოთ სიყვარული სიცოცხლისადმი და გამბედაობა, რათა დაიცვან იგი. დანარჩენი... დაე, იცოცხლონ, დაე, დაიზოცნენ... ეს არის ყოველი ადამიანის ხვედრი ამ წუთისოფელში. ნუთუ სჯობია საერთოდ არ მოხვიდე ქვეყნად, იმის შიშით, ვაითუ ბედმა არ გაგიღიმოს ცხოვრებაში?

ძალუმი რწმენა, რომელსაც ასხივებდა კრისტოფი, მსჭვალავდა მის თანამოსაუბრესაც, თუმცა ნაბიჯის გადადგმას კი ვერ აბედვინებდა. იგი ეთანხმებოდა:

— ჰო, შესაძლოა, მართლა ასე იყოს...

მაგრამ ამის იქით კი ვეღარ მიდიოდა. თითქოს ისიც უღონობას შეეპყრო, სხვა ფრანგების მსგავსად, რომელთაც აღარც სურვილი შეეძლოთ, არც მოქმედება.

კრისტოფს უკვე დაწყებული ჰქონდა ბრძოლა იმ უძრაობის წინააღმდეგ, რასაც ყოველ ნაბიჯზე ააშკარავებდა თავის მეგობარ ფრანგთა უმრავლესობაში, უცნაურად რომ შეხამებულიყო მათს მუყაითსა და ზოგჯერ ესოდენ გაცხოველებულ მოღვაწეობასთან. თითქმის ყველანი, რომლებთანაც უხდებოდა შეხვედრა ბურჟუაზიის სხვადასხვა წრეებში, უკმაყოფილო ადამიანები იყვნენ. თითქმის ყველანი საერთო ზიზღს გრძნობდნენ ქვეყნის დროებით მეუფეთა და მათი დამყაყებული აზრის მიმართ. თითქმის ყველანი გამსჭვალულიყვნენ იმის მწარე, მაგრამ ამაყი შეგნებით, რომ ამ ვაჟბატონებს ეღალატათ ერის სულისათვის. ამ განწყობილების მიზეზი არ ყოფილა დამარცხებული ადამიანებისა და კლასების პირადი უკმაყოფილებით გამოწვეული ღვარძლი და ბოღმა. ძალაუფლებას მოკლებულთ ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება რომ წართმეოდათ, ან სამსახურიდან დათხოვნილ მუშაკთა წყენა, როდესაც აღარავის სჭირდება შენი ენერგია, არც ძველი არისტოკრატიის გულნაკლულობა, საკუთარ მამულში ჩაკეტილი მარტოდმარტო რომ კვდება, როგორც დაჭრილი ლომი. არამედ ეს გახლდათ ჯანყის სულისკვეთება, ყრუ, ღრმა, ზოგადი: იგი იგრძნობოდა ყველგან, საზოგადოების ყველა ფენაში — ჯარში, სასამართლოში, უნივერსიტეტის წრეებში, კანცელარიებსა და მთავრობის მექანიზმის

ყველა მამოძრავებელ რგოლში. მაგრამ ყველას გულ-ხელი დაეკრიფა და წინასწარვე იმედგადაწყვეტილნი იმეორებდნენ:

— სულ ერთია, ვერას გახდები.

ისინი ლაჩრულად თავს არიდებდნენ დარდების ამშლელი საგნების განსჯას და ნავსაყუდელს ოჯახურ ყოფაში ეძებდნენ.

კიდევ არაფერი, თუკი მხოლოდ პოლიტიკური ამბებისაგან გამდგარიყვნენ განზე! მაგრამ ვაი, რომ ყოველ ამ პატიოსან ადამიანთაგანი უხალისობას იჩენდა თვით მისი არსებობისათვის აუცილებელი ყოველდღიური საქმიანობისადმიც. ისინი ითმენდნენ საშინელ დამცირებას, ეცხოვრათ ამ საძაგელი არამზადების გვერდით, რომელთა დანახვა ზიზღს ჰგვრიდათ, მაგრამ ერიდებოდნენ ხელჩართული ბრძოლა გაემართათ მათთვის, რადგან წინასწარვე განწირულად მიაჩნდათ იგი. რატომ იტანდნენ აღუშფოთებლად ეს ხელოვანნი, და სახელდობრ, ეს მუსიკოსები, რომლებსაც უფრო ახლოს იცნობდა კრისტოფი. პრესის ამ სკარამუშია უტიფრობას, კანონებს რომ უწესებდნენ მათ? ამ ტაკიმასხარებს შორის საკმაოდ მოიძებნებოდნენ ისეთი დიდყურა ვირებიც, რომელთა უვიცობა in omni re scibili[1] საყოველთაოდ ცნობილი იყო, და მაინც შეუმცდარ ავტორიტეტებად ითვლებოდნენ in omni re scibili. ეს უკანასკნელნი იმდენადაც კი არ ირჯებოდნენ, რომ უშუალოდ თვითონ ეწერათ თავიანთი სტატიები ან წიგნები და მდივნებად იყენებდნენ ვიღაც ბიერ-გუდა გლახაკებს, რომლებიც მზად იყვნენ მიეყიდათ მათთვის სული, (თუ საერთოდ გააჩნდათ იგი), პურისა და ქალების გულისათვის. პარიზში ეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ისინი კი მაინც იცინოდნენ და ქედმაღლურად უყურებდნენ ხელოვნების მსახურთ. ზოგიერთ მათს სტატიას რომ კითხულობდა, კრისტოფი სიბრაზისაგან ბრდღვინავდა.

— ოჰ, თქვე ლაჩრებო! — წამოიძახებდა იგი.

— ვისზე გაჯავრებულხარ? — შეეკითხებოდა ოლივიე. — ალბათ, ისევ იმ არამზადებზე „მოედანზე ბაზრობიდან“.

— არა. პატიოსან ადამიანებზე. არამზადები იმას სჩადიან. რაც მათი ხელობაა: ცრუობენ, ძარცვავენ, ქურდობენ, კლაკენ. ხოლო სხვები, ვისაც სძულს ისინი, მაგრამ ამის საშუალებას აძლევენ მათ, ათასჯერ უფრო საძულველნი არიან. მათივე თანამოკალმენი, ეს პატიოსანი და მცოდნე კრიტიკოსები, ეს ხელოვანნი, რომელთა ზურგსუკან ვიღაც არლეკინები ტაკიმასხარობენ, რომ არ ათამამებდნენ მათ თავიანთი დუმილით, თავიანთი მორიდებულობით, ღირსების შელახვის შიშით, ან საპასუხო პატივისცემის საძრახისი ანგარიშითა და მტერთან უსიტყვო შეთანხმების იდუმალი სურვილით, რათა თვითონ მისი დარტყმები აიცდინონ, — ეს პატიოსანი შემოქმედნი საშუალებას რომ არ აძლევდნენ ვიგინდარებს, მათი მფარველობა დაირღვიონ და გაიბღინძონ მათი მეგობრობით,

[1] ყოველ შეცნობად საგანზე (ლათ.).

ეს უტიფარი ძალადობა ყველასათვის სასაცილო გახდებოდა და არამზადების ძალაუფლება დაემხობოდა. ეს უნებისყოფობა ვლინდება ყველაფერში. ზოგჯერ ოც კაცს უძაგებია ზურგსუკან ვინმე: „ის კაცი არამზადაა“; მაგრამ არ მახსოვს, რომელიმეს „ძვირფასო კოლეგავ“ არ მიეგებებინა და მაგრად არ ჩამოერთმია ხელი მისთვის. „უპატიოსნო ადამიანები ჭარბობენო“, — ამბობენ ხოლმე პატიოსნები. ეგ არა, მაგრამ დოყლაპიები რომ ჭარბობენ, ეს კი ნამდვილია. ლაჩრები ჭარბობენ პატიოსან ადამიანებს შორის.

— კი მაგრამ, რა გავაკეთოთ?

— დაამყარეთ წესრიგი თქვენ თვითონ! რას უცდით? რომ უფალმა ღმერთმა მოიცალოს თქვენი საქმეებისათვის? რაღა შორს წავიდეთ, აგერ, სამი დღეა, თოვლი დევს. ნამქერს დაუფარავს მთელი ქუჩები და წუმპედ უქცევია თქვენი პარიზი. თქვენ კი რით გართულხართ? წუწუნებთ, ჩვენი ხელმძღვანელობა ნაგავში გვახრჩობსო. მაგრამ თქვენ თვითონ თუ იღონეთ რამე? სრულიად არაფერი. გულხელი დაგიკრეფიათ და უყურებთ. ვერავის გაუბედავს ცოცხი მოუსვას ტროტუარს საკუთარი კარის წინ მაინც. არავინ არ ასრულებს თავის მოვალეობას — არც სახელმწიფო, არც კერძო მოქალაქენი; ორივე მხარე ერთიმეორეს ამტყუნებს და ამით ცდილობს მოიხსნას პასუხისმგებლობა. საუკუნეების მანძილზე მონარქიულმა აღზრდამ ისე მიგაჩვიათ თითი არ გაანძრიოთ თქვენით, რომ მთელი ცხოვრება პირდაღებული ელით რაღაც სასწაულს. ერთადერთი სასწაული, რომელიც შეიძლება მომხდარიყო, ის იქნებოდა, თუ თქვენ გადაწყვეტდით ამოქმედებულიყავით. აი, ხომ ხედავ, ჩემო კარგო ოლივიე, ფრანგებს ჭკუა და სათნოება კი თავზე საყრელად გაქვთ, მაგრამ სისხლი გაკლიათ ძარღვებში. პირველ რიგში, ეს შენ გეხება. თქვენ გულიც საღი გაქვთ და გონებაც; სიცოცხლე გაქვთ დასნეულებული. დღითიდღე უკან-უკან მიდიხართ.

— რას იზამ, უნდა ველოდოთ, ვიდრე სიცოცხლე განიკურნება.

— უნდა გსურდეს, რომ განიკურნოს. საჭიროა სურვილი! ამისათვის კი, პირველ რიგში, ბინა უნდა გაანიავო. თუ არ გინდა შინიდან გარეთ გახვიდე, სუფთა ჰაერმა მაინც იმოძრაოს სახლში. თქვენი ჰაერი კი „ბაზრობის“ მიაზმებით მოწამლულა. თქვენი ხელოვნება და თქვენი აზრი ორი მესამედით ნაყალბევია. თქვენ ისე სულით დაცემულხართ, რომ თავში აღარ მოგდით, აღშფოთდეთ, გაკვირვებასაც კი ძლივს ახერხებთ. ზოგიერთები ამ პატიოსან ადამიანთაგან, თავიანთი სიმხდალით, იქამდე მიდიან, რომ ირწმუნებენ თავს, თითქოს თვითონ იყვნენ მტყუანნი და ის ყალთაბანდები კი — მართალნი. განა ცოტას შევხვედრივარ, გნებავთ იმ თქვენი ჟურნალ „ეზოპეს“ თანამშრომლებს შორის, თავმომწონედ რომ გაიძახიან, ჩვენ ვერავინ ვერაფერში მოგვატყუებსო, — საბრალო ყმაწვილკაცთ, საკუთარი თავისთვის რომ ჩაუგონებიათ, თითქოს ხელოვნების რომელიმე დარგი უყვართ, ან რაიმე შეხედულება სწამთ, თუმცა სინამდვილეში სულაც არ უყვართ და არა სწამთ იგი? ისინი თავს იბანგავენ ამით,

თუმცა სიამოვნებას ვერ აღწევენ, უბრალოდ წამხედურობით იქცევიან ასე; და მოწყენილობა ჰკლავთ, რომ გულის სიღრმეში თავს იტყუებენ!

კრისტოფი რწმენას უნერგავდა და ამოძრავებდა გაუბედავ და ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ადამიანებს, როგორც ქარი მძინარე ხეებს არხევს და აშრიალებს. იგი არ ცდილობდა თავისი მრწამსი მიეღებინებინა მათთვის; არამედ შთაბერავდა ძალას, საკუთარი მრწამსი მიეღოთ. იგი ღაღადებდა:

— თქვენ ზედმეტად თვინიერნი ხართ. თქვენი მთავარი მტერი ნევრასთენია და ეპვია. შეიძლება და კიდევაც უნდა იყო შემწყნარებელი და ჰუმანური, მაგრამ არ შეიძლება ეპვი გეპარებოდეს იმაში, რაც სიკეთედ და ჭეშმარიტებად გწამს. ხოლო რაც გწამს, უნდა დაიცვა კიდეც. რაც უნდა მცირე ძალები გაგვაჩნდეს, უფლება არა გვაქვს უარი ვთქვათ საკუთარ მრწამსზე. ყველაზე პატარა ადამიანსაც კი, ისევე როგორც უდიდეს პიროვნებას, ამ ქვეყანაზე, გარკვეული მოვალეობა აკისრია და (რაც თვითონაც არ უწყის) გარკვეული ძალაუფლებაც აქვს. არ გეგონოთ, რომ თქვენი ერთეული ჯანყი არაფერს ნიშნავდეს! მტკიცე შეგნება, თუ სითამამეც ხელს უწყობს, რომ ხმა აღიმაღლოს, უკვე გარკვეული ძალაა. ამ ბოლო წლებში თქვენ არა ერთი მაგალითის მოწმე გამხდარხართ, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი აზრი იძულებული ყოფილან ანგარიში გაეწიათ პატიოსანი ადამიანის გაბედული მსჯელობისათვის, რომელსაც არ გააჩნდა სხვა იარაღი, გარდა თავისი სულიერი ძალისა, საჯაროდ რომ გამოუვლენია და დაუცვია გულადი და ურყევი შეუპოვრობით...

თუ მაინც იკითხავთ, რისთვის გაისარჯო კაცი, რისთვის იბრძოლო, რისთვის?... მაგასაც გეტყვით: იმისათვის, რომ კვდება საფრანგეთი, კვდება ევროპა და ჩვენი ცივილიზაცია, რომ დაიქცევა და აღიგვება პირისაგან მიწისა კაცობრიობის მიერ მრავალსაუკუნოვანი ტანჯვის ფასად აგებული ეს განსაცვიფრებელი ტაძარი — თუ არ ვიბრძოლეთ. სამშობლო საფრთხეშია, ჩვენი სამშობლო ევროპა; ყველაზე მეტად კი თქვენს პატარა მამულს, თქვენს მშობელ საფრანგეთს უჭირს. თქვენი უხალისობა კლავს მას. იგი კვდება ყოველი თქვენგანის უქმ ენერგიაში, თქვენს ფუჭ აზრებში, თქვენს უმაქნის კეთილ ნებაში, ყოველ წვეთში თქვენი სისხლისა, თანდათან რომ იწრიტება, ამაოდ... აღსდექით! სულს ჯერ კიდევ სიცოცხლე სწყურია! ხოლო თუ სიკვდილი გიწერიათ, დაჩოქილი მაინც ნუ მოკვდებით.

მაგრამ ადამიანების ამოქმედება კიდევ ისე ძნელი არ იყო, როგორც მათი ერთობლივად ამოძრავება. ამ მხრივ, ისინი პირდაპირ მოურჯულებელს ჰგავდნენ. ყველანი დაუბრეგოდნენ ერთმანეთს. მათ შორის საუკეთესონი ყველაზე ჯიუტები აღმოჩნდნენ. ამის მაგალითი კრისტოფს შინვე ჰქონდა. ბ-ნი ფელიქს ვაილი, ინჟინერი ელსბერჟე და მაიორი შაბრანი მუნჯი და თავაზიანი ურთიერთმტრობის ატმოსფეროში ცხოვრობდნენ. თუმცა სამივენი, სხვადასხვა პარტიული თუ ეროვნული იარლიყით, ერთსა და იმავე რამეს მოითხოვდნენ.

განსაკუთრებით ბ-ნ ვაილსა და მაიორს საკმაო საფუძველი ჰქონდათ, რომ საერთო ენა გამოენახათ. წინააღმდეგობრივი ბუნების ძალით, რასაც არცთუ იშვიათად ვხვდებით მოაზროვნე პირებთან, ბ-ნ ვაილს, ერთთავად წიგნებში რომ ჩაერგო თავი და მარტოოდენ აზრების სამყაროში ცხოვრობდა, თავდავიწყებამდე იტაცებდა სამხედრო საკითხებიც. „ჩვენში ცოტ-ცოტა ყველაფერია", — ამბობდა ნახევრად ებრაელი მონტენი და ყველა ადამიანზე ავრცელებდა იმას, რაც სამართლიანია მხოლოდ გარკვეული სულისკვეთების ადამიანებისათვის, როგორთაც მიეკუთვნებოდა ბ-ნი ვაილი. ჰოდა, ეს მოხუცი ინტელიგენტი თაყვანს სცემდა ნაპოლეონს. მას თავი მოეყარა ნაწერებისა და ღირსსახსოვარი ნივთებისათვის, რომლებშიც ამ საიმპერიო ეპოპეის საოცარი ზმანებანი გაცოცხლებულიყო. მისი თანამედროვე მრავალი ფრანგის მსგავსად, ვაილს თვალს სჭრიდა იმ დიდების მზის შორეულ სხივთა ელვარება. იგი ხელახლა აწყობდა ნაპოლეონის ლაშქრობებს, მართავდა ბრძოლებს, არჩევდა სამხედრო ოპერაციებს; ვაილი აკადემიებსა და უნივერსიტეტებში მოკალთეულ იმ მუცლით მეზღაპრე სტრატეგებს ჰგავდა, რომლებიც კომენტარს უკეთებენ აუსტერლიცს და შეცდომებს პოულობენ ვატერლოოში. მან პირველმა დაიცინა ნაპოლეონელობის სენს, „ნაპოლეონიტი" რომ უწოდა და ალაღა თავისი ირონია; მაგრამ ამავე დროს თვითონაც ბრუედებოდა ამ წარმტაცი ისტორიული ამბებით, როგორც ბავშვი თამაშით; ზოგჯერ, რომელიმე ეპიზოდის გახსენებაზე, თვალზე ცრემლი აუკიაფდებოდა, ხოლო როდესაც სისუსტეში დაიჭერდა თავს, გულიანად ხარხარებდა და გამოჩერჩეტებულ ბებერს ეძახდა საკუთარ თავს. სიმართლე რომ ითქვას, მისი გატაცება აიხსნებოდა არა იმდენად პატრიოტული გრძნობების მორევით, რამდენადაც რომანტიული სულისკვეთებითა და პლატონური სიყვარულით ბრძოლისა და მოქმედებისადმი, რასაც ნაპოლეონელად ეჭცია იგი. თუმცა ჩინებული პატრიოტი გახლდათ, უფრო გამსჭვალულიც კი საფრანგეთისადმი ერთგულებით, ვიდრე მრავალი მკვიდრი ფრანგი. ფრანგი ანტისემიტები უმართებულოდ იქცევიან და დიდ სიბრიყვეს სჩადიან, როდესაც თავიანთი შეურაცხმყოფელი უნდობლობით გულს უტეხენ საფრანგეთში დამკვიდრებულ ებრაელებს. გარდა იმ ძირითადი მიზეზისა, რომ ყოველი ოჯახი, ერთ-ორი თაობის შემდეგ, ბუნებრივად ეთვისება და ესისხლხორცება იმ მიწას, რომელზეც გადმოსახლებულა, ებრაელობას საგანგებო მიზეზებიც გააჩნია უყვარდეს ხალხი, რომელიც ინტელექტუალური და სულიერი თავისუფლების ყველაზე მოწინავე იდეების გამომხატველია დასავლეთში. ეს სიყვარული მით უფრო მბურვალეა, რომ ასი წლის მანძილზე მათაც გარკვეული ხარკი გაიღეს ამ თავისუფალი ხალხის შესაქმნელად და, ამრიგად, ჩვენი თავისუფლება ნაწილობრივ მათი ნაყოფიც არის. მაშ როგორ არ დაიცვან ეს თავისუფლება ფეოდალური რეაქციის გამუდმებული ხელყოფისაგან? ხოლო ეცადო, როგორც ამას გიჟიენებენ ერთი მეუბა უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები, გაწყვიტო ჯაჭვი, რომელიც ფრანგების გულთან აკავშირებს საფრანგე-

თის ამ უიღბლო შვილობილთ, — ეს ხომ იმას ნიშნავს, ძირი გამოუთხარო თავისუფლებას და ამ რეაქციის უნებლიე ხელშემწყობი გახდე?

მაიორი შაბრანი იმ გონებაშეზღუდულ მოხუც ფრანგებს ჰგავდა, რომელთაც თავგზას უბნევენ თავიანთი გაზეთები, საფრანგეთის მიწაწყალზე დამკვიდრებულ ყოველ ხიზანს იდუმალ მტრად რომ აცხადებენ; ეს ბუნებით გულღია, კეთილმოსურნე ადამიანები, ძალით რომ იეჭვიანებენ, იუმორებენ და გულჩათხრობილს იხდიან თავს, უარყოფენ თავიანთ იღბალს, იყვნენ დიდსულოვანი ერი, რომლის სამშობლო ისტორიულად ერების შესაყარს წარმოადგენს. ამრიგად, შაბრანი თავს მოვალედ თვლიდა აბუჩად აეგდო მეორე სართულზე მობინადრე მეზობელი, თუმცა სხვაფრივ მოხარული იქნებოდა მისი გაცნობით. თავის მხრივ, ბ-ნი ვაილიც სიამოვნებით ისაუბრებდა ყოფილ ოფიცერთან, მაგრამ მისი ნაციონალისტობის ამბავი რომ იცოდა თვალში აღარ მოსდიოდა.

კრისტოფს მაიორზე გაცილებით ნაკლები საბაბი ჰქონდა, თავი გამოედო ბ-ნ ვაილის გულისათვის. მაგრამ ვერ იტანდა მის წინაშე ვინმეს უსამართლოდ ძაგებას. ამიტომ იყო, რომ როდესაც შაბრანი თავს ესხმოდა ურია ვაილს, კრისტოფი კბილებით იცავდა მას.

ერთხელ, როდესაც მაიორი როგორც ყოველთვის, გულისწყრომას გამოთქვამდა მოვლენათა ჩვეულებრივი თანამიმდევრობის გამო, კრისტოფმა უთხრა:

— თვითონვე ხართ დამნაშავე. ყველანი შორიდან ყურებას ამჯობინებთ. როდესაც საფრანგეთში ისე ვეღარ მიდის საქმეები, თქვენ რომ გეპრიანებათ, რიხით აცხადებთ, რომ გადაწყვიტეთ თანამდებობიდან გადადგეთ. ჩანს, თქვენში ღირსების საქმედ ითვლება, დამარცხებულად ცნოთ თავი. არასოდეს მინახავს, ასე აღფრთოვანებით ყრიდნენ ფარ-ხმალს. ნუთუ თქვენც, ომგადახდილ მაიორს, მიგაჩნიათ, რომ შეიძლება ამნაირად ბრძოლის მოგება?

— საქმე ბრძოლას არ ეხება, — მიუგო შაბრანმა, — საფრანგეთს არავინ ეომება. ამგვარ კინკლაობაში კი უნდა ილაქლაქო, იკამათო, კენჭი იყარო და საერთო იქონიო ყველა ჯურის ვიგინდარასთან, რაც მე მეზიზღება.

— მეტისმეტად გულაზიზი ყოფილხართ! აფრიკაში ბევრი მაგისთანების ატანა მოგიხდებოდათ!

— ღმერთმანი, იქ ასე გულისამრევი რამ არ ყოფილა. თანაც იქ ყოველთვის შეგიძლია ხმა ჩააკმენდინო, თუ საჭიროა. მერე კიდევ, რომ იბრძოლო, ჯარისკაცები გინდა. მე იქ ჩემი მსროლელები მყავდა. აქ კი მარტოდმარტო ვარ.

— პატიოსანი ადამიანები აქაც ბევრია.

— სად არიან?

— ყველგან თქვენს ირგვლივ.

— მერე რა ეშმაკს აკეთებენ?

— იმას, რასაც თქვენ, ანუ უკეთ, არაფერს: ამბობენ, რომ შეუძლებელია რაიმეს გაკეთებაო.

— ერთი ვინმე მაინც დამისახელეთ.

— სამი იყოს, და თუ გნებავთ, სამივე თქვენი კარის მეზობელი.

კრისტოფმა დაუსახელა ბ-ნი ვაილი (მაიორმა შეჰყვირა) და ცოლ-ქმარი ელსბერჟეები (ამაზე შაბრანი შეხტა):

— ეგ ურია? ეგ დრეიფუსელები?

— დრეიფუსელები? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა კრისტოფმა. — მერე რა მოხდა?

— კიდეც მაგათ დაღუპეს საფრანგეთი.

— მათ იგი თქვენზე ნაკლებ არ უყვართ.

— მაშინ, გიჟები ყოფილან, თანაც მავნე გიჟები.

— ნუთუ არ შეიძლება სამართლიანი დარჩე შენი მოწინააღმდეგეების მიმართ?

— შეიძლება და კიდევაც ვაფასებ პატიოსან მოწინააღმდეგეებს, თანაბარი იარაღით რომ იბრძვიან. ამის დამადასტურებელია თუნდაც ჩემი საუბარი თქვენთან, ბატონო გერმანელო. მე პატივს ვცემ გერმანელებს, თუმცა გულით ვისურვებდი, ერთ მშვენიერ დღეს ერთიორად მიმეზღო სამაგიერო ჩვენი ასეთი მიტყეპისათვის. მაგრამ რაც შეეხება მათ, ისინი შინაური მტრები არიან, რაც ერთი და იგივე არ გახლავთ; ისინი უპატიოსნო იარაღს მიმართავენ: მავნე მოძღვრებებსა და მომწამვლელ ჰუმანიტარიზმს...

— თქვენი მსჯელობა შუა საუკუნეების იმ რაინდთა სულისკვეთებას მაგონებს, პირველად რომ იხილეს ცეცხლსასროლი იარაღი. აბა, როგორ გინდათ? ომი ევოლუციას განიცდის.

— კეთილი და პატიოსანი! მაგრამ მაშინ, მოდი, პირდაპირი ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ ეს ომია.

— ვთქვათ, ევროპის ცივილიზაციას საერთო მტერი ემუქრება. ნუთუ არ გაერთიანდებით გერმანელებთან?

— ჩვენ ასეც მოვიქეცით ჩინეთში.

— აბა, მიმოიხედეთ გარშემო. განა თქვენს ქვეყანაში, განა ყველა ჩვენს ევროპულ ქვეყანაში საფრთხის წინაშე არა დგას დღეს გმირული იდეალიზმი ჩვენი ხალხებისა? განა ყველა ისინი, მეტად თუ ნაკლებად, არ გამხდარან ყველა ჯურის ავანტიურისტთა მსხვერპლი? განა ამ საერთო მტრის წინააღმდეგ არა გმართებთ ხელი გაუწოდოთ თქვენს მოწინააღმდეგეებს, რომელთაც გარკვეული ღირსება და სულიერი მხნეობა გააჩნიათ? როგორ უნდა მოხდეს, რომ თქვენისთანა კაცმა ასე მცირე ანგარიში გაუწიოს რეალურ სინამდვილეს? მართალია, ამ ადამიანებს სულ სხვა იდეალი აქვთ, თქვენგან განსხვავებით! მაგრამ იდეალი ხომ თავისთავად ძალაა, ამას უკვე ვეღარ უარყოფთ; იმ ბრძოლაში, ამასწინათ რომ წააგეთ, სწორედ თქვენი მოწინააღმდეგის იდეალმა დაგამარცხათ. ამაოდ რომ არ დაშვრეთ ერთმანეთთან კინკლაობით, არა ჯობდა გაგეერთიანებინათ თქვენი იდეალები და მხარდამხარ გებრძოლათ ყოველგვარი იდეა-

ლის მტრების წინააღმდეგ, საკუთარი სამშობლოსა და საღი აზრის ექსპლოატატორთა, ევროპული ცივილიზაციის გამხრწნელთა წინააღმდეგ?

— კი, მაგრამ ვისთვის? საჭიროა, ჯერ ამაზე შევთანხმდეთ. რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს გავამარჯვებინოთ?

— როდესაც აფრიკაში იყავით, თქვენ, ალბათ, არ დაეძებდით იმას, ვისთვის ომობდით: მეფისთვის თუ რესპუბლიკისათვის. წარმომიდგენია, რომ ბევრ თქვენგანს აზრადაც არ მოსდიოდა თავი აეტკიებინა რესპუბლიკაზე ფიქრით.

— მეტი დარდი არა გვქონდა.

— ძალიან კარგი! საფრანგეთმა კი მხოლოდ ისარგებლა ამით. თქვენ იპყრობდით თქვენთვის, თქვენი ღირსებისათვის, პირადი ჟინის დასაკმაყოფილებლად და, ამავე დროს, იპყრობდით საფრანგეთისათვის. იმოქმედეთ იმავე სულისკვეთებით აქაც! უფრო ფართოდ გაშალეთ ბრძოლა! თავი დაანებეთ პოლიტიკურ და რელიგიურ წვრილმანებზე კინკლაობას! ყველაფერი ეგ სისულელეა. თქვენი ერი ეკლესიის უფროსი ასული იქნება თუ გონებისა, ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, მან იცოცხლოს! ყოველივე კარგია, რაც სიცოცხლეს გვანიჭებს. არსებობს მხოლოდ ერთი მტერი: სიტკბოების მძებნელი ეგოიზმი, სიცოცხლის წყაროს რომ ბილწავს და აშრობს. აღაგზნეთ ძალა, აღაგზნეთ სინათლე, აღაგზნეთ ნაყოფიერი სიყვარული, სიხარული მსხვერპლად შეწირვისა, მოქმედება. ნუ მიანდობთ სხვებს, იზრუნონ თქვენთვის თქვენს მაგივრად. იმოქმედეთ, იმოქმედეთ, შეერთდით! აბა, ჰე!..

მან თითები აათამაშა როიალზე და გაისმა „საგუნდო სიმფონიის“ სი-ბემოლში აყღერებული მარშის პირველი ტაქტები.

— იცით რა, — შეწყვიტა უცებ დაკვრა და მაიორს მიუბრუნდა, — ფრანგი კომპოზიტორი რომ ვიყო, შარპანტიე, ბრიუნო (ან ეშმაკმა წაიღოს, ვინც იქნება!), მე თქვენ ყველას გაგაერთიანებდით საგუნდო სიმფონიაში: „იარაღი აისხით, მოქალაქენო!“, „ინტერნაციონალი“, „გაუმარჯოს ანრი მეოთხეს“, „ღმერთო, დაიფარე საფრანგეთი!“, — ყველა სანელებლით შევკაზმავდი (მოუსმინეთ, აი, ამ ყაიდაზე...) და ისეთ შეჭამანდს მოგიდუღებდით, რომ თითები ჩაგეკვნიტათ! ყოველ შემთხვევაში, იმაზე უგემური მაინც აღარ იქნებოდა, თქვენი კომპოზიტორები რომ გიმასპინძლდებიან, მაგრამ გარწმუნებთ, ისეთ ცეცხლს შეგინთებდათ მუცელში, იკადრებდით ნაბიჯი აგეწყოთ!

და მან გულიანად გადაიხარხარა.

მაიორიც იცინოდა, გამხიარულებული.

— თქვენ ჩინებული ყმაწვილი ბრძანდებით, ბატონო კრაფტ. სამწუხაროა, რომ ჩვენიანი არა ხართ.

— სწორედ რომ თქვენიანი ვარ! ყველგან ერთი და იგივე ბრძოლა გაჩაღებულა. შევამჩიდროვოთ რიგები!

მაიორი ეთანხმებოდა; მაგრამ ყველაფერი ამით მთავრდებოდა. მაშინ

კრისტოფს, ჯიუტად, საუბარი კვლავ ბ-ნ ვაილსა და ელსბერჟეებზე გადაჰქონდა. ოფიცერი კი, რომელიც ნაკლებ ჯიუტი როდი გახლდათ, ისევ თავის ძველ არგუმენტებს იშველიებდა ებრაელებისა და დრეიფუსელების წინააღმდეგ.

კრისტოფი დანაღვლიანებულიყო. ოლივიემ უთხრა:

— ნუ სწუხხარ. ერთ ადამიანს არ ძალუძს ერთბაშად შეუცვალოს სულისკვეთება მთელ საზოგადოებას. ეს უკვე მეტისმეტად კარგი იქნებოდა! მაგრამ შენ ისედაც ბევრს აღწევ, შენდა შეუცნობლად.

— რას ვაღწევ? — გაიკვირვა კრისტოფმა.

— შენ კრისტოფი ხარ.

— მერე მაგით ვის რა არგია?

— ძალიანაც არგია. დარჩი ისეთი, როგორიც ხარ, ძვირფასო კრისტოფ, და ნუ ინაღვლებ ჩვენზე.

კრისტოფი არ ცხრებოდა. იგი განაგრძობდა კამათს მაიორ შაბრანთან და ზოგჯერ ფრიად გაცხარებითაც. სელინს ართობდა ეს. იგი ესწრებოდა მათს საუბრებს და უსიტყვოდ ფუსფუსებდა ოჯახში. სელინი არ ერეოდა კამათში, მაგრამ გამხიარულებული ჩანდა: თვალები გაცისკროვნებოდა და თითქოს სივრცეც გაზრდილიყო, თითქოს მეტ სულისმოსათქმელ ჰაერს დაესადგურებინა მის გარშემო. დაიწყო კითხვა, მოუხშირა გარეთ გასვლას, გაუჩნდა ახალ-ახალი ინტერესები. ერთ დღესაც, კრისტოფი ცხარედ რომ ეკამათებოდა მაიორს ელსბერჟეების თაობაზე, მამამ ქალიშვილის სახეზე ღიმილი შენიშნა;. მან ჰკითხა, რას ფიქრობდა ამის შესახებ. სელინმა მშვიდად უპასუხა:

—ჩემი აზრით, ბ-ნი კრაფტი მართალია.

მაიორმა შეცბუნებულმა ამოილუღლუღა:

— კარგი ერთი შენც!... ბოლოს და ბოლოს, მართალია თუ მტყუანი, ჩვენ ისეც კარგად ვგრძნობთ თავს და არა გვჭირდება მაგათი ნაცნობობა. ასე არ არის, ჩემო გოგონი?

— რატომაც არა, მამილო, — მიუგო სელინმა, — ეს ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა.

მაიორმა აღარაფერი უპასუხა, ვითომ ვერ გაიგონა. იგი უფრო მეტად გრძნობდა, რომ კრისტოფის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, ვიდრე სურდა ეს გამოემჟღავნებინა. თავისი მსჯელობის შეზღუდულობა და შეუწყნარებლობა ხელს ვერ უშლიდა, ყოფილიყო კეთილსინდისიერი და დიდსულოვანი. შაბრანს უყვარდა კრისტოფი, უყვარდა მისი გულწრფელობა და სულიერი სისპეტაკე და ხშირად სინანულს გამოთქვამდა, რომ კრისტოფი გერმანელი იყო. იგი ტყუილ-უბრალოდ ცხარდებოდა კრისტოფთან კამათის დროს: მაიორი თვითონვე ეძებდა მასთან კამათის საბაბს და მერე მოსვენებას უკარგავდა მისი მოსაზრებანი, თუმცა ამას არასოდეს აღიარებდა. მაგრამ ერთხელ კრისტოფმა მას წაასწრო რაღაც საინტერესო წიგნის კითხვაში, რომლის ჩვენებაზე მაიორმა

კატეგორიული უარი განაცხადა. კრისტოფს რომ აცილებდა, მასთან მარტოდ დარჩენილმა სელინმა საიდუმლოდ გაანდო:

— იცით, რას კითხულობდა? ბ-ნ ვაილის წიგნს.

კრისტოფი სიხარულით ცას ეწია:

— მერედა, რას ამბობს მასზე?

— ამბობს: „ეს პირუტყვიო!...“ მაგრამ თან ვეღარც მოსცილებია.

კრისტოფს ბ-ნ ვაილზე კრინტი აღარ დაუძრავს მაიორთან. ამ უკანასკნელმა თვითონ ჩამოუგდო მასზე ლაპარაკი:

— როგორ მოხდა, რომ თავს აღარ მაბეზრებთ იმ თქვენი ურიათი?

— იმიტომ, რომ აღარა ღირს, — მიუგო კრისტოფმა.

— მაინც რატომ? — შეეკითხა გამომწვევად მაიორი.

კრისტოფმა არაფერი უპასუხა და გაშორდა ღიმმორეული.

ოლივიე მართალი იყო. ადამიანებზე ზემოქმედებას ახდენენ არა სიტყვებით, არამედ თავიანთი არსებით. არიან პიროვნებანი, რომლებიც სიმშვიდის შარავანდედით მოსავენ ირგვლივ ყოველ სულდგმულს, თავიანთი გამომეტყველებით, თავიანთი ქცევით, თავიანთი წყნარი სულის მდუმარე შეხებით. კრისტოფი სიცოცხლეს ასხივებდა. იგი მსჭვალავდა ნელა, ნელა, ვით გაზაფხულის სითბო, ატანდა გათოშილი სახლების ძველ, ნესტიან კედლებსა და ჩაკეტილ ფანჯრებს, აცოცხლებდა ხანგრძლივი ტკივილით, დაძაბუნებითა და მარტოობით დაშრეტილ, სასიკვდილოდ მფეთქავ გულებს. დიდება შენს საკვირველებას, ძალავ, სულს სულზე რომ ამეფებ! შენს განგებას ვერ მიმხვდარან ვერც მორჩილნი და ვერც უფალნი შენნი. თუმცა მთელი სამყაროს ცხოვრება მოქცევათა და უკუქცევათა დაუსრულებელ მონაცვლეობას წარმოადგენს. რომელსაც განაგებს ეს იდუმალი მიზიდულობის ძალა.

კრისტოფისა და ოლივიეს ბინის ორი სართულით დაბლა, როგორც თავში ვახსენეთ, ცხოვრობდა ასე, ოცდათხუთმეტი წლის ახალგაზრდა ქალი, ორი წლის წინათ დაქვრივებული ქ-ნი ჟერმენი, რომელსაც შარშან ზედ დაერთო დიდი უბედურება და ხელიდან გამოეცალა თავისი შვიდი-რვა წლის დედისერთა გოგონა. იგი დედამთილთან ერთად ცხოვრობდა. მათთან არავინ დადიოდა. სახლის მდგმურებს შორის არავის ჰქონია უფრო ნაკლები ურთიერთობა კრისტოფთან, ვიდრე ქ-ნ ჟერმენს; სულ რამდენჯერმე თუ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ჯერ ხმაც კი არ გაეცათ ერთიმეორისათვის.

ეს გახლდათ ტანადი, თხელ-თხელი, საკმაოდ წარმოსადეგი ქალი, ლამაზი, მუქი და დაბინდული, თითქმის ჩამქრალი თვალები ჰქონდა, რომლებშიც ხანდახან თუ გაიელვებდა მკრთალი და მშმუნვარე ალი, კიდევ უფრო რომ აფერმკრთალებდა მის სანთელივით ყვითელ სახეს, გამხდარ ლოყებსა და ერთთავად მოკუმულ პირს. მოხუცი ქ-ნი ჟერმენი ღვთისმოსავი იყო და მთელ დღეებს ეკ-

ლესიაში ატარებდა. ახალგაზრდა ქალი კი თავის მწუხარებაში გამოკეტილიყო და მარტოდმარტო გლოვობდა. ქვეყანაზე აღარაფერი და აღარავინ აინტერესებდა. გარშემორტყმული იყო თავისი გოგონას რელიკვიებითა და სურათებით და მათი ცქერით თვალგაშტერებული ვეღარ ხედავდა შვილის სახეს: მკვდარი სურათები კლავენ ცოცხალ გამომეტყველებას. ვეღარ ხედავდა და კიდევ უფრო ჯიუტად აშტერდებოდა. სურდა, ლამობდა, ეფიქრა მხოლოდ და მხოლოდ შვილზე; მაგრამ უკვე აღარც ფიქრის ილაჯი შესწევდა: რაც სიკვდილს დაეკლო, თ�ითონ დაემატებინა. და იყო ასე, გაყინული და გულგაქვავებული, ცრემლგამშრალი და სიცოცხლის ხალისისაგან დაცლილი. ქ-ნი ჟერმენი ვეღარც რელიგიაში პოულობდა ნუგეშს. თუმცა ლოცულობდა, მაგრამ უსიყვარულოდ და. მაშასადამე, ცხოველი რწმენის გარეშე: აძლევდა ფულს გარდაცვლილთა სულის მოსახსენებლად, მაგრამ არ მონაწილეობდა საქველმოქმედო საქმეებში; მთელი მისი რელიგია ემყარებოდა ერთადერთ აზრს: შვილის გამოცხადება ეხილა. სხვა დანარჩენს რა აზრი ჰქონდა მისთვის? ღმერთი? რა ესაქმებოდა ღმერთთან? მხოლოდ შვილის ხილვა, მისი გამოცხადება... თუმცა არ ეჯერა ეს. არა. განა არ უნდოდა, თუკი დაიჯერებდა; პირიქით, ძალიანაც სურდა, გაგიჟებით სურდა, მაგრამ ვაი, რომ ეშვი ეპარებოდა... იგი ვეღარ იტანდა სხვის ბავშვებს, მათს დანახვაზე გულში გაივლებდა ხოლმე:

„რაღა ესენი არ დაიხოცნენ?"

იმავე უბანში ცხოვრობდა პატარა გოგონა, რომელიც ტანით, სიარულით თავის გარდაცვლილ ბავშვს აგონებდა. როდესაც ქ-ნი ჟერმენი თვალს მოჰკრავდა მის ზურგს და ორ პაწია ნაწნავს, ქალს ჟრუანტელი უვლიდა ტანში და უკან აედევნებოდა; მაგრამ მოიხედავდა თუ არა გოგონა და ქალი დარწმუნდებოდა, რომ იგი მისი შვილი არ იყო, სურვილი ჰქონდა, დაეხრჩო. ქ-ნი ჟერმენი ხშირად ჩიოდა, რომ მოსვენებას არ აძლევდა ზედა სართულზე ელსბერჟეს ეოგონების ღრიანცელი (თუმცა ფრიად წყნარი და მკაცრად აღზრდილი ბავშვები იყვნენ); როგორც კი საბრალო პატარები თავიანთ ოთახში გაიფაჩუნებდნენ, იგი მაშინვე მოსამსახურე ქალს აგზავნიდა მეზობლებთან და მოითხოვდა, მყუდროება არ დაერღვიათ მისთვის. ერთხელ, როდესაც კრისტოფი გოგონებთან ერთად შინ ბრუნდებოდა, გაოცდა, ამ ახალგაზრდა ქალმა რა სასტიკი მზერა შეავლო ბავშვებს.

ზაფხულის ერთ საღამოს, როდესაც არყოფნის სიცარიელით მონუსხული ეს ცოცხალი მიცვალებული ფანჯარასთან, ბნელაში იჯდა, უცებ გამოაფხიზლა კრისტოფის დაკვრამ, ამ საათებში როიალთან ოცნება რომ დასჩემებოდა. მუსიკამ გააღიზიანა ქ-ნი ჟერმენი, დაურღვია სიცარიელის გამაბრუებელი განცდა, რომელშიც გარინდებულიყო. ფანჯარა გაჯავრებით მიაჯახუნა. ჰანგები მტანჯველად დასდევდნენ ოთახის ყველაზე მიყრუებულ კუნჭულშიც. ქ-ნმა ჟერმენმა მუსიკის სიძულვილი იგრძნო. ნეტავი შესძლებოდა დაეშალა კრისტოფისათვის როიალის დაკვრა! მაგრამ რა უფლების ძალით? და ასე ყოველ სა-

ღამოს, დანიშნული საათი რომ მოახლოვდებოდა, ქ-ნი ჟერმენი ელოდა გამაღიზიანებელი მოუთმენლობით როიალის ახმიანებას; ხოლო ლე კრისტოფი აკვიანებდა დაწყებას, ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა. ძალაუნებურად ბოლომდე უნდა ესმინა მუსიკისათვის: როდესაც მისი ყურა მიწყდებოდა, ქალს უჭირდა ჩვეული აპათია დაებრუნებინა. ერთ საღამოს, როდესაც ქ-ნი ჟერმენი თავისი ჩაბნელებული ოთახის კუთხეში მიკრუნჩხულიყო და ყრუ კედლებისა და ჩაკეტილი ფანჯრის შიგნით მუსიკის შორეული, ნათელმოსილი ჰანგები შემოესმა, უცებ ჟრუანტელმა დაუარა ტანში და ცრემლების შადრევანმა გადმოხეთქა კვლავ მის თვალთაგან. ფანჯარა გამოაღო; და ამიერიდან უსმენდა და ტიროდა. მუსიკა, როგორც ჟუჟუნა წვიმა, წვეთ-წვეთად ყონავდა მის გამხმარ გულში და თანდათან აცოცხლებდა მას. ქალი კვლავ ხედავდა ცას, ვარსკვლავებს, ზაფხულის ღამეს; გრძნობდა, რომ მის სულში კვლავ იწყებდა ციმციმს, როგორც ოდნავ მბჟუტავი შუქი, სიცოცხლის ხალისის მსგავსი, ბუნდოვანი და გულმტკივნეული თანაგრძნობა ადამიანებისადმი. იმ ღამეს, პირველად მრავალი თვის შემდეგ, ესიზმრა თავისი ცუგრუმელა გოგონა. რამეთუ ყველაზე სიმედო გზა, მოვიახლოვოთ და კვლავ ვიხილოთ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლები, არის სიცოცხლე და არა სიკვდილი. ისინი კიდევ ცოცხლობენ ჩვენი სიცოცხლით და სამუდამოდ კვდებიან ჩვენთან ერთად.

ქ-ნი ჟერმენი არ ცდილა კრისტოფთან შეხვედრას. იგი კიდევ უფრო ერიდებოდა მას. თუმცა ესმოდა მისი ფეხის ხმა, გოგონებთან ერთად კიბეზე რომ ამოდიოდა; კარს უკან ატუზული სულგანაბული უსმენდა მათს ბავშვურ ტიტინს და გული ამოუჯდებოდა ხოლმე.

ერთხელ, წასასვლელად გამზადებულ ქ-ნ. ჟერმენს პატარების ფეხების ბაკაბუკი შემოესმა, უჩვეულო ფაციფუცითა და ხმაურით რომ ჩამორბოდნენ კიბეზე, და გაიგონა, ერთმა გოგონამ თავის უმცროს დაიკოს დატუქსვით უთხრა:

— ცოტა ჩუმად, ლუსეტ, ხომ იცი, აქ ცხოვრობს ის მგლოვიარე დეიდა, კრისტოფმა რომ გვითხრა.

გოგონამ ფეხაკრეფით იწყო კიბეზე ჩამოსვლა და ჩურჩულით უპასუხა დას. მაშინ კი, ქ-ნ ჟერმენს გულმა ვეღარ მოუთმინა: კარი გამოაღო, ბავშვებს მოეხვია და მხურვალედ დაუწყო კოცნა. გოგონებს შეეშინდათ; ერთმა მათგანმა ყვირილი მორთო. ქალმა ხელი უშვა ბავშვებს და შინ შეტრიალდა.

მას შემდეგ, როცა კი ბავშვებს შეხვდებოდა, ქ-ნი ჟერმენი ცდილობდა გაეღიმა (თუმცა მხოლოდ სახე ეღიმებოდა, რადგან უკვე გადაჩვეულიყო ღიმილს) და რაიმე საალერსო სიტყვა ეთქვა მათთვის, რაზეც შემკრთალი გოგონები პასუხის ნაცვლად ხმის კანკალით რაღაცას ლუღლუღებდნენ. მათ მაინც ეშინოდათ ამ ქალისა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ადრე: ახლა, მისი კარის წინ გავლისას, დაფეთებულნი ჩაირბენდნენ ხოლმე კიბეს, რომ ქალს უცებ კიდევ არ დაეჭირა ისინი. თავის მხრივ, ქ-ნი ჟერმენიც იმალებოდა მათს დანახვაზე.

ბავშვებთან საუბრისა ერიდებოდა. საკუთარი თავისა რცხვენოდა: თითქოს თავის გარდაცვლილ გოგონას ჰპარავდა რაღაც ნაწილს სიყვარულისა, რომლის მთელი უფლება მას ერთადერთს ჰქონდა. დედა მუხლებზე ვარდებოდა და პატიებას სთხოვდა შვილის სურათს. ახლა კი, როდესაც მასში სიცოცხლისა და სიყვარულის ინსტინქტს გაეღვიძა, გრძნობდა, იმდენად ძლიერი იყო იგი, რომ უკვე ვეღარ ერეოდა საკუთარ თავს.

ერთ საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდა, კრისტოფმა რაღაც უჩვეულო ჩოჩქოლი შენიშნა სახლში. ნაცნობმა ბაყალმა ამცნო, მეოთხე სართულზე მცხოვრები ბ-ნი ვატლე უეცრად გარდაიცვალაო გულის ანგინით. კრისტოფს სიბრალულისაგან გული შეეკუმშა, მაგრამ არა იმდენად თავის უბედურ მეზობელზე ფიქრით, რამდენადაც მისი ნაშვილევი ბავშვის ცოდვით, რომელიც უთვისტომოდ დარჩენილიყო. ბ-ნ ვატლეს, როგორც ჩანდა, ნათესავი არავინ გააჩნდა და დაბეჯითებით შეიძლებოდა ფიქრი, რომ გოგონა, სხვა რომ არაფერი, სრულიად უსახსროდ დაეტოვებინა. კრისტოფმა კიბე სკუპ-სკუპით აირბინა და შევიდა მეოთხე სართულის ბინაში, რომლის კარი ღია იყო. მიცვალებულთან დახვდა აბატი კორნელი; იქვე იყო პატარა გოგონა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა თვალებზე და საცოდავად უხმობდა მამას; მეკარე ქალი ცდილობდა მის დაწყნარებას, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებოდა. კრისტოფმა ხელში აიყვანა პატარა და თბილი სიტყვები უთხრა. ბავშვი ყელზე ჩამოეკიდა განწირულივით და ხელს აღარ უშვებდა; კრისტოფმა სცადა თან წაეყვანა, მაგრამ ვერც ამაზე დაიყოლია და თვითონაც იქ დარჩა. დღე იწურებოდა; კრისტოფი ფანჯარასთან იჯდა, კვლავ ხელში არწევდა ბავშვს და თან ჩუმად ეტიტინებოდა. ნელ-ნელა დაწყნარდა და სლუკ-სლუკში ჩაეძინა. კრისტოფმა გოგონა ლოგინზე დააწვინა და მოუხერხებლად დაუწყო ტანთ გახდა, ძლივ-ძლივობით შეუხსნა ზონრები პაწია ფეხსაცმელებზე. უკვე დაბინდებულიყო. ბინის კარი ისევ ღია დაეტოვებინათ. უცებ კაბამ გაიშრიალა და ლანდი აღიმართა ზღურბლზე. საღამოს ბინდბუნდში კრისტოფმა მგლოვიარე მანდილოსნის ანთებული თვალები გაარჩია და სახტად დარჩა.

ქალი იდგა კარებში და ცრემლები ახრჩობდა; ბოლოს, ძლივს ამოილუღლუღა:

— მე მინდა... თუ შეიძლება... გთხოვთ, მომცეთ იგი!

კრისტოფმა ხელზე ხელი მოჰკიდა. ქ-ნი ჟერმენი ტიროდა. მერე ბავშვის სასთუმალთან ჩამოჯდა. ცოტა გულზე რომ მოეშვა, წარმოთქვა:

— ნება მომეცით, ღამე გავუთიო...

კრისტოფი და აბატი კორნელი თავიანთ სართულზე ავიდნენ. მღვდელი, ცოტა შეწუხებული, ბოდიშს იხდიდა ბ-ნ ვატლეს ცხედართან მისვლისათვის: იმედია, მიცვალებული არ მიწყენს, — თავმდაბლურად ამბობდა იგი, — მე მასთან მივედი არა როგორც მღვდელი, არამედ როგორც მისი მეგობარიო.

მეორე დღეს დილით, როდესაც კრისტოფი მიცვალებულის ბინაში დაბრუნდა, ნახა, რომ გოგონა ყელზე შემოხვეოდა ქ-ნ ჟერმენს იმ გულუბრყვილო მიმნდობელობით, რომლითაც ეს პატარა არსებანი უმალ ეთვისებიან ყველას, ვინც მათთვის ალერსს გაიმეტებს. იგი დათანხმებულიყო, მიეღო ახალი მფარველი... ვაგლახ! ჯერ დავიწყებულიც არ ჰყავდა თავისი მამობილი და უკვე მოესწრო ახალი დედობილის შეყვარება! რომ განსაჯო, ვერაფერი სანუგეშოა. ნეტავი, თუ ხვდებოდა ამას ქ-ნ ჟერმენის ეგოიზმი, რომელსაც სურდა, მარტო თვითონ დაჰპატრონებოდა მის სიყვარულს?.. იქნებ ხვდებოდა კიდეც. მაგრამ რა ბედენაა? მთავარია, გიყვარდეს. ამაშია ბედნიერება...

დაკრძალვიდან ორიოდე კვირის შემდეგ ქ-ნმა ჟერმენმა ბავშვი პარიზიდან შორს, სოფელში წაიყვანა. გაცილებას კრისტოფი და ოლივიე ესწრებოდნენ. ახალგაზრდა ქალს შვება და იდუმალი სიხარული ეტყობოდა სახეზე, ადრე რომ არავის ენახა. იგი არავითარ ყურადღებას არ იჩენდა მათდამი, მაგრამ გამომშვიდობებისას მაინც შეამჩნია კრისტოფი, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— თქვენ გადამარჩინეთ.

— რაო, ხომ არ გაგიჟებულა? — იკითხა კრისტოფმა, როდესაც გაცილების შემდეგ თავიანთ კიბეზე ადიოდნენ.

ერთი კვირა არ იყო გასული, რომ კრისტოფმა ფოსტით მიიღო უცნობი პატარა გოგონას სურათი: ტაბურეტზე ჩამომჯდარს პაწია ხელები ჭკვიანურად გადაეჯვარედინებინა მუხლებზე და ღია ნაღვლიანი თვალებით იყურებოდა. ქვეშ ეწერა:

„ჩემი პატარა მიცვალებული მადლობას გიხდით“.

ამრიგად, ყველა ამ ადამიანის სულში ახალი სიცოცხლის სიომ დაჰბერა. იქ, მაღლა, მეექვსე სართულის სხვენში, ცხოვრობდა კაცი, რომლის გულშიც გიზგიზებდა კერა ძალუმი კაცთმოყვარეობისა და მისი მხურვალება ნელ-ნელა მთელ სახლს ათბობდა.

მაგრამ კრისტოფი ვერ ამჩნევდა ამას. ეს ცვლილება მეტისმეტად ნელი ეჩვენებოდა.

— აჰ! — ამოიხვნეშავდა იგი. — ნუთუ შეუძლებელია დავაძმობილოთ ნებისმიერი რწმენისა და კლასის ყველა პატიოსანი ადამიანი, რომელთაც ერთმანეთის ცნობა არ უნდათ! ნუთუ არავითარი საშუალება არ არსებობს?

— რა გაეწყობა? — უპასუხებდა ოლივიე. — ამისთვის საჭირო იქნებოდა ურთიერთ შემწყნარებლობა და თანაგრძნობის უნარი, რაც შეუძლია შვას მხოლოდ შინაგანმა სიხარულმა, სიხარულმა ჯანსაღი, ნორმალური და შეხმატკბილებული ცხოვრებისა, სიხარულმა იმისა, რომ ვიღაცას სჭირდება შენი მოღვაწეობა, ემსახურები რაღაც დიდს. ამისთვის საჭირო იქნებოდა ისიც, რომ ქვე-

ყანა. რომელშიც ასეთი ადამიანები იცხოვრებდნენ, ყოფილიყო თავისი დიდების სანაში, ან (უფრო უკეთესი) დიდებისაკენ მიმავალ გზაზე. საჭირო იქნებოდა აგრეთვე (ერთი მეორეს გულისხმობს) ჭკვიანი და ძლიერი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის ინტერესებს პარტიათა ინტერესებზე მაღლა დააყენებდა. ეს კი ისეთ ხელისუფლებას ძალუძს, რომელიც ძალას საკუთარ თავში პოულობს და არა ბრბოში, ცდილობს დაეყრდნოს არა ანარქიულ უმრავლესობას, არამედ გავლენა მოიპოვოს ყველას თვალში თავისი ღვაწლით; მაგალითად: გამარჯვებათა წარავანდედით მოსილი გენერალი, დიქტატურა საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, გონების ჰეგემონია... ან რაღაც ამის მსგავსი. ეს ჩვენზე როდია დამოკიდებული. საჭიროა შემთხვევა, და კიდევ ადამიანები, რომ ისარგებლონ ამ შემთხვევით; საჭიროა: გენიოსს პლუს ბედის გაღიმება. ველოდოთ და ვიმედოვნოთ! ძალები სახეზეა — ძალები რწმენის, მეცნიერებისა და შრომისა, ძველი და ახალი საფრანგეთის, ყველაზე დიდი საფრანგეთისა, ვიდრე ოდესმე ყოფილა... რა აღგზნებას გამოიწვევდა, ვინმეს რომ წარმოეთქვა ის სანუკვარი, ერთნეული სიტყვა, რომლის გაგონებაზე მთელი ეს ძალები ერთბაშად ამოქმედდებოდნენ ერთ მუშტად შეკრულნი! მაგრამ ეს ვინმე, ვისაც ამ სიტყვის თქმა ძალუძს, არც მე ვარ და არც შენ. მაშ ვინ არის? გამარჯვება, დიდება?... მოთმინება, ვიქოლიოთ: მთავარია, ყოველივე, რაც ერში ძლიერია, ერთად შემჭიდროვდეს, არ დაიშალოს, ნაადრევად არ დაეცეს სულით. ბედი და გენიოსი იმ ხალხებთან მიდიან, რომელთაც საუკუნეების მანძილზე საკუთარი მოთმინებით, რუდუნებითა და რწმენით დაუმსახურებიათ ისინი.

— ვინ იცის? — თქვა კრისტოფმა. — ხშირად ისინი გაცილებით ადრე მოდიან, ვიდრე ჰგონიათ, იმ დროს, როდესაც მათ ყველაზე ნაკლებ მოელიან. თქვენ მეტისმეტად დიდ იმედებს ამყარებთ საუკუნეებზე. მოემზადეთ, ნუღარ აყოვნებთ! შემოირტყიათ ქამარი წელზე! ნუ გაიხდით ფეხსაცმელს და ნუ გააგდებთ ხელიდან კვერთხს. რამეთუ არ უწყით, უფალი თქვენი სახლის წინ ხომ არ ჩაელის ამაღამ.

ულალმა, მართლაც, ზედ კარის წინ ჩაუარათ წუხელ. და მისი ფრთის აჩრდილმა კრისტოფისა და ოლივიეს სახლის ზღურბლიც ჩამოაბნელა.

ერთი შეხედვით, ფრიად უმნიშვნელო მოვლენათა განვითარების შედეგად ურთიერთობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის ერთბაშად გამწვავდა და დაიძაბა. სულ რაღაც სამიოდე დღეში ჩვეულებრივი კეთილმეზობლური დამოკიდებულება შეცვალა გამომწვევმა კილომ, ომის დაწყებას რომ მოასწავებს ხოლმე. ამას მხოლოდ ისინი შეეძლო გაეკვირვებინა, ვინც თავს იტყუებდა იმედით, რომ სამყაროს გონება მართავს. მაგრამ თურმე არც ასეთები ყოფილან თითზე ჩამოსათვლელი საფრანგეთში; აი, სწორედ ამ ადამიანებში გამოიწვია გაოცება იმან, რომ დღითი დღე სულ უფრო თავაწყვეტილ ხასიათს ღებულობდა რაინს გაღმა პრესის ანტიფრანგული გამოხდომები. ზოგიერთი გერმანული გაზეთი, პატრიოტობის უფლებას რომ არავის ანებებდა, ლაპარაკობდა ერის

სახელით და კარნახობდა სახელმწიფოს პოლიტიკას, ზოგჯერ თვით სახელმწიფოსთან საიდუმლო შეთანხმებით (თუმცა ამაში არც ფრანგული გაზეთები ჩამორჩებოდნენ). შეურაცხმყოფელ ულტიმატუმებს უყენებდა საფრანგეთს. გერმანიასა და ინგლისს შორის კონფლიქტი წარმოიშვა; გერმანია უფლებას უზღუდავდა საფრანგეთს, ნეიტრალიტეტი დაეცვა ამ კონფლიქტში; გაკადნიერებული გერმანული გაზეთები ძალას ატანდნენ საფრანგეთს მხარი დაეჭირა გერმანიისათვის, თორემ, — იმუქრებოდნენ ისინი, — ომისათვის მთელ პასუხისმგებლობას თქვენ დაგაკისრებთო; ცდილობდნენ დაშინების გზით მოკავშირეობა გამოეგლიჯათ მისთვის და წინდაწინ უკვე გალახულ და სიტყვაშეუბრუნებელ ვასალად თვლიდნენ მას, — ერთი სიტყვით, როგორც ავსტრიასთან მოხდა. ამაში თავს იჩენდა გერმანული იმპერიალიზმის გაყოყოჩება და გამარჯვებებით თავბრუდახვევა, მის სახელმწიფო მოღვაწეთა სრული უუნაროება გაეგოთ სხვა ერებისათვის, ყველანი ერთ მაფრაშაში რომ მოექციათ და კანონად გამოეცხადებინათ მათთვის: ძალა — აი. უმაღლესი საბუთი. ცხადია, ისეთ ძველ ერზე, რომელსაც ახსოვდა თავისი მრავალსაუკუნოვანი დიდება და უპირატესობა ევროპაში, რასაც გერმანია არასოდეს ოცნებია, ეს უხეში გამოწვევა იმის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, გერმანია რომ მოელოდა. ყალყზე დამდგარიყო მისი მილულული სიამაყე: კანკალს აეტანა მთლად საფრანგეთი და თვით ყველაზე გულგრილნიც კი ცოფებს ჰყრიდნენ სიბრაზისაგან.

გერმანელი ხალხის მასები არაფერ შუაში იყვნენ ამ გამოწვევაში. პატიოსან ადამიანებს ყველა ქვეყანაში ერთი რამ სურთ — მშვიდობით იცხოვრონ; გერმანიაში კი ისინი განსაკუთრებით მშვიდობიანი, მოსიყვარულე და ყველასთან თანხმობის მოსურნე არიან და უფრო იმისკენ აქვთ მიდრეკილება, რომ მიბაძონ სხვებს და აღტაცებაში მოვიდნენ მათ გამო, ვიდრე ჩხუბი აუტეხონ მათ. მაგრამ როდის ყოფილა, რომ პატიოსან ადამიანებს აზრს ეკითხებოდნენ? თუმცა არც მათ ჰყოფნით გამბედაობა, რომ თავად გამოთქვან. ისინი, ვისაც არა აქვს ვაჟკაცური ჩვეულება, ერეოდნენ საქვეყნო საქმეებში, განწირული არიან, საცოდავ ტიკინებს წარმოადგენდნენ ბლიერთა ამა ქვეყნისათა ხელში. ისინი ის მჭექარე, მაგრამ უგუნური ექო გახლავთ, რომელიც ბრმად ირეკლავს პრესის მიერ ატეხილ ღვარძლიან ყიჟინსა და წინამძღოლთა მოწოდებას და შეიძლება ეწოდოს როგორც „მარსელიეზა“, ისე Wacht am Rhein[1].

ეს საშინელი დარტყმა იყო კრისტოფისა და ოლივიესათვის. მეგობრები ისე მიჩვეულიყვნენ ჰყვარებოდათ ერთმანეთი, რომ ვერ გაეგოთ, რატომ ასევე არ იქცეოდნენ მათი სამშობლოებიც. ამ უეცრად გაღვიძებული, შეურიგებელი მტრობის მიზეზები უნიადაგო ეჩვენებოდა ორივეს. განსაკუთრებით კი

---

[1] „საფუძვლიანი რაინზე“ (გერ.) — გერმანული ნაციონალიტური სიმღერა. — მთარგმნელის შენიშვნა.

კრისტოფს, რომელსაც როგორც გერმანელს, არავითარი საფუძველი არ გაჩნდა გულში ჰქონოდა ბოროტება იმ ხალხის მიმართ, რომელიც დამარცხებული ჰყავდა მის მშობელ ერს. იგი შეძრწუნებული იყო ზოგიერთი თავისი თანამემამულის აუტანელი გულზვიადობით და ერთგვარად იზიარებდა კიდეც ფრანგების აღშფოთებას ამ გამოწვევით, რომელიც თავხედობით ბრაუნშვაიგის მანიფესტს არ ჩამოუვარდებოდა; მაგრამ მაინც ვერ გაეგო, რატომ არ უნდა დათანხმებულიყო საფრანგეთი, ბოლოს და ბოლოს, გამხდარიყო გერმანიის მოკავშირე. მას ეჩვენებოდა, რომ ორივე ქვეყანას უამრავი ღრმა საფუძველი ჰქონდა გაერთიანებულიყო, უამრავი საერთო შეხედულება და ესოდენ დიადი ამოცანები, რომლებიც ერთობლივ გადაწყვეტას მოითხოვდა, და სწყინდა, რომ ამის ნაცვლად ისინი ერთმანეთს გადაჰკიდებოდნენ და ურთიერთმტრობაში ამოსდიოდათ სული. როგორც ყველა გერმანელი, კრისტოფიც ამ გაუგებრობის მთავარ დამნაშავედ საფრანგეთს თვლიდა: მართალია, თანხმდებოდა, რომ ადვილი არ იყო საფრანგეთისთვის, აეტანა დამარცხებით გამოწვეული დამცირება, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს უბრალო თავმოყვარეობის ღიტინი იყო და მართალი შეეწირა იგი უფრო მაღალი ინტერესებისათვის, ცივილიზაციისა და თვით საფრანგეთისავე სასარგებლოდ. იგი არასოდეს ირჯებოდა, საკამათოდ გაეხადა ელზას-ლოტარინგიის საკითხი. სკოლაში ნასწავლი ჰქონდა, რომ ამ მხარეების ანექსია განეხილა, როგორც სამართლიანობის აქტი, რომლის წყალობით, უცხოური ბატონობის ქვეშ მრავალსაუკუნოვანი მონობის შემდეგ, ისტორიულად გერმანული მიწა-წყალი კვლავ თავის მშობლიურ გერმანიას დაუბრუნდა. ამიტომ პირს კატა ეცა, როდესაც გაიგო, რომ მისი მეგობარი ამ ანექსიას განიხილავდა, როგორც დანაშაულს. კრისტოფს ჯერ არასოდეს ესაუბრა ამის თაობაზე ოლივიესთან, იმდენად დარწმუნებული იყო, რომ ისიც უთუოდ ამავე თვალსაზრისს იზიარებდა; მაგრამ დახე, ოლივიე, რომლის გულწრფელობასა და ხალას აზროვნებაში ეჭვი არ ეპარებოდა, უცებ აცხადებდა, გაუცხარებლად, ფრიად დამშვიდებული, ოღონდ ღრმა ნაღველით გულში, რომ დიდ ერს, რასაკვირველია, შეეძლო უარი ეთქვა შურისძიებაზე ამგვარი დანაშაულის გამო, მაგრამ არ შეეძლო სამართლიანად ეცნო იგი ისე, რომ არ შეელახა საკუთარი ღირსება.

ძალზე ძნელი გახდა ერთმანეთის გაგება. ისტორიულ საბუთებს, რომელთა მოშველიებით ოლივიე ცდილობდა დაემტკიცებინა საფრანგეთის უფლება — დაებრუნებინა ელზასი, როგორც ყოფილი ლათინური მიწა-წყალი, არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია კრისტოფზე: არსებობდა არანაკლებ საფუძვლიანი საბუთები სრულიად საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად: ისტორია უხვად ამარაგებს პოლიტიკოსებს ყოველნაირი არგუმენტებით, როგორიც დასჭირდებათ ნებისმიერი მოსაზრების გასამართლებლად. კრისტოფი ყველაზე მეტად მოელბო საკითხის კვლავ არა იმდენად ფრანგულ, რამდენადაც ჰუმანურ მხარეს. ელზასელები გერმანელები იყვნენ თუ არა, მთავარი ეს როდი გახლდათ;

მათ არ სურდათ ყოფილიყვნენ გერმანელები — უკვე ესეც საკმარისი იყო. ვის აქვს უფლება განაცხადოს: „ეს ხალხი ჩემია, რადგან იგი ჩემი ძმა არის“? თუ შენი ძმა უარს გეუბნება ძმობაზე, თუნდაც არაფერი დაგეშავებინოს, მაინც შენი ბრალია, რაკი სიყვარული ვერ გიგრძნობინებია მისთვის და უფლება არა გაქვს მოსთხოვო, გინდა თუ არა ჩემი ბედი გაიზიარეო. მიუხედავად ორმოცი წლის ძალმომრეობისა და უხეში, ანდა ცბიერი დათრგუნვისა, მიუხედავად თვით იმ წრფელი მზრუნველობისა, რომელსაც ზოგიერთი წესიერი და ჭკვიანი გერმანული მმართველობა იჩენდა მათ მიმართ, ელზასელები კვლავ ჯიუტად აცხადებდნენ, რომ არ სურდათ გერმანელები ყოფილიყვნენ. ხოლო როდესაც მათი ნებისყოფა გატეხეს და მოდრიკეს, მაინც ვერარა ძალას ვერ დაევიწყებინა ტანჯვა განცდილი თაობების მიერ, რომლებიც აეძულებინათ მშობლიური მიწა-წყლიდან გადახვეწილიყვნენ, ან, რაც კიდევ უფრო გულსაკლავია, ვერ შელეოდნენ მშობლიურ კერას და იძულებული იყვნენ აეტანათ მომხდურთა საძულველი უღელი და უმწეოდ ეცქირათ, როგორ ძარცვავდნენ მათ ქვეყანას და იმონებდნენ მათ ერს.

კრისტოფმა გულალალად აღიარა, საკითხის ამ მხარეს არასოდეს ჩავფიქრებივარო, და ფრიად შეცბუნებული ჩანდა ამით. პატიოსან გერმანელს მუდამ შეაქვს კამათში ალალი გულწრფელობა, რაშიც ლათინს ხელს უშლის მგზნებარე თავმოყვარეობა, რა გულახდილიც უნდა იყოს იგი. კრისტოფი არ აპირებდა მოეშველიებინა მსგავს დანაშაულობათა მაგალითები, რომლებიც ყოველ ერს ისტორიის ყოველ ხანაში ჩაედინა. სიამაყე ნებას არ აძლევდა ეძებნა არასაკადრისი გასამართლებელი მიზეზები; იცოდა, რომ რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობა, მით უფრო საზიზღარი ხდება მისი დანაშაულობანი, რადგან სულ უფრო ნათელი ეფინება ყოველივეს. ამასთანავე, ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ თუ საფრანგეთს გაემარჯვა, არც ის აღმოჩნდებოდა გერმანიაზე უფრო ზომიერი და დანაშაულთა ჯაჭვს ერთი რგოლი კიდევ მიემატებოდა. და ასე, საუკუნოდ გაგრძელდებოდა ეს ტრაგიკული კონფლიქტი, რომელიც დაღუპვას უქადდა ევროპული ცივილიზაციის მონაპოვარს.

რა მტკივნეულიც უნდა ყოფილიყო ეს საკითხი კრისტოფისათვის, იგი გაცილებით უფრო მტკივნეული იყო ოლივიესათვის. მისთვის მთელი მტკივნეულობა როდი ამოიწურებოდა მარტოოდენ ძმათამკვლელი ომის მწუხარებით ორ ერს შორის, ერთმანეთთან სათანამშრომლოდ რომ იყვნენ მოწოდებული; თვით საფრანგეთის შიგნით ერის ერთი ნაწილი მეორესთან საბრძოლველად ემზადებოდა; საქმე ის არის, რომ უკვე მრავალი წელია, ფართოდ გავრცელებულიყო მშვიდობისმოყვარე და ანტიმილიტარისტული მოძღვრებანი, რომელსაც ღაღადებდნენ, როგორც ერის ყველაზე ღირსეული, ისე ყველაზე უღირსი წარმომადგენლები. სახელმწიფოს, გულგრილი დაუდევრობით ყოველივე იმისადმი, რაც პოლიტიკოსთა ანგარებითს მიზნებს არ ეხებოდა, ნებაზე მიეშვა ისინი და არ ფიქრობდა, რომ შესაძლოა ნაკლებ საშიში ყოფილიყო ხმამაღლა

დაეჭირა მხარი თვით ყველაზე საშიში მოძღვრებისათვის, ვიდრე მიეშვა იგი ხალხის გულამდე და ამით ძირი გამოეთხარა ომისთვის, რომელიც ის-ის იყო მზადდებოდა. ეს პაციფისტური მოძღვრება შთააგონებდა თავისუფალი აზრის ადამიანებს, რომლებიც ოცნებობდნენ დაეფუძნებინათ ძმური ევროპა და ერთობლივად ღვწოდნენ უფრო სამართლიანი და კაცთმოყვარე საზოგადოების შექმნის მიზნით. ამავე დროს, იგი აამებდა მშიშარა ადამიანების ლაჩრულ ეგოიზმსაც. რომელთაც ეშინოდათ საკუთარი ტყავი არ გაეკაწრათ, ვისი ან რისი გულისთვისაც არ უნდა ყოფილიყო ეს. ამ აზრებს შეეპყრო ოლივიე და ბევრი მისი მეგობარიც. ერთი-ორჯერ კრისტოფს მოუხდა, შინ დასწრებოდა მათ საუბრებს და სახტად დარჩა. ჰუმანისტური ილუზიებით შეპყრობილი, გულკეთილი მოოხი თვალებგაბრწყინებული, უაღრესი უწყინარობით ამბობდა, რომ საჭიროა ხელი შეეუშალოთ ომს, რისთვისაც საუკეთესო საშუალებაა ჯარისკაცები ავაჯანყოთო: დაე, მათ თავიანთ მეთაურებს ესროლონ! იგი პატიოსან სიტყვას იძლეოდა, რომ წარმატებას მიაღწევდნენ. ინჟინერმა ელი ელსბერჟემ გულცივი სისასტიკით მიუგო, რომ თუ ომი ატყდა, ვერც მე და ვერც ჩემს მეგობრებს აქედან ფეხს ვერავინ მოგვაცვლევინებს, ვიდრე შინაურ მტერს ანგარიშს არ გავუსწორებთო. ანდრე ელსბერჟემ კი მოოხს დაუჭირა მხარი. ერთხელ, კრისტოფი ძმებს შორის გამართული საშინელი სცენის მოწმე გახდა: ძმა ძმას ემუქრებოდა, ჩემი ხელით დაგხვრეტდიო. მიუხედავად იმისა, რომ ხუმრობაში ატარებდნენ ამ შემაძრწუნებელ სიტყვებს, იგრძნობოდა, რომ მათს ტყუილში ცოტა მართალიც ერია. კრისტოფი გაოცებული შეჰყურებდა ამ უცნაურ ერს, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო თვითმკვლელობა ჩაედინა რაღაც განყენებული აზრის გულისათვის... გიჟები. ლოგიკურნი, მაგრამ გიჟები. თითოეული მხოლოდ საკუთარ აზრს ხედავს, სურს ბოლომდე ჯიუტად დაიცვას იგი და არაფრის გულისათვის ფეხი არ მოიცვალოს. და ასე. რასაკვირველია, ერთმანეთს ანადგურებენ. ჰუმანისტები პატრიოტებს ეომებიან. პატრიოტები—ჰუმანისტებს. ამასობაში მოდის მტერი და ფეხით თელავს მათს სამშობლოსაც და მათს ჰუმანიზმსაც.

— კი მაგრამ, — ეკითხებოდა კრისტოფი ანდრე ელსბერჟეს, — სხვა ქვეყნების პროლეტარებს თუ შეუთანხმდით?

— ვიღაცამ ხომ უნდა დაიწყოს. ჰოდა, ჩვენ ვიწყებთ. ყოველთვის პირველნი ვიყავით. ამჯერადაც ჩვენ გვმართებს სიგნალი მივცეთ!

— სხვები რომ არ გამოგყვნენ?

— გამოგვყვებიან.

— გაქვთ რაიმე ხელშეკრულება, წინასწარ მოფიქრებული რაღაც გეგმა?

— რა საჭიროა ხელშეკრულებები? ჩვენი რწმენა ყოველგვარ დიპლომატიაზე ძლიერია.

— ეს სტრატეგიის საკითხია და არა იდეოლოგიისა. თუ გინდათ, სამუდა-

მოდ მოსპოთ ომი, იხმარეთ მისივე ხერხები. შეიმუშავეთ ერთობლივი მოქმედების გეგმა ორსავე ქვეყანაში. დათქვით დღე და მოაწყვეთ თქვენი მომხრეების დარაზმული გამოსვლა საფრანგეთსა და გერმანიაში. ხოლო თუ შემთხვევითობის ანაბარა დარჩებით, კარგს არაფერს უნდა გიქადდეთ იგი. ერთი მხრით — შემთხვევითობის იმედი, მეორე მხრით კი მოწინააღმდეგის უზარმაზარი დარაზმული ძალები. შედეგიც ადვილი გამოსაცნობია: გაგანადგურებენ და ის იქნება.

ანდრე ელსბერჟე არ უსმენდა. იგი მხრებს იჩეჩდა და გულს იოხებდა ბუნდოვანი ქადილით: საკმარისია ერთი პეშვი ქვიშა შიგ კბილანებში შეაყარო და მანქანა მოიშლებაო.

— მაგრამ ერთია — მხარ-თეძოზე წამოწოლილი ზოგად საკითხებზე ბჭობდე და სულ სხვაა — ცხოვრებაში მოქმედებდე შენი აზრებით, მით უმეტეს, როდესაც საჭიროა გადაწყვიტო დაუყოვნებლივ. საშინელი განცდაა, როცა გრძნობ, რომ ფსკერისაკენ მიგაქანებს ტალღა! გეგონა, თავისუფალი იყავი და მოქმედებდი საკუთარი აზრის კარნახით, მაგრამ აი, უჩინარი რამ ძალა დაგეუფლა და სადღაც მიჰყავხარ, შენი სურვილის წინააღმდეგ. ვიღაცის იდუმალი ნება მძლავრობს შენს ნებაზე. მაშინ ხედავ, რა უსუსური ხარ იმ უცნობი მბრძანებლის, იმ უსილავი ძალის წინაშე, რომლის კანონები განაგებს კაცობრიულ ოკეანეს...

ყველაზე ურყევი გონების ადამიანები, ყველაზე დაჯერებულნი საკუთარ თავში, ხედავდნენ, როგორ ქარწყლდებოდა მათი რწმენა, როგორ მერყეობდნენ. კანკალებდნენ გადაწყვეტილების მიღების წინ, და ხშირად, მათდავე გასაოცრად, სულ სხვა ნაბიჯს დგამდნენ, ვიდრე წინასწარ ფიქრობდნენ. ზოგიერთნი, ომის აკრძალვის ყველაზე თავგამოდებულ მომხრეთა შორის, გრძნობდნენ, რომ მათ სულში გაჰღვიძებოდა უეცარ აღტყინებას, სიამაყესა და მგზნებარე სიყვარულს სამშობლოსადმი. კრისტოფი ხედავდა, რომ სოციალისტები და ასე გასინჯეთ, რევოლუციონერი სინდიკალისტებიც კი ამ წინააღმდეგობრივ გრძნობებსა და მოვალეობებს შორის იტანჯებოდნენ. კონფლიქტის პირველ საათებში, როდესაც კრისტოფს ჯერ კიდევ არ ეჯერა ამ საქმის სერიოზულობა, ჩვეული გერმანული მოურიდებლობით უთხრა ანდრე ელსბერჟეს, რომ დადგა ჟამი ცხოვრებაში გაატარო შენი თეორიები, თუ არ გინდა გერმანიამ საფრანგეთი ჩაყლაპოსო. ანდრემ იწყინა და განრისხებულმა მიახალა:

— ერთი გაბედეთ და სცადეთ!... თქვე ღვთის გლახებო, იმის შნო რომ არა გაქვთ, ხმა ჩააკმენდინოთ თქვენს კაიზერს და უღელი მოიშოროთ, თუმცა ტვინი კი წაიღეთ თქვენი ყოვლად უწმინდესი სოციალისტური პარტიით, რომელსაც ოთხასი ათასი წევრი ჰყავს და სამ მილიონ ამომრჩეველს ითვლის!... არც ჩვენ დავიკრეფთ გულხელს! სცადეთ ჩაგვყლაპოთ! უწინ ჩვენ ჩაგყლაპავთ!...

რაც უფრო ჭიანურდებოდა მოსალოდნელი ომი, მისი ციებ-ცხელება ყველას იპყრობდა. ანდრე საგონებელში ჩავარდნილიყო. იცოდე, რომ შენი რწმენა ჭეშმარიტია, მაგრამ ვერ შეძლო დაიცვა იგი! გრძნობდე, რომ შენც დაგრია ხელი იმ სულიერმა ეპიდემიამ, რომელიც ხალხების გონებას ჯოგური ერთსულოვნების ძალუმი სიგიჟით ახელებს და ომის ჟინით აღატყინებს! იგი ჯიჯგნიდა ყოველი ადამიანის სულს კრისტოფის ირგვლივ და თვით კრისტოფსაც კი. ყველას კრიჭა შეჰკვროდა. ყველანი გაურბოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ძნელი იყო ამ გაურკვევლობაში დიდხანს გაძლება. მოვლენათა განვითარების კორიანტელი მათ, ვინც ჯერ კიდევ მერყეობდა, ნებსით თუ უნებლიეთ, ან იქით ან აქეთ ბანაკში სტყორცნიდა. ერთ დღესაც, როდესაც ულტიმატუმის ვადა ამოიწურა, ორსავე ქვეყანაში მოვლენათა ყველა ზამბარა რომ დაიძაბა და ყველაფერი მზად იყო ხოცვა-ჟლეტის დასაწყებად, კრისტოფმა შეამჩნია, რომ უკვე ყველას გაეკეთებინა არჩევანი. ყველა ურთიერთმტრულად განწყობილი პარტია უნებურად შემოკრებილიყო საძულველი, ან სათაკილო მთავრობის გარშემო, რომელიც საფრანგეთს წარმოადგენდა. ესთეტებს, ხელოვნების შერყვნის ამ ოსტატთ, თავიანთი ახალი ნაცელქარი პატრიოტული სულისკვეთებით შეეკაზმათ. ებრაელები მოუწოდებდნენ დაეცვათ წინაპართა წმიდათაწმიდა სამოსახლო. დროშის სახელის უბრალო ხსენებაზეც კი ჰამილტონს[1] გული უჩუყდებოდა. თუმცა ყველანი გულწრფელად სჩადიოდნენ ამას, ყველას გადასდებოდა ეს ინფექცია. ამ მხრივ, ანდრე ელსბერჟე და მისი სინდიკალისტი მეგობრები არათუ ჩამოუვარდებოდნენ, პირიქით, აჭარბებდნენ, კიდეც სხვებს: გარემოებათა გამო თავგზააბნეულნი და იძულებით მიკედლებულნი მათთვის საძულველ პარტიას, უცებ ისეთი შიშნეული გააფთრებით, ისეთი სასოწარკვეთილი გაცოფებით ჩაერთვნენ საერთო ღრიანცელში, რომ ეს ანტიმილიტარისტები სისხლის დასანთხევად დაგეშილ მძვინვარე იარაღად გადაიქცნენ ერთბაშად. ელექტრომონტიორ ობერს, წიგნებში ამოკითხულ ჰუმანიზმსა და ინსტინქტურ შოვინიზმს შორის რომ მომწყვდეულიყო, კინაღამ გონება დაეკარგა; რამდენიმე თეთრად გათენებული ღამის შემდეგ, ბოლოს მიაგნო სასურველ ფორმულას, რომელიც ყველაფერს თავის ადგილზე აყენებდა: ჰუმანიზმის განსახიერება თვით საფრანგეთიაო. იმ დღიდან ისიც დაეუბრა კრისტოფს. სახლის თითქმის ყველა მობინადრეს დაეკეტა კარი გერმანელისათვის. სათნო არნოებიც კი აღარ ეპატიჟებოდნენ შინ. ცოლ-ქმარი კვლავ მუსიკით გართულიყო, ხელოვნებით გარემოეცვა თავი, ცდილობდა დაევიწყებინა ის, რაც ჯარშემო ყველას აშფოთებდა. მაგრამ ისინიც ფიქრს შეეპყრო. ცალ-ცალკე, ყოველი მათგანი, კრისტოფს რომ შეხვდებოდა, გულითადად არ-ბევდა ხელს, თუმცა ნაჩქარევად, როგორღაც მალვით. ხოლო მეორე დღეს ერთად მოშავალ-

---

1 ნ. წიგნი მეხუთე — „ბაზრობა მოედანზე" — რ. რ.

ნი გვერდით ჩაუვლიდნენ და არც კი შეჩერდებოდნენ, დიდი-დიდი, უხერხულად დაექნიათ თავი. სამაგიეროდ, ვინც წლობით უმძრახად იყო ერთმანეთთან, უცებ კვლავ დაახლოებულიყო. ერთ საღამოს ოლივიემ ფანჯარასთან მიიხმო კრისტოფი და დაანახა დაბლა, ბაღში, ცოლ-ქმარი ელსბერჟეები მაიორ შაბრანს რომ ემუსაიფებოდნენ.

კრისტოფი არც დაფიქრებულა, გაჰკვირვებოდა ეს უეცარი გადატრიალება ადამიანების გონებაში. იგი ერთობ დაკავებული იყო საკუთარ თავში მომხდარი ცვლილებებით. ამ ამბებს ისე აეფორიაქებინა იგი, რომ თავის დამორჩილებას ველარ ახერხებდა. ოლივიე, რომელსაც მეტი საფუძველი ჰქონდა აღელვებული ყოფილიყო, გაცილებით დამშვიდებული ჩანდა. თითქოს მას ერთადერთს ჰქონდა იმუნიტეტი ამ ინფექციის წინააღმდეგ. რა გულმოწყლულიც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი ომის მოახლოებითა და შინაგანი შუღლით, მიუხედავად ყველაფრისა, გარდაუვალად რომ მიაჩნდა, ოლივიეს ესმოდა სიდიადე ორი მტრული მსოფლმხედველობისა, რომლებიც ადრე თუ გვიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შესჯახებოდნენ ერთმანეთს; მან იცოდა, აგრეთვე, რომ სწორედ საფრანგეთს მოუწევდა გამხდარიყო კაცობრიული პროგრესის გამოცდის ველი, და კიდევ, ახალ იდეებს, რომ გაფურჩქნულიყვნენ, სჭირდებოდათ მორწყულიყვნენ მისი სისხლით. თავად იგი არ აპირებდა მონაწილეობა მიეღო ამ ხელჩართულ ბრძოლაში. ორი ცივილიზაციის ამ ურთიერთ ყელგამოსალადრად კვეთების ჟამს, ოლივიეს სურდა, ანტიგონეს შეგონება გაემეორებინა: „მე სიყვარულისათვის შევქმნილვარ და არა სიძულვილისათვის“. სიყვარულისა და, აგრეთვე, გაგების უნარისათვის, რომელიც სიყვარულის მეორე სახეს წარმოადგენს. მარტო მისი კრისტოფისადმი ნაზი მეგობრობაც კმაროდა, რომ შეგნებული ჰქონოდა თავისი მოვალეობა. იმ დროს, როდესაც მილიონობით არსება კბილებს ილესავდა ერთმანეთის სიძულვილით, ოლივიე გრძნობდა, რომ მოვალეობა ისევე, როგორც ბედნიერება ორი სულისა, სახელდობრ, ოლივიესა და კრისტოფისა, ის გახლდათ, რომ შეენარჩუნებინათ ქარიშხლის ჟამს თავიანთი სიყვარული და თავიანთი გონება სპეტაკად და შეუბღალავად. ოლივიეს ახსოვდა გოეთე, რომელმაც უარი თქვა, მიმხრობოდა იმ განმწმენდელი სიძულვილის მოძრაობას, 1813 წელს გერმანია საფრანგეთის წინააღმდეგ რომ აამხედრა.

კრისტოფს ესმოდა ყოველივე ეს და მაინც ვერ დამშვიდებულიყო. ის, ვინც, ასე ვთქვათ, გამოქცეულიყო გერმანიიდან და, როგორც დეზერტირს, საშშობლოში დაბრუნება აღარ შეეძლო, ის, ვინც ადრევე ეზიარა XVIII საუკუნის დიდ გერმანელთა ზოგადევროპულ იდეებს, ესოდენ სანუკვართ მისი ძველი მეგობარი შულცისათვის, ის, ვისაც სძულდა ახალი გერმანიის მილიტარისტული და ჩარჩული სული, გრძნობდა, რომ მის არსებაში იღვიძებდა ვნებათა იდუმალი ქარიშხალი და არ იცოდა, რომელ მხარეს გადასტყორცნიდა. კრისტოფი არაფერს ეუბნებოდა ოლივიეს; მაგრამ მთელი დღე აფორიაქებული იყო

და მოეთმენლად ელოდა ახალ ამბებს. ფარულად თავს უყრიდა თავის ნივთებს, ბუდა-ნაპადს იკრაფდა. კრისტოფი არ სჯიდა. რაღაც უფრო ძლიერი დაუფლებოდა მას. ოლივიე თვალს ადევნებდა შეშფოთებით და ხვდებოდა, რომ შინაგანი ბრძოლა აწვალებდა მეგობრის სულს, მაგრამ ვერ გაებედა, გამოეკითხა. მეგობრები გრძნობდნენ, რომ სჭირდებოდათ უფრო მეტი სიახლოვე, ვიდრე ოდესმე. უყვარდათ ერთმანეთი, როგორც არასდროს; მაგრამ გაურბოდნენ ხმა გაეცათ ერთიმეორისათვის, ეშინოდათ, ვაითუ ჩვენს შეხედულებებს შორის იმგვარი განსხვავება გამომჟღავნდეს, რომ ორივენი გაგვიშოსო. ხშირად ისეთი შეშფოთებული ალერსიანობის გამომხატველი თვალებით მიაშტერდებოდნენ ერთმანეთს, თითქოს საუკუნო განშორების წუთი მოახლოებულიყო. და დუმდნენ ასე, დანაღვლიანებულნი.

ამასობაში, ეზოს გადაღმა, მოპირდაპირე მშენებარე სახლის სახურავზე, ამ დაღვრემილ დღეებში, წვიმასა და ქარბუქში, მუშები ბოლო ლურსმნებს აჭედებდნენ, და კრისტოფის ძმაკაცმა. ენადაუსვენებელმა მხურავმა სიცილით გადმოსძახა შორიდან:

— ესეც ასე! ეს სახლიც ხომ დავამთავრე!

ჭექა-ქუხილმა, საბედნიეროდ, გადაიარა ისევე სწრაფად, როგორც დაიწყო. მთავრობის ოფიციალური ნოტები, ვითარცა ბარომეტრი, აუწყებდნენ, რომ მოსალოდნელი იყო გამოდარება. პრესის ავი ნაგაზები იძულებული გახდნენ, კელავ თავიანთ ბუნაგებში შემძვრალიყვნენ. რამდენიმე საათში ვნებები დაცხრა. ზაფხულის საღამო იდგა. კრისტოფმა ქოშინით მოირბინა, რომ ოლივიესათვის სასიხარულო ამბავი ემცნო. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა. ოლივიე ნაღვლიანი ღიმილით მისჩერებოდა, უჭირდა დაეცვა კითხვა. რომელიც რამდენიმე დღეა აწვალებდა. ბოლოს დაიწყო:

— ჰა, ხომ ნახე, რა ხელად შეკავშირდა ყველა ეს ადამიანი, ამ ცოტა ხნის წინათ ერთმანეთისათვის რომ ვერ გაეგოთ?

— დიახ, ვნახე, — მიუგო ხალისიანად კრისტოფმა. — თქვენ ნამდვილი თვალთმაქცები ყოფილხართ! სიტყვით სულ კრიჭაში უდგახართ ერთმანეთს, გულში კი თურმე ყველას ერთი პირი გაქვთ.

— შენ, გეტყობა, კმაყოფილიც ჩანხარ ამით! — უთხრა ოლივიემ.

— რატომაც არა? რახან ეს შეკავშირება ჩემს ხარჯზე მოხდა? მერე რა! მე ვერას დამაკლებენ... თანაც, კარგია, როდესაც გრძნობ, რომ ეს ნიაღვარი მიგაქანებს და შენში იღვიძებენ ბოროტი სულები...

— მე ეს მხოლოდ მაძრწუნებს, — თქვა ოლივიემ. — ასეთ ფასად მოპოვებულ ჩემი ხალხის ერთსულოვნებას საუკუნო მარტოობა მირჩევნია.

ორივენი დადუმდნენ; ვერც ერთს ვერ გაებედა, შეხებოდა საკითხს, რომელიც აწვალებდათ. ბოლოს, ოლივიემ თავს ძალა დაატანა და ყრუდ ამოთქვა:

— გულახდილად თქვი, კრისტოფ: წახვიდოდი?

— ჰო.

ოლივიე ელოდა ამ პასუხს და მაინც გული ატკინა. მან განაგრძო:

— კრისტოფ, ნუთუ შეგეძლო...

კრისტოფმა შუბლი მოისრისა და თქვა:

— ნულარ გავქექავთ ამას, აღარ მსურს ამაზე ვიფიქრო.

ოლივიე გულმოკლული იმეორებდა:

— მაშ, შენ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლებდი?

— არ ვიცი, ჩემი თავისთვის არ დამისვამს ეგ კითხვა.

— შენს გულში თუ გქონდა გადაწყვეტილი?

კრისტოფმა უპასუხა:

— ჰო.

— ჩემს წინააღმდეგ?

— შენს წინააღმდეგ — არასოდეს. შენ ჩემიანი ხარ. სადაც მე ვარ, შენც იქ იქნები.

— მაშ, ჩემი სამშობლოს წინააღმდეგ?

— ჩემი სამშობლოსათვის.

— ეს შემაძრწუნებელია, — დასძინა ოლივიემ. — მეც შენსავით მიყვარს სამშობლო. მიყვარს ჩემი ძვირფასი საფრანგეთი: მაგრამ განა შემიძლია ჩავკლა საკუთარი სული მისი გულისათვის? განა შემიძლია ვუღალატო ჩემს სინდისს მისი გულისათვის? ეს ხომ მისი ღალატიც იქნებოდა. როგორ უნდა შემეძულებინა, თუ სიძულვილს არ ვგრძნობდი, ან ავიხირო, რომ მძულს და არ მოვატყუო საკუთარი თავი? თანამედროვე სახელმწიფომ საზიზღარი დანაშაული ჩაიდინა, — ეს დანაშაული შეიწირავს კიდეც მას, — როდესაც მან ბრძანა, რომ მის რკინის კანონს დამორჩილებოდა თავისუფლების მორწმუნე სულთა ეკლესია, რომლის არსს გაგება და სიყვარული წარმოადგენს. დაე, კეისარმა კეისრობა მოისურვოს, მაგრამ ღმერთობას ნუ დაიჩემებს! წაიღოს ჩვენი ფული, თუნდ ჩვენი სიცოცხლეც; მაგრამ მას ხელი არა აქვს ჩვენს სულთან: იგი სისხლში ვერ გაისვრება. ჩვენ იმისათვის მოვსულვართ ამ ქვეყანაზე, რათა განვავრცოთ სინათლე, არა ჩავაქროთ იგი. ყველას თავისი მოვალეობა აკისრია! თუ კეისარს ეპრიანება იომოს, კეთილ ინებოს და, როგორც ოდესღაც, იყოლიოს დაქირავებული ჯარი, რომლის ხელობაც ომია! მე ისეთი ბრიყვი არა ვარ, რომ ძალის წინაშე დრო დავკარგო ამაო ვიშვიშში. მე ძალის ჯარისკაცი როდი ვარ; არამედ გონებისა: ათასობით ჩემი ყაიდის თანამემამულესთან ერთად მე ჩემი გონებით წარმოვადგენ საფრანგეთს. დე, კეისარმა მსოფლიო დაიპყროს, თუკი მას ეს ნებავს! ჩვენ — ჭეშმარიტებას დავიპყრობთ.

— რომ დაიპყრო, — უთხრა კრისტოფმა, — საჭიროა გაიმარჯვო, საჭიროა იცოცხლო. ჭეშმარიტება მყარი დოგმა როდია, წარმოქმნილი ტვინის მიერ, როგორც სტალაქტიტი გამოქვაბულის კედლებისაგან. ჭეშმარიტება თავად ცხოვ-

რებაა. იგი თქვენს საკუთარ თავში კი არ უნდა ეძიოთ, არამედ სხვა ადამიანთა გულებში. გაერთიანდით მათთან. იწამეთ, რაც მოგეგუნებოთ, მაგრამ განიბანეთ ყოველდღე ადამიანობის ნაკურთხ წყალში. საჭიროა იცხოვრო სხვების ცხოვრებით, მიიღო და შეიყვარო შენი ხვედრი.

— ჩვენი ხვედრია — ვიყოთ, რაც ვართ. ჩვენზე როდია დამოკიდებული გვწამდეს, ან არ გვწამდეს, თუნდაც რწმენა აკრძალული იყოს. ჩვენ ცივილიზაციის ისეთ საფეხურს მივაღწიეთ, საიდანაც შეუძლებელია უკან დაბრუნება.

— დიახ, თქვენ ბექობის უკიდურეს ნაპირს მიადექით, იმ სახიფათო კიდეს, რომელსაც არც ერთი ხალხი არ მოისურვებს მიადგეს, თუ უფსკრულში გადაჩეხვის ახირებას არ შეუპყრია. რელიგია და ინსტინქტი შესუსტებულა თქვენში. დარჩენილხართ მარტოოდენ თამამი გონების ამარა, რომელიც მალე კისერს მოგატეხინებთ. თქვენ გადაშენება გელით.

— გადაშენება ელის ყველა ხალხს: საუკუნით ადრე ან გვიან.

— ეგრე ნუ ეთამაშები საუკუნეებს. მთელი ჩვენი ცხოვრება თითზე ჩამოსათვლელი დღეებისაგან შედგება. ეშმაკმა იცის, რა განყენებული აზრების სამყაროში დაფრინავთ, რათა მისწვდეთ აბსოლუტს, იმის მაგივრად, რომ დასტკბეთ წუთიერი ცხოვრებით.

— რა გაეწყობა? ალი ნთქავს ჩირაღდანს. შეუძელებელია იყო და, ამავე დროს, დამთავრებულიც გქონდეს არსებობა, ჩემო კრისტოფ.

— საჭიროა იყო.

— დიდი წარსულიც ხომ დიდი საქმეა.

— დიდი შეიძლება იყოს იგი მხოლოდ ერთი პირობით: თუ კიდევ არიან დღეს ადამიანები, რომლებიც ცოცხლობენ და ამ დიდების ყადრი იციან.

— განა არ გერჩია ყოფილიყავი ერთი ძველ ბერძენთაგანი, რომლებიც დღეს აღარ არიან, ვიდრე ეკუთვნოდე იმ ხალხებს, უშინაარსო არსებობით სულს რომ აცოდვილებენ.

— მე მირჩევნია ცოცხალი კრისტოფი ვიყო.

ოლივიემ კამათი შეწყვიტა. მაგრამ არა იმიტომ, რომ სიტყვას ვეღარაფრით მოუჭრიდა. მას ეს სულაც არ აინტერესებდა. მთელი ამ კამათის მანძილზე იგი მხოლოდ კრისტოფზე ფიქრობდა. ოლივიემ ამოიოხრა და დასძინა:

— შენ მე ისე არ გიყვარვარ, როგორც მე შენ.

კრისტოფმა ალერსით ხელი ხელზე მოჰკიდა.

— ძვირფასო ოლივიე, — უთხრა მან, — საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. მაგრამ მომიტევე, არა მეტად, ვიდრე სიცოცხლე, ცხოველმყოფელი მზე ჩვენი მოდგმისა. მძულს ღამე, რომლისაკენაც თქვენი ყალბი პროგრესი მიბიძგებს. მაგ თქვენი მოქმედების უარყოფის მიღმა იგივე წყვდიადი იმალება. მხოლოდ მოქმედებაა სიცოცხლე. მაშინაც კი, როცა იგი კლავს. ამქვეყნად ჩვენ

არა გვაქვს სხვა არჩევანი: ან ალი, რომელიც ნთქავს, ან წყვდიადი. მიუხედავად ტკბილ-ნაღვლიანი ოცნებებისა, მწუხრისას რომ აღგვეძვრის, მე არა მსურს ეს სიკვდილის მომასწავებელი სიმშვიდე. უსაზღვრო სივრცეთა მდუმარება მაძრწუნებს. მაშ, მოდი, თითო იღლია ფიჩხიც მივაყაროთ კოცონს! ერთიც! კიდევ ერთი! და თუ საჭირო გახდა, მეც ზედ მიმაყოლეთ! ოღონდაც ნუ ჩაქრება იგი! უკეთუ ჩაქრა, ჩვენი აღსასრულის ჟამი დადგება, ნაცრად იქცევა ყოველივე ამ ქვეყანაზე.

— ეგ ნაცნობი ჰანგია, — თქვა ოლივიემ. — იგი შორეული ბარბაროსობის წიაღიდან მომდინარეობს.

თაროდან ძველი ინდუსი პოეტების წიგნი გადმოიღო და ღვთაება კრიშნას მაღალი შეგონება წაიკითხა:

— „აღსდექ და იბრძოლე მედგრად და შეუპოვრად. გულგრილმა სიხარულისა და მწუხარებისადმი, ხეირისა და ზარალისადმი, გამარჯვებისა და დამარცხებისადმი, იბრძოლე, რაც ძალი და ღონე გაქვს“...

კრისტოფმა ხელიდან გამოსტაცა წიგნი და განაგრძო:

— ...„არაფერი მეგულება ქვეყნად ისეთი, რომ მისი მოხვეჭის სურვილმა მაიძულოს ვიმოქმედო, რამეთუ არაფერია ისეთი, რომ ჩემი კუთვნილება არ იყოს; მაგრამ მაინც ხელს არ ვიღებ მოქმედებაზე. რომ არ მემოქმედა შეუსვენებლივ და სულმოუთქმელად, არ მეჩვენებინა ადამიანებისათვის მაგალითი მისაბაძავად, კაცთა მოდგმა დაიღუპებოდა. მოქმედება რომ შემეწყვიტა თუნდ ერთი წამით, მთელ მსოფლიოს ქაოსში გავხვევდი და სიცოცხლის მკვლელი გავხდებოდი უნებლიეთ“.

— სიცოცხლე, — გაიმეორა ოლივიემ, — რა არის იგი?

— ტრაგედია, — მიუგო კრისტოფმა. — ვაშა!

ღელვა დამცხრალიყო. ყველანი ჩქარობდნენ, იდუმალი შიშით გულში, დაევიწყებინათ იგი. თითქოს უკვე აღარც ახსოვდა ვინმეს გუშინდელი საფრთხე. მაგრამ, ჩანს, ჯერ კიდევ მთლიანად არ წაშლილიყო მისი კვალი მათ გონებაში, ისეთი ხალისით მიჰბრუნებოდნენ კვლავ თავიანთ ფუსფუსს, სანატრელ ყოველდღიურ ყოფას, რომლის ყადრს მხოლოდ მაშინ ვხვდებით, როდესაც მას დაკარგვის საშიშროება ემუქრება. როგორც ყოველი ხიფათის გამოვლის შემდეგ, ადამიანები ხარბად მიეძალნენ ცხოვრების ნექტარს.

კრისტოფი, გაათკეცებული შთაგონებით, კვლავ შემოქმედებას მიეცა. მან აღაფრთოვანა ოლივიეც. და თითქოს თავიანთი ბნელი ფიქრების ჯინაზე, შეუდგნენ ეპოპეის ერთობლივ შეთხზვას რაბლეს მოტივებზე. ეპოპეას იმ ძალუმი მატერიალიზმის დაღი აჩნდა, ზნეობრივი დაკნინების ხანას რომ თან სდევს ხოლმე. რაბლეს საქვეყნოდ ცნობილ გმირებს—გარგანტუას, ძმა ჟანს, პანურგს —ოლივიემ, კრისტოფის ჩაგონებით, დაუმატა ახალი პერსონაჟი—გლეხი პა-

სიანსი, ალალ-მართალი და ქვეშქვეშა ეშმაკი. მიტყეპავენ, გაქურდავენ — ითმენს, ცოლს შეუცდენენ, ბაღ-ვენახს გაუჩანაგებენ — ითმენს და კვლავ დაუცხრომლად ჩაჰკირკიტებს მიწას, ომში უკრავენ თავს, ყველა მას უბარტყუნებს — მაინც ითმენს, ელის, თავს იქცევს, გულს იკეთებს: „სულ ასე ხომ არ იქნებაო“, წინდაწინ წარმოუდგენია სასაცილო დასასრული, როდესაც ყველაფერი თავდაყირა დადგება და თვალმოჭუტული, ყურებამდე დაღებული პირით უხმოდ ქირქილებს. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, გარგანტუა და ძმა ჟანი ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაემგზავრებიან და გზად წყალში ჩაცვივდებიან. პასიანსს გულწრფელად შეებრალება ისინი, დახრჩობას გადაარჩენს პანურგს, თან მხიარულად თავს ინუგეშებს და ამბობს: „ვიცი, შენს ოინებს არ მოიშლი, მაგრამ უშენოდ იოლად ვერ წავალ: მაცინებ და დარდს მაქარვებინებ“.

ამ პოემის ტექსტზე კრისტოფმა დაწერა სიმფონიური სურათები გუნდებითურთ, გმირულ-კომიკური ბრძოლებით, თავაწყვეტილი ღრეობებით, სასიმღერო-სალაღობო ბუფონადებით, უსაზღვრო, ბავშვური სიხარულის მომგვრელი, ჟანეკენისებური მადრიგალებით, შუა ზღვაში თავსდამტყდარი ქარიშხლით, „წკრიალა კუნძულით“, თავის ზარებიანად, დაბოლოს, მდელოებიდან მონაბერი სურნელით გაჟღენთილი, საამო ფლეიტებისა და ჰობოების მხიარული ჰანგებითა და ხალხური მელოდიებით აჟღერებული პასტორალური სიმფონიით. მეგობრები აღმაფრენით მუშაობდნენ. სუსტი და ფერმკრთალი ოლივიე, თითქოს ძალის აბაზანაში განბანილიყო, ღონეზე მოსულიყო. სიხარულის ქარაშოტი შემოჭრილიყო მათს სხვენში... ქმნიდე საკუთარი გულით და შიგ აქსოვდე მეგობრის გრძნობებს! მეგობრობით გამსჭვალულ სულთა ამ შეხმატკბილებას ვერ შეედრება ორი შეყვარებულის საამო და მხურვალე ჩახუტება. მათი სულები ისე ძალუმად შესისხლხორცებულიყვნენ, რომ ხშირად ორივე მეგობრის გონებაში ერთდროულად გაიელვებდა ხოლმე ერთი და იგივე აზრები. ზოგჯერ კრისტოფი წერდა ამა თუ იმ სცენის მუსიკას, შემდეგ კი ოლივიე სიტყვებს თხზავდა მისთვის. ისიც გაეტაცებინა კრისტოფის შემოქმედების ბობოქარ ნაკადს.

მის სულს ემძლავრა ოლივიეს სულზე და გაენაყოფიერებინა იგი.

შემოქმედებით მონიშებულ ტკბობას გამარჯვების სიხარულიც დაერთო. ჰეხტს, როგორც იქნა, გადაეწყვიტა, გამოექვეყნებინა „დავითი“; მისმა პარტიტურამ, რომელიც უკვე გახმაურებულიყო, მყისვე გამოძახილი ჰპოვა საზღვარგარეთ. ერთ-ერთი ცნობილი ვაგნერელი კაპელმაისტერი, რომელიც ჰეხტის მეგობარი იყო და ინგლისში დამკვიდრებულიყო, აღეფრთოვანებინა ნაწარმოებს; მას რამდენჯერმე ედირიჟორა მისთვის და ფრიად წარმატებით ჩაევლო კონცერტებს; ეს წარმატება და, მასთან ერთად კაპელმაისტერის აღფრთოვანება გაგრძელდა გერმანიაში, სადაც აგრეთვე შეესრულებინათ „დავითი“. კაპელმაისტერი დაუკავშირდა კრისტოფს; სთხოვა გაეცნო მისთვის სხვა ნაწარმოებებიც, თავისი სამსახური შესთავაზა და გაცხოველებულ პოპულარიზაციას უწევდა

კომპოზიტორს. გერმანიაში ხელახლა აღმოაჩინეს „იფიგენია“. თავის დროზე სტვენით რომ გაისტუმრეს. მისი ავტორი გენიოსად აღიარეს. კრისტოფის ბიოგრაფიის რომანტიკულმა ეპიზოდებმა მცირედ როდი შეუწყვეს ხელი მისი პიროვნებისადმი ცნობისმოყვარეობის აღძვრას. პირველმა „ფრანკფურტერ ცაიტუნგმა“ უძღვნა სახოტბო სტატია. მას სხვებიც აჰყვნენ. მაშინ ზოგიერთებმა საფრანგეთშიც შენიშნეს, რომ მათ შორის დიდი კომპოზიტორი ცხოვრობდა. პარიზის კონცერტების ერთ-ერთმა მესვეურმა სთხოვა კრისტოფს მიეცა დასადგმელად რაბლეს მოტივებზე დაწერილი თავისი ეპოპეა, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ჰქონდა; ხოლო გუჟარმა, კრისტოფის დიდების მოახლოება რომ იყნოსა, ყველას გასაგონად განაცხადა, თუმცა ბუნდოვანი ორაზროვნებით, ჩემს მეგობრებს შორის უცნობი გენიოსი აღმოვაჩინეო. თავის სტატიაში მან ნამდვილი შედევრი უწოდა კრისტოფის „დავითს“ და აღარც კი გაახსენდა, რომ ამავე ნაწარმოებისათვის შარშან ორიოდე სალანძღავი სიტყვა ძლივს გაიმეტა. ეს არ გახსენებია აგრეთვე არავის მის ირგვლივ მყოფთაგან. ვინ მოსთვლის, რამდენ ვინმეს პარიზში თავის დროზე სიცილი დაუყრია ვაგნერისა და ფრანკისათვის, რომელნიც იმავე ადამიანებს ცამდე აჰყავდათ დღეს, რათა ჩრდილი მიეყენებინათ ახალ ხელოვანთათვის, ხელახლა ხოტბას რომ შეასხამდნენ ხვალ!

კრისტოფი არც კი ელოდა ამ წარმატებას. მან იცოდა, რომ ერთ დღესაც აუცილებლად გაიმარჯვებდა, მაგრამ არ ეგონა, თუ ეს დღე უკვე კარზე იყო მომდგარი; ამიტომ, ცოტა არ იყოს, გულში ეეჭვებოდა კიდეც ესოდენ ნაადრევი აღიარება. კრისტოფი მხრებს იჩეჩდა და სთხოვდა, თავი დამანებეთო. „დავითს“ რომ ტაშით შეხვედროდნენ შარშან, როცა ნაწარმოები ახალი დაწერილი ჰქონდა, კიდევ შეიძლება გაეგო; მაგრამ ახლა იგი უკვე განვლილი იყო მისთვის, მას რამდენიმე საფეხურით მაღლა აეწია. რა სიამოვნებით მიახლიდა იგი ამ ადამიანებს, რომლებიც ქათინაურებს ეუბნებოდნენ, მისთვის უკვე ძველი ნაწარმოების გამო:

— ნუ გამიწყალეთ გული მაგ ძველმანით! ეგ მე მომბეზრდა. და აგრეთვე. თქვენც.

მერე კვლავ თავის ახალ სამუშაოში შთაინთქმებოდა ცოტა გამწყრალი, რომ ხელი შეუშალეს და მაინც იდუმალ კმაყოფილებას გრძნობდა გულში. დიდების პირველი სხივები საამოა მეტად. საღია, მარგებელია გამარჯვების შეგრძნება. ეს ფანჯრის გაღებაა, გაზაფხულის პირველი სუნთქვაა, სახლში შემოჭრილი. კრისტოფს ტყუილად აეცრუებინა გული თავის ძველ ქმნილებებზე და. განსაკუთრებით კი, „იფიგენიაზე“: ამ „უბადრუკ“ ნაწარმოებებს, რომელმაც თავის დროზე ამდენი დამცირება აგემა ავტორს, დღეს ისე აქებდნენ და ადიდებდნენ გერმანელი კრიტიკოსები და ისე იხვეწებოდნენ თეატრები, რომ სხვა თუ არაფერი, იმად ხომ მაინც ღირდა, ჯავრი ამოეყარა ამით. დრეზდენის თეატ-

რიდან მიღებულ ბარათში კრისტოფს აუწყებდნენ: ბედნიერად ჩავთვლითო თავს, თუ ნებას დაგვრთავთ დავდგათ ოპერა მომავალ სეზონში.

სწორედ იმ დღეს, როდესაც კრისტოფმა ეს სასიამოვნო ამბავი შეიტყო, რამაც, ამდენი წლის გაჭირვების შემდეგ, ძლივს უკეთესი მომავლის იმედი ჩაუსახა და კარზე მომდგარი გამარჯვება აუწყა, — კიდევ ერთი წერილი მიიღო.

შუადღე გადასულიყო. იგი ხელ-პირს იბანდა და თან მხიარულად ემუსაიფებოდა ოლივიეს მეზობელ ოთახში, რომ ამ დროს მეკარე ქალმა კარის ქვეშიდან შემოაცურა კონვერტი. დედის ხელი... ზუსტად თვითონ აპირებდა მიეწერა: უნდოდა ეხარებინა თავისი წარმატება... კონვერტი გახსნა. ორიოდე სტრიქონი მხოლოდ!... აკანკალებული ხელით დაწერილი ასოები!

„ჩემო ძვირფასო ბიჭუნავ, თავს ვერა ვგრძნობ კარგად. თუ შესაძლებლობა გექნებოდა, ძალიან მინდოდა, კიდევ ერთხელ მენახა შენი თავი. გოცნი. დედა“.

კრისტოფმა ამოიგმინა. ოლივიე შეშინებული მივარდა. კრისტოფს სიტყვა ყელში გაეჩხირა და უხმოდ ანიშნა წერილზე, მაგიდაზე რომ იდო. იგი კვლავ გმინავდა, არ ესმოდა, რას ეუბნებოდა ოლივიე, რომელსაც ერთი თვალის გადავლებით წაეკითხა წერილი და ცდილობდა გაემხნევებინა მეგობარი. უცებ საწოლთან მიირბინა, რომელზეც პიჯაკი ეგდო, სასწრაფოდ გადაიცვა და, მისაბნევი საყელოც კი ვერ მიამაგრა (თითები აღარ ემორჩილებოდნენ), გარეთ გავარდა. ოლივიე კიბეზე წამოეწია: რას აპირებდა? პირველსავე მატარებელს გაჰყოლოდა? საღამომდე არაფერი გადიოდა. სადგურში ლოდინს ისევ აქ სჯობდა მოეცადა. გზის ფული მაინც თუ ჰქონდა საკმარისი? ჯიბეები მოიჩხრიკეს: ორივეს სულ ოცდაათიოდე ფრანკი ძლივს აღმოაჩნდა. სექტემბერი იდგა. არც ჰეხტი, არც არნოები, არავინ მათი მეგობრებიდან ქალაქში აღარ იყვნენ. ვიღასთვის მიემართათ? კრისტოფი თავის ჭკუაზე აღარ იყო, ამბობდა, გზის ნაწილს ფეხით გავივლიო. ოლივიე შეევედრა, ერთი საათი მოეცადა და შეჰპირდა, რომ იშოვიდა ფულს. კრისტოფი დანებდა; მას არაფრის მოფიქრების თავი აღარ ჰქონდა. ოლივიე ლომბარდში გაიქცა, — სხვათა შორის, პირველად თავის სიცოცხლეში: ერჩია ყოველგვარი ხელმოკლეობა აეტანა, ვიდრე დაეგირავებინა თავისი ნივთები, რომლებიც მის ძვირფას მოგონებებთან იყო დაკავშირებული; მაგრამ დღეს საქმე ეხებოდა კრისტოფს და ფიქრის დრო აღარ იყო. ოლივიემ დაადგირავა საათი, რაშიც გაცილებით ნაკლები თანხა მისცეს, ვიდრე მოელოდა. საჭირო გახდა შინ შებრუნებულიყო, რომ თაროდან რამდენიმე წიგნი ჩამოეღო და ბუკინისტისათვის წაეღო. როგორ დასწყდა გული! მაგრამ ძნელი იყო ამაზე ეფიქრა ამ წუთს: მთელი მისი ფიქრები კრისტოფის მწუხარებას შთაენთქა. ბო-

ლოს, ყველაფერს რომ მორჩა და შინ დაბრუნდა, კრისტოფი ზუსტად იმავე ადგილას დახვდა, ღონემიხდილი და ილაჯგაწყვეტილი. ოლივიეს მიერ მოგროვილ ფულს ის ოცდაათიოდე ფრანკიც რომ დაუმატეს, რაც ადრე ჰქონდათ, უკვე საკმარისზე მეტი თანხაც კი შეუგროვდათ. კრისტოფი მეტისმეტად გათანგული იყო და აღარ უკითხავს მეგობრისთვის, როგორ მოუყარა თავი ამდენ თანხას, ანდა იტოვებდა კი რაიმეს პურის ფულად, რომ მისი აქ არყოფნის მანძილზე იოლად წასულიყო. ოლივიე ამაზე სულაც არ ფიქრობდა; რაც ფული გააჩნდა, მთლიანად კრისტოფს მისცა. საჭირო იყო ეზრუნა კრისტოფზე, როგორც ბავშვზე.

სადგურში გააცილა და, სანამ მატარებელი არ დაიძრა, გვერდიდან არ მოშორებია.

ჩამოწვა ღამე. კრისტოფი, ფართოდ გახელილი თვალებით, კვლავ ერთ წერტილს მიშტერებოდა და ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში:

„ჩავუსწრებ კი?“

მან იცოდა, რომ რახან დედამ მოსწერა, ჩამოდიო, მაშასადამე, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. და მისი აღგზნებული მღელვარება კიდევ უფრო დაეინებით ერეკებოდა ჩქარი მატარებლის ისედაც გამალებულ ბორბლებს. იგი მწარედ ნანობდა, რომ მიატოვა ლუიზა. თუმცაღა ესმოდა, რომ სინანული ამაო იყო: არ შეეძლო შეეცვალა მოვლენათა მსვლელობა.

ამასობაში ბორბლების ერთფეროვან დაგადუგს და ვაგონის გამუდმებულ რწევას თანდათან დაემშვიდებინა კრისტოფი და მოეთოკა მისი სულიერი მღელვარება, ვითარცა მუსიკის აბორგებულ ტალღებს ძალუმი რიტმი აოკებს. მის თვალწინ გაირბინა მთელმა წარსულმა, შორეული ბავშვობის ზმანებებიდან მოყოლებული: სიყვარული, ოცნებები, იმედების გაცრუება, მახლობელ ადამიანთა დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, და ახლა ეს შინაგანი სიხარულის მომგვრელი ძალა, ტანჯვით, ლხენით, შემოქმედებით მონიჭებული თრობა, სხივმოსილი სიცოცხლის და მის დიდებულ აჩრდილთა გულში ჩახუტების ეს ნეტარება, რამეთუ ეს სიცოცხლე იყო მისი სულისდგმა, მისი იდუმალი ღმერთი. ახლა, შორიდან, ყველაფერს ნათელი მოჰფენოდა მისთვის. გაურკვეველი სურვილების ორომტრიალი, ბუნდოვანი აზრების შეხლა-შემოხლა, შეცდომები, ცთომილებანი, გაშმაგებული შეტაკებანი ეჩვენებოდნენ მდინარის მღვრიე მორევებად, დიდ ღინებას რომ მიაქვს მარადიული მიზნისაკენ. იგი ჩასწვდომოდა ამ განსაცდელით აღსავსე წლების იდუმალ აზრს: ყოველი განსაცდელი იყო დაბრკოლება, რომელსაც გადალახავდა მდინარის მოდიდებული ნაკადი; იგი გამოდიოდა ვიწრო ხეობიდან და მიედინებოდა სულ უფრო განიერ ხეობაში, ივრცობოდა მთელ სიგანეზე; ფართოვდებოდა სივრცე, ადვილდებოდა სუნთქვა. მდინარე გზას მიიკვლევდა საფრანგეთის ბორცვებსა და გერმანიის ვაკობს შორის, რწყავდა მდელოებს, ლოკავდა ბორცვების ძირებს, ირთავდა ორივე ქვეყნის შენაკადებსა და ღელეებს და დიდდებოდა. ასე მოედინებოდა იგი ამ ორ ქვეყანას შუა, არა იმი-

ნათვის. რომ გაემიჯნა ისინი, არამედ ერთმანეთისთვის მიეკრა მათი ნაპირები; ამ მდინარეში შეუღლებულიყვნენ მათი ქვეყნები. და კრისტოფი პირველად მიხვდა საკუთარ ხვედრს: იგი მოწოდებული იყო, გაღმა-გამოღმა ნაპირებიდან შეწოვილი მთელი სასიცოცხლო ძალები, როგორც არტერიას, შეეტანა ამ ურთიერთმტრულად განწყობილ ხალხებში. რა უცნაურ სიმშვიდეს, სიცხადესა და სინათლეს დაესადგურებინა უეცრად მის სულში, მისი ცხოვრების ამ ყველაზე დაბინდულ წუთებში...

მერე ზმანება გაქრა და მის წარმოდგენაში ისევ მოხუცი დედის ტანჯვით დაღარული, ალერსიანი სახე ამოტივტივდა.

ირიჟრაჟა, როდესაც კრისტოფი პატარა გერმანულ ქალაქში ჩამოვიდა. სიფრთხილე მართებდა, რომ არ შეეცნოთ იგი, რადგან ყოველ წუთს დაპატიმრების საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ სადგურში ყურადღება არავის მიუქცევია მისთვის; ქალაქს ეძინა, სახლები ჯერ ისევ დაკეტილი იყო, ქუჩები — უკაცრიელი; ის მტრედისფერი საათი იდგა, როცა ღამის სინათლეები ქრობას იწყებს, მაგრამ ჯერ არ დამკვიდრებულა დღის შუქი, — როცა ძილი ყველაზე ტკბილია და აღმოსავლეთის მკრთალი ნათელი ეფინება სიზმრებს. მოსამსახურე გოგომ ძველი გერმანული სიმღერის ღიღინით დუქნის დარაბები გააღო. კრისტოფს მღელვარებისაგან სული შეუგუბდა. ო, სამშობლო! სულზე უტკბესო!... კინაღამ პირქვე დაემხო და მიწას ემთხვია. ყურს უგდებდა ამ უწყინარ სიმღერას, გული რომ აეჩუყებინა მისთვის, და იგრძნო, რა უბედური იყო სამშობლოს მოწყვეტილი, რარიგ ჰყვარებოდა იგი... მიაბიჯებდა სულგაკმენდილი. მშობლიური კარ-მიდამოს დანახვაზე მუხლი მოეკვეთა და პირზე ხელი აიფარა, რომ უცებ არ ეყვირა. როგორ დახვდებოდა ის, ვინც შინ ეგულებოდა, მარტოდმარტო რომ მიატოვა აქ?... სული მოითქვა და თითქმის მიირბინა კარებამდე. იგი შეღებული დახვდა. კარებს მიაწვა. არავინაა... ძველ ხის კიბეს ჭრიალი გაჰქონდა მის ფეხქვეშ. ზევით ავიდა. სახლი დაცარიელებულს ჰგავდა. დედის ოთახის კარი დაკეტილი იყო.

კრისტოფი გულის ფანცქალით შეეხო სახელურს, მაგრამ ღონე აღარ ეყო, რომ შეეღო...

ლუიზა მარტოდმარტო იწვა და გრძნობდა, აღსასრული მოახლოებულიყო. თავისი ორი სხვა ვაჟიშვილიდან ერთი — რუდოლფი, ვაჭარი გახდა და ჰამბურგში დასახლდა, მეორე — ერნსტი კი, ამერიკაში წავიდა და აღარაფერი სმენიათ მისგან. ლოგინად ჩავარდნილს აღარავინ ჰყავდა ყურისმგდებელი, მეზობლის ქალის გარდა, დღეში ორჯერ რომ შემოივლიდა, რათა გაეკეთა, ხომ არაფერი უჭირდა ლუიზას, ორიოდე წუთით რჩებოდა და კვლავ თავის საქმეებზე გარბოდა; მეზობელი მაინცდამაინც პუნქტუალური არ გახლდათ და ხშირად იგვიანებდა ხოლმე. ლუიზას ისევე ბუნებრივად მიაჩნდა, რომ არ ეცალათ მის-

თვის, როგორც ის მიაჩნდა ბუნებრივად, რომ ავად იყო. მას ანგელოზისებრი მოთმინება ჰქონდა და მიჩვეული იყო ტანჯვის ატანას. ლუიზას გული აწუხებდა და ხშირი სულის ხუთვა ჰქონდა, რომლის დროს ეჩვენებოდა, რომ კვდებოდა: თვალები უფართოვდებოდა, ხელები ეკრუნჩხებოდა, სახეზე ოფლის ხვითქი ჩამოსდიოდა. მაგრამ ლუიზა არ ჩიოდა; იცოდა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. იგი მზად იყო ჩაჰბარებოდა უფალს; ზიარება უკვე მიღებული ჰქონდა. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: ვაითუ ღმერთს ღირსად არ ეცნო, სამოთხეში შეეშვა. სხვა დანარჩენს უდრტვინველად ხვდებოდა.

მისი სენაკის ბნელ კუთხეში, სასთუმალთან, მოგონებათა საკურთხეველს წარმოადგენდა ნიშის კედელი, რომელზეც ძვირფას მახლობელთა ფოტოსურათები გაეკრა: თავისი სამი ბიჭუნასი, ქმრისა, რომლისადმი გულში შეენახა პირველი გაცნობისდროინდელი სიყვარული, მოხუცი პაპისა და თავისი ძმის — გოტფრიდისა; ლუიზა ამაღელვებელი ერთგულებით იყო გამსჭვალული ყველა იმათ მიმართ, ვისგანაც თუნდ ოდნავი სიკეთე მოაგონდებოდა. ზეწარზე ისე, რომ თვალი არ მოეშორებინა მისთვის, კრისტოფის მიერ უკანასკნელად გამოგზავნილი ფოტოსურათი მიებნია: ბალიშქვეშ ედო მისი ბოლოდროინდელი წერილებიც. წესრიგი და უზადო სიფაქიზე უყვარდა და იტანჯებოდა, რომ ოთახი გაწკრიალებული ვერ იყო. მომაკვდავი გამახვილებული ყურადღებით უსმენდა ქუჩიდან შემოღწეულ ყრუ ხმაურსა და ჩქამს, რომლის მიხედვით დღის დროს გებულობდა. რა ხანია, იცნობდა ამ ხმებს! მთელმა ცხოვრებამ ამ ვიწრო გარემოში გაირბინა!... დედა თავის ძვირფას კრისტოფზე ფიქრობდა. რა იქნებოდა, რომ იგი აქ, მის გვერდით ყოფილიყო ამ წუთებში? მაგრამ თვით იმასაც კი, რომ იგი აქ არ იყო, ქალი მორჩილად შერიგებოდა. დარწმუნებული იყო, კვლავ ნახავდა თავის კრისტოფს იმქვეყნად მაინც. აი, თვალებს დახუჭავს და იხილავს შვილის სახეს! მთელი დღეების მანძილზე ბურანში გახვეულს თავისი წარსული ელანდებოდა...

აი, ლუიზა კვლავ ძველ სახლშია, რაინის პირას... დღესასწაულია... ზაფხულის მშვენიერი დღე. სარკმელი ღიაა; მზეს თეთრად გაუქათქათებია შარაგზა. ისმის ჩიტების ჟღურტული. მელქიორი და პაპა პარმაღზე ჩამომსხდარან; აბოლებენ, მასლაათობენ და გულიანად ხარხარებენ. ლუიზა ვერ ხედავს მათ, მაგრამ უხარია, რომ ამ ბედნიერ დღეს ქმარი შინ არის და მამამთილიც მხიარულ გუნებაზეა. თვითონ კი ქვედა სართულის ოთახში სადილს დასტრიალებს. მერე რა სადილია, თითებს ჩაიკვნეტ! ტყუილად როდი დაჰკანკალებს ზედ; მოულოდნელი ყელის ჩასაკოკლოზინებელიც მოუმზადა — წაბლიანი ნამცხვარი; წინდაწინვე ტკბება, სიხარულისაგან რომ შესძახებს მისი ბიჭუნა... მართლა, რა იქნა ის ცუღლუტი? აა, მაღლა ყოფილა: ესმის, პიანინოზე რომ მეცადინეობს. დედას ბევრი არ გაეგება მისი მუსიკისა, მაგრამ ბედნიერებას ჰგვრის ამ ნაცნობი ბგერების გაგონება: რწმუნდება, ბავშვი აქ არის და ჭკვიანად ერთობა... რა კარგი დღეა! მხიარულად მიაყღარუნებს ეჟვნებს გზაზე მიმავალი ოთხთვალა... აჰ,

ღმერთო ჩემო! მოხრაკული! ნეტავი ხომ არ ვიცოცხლებდი? ვაითუ მამამთილს, ასე რომ ეყვარს ლუიზას და ხათრი აქვს მისი, აღარ ესიამოვნოს სადილი და ღესაყვედურეროს რძალს... მაღლობა ღმერთს, არაფერი მოსულია. აი, სადილიც მზად არის, სუფრა გაშლილია. მელქიორსა და პაპას სუფრასთან იწვევს. მამა-შვილი ხალისიანად ეხმიანება. ბიჭი სადღაა?... აღარ უკრავს. რა ხანია, პიანინო დუმს, მან კი აქამდე ვერ შეამჩნია... კრისტოფ! ნეტა რას აკეთებს? ჩამიჩუმიც არ ისმის. სადილი არასოდეს გაახსენდება; უნდა, კიდევ გააჯავროს მამა. ფაცაფუცით არბის კიბეზე... კრისტოფ!.. კვლავ ღუმილი. ადებს ოთახის კარს, საიდანაც წუთის წინ დაკვრის ხმა ჩამოდიოდა. არავინაა. ოთახი ცარიელია, პიანინო დახურული... ლუიზას გული გადაუქანდება. მაინც სად უნდა გამქრალიყო? სარკმელი ღიაა. ღმერთო ჩემო! ხომ არ გადავარდა! დედა აფორიაქებულია. ფანჯარას მივარდება, რომ მოათვალიეროს... კრისტოფ!... თითქოს ცამ ჩაყლაპაო. ოთახებს დაირბენს. ქვემოდან პაპა ამოსძახის: „ჩამოდი, ნუ ღელავ, ეგ ჩვენ არასოდეს დაგვკარგავს“. ლუიზა მაინც ეძებს; იცის, სადღაც აქ არის: განგებ დამალულა, რომ დედას გული გაუხეთქოს. ოჰ, ეს საძაგელი ბავშვი!... აა, რა თქმა უნდა აქ არის; იატაკმა გაიკრაჭუნა, კარსუკან იქნება დამალული. მაგრამ გასაღები რა იქნა? გასაღები! გაფაციცებით ქექავს უჯრას, მთელი ასხმულა გადაჩხრიკა. ეს, ეს... არა არც ეს არის... აჰ, აი ისიც!... უკირს ჭუჭრუტანაში მორგება. ლუიზას ხელი უცახცახებს. ჩქარობს; საჭიროა იჩქაროს. რატომ? არ იცის; მაგრამ იცის, რომ საჭიროა: უკეთუ არ იჩქარა, ველარ მიუსწრებს. უკვე ესმის კარსუკან კრისტოფის სუნთქვა... ოჰ, ეს გასაღები!... როგორც იქნა! კარი იღება. სიხარულისგან კივის. ის არის! კრისტოფი ყელზე ეხვევა... ოჰ, შე ცუდო, შე კარგო, საყვარელო ბიჭო!...

თვალები გაახილა. ის აქ არის, მის თვალწინ.

კრისტოფი უკვე მთელი წუთია უყურებს დედას. როგორ შეცვლილა! სახე მთლად დასჭკნობია და თან შეშუპებია; სიბრალულით დაეწვა გული, როდესაც ეს მუნჯი ტანჯვის გამომხატველი სახე კიდევ უფრო დაანაოჭა უდრტვინველმა ღიმილმა: თანაც რა ყრუ სიჩუმეს, რა მარტოობას დაუსადგურებია ირგვლივ... კრისტოფს გული დაეთუთქა...

დედამ დაინახა. არ გაჰკვირვებია. გაუღიმა რაღაც ენით გამოუთქმელი სათნო ღიმილით. ილაჯი აღარ შესწევდა, ხელები გაეწვდინა, ან სიტყვა ამოეთქვა. კრისტოფი ყელზე შემოეხვია: შვილი ეამბორა დედას, დედა ეამბორა შვილს; ცრემლის კურცხლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. უცებ ჩაიჩურჩულა:

— მოიცა...

კრისტოფი მიხვდა, რომ დედას სული ეხუთებოდა.

წუთით გაირინდნენ. დედა ეფერებოდა შვილს დამჭკნარი ხელებით; ცრემლები კვლავ მოთქრიალებდა მის თვალთაგან. კრისტოფმა ხელები დაუკოცნა დედას და აქვითინებულმა საბანში ჩარგო თავი.

ცოტა გულზე რომ მოეშვა, დედამ სცადა დაელაპარაკა. მაგრამ სიტყვებს ძლივს პოულობდა და გაურკვევლად ლუღლუღებდა; კრისტოფს უჭირდა აზრის გამოტანა. თუმცა რა ბედენაა? უყვარდათ, ხედავდნენ, ეხებოდნენ — მთავარი ეს იყო. კრისტოფმა აღშფოთებით იკითხა, რად მიგატოვესო ავადმყოფი ასე უმეთვალყუროდ.

ლუიზამ გამართლება დაუწყო მეზობელ ქალს:

— არა სცალია, მთელი დღე აქ დამიჯდეს; თავისი საზრუნავიც აქვს...

მისუსტებული ხმითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლუიზამ ორიოდ ნაჩქარევი რჩევა-დარიგება მისცა თავისი საფლავის თაობაზე. კრისტოფს დაავალა, ჩემს ორ შვილს, რომელთაც აღარ ვახსოვარ, გადაეცი, რომ დედამ დალოცვილი დაგტოვათო. ოლივიეც არ დავიწყებია; იცოდა, რა ერთგულად უყვარდა მას კრისტოფი და შვილის პირით ლოცვა-კურთხევა გაუგზავნა (მერე სასწრაფოდ, მოკრძალებით, უფრო უბრალო გამოთქმით შეასწორა) — „ჩემი მოწიწებული თაყვანისცემა გადაეცით“...

კვლავ სულის ხუთვა დაეწყო. კრისტოფმა ხელი შეაშველა, რომ ლოგინში წამომჯდარი შეემაგრებინა. დედას ცივმა ოფლმა დაასხა სახეზე. ცდილობდა გაეღიმა, თავისთვის ჩურჩულებდა, აღარაფერი დამრჩენია სანატრელი, რაკი ჩემი ხელი შვილს უჭირავსო ხელში.

კრისტოფმა იგრძნო, როგორ დაიკრუნჩხა უცებ ეს ხელი მის თითებში. ლუიზამ პირი გააღო, უსაზღვრო ალერსით შეხედა შვილს — და აღესრულა.

იმავე საღამოს ოლივიეც ჩამოვიდა. მან ვერ გაუძლო იმ ფიქრს, რომ მარტო დარჩენილიყო კრისტოფი ამ ტრაგიკულ წუთებში. ოლივიე გამოცდილი იყო ასეთ უბედურებაში და კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა. თანაც ეშინოდა ხიფათისა, რომელშიც თავს იგდებდა მისი მეგობარი გერმანიაში დაბრუნებით. ოლივიეს სურდა, მის გვერდით ყოფილიყო და ედარაჯა კრისტოფისათვის. მაგრამ ფული არ გააჩნდა, რომ თვითონაც გაჰყოლოდა. კრისტოფის გაცილების შემდეგ სადგურიდან რომ დაბრუნდა, ოლივიემ გადაწყვიტა გაეყიდა რამდენიმე ძვირფასი ნივთი, ოჯახის სახსოვრად რომ დარჩენოდა. ხოლო რადგან ლომბარდი უკვე დაკეტილი იყო და უნდოდა პირველსავე მატარებელს გაჰყოლოდა, ადგა და იმავე უბანში მცხოვრები ძველი ნივთებით მოვაჭრისაკენ გაემართა. ანაზდად გზაზე მოოხი შეეფეთა. მისი განზრახვა რომ შეიტყო, მოოხმა აშკარა წყენა გამოხატა, რატომ პირდაპირ ჩემთან არ მოხვედიო და ძალით მიაჩეჩა საჭირო თანხა. მოოხი ძალზე გულდაწყვეტილი იყო, რომ ოლივიეს საათი დაეგი-

რავებინა და წიგნები გაეყიდა, რათა გზის ფული ეშოვა კრისტოფისათვის, მაშინ როცა თვითონ ბედნიერად ჩათვლიდა თავს, ხელი გაემართა ასეთ დროს. მოოხს სულითა და გულით სურდა დახმარებოდა რითიმე და შესთავაზა, მეც თან წამოგყვებიო.

ოლივიემ ძლივს გადაათქმევინა.

მეგობრის ჩამოსვლა მისწრება იყო კრისტოფისათვის. მწუხარებით გათანგული, მთელი დღე მარტო იჯდა დედის ცხედართან. მეზობლის ქალი მოვიდა, რაღაცები მიალაგ-მოალაგა, მერე წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ასე, სამარისებურ გარინდებაში გავიდა საათები. კრისტოფიც ისევე უძრავად იყო, როგორც მიცვალებული; მიშტერებოდა ცხედარს, აღარც ტირილი შეეძლო და აღარც ფიქრი — თვითონაც მკვდარს ჰგავდა.

მეგობრობის სასწაულმა, რომელიც ოლივიეს სახით მოევლინა, დაუბრუნა ტირილისა და სიცოცხლის უნარი.

Getrost! Es ist der Schmerzen werth das Leben,
So lang...
...mit uns ein treues Auge weint.

(„გამხნევდი გულო! ცხოვრება კვლავ ღირს მწუხარებად,
ვიდრე...

...სტირიან ჩვენთან ერთად თვალნი მეგობრის“.)

მეგობრები გადაეხვივნენ ერთმანეთს და დიდხანს იყვნენ ჩახუტებულნი. მერე ჩამოსხდნენ ცხედრის ახლოს და ხმადაბალი მუსაიფი გააბეს... ჩამოწვა ღამე... კრისტოფი, საწოლის თავს იდაყვდაყრდნობილი, ჰყვებოდა ბავშვობის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბებს, რომლებშიც ცოცხლდებოდა დედის სახე. დროდადრო ჩუმდებოდა რამდენიმე წუთით და შემდეგ ისევ განაგრძობდა მოყოლას. ბოლოს, დაღლილობისაგან გათანგულმა, სახე ხელებში ჩარგო, დადუმდა და თავი აღარ აუღია; ოლივიემ ახლოს მიიწია და დაინახა, რომ კრისტოფს ჩასძინებოდა. ერთხანს ოლივიე მარტო ფხიზლობდა, მაგრამ მალე ძილმა მასაც მოსწყვიტა კინწი, საწოლის ზურგზე მიდო თავი და ჩათვლიმა. ლუიზას ნეტარების ღიმი უკრთოდა სახეზე, თითქოს ბედნიერი იყო, რომ ღამეს უთევდა თავის ორ მძინარე ბავშვს.

დილაადრიან კარზე ბრახუნმა გამოაღვიძა ისინი. კრისტოფი ადგა კარის გასაღებად. მეზობელი დურგალი დახვდა. იგი კრისტოფის გასაფრთხილებლად მოსულიყო: დაუბეზღებიხართ, რომ აქ იმყოფებით და სასწრაფოდ უნდა გაიქცეთ. თორემ დაგიჭერენო. კრისტოფი უარზე დადგა: არ უნდოდა მიეტოვებინა დედა. სანამ სამეუდამო განსასვენებლამდე არ მიაცილებდა. მაგრამ ოლივიე შე-

ეკვედრა, ნუღარ დააყოვნებ, პირდაპირ სადგურში წადირ; აღუთქვა, შენს მაგივრობას მე გავწევ და მიცვალებულს წესისამებრ ვუპატრონებო; ძალით გამოიყვანა სახლიდან და გზაში რომ არ გადაეფიქრებინა, სადგურამდე გააცილა. კრისტოფი თავისას არ იშლიდა, არ სურდა ისე წასულიყო აქედან, რომ ერთხელ მაინც არ გადაევლო თვალი დიდი მდინარისათვის, რომლის ნაპირას გაიარა მისმა ბავშვობამ და რომლის მქუხარე გამოძახილი სამუდამოდ აღბეჭდილიყო მის სულში, როგორც ზღვის ნიჟარაში. თუმცა კრისტოფს ყოველ წუთს ხიფათი ემუქრებოდა ქალაქში გამოჩენით, ოლივიე იძულებული იყო დაეთმო. მეგობრები მდინარის ფლატეს მიუყვებოდნენ; რაინი ძალუმი სიმშვიდით მოღელავდა გავაკებულ ნაპირებს შორის და მიილტვოდა ჩრდილოეთის ქვიშნარებისაკენ, რომ იქ თავისი აღსასრული ეპოვა. დილის ჯანღში გახვეულ უზარმაზარ რკინის ხიდს ნაცრისფერ წყალში ჩაეყო თავისი ორი თაღი, ბუმბერაზი ეტლის წინა თვლებს რომ მოგაგონებდათ. შორს, ნისლში ბუნდად მოჩანდა წყალაღმა მიმავალი ნავების მქრქალი ლანდები, მდელოთა შორის მიკლაკნილ-მოკლაკნილი მდინარის სიღრმეში რომ უჩინარდებოდნენ. კრისტოფი ოცნებაში წასულიყო. ოლივიემ გამოარკვია, მკლავში ხელი გამოსდო და სადგურისაკენ წაიყვანა. კრისტოფი მორჩილად გაჰყვა: იგი მთვარეულს ჰგავდა. ოლივიემ დაბინავა მატარებელში, რომელიც საცაა უნდა დაძრულიყო; დათქვეს შეხვედროდნენ ერთმანეთს ხვალ, პირველსავე ფრანგულ სადგურში, რომ კრისტოფი მარტო არ ჩასულიყო პარიზში.

მატარებელი დაიძრა, ოლივიემ კი გასწია სახლისაკენ. შესასვლელში დახვდა ორი ჟანდარმი, რომელიც კრისტოფის დაბრუნებას ელოდა. მათ იგი კრისტოფად მიიღეს. ოლივიე არ აჩქარებულა, ნათელი მოეფინა მათი შეცდომისათვის, ხელს უწყობდა კრისტოფს, სამშვიდობოზე გაეღწია თუმცაღა წესრიგის დამცველები არცთუ ძალიან გაუწბილებია ამ შეცდომის გამომჟღავნებას: ისინი მაინცდამაინც დიდ გულმოდგინებას როდი იჩენდნენ, რომ ბიეკვლიათ ლტოლვილისათვის; ოლივიეს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ჟანდარმებს სულაც არა სწყენიათ, რომ ვერ მოიხელთეს კრისტოფი.

ოლივიე მეორე დილამდე დარჩა, ვიდრე ლუიზას მიწას მიაბარებდნენ. დაკრძალვას დაესწრო კრისტოფის ძმაც — კომერსანტი რუდოლფი, რომელიც მატარებლით ჩამოვიდა და იმავე მატარებლის გასვლამდე დარჩა. ამ ვაუბატონმა, მედიდურად რომ ეჭირა თავი, ვალის მოსახდელად გააცილა პროცესია და იქიდანვე წავიდა, არც კი გამომშვიდობებია ოლივიეს, სიტყვითაც არ უკითხავს ძმის ამბავი, მადლობაც კი არ გადაუხდია, რომ ოლივიემ ასე შეიწუხა თავი მათი დედის გულისათვის. ოლივიემ კიდევ რამდენიმე საათს დაჰყო ამ ქალაქში, სადაც არ იცნობდა არც ერთ ცოცხალ არსებას, მაგრამ მისთვის ესოდენ ახლობელ ადამიანთა აჩრდილები სახლობდნენ: პატარა კრისტოფი, ისინი, ვინც მას ჰყვარებია, ვისთვისაც ტანჯულა მისი გული, და ძვირფასი ანტუანეტა... რა დარჩენილიყო მთელ ამ არსებათაგან, ოდესღაც რომ ეცხოვრათ აქ, ამ კრაფტების ოჯახისაგან, რომელიც დღეს აღგვილიყო პირისაგან მიწისა?..

მხოლოდ სიყვარული, კვლავ რომ ცოცხლობდა ვიღაც უცხოელის გულში.

შუადღე უკვე გადასული იყო, როცა ოლივიემ ნახა კრისტოფი საზღვრის-პირა სადგურში, სადაც დათქმული ჰქონდათ შეხვედრა. ეს გახლდათ ტყიანი ბორცვებით გარშემორტყმული სოფელი. პარიზის მატარებლისთვის რომ არ ელოდნათ, გადაწყვიტეს უახლოეს ქალაქამდე მცირეოდენი გზა ფეხით გაევლოთ. სურვილი ჰქონდათ, მარტო ეგრძნოთ თავი. მიაბიჯებდნენ მდუმარე ტყეებს შორის; სადღაც შორს, დროდადრო, ცულის ყრუ კაკუნი არღვევდა მყუდროებას. გორაკის კორტოხზე, ერთ კორდზე გამოვიდნენ. დაბლა, ღარტაფში, ჯერ კიდევ გერმანულ მიწა-წყალზე, მოჩანდა მეტყევის წითელსახურავიანი სახლი და პატარა მდელო, ტყეში ჩაფლულ მწვანედ მოლივლივე ტბას რომ მოგაგონებდათ. ირგვლივ კი ჯანღში გახვეული, მუქი ლურჯი ტყეების ოკეანე გადაშლილიყო. ნისლი ქულა-ქულა მიცოცავდა ნაძვის ტოტებს შორის. გამშვირვალე ბურუსს გაემქრქალებინა პეიზაჟის მოხაზულობანი, გაებაცებინა საღებავები. გარშემო ყველაფერი გარინდებულიყო. არ ისმოდა ადამიანის ფეხის ჩქამი, ჩამიჩუმიც კი არსად იყო. მხოლოდ წვიმის წვეთი თუ გაიწკარუნებდა კანტიკუნტად შემოდგომის მიერ ოქროსფრად შეფერილი წიფლის სპილენძისებრ ნაპუპებზე. ქვებს შორის რაკრაკით მოჩუხჩუხებდა ცელქი ნაკადული. კრისტოფი და ოლივიე გაყუჩებულიყვნენ და სული გაენაბათ. ორივენი თავ-თავის ნაღველს წაეღო. ოლივიე ფიქრობდა:

„ანტუანეტა, სადა ხარ?“

კრისტოფი კი:

„რა ჯანდაბად მინდა წარმატება ახლა, როცა შენ ამქვეყნად აღარა ხარ?“

მაგრამ ორივეს თავ-თავისი ძვირფასი მიცვალებულის ნუგეშისმცემელი ხმა ჩაესმა:

„საყვარელო, ნუ დაგვტირი. ნუ ფიქრობ ჩვენზე. მეგობარზე იფიქრე...“

ერთმანეთს თვალებში ჩახედეს და — ორივეს დაავიწყდა საკუთარი მწუხარება: გული აუჩუყათ მეგობრის სიბრალულმა. ხელი ხელს ჩაჰკიდეს. ორივეს მშვიდი სევდა დაეუფლა. ნისლის ბურუსი ნელ-ნელა გაიფანტა, თუმც ნიავი კვლავ არსაიდან იძვროდა. ცა კიდევ ერთხელ აფერადდა ლაჟვარდისფრად. წარმტაცია სიტურფე მიწისა წვიმის შემდეგ... იგი გულში გვიხუტებს ალერსიანი ღიმილით; თითქოს გვეუბნება:

„დამშვიდდი. ყველაფერი კარგადაა...“

კრისტოფმა შვება იგრძნო. ეს ორი დღეა, მარტოოდენ მოგონებებით ცხოვრობდა, ძვირფასი ღედის სულში დაბორიალობდა: თვალწინ ედგა მისი უდრტვინველი ცხოვრება, უღიმღამო დღეები, გატარებული მარტოობაში, გამოყ-

რუებულ სახლში, სადაც აღარ ხმაურობდნენ ბავშვები, ნიადაგ მონატრებული საყვარელ შვილებს, რომელთაც მიეტოვებინათ ღარიბი, ავადმყოფი, მოხუცი და მაინც მხნე დედა, აღსავსე მშვიდი რწმენით, სათნოებით, მუდამ მორჩილად მოღიმარი და სამსხვერპლოდ გამზადებული... კრისტოფს ახსენდებოდა აგრეთვე აწ გარდაცვლილ ადამიანთა უწყინარი სულები, რომელთაც იცნობდა. რა ახლობელნი გამხდარიყვნენ მისთვის ისინი ამ წუთებში! მას შემდეგ, რაც უკან დარჩა მომქანცველი ბრძოლების წლები გაცხარებულ პარიზში, სადაც ერთმანეთთან გაშმაგებულ ჭიდილში არეულიყვნენ იდეები და ადამიანები, რომელთაც ეს-ეს არის განიცადეს ის საბედისწერო წუთი, ყველანი რომ ააფორიაქა გიჟური ბოდვის მომაკვდინებელმა კორიანტელმა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირა ერთურთს გონებადაბნელებული ხალხები, — კრისტოფმა უკვე დაღლილობა იგრძნო ამ აღტყინებული და ფუჭი გაწამაწიით, ადამიანთა ეგოისტური კინკლაობით, მთელ ამ „რჩეულთა“ — ამ პატივმოყვარე და ამპარტავან ადამიანთა პარპაშით, თავი სამყაროს ახდენილ ოცნებად რომ წარმოუდგენიათ, თუმცა მისი უკმური სიზმარი არიან მხოლოდ. და კრისტოფი სიყვარულით განიმსჭვალა ყველა ერის შვილთა ათასობით იმ უბრალო სულისადმი, უსიტყვოდ რომ გიზგიზებდნენ სიკეთის, რწმენისა და თავგანწირვის წმინდა ლამპრად და გზნებით აძგერებდნენ სამყაროს გულს.

„დიახ, გიცანით. როგორც იქნა, კვლავ გიხილეთ! თქვენ ჩემიანები ხართ, ჩემი სისხლი და ხორცი. მე დაგტოვეთ თქვენ, ვით ძემ შეცთომილმა, გზაზე მოციალე ლანდებს ადევნებულმა. აი, დაგიბრუნდით და მიმიღეთ. ჩვენ ერთი განუყოფელი არსება ვართ, ცოცხალნიცა და მკვდარნიც. სადაც მე ვარ, თქვენც ჩემთან ერთად იქ მეგულვით. ამიერიდან ჩემში გატარებ, ო დედავ, შენ რომ გიტარებივარ ოდესღაც. თქვენ ყველანი — გოტფრიდ, შულც, საბინა, ანტუანეტა, ყველანი ჩემში განაგრძობთ სიცოცხლეს. თქვენ ჩემი სიმდიდრე ხართ. ჩვენ ერთად ვივლით ამ გზაზე.

მე ვიქნები თქვენი ხმა. ერთობლივი ძალებით მივაღწევთ ჩვენს საერთო მიზანს...“

მზის სხივი ალიცლიცდა ხეების ნაწვიმარ ტოტებს შორის, ნელ-ნელა წყლის წვეთები რომ აშრებოდათ. დაბლა, პატარა მდელოდან ბავშვების ჟრიამული მოისმოდა: სამი პატარა გოგონა სახლის გარშემო ფერხულს უვლიდა ხელიხელჩაკიდებული და თან ძველებურ გერმანულ სიმღერას დასძახოდა, შორიდან კი დასავლეთის ქარს მოჰქონდა საფრანგეთის სამრეკლოთა ზარების ხმა, ვარდის სურნელივით საამო...

„ჰოი, სიმშვიდევ, ღვთაებრივო ჰარმონიავ, მუსიკავ განთავისუფლებული სულისა! შენ ათანაბარებ ყველას — მწუხარებასაც და სიხარულსაც, სიკვდილსაც და სიცოცხლესაც, მტრულ ხალხებსაც და მოძმე ერებსაც! მიყვარხარ, გელტვი, მოგიპოვებ...“

ღამემ თავისი საბურკელი გადააფარა დედამიწას. ოცნებებიდან გამორკვეულმა კრისტოფმა მეგობრის ერთგულებით სავსე სახე გაარჩია. გაუღიმა და მოეხვია. მერე უსიტყვოდ განაგრძეს სვლა ტყე-ტყე, და კრისტოფი გზას უკაფავდა ოლივიეს.

Taciti, soli e senza compagnia,
n'andavan l'un dinnanzi, e l'altro dopo,
come i frati minor vanno per via[1].

---

1 მარტონი, გამყოლთ მოკლებულნი და მდუმარენი მივისწრაფოდით ჩვენ გზადაგზა. მე უკან, ის წინ, ისე ვით ძმანი გზად მიდიან მინორიტელნი.

დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, ჯოჯოხეთი, ქება XXIII.

ПАСТРАШОЕ

СЕРГЕЙ
ДОЛГОВ

თუმცა კრისტოფის წარმატება საფრანგეთის საზღვრებს გაღმა უკვე ცხადად მოჩანდა, მეგობრების ცხოვრების პირობებს გაუმჯობესება თითქმის არ ეტყობოდა. დროდადრო სრულიად უსახსროდ რჩებოდნენ და იძულებული იყვნენ მაგრად შემოეჭირათ ქამარი. ხოლო ფულს რომ იშოვიდნენ. ცდილობდნენ დანაკლისი აენაზღაურებინათ და ორმაგი ულუფით იკვებებოდნენ. მაგრამ ასეთი რეჟიმი ბოლოს და ბოლოს ქანცს უწყვეტდათ.

იმჟამად სწორედ მორიგი შიმშილობის ხანა ედგათ. კრისტოფი მთელი ღამე უკირკიტებდა უგულო სამუშაოს — მუსიკალური პიესის გადაღებას ამთავრებდა, ჰეხტს რომ შეეკვეთა; გათენებისასღა დაწვა და გაცდენილი რომ ამოეგო, დილის ძილი გამოაცხო. ოლივიე ადრიანად წავიდა: გაკვეთილი ჰქონდა ჩასატარებელი ქალაქის მეორე ბოლოში. რვა საათი იქნებოდა, მეკარემ რომ დარეკა; ფოსტა მოეტანა. ჩვეულებრივ, იგი გულს არ აწყალებდა კაკუნით და წერილებს კარქვეშიდან შემოაცურებდა ხოლმე. ამ დილით კი დაჟინებით აკაკუნებდა. კრისტოფი, გამოძინება რომ ვერ მოესწრო, ბუზღუნით ადგა და კარის გასაღებად მივიდა; მას ყური არ უთხოვებია მეკარისათვის, ღიმილით რომ მიედ-მოედებოდა რაღაც სტატიის შესახებ, წერილები გამოართვა, ზედაც არ დახედა, კარი მიიხურა, არ დაუკეტავს, და ისევ დაწვა, რომ კარგად გამოეძინა.

ერთი საათის შემდეგ იგი კვლავ გამოაღვიძა უცბად ნაბიჯების ხმამ, მისივე ოთახში რომ ისმოდა; წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როდესაც მან, თავისი საწოლის ბოლოში, დაინახა ვიღაც უცნობი, დარბაისლურად რომ უკრავდა თავს. იგი გამოდგა გაზეთის რეპორტიორი, რომელსაც შეუნიშნავს, რომ კარი ღია იყო, აუღია თავი და შემოსულა. კრისტოფი გაშმაგებული გადმოხტა საწოლიდან:

— რა ეშმაკს ეძებთ აქ? — დაიყვირა, დასწვდა ბალიშს და ის-ის იყო უნდა ესროლა დაუპატიჟებელი სტუმრისათვის, რომ უცნობი განზე გახტა და ახსნა-განმარტებას მოჰყვა: როგორც გაზეთ „ნასიონის“ კორესპოდენტმა, ინტერვიუ მინდა ჩამოგართვათ „გრან ჟურნალში“ გამოქვეყნებული სტატიის თაობაზეო.

— რომელი სტატიის?

— ნუთუ არ წაგიკითხავთ?

გაზეთის მუშაკმა თავი ვალდებულად ჩათვალა, გაეცნო მისთვის სტატიის შინაარსი.

კრისტოფი კვლავ ლოგინში ჩაწვა. ძილისაგან მოთენთილი რომ არ ყოფილიყო, გარეთ მიაბრძანებდა ამ არამკითხეს; მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა დაეზარა და დანებდა. ლოგინში ჩაეფლო, თვალები მილულა და თავი მოიმძინარა. იგი მართლა ჩაიძინებდა, რომ ამ კაცს, რომელიც ასე დაჟინებული ჩანდა, რიხიანი ხმით არ დაეწყო სტატიის კითხვა. პირველსავე სიტყვებზე კრისტოფმა ყურები ცქვიტა. სტატიაში ლაპარაკი იყო ბ-ნ კრაფტზე, როგორც დღევანდელობის ყველაზე გენიალურ მუსიკოსზე. კრისტოფს დაავიწყდა, რომ თავს იმძინარებდა, გაოცებისაგან შეიკურთხა, ლოგინში წამოჯდა და შესძახა:

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალნენ? რა ეშმაკი შეუჩნდათ?

ამით ისარგებლა რეპორტიორმა, კითხვას თავი ანება და სეტყვასავით დააყარა შეკითხვები, რომლებზეც დაუფიქრებლად უპასუხებდა კრისტოფი; მან რეპორტიორს გაზეთი გამოართვა და გაშტერებული დასცქეროდა თავის პორტრეტს, პირველ გვერდზე რომ გამოეჭიმათ. მაგრამ სტატიის ჩაკითხვა ვერ მოასწრო—ოთახში გამოეცხადა მეორე კორესპონდენტი. აქ კი კრისტოფს უკვე მართლა გული მოუვიდა. წინადადება მისცა ორივეს, დაუყოვნებლივ დაეცალათ ბინა, რაზეც მათ მხოლოდ მას შემდეგღა შეიბერტყეს ყური, როდესაც საჩქაროდ დაზვერეს ოთახის მოწყობილობა, კედელზე გაკრული ფოტოსურათები და ამ უცნაური მასპინძლის ფიზიონომია, პერანგის ამარა, ხარხარითა და ტუქვსით მხრებში რომ უბიძგებდა და გარეთ ერეკებოდა, ხოლო როგორც კი ზღურბლს გადააცილა ისინი, კარი მიუხურა და ურდულით ჩაკეტა.

მაგრამ ამ დღეს, თითქოს პირი შეუკრავთო, ყველას განეზრახა, მოსვენება არ მიეცათ მისთვის. ხელ-პირის დაბანაც ვერ მოასწრო, რომ კვლავ გაისმა კარზე პირობითი კაკუნი, ყველაზე ახლო მეგობრებისთვის რომ არის გასაგები. კრისტოფმა კარი გააღო და აღმოჩნდა მესამე უცნობის პირისპირ, დააპირა ულაპარაკოდ მიებრძანებინა იგი, მაგრამ უცნობი შეეპასუხა, განაცხადა, სტატიის ავტორი გახლავარო. მოდით და სახლიდან გააგდეთ კაცი, რომელმაც თქვენ გენიოსად გამოგაცხადათ! ჰოდა, კრისტოფმაც მოთმინებით მოისმინა თავისი თაყვანისმცემლის სიყვარულის ახსნა. იგი გაეკვირვებინა ამ ციდან ჩამოვარდნილ დიდებას, მოულოდნელად რომ დასცემოდა თავზე, და საკუთარ თავს ეკითხებოდა, იქნებ გუშინ რამე შედეგრი შევქმენი და აღარ მახსოვსო. რეპორტიორისთვის კი შეკითხვაც ვერ მოასწრო. გაზეთის მუშაკს დავალებული ჰქონდა, ნებით ან ძალით, სასწრაფოდ რედაქციაში მიეგვარა კრისტოფი, რადგან მთავარ რედაქტორს — თავად დიდ არსენ გამაშს ენება მისი ნახვა; მანქანა ქვევით ელოდათ. კრისტოფმა სცადა ეუარა; მაგრამ მიამიტურად გულაჩუყებული ვეღარ გაუძალიანდა მეგობრულ ძალდატანებას და, თუმცა არ ეწადა, ბოლოს მაინც გაჰყვა.

ათი წუთის შემდეგ იგი წარუდგინეს მბრძანებელს, ვის წინაშეც ყოველი

სულდგმული ცახცახებდა. ეს გახლდათ ორმოცდაათიოდე წლის დაბალ-დაბალი, ჯმუხი, ჯანმაგარი და მხნე კაცი, მრგვალი, დიდრონი თავი, ჭაღარა, ოფოფივით ქოჩორი და ღაჟღაჟა პირისახე ჰქონდა, ლაპარაკობდა მბრძანებლური კილოთი, მძიმე-მძიმედ და მაღალფარდოვნად, შიგადაშიგ სხაპასხუპითაც, წარამარა ენა ებმებოდა. მას მთელი პარიზისათვის თავს მოეხვია თავისი უზომოდ დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე. გულუბრყვილო, მაგრამ გაქნილი, ეგოისტი, გრძნობასაყოლილი და საკუთარ თავზე შეყვარებული გამაში იოლად აკვარახჭინებდა საქმეებს და იყენებდა ადამიანებს; იგი თავის ინტერესებს საფრანგეთისა და თვით კაცობრიობის ინტერესებთან აიგივებდა. პირადი სარგებელი, თავისი გაზეთის აყვავება და Salus publica[1] ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, ერთი რიგის მოვლენებად წარმოედგინა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ის, ვინც ზიანს აყენებდა მას, ზიანს აყენებდა საფრანგეთს და პირადი მტრის გასანადგურებლად სრული უფლება ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა. თუმცა გამორიცხული სულაც არ იყო, რომ დიდსულოვნების გამოჩენაც შესძლებოდა. ქველი აზრებით ატაცებულს, მსუყე სადილის შემდეგ რომ ეუფლება გონებას, გამაშს უყვარდა, მამაღმერთის მსგავსად, მტვრისაგან ძეხორციელი გამოეყვანა, რათა თვალნათლივ ცხადეყო თავისი ყოვლისშემძლეობა. არაფრისაგან გამაში ქმნიდა რაღაცას, მინისტრად ხდიდა, მეფედ სვამდა, ხოლო თუ მოეპრიანებოდა ტახტიდან აგდებდა მათ. მისი უფლებამოსილება ყველგან სწვდებოდა. თუ გუნებაზე იყო, არსენი გენიოსებსაც ქმნიდა.

იმ დღეს მას კრისტოფი „შეექმნა“.

მთელი ამ აყალმაყალის უნებლიე წამომწყები ოლივიე იყო. ის, ვინც არაფრით თითს არ გაანძრევდა საკუთარი წარმატებისათვის, ვისაც ზიზღს ჰგვრიდა რეკლამა და სათოფეზე არ ეკარებოდა ჟურნალისტებს, სულ სხვაგვარად ჭიკჭიკებდა, როდესაც საქმე მის მეგობარს ეხებოდა. იგი იმ მზრუნველ დედიკოებს ჰგავდა, პატიოსანი ოჯახის ქალებად რომ ითვლებიან და ერთგული ცოლის სახელი აქვთ, მაგრამ მზად არიან გაყიდონ საკუთარი სხეული, ოღონდ პროტექცია გაუწიონ თავიანთ ბედოვლათ შვილებს.

ჟურნალებში თანამშრომლობისას ბევრ კრიტიკოსთან და მუსიკის მოყვარულთან რომ უხდებოდა შეხვედრა, ოლივიე შემთხვევას არ უშვებდა, კრისტოფზე არ ჩამოეგდო სიტყვა, და გაკვირვებულმა შენიშნა, რომ ამ ბოლო დროს ყურს უგდებდნენ. იგი ხვდებოდა, რომ მისი მეგობრის გარშემო ცნობისმოყვარეობის ატმოსფერო შექმნილიყო და იდუმალი მითქმა-მოთქმა ტრიალებდა ლიტერატურულსა და მაღალ წრეებში. რას უნდა გამოეწვია ეს? იქნებ ზოგიერთი გაზეთის გამოხმაურებას, კრისტოფის ნაწარმოებთა ამასწინანდელ შესრულებას რომ მოჰყვა ინგლისსა და გერმანიაში? რაიმე უფრო გარკვეული მიზეზი

---

[1] საზოგადოებრივი კეთილდღეობა (ლათ.).

არ ჩანდა. ეს გახლდათ იმ მუდამ ფხიზელ პარიზელ მეთვალთვალეთა ნაცნობი ფაციფუცის გამოხატულება, რომლებიც, თავიანთი მახვილი ყნოსვის წყალობით, სენ-ჟაკის ამინდის ბიუროზე უკეთ ხვდებიან, როგორი ამინდი იქნება ხვალ, საიდან დაუბერავს ქარი და რას მოიტანს იგი. ამ უზარმაზარ, ნერვებდაძაბულ ქალაქში, ელექტრობით რომ დამუხტულა, დიდების უხილავი დენი იმალება; სახელის განთქმას წინ უსწრებს ფარული აღიარება, სალონთა გაურკვეველი მითქმა-მოთქმა, რაღაც Nescio quid maius nascitur Iliade[1] რაც ერთ მშვენიერ დღეს სენსაციურ სტატიად იქუხებს და იერიქონის საყვირის გამაყრუებელი ხმა ყველაზე სქელი ყურის ბარაბანსაც კი შეატოკებს — ყველას ამცნობს ახალი კერპის სახელს. ხდება ხოლმე, რომ ეს განმადიდებელი დაფდაფის ცემა უცებ აფრთხობს განდიდებულის უპირველეს და უგულითადეს მეგობრებს, თუმცა თვითონვე მისცეს მას ბიძგი.

ასევე, ოლივიეს ხელი ერია „გრან ჟურნალის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში. მან ისარგებლა კრისტოფისადმი ინტერესის გაძლიერებით და შეეცადა კიდევ უფრო გაეღვივებინა იგი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი წვრილმანებით. ოლივიე ფრთხილობდა, კრისტოფი უშუალოდ ჟურნალისტებისთვის არ შეეხვედრინებინა, ეშინოდა, უცებ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მომხდარიყო. „გრან ჟურნალის“ თხოვნაზე კი მოახერხა, ერთ-ერთი თანამშრომელი ფინჯან ყავაზე დაეპატიჟებინა კრისტოფის თანდასწრებით, ისე, რომ ეს უკანასკნელი ვერაფერს მიმხვდარიყო. ამგვარი სიფრთხილე კიდევ მეტად აღიზიანებდა ცნობისმოყვარეობას და უფრო საინტერესოს ხდიდა კრისტოფის პიროვნებას. ოლივიეს აქამდე საქმე არასოდეს ჰქონია რეკლამასთან და ვერ გაიანგარიშა, რომ მოძრაობაში მოჰყავდა საზოგადოებრივი აზრის ეს უზარმაზარი მექანიზმი, რომელსაც, რაკი ერთი აამუშავებ, ვეღარ წარმართავ და ვეღარც შეაკავებ.

ოლივიეს მუხლი მოეკვეთა, გაკვეთილზე მიმავალმა გზაში „გრან ჟურნალის“ სტატია რომ წაიკითხა. იგი არ ელოდა ასეთ მძიმე დარტყმას. ვარაუდობდა, რომ გაზეთი არ აჩქარდებოდა დაებეჭდა წერილი, ვიდრე არ მოკრებდა ყველა საჭირო ცნობას და ცოტა უკეთ არ გაეცნობოდა საგანს, რომელზედაც ლაპარაკი სურდა. მაგრამ ეს წმინდა წყლის მიამიტობა გახლდათ. თუ გაზეთი ირჯება ახალი გენიოსი აღმოაჩინოს, ამას, ცხადია, თავისთვის აკეთებს, რათა თავის კოლეგებს მისი აღმოჩენის პრიორიტეტი წაართვას. მაშასადამე, საჭიროა იჩქაროს და, აბა, სადღა არკვიოს, რას აქებს. ყველა-ყველა, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, რომ ამისათვის მათ თვით ქების ობიექტი გამოედავოს: რახან გაქებენ, ესე იგი, კარგად გაგიგეს.

თითიდან გამოწოვილ აბდაუბდას რომ ჰყვებოდა კრისტოფის სიღატაკეზე, რომელსაც გერმანული დესპოტიზმის მსხვერპლად და თავისუფლების მოციქუ-

---

[1] „ილიადაზე“ უფრო დიდი რაღაც იბადება (ლათ.).

ლად სახავდა, რადგან მუსიკოსი იძულებული გამხდარიყო გამოჰქცეოდა იმპერატორის გერმანიას და თავი შეეფარებინა საფრანგეთისათვის, ამ თავისუფალ სულთა სავანისათვის (მშვენიერი საბაბი შოვინისტთა სალაქლაქოდ!) — გაზეთი უხერხულ დითირამბებს უძღვნიდა მის გენიას, რომელზედაც წარმოდგენა არ გააჩნდა, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა საშუალო კომპოზიციას, კრისტოფის პირველ ცდებს რომ ეკუთვნოდა ჯერ კიდევ გერმანიაში, რომლებისაც რცხვენოდა თვით კრისტოფს და მათს გასანადგურებლად ხელი არ აუკანკალდებოდა. სამაგიეროდ, თუ სტატიის ავტორი არ იცნობდა მის შემოქმედებას, ამას იმით ანაზღაურებდა, რომ ყურადღებას ამახვილებდა მის ჩანაფიქრზე, ანუ ფაქტიურად იმაზე, რასაც მიაწერდა. ორი-სამი სიტყვის საფუძველზე, სადმე შემთხვევით რომ წამოსცდენოდა კრისტოფს ან ოლივიეს, ანდა ყური მოეკრა ვითომ რომელიღაც გუჟარს, საქმეში ჩახედულად რომ მოჰქონდა თავი, სტატიის ავტორი ახერხებდა წარმოდგენა შეექმნა ჟან-კრისტოფზე — „დიდ რესპუბლიკელსა და დემოკრატიის მომღერალ გენიალურ კომპოზიტორზე“. ამასთანავე, შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, ლაფი არ მიესხა თანამედროვე ფრანგი კომპოზიტორებისათვის, ცხადია, ყველაზე თავისთავადებისა და ყველაზე თვითმყოფებისათვის, ყურებს რომ არ აბარტყუნებდნენ დემოკრატიაზე ზრუნვით. გამონაკლისს უშვებ და ერთი-ორი მუსიკოსისათვის, რომლებიც პოლიტიკურად კეთილსაიმედოები ეჩვენებოდნენ. მაგრამ დასანანი იყო, რომ ცოტას მოიკოკლებდნენ მხატვრულად. თუმცა ეს წვრილმანი გახლდათ. საერთოდ კი, აქ უფრო საგულისხმო იყო არა მათი ან თვით კრისტოფის ქება, არამედ უფრო იმ ურჩთა კრიტიკა. როდესაც პარიზში ვინმეს შესაქებ სტატიას კითხულობენ— უნებურად კითხვას სვამენ:

— ამით ვის ურტყამენ?

რაც უფრო ჩადიოდა სტატიის ბოლოში, ოლივიე თანდათან სირცხვილისაგან წითლდებოდა და გულში ფიქრობდა:

„კარგი სამსახური კი გამიწევია!“

გაკვეთილი ძლივსძლივობით ჩაატარა და მაშინვე შინისაკენ გამოიქცა. იგი სახტად დარჩა, როდესაც უთხრეს, კრისტოფი ვიღაც ჟურნალისტებთან ერთად წავიდაო. არ უსადილია, მეგობარს ელოდებოდა. კრისტოფი არ ჩანდა. გადიოდა საათები და ოლივიეს უფრო და უფრო იპყრობდა მოუსვენრობა; იგი თავისთვის ამბობდა:

„რა სისულელეებს აღარ დააცდენინებენ ალბათ!“

სამი საათისათვის კრისტოფი დაბრუნდა, კარგად შეჭიკჭიკებული. არსენ გამაშთან ესადილა და ცოტა თავი უბრუოდა შამპანურისაგან. იგი ვერ მიხვდა, რაზე წუხდა ოლივიე, შეშფოთებული დაკითხვას რომ უწყობდა, რა თქვი ან როგორ მოიქეცი.

— როგორ და, ერთი გემრიელად ვისადილე. კაი ხანია, ასე მაძღრისად აღარ მიჭამია.

მერე მენიუ ჩამოუთვალა.

— ახლა ღვინოები... ყველა მარკისა დავაჭაშნიკე.

ოლივიემ შეაწყვეტინა, სუფრაზე ვინ იყვნენო.

— სუფრაზე?.. აღარ მახსოვს. იყო გამაში, რუმბივით მრგვალი, გულღია, ოქრო ადამიანი; კიდევ, კლოდომირი—სტატიის ავტორი, სულში ჩაიძვრენ; სამი თუ ოთხი სხვა ჟურნალისტი, მხიარული, კაი ბიჭები, ყველანი კეთილგანწყობილნი ჩემდამი. მოკლედ, კარგი კომპანია იყო.

ოლივიეს რატომღაც ეჭვი ეპარებოდა მის ნათქვამში. კრისტოფს აკვირვებდა მეგობრის გულგრილობა.

— სტატია არ წაგიკითხავს?

— როგორ არა. მეც მანდა ვარ. თვითონ თუ წაიკითხე კარგად?

— კი... ისე, გადავათვალიერე. არ მეცალა.

— აჰა, და ცოტა ყურადღებით წაიკითხე.

კრისტოფმა კითხვა დაიწყო. პირველსავე სტრიქონებზე ხარხარი აუტყდა.

— ჩერჩეტი! — წამოიძახა და ხარხარი განაგრძო. — ეს კრიტიკოსები ყველანი ერთიმეორეზე უარესები არიან. არაფერი არ გაეგებათ.

კითხულობდა და თანდათან გული მოსდიოდა — აბდაუბდა რაღაც გამოდიოდა და თვითონაც გაპამპულებული ჩანდა. რას გულისხმობდნენ „რესპუბლიკელ მუსიკოსში"... ეს ხომ ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო. კარგი, ეს უბრალო სიტყვები რახარუხად ჩავთვალოთ. მაგრამ ის, რომ კრისტოფის ეგრეთწოდებულ „რესპუბლიკურ" ხელოვნებას მისი წინამორბედი დიდი კომპოზიტორების „საეკლესიო ხელოვნებას" უპირისპირებდნენ (მაშინ, როცა კრისტოფი მათი სულიდან ღებულობდა საზრდოს), — ეს კი უკვე მეტისმეტი იყო...

— ყეყეჩები! მთლად იდიოტად არ გამოვყავარ!...

ესეც არ იყოს, რატომ უნდა ალანძღვინოს, თავისი საბაბით, ნიჭიერი ფრანგი კომპოზიტორები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად (თუმცა უფრო კი ცოტად) მოსწონდნენ, მაგრამ ესმოდათ თავიანთი საქმე და პატივს სცემდნენ მას? ყველაზე უარესი კი მაინც ის გახლდათ, რომ მას თავისი სამშობლოს მიმართ, ასე უბოდიშოდ, საზიზღარ გრძნობებს მიაწერდნენ!... არა, ამის ატანა ყოვლად შეუძლებელი იყო...

— მე მათ ახლავე მივწერ, — თქვა კრისტოფმა.

ოლივიემ დაუშალა:

— არა, ახლა ნუ იზამ! მეტისმეტად აღელვებული ხარ. ხვალ აჯობებს, გაგრილებულ გულზე...

კრისტოფი გაჯიუტდა. როცა რაიმე ჰქონდა სათქმელი, მოცდა არ შეეძლო. ოღონდ პირობა მისცა, წერილს წაგაკითხებო. ეს უსარგებლო როდი გამოდგა. წერილს, რომელშიც კრისტოფი განსაკუთრებით იმ დამახინჯებული შეხედულებების გასწორებას ცდილობდა, გერმანიას რომ შეეხებოდა, სათანადო რედაქცია გაუკეთდა და კრისტოფმა იგი ფოსტაში გააქანა.

— ესეც ასე, — თქვა მან, როდესაც უკან დაბრუნდა. — ეგეც არაფერი, წერილი ხვალვე გამოქვეყნდება.

ოლივიემ ეჭვის ნიშნად თავი გააქნია. მერე, რაკი გული ვერ დაეწყნარებინა, კრისტოფს გამომცდელად თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

— სიმართლე მითხარი, სუფრასთან შენებური ხომ არაფერი წამოროშე?

— რა უნდა წამომეროშა, — სიცილით უპასუხა კრისტოფმა.

— აბა, გულზე ხელი დაიდე.

— არა-მეთქი, მშიშარავ.

ოლივიეს ცოტა გულზე მოეშვა. სამაგიეროდ, კრისტოფი შეიპყრო მოუსვენრობამ. გაახსენდა, რომ გაუჩერებლივ ლაპარაკობდა. თავიდანვე მიენდო და თავისუფლად იქცეოდა. აზრადაც არ მოსვლია, გაფრთხილებულიყო, რომ არაფერი წამოსცდენოდა: ეს ადამიანები ისეთი გულითადნი, ისეთი კეთილგანწყობილნი ჩანდნენ! და იყვნენ კიდეც. ადამიანები ყოველთვის კეთილად არიან განწყობილნი მათს მიმართ, ვისზედაც ამაგი აქვთ გაწეული. ჰოდა, კრისტოფი ისეთ გულწრფელ სიხარულს განიცდიდა, რომ სხვებიც აიყოლია. გერმანელის გულითადი უშუალობა, მისი ხალისიანი გულმხიარულება, შესაშური მადა და სმის უნარი, სულმოუთქმელად რომ ცლიდა მაგარი სასმელით სავსე ჭიქებს და არ ითრობოდა, — რაღა თქმა უნდა, მოეწონებოდა არსენ გამაშს, რომელიც აგრეთვე, სასმელის ამტანი, მაგარი, ტლანქი და სისხლჭარბი კაცი გახლდათ და ამრეზით უყურებდა ჯანსუსტ, მიკნავებულ პარიზელებს, არც სმის თავი რომ ჰქონდათ და არც ჭამისა. კაცს იმით აფასებდა, სუფრასთან როგორ იჯდა, ამიტომაც ჯეროვნად დააფასა კრისტოფი. იქვე, სუფრასთანვე, წინადადება მისცა, შენი „გარგანტუა“ ოპერად გადააკეთე და „გრანდ ოპერაში“ დადგიო. იმხანად პარიზელი ბურჟუებისათვის „ფაუსტის გაჟიცხვის“ ან „ცხრა სიმფონიის“ გასცენიურება ხელოვნების მწვერვალად ითვლებოდა. კრისტოფს ამ სულელურ იდეაზე სიცილი წასკდა და ძლივს ააღებინა ხელი გამაშს განზრახვაზე — დაუყოვნებლივ განკარგულებები გაეცა ტელეფონით „გრანდ ოპერის“ დირექციისათვის ან ნატიფ ხელოვნებათა სამინისტროში (რამდენადაც დასაჯერი იყო, იქ მას თავისი ხალხი ჰყავდა). ამ წინადადებამ გაახსენა კრისტოფს, რა უცნაურ სამოსელში წარმოადგინეს თავის დროზე მისი სიმფონიური პოემა „დავითი“ და ჩამოუკაკლა, როგორ მოაწყობინა მისი დადგმა დეპუტატმა რუსენმა თავისი საყვარლის დებიუტისათვის[1]. გამაშს, თვალში რომ არ მოსდიოდა რუსენი, სახე გაბადროდა; კრისტოფმაც, მაგარი ღვინითა და მსმენელთა მოწონებით საღერღელაშლილმა, მოხსნა პირი და მოუყვა ისეთი ამბები, ყველასთან რომ არ ითქმის. ჟურნალისტები პირწმინდად კრეფდნენ ყოველ სიტყვას, არაფერი გამორჩენიათ. მარტო კრისტოფს დაავიწყდა სუფრიდან ადგომისთანავე თავისი ნათქვამი. და აი, ოლივიეს კითხვაზე გონებაში ამოუტივტივდა საკუთარი ნალა-

---

[1] ნ. ჟან-კრისტოფი, II, „ბაზრობა მოედანზე“. — რ. რ.

პარაკევი. ჟრუანტელმა დაუარა ტანში. არ უნდოდა თავი მოეტყუებინა; უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა, რომ ეჭვი შეეტანა მოვლენათა ბუნებრივ განვითარებაში. ახლა, როცა გამოფხიზლებულიყო, კრისტოფი ნათლად ხედავდა, რაც მოხდებოდა: თავისი გაუფრთხილებლობით განდობილი ამბები დამახინჯებულად გამოქვეყნდებოდა ღვარძლიანი გაზეთის ქრონიკაში; ხოლო ხელოვნების საკითხებზე ხუმრობით ნათქვამ სიტყვებს მის წინააღმდეგ პოლემიკის ასატეხად გამოიყენებდნენ. რაც შეეხება მის უარყოფის წერილს, ამ მხრივ კრისტოფს ოლივიეზე მეტის იმედი როდი ჰქონდა: ეკამათო ჟურნალისტს, ეს ნიშნავს ტყუილუბრალოდ დახარჯო მელანი; ბოლო სიტყვა ყოველთვის გაზეთს ეკუთვნის.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც კრისტოფმა ივარაუდა. მისი დაროშილი გამოაქვეყნეს, უარყოფის წერილი კი არა. გამაში იმით დაკმაყოფილდა, რომ დაუბარა გადაეცათ კრისტოფისათვის, ვაფასებ თქვენს დიდსულოვნებას და ასეთ სინდისიანობასო; მაგრამ მისი სინდისიანობა თავისთვის შეინახა. გამოგონილი შეხედულებები კი, კრისტოფს რომ მიაწერდნენ, კვლავ ვრცელდებოდა და გესლიან გამოხმაურებას იწვევდა პარიზის გაზეთებში, ხოლო იქიდან გერმანიაში, სადაც აღშფოთებულიყვნენ. რომ გერმანელი ხელოვანი ასეთ საძრახის გამოთქმებს კადრულობდა თავისი მშობელი ქვეყნის მიმართ.

კრისტოფმა იფიქრა, არიქა, შესაძლებლობა მომეცა მდგომარეობა გამოვასწოროო და სხვა გაზეთის რეპორტიორისათვის მიცემულ ინტერვიუში ცდილობდა სიყვარული დაემტკიცებინა Deutsches Reich[1] — ისათვის, სადაც, მისი თქმით, ადამიანები სულაც არ იყვნენ ნაკლებ თავისუფალნი, ვიდრე საფრანგეთის რესპუბლიკაში. რეპორტიორმა კი, რომელიც კონსერვატიული გაზეთის წარმომადგენელი იყო, თავის მხრივ, არ დააყოვნა, მისი სიტყვები ანტირესპუბლიკურ გამონათქვამებად გამოეცხადებინა.

— ვაის გავეყარე, უის შევეყარე! — წამოიძახა კრისტოფმა. — გამაგებინე, რა საერთო აქვს ჩემს მუსიკას პოლიტიკასთან?

— ასეა ოდითგან ჩვენში, — უთხრა ოლივიემ. — შეხედე, როგორი ცილობა აქვთ ბეთჰოვენზე. ერთნი მას იაკობინელად აცხადებენ, მეორენი — კლერიკალად, ზოგისთვის გამოცხადებული „მამა დიუშენია“,[2] ზოგისთვის კი — კარის მსახური.

— უჰ, როგორ პანღურს ამოჰკრავდა იგი ყველას ერთად!

— რაღას უცდი, ამოჰკარი.

კრისტოფი უარს არ იტყოდა, მაგრამ პირველივე გაღიმებაზე მეგობრულად განეწყობოდა ხოლმე. ოლივიეს გული საგულეს აღარ ჰქონდა, როცა მას მარ-

---

[1] გერმანიის იმპერია (გერ.).

[2] აქ: უკიდურესი რევოლუციონერი. მემარცხენე იაკობინელთა ბელადის — ებერის მიერ 1790 წ. დაარსებული გაზეთის სახელწოდება. — რედ. შენიშვნა.

ტოს ტოვებდა. რეპორტიორები შინ ეჭრებოდნენ ინტერვიუს ასაღებად და კრისტოფი, ბევრს რომ ჰპირდებოდა ენას კბილს დავაჭერო, ვერ ახერხებდა გული დაეხურა ადამიანებისათვის, — გულახდილად ლაპარაკობდა ყველაფერს, რასაც ფიქრობდა. მასთან მოდიოდნენ მდედრობითი სქესის ჟურნალისტებიც, მეგობრობას რომ ეფიცებოდნენ და სატრფიალო თავგადასავლებს აყოლებდნენ. ზოგნი კი სარგებლობდნენ შემთხვევით, რომ მისი თანდასწრებით მავანი ვინმე ზურგსუკან ეძრახათ. როდესაც ოლივიე შინ ბრუნდებოდა, ამჩნევდა, რომ კრისტოფი შეცბუნებული იყო.

— ისევ სისულელე ჩაიდინე? — ეკითხებოდა იგი.

— როგორც ყოველთვის, — უპასუხებდა დარცხვენილი კრისტოფი.

— შენი გამოსწორება არ იქნება.

— პირზე კლიტედასადები ვარ... მაგრამ პირობას გაძლევ, ეს ბოლო და უკანასკნელია.

— ჰო, ჰო, ამის შემდეგამდე...

— არა, ამჯერად მორჩა.

მეორე დღეს კრისტოფმა გამარჯვებულივით ახარა ოლივიეს:

— კიდევ მეახლა ერთი. ხმის ამოღება არ ვაცალე, კინწისკვრით გავაგდე.

— მეორე უკიდურესობაში კი ნუ გადავარდები, — უთხრა ოლივიემ — უფრთხილდი მათ. „ეს მხეცი ძალზე ავია...“ არ გააღიზიანოთ, თორემ მოგვარდებათ... მათთვის შურისძიებაზე იოლი არაფერია! საკმარისია უბრალო სიტყვა დაგცდეს, მყისვე ისარგებლებენ.

კრისტოფმა შუბლზე იტკიცა ხელი:

— ო, უფალო!

— კიდევ რაღა?

— იცი რა მივაძახე, კარი რომ მივუკეტე?

— მაინც რა?

— რა და, იმპერატორის სიტყვა.

— იმპერატორის?

— ჰო, ნაპოლეონისა თუ რომელიღაც მისი გენერლისა...[1]

— საბრალოვ! ხვალვე გაზეთის პირველ გვერდზე ნახავ გამოქვიმულს!

კრისტოფს გააყრუოლა. ხოლო მეორე დღეს გაზეთში ნახა აღწერილობა თავისი ბინისა, სადაც რეპორტიორმა ვერ შეაღწია, და კიდევ, ინტერვიუ, რომელიც ვერ მიიღო.

ცნობები ვრცელდებოდა და გზადაგზა უფრო ლამაზდებოდა. უცხოურ გა-

---

[1] იგულისხმება უცენზურო სიტყვა, რომლითაც ვატერლოოსთან ფრანგთა უკანდახევის დროს ნაპოლეონის გენერალმა კამბრონმა უპასუხა ინგლისელთა წინადადებაზე, დანებებულიყვნენ. — რედ. შენიშვნა.

ზეთებში კი ხშირად საწინააღმდეგო აზრსაც ღებულობდა. მას შემდეგ, რაც ფრანგულმა გაზეთებმა დაწერეს, რომ გერმანელი კომპოზიტორი ლუკმაპურის საშოვნელად მუსიკის გიტარაზე ტრანსპონირებას ეწევაო, კრისტოფმა ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში ამოიკითხა, იგი გიტარით ხელში კარდაკარ უკრავდაო.

იგი მხოლოდ ქათინაურებს როდი ისმენდა. სრულიადაც არა! საკმარისი იყო კრისტოფს გამოჰქომაგებოდა „გრან ჟურნალი", რომ საქმეში ჩაერივნენ სხვა გაზეთები. მათი ღირსებისათვის შეუთავსებელი იყო იმის დაშვება, რომ მათს კოლეგას აღმოეჩინა გენიოსი, რომელიც თვითონ ვერ შენიშნეს. ამიტომ ადგნენ და გააბიაბრუეს. გუჟარმა, თავმოყვარეობაშელახულმა იმით, რომ უკან მოიტოვეს, დაწერა სტატია, რათა, როგორც აცხადებდა, ჭეშმარიტება აღედგინა. იგი შინაურულად ლაპარაკობდა თავის ძველ ძმაკაც კრისტოფზე, რომელმაც პირველი ნაბიჯები მისი ხელმძღვანელობით გადადგა პარიზში: ეს უდავოდ ნიჭიერი მუსიკოსია, მაგრამ (ამას ვამბობ, როგორც მისი მეგობარი) ჯერ კიდევ არ ჰყოფნის ცოდნა, არ გააჩნია საკუთარი ხმა და უზომოდ ამაყიც ბრძანდებაო; ისინი, ვინც გუნდრუკს უკმევენ მის ზვიადობას და სასაცილოდ აქებ-ადიდებენ, დათვურ სამსახურს უწევენ კრისტოფს, მაშინ როცა მას წინდახედული, მცოდნე, სამართლიანი და კეთილმოსურნე, მაგრამ მკაცრი დამრიგებელი სჭირდებაო (ერთი სიტყვით, ზედგამოჭრილი გუჟარი). კომპოზიტორები ნაძალადევად იცინოდნენ, იხტიბარს არ იტეხდნენ, ვითომდაც საშინელ ზიზღს ჰგვრიდათ ხელოვანი, გაზეთების მხარდაჭერით რომ სარგებლობს, ყასიდად ამბობდნენ, რომ არ ეპიტნავებოდათ servum pecus[1] და ხელებს ასავსავებდნენ არტაქსერქსეს ძღვენზე, რომელსაც მათ არავინ სთავაზობდა. ერთნი აშკარად კიცხავდნენ კრისტოფს, მეორენი ამუნათებდნენ თავიანთი გულშემატკივრობით, მესამენი კიდევ ოლივიეს სწვდებოდნენ (უმეტესად კოლეგები). მათ ჯავრი ჩაჰყოლოდათ გულში, რომ ოლივიე პრინციპული დარჩა და განზე ეჭირა თავი, — თუმცა, მართალი რომ ვთქვათ, უფრო მარტოობის წადილით, ვიდრე ვინმესადმი ზიზღით. მაგრამ ადამიანები ყველაზე უფრო იმას ვერ გაპატიებენ, რომ შეგიძლია უიმათოდ იოლად წახვიდე. ზოგიერთები იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ ყურში აგონებდნენ ოლივიეს, „გრან ჟურნალის" სტატიები შენთვის სახეიროაო. მათ შორის ისეთებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც თავს იდებდნენ კრისტოფის დაცვას ოლივიეს წინააღმდეგ: ისინი მწუხარე სახეს იღებდნენ იმის გამო, რომ ოლივიე ასეთ ნაზ, მეოცნებე და ცხოვრებისათვის არასაკმარისად მომზადებულ ხელოვანს — კრისტოფს! — იმეტებდა „მოედანზე ბაზრობის" ღრიანცელისათვის, სადაც იგი გარდუვალად დაიღუპებოდა. ისინი, ვინც თავბრუს ახვევდა კომპოზიტორს ესოდენ მდარე გუნდრუკის კმევით, მათი სიტყვით, მომავალს უსპობდნენ ამ კაცს, რომელსაც თუმცა დიდი ტალანტი არ ჰქონდა, მაგრამ თავისი შეუპოვარი შრომისმოყვარეობით შეიძლება რაღაცისთვის მიეღწია. ცოდოა საწყა-

---

1 მონური ფარა (ლათ.).

ლი კრისტოფი! რატომ არ დააცალეს, ეშრომა თავისთვის, უჩინრად და უხმაუროდ?

ოლივიეს არ გაუჭირდებოდა მიეგო მათთვის:

„რომ იშრომო, უნდა ჭამო. ვინ მიაწვდიდა ლუკმას?“

მაგრამ მათ ვერც ეს პასუხი შეაცბუნებდათ და ოლიმპიური სიმშვიდით მიუგებდნენ:

„მერე რა. უნდა მოითმინო“

რასაკვირველია, ყველა ესენი მაღალი წრის ადამიანები იყვნენ, თავად უზრუნველყოფილნი, სხვებს ასეთ სტოიციზმს რომ შეაგონებდნენ. ერთმა მილიონერმა ასეთი პასუხი გასცა მიამიტ შუამავალს, სიღატაკეში ჩავარდნილი ხელოვანისათვის დახმარებას რომ სთხოვდა:

— მომიტევეთ, ბატონო ჩემო, მაგრამ მოცარტი სიღატაკით მოკვდა.

ეს ადამიანები უტაქტობაში ჩამოართმევდნენ ოლივიეს, თუ შეეპასუხებოდა, რომ მოცარტი წინააღმდეგი არ იქნებოდა ეცოცხლა, ხოლო კრისტოფს გადაწყვეტილი ჰქონდა არ მომკვდარიყო.

კრისტოფს უკვე თავს აბეზრებდა ამ ენაჭარტალების ჭორიკანობა. აღარ უნდა მოეღოს ამას ბოლო? — კითხულობდა იგი თავისთვის. მაგრამ ორი კვირის სწორზე მითქმა-მოთქმა შეწყდა. გაზეთები აღარ ხმაურობდნენ მის შესახებ. კრისტოფი უკვე ცნობილი იყო. მის სახელს რომ ახსენებდნენ, ყველამ იცოდა ვისზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ასე კი არ იტყოდნენ:

„დავითისა“ და „გარგანტუას“ ავტორი?“

არამედ:

„აა, „გრან ჟურნალი“ რომ წერდა მასზე!...“

ეს დიდებას ნიშნავდა.

ოლივიე ამას წერილების სიმრავლით მიხვდა, კრისტოფს რომ მოსდიოდა და არაპირდაპირ თვითონაც ღებულობდა, — ლიბრეტოებს სთავაზობდნენ ავტორები, კონცერტის მოწყობის წინადადებას აძლევდნენ ანტრეპრენიორები, ერთგულებას ეფიცებოდნენ ახლად გაჩენილი მეგობრები — უმრავლესობა მისი გუშინდელი მტრები რომ იყვნენ, სტუმრად ეპატიჟებოდნენ ბანოვანები. გაზეთების მიერ მოწყობილი გამოკითხვებისათვის კრისტოფს სთხოვდნენ აგრეთვე აზრი გამოეთქვა შობადობის შემცირებაზე საფრანგეთში, ხელოვნების იდეალზე, ქალის კორსეტებზე, სცენაზე გაშიშვლებაზე, ხომ არ მიაჩნია, რომ გერმანია დაქვეითებას განიცდის, ანდა, მუსიკამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და სხვ. და სხვ. კრისტოფი და ოლივიე გულიანად იცინოდნენ ყოველივე ამაზე. ვინ კრისტოფი, ეს ტყის კაცი და ვინ წვეულებებზე სიარული! თუმცა დაზეთ, დაცინვით დასცინოდა, მაგრამ ღებულობდა მიწვევებს! ოლივიე თვალებს არ უჯერებდა.

— ეს შენა ხარ? — ეუბნებოდა იგი.

— სწორედ მე, — მიუგებდა ეშმაკური ღიმილით კრისტოფი. — გეგონა შენს მეტს არავის შეუძლია ქალბატონებთან სტუმრობა? ახლა ჩემი ჯერია! უნდა გავერთო!

— გაერთო? უკვე მოიცალე?

სინამდვილეში, კრისტოფი დიდხანს იჯდა შინ და უცებ ძლიერ მოუნდა გარეთ გაეხედა. ამასთანავე, რაღაც უჩვეულო სიხარულს ჰგვრიდა ახალი დიდების განცდა. მაგრამ მალე მოყირჭდა წვეულებები და ნახა, რა ყეყეჩი იყო მაღალი საზოგადოება. თუმცა შინ რომ ბრუნდებოდა, განზრახ საწინააღმდეგოს უყვებოდა ოლივიეს. ერთხელ რომ სადმე წავიდოდა, მეორედ იქით აღარ გაიხედავდა; მიზეზად იმას მოიდებდა, რაც პირზე მოადგებოდა და გასაშტერებელი უბოდიშობით თავიდან იცილებდა მათს მიწვევას. ოლივიე აღშფოთებული იყო. კრისტოფი გულიანად ხარხარებდა. სალონებში დაიარებოდა არა იმისათვის, რომ თავისი სახელისთვის ელოლიავა, არამედ აღედგინა სიცოცხლის მარაგი და შეევსო თავისი გალერეა ახალ-ახალი გამომეტყველებით, მიხრა-მოხრით, ხმის ყღერადობით, ფორმათა, ბგერათა და ფერთა მთელი ამ საღებავით, რომელიც აუცილებლად სჭირდება ყოველ მხატვარს, რომ დროდადრო თავისი პალიტრა გაამდიდროს. მუსიკოსი მარტოოდენ მუსიკით როდი საზრდოობს. ადამიანური მეტყველების ინტონაცია, სხეულის მოძრაობათა რიტმი და ღიმილის ჰარმონია უფრო ხალას მუსიკალურ განცდებს აღძრავს მასში, ვიდრე რომელიმე კოლეგის მზა სიმფონია. თუმცა ეს კია, ამ სალონებში სახეთა და სულთა მუსიკა ისეთივე ერთფეროვანი და ტრაფარეტულია, როგორც მუსიკოსთა მუსიკა. ყველას თავისი დაშტამპული ნირი აქვს და თავის ნირში იშტამპება. კეკლუცი ქალის ღიმილი, ხელოვნური სიტურფის გამო, ისევე შაბლონურია, როგორც პარიზული მელოდია. კაცები კიდევ უფრო უბადრუკნი არიან ქალებზე. „საზოგადოების“ დამამყაყებელი გავლენის გამო ნებისყოფა ჩლუნგდება და თავბრუდამხვევი სისწრაფით მჭრქალდება და იშლება ხასიათთა თავისთავადობა. კრისტოფი შეეძრწუნებინა იმას, რომ ამდენი მკვდარი და შომაკვდავი ხელოვანი არსებობდა ხელოვნებაში. აი, თუნდაც ეს ახალგაზრდა კომპოზიტორი, შემოქმედებითი ძალებისა და ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში რომ იმყოფებოდა, მაგრამ პირველ წარმატებას არარად ექცია იგი; ეს ჯეელი კაცი უკვე მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ განცხრომასა და თვლემას მისცემოდა და თავს აბრუებინებდა ფუჭი ლაქუცით, რითაც მასში კლავდნენ ხელოვანს. თუ ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო იგი ოცი წლის შემდეგ, ამის ნიმუშიც აქვე იყო, სალონის მეორე კუთხეში, მხცოვანი მაესტროს სახით; ეს გახლდათ მდიდარი, სახელოვანი, ყველა აკადემიის წევრი და მწვერვალზე ასული მოხუცი, რომელსაც თითქოს აღარაფრისა არ უნდა შინებოდა და აღარავისთვის გაეწია ანგარიში, მაგრამ მაინც ელაქუცებოდა ყველას, ცახცახებდა საზოგადოებრივი აზრის, ხელისუფლებისა და პრესის წინაშე, ვერ ბედავდა გამოეთქვა, რასაც ფიქრობდა, თუმცა უკვე აღარც ფიქრობდა, აღარც არსებობდა, მხოლოდ იპრანჭებოდა სა-

კუთარი წარსულით, — პირადი რელიკვიებით ეს საპალნეაკიდული ვირი.

. ყველა ამ ხელოვანისა და მოაზროვნის ზურგს უკან, დიდი ადამიანები რომ იყვნენ ან შეეძლოთ ყოფილიყვნენ, უცილობლად იდგა ქალი, რომელიც ღრღნიდა მათ. ქალები ყველანი ერთნაირად სახიფათონი იყვნენ — უჭკუონიც და შედარებით უფრო ჭკვიანებიც, მოსიყვარულენიც და თავის თავის მოყვარულნიც; ყველაზე საუკეთესონი ყველაზე უარესნი იყვნენ — მით უფრო ნაღდად ხუთავდნენ ხელოვანის სულს თავიანთი განუსჯელი სიყვარულის მარწუხებში, ცდილობდნენ, თუმცა კეთილი ზრახვით, მოეთვინიერებინათ ნიჭი, წაეშალათ მასში ყველაფერი თავისთავადი, ყველასათვის დაემგვანებინათ, გაესადავებინათ, სუნამო ეპკურებინათ, ვიდრე დაიყვანდნენ მას თავიანთ უგვან მგრძნობიარობამდე, თავიანთ წვრილმან პატივმოყვარეობამდე, თავიანთ და თავიანთი წრის უღიმღამობამდე.

თუმცა კრისტოფს გავლით უხდებოდა მოხვედრა ამ ქალთა საზოგადოებაში, მას უკვე მოესწრო, ეყნოსა საფრთხე. ერთი და ორი ბანოვანი როდი ცდილობდა, გადაებირებინა და კაბაზე გამოება იგი; ბევრჯერ კრისტოფი ბეწვზე გადაურჩა მათი მრავლის აღმთქმელი ღიმილის ხიბლს, და მისი ძალუმი საღი აზრი და იმ მაგალითის სიცხადე რომ არა, რომელიც ნათელყოფდა, რა საცოდავ არსებებად აქცევდნენ კაცებს ეს თანამედროვე კირკეები, იქნებ ვერც მას გაეძლო ცთუნებისათვის. მაგრამ სურვილი არ ჰქონდა, თავისი ნებით ჭუკად ქცეულიყო ამ მომხიბლავი მწყემსების ფარაში. ეს ცთუნება უფრო სახიფათო შეიძლება გამხდარიყო, რომ მისი მონადირების მსურველთა რიცხვი ასე მრავალი არ ყოფილიყო. ახლა, როცა ყველანი დარწმუდნენ, რომ მათ შორის გენიოსი გამოჩნდა, თანახმად თავიანთი ჩვეულებისა, ისწრაფოდნენ ჩაეხშოთ იგი. ამ სქესის ადამიანებს ერთი ფიქრი უჩნდებათ: ყვავილს ნახავენ — ქოთანში ჩარგონ, ჩიტს ნახავენ — გალიაში გამოამწყვდიონ, თავისუფალ კაცს ნახავენ — ლაქიად გაიხადონ.

კრისტოფი წუთით გაბრუვდა, მაგრამ მყისვე გამოფხიზლდა და ყველანი ფეხებზე დაიკიდა.

ბედი დამცინავია. მის მარყუჟს ასე თუ ისე უსხლტებიან დაუდევარნი და თავზეხელაღებულნი, მაგრამ ფრთხილთ, უნდოთ და წინდახედულთ იგი ხელიდან არასოდეს უშვებს. ჰოდა, პარიზულ ცთუნებათა ფაცერში გაება არა კრისტოფი, არამედ ოლივიე.

იგი დარჩა ნახეირები მეგობრის წარმატებით. კრისტოფის დიდების ანარეკლი მას მოეფინა. იგი უცებ უფრო ცნობილი გახდა იმით, რომ აღმოაჩინა კრისტოფი, ვიდრე ექვსი წლის პოეტური შემოქმედებით. ამიტომ კრისტოფს რომ ეპატიჟებოდნენ, არასოდეს ტოვებდნენ ოლივიეს; ისიც თან დაჰყვებოდა ყველგან, რომ ჩუმად ყური ეგდო მისთვის. მაგრამ ეტყობა მეტისმეტად გაერ-

თო მასზე მზრუნველობით, რომ ვეღარ შეძლო საკუთარი თავისთვის მოეკლო. სიყვარული ეწვია და მოხიბლა იგი.

ეს იყო ქერა, გამხდარ-გამხდარი და მომხიბლავი ყმაწვილი ქალი, ნაზი ხუჭუჭი კულულები პაწია ტალღებად შემოვლებოდნენ ვიწრო და კრიალა შუბლზე, თხელი წარბების ქვეშ ოდნავ მძიმე ქუთუთოები მოუჩანდა, მუქი მტრედისფერი, იასამნის ფერში გარდამავალი თვალები ჰქონდა, ცხვირი ნატიფი, მოხდენილი ნესტოებით, საფეთქლები ჩაზნექილი, ნიკაპი ჟინიანი, პირი ჭკვიანური და გამომწვევი, კუთხეებში ზეაწეული, გაღიმება პარმიჯანინოს დახატული, პატარა, უმანკო ფავნისა. მაღალი და ნაზი ყელი ჰქონდა, ტანი სუსტი და კოხტა, რაღაც ბედნიერებისა და მოუსვენრობის გამომხატველი იერი აღბეჭდოდა ნორჩ სახეზე, გაზაფხულის გამოღვიძების — Frühlingserwachen მჩქროლვარე იდუმალებას რომ მოგაგონებდათ. სახელად ჟაკლინ ლანჟე ერქვა.

ჯერ ოცი წელი არ შესრულებოდა. მდიდარი, წარჩინებული და თავისუფლად მოაზროვნე, კათოლიკური ოჯახიდან იყო. მამამ, ჭკვიანმა, საზრიანმა, მაძიებელი გონებისამ და ყოველივე ახლის ალღოს ამღებმა ინჟინერმა, მდგომარეობა შეიქმნა თავისი შრომის, პოლიტიკური ურთიერთობებისა და ქორწინების წყალობით. დაქორწინდა სიყვარულითა და ანგარიშით (სიყვარულით ქორწინება წარმოუდგენელია უანგარიშოდ მათს საზოგადოებაში) ფინანსური წრეებიდან გამოსულ ლამაზ ქალზე, წმინდა პარიზელზე. ფული დარჩა, სიყვარული წავიდა. თუმცა რაღაც ნაპერწკლები კვლავ ღვიოდა მათში, ისე მგზნებარედ ჰყვარებოდათ ოდესღაც ერთმანეთი; მაგრამ მეტისმეტ ერთგულებაზე თავს არასოდეს დებდნენ. ორივენი ცალ-ცალკე დადიოდნენ თავ-თავიანთ საქმეებზე და თავ-თავიანთ სასიამოვნოდ. ცოლ-ქმარი ისე კარგად რიგდებოდნენ ერთად, როგორც ორი გონიერი ეგოისტი ამხანაგი, რომლებიც უსინდისოდ იქცევიან, მაგრამ ვერ საყვედურობენ ერთმანეთს.

ასული დამაკავშირებელი რგოლი იყო და, ამავე დროს, ფარული ცილობის საგანიც გამხდარიყო ცოლ-ქმარს შორის, რადგან ეჭვიანი სიყვარულით უყვარდათ იგი დედასა და მამას. ორივენი საკუთარ თავს სცნობდნენ მასში, თავიანთი მიმზიდველი ნაკლით, კიდევ უფრო წარმტაცს რომ ხდიდა ბავშვობის სიტურფე, და ცდილობდნენ მალულად თავ-თავისთვის დაესაკუთრებინათ იგი. გოგონას არ გამოჰპარვია ეს იმ უმანკო ეშმაკობის წყალობით, პატარა არსებებს რომ აქვთ განვითარებული და ძალიან ხშირად მიდრეკილებას ამჟღავნებენ მიიჩნიონ, რომ სამყარო მათ გარშემო ბრუნავს, და დაუყოვნებლივ ისარგებლა მშობლების ზედმეტი ყურადღებით. ეს კუდრაჭა ეშმაკურად აქეზებდა მშობლებს, მისდამი სიყვარულში გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. არ იყო ჟინი, რომლის დაკმაყოფილების იმედი არ ჰქონოდა მამისაგან, როცა დედა უარს ეუბნებოდა; მერე დედა, განაწყენებული იმით, რომ უკან ჩამოიტოვეს, უცებ ისეთ ხუსტურს უსრულებდა, მამას რომ ვერ დაიყოლიებდა. გოგონა უწყალოდ განებივრდა; კიდევ ბედი, რომ ბუნებით არ იყო ცუდისადმი მიდრეკილი, თუ არ

ჩავთვლით მის ეგოიზმს, თითქმის ყველა ყმაწვილში რომ ზ-ს. მაგრამ მდიდარ და ნალოლიავებ ბავშვებში, დაბრკოლებათა უქონლობის გამო, ალბათ ეს ხასიათს ღებულობს.

ცოლ-ქმარი ლანჟეები შვილს კი ალმერთებდნენ, მაგრამ ნელას ეკუთვნოდა, მისი გულისათვის პირადი სიამოვნებისთვის ეღალატათ. ბავშვი, თან ტოვებდნენ და დღის დიდი ნაწილი მარტოს უხდებოდა ყოფნა. დრო საკმარისზე მეტი ჰქონდა, რომ ეოცნება. ნაადრევად განვითარებული და ეკვე ველისმცოდნე ჩავარდნილი (რადგან არ ერიდებოდათ მისი თანდასწრებით საუბარი ფილოსოფიურ თემებზე საუბარი), ექვსი წლისა სატრფიალო თავგადასავლებს ეყვებოდა თავის თანატოლ ნას, თავგადასავლებს, რომელთა მოქმედი პირნი ცოლ, ქმარი და საყვარელი იყვნენ. რა თქმა უნდა, გოგონა ამაში ცუდს ვერაფერს ეულისცოდა. ბავშვან ამ დღიდან, რაც სიტყვების მიღმა გრძნობის ანარეკლი გაჩრა, საყვარელზე თოჯინებთან საუბარი დამთავრდა: ამიერიდან საკუთარ თავს ესაუბრებოდა მასზე. ჟაკლინის არსებაში უმანკო ავხორცობის მსგავს გრძნობას ვაკვლევ, ნორს, ჰორიზონტის გადაღმა რომ უხმობდა მას, ვით უხილავი ზარების რეკვა. დროდადრო საიდანღაც მონაბერი ქარი იდუმალ მზერვალებას ჰგვრიდა და თავბრეს ახვევდა ქალიშვილს; გაურკვეველი შიშისა და სიამოვნების გაკვლა ეტყველებოდა, ალმური ასდიოდა და სუნთქვა ეკვრიდა; მერე ქრებოდა გაკვლა იგივე ეტყვ, როგორც დაეუფლა. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. მხოლოდ ყრუ ბგუელი, ბუნდოვანი გამოძახილი თუ ჩაესმოდა ერთ ხანს ყურში და ლეკ სივრცეში ეკარგებოდა. ოღონდ იცოდა, რომ სადღაც იქ, მთის გადაღმა იყო ის, და უნდა ესწრაფა იქით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა: იქ ბედნიერება ეგულებოდა. ოჰ! ნეტა იქა ჰქნა!...

ხოლო სანამ იქამდე მიაღწევდა, ცდილობდა როგორმე წარმოედგინა, რა ელოდა იქ, რადგან ყველაზე მთავარი გოგონას გონებისათვის — ეს ბედის გამოცნობაა. ჟაკლინს ჰყავდა დობილი — სიმონა ადანი, რომელიც მისი ტოლი იყო და ერთად საუბრობდნენ ამ უაღრესად სერიოზულ საკითხზე. თითოეული იშველიებდა თავის სუსტ ცოდნას, თავის თორმეტი წლის ასაკის გამოცდილებას, ყურმოკრულ საუბრებსა და მალულად წაკითხულ, ხელში მოხვედრილ წიგნებს. თითის წვერებზე დგებოდნენ, ქვების ქიმებს ებღაუჭებოდნენ და ლამობდნენ როგორმე გადაეჭვრიტათ ძველი კედლის თავზე, რომლის მიღმა მომავალი დამალულიყო. მაგრამ ტყუილ-უბრალოდ ედებოდნენ ღობე-ყორეს და ამტკიცებდნენ, თითქოს რაღაც გაარჩიეს ჭუჭრუტანაში, სინამდვილეში ვერაფერსაც ვერ ხედავდნენ. გოგონების სულში პოეტური გიჟმაჟობა და პარიზული ორაზროვნება შინაგან უმანკოებასთან შეზავებულიყო. საშინელ რამეებს ისე უბრალოდ ამბობდნენ, ვითომც აქ არაფერიაო; სრულიად მარტივ საგნებში კი რაღაც ვაიუშველებელს ხედავდნენ. ჟაკლინი ყველგან დაფათურობდა, ოღონდ ისე, რომ ვინმე არ დაეჭვებინა, და ჩრიდა თავის პატარა ცხვირს მამის ყველა წიგნში. საბედნიეროდ ცუდი შეხვედრებისაგან მას იფარავდა საკუთარი უბიწოება და

გოგონას ბავშვური კდემა. საკმარისი იყო, ოდნავ თამამი სცენა ამოეკითხა, ან უხეში სიტყვა გაეგონა, რომ მყისვე გული აეყარა; წიგნს მიაგდებდა, ხოლო ბინძურ ურთიერთობას ისე დააღწევდა თავს, როგორც დამფრთხალი კატა წუმპეს, — ერთი წუნწკალიც რომ არ მოეცხებოდა.

რომანები ნაკლებ იზიდავდა: იქ ყველაფერი გაშიშვლებული და მშრალი იყო. მისი საყვარელი საკითხავი პოეზია გახლდათ, ცხადია, ლირიკა, გულს რომ უჩქროლებდა მღელვარებითა და იმედით. ლექსები უფრო უახლოვდებოდნენ მის ბავშვურ აღქმას. ისინი კი არ ხედავდნენ საგნებს, არამედ ჭვრეტდნენ მათ სურვილის ან სინანულის თვალთახედვით; თითქოს ისინიც, გოგონას მსგავსად, ძველი კედლის ჭუჭრუტანიდან უმზერდნენ სახილველს. მაგრამ მათ გაცილებით ბევრი იცოდნენ, იცოდნენ ყველაფერი, რის ცოდნაც საჭირო იყო, და მას ისეთ თბილ და იდუმალ სიტყვებში ხვევდნენ, რომ ფრთხილად, ძალზე ფრთხილად უნდა გახსნა, რომ იხილო... მისწვდე... მაგრამ ვაგლახ! ვერ სწვდები და სულ გეჩვენება, სადაცაა ხელს შეახებ...

ცნობისმოყვარე მაძიებლები არ ცხრებოდნენ. დობილები ჩურჩულითა და თრთოლვით უკითხავდნენ ერთმანეთს ალფრედ დე მიუსესა და სიული-პრიუდომის მრავალჯერ წაკითხულ ლექსებს, რომლებშიც გარყვნილების იდუმალებანი ეჩვენებოდათ; ლექსებს იწერდნენ და დაჟინებით ცდილობდნენ ბუნდოვან სტრიქონებში ამოეცნოთ აზრი, რომელიც ზოგჯერ სულაც არ იყო. ეს პატარა, ცამეტი წლის ნამდვილი ქალები, უმანკონი და ურცხვნი, ჯერ არაფერი რომ არ გაეგებოდათ სიყვარულისა, მსჯელობდნენ, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად გულით, სიყვარულსა და ავხორცობაზე; ხოლო კლასში, მასწავლებლის — ამ უაღრესად წყნარი და ზნეკეთილი მოხუცის მამობრივი თვალის წინ, რვეულის საშრობზე ბღაჯნიდნენ გალექსილ სტრიქონებს და როცა ერთხელ მასწავლებელს ხელში ჩაუვარდა ასეთი სტროფი, ლამის იქვე ჩაიკეცა:

ო, მოდი, გულში ჩავიკონო, მომეცი ნება,
ვსვა შენს კოცნაში სიყვარულის უგონო ენება,
ნვეთ-ნვეთად და დიდხანს, დიდხანს!...

სკოლაში, სადაც ისინი დადიოდნენ, პრივილეგირებულთა შვილები სწავლობდნენ და მასწავლებლებად უნივერსიტეტის ლექტორები ჰყავდათ. აქ იპოვეს ნიადაგი თავიანთი გრძნობითი მისწრაფებების გასაშლელად. თითქმის ყველა გოგონა თავის მასწავლებელზე იყო შეყვარებული. საკმარისი გახლდათ მასწავლებელი ახალგაზრდა და ცოტათი შესახედავი ყოფილიყო, რომ მათი გულები დაეპყრო. თვალებში შესციცინებდნენ, ოღონდ კი თავი მოეწონებინათ თავიანთი რაინდისათვის. მაგრამ რა ცრემლთა ფრქვევა იდგა, როდესაც საკლასო თხზულებაში ცუდ ნიშანს დაუწერდა რომელიმე მათგანს მისივე „რჩეული“. სამაგიეროდ, თუ შეაქებდა, წითლდებოდნენ, ფითრდებოდნენ და მადლიერებით აღსავსე, კეკლუც მზერას სტყორცნიდნენ. ხოლო თუ ვინმეს განზე

გაიხმობდა, რომ რჩევა-დარიგება მიეცა ან თავზე ხელი გადაესვა, — ეს უკვე ბედნიერების მწვერვალს უდრიდა. აუცილებელი სულაც არ იყო, არწივი ყოფილიყო, რომ მოსწონებოდათ. ტანვარჯიშის გაკვეთილზე, როდესაც მასწავლებელი ჟაკლინს ტრაპეციაზე დაჯდომაში ეხმარებოდა, გოგონას მთელი ტანი უხურდა. უნდა გენახათ, რა გაშმაგებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს! თანაც როგორ ეჭვიანობდნენ! რა მოწყალედ შეანათებდნენ მასწავლებელს მაცთუნებელ თვალებს, რომ წაერთმიათ მისი თავი თავხედი მეტოქისათვის! გაკვეთილის ახსნისას პირის გაღებასაც ვერ ასწრებდა იგი, რომ კალმისტრები და ფანქრები უკვე მომარჯვებული ჰქონდათ ჩასაწერად. გოგონები მაინცდამაინც არ ცდილობდნენ, მასწავლებლის ახსნილი გაეგოთ; მთავარი იყო, არ გამორჩენოდათ არც ერთი ასო მისი ნათქვამიდან. გაფაციცებით იწერდნენ და თან ჩუმ-ჩუმად ცნობისმოყვარე მზერას არ აშორებდნენ თავიანთი კერპის ყოველ მოძრაობას: უცებ ერთი დობილთაგანი გადაუჩურჩულებდა მეორეს:

— წარმოგიდგენია, როგორ მოუხდებოდა ლურჯწინწკლებიანი ჰალსტუხი!

მერე იდეალი შეიქმნეს საპაზრო ნახატებით, სანტიმენტალური და ბანალური ლექსებითა და მოდური ილუსტრაციებით. იწყეს შეყვარება მსახიობებისა, მუსიკოსებისა, გარდაცვლილი და ცოცხალი პოეტებისა და კომპოზიტორებისა, მუნე-სიულისა, სამენისა, დებიუსისა, დაუწყეს ყურება მათკენ მზირალ უცნობ ყმაწვილკაცებს კონცერტზე, დარბაზობაზე, ქუჩაში, და იმავ წუთს შეყვარებულად წარმოიდგენდნენ თავს — მოთხოვნილება ჰქონდათ, განუწყვეტლივ გატაცებული ყოფილიყვნენ რაღაცით, გართული ყოფილიყვნენ სიყვარულში და საბაბი ჰქონოდათ, რომ შეეყვარებინათ. ჟაკლინი და სიმონა ყველაფერს ანდობდნენ ერთმანეთს — ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გულით არაფერს გრძნობდნენ და საუკეთესო საშუალება იმისა, რომ გულში არასოდეს გაეჭაჭანებინათ ნამდვილი გრძნობა. სამაგიეროდ, მათი მდგომარეობა ქრონიკული ავადმყოფობის ხასიათს ღებულობდა, რასაც თუმცა პირველნი თვითონ დასცინოდნენ, მაგრამ მის ბაცილას თავადვე ინერგავდნენ გულში და ახარებდნენ. გოგონები აღაგზნებდნენ ერთმანეთს. მეოცნებე და ფრთხილი სიმონა წარმოდგენების შექმნით მხოლოდ ჟინს იკლავდა. წრფელი და მგზნებარე ჟაკლინი კი მზად იყო უფრო ხორცი შეესხა ამ წარმოდგენებისათვის. ბარე ოცჯერ სულ ახლოს იყო იგი სისულელის ჩასადენად და კინაღამ ფეხი წაუცდა... მაგრამ ოცჯერვე ბეწვზე გადარჩა. როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება მოზარდებში. ამ პატარა ძუ მხეცების ცხოვრებაში არის წუთები, როდესაც ისე ატყდებიან ხოლმე (თავის დროზე ეს ყველას გამოუცდია), რომ თითქოს გარდაუვალად უნდა აღმოჩნდნენ სიკვდილის ან პირველი შემხვედრის კლანჭებში. მაგრამ რაღაც ღვთის წყალობით, ყოველთვის უვნებელნი რჩებიან. ჟაკლინს ათი მგზნებარე წერილი მაინც წაუჯღაბნია იმ ადამიანებისთვის მისაწერად, რომლებსაც სახით ძლივს იცნობდა: თუმცა აღარ მიუწერია. ერთადერთი აღფრთოვანებული წერილის გარდა, ხელმოუწერლად რომ გაუგზავ-

ნა ერთ უხეირო, ავყია, თავკერძა, გრძნობაგამოფიტულსა და გონებაშეზღუდულ კრიტიკოსს. იგი შეუყვარდა სამად სამი სტრიქონისათვის, სადაც ქალიშვილმა გრძნობათა მთელი საგანძური აღმოაჩინა. ჟაკლინს ახლა ცნობილ მსახიობზე შეუვარდა გული; ეს უკანასკნელი მათ მეზობლად ცხოვრობდა და ყოველთვის, როცა ჟაკლინი მისი კარის წინ გაივლიდა, გაიფიქრებდა ხოლმე:

„რა იქნება, რომ შევიდე?“

ერთხელაც, გამბედაობა მოიკრიბა და მის სართულზე ავიდა. მაგრამ როგორც კი იქ იგრძნო თავი, მყისვე უკან მოკურცხლა. რაზე ელაპარაკა მასთან? რომ არ უყვარდა, ეს კარგად იცოდა. მისი გატაცება სანახევროდ ბავშვური სიგიჟე, ნებაყოფლობითი თავის გაბრიყვება იყო, სანახევროდ კი სიყვარულის მარადიული, წარმტაცი და შეუგნებელი მოთხოვნილების გამოხატულება. ჟაკლინი საკმაოდ გონიერი ქალიშვილი იყო და არ იბნეოდა. მაგრამ ეს ხელს როდი უშლიდა სიგიჟე ჩაედინა. ხოლო გიჟი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი სიგიჟე, ორმაგად გიჟია.

ჟაკლინი ხშირად დადიოდა საზოგადოებაში. მუდამ გარემოცული იყო ყმაწვილკაცებით, მის მომხიბვლელობას რომ ვერ უძლებდნენ; ბევრს გულშიაც ჩავარდნოდა მისი სიყვარული. თავად კი არავინ უყვარდა, თუმცა ყველას ეკეკლუცებოდა. აინუნშიც არ აგდებდა, რა ტკივილი შეეძლო მიეყენებინა ამით მათთვის. ლამაზი გოგონა სიყვარულს სასტიკ სათამაშოსავით უყურებს. მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია ის, რომ იგი უყვართ, ვალდებულად კი მხოლოდ მის წინაშე თვლის თავს, ვინც უყვარს; ძალიანაც კარგი! იმაზეც მადლობა თქვან, რომ იგი უყვართ. მერე რა მოხდა, აი, თვითონაც აქამდე კარგად ვერ გაუგია, რა არის სიყვარული, თუმცა დღედაღამ სულ მასზე ფიქრობს. გავრცელებულია აზრი, თითქოს მაღალ საზოგადოებაში გაზრდილი და ცივნიავმიუკარებელი ქალიშვილი უფრო ადრე ქალდებაო, ვიდრე სოფლელი გოგო; სინამდვილეში პირიქით არის. თუმცა წიგნები და საუბრები ნაადრევად ბადებენ მასში სიყვარულის აკვიატებულ სურვილს, მეტი მოცალეობის გამო ხშირად ლამის მანიად რომ ექცევა ხოლმე; ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ქალიშვილმა წინასწარ ზეპირად იცის მთელი პიესა, რის გამო ვეღარ განიცდის მას. სიყვარულში ისევე როგორც ხელოვნებაში, კი არ უნდა წაიკითხო და თუთიყუშივით იმეორო ის, რასაც სხვები ამბობენ, არამედ ის უნდა თქვა, რასაც გრძნობ; ისინი კი, ვინც ჩქარობს, რაღაც თქვას, თუმცა ჯერ სათქმელი არაფერი აქვთ, საფრთხეში იგდებენ თავს — ვერასოდეს ვეღარაფერი თქვან.

ჟაკლინი, მრავალი ყმაწვილი ქალის მსგავსად, ცხოვრობდა სხვების ეიერ განცდილ გრძნობათა ბუღით, რომელიც თითქოს აღაგზნებდა — განუწყვეტლივ ხელები უხურდა, ყელი უშრებოდა და თვალები ენთებოდა, მაგრამ ეს ხელს უშლიდა საკუთარი თვალით შეეხედა საგნებისათვის. მას მიაჩნდა, რომ უკვე ყოველივე შეიცნო. კეთილი ნება მართლა არ აკლდა. კითხულობდა, უსმენდა და ბევრი რამ კიდეც გაეგო აქა-იქ ყურმოკრული საუბრებიდან, წიგნებ-

ში ამოკითხული ამბებიდან. ქალიშვილი ცდილობდა ამოეკითხა თვით საკუთარი თავი. იგი უკეთესი გახლდათ იმ გარემო წრეზე, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება. უფრო მართალი, უფრო გულწრფელი იყო.

მასზე ხანმოკლე, მაგრამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ერთმა მანდილოსანმა — ორმოცი-ორმოცდაათი წლის შინაბერა მამიდამ. მართა ლანჟეს სწორნაკვთებიანი, მაგრამ დაღვრემილი და ულამაზო სახე ჰქონდა, ერთთავად შავები ეცვა, უაღრესი სიდინჯითა და ძუნწი მოძრაობით გამოირჩეოდა, ლაპარაკობდა ცოტას, ძლივს გასაგონი ხმით. მის ნაცრისფერ თვალთა ნათელი გამოხედვა და ნაღვლიანი პირის სათნო გაღიმება რომ არა, კაცს, ალბათ, შეუმჩნეველი დარჩებოდა ეს ქალი.

ძმასთან სტუმრად იმ დღეებში თუ ნახავდით, როცა ლანჟეები შინ მარტონი იყვნენ. ძმა პატივისცემით ეპყრობოდა, ოღონდ ცოტა მოწყენილობას გრძნობდა დასთან. ქ-ნი ლანჟე არც უმალავდა ქმარს, რომ მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ანიჭებდა მულის სტუმრობა. თუმცაღა ორივენი, ზრდილობის გულისათვის, თავს ივალდებულებდნენ, როგორც წესი, კვირაში ერთხელ სადილად მიეღოთ იგი; ამასთან, ცდილობდნენ ძალიან არ ეჩვენებინათ, რომ ეს მოვალეობა იყო. ძმა მუდამ თავის თავზე ლაპარაკობდა, რაც არასოდეს ბეზრდებოდა დას. ქ-ნი ლანჟე სხვა რაღაცაზე ფიქრობდა და, ჩვეულების თანახმად იღიმებოდა, ხოლო თუ შეეკითხებოდნენ, ალალბედზე უპასუხებდა. ყველაფერი წესისამებრ მიდიოდა, სრული თავაზიანობის ფარგლებში. ლანჟეები გრძნობების გადმოშლასაც არ იშურებდნენ, როდესაც მართა, მორიდებული რომ იყო, უფრო ადრე დაემშვიდობებოდა, ვიდრე მოელოდნენ; ხოლო ქ-ნ ლანჟეს ისედაც მოღიმარი სახე კიდევ უფრო მომხიბლავად ებადრებოდა, თუ იმ დღეს მისი გონება განსაკუთრებით სასიამოვნო მოგონებებით იყო გართული. მართა ყველაფერს ხედავდა: თვალებს ხომ ვერ დახუჭავდა; ძმის სახლში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც ეჩოთირებოდა და გულს სტკენდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა, რა საჭიროება მოითხოვდა? ძმა უყვარდა, ეამაყებოდა მისი ჭკუა და წარმატება ისევე, როგორც მთელ მათს ადრინდელ ოჯახს, რომელიც სულაც არ თვლიდა, რომ მეტისმეტად ბევრი გაჭირვება გადაიტანეს, ოღონდ კი უფროსი ვაჟიშვილისათვის ბრწყინვალე კარიერა შეექმნათ. მაგრამ და ამაზე ჩუმად იყო. ძმაზე არანაკლებ ჭკვიანი, ზნეობრივად უფრო მტკიცე და, ასე გასინჯეთ, უფრო ვაჟკაცურიც კი (ცოტა ქალი როდია საფრანგეთში, კაცებს რომ სჯობნიან ვაჟკაცობით), მართა ნათლად ხედავდა ძმას; თუკი აზრს ჰკითხავდა, და დაუფარავად ეუბნებოდა, რასაც ფიქრობდა. სამწუხაროდ, დიდი ხანი იყო, ძმას აღარაფერი ეკითხა დისთვის! მას უფრო გონივრულად მიაჩნდა არ გაეგო, ანუ უფრო სწორად, თვალი დაეხუჭა (რადგან დაზე უკეთ იცოდა ყველაფერი). მართა ლანჟე სიამაყით თავისთვის ჩაკეტილიყო. მისი პირადი ცხოვრება არავის აწუხებდა. გარშემო მყოფნი უფრო წყნარად გრძნობდნენ თავს, არ სცოდნოდათ მისი გასაჭირი. ცხოვრობდა მარტო, თითქმის არსად არ დადიოდა, ჰყავდა პატარა წრე ნაცნობ-მეგობრებისა, რომლებთანაც არცთუ ახლო

ურთიერთობა ჰქონდა. მას იოლად შეეძლო მდგომარეობა შეექმნა ძმის ურთიერთობებისა და საკუთარი ნიჭიერების წყალობით, მაგრამ არ გააკეთა ეს. პარიზის ერთ-ერთ დიდ ჟურნალში გამოაქვეყნა ორი-სამი სტატია — ისტორიულ-ლიტერატურული პორტრეტები, რომელთაც მკაცრი სტილით, სისხარტითა და მკაფიობით თავის დროზე ყურადღება მიიპყრეს. მაგრამ ამით დაკმაყოფილდა. შეეძლო აგრეთვე საგულისხმო მეგობრობა გაება შესანიშნავ ადამიანებთან, რომელთაც დაინტერესება გამოიჩინეს მისდამი და ალბათ თავადაც მოხარული იქნებოდა მათი გაცნობით. მაგრამ არ გადადგა საპასუხო ნაბიჯი. რამდენჯერ, წინასწარ ბილეთი აუღია თეატრში, თავის საყვარელ წარმოდგენაზე დასასწრებად და მერე აღარ წასულა; ანდა, საშუალება მისცემია ნანატრ მხარეში წასულიყო სამოგზაუროდ — და შინ დარჩენილა. მის ბუნებაში შინაგან სტოიციზმთან უცნაურად შეხამებულიყო ნევრასთენიული უნებისყოფობა, თუმცა ეს უკანასკნელი ოდნავაც ვერ ახდენდა გავლენას მისი აზრების სისაღეზე. მისი სიცოცხლე სნეზოვანი იყო, გონება — არა. ძველ ნაღველს, რომელიც მარტო მან იცოდა და გულში იკლავდა, ღრმა დაღი დაესვა მისთვის. ხოლო კიდევ უფრო ღრმა და ამავე დროს გამოუცნობი იყო,—გამოუცნობი თვით მისთვისაც,—დაღი, რომელიც დაესვა ბედს; ეს იყო სენი, უკვე ხელი რომ დაერია მისთვის. მაგრამ ცოლ-ქმარი ლანჟეები მართას სახეზე ვერაფერს ამჩნევდნენ, ნათელი მზერის მეტს, და ზოგჯერ ამითაც წუხდებოდნენ.

ჟაკლინი თითქმის ყურადღებას არ აქცევდა მამიდას, სანამ უზრუნველი და ნეტარი იყო, — ასეთი კი ჟაკლინი ბავშვობისას გახლდათ. ხოლო როგორც კი მიაღწია იმ ასაკს, როდესაც ყმაწვილის არსებას აფორიაქებს ხორცსა და სულში მომხდარი ცვლილებები, მომგვრელი უმადობის, ძრწოლისა და განუქარველი მწუხარებისა, ამ უაზრო და გაუსაძლისი თავბრუხვევის ჟამს, კიდევ კარგი, დიდხანს რომ არ გრძელდება, მაგრამ გეჩვენება, ვკვდებიო, — გოგონა, რომელიც იხრჩობოდა და ვერ დაეყვირა „მიშველეთო", დაინახა ერთადერთმა მის გვერდით მყოფთაგან—მართა მამიდამ და ხელი გაუწოდა. ოჰ, რა შორს იყვნენ ამ დროს სხვები! რა უცხონი ჩანდნენ მშობელი დედ-მამა, თავიანთი ეგოისტური სიყვარულით, მეტისმეტად კმაყოფილნი საკუთარი თავით, რომ თითხმეტი წლის თოჯინას დაღონების მიზეზი ეკვლიათ! მამიდამ კი გამოიცნო პატარას გულის დარდები და თანაუგრძნო. სიტყვით იგი არაფერს ეუბნებოდა. უბრალოდ—ულიმოდა; ხოლო როდესაც ჟაკლინი კითხვის ნიშნად მიაშტერდებოდა, იგი თვალს მოსწყვეტდა მაგიდას და კეთილ მზერას მიაგებებდა გოგონას. ჟაკლინი გრძნობდა, რომ მამიდას ესმოდა მისი და თავშესაფარს პოულობდა მასთან. მართა ხელს უსვამდა ძმისწულს თავზე და უსიტყვოდ ეალერსებოდა.

გოგონა გულისნადებს ანდობდა. როდესაც გული დაუმძიმდებოდა, მყისვე უფროს მეგობარს მიაშურებდა. რა დროსაც უნდა მისდგომოდა, დარწმუნებული იყო, რომ უსათუოდ შეხვდებოდა მის შემწყნარებელ თვალებს, ცოტაოდენ თა-

ვიანთ სიმშვიდეს მასაც რომ გაუზიარებდნენ. იგი არ უყვებოდა მამიდას თავის წარმოსახვით სიყვარულზე, რადგან რცხვენოდა, რამეთუ ეს ნამდვილი არ იყო. მაგრამ არ უმალავდა თავის ბუნდოვან და ღრმა წუხილს, უფრო ნამდვილი, ერთადერთი ნამდვილი რომ იყო.

— ოჰ, მამიდა, — ამოიოხრებდა ზოგჯერ, — რომ იცოდე, როგორ მინდა ბედნიერი ვიყო!

— საბრალო გოგონავ! — ეტყოდა მართა ღიმილით.

ჟაკლინი თავს მიადებდა მამიდას მუხლებზე, უკოცნიდა ხელებს, მას რომ ეფერებოდნენ, და თან დაჟინებით ეკითხებოდა:

— ვიქნები ბედნიერი? მითხარი, მამიდა, ბედნიერი ვიქნები?

— რა ვიცი, გენაცვალოს მამიდა. ცოტა შენზედაც არის დამოკიდებული... როცა გულით გინდა, ყოველთვის შეგიძლია ბედნიერი იყო.

ჟაკლინს ეჭვი ეპარებოდა.

— პირადად შენ თუ ხარ ბედნიერი?

მართა ნაღვლიანად იღიმებოდა.

— ჰო.

— არა, სერიოზულად. მართლა ბედნიერი ხარ?

— არა გჯერა თუ?

— როგორ არა. მაგრამ...

ჟაკლინს უჭირდა ეთქვა.

— მაგრამ რა?

— მე მინდა ბედნიერი ვიყო, ოღონდ არა შენნაირად.

— საბრალო ბავშვო! იმედია, ჩემნაირად არც იქნები, — თქვა მართამ.

— არა, — განაგრძო ჟაკლინმა და მტკიცედ გაიქნია თავი, — იმიტომ, რომ ასე მე უბრალოდ არ შემიძლია.

— თავიდან მეც ასე მეგონა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ შევძლებდი. ცხოვრება ყველაფრის მასწავლებელია.

— ოჰ, მე არ მინდა ვისწავლო, — არ ცხრებოდა ჟაკლინი. — მე მინდა ბედნიერი ვიყო ისე, როგორც ეს მე მსურს.

— რომ ეკითხათ, მაინც როგორ გსურსო, ალბათ საგონებელში ჩავარდებოდი!

— მე მშვენივრად ვიცი, რაც მსურს.

მას ბევრი რამ სურდა. მაგრამ როცა საქმე მათ დასახელებაზე მიდგებოდა, ვეღარაფერს პოულობდა, გარდა ერთისა, მისამღერივით რომ გაისმოდა ყველაფერზე:

— უპირველეს ყოვლისა, მინდოდა ვყვარებოდი.

მართა კერავდა და ხმას არ იღებდა. ცოტა ხნის მერე შეეკითხა:

— კი მაგრამ, რას გარგებდა ეს, თუკი შენ არ გეყვარებოდა?

ჟაკლინმა შეცბუნებულმა წამოიძახა:

— რა თქმა უნდა, მამიდა, მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ ის, რომ მე უკვე მიყვარს! დანარჩენი მე რა მეკითხება?

— ხოლო თუ არაფერი გიყვარს?

— კარგი ერთი! ვინ არის, რომ არაფერი უყვარდეს?!

მართამ იჟვნეულად გაიქნია თავი.

— არ უყვართ, — დასძინა. — მხოლოდ სურთ უყვარდეთ. სიყვარულის ნიჭი ღვთის მადლია, ყველაზე დიდი და მაღალი. ილოცე ღმერთი, რომ გიბოძოს იგი.

— თუ არავის ვეყვარები?

— თუნდაც არავის უყვარდე. მით უფრო ბედნიერი იქნები.

ჟაკლინს სახე მოეღუშა; მერე გამწყრალი გამომეტყველება მიიღო:

— არა, არა მსურს, — წარმოთქვა, — ამაში ვერავითარ სიამოვნებას ვერ ვხედავ.

მართამ გულკეთილად გაიცინა, შეხედა ჟაკლინს, ამოიოხრა და ისევ ხელსაქმე განაგრძო.

— საბრალო გოგონავ! — დააყოლა კიდევ.

— კარგი რა, მამიდა, რა წამდაუწუმ სულ „საბრალო, საბრალოს“ მეძახი, — იწყინა ჟაკლინმა, უკვე აღელვებულმა. — იქნებ მე ბედნიერი მინდა ვიყო!

— კიდეც მაგიტომ გეუბნები, საბრალოვ-მეთქი!

ჟაკლინი იბუტებოდა. მაგრამ დიდხანს ვერ ძლებდა. მამიდას კეთილი გაღიმება ხელად ფარ-ხმალს აყრევინებდა. კოცნიდა მამიდას, თან შუბლს კი არ იხსნიდა, ვითომ ისევ გამწყრალი იყო. ამ ასაკში შორეული სევდის წინასწარმეტყველება რაღაცნაირ იდუმალ სიამესაც კი გვგვრის გულში. შორიდან მწუხარება რაღაც პოეტური შარავანდედით იმოსება; ხოლო ყველაზე ცუდ შეგრძნებას უღიმღამო ცხოვრების პესპექტივა იწვევს.

ჟაკლინი ვერც კი ამჩნევდა, როგორ დღითიდღე უფერმკრთალდებოდა მამიდას სახე. ის კი შენიშნა, რომ მართამ უფრო და უფრო უკლო გარეთ სიარულს, მაგრამ ამას მის უცნაურობას მიაწერდნენ და დასცინოდნენ, შინაყუდა არისო. ერთი-ორჯერ, მამიდას სანახავად რომ მიდიოდა, გოგონა მისი ბინიდან გამოსულ ექიმს შეეფეთა კარებში.

— რა, ავად ხომ არა ხარ?

— არაფერია, — უპასუხა მართამ.

მაგრამ დახე, მართამ ლანჟეებთან ყოველკვირეულ სადილებზეც ფეხი ამოიკვეთა. განაწყენებული ჟაკლინი თავად ეახლა, რომ კარგი საყვედურები ეთქვა მამიდასთვის.

— სიარულით ვიღლები, ჩემო გოგონავ, — მშვიდად უთხრა მართამ.

ჟაკლინს გაგონებაც არ სურდა ამისი. მიზეზ-მიზეზ — დოს მარილი აკლიაო!

— დიდი დაღლაა, კვირაში ორი საათით ჩვენთან მოხვიდე! არ გიყვარვარ და მეტი არაფერი. კრუხივით შინ ჯდომა ყველაფერს გირჩევნია.

მაგრამ როდესაც შინ ამაყად მოჰყვა, თუ რა მაგარ-მაგრები უთხრა მამიდას, მამამ დაუტია:

— მოეშვი იმ საწყალ მამიდაშენს! ვეღარ გაიგე, რომ ქალი საამქვეყნო აღარ არის?

ჟაკლინი გაფითრდა; მერე მთრთოლვარე ხმით იკითხა, რა სჭირსო მამიდას. არ ეუბნებოდნენ. ბოლოს მაინც გაიგო, რომ მართა მამიდას კუჭის კიბო ჰქონდა და შესაძლოა რამდენიმე თვეს ეცოცხლა კიდევ.

ჟაკლინი თავზარდაცემული იყო. მამიდა რომ ნახა, ცოტა დამშვიდდა. საბედნიეროდ, მართა ისე საშინლად არ გამოიყურებოდა. ისევ ისეთი წყნარი ღიმილი ჰქონდა, მის გამჭვირვალე სახეზე შინაგანი შუქის ანარეკლივით რომ მოჩანდა. ჟაკლინი თავს ირწმუნებდა:

„არა, შეუძლებელია, ისინი ცდებიან. მაშ ასე მშვიდად რატომ არის?..“

იგი კვლავ იწყებდა თავის პატარა საიდუმლოებათა განდობას, ხოლო მართა კიდევ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით უსმენდა, ვიდრე უწინ. ოღონდ ხანდახან შუა საუბარში წამოდგებოდა და გარეთ გადიოდა ისე, რომ არ ეგრძნობინებინა, თუ იტანჯებოდა; ოთახში მაშინღა დაბრუნდებოდა, შეტევა რომ გაუვლიდა და სახის ნაკვთები დაუწყნარდებოდა. თავის მდგომარეობას არ ახსენებდა, ცდილობდა კრინტი არ დაეძრა მასზე; ეტყობა. შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა გახსენება იმ სატკივარისა, ჯანი რომ გამოეხრა მისთვის, და ლამობდა გულიდან გადაეგდო მასზე ფიქრი, რომ შეძლებისამებრ მშვიდად გაეტარებინა დარჩენილი თვეები. კვანძის გახსნა უფრო ადრე მზადდებოდა, ვიდრე მოელოდნენ. მალე მართამ კარი არავის გაუღო, ჟაკლინს გარდა. მერე, ძალაუნებურად მისი მიღებაც შეიკვეცა. ბოლოს, განშორების დღეც დადგა. მართა, ლოგინში რომ იწვა, უკვე რამდენიმე კვირა საწოლს მიჯაჭვული, ამაღელვებლად გამოემშვიდობა თავის უმცროს მეგობარს და ალერსით აღსავსე, ნუგეშმცემელი სიტყვები გამოაყოლა თან. მერე ჩაიკეტა, რომ მარტოდმარტოს დაელია სული.

ჟაკლინმა სასოწარკვეთილების თვეები გამოიარა. მართას სიკვდილი დაემთხვა ყველაზე მძიმე დღეებს მისი სულიერი აფორიაქებისა, რომლის წამალი ერთადერთმა მამიდამ იცოდა. რაღაც გამოუთქმელ მარტოობაში იგრძნო თავი. იქნებ რწმენაში მაინც ეძებნა ხსნა? ამ მეოხებას თითქოს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო, აკი ასწავლიდნენ რელიგიური წესჩვეულებების შესრულებას; დედაც ხომ ზედმიწევნით იცავდა მათ. მაგრამ დახე საოცრებას: დედა იცავდა, მამიდა კი არ იცავდა ამ წესჩვეულებებს. შედარება ძალაუნებურად თვალში ეცემოდა! ბავშვის თვალს არ გამოეპარება ოდნავი სიყალბეც კი, რასაც დიდები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ; ბავშვები ადვილად ამჩნევენ სისუსტესა და წინააღმდეგობრიობას ადამიანებში. ჟაკლინმაც შენიშნა, რომ დედა და სხვებიც, მორწმუნეებად რომ თვლიდნენ თავს, ისევე კანკალებდნენ სიკვდილის წინაშე, თითქოს არაფერი სწამებოდათ. არა, ეს ვერაფერი შემწე გახლდათ... ამას ზედ დაერთო უკვე შენაძენი პირადი გამოცდილებაც, ჯანყი, ათვალწუნება, საჩო-

თირო ქცევა სულიერი მამისა... თუმცა მაინც განაგრძობდა წესების შესრულებას. მაგრამ ურწმენოდ, როგორც დადიან სტუმრად მარტოოდენ ზრდილობის გულისათვის. რელიგიაც, ვით ეს საზოგადოება, ცარიელი და ყალბი ეჩვენებოდა. ერთადერთი მეოხება ისევ გარდაცვლილის მოგონება იყო, რაშიც მთელი არსებით ეხვეოდა. ბევრს პოულობდა სასაყვედუროს საკუთარ თავთან მამიდას გამო, რომელსაც წინათ, თავისი ბავშვური ეგოიზმით, უყურადღებოდ ტოვებდა და დღეს ამაოდ უხმობდა. იგი აიდეალებდა მის სახეს; მის მიერ დატოვებული ჭეშმარიტი და გულისხმიერი ცხოვრების დიდი მაგალითი აზიზღებდა საზოგადოების ყოფას, ზერელესა და ცრუს. ყველაფერში მხოლოდ ფარისევლობას ხედავდა; ეს თავაზიანი დათმობები, სხვა დროს რომ მხოლოდ გაართობდა, ახლა აღშფოთებას იწვევდა მასში. იგი იმ ავადმყოფურად მგრძნობიარე ზნეობრიობას შეეპყრო, როცა ოდნავ საჩოთირო რამ საშინელ ტანჯვას გაყენებს; სინდისი გამახვილებოდა. ჟაკლინს თვალი აეხილა მრავალ რამეზე, რაც ადრე, უზრუნველს, მხედველობიდან ეპარებოდა. ერთმა შემთხვევამ განსაკუთრებით ღრმად დაკოდა იგი შიგ გულში.

შუადღე გადასული იქნებოდა. ჟაკლინი სასტუმრო ოთახში იყო, დედასთან. ქ-ნ ლანჟეს მნახველი ეწვია — მხატვარი, იმ დროს ყველას პირზე რომ ეკერა, პენენიკი და თავზე დიდი წარმოდგენისა, ლანჟეების ხშირი სტუმარი, თუმცა არცთუ ძალიან გაშინაურებული. ჟაკლინმა იგრძნო, რომ მისი იქ ყოფნა უხერხულობას იწვევდა, მაგრამ ჯიბრით დარჩა. ქ-ნი ლანჟე ცოტა ნერვიულობდა, თავი ოდნავ უბრუოდა შაკიკის, თუ მისი საწინააღმდეგო აბისაგან, რომელსაც თანამედროვე ბანოვანნი წამდაუწუმ კამფეტივით აკნაწუნებენ, საბოლოოდ რომ აწყალებს მათს ისედაც პაწაწა ტვინს; ამიტომ ანგარიშს ვეღარ აძლევდა თავის სიტყვებს და საუბარში დაუფიქრებლად მიმართა სტუმარს: „საყვარელოო“.

მაგრამ მყისვე ენაზე იკბინა. მხატვარმაც არ შეიმჩნია, და ორივემ გააგრძელეს დარბაისლური საუბარი. ჟაკლინი, ამ დროს ჩაის რომ ასხამდა, სახტად დარჩა და კინაღამ ფინჯანი ხელიდან გაუვარდა. უცებ წარმოიდგინა, რომ მის ზურგსუკან ისინი მრავალმნიშვნელოვნად უღიმოდნენ ერთმანეთს. შემოტრიალდა და თვალი შეასწრო მათს მიმხვედრ გამოხედვას, ერთბაშად სერიოზული გამომეტყველებით რომ შეიცვალეს. აღმოჩენამ შეაძრწუნა ჟაკლინი. მან, თავისუფლად აღზრდილმა ქალიშვილმა, ხშირად რომ გაუგონია ლაპარაკი ამგვარ სამიჯნურო კავშირებზე და თვითონაც დაცინვით ულაპარაკია სხვებზე, აუტანელი ტანჯვა იგრძნო როდესაც დაინახა, რომ თავისი დედა... დედიკო, არა, ეს სულ სხვა რამ იყო!... მისთვის ჩვეული გაზვიადებისადმი მიდრეკილებით, ჟაკლინი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. აქამდე ეჭვი არაფერში ეპარებოდა. ახლა ყველაფერში დაეჭვდა. დაჟინებით ცდილობდა დედის ადრინდელ საქციელში უმნიშვნელო წვრილმანებიდანაც სამხილი გამოეჩხრიკა. ცხადია, ქ-ნ ლანჟეს მსუბუქი ყოფაქცევა საკმარისზე მეტ საფუძველს იძლე-

ოდა ვარაუდებისათვის, მაგრამ ჟაკლინი უფრო ბერავდა მათ. ქალიშვილმა სურვილი იგრძნო, მამისკენ გადახრილიყო; აკი მუდამაც უფრო ახლოს იყო მასთან, და უფრო მეტად იზიდავდა მისი ჭკუა-გონება. მოუნდა უფრო ძლიერ შეეყვარებინა მამა, სიბრალული ეგრძნო მისდამი. მაგრამ ლანჟეს, ჩანს, სულაც არ სწირდებოდა, რომ ვინმეს შეებრალებინა იგი; და ქალიშვილის აღგზნებული წარმოსახვა განიმსჭვალა კვლავ ეჭვით, — კიდევ უფრო საშინელით, ვიდრე პირველი იყო — რომ მამამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ამჯობინებდა, არაფერი სცოდნოდა, ოღონდ კი თვითონ თავის ნებაზე მიეშვათ და დანარჩენი სულერთი იყო მისთვის.

მაშინ ჟაკლინმა იგრძნო, რომ განწირული იყო. მშობლების ათვალწუნება არც გაუბედავს. ისინი უყვარდა. მაგრამ აქ ცხოვრება აღარ შეეძლო. ვეღარც სიმონა ადანთან მეგობრობაში ჰპოვა შემწეობა. ჟაკლინი გულცივად სჯიდა თავისი ძველი დობილის სუსტ მხარეებს. იგი არც საკუთარ თავს ინდობდა: გული ეტანჯებოდა, როდესაც თავის თავს სიყალბესა და ზერელობაში დაიჭერდა და განწირულივით ეჭიდებოდა მართა მამიდას ხსოვნას. მაგრამ მოგონებაც მქრქალდებოდა და გრძნობდა, რომ დღეთა დაუსრულებელი ნაკადი წარხოცდა მასაც და წაშლიდა მის ნაკვალევს. მაშინ კი, მაშინ მართლა ყველაფერი დამთავრდებოდა; თვითონაც სხვებივით ჩაეფლობოდა ყოველდღიურობის ჭაობში... ოჰ, რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა დააღწიოს თავი ამ საზიზღარ ადგილებას! „მიშველეთ! მიშველეეთ!...“

ამ ავადმყოფური უმწეობის, მგზნებარე გულაცრუებისა და მესიანური ლოდინის ჟამს, ხელები რომ გაეწვდინა უცნობი მაცხოვრისადმი, ჟაკლინი ოლივიეს შეხვდა. ქ-ნმა ლანჟემ არ დააყოვნა შინ მოეწვია კრისტოფი, ამ ზამთარს მოდად რომ ქცეულიყო. კრისტოფი მოვიდა და, თავისი ჩვეულების თანახმად, არ გარჯილა საკუთარი ავლადიდება ეჩვენებინა. მიუხედავად ამისა, ქ-ნი ლანჟე მაინც მოიხიბლა კომპოზიტორით: სანამ მოდაში იყო, ყველაფერი ნებადართული ჰქონდა და სულ მომხიბვლელი იქნებოდა; ეს კი რამდენიმე თვეს გასტანდა. ჟაკლინი მაინცდამაინც არ დაფეთებულა კრისტოფზე; მარტო ის ფაქტი, რომ მას ვიღაცები აქებ-ადიდებდნენ, უნდობლობას აღუძრავდა გულში. ამას გარდა, კრისტოფის სიმკვახე, ხმამაღლა ლაპარაკის ჩვევა და გულმხიარულებაც ეჩოთირებოდა. მის სულისკვეთებას სიმხიარულე ერთობ ტლანქი ეჩვენებოდა; იგი ნაღველნარევი ბინდით მოცულ სულს ელტვოდა და თავს ირწმუნებდა, რომ მაინცდამაინც ეს უყვარდა. კრისტოფში კი მეტისმეტად ნათელი დღე იდგა. მაგრამ ჟაკლინთან გასაუბრებისას კრისტოფმა ეცვლა ოლივიეზე ჩამოაგდო სიტყვა; მოთხოვნილება ჰქონდა, მეგობარი თანამოზიარედ გაეხადა ყველაფერში, როცა საქმე სიამოვნებას ეხებოდა. ეტყობა, ისე ენაწყლიანად ილაპარაკა მასზე, რომ ჟაკლინმა, თავისი სულის ორეულის წარმოდგენით აღელვებულმა, ოლივიეც

დააპატიჟებინა. ეს უკანასკნელი ერთი დაპატიჟებით როდი გაჰყვა; ამან საშუალება მისცა კრისტოფსა და ჟაკლინს ბოლომდე არხეინად დაემთავრებინათ წარმოდგენით დახატული სურათი, და როდესაც, ბოლოს, ოლივიემ გაბედა და მოვიდა, ჟაკლინს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ იგი მის გონებაში შექმნილი სურათის ცოცხალი ხატება იყო.

მოვიდა, მაგრამ თითქმის ხმა არ ამოუღია. ან კი რაში სჭირდებოდა ხმა ამოეღო. მის ჭკვიან თვალებს, ღიმმორევას, დახვეწილ მოძრაობასა და ღრმა სიმშვიდეს, სხვასაც რომ ასხივებდა და თავის საბურველში ხვევდა, ისედაც დაეტყვეებინა ჟაკლინი. კრისტოფთან კონტრასტი კიდევ უცრო თვალსაჩინოს ხდიდა ოლივიეს ღირსებას. თუმცა ჟაკლინს არაფერი გამოუმჟღავნებია, უნებლიე შიშს ჰგვრიდა გრძნობა, რომელიც ისახებოდა მასში; კვლავინდებურად საუბრობდა მხოლოდ კრისტოფთან, მაგრამ ოლივიეზე. კრისტოფი ისე გაეხარებინა მეგობარზე საუბარს, რომ ვეღარ შეამჩნია, რა სიამოვნებას ჰგვრიდა ეს თემა ჟაკლინს. გერმანელი თავის თავზეც ლაპარაკობდა და ქალიშვილი ხათრით კი უსმენდა, მაგრამ სრულიად უგულისყუროდ და შეუმჩნევლად გადაჰქონდა საუბარი მისი ცხოვრების იმ მონაკვეთზე, სადაც ოლივიეც მონაწილეობდა.

ჟაკლინის ამგვარი გულითადობა სახიფათო იყო ისეთი მიმნდობი ადამიანისათვის, როგორიც კრისტოფი გახლდათ. თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ გაიტაცა ქალიშვილმა; მათთან სიარული ეხალისებოდა, წასვლის წინ საგულდაგულოდ იკაზმებოდა და კარგად ნაცნობი განცდა საამო მოთენთილობისა კვლავ ერეოდა ყოველ მის ფიქრს. ოლივიესაც მოსდებოდა ტრფობის ალი პირველი დღიდანვე, მაგრამ ეგონა, ვერ მამჩნევენო და უჩუმრად იწვოდა. კრისტოფი ცეცხლზე ნავთს უსხამდა მეგობარს, როდესაც შინისაკენ მიმავალი მხიარულად უკენჭავდა მას ჟაკლინთან თავის ნალაპარაკევს. ოლივიეს აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ შეიძლებოდა, რომ ჟაკლინს იგი მოსწონებოდა. თუმცა კრისტოფთან ამდენი ხნის ცხოვრებას მეტი ოპტიმიზმი შეეძინა მისთვის, საკუთარი თავის რწმენა ჯერ კიდევ არ გააჩნდა; თავის თავს მეტისმეტად ფხიზელი თვალით უყურებდა და ვერ დაეჯერებინა, თუ ოდესმე ვინმეს შეუყვარდებოდა, — თუმცა ვის შეეძლო უფრო დარწმუნებული ყოფილიყო ამაში, ეს რომ პირად ღირსებაზე ეკიდოს და არა ახირებულ სურვილზე ბრმა და ყოვლისშემნდობი სიყვარულისა?

ერთ საღამოს, ლანჟეებთან დაპატიჟებული რომ იყვნენ, ოლივიემ იფიქრა, ჟაკლინის უყურადღებობა გულს მომიკლავსო, ამიტომ დაღლილობა მოიმიზეზა და კრისტოფს უთხრა, მარტო წადიო. კრისტოფი, რომელსაც ეჭვი არაფერზე აუღია, სიხარულით წავიდა. თავისი გულუბრყვილო ეგოიზმით, იგი წინდაწინვე ტკბებოდა, რომ ჟაკლინთან მარტო დარჩებოდა. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. როცა შეიტყო, რომ ოლივიე არ მოვიდოდა, ჟაკლინი მოიღუშა, გუნება წაუხდა და ყურები ჩამოყარა; არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა მოსწონებოდა კრისტოფს, არ უსმენდა და კითხვებზე ალალბედად უპასუხებ-

დი; კრისტოფმა დაინახა, როგორ აიფარა ქალიშვილმა პირზე ხელი, რომ მოწყენისაგან მთქნარება შეეკავებინა და ჭაბუკს საბოლოოდ გული გაუტყდა. ჟაკლინი ტირილის გუნებაზე იყო. უცებ შუა წვეულებაზე სადღაც გაქრა და აღარ გამოჩენილა.

კრისტოფი გაწბილებული წამოვიდა. გზაში სულ ცდილობდა ამოეხსნა ეს უეცარი ცვლილება და ბევრჯერ კიდეც მიუახლოვდა ჭეშმარიტებას. შინ ოლივიე ელოდა და მოჩვენებითი განურჩევლობით ჰკითხა, საღამო ხომ კარგად გაატარეო. კრისტოფმა უამბო, როგორ პირში ჩალა გამოავლო ჟაკლინმა და არ გამოჰპარვია, რომ ამაზე ოლივიეს სახე გაებადრა.

— აკი დაღლილი იყავი! რატომ არ დაწოლილხარ? — ჰკითხა კრისტოფმა.

— გამიარა, — მიუგო ოლივიემ, — უკვე კარგად გავხდი.

— ნამდვილად იმან გიშველა, საღამოზე რომ არ წამოხვედი, — უთხრა დამცინავად კრისტოფმა.

ოლივიეს ეშმაკური ალერსით გადახედა და თავის ოთახში გავიდა; იქ კი, მარტო დარჩენილს სიცილი წასკდა და უხმოდ კუჭკუჭებდა, ვიდრე ცრემლები არ მოერია:

„მაცდური! — ამბობდა თავისთვის, — როგორ უნდოდა გავეცურებინე! ეს ვაჟბატონიც რომ მატყუებდა! კარგად კი იკატუნებდნენ თავს!“

იმ წუთიდან კრისტოფმა გულიდან ამოიგდო ყოველგვარი პირადი ფიქრი ჟაკლინზე და, როგორც კარგი კრუხი, ეჭვიანად რომ დასტრიალებს თავის გამოსაჩეკ კვერცხებს, ისე დაჰკანკალებდა ორი ნორჩი შეყვარებულის მიჯნურობას. არც ერთისათვის არ უგრძნობინებია, რომ იცოდა მათი საიდუმლო, ერთის გულისნადები მეორისთვის არ გაუმხელია, ისე დაეხმარა ორივეს ურთიერთსიყვარულში, თუმცა ვერც ჟაკლინი მიხვდა ამას და ვერც ოლივიე.

მან თავის წმიდა მოვალეობად ჩათვალა, შეესწავლა ჟაკლინის ხასიათი, რათა გამოეცნო, იქნებოდა თუ არა ოლივიე მასთან ბედნიერი. მაგრამ, თავისი მოუქნელობის გამო, ისეთ კადნიერ შეკითხვებს უსვამდა ქალიშვილს გემოვნებისა თუ ზნეობის სხვადასხვა საკითხზე, რომ მხოლოდ აღიზიანებდა ჟაკლინს.

„აი, მეტიჩარა! რას ეჩრება ჩემს გრძნობებში?“ — ფიქრობდა გაჯავრებული ჟაკლინი და ზურგს აქცევდა.

ოლივიეს სახე უბრწყინდებოდა, როცა ხედავდა, ჟაკლინი ყურადღებას აღარ აქცევდა კრისტოფს. კრისტოფსაც უბრწყინდებოდა სახე, როცა ხედავდა, ოლივიე ბედნიერი იყო. ამასთან, იგი უფრო ხმაურით გამოხატავდა თავის სიხარულს, ვიდრე ოლივიე. ნეტა, ამას რაღა ახარებსო, ფიქრობდა ჟაკლინი, რომელსაც გუმანი ვერ აეღო, თუ კრისტოფი თვით მასზე ნათლად ჭვრეტდა მათს სიყვარულს, ამიტომ აუტანელი ეჩვენებოდა გერმანელი და ვერ გაეგო, რა ჰქონდა სამეგობრო ოლივიეს ასეთ უკმეხ და აბეზარ ადამიანთან. კეთილი კრისტოფი ხვდებოდა ამას და ეშმაკური ცელქობით განზრახ აღიზიანებდა ჟაკლინს; მერე

განზე გადგებოდა, სამუშაოს მოიმიზეზებდა და უარს ამბობდა ლანჭეებთან წასელაზე, რომ შეყვარებულებისათვის ხელი არ შეეშალა.

თუმცაღა მომავალზე ფიქრი გულდამშვიდების საფუძველს არ აძლევდა. კრისტოფი პასუხისმგებლად თვლიდა საკუთარ თავს ამ ქორწინებისათვის, უკვე კარზე რომ მომდგარიყო, და იტანჯებოდა, რადგან ნათლად ხედავდა ჟაკლინს და ბევრი რამ აშინებდა მასში: უპირველეს ყოვლისა, მისი სიმდიდრე, აღზრდა, წრე, განსაკუთრებით კი, — მისი სისუსტე. იგი ძველ ნაცნობ კოლეტს აგონებდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ჟაკლინი უფრო მართალი, უფრო წრფელი და გულით გატაცებული იყო; ამ პატარა არსებაში მგზნებარე ლტოლვა, თითქმის გმირული სურვილი იგრძნობოდა, მძიმე ცხოვრების უღელი გაეწია...

„მაგრამ მარტო სურვილი როდი კმარა“, — ფიქრობდა კრისტოფი და სულმნათ დიდროს მოსწრებული ნათქვამი ახსენდებოდა: „მაგარი ჯანი გინდა.“

უნდოდა გაეფრთხილებინა ოლივიე მოსალოდნელი საშიშროების გამო. მაგრამ როდესაც ჟაკლინისაგან დაბრუნებული მეგობრის გაბრწყინებულ თვალებს შეხედავდა, გამბედაობა აღარ ჰყოფნიდა. ფიქრობდა:

„საბრალო ბავშვები ბედნიერნი არიან. ნუ დავურღვევთ ნეტარებას!“

ნელ-ნელა, მეგობრის სიყვარულით, კრისტოფმაც გაიზიარა ოლივიეს ცრუ იმედები. გული დაიმშვიდა და ბოლოს დაიჯერა, რომ ჟაკლინი სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ოლივიე ხედავდა და როგორიც თვით ჟაკლინს სურდა ყოფილიყო. სურვილით კი, ჟაკლინს მართლა სურდა! მას უყვარდა ოლივიე სწორედ იმიტომ, რომ იგი არ ჰგავდა მას და მისი წრის ადამიანებს: ღარიბი იყო, არ ღალატობდა ზნეობრივ მრწამსს და თავს ვერ იჩენდა საზოგადოებაში. ისეთი წმინდა, ისეთი ყოვლისმომცველი სიყვარულით უყვარდა, რომ ნატრობდა, თვითონაც მისებრ ღარიბი ყოფილიყო, ხანდახან თვით... დიახ, ხანდახან სურვილი ჰქონდა მახინჯიც კი გამხდარიყო, რათა უფრო მეტად ერწმუნა, რომ უყვარდათ ისე, მარტოოდენ სიყვარულის გულისათვის, რომლითაც აღვსილი ჰქონდა გული, სიყვარულსვე მოწყურებული... ოჰ, რარიგ ფითრდებოდა და მთელი სხეულით ცახცახებდა ზოგჯერ, როდესაც მის წინაშე იდგა! იგი ლამობდა დაეცინა თავისივე მღელვარებისათვის, თავს აჩვენებდა, ვითომ სხვა რამით იყო გართული და ვერ ამჩნევდა ოლივიეს: დამცინავად ლაპარაკობდა. მაგრამ უცებ სიტყვას შუაზე გაწყვეტდა, თავის ოთახში გავარდებოდა, კარს ჩაიკეტავდა, ფანჯრებზე ფარდებს ჩამოუშვებდა და იჯდა უძრავად, მუხლები მიეტყუპებინა, იდაყვები მუცელზე მიებჯინა, ხელები გულზე დაეკრიფა და ცდილობდა გულისცემაც შეეკავებინა; დიდხანს განაგრძობდა ასე ყოფნას, მოკრუნჩხული და სულგანაბული, ვერ ბედავდა განძრეულიყო, ვაითუ ოდნავი ფაჩუნით ბედნიერების განცდა დაეფრთხო. და სიჩუმეში გულში იხუტებდა სიყვარულს.

ახლა უკვე კრისტოფიც შეეპყრო ოლივიეს წარმატების ჟინს. მშობლიური მზრუნველობით დასტრიალებდა მეგობარს, აკვირდებოდა მის ჩაცმულობას, ჩემულობდა, რჩევა-დარიგებები მიეცა ოლივიესათვის, თუ როგორი კოსტიუმი

მოუხდებოდა და ჰალსტუხსაც კი უკვანძავდა (ნეტა გენახათ, როგორ!). ოლივიე მოთმინებით ჰყვებოდა მის სურვილს, ხოლო როდესაც კიბეზე თავს დაიმარტოხელებდა, ჰალსტუხს ხელახლა იკრავდა. იღიმებოდა, გულში კი აღელვებული იყო ამ დიდი მეგობრობით. თუმცა რცხვენოდა სიყვარულზე ლაპარაკისა, მაგრამ საკუთარ თავში დარწმუნებული ვერ იყო და ამიტომ ხშირად უყვებოდა კრისტოფს ჟაკლინთან შეხვედრებზე და რჩევას ეკითხებოდა. კრისტოფსაც გულთან მიჰქონდა მისი გაჭირვება და საათობით, ზოგჯერ მთელი ღამეც კი, თავს იმტვრევდა, რომ რამენაირად მეგობარს გზა გაეკაფა სიყვარულში.

საუბარი ოლივიესა და ჟაკლინს შორის, რომელმაც გადაწყვიტა მათი მომავალი, შედგა ლანჟეების აგარაკის ბაღში, პარიზის მახლობლად, ილ-ადანის ტყის შემოგარენში რომ მდებარეობდა.

ოლივიეს კრისტოფიც წამოეყვანა. მაგრამ მან იქ ფისჰარმონი ნახა. დასაკრავად მიუჯდა და შეყვარებულები ერთმანეთს დაანება. მათ კი, მართალი რომ ითქვას, სულაც არ სურდათ ეს: ეშინოდათ, ერთმანეთთან მარტო დარჩენილიყვნენ. ჟაკლინს პირზე კლიტე დაედო და ამრეზილი ჩანდა. უკვე წინა შეხვედრაზე ოლივიემ ცვლილება შეატყო ქცევაში, უეცარი გაციება იგრძნო; მისი გამოხედვა რაღაც უცხო, მკაცრი და თითქოს მტრულიც მოეჩვენა. ამან შეაკრთო ოლივიე. ვეღარ ბედავდა, გულისნადები გაემჟღავნებინა ქალიშვილისათვის: შიშისაგან ძრწოდა, ვაითუ საყვარელი არსებისაგან ულმობელი უარი მიეღო. ოლივიე კანკალმა აიტანა, როდესაც იგრძნო, კრისტოფი გვერდით აღარ ჰყავდა; თითქოს მარტო მეგობრის ყოფნას შეეძლო აეცდინა მისთვის გარდაუვალი დარტყმა.

ჟაკლინს გული არ აუყრია ოლივიეზე. პირიქით, უფრო მეტად უყვარდა იგი. კიდეც ამას განეწყო ასე მტრულად. ის სიყვარული, ადრე ასე რომ ენატრებოდა და შორიდან ელაციცებოდა, უკვე აქ იყო, მის წინაშე; თითქოს მის ფეხქვეშ პირი დაეღო უფსკრულს, შეშინებული უკან გახტომას ლამობდა და გაოგნებული ჩასციებოდა თავს:

„მაინც რატომ? რისი გულისათვის? რას ნიშნავს ეს?“

მერე ოლივიეს მიაპყრობდა კითხვის გამომხატველ მზერას, ტანჯვით რომ მსჭვალავდა ჭაბუკს, და გულში ფიქრობდა:

„ვინ არის ეს კაცი?“

არ იცოდა.

„მაშ რატომ მიყვარს იგი?“

არ იცოდა.

„მიყვარს კი?“

არც ეს იცოდა... არაფერი არ იცოდა, გარდა ერთისა: რომ სიყვარულს შეეპყრო და დაეტყვევებინა; გრძნობდა, საცაა ჩაინთქმებოდა მასში, ჩაინთქმებოდა მთელი არსებით... მისი ნებისყოფა, დამოუკიდებლობა, თავმოყვარეობა, მო-

მავლის ოცნებები უკვე ხახაში ჰქონდა ამ ურჩხულს. და ქალიშვილს ბრაზი ერეოდა, რომ ვერ უძალიანდებოდა, ზოგჯერ ლამის სიძულვილით გამსჭვალულიყო ოლივიესადმი.

ბაღი ჩაათავეს და ბოსტანში შევიდნენ, მდელობებისგან მაღალი ხეების რიგი რომ ყოფდა. ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ ბილიკებს, მოცხარის წითელი და ქარვისფერი კუნწულებით დახუნძლულ ბუჩქებსა და მარწყვის ჩამწკრივებულ კვლებს შორის, სურნელით რომ ავსებდნენ ჰაერს. ივნისი იდგა, მაგრამ ხშირ ავდრებს აეგრილებინა. მოღუშული დღე იყო, ცა ჩამოჟამულიყო; დაბლა ჩამოწოლილ ღრუბლებს, ერთად შეგროვილნი მძიმედ რომ მიიზლაზნებოდნენ, სადღაც ერეკებოდა ქარი. თუმცა მაღალ ფენებში მძვინვარე ქარის ქროლა დედამიწაზე ვერ აღწევდა: ფოთოლიც არ იძვროდა ხეზე. უსაზღვრო სევდას მოეცვა მთელი ბუნება, და შეყვარებულთა გულებიც. ამ დროს, ბაღის სიღრმიდან, უხილავი სახლის გამოღებული ფანჯრებიდან მოისმა ფისჰარმონის ჰანგები: იოჰან სებასტიან ბახის მი-ბემოლ-მინორული ფუგა კვნესოდა. შეყვარებულები ჭის ნაპირას გვერდი-გვერდ ჩამოსხდნენ, ფერმკრთალნი და მდუმარენი. უცებ ოლივიემ დაინახა, ცრემლები მოგორავდა ჟაკლინის ლოყებზე.

— ტირიხართ? — წასჩურჩულა ვაჟმა მთრთოლვარე ტუჩებით.

და ცრემლებმა ითქრიალა მისი თვალებიდანაც.

ქალიშვილს ხელი მოჰკიდა. მან მხარზე დაადო ოლივიეს ქერა თავი. აღარ ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია, უკვე დანებებულიყო; მაგრამ რა შვებას გრძნობდა!... უსმენდნენ მუსიკას და ორივენი ტიროდნენ ჩუმად, შუყუჟულნი მძიმე ღრუბლების ბუნებრივი ბალდახინის ქვეშ, ნელა რომ ირწეოდა; ღრუბლები მდუმარედ მიცურავდნენ მათ თავზე, ისე დაბლა დაშვებულნი, რომ ლამის ეხებოდნენ მაღალი ხეების კენწეროებს. ორივეს ფიქრები მოეცვა იმ მწუხარებას, რომელიც მოესწროთ ეწვნიათ და — ვინ უწყის? — იქნებ იმასაც, მომავალში რომ მოელოდათ კიდევ. არის წუთები, როდესაც მუსიკა ხსნის მთელი სევდის ბადეს, ბედისწერას რომ მოუქსელავს ადამიანური არსების გარშემო...



ცოტა ხნის შემდეგ ჟაკლინმა თვალები შეიმშრალა, შეხედა ოლივიეს და — უცებ მოეხვივნენ ერთმანეთს. ო, გამოუთქმელო ბედნიერებავ! უზენაესო ნეტარებავ, ისე ტკბილი და ღრმა ხარ, რომ ტკივილს იწვევ!...

ჟაკლინმა ჰკითხა:

— თქვენი და ძალიან გგავდათ, არა?

ოლივიეს გაუკრჭოლა.

— რაზე გაგახსენდათ? — უთხრა. — იცნობდით მას?

მან უპასუხა:

— კრისტოფი მომიყვა... ძალიან განიცადეთ?

ოლივიემ თავი დახარა, მღელვარებისაგან ვეღარაფერი უპასუხა.

— მეც ძალზე განვიცადე, — თქვა ჟაკლინმა.

და უამბო დაკარგული მეგობრის — საყვარელი მართა მამიდას შესახებ; მერე გულისტკივილით დასძინა, იმდენი ცრემლი ვღვარე, კინაღამ ტირილით მოვკვდიო.

— ხომ დამეხმარებით? — განაგრძო უცებ მუდარით. — ხომ დამეხმარებით ვიცოცხლო და ვიყო ისე კარგი, ცოტათი მაინც ვგავდე მას? საბრალო მართა, თქვენც ხომ გეყვარებათ იგი?

— ჩვენ გვეყვარება ორივენი, როგორც მათ უყვართ ერთმანეთი.

— ნეტავი ჩვენთან ამყოფა ისინი!

— ისინი ჩვენთან არიან.

შეყვარებულები ისხდნენ ერთმანეთს მიხუტებულნი და ესმოდათ, როგორ ძგერდა მათი გულები. წამოეინჭელა. ჟაკლინს გააკანკალა.

— დავბრუნდეთ, — თქვა მან.

ხეების ქვეშ თითქმის უკვე დაღამებულიყო. ოლივიემ აკოცა ჟაკლინს სველ კულულებზე; მან თავი გადახარა ვაჟისკენ და ოლივიემ პირველად იგრძნო თავის ტუჩებზე საყვარელი ტუჩების შეხება, — პატარა გოგონას მხურვალე და ოდნავ დამსკდარი ტუჩებისა. ორივეს თავბრუ დაეხვა.

სახლს რომ მიადგნენ, კიდევ შეჩერდნენ.

— რარიგ მარტონი ვიყავით აქამდე! — წარმოთქვა ოლივიემ.

კრისტოფი უკვე დავიწყებოდათ.

უცებ გაახსენდათ იგი. მუსიკა დადუმებულიყო. შინ შევიდნენ. კრისტოფი ფისჰარმონს დაყრდნობოდა და თავი ხელებში ჩაერგო; ისიც წარსულის ფიქრებს წაეღო. კარის გაღების ხმაურზე გამოერკვია და მიაპყრო მათ თავისი სათნო სახე, დაფიქრებული და ნაზი ღიმილით გაცისკროვნებული. კრისტოფმა მათ თვალებში ამოიკითხა, რაც მოხდა, ორივეს ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— ჩამოსხედით, დაგიკრავთ რამეს.

ისინი დასხდნენ; კრისტოფმა ააღერა საკრავი და მის ჰანგებში მთელი თავისი გულისნადები გადაუშალა — უსაზღვრო სიყვარული მათდამი. დაკვრა რომ დაამთავრა, ერთხანს სამივენი ხმაამოღებლივ ისხდნენ. მერე კრისტოფი წამოდგა და შეხედა შეყვარებულებს. რა სიკეთე გამოსჭვიოდა მის გამომეტყველებაში, რარიგ უფროსი და ძლიერი ჩანდა მათზე! ჟაკლინმა პირველად შეიმცნო ნამდვილი კრისტოფი. იგი გადაეხვია ორივეს, მერე ჟაკლინს უთხრა:

— ხომ გულით გეყვარებათ ოლივიე? ხომ გულით გეყვარებათ ერთმანეთი?

შეყვარებულები მადლიერების გრძნობით განიმსჭვალნენ. უცებ კრისტოფმა სხვა რამეზე გადაიტანა სიტყვა, გაიცინა, ფანჯარასთან მივიდა და ბაღში გადახტა.

მას შემდეგ ყოველდღე აგულიანებდა ოლივიეს, ჟაკლინის მშობლებისათვის ქალიშვილის ხელი ეთხოვა. ოლივიე ვერ ბედავდა, ეშინოდა, რომ უარს მიიღებდა. კრისტოფი უკიჟინებდა აგრეთვე, სასწრაფოდ რაიმე სამსახური გამოძებნეო: ვინიცობაა სასიდედრომ და სასიმამრომ თანხმობა მოგცენ, ჟაკლინის სიმდიდრეს როგორ მიიღებ, თუ ლუკმაპურის შოვნა თვითონაც არ შეგეძლებაო. ოლივიე საერთოდ ეთანხმებოდა, ოღონდ არ იზიარებდა მის სასაცილომდე გაზვიადებულ შიშს, თითქოს სათაკილო იყო მდიდარ ქალზე ქორწინება. კრისტოფს თავში ჩაეჭედა ანრი, სიმდიდრე კლავსო სულს. იგი სიამოვნებით გაიმეორებდა ერთი მათხოვარი ბრძენის სიტყვებს, ამ უკანასკნელმა საიქიო ცხოვრებაზე შეწუხებულ მდიდარ მოცლილ ბანოვანს რომ მიუგო:

„რა, ქალბატონო, მილიონებიც გნებავთ და სულიც უკვდავი გინდათ ქონდეთ?“

— ერიდე ქალს, — ეუბნებოდა იგი ოლივიეს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად გულით, — ერიდე საერთოდ ქალს, მდიდარ ქალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქალს შესაძლოა უყვარდეს ხელოვნება, მაგრამ იგი კლავს ხელოვანს. მდიდარი ქალი კი შხამავს ერთსაც და მეორესაც. სიმდიდრე სენია, ხოლო ქალი უფრო ძნელად იტანს მას, ვიდრე კაცი. მდიდარი ქალიცა და კაციც არასრულყოფილი არსებაა... იცინი, არა? ესე იგი, დამცინი. ტყუილს ვამბობ? განა შეუძლია მდიდარს შეიცნოს ცხოვრება? განა ეჯახება იგი პირადად მკაცრ სინამდვილეს? იგი ხომ ვერასოდეს იგრძნობს თავისით გაჭირვების ნამდვილ გემოს, ოფლით ნაშოვნი ლუკმის მადლს, საკუთარი ხელით გადაბრუნებული მიწის სუნს? განა ძალუძს მას გაიგოს, უბრალოდ ხილული თვალით დაინახოს საგნები და ადამიანები?... მახსოვს, ჩემს ბალღობაში, ერთი-ორჯერ დიდი ჰერცოგის ლანდოთი გამასეირნეს. ეტლი მიქროდა მდელოებს შორის, სადაც თითოეულ ბალახის ღეროს ვიცნობდი, ბალებში, სადაც ყოველი კუნჭული ფეხით მქონდა შემორბენილი მარტოკას და ვეთაყვანებოდი. ეტლიდან კი რა, ვეღარაფერი ვიხილე! ყველა ეს ლაღი ბუნების ცოცხალი სურათები ისეთ გაჯგიმულ და გატყლარჭულ ლანდებად იქცნენ ჩემს თვალში, როგორც ის ყეყეჩები, მე რომ მასეირნებდნენ. მობიბინე მდელობისადმი ჩემს გულს მარტო ამ არსთა არაბუნებრივი გატყლარჭულობა როდი აგრილებდა. საამისოდ ისიც კმაროდა, რომ ვგრძნობდი, ფეხები მედგა რაღაც მოძრავ ფიცარნაგზე, მიწას რომ მოვეწყვიტე. მე კი, დედამიწა დედად რომ შემეგრძნო, ფეხები მის საშოში უნდა მქონოდა ჩაყოფილი, ვითარცა ახალშობილს. პირველად თავს რომ გამოყოფს დღის სინათლეზე. სიმდიდრე წყვეტს იმ ბუნებრივ ჯაჭვს, რომელიც ადამიანს მიწასთან აკავშირებს და ერთმანეთთან აახლოებს ყველა მიწის შვილთ. უამისოდ კი როგორ გინდა ხელოვნობა გასწიო? ხელოვანი მიწის ყივილია. მდიდარი ვერ იქნება დიდი ხელოვანი. ასეთ არახელსაყრელ პირობებში ხელოვანმა რომ იხაროს, მას ათასჯერ უფრო მეტი გენიალობა დასჭირდებოდა. რომც იხაროს და მოიწიოს, ეს მაინც სათბურში დამწიფებული ხილი იქნება. გოეთე რომ ვოეთეა, მის სულსაც მო-

დუნებულობის საგრძნობი კვალი აჩნევია; მას არ ჰყოფნის შინაგანი გაღიზიანების უნარი, სიმდიდრეს რომ დაუშრეტია მასში. შენ კი გოეთეს სიკაჟე არ გაგაჩნია და ადვილად მოგერევა სიმდიდრე, განსაკუთრებით კი მდიდარი ცოლი,—გოეთემ ამას მაინც დააღწია თავი. მამაკაცს მარტოს კიდევ ძალუძს გაუმკლავდეს ამ ჭირს. მას იცავს ბუნებრივი უხეში ძალა, გამძლე და ჯანსაღი ინსტინქტები, რომლებიც მას მიწასთან აბამენ. დედაკაცი კი მყის ავადდება ამ სენით და გადასდებს მას სხვებსაც. იგი სიამოვნებით ძლებს სიმდიდრის სუნამოპკურებულ სიმყრალეში. ქალი, რომელიც ფუფუნებაში ცხოვრობს და ჯანსაღ სულს ინარჩუნებს, სასწაულია, ისეთივე სასწაული, როგორც მილიონერი—გენიოსი... ესეც არ იყოს, არ მიყვარს ურჩხულები. ვინაც ამაზე მეტს იხვეჭს, რაც მას საარსებოდ სჭირდება, ურჩხულია, ადამიანთა საზოგადოების კიბოა, სხვა ადამიანებს რომ ხრავს.

ოლივიე იცინოდა:

— რა ვქნა, მე მაინც ვერ ამოვიღებ გულიდან ჟაკლინს იმის გამო, რომ ღარიბი არ არის, ვერც ვაიძულებ, გინდა თუ არა, ღარიბი გახდი-მეთქი ჩემი სიყვარულის გულისათვის.

— ჰოდა, უკეთუ არ ძალგიძს უშველო მას, შენს თავს მაინც უშველე! ამით მასაც იხსნი. შეინარჩუნე სიწმინდე. იღვაწე.

ოლივიე იმათ არ ეკუთვნოდა, ვისაც სჭირდებოდა კრისტოფისაგან ნამუსში ჩაგდება. ზნეობის საკითხებში იგი მეგობარზე უფრო გულაზიზი იყო. არა, კრისტოფის მახვილგონიერულ გამოხდომებს ფულის წინააღმდეგ სერიოზულად კი არ ღებულობდა, — ერთ დროს ოლივიეც მდიდარი იყო, სიმდიდრე სულაც არ ეზიზღებოდა და თვლიდა, რომ იგი ფრიად შვენოდა ჟაკლინის სახეს. მაგრამ ვერ აეტანა ის აზრი, რომ მისი სიყვარულის გამო ანგარებაზე ფიქრი გაევლოთ გულში. მან განცხადებით მიმართა განათლების უწყებაში ჩარიცხვის შესახებ. ჯერჯერობით მხოლოდ პროვინციული ლიცეუმის მასწავლებლის მოკრძალებული თანამდებობის იმედი შეეძლო ჰქონოდა. ეს კი ვერაფერი საქორწინო საჩუქარი გახლდათ ჟაკლინისათვის. საქმრომ გაუბედავად შეაპარა სიტყვა ამის თაობაზე. თავიდან ჟაკლინმა ადვილად როდი მიიღო მისი არგუმენტები: ეს უბრალო თავმოყვარეობის ღიტინია, რაშიც კრისტოფის ხელი ურევიაო, ამიტომ სასაცილოდ ჩათვალა ასეთი დაწვრილმანება; განა ბუნებრივი არ არისო, ვინც გიყვარს, მასთან ერთად გაიყო ჭირიცა და ლხინიც, და ხომ მეშჩანობაა, უარი უთხრა საყვარელ არსებას ალალი გულით მოძღვნილ სიკეთეზე, თუკი ეს სიხარულს ანიჭებს მას?... მიუხედავად ამისა, ბოლოს მაინც მხარი დაუჭირა ოლივიეს განზრახვას: უბრალო მასწავლებლის ცოლის პერსპექტივაში მას სწორედ მისი უღიმღამო და მოსაწყენი მხარე იზიდავდა, რადგან შესაძლებლობა მიეცემოდა, ზნეობრივი გმირობის ჟინი დაეკმაყოფილებინა. თავისი წრისადმი ამაყი ამბოხის სულისკვეთებას, რაც გამოწვეული იყო მამიდაზე დამგლოვიარებით და კიდევ უფრო გაძლიერებულიყო სიყვარულის ალის მოდებით, — იქამდე მიეყვა-

ნა ქალიშვილი, რომ მან უარყო ყველაფერი, რაც კი მის სულში ამ თავგანწირვის მისტიკურ აღტყინებას ეწინააღმდეგებოდა; იგი დაძაბულიყო მთელი თავისი არსებით, როგორც მოზიდული მშვილდი, და ილტვოდა სპეტაკი და ძნელი ცხოვრებით გასხივოსნებული ბედნიერების მაღალი იდეალისაკენ... დაბრკოლებანი, მომავალი ყოფის უღიმღამობა — ყოველივე ეს მხოლოდ სიხარულის აღმაფრენას ბადებდა მასში. ოჰ, რა კარგი იქნება ეს!...

ქ-ნი ლანჟე მეტისმეტად გართული იყო საკუთარი თავით, რომ ყურადღება მიექცია, რა ხდებოდა გარშემო. ბოლო ხანებში იგი მხოლოდ და მხოლოდ თავის ჯანმრთელობაზე იყო გადაგებული; მთელ დროს აკვიატებულ ავადმყოფობათა მკურნალობაში ხარჯავდა, ერთ ექიმს რომ მოიწყენდა, ახლა სხვას აიჩემებდა; თითოეული თავის რიგით მაცხოვარად წარმოედგინა, მაგრამ ორ კვირაში მოიმწვანილებდა და მეორის ჯერი დგებოდა. მთელი თვეობით ოჯახის გარეთ, სამკურნალო სახლებში იჯდა, რაც არცთუ იაფი ჯდებოდა, და უაღრესი გულმოდგინებით ასრულებდა ექიმის ყოველ უმნიშვნელო მითითებას. ქმარ-შვილი ვიღას ახსოვდა.

ბ-ნი ლანჟე შედარებით უფრო ყურადღებიანი იყო და უკვე რაღაცაზე გუმანი აეღო. მამობრივ ეჭვიანობას ფხიზელი გაეხადა იგი. ჟაკლინი ისეთი იდუმალი სიყვარულით უყვარდა, როგორსაც გრძნობენ გულში მამები თავიანთი ქალიშვილების მიმართ, თუმც ვერ გაუცხადებიათ; ეს გახლავთ გამოუცნობი, მძაფრი და მოწიწებული ცნობისმოყვარეობა გამოწვეული იმ არსებით, რომელიც შენი უმცროსი ორეულია, შენი სისხლი და ხორცი, ოღონდ ქალად დაბადებული. ადამიანის გულის კუნჭულებში ბევრი ამისთანა ბნელ-ნათელი გრძნობა იმალება, რომლებიც ზოგჯერ უმჯობესია არ გავაშიშვლოთ. აქამდე ბ-ნ ლანჟეს არ-თობდა ის, რომ მისი ქალიშვილი გონებას ურევდა თავის ტოლ ჭაბუკებს: მას მოსწონდა კიდეც, რომ ჟაკლინი კეკლუცი და არშიყი იყო, მაგრამ ამავე დროს კეთილგონიერი (როგორც თვითონ გახლდათ). ხოლო როდესაც შეატყო, რომ საქმეს სერიოზულად შეტრიალების საფრთხე ემუქრებოდა, მამა შეშფოთებამ შეიპყრო. მან ჯერ დაცინვა დაუწყო ოლივიეს ჟაკლინის წინაშე, მერე ულმობელ კილვაზე გადავიდა. ერთხელ ამაზე ჟაკლინმა გაიცინა და უთხრა:

— მამიკო, ასე აუგად ნუ ახსენებ ოლივიეს, თორემ ერთიც ვნახოთ მასზე გათხოვება გადავწყვიტო, თვალებში როგორღა უნდა შეხედო.

ლანჟემ შეიცხადა: გაგიჟებულხარო. ჟაკლინს ესღა აკლდა, რომ მართლა გაგიჟებულიყო! ლანჟემ განაცხადა: ოლივიეზე არ გათხოვდებიო. ჟაკლინმა განაცხადა: ოლივიეზე ვთხოვდებიო. სიმართლემ თავი გამოყო. მამა მიხვდა, რომ მას ბუზადაც არ აგდებდნენ. მისი მამობრივი ეგოიზმი შელახული აღმოჩნდა. ლანჟემ დაიფიცა, ოლივიე და კრისტოფი ვეღარ გაჭაჭანდებიან ჩემს სახლშიო. ამან გააცოფა ჟაკლინი, და ერთ მშვენიერ დილით, ოლივიემ კარი გააღო თუ არა, ოთახში შურდულივით შემოიჭრა ქალიშვილი, სახეზე ფერი რომ აღარ ედო, და არც აცია, არც აცხელა, უთხრა:

— მომიტაცეთ! მშობლებს არ სურთ, მე მსურს. სახელი გამიტეხეთ!

ოლივიე შეკრთა, მაგრამ გული აუჩუყდა და შედავება ვეღარ სცადა. კიდევ კარგი, კრისტოფი შინ იყო. ჩვეულებრივ, დიდი წინდახედულებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ აქ მათ შეგონება დაუწყო: გააფრთხილა, ისეთი აყალმაყალი ატყდება, ბოლოს თქვენვე იცემთ თავში ხელსო. ჟაკლინმა სიბრაზით ტუჩზე იკბინა და დასძინა:

— მაშინ თავებს დავიხოცავთ და ის იქნება.

ამან არა თუ შეაშინა ოლივიე, პირიქით, გადაწყვეტილება მიაღებინა. კრისტოფმა რის ვაი-ვაგლახით დაითანხმა ორი სულწასული, რომ ცოტა მოეთმინათ; სანამ ამ თავგანწირულ საშუალებას მიმართავდეთ, მოდით, ყველა ხერხი მოვსინჯოთო: ჟაკლინი შინ დაბრუნდეს, ხოლო ბ-ნ ლანჟეს თავად ვეახლები და თქვენი საქმის დაცვას ვიკისრებო.

უცნაური ვექილი! როგორც კი კრისტოფმა თავისი მისიის გაცნობა დაუწყო, ბ-ნმა ლანჟემ დააპირა დაუყოვნებლივ გარეთ მიებრძანებინა, მაგრამ სიტუაციის სასაცილოობამ უბიძგა ბოლომდე მოესმინა და თავი შეეკავა. მიუხედავად ამისა, შუამავლის სერიოზულობამ, პატიოსნებამ, დამაჯერებლობამ ნელ-ნელა თავისი გაიტანეს; თუმცა ლანჟე ჯერ კიდევ ჯიუტობდა და მქირდავ შენიშვნებს ბურთივით სჩრიდა პირში. კრისტოფი ცდილობდა ყური მოეყრუებინა; მხოლოდ ზოგიერთ, განსაკუთრებით გესლიან დაცინვაზე წუთით შეჩერდებოდა და უხმოდ აიფაფრებოდა, მერე ისევ განაგრძობდა ლაპარაკს. ერთ მომენტში მუშტი მომუჭა, მაგიდაზე რამდენჯერმე დაჰკრა და ლანჟეს უთხრა:

— გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მე აქ სახუმაროდ არ მოვსულვარ; მე თავს ძალას ვატან, უყურადღებოდ დავტოვო ზოგიერთი თქვენი უადგილო გამოთქმა, რადგან მოვალეობას ვგრძნობ, გელაპარაკოთ საქმეზე. ნუ შემეხებით პირადად — მე არაფერი მეხება, და აწონ-დაწონეთ რასაც გეუბნებით.

ბ-ნმა ლანჟემ ყური დაუგდო, და როცა ჟაკლინის თვითმკვლელობის განზრახვა შეიტყო, მხრები აიჩეჩა და ნაძალადევად გაიცინა; მაგრამ, ჩანს, ამან შეაფიქრიანა: მეტისმეტად ჭკვიანი იყო, რომ ამგვარი მუქარა ხუმრობად მიეღო; იცოდა, რომ შეყვარებული ქალიშვილის უგუნურება ანგარიშგასაწევი გახლდათ. ოდესღაც ერთ-ერთმა მისმა საყვარელმა, განებივრებულ კისკისა ქალად რომ იცნობდა და ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი დაქადნების შესრულება შეეძლო, რევოლვერი დაიხალა ზედ მის თვალწინ; სული უცებ არ დაულევია, საწყალი წვალობდა სიკვდილის წინ. ლანჟეს გაახსენდა ის საშინელი სცენა... არა, ამ დამთხვეული არსებებისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. გული შეეკუმშა... „ის უნდა? დე, ასე იყოს, თვითონვე ამოიკრავს ცხვირში, სულელი!...“ რასაკვირველია, მამას შეეძლო დიპლომატობა ეხმარა, ვითომ თანახმა იყო, დრო მოეგო და წყნარად ჩამოეცილებინა ჟაკლინი ოლივიესათვის. მაგრამ ამას ხომ გარჯა დასჭირდებოდა; მას კი ეს არ შეეძლო, ან ეზარებოდა. ესეც არ იყოს, ლანჟე სუს-

ტი ნებისყოფისა გახლდათ და გულში ხინჯად ჰქონდა, რომ ასე პრინციპულად მოიქცა, ამიტომ მზად იყო, ჟაკლინისთვის გადაჭრით ნათქვამი „არა“ „ჰო“-თი შეეცვალა. ბოლოს და ბოლოს, რას გაიგებ ამ ცხოვრებისას? იქნებ ეს გოგო მართალია. მთავარია, ერთმანეთი უყვარდეთ. ბ-ნმა ლანჟემ ისიც იცოდა, რომ ოლივიე ფუქსავატი ბიჭი არ იყო, მგონი, ნიჭიც არ აკლდა... ადგა და თანხმობა მისცა.

ქორწინების წინა ღამეს კრისტოფმა და ოლივიემ გვიანობამდე იფხიზლეს: არ უნდოდათ დაეკარგათ დარჩენილი წუთები თავიანთი ერთად ცხოვრებისა, საცაა წარსულად რომ გადაიქცეოდა. დიახ, იგი უკვე წარსული იყო. ეს იმ მოსაწყენ გამომშვიდობებას ჰგავდა, ვაგზლის ბაქანზე, მატარებლის გასვლის წინ გაჭიანურებულ გაცილებას რომ ახლავს ხოლმე: ერთად არიან, ერთმანეთს უყურებენ, თითქოს საუბრობენ კიდეც, გული კი სხვაგან აქვთ, მგზავრი უკვე გზაშია... კრისტოფმა სცადა საუბარი წამოეწყო, მაგრამ უცებ ოლივიეს გაფანტული მზერა შენიშნა და სიტყვა შუაზე გაწყვიტა; მერე ღიმილით დასძინა:

— ეჰ, შენ უკვე შორსა ხარ!

ოლივიე დაიბნა, უნდოდა თავი ემართლებინა. დაღონდა, რომ მეგობართან ერთად ყოფნის ამ უკანასკნელ წუთებში უნებლიეთ სხვა რამეზე გაექცა ფიქრი. კრისტოფმა ხელზე ხელი მოუჭირა:

— კარგი, თავს ძალას ნუ ატან. მოხარული ვარ. იოცნებე, ჩემო კარგო.

მეგობრები ფანჯარასთან იდგნენ, ერთმანეთის გვერდით იდაყვდაყრდნობილნი, და წყვდიადში ჩაძირულ ბაღს გაჰყურებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კრისტოფი მიუბრუნდა ოლივიეს:

— მაშ, გამირბიხარ? გგონია, თავს უშველი? შენი ფიქრი ჟაკლინთან არის. მაგრამ მაინც დაგიჭერ. მეც მასზე ვფიქრობ.

— ჩემო კარგო კრისტოფ, — უთხრა ოლივიემ, — მე კი შენზე ვფიქრობდი, თუმცა...

ენა დაება.

კრისტოფმა გაიცინა და მისი სათქმელი დაასრულა:

— თუმცა ეს არც ისე იოლი იყო ჩემთვის.!..

კრისტოფი გალამაზდა და გამოიპრანჭა კიდეც საქორწილოდ. არც რელიგიური ცერემონიალისადმი გულგრილად განწყობილმა ოლივიემ და არც ამ ცერემონიალის წინააღმდეგ ამხედრებულმა ჟაკლინმა არ მოისურვეს, რომ ჯვარი ეკლესიაში დაეწერათ. კრისტოფს საგანგებოდ სიმფონიური პიესა დაეწერა მერიაში შესასრულებლად, მაგრამ ხელი აიღო განზრახვაზე ბოლო მომენტში, როცა გონების თვალით განჭვრიტა, თუ რა უაზრო წესჩვეულებას წარმოადგენდა სამოქალაქო ჯვრისწერა. ასეთი რამ რომ იწამო, ერთსა და იმავე დროს რწმენასაც მოკლებული უნდა იყო და გონებრივ თავისუფლებასაც. თუ ჭეშმარიტი კათოლიკე ირჯება, თავისუფლად მოაზროვნე გახდეს, ამას იმიტომ როდი სჩადის, რომ სახელმწიფო მოხელე მღვდლად გაიხადოს. ღმერთსა და თავისუფალ სინ-

დისს შორის ადგილი არა აქვს არავითარ სახელმწიფო რელიგიას. სახელმწიფო რეგისტრაციაში ატარებს, შეუღლება კი მის კომპეტენციაში არ შედის.

ოლივიესა და ჟაკლინის ქორწილის შემდეგ კრისტოფს არ უნანია თავისი გადაწყვეტილება. ოლივიე გულგრილი და დამცინავი გამომეტყველებით უსმენდა მერის დაზეპირებულ კეთილ სურვილებს, ახალგაზრდა წყვილის, მდიდარი მშობლებისა და წარჩინებული მოწაფეების წინაშე რომ პირმოთნეობდა. ჟაკლინი კი ყურს არ უგდებდა, სხვების მალულად ენას უყოფდა სიმონა ადანს, რომელიც თვალს არ აშორებდა პატარძალს: მას სანაძლეო ჰქონდა დადებული დობილთან, რომ „ჯვარისწერის დროს წარბიც არ შემიტოკდებაო“ და უკვე ცხადი იყო, მოგება მას დარჩებოდა; თითქოს არც კი გაეთვითცნობიერებინა, რომ თხოვდებოდა, ეს აზრი როგორღაც აცინებდა. სხვა მექორწილენი, უფრო წარჩინებულნი, ცდილობდნენ თავი მოეწონებინათ საზოგადოების რიგითი წევრებისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, მათ ცქერად გადაქცეულიყვნენ. ბ-ნი ლანჟე სტუმრებს ათვალიერებდა: თუმცა გულწრფელად უყვარდა ქალიშვილი, მაგრამ მთავარი ყურადღება იქით ჰქონდა მიპყრობილი, თუ სასურველ სტუმართაგან რომელი ეწვია და ხომ არავინ გამორჩა დასაპატიჟებელთა სიაში. მარტო კრისტოფი არ იყო გულგრილი უშუალოდ ჯვრისწერისადმი; ერთადერთი ის განიცდიდა ნეფე-დედოფლის, მათი ნათესავ-ახლობლებისა და მერის მაგივრად. იგი თვალს არ აშორებდა ოლივიეს; მას კი ერთხელაც არ მიუხედავს მეგობრებისაკენ.

საღამოს ახალდაქორწინებულნი იტალიაში სამოგზაუროდ წავიდნენ. კრისტოფმა და ბ-ნმა ლანჟემ სადგურში გააცილეს ოლივიე და ჟაკლინი. რარიგ გამხიარულებულიყვნენ! რა უდარდელად იყვნენ და ვეღარ მალავდნენ მოუთმენლობას, რომ მალე დაძრულიყო მატარებელი! ოლივიეს ბიჭის გამომეტყველება ჰქონდა, ჟაკლინიც პატარა გოგონას ჰგავდა.

რაღაც ნაზი სევდის აღმძვრელია ეს გაცილება! მამა დაღონებული უყურებდა, როგორ მიჰყავდა მისი გოგოცუნა ვიღაც უცხო კაცს — რა უფლების ძალით! — სამუდამოდ რომ აშორებდა მშობლიურ კერას.!.. მათ კი მოპოვებული ოავისუფლების დამათრობელი განცდა დაუფლებიათ მხოლოდ: აღარ არსებობს დაბრკოლება ცხოვრებაში, ვეღარაფერი გაჩერებს, გეჩვენება, მწვერვალზე ახვედი; ახლა შეგიძლია მოკვდე, უკვე ყველაფერი მოიპოვე, აღარაფრისა გეშინია... მერეღა რწმუნდები, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთი საფეხური ყოფილა. გზა მიდიოდა უფრო შორს, მაღლა-მაღლა, და ცოტა ვინმე თუ ააღწევდა შემდეგ საფეხურამდე...

მატარებელმა ღამის სიბნელეში გააუჩინარა ისინი. კრისტოფი და ბ-ნი ლანჟე ერთად დაბრუნდნენ სადგურიდან. გზაში კრისტოფმა ეშმაკური ხუმრობით უთხრა:

— დავქვრივდით ორივენი!

ბ-ნმა ლანჟემ გაიცინა. ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავ-თავისი გზით

წავიდნენ. ნაღველი შემოსწოლოდა ორივეს გულს. მაგრამ ეს უფრო საამო ნაღველს ჰგავდა. ოთახში მარტოდ დარჩენილი კრისტოფი ფიქრობდა:

„ჩემი თავის უკეთესი ნახევარი ბედნიერია.“

ოლივიეს ოთახი ხელუხლებლად დარჩა. მეგობრებმა დათქვეს, რომ ოლივიეს დაბრუნებამდე და ახალ ბინაში გადასვლამდე მისი ავეჯეული და პირადი ნივთები კრისტოფთან დარჩებოდა. ჯერჯერობით ოლივიე ისევ აქ ეგულებოდა. კრისტოფი დააცქერდა ანტუანეტას სურათს, თავის მაგიდაზე დაიდგა და ჰკითხა:

— კმაყოფილი ხარ, ძვირფასო?

ხშირად, უფრო სწორად, წარამარა სწერდა ოლივიეს. მისგან ნაკლებად ღებულობდა წერილებს, უგულისყურო და თანდათან დაშორებული რომ ეჩვენებოდნენ ადრინდელი სულისკვეთებისაგან. კრისტოფი იმედგაცრუებას გრძნობდა; მაგრამ თავს ირწმუნებდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო და ეჭვს არ ივლებდა გულში, რომ მომავალი მათ მეგობრობას ვერას დააკლებდა.

მარტოობა როდი უწყალებდა გულს. პირიქით, გული ჰქონდა გაწყალებული ზედმეტი ურთიერთობებით. „გრან ჟურნალის“ მფარველობა უკვე შემაწუხებელი ხდებოდა მისთვის. არსენ გამაშს მიდრეკილება ჰქონდა ერწმუნა, რომ სრული ბატონ-პატრონი გახლდათ გენიოსებისა, რომელთა აღმოსაჩენად თვითონ გაისარჯა: ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ მათი დიდება საკუთარი ავტორიტეტისათვის შემოეერთებინა, როგორც ლუი XIV-მ თავისი ტახტის გარშემო შემოიკრიბა მოლიერი, ლებრენი და ლიული. კრისტოფი ხედავდა, რომ მისი იმპერატორული უდიდებულესობა — ავტორი ნაწარმოებისა „ჰიმნი ეგირისადმი“ უფრო მეტად როდი ებლანდებოდა ფეხებში ხელოვნებას, ვიდრე ეს „გრან ჟურნალიდან“ მოვლენილი მისი მფარველი, რადგან ჟურნალისტი, იმპერატორზე უვიცი რომ იყო, იმპერატორზე მეტ კატეგორიულობას იჩენდა ხელოვნების მიმართ: თუ რამ ოდნავ თვალში არ მოუვიდოდა, მის არსებობას შეუწყნარებლად თვლიდა — უვარგისად და მავნედ აცხადებდა და, საზოგადოების სარგებლიანობისათვის, მის გაუქმებას მოითხოვდა. სასაცილო და საშინელ სანახაობას წარმოადგენს, როდესაც გაგრია საქმოსნები, კულტურისა რომ არაფერი სცხიათ, ფულსა და პრესას დაუფლებულნი, იჩემებენ, თავისი აზრი გაამეფონ არა მარტო პოლიტიკაზე, არამედ სულიერ ცხოვრებაზეც, ხელოვანს კი მიუგდონ ძაღლის ხუხულა, რკინის საყელო და სალაფავი, ხოლო თუ უარს გაბედავს, შეუძლიათ მიუქსიონ მას ათასობით რეგვენი, ამ საქმოსნებს თავიანთ ერთგულ ხროვად რომ უქცევიათ! მაგრამ კრისტოფი იმათ არ ეკუთვნოდა, ვისაც მათი დატუქსვისა ეშინოდა. მას ძალზე ეხამუშა, რომ ვიღაც უბირმა თავს ნება მისცა ეკარნახა მისთვის, რა უნდა ეკეთებინა მუსიკაში, და მიახვედრა, ხელოვნება პოლიტიკაზე უფრო საფუძვლიან მომზადებას მოითხოვსო. მან აგრეთვე, სრულიად უბოდიშოდ ხელები გაასავსავა, მუსიკა დაეწერა გაზეთის ერთ-ერთი პირველი მსახურის უხეირო ლიბრეტოზე, რეკომენდაციას თვით

მფარველი რომ უწევდა. ამან პირველი ბზარი გააჩინა მასა და გამაშს შორის.

კრისტოფს მაინცდამაინც გული არ დასწყვეტია. როგორც კი უჩინარობის ბინდბუნდიდან გამოაღწია, მყისვე მოუნდა უკან დაბრუნებულიყო. მან თავი იგრძნო იმ „დღის სინათლეზე, სადაც ყველას თვალწინ კაცი თავის თავს კარგავს და სხვებში ითქვიფება“. მეტისმეტად ბევრ ვინმეს მოეცალა მისთვის. კრისტოფი გოეთეს სიტყვებს უფიქრდებოდა:

„როგორც კი შემოქმედი ყურადღებას მიიპყრობს რაიმე ღირსშესანიშნავი ნაწარმოებით, საზოგადოება ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს მას, შექმნას მეორე ასეთი... ნიჭს არ აცლიან თავის თავთან განმარტოვდეს, რადგან ყოველი ვარაუდობს, მიითვისოს მასში რაღაც ნაწილი“.

კარი ჩაიკეტა და კვლავ ზოგიერთ ძველ მეგობარს დაუახლოვდა. მოინახულა ცოლ-ქმარი არნოები, რომლებთანაც კაი ხანია აღარ შეევლო. ქ-ნ არნოს, დღის ნაწილს მარტოობაში რომ ატარებდა, საკმაო დრო ჰქონდა სხვების გულში ჩაეხედა. იგი მიხვდა, რა საცარიელის განცდა გამოიწვია კრისტოფში ოლივიეს წასვლამ, ამიტომ მორცხვობა დაძლია და სადილზე დაპატიჟა მეზობელი. რომ გაებედა, შესთავაზებდა, დროდადრო ამოგხედავ და ბინას დაგილაგებო, მაგრამ სითამამე არ ეყო; ამით არა დაშავებულა რა — კრისტოფს არ უყვარდა ვინმე დაესაქმებინა. სადილზე კი მივიდა, და ამის შემდეგ წესად გაიხადა, ყოველ საღამოს არნოებთან შეევლო ხოლმე.

უშვილო ცოლ-ქმარი ისევ ისე თანხმობით ცხოვრობდნენ, იმავე ურთიერთშემბრალე ალერსიანობის ატმოსფეროში, ოღონდ უწინდელზე უფრო მოწყენილებს ჰგავდნენ. ბ-ნი არნო იმხანად გულგატეხილობას შეეპყრო, რაც გაშოწკეული იყო მასწავლებლის გამაბეზრებელი საქმიანობით — ამ მომქანცველი ერთფეროვნებით, ყოველდღე გუშინდელი რომ მეორდება და დაუსრულებლივ ერთი და იმავეს კეთება გიხდება, როგორც ერთ ადგილას მბრუნავ ბორბალს, რომელიც არც არასოდეს ჩერდება და არც არასოდეს წინ მიდის. მიუხედავად მოთმინების უნარისა, ეს პატიოსანი კაცი უკვე ლამის სწასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო. მას მეტისმეტად გულთან მიჰქონდა ცხოვრების ზოგიერთი უსამართლობა, ხოლო თავისი საქმისადმი თავის შეწირვა ამაო ეჩვენებოდა. ქ-ნი არნო ამხნევებდა ქმარს თბილი სიტყვით; მას ისევ ისე მშვიდად ეპირა თავი, მაგრამ აშკარად უხალისოდ გამოიყურებოდა. კრისტოფი ქალის თანდასწრებით ულოცავდა არნოს, რა ბედნიერი ხართ, რომ ასეთი კეთილგონიერი მეუღლე გყავთო.

— ჰო, — უპასუხებდა არნო. — ჭკვიანია, რა უპირს — არაფერი აღელვებს. ბედნიერი ეგ არის. ამ მხრივ კი მეც ბედი მქონია: ცხოვრების ვარამს ეგეც ჩემსავით გულში რომ იტრიალებდეს, მაშინ მართლა რაღა მეშველებოდა.

ქ-ნი არნო წითლდებოდა და დუმდა. მერე თავისი დინჯი ხმით სხვა რამეზე გადაჰქონდა საუბარი. კრისტოფის სტუმრობა, როგორც ყოველთვის, სულ-

ზე მისწრება იყო მათთვის. თავის მხრივ, კრიტოფსაც გულს უთბობდა ამ მხურვალე ადამიანებთან მუსაიფი.

კრისტოფს კიდევ სხვა მეგობარი ქალი გაუჩნდა. უფრო სწორად, თვითონ გაიჩინა: ქალს თუმცა ძალიანაც ეწადა კრისტოფის გაცნობა, მაგრამ არაფრის გულისათვის არ გადადგამდა პირველ ნაბიჯს. ეს გახლდათ ოცდახუთი წლის ქალიშვილი, მუსიკოსი, წარჩინებით დაემთავრებინა კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასით; სესილ ფლერი ერქვა. ტანად დაბალი და ერთობ ჩასკვნილი იყო, სახეზე ხშირი წარბები ეყარა, დიდრონი, ლამაზი თვალები გამოხედვისას უწყლიანდებოდა, მოკლე და ფართო, ოდნავ წვერაპრეხილი მოწითალო ცხვირი იხვის ნისკარტს მიუგავდა, ტუჩები სქელი, სათნო და ნაზი ჰქონდა, ნიკაპი ენერგიული, მტკიცე და მოუხეშავი, შუბლი არცთუ მაღალი, მაგრამ ფართო, თმა კეფაზე მსხვილ მორგვად დახვეული, მკლავები ღონიერი, ხელები ზედგამოჭრილი პიანისტისა — მსხვილი მტევნებით, ბოლოკუთხოვანი თითებითა და დაშორებული ცერით. მთელი მისი გარეგნობა ტლანქი სიცოცხლისუნარიანობისა და სოფლური სიჯანსაღის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ცხოვრობდა იგი დედასთან, რომელსაც თავს ევლებოდა. ამ სათნო მოხუცს სრულებით არ აინტერესებდა მუსიკა, მაგრამ სულ მასზე ესმოდა ლაპარაკი, ამიტომ ისიც მუსიკაზე ლაპარაკობდა და იცოდა ყველაფერი, რაც კი მუსიკალურ სამყაროში ხდებოდა. სესილი მოკრძალებულ ცხოვრებას ეწეოდა, მთელ დღეს გაკვეთილებს ატარებდა. ხანდახან კი კონცერტებსაც მართავდა. ყოველთვის დუმილით რომ ხვდებოდნენ. შინ გვიან ბრუნდებოდა, ფეხით ან ომნიბუსით, დაქანცული, მაგრამ მხნე გუნებაზე; არხეინად უკრავდა თავის ფორტეპიანოს. თავისი ხელით იკერავდა ქუდებს, ლაპარაკობდა ხალისით, იცინოდა გულიანად და მღეროდა თავისი სიამოვნებისათვის.

ცხოვრებას არ გაენებივრებინა იგი. სესილმა იცოდა ფასი საკუთარი შრომით მოპოვებული მცირე კეთილდღეობისა, შეეძლო გახარება პაწია სიამოვნებით, იმ ძლივს შესამჩნევი წარმატებით, თავისთვის რომ აღწევდა ცხოვრებასა და შემოქმედებაში. დიახ, თუ იგი თუნდაც ოცი ფრანკით მეტს გამოიმუშავებდა ამ თვეში წინა თვესთან შედარებით, ანდა ბოლოს და ბოლოს გამოუვიდოდა შოპენის პასაჟი, რომელსაც არ ეშვებოდა რამდენიმე კვირის მანძილზე, — იგი უკვე კმაყოფილი იყო. მისი სამუშაო, არც ისე მძიმე, ზედგამოჭრილი იყო მისი შესაძლებლობისათვის და ამხნევებდა კიდეც მას, როგორც სასარგებლო ფიზიკური ვარჯიში. დაკვრა, მღერა, გაკვეთილების ჩატარება, კმაყოფილების მომნიჭებელი, ნორმალური და უწყვეტი საქმიანობის სასიამოვნო განცდას ჰგვრიდნენ და ამავე დროს უზრუნველყოფდნენ მის საშუალო შეძლებასა და წყნარ წარმატებას. ჰქონდა ჩინებული მადა, კარგად ჭამდა, კარგად ეძინა და არასოდეს უჩიოდა ავადმყოფობას.

საღი აზრის, ჭკუადამჯდარი, უპრეტენზიო და სავსებით მშვიდი გონების პატრონი, სესილი თავს არ იტანჯავდა ტყუილუბრალოდ — ცხოვრობდა დღე-

ვანდელი წუთით და არ წუხდა იმაზე. რაც უკვე მოხდა ან შემდგომში შეიძლება მომხდარიყო. რაკი ჯანმრთელად იყო და ძის ცხოვრებას თითქოს აბსაიდან ემუქრებოდა ბედის მოულოდნელი თავდასხმა, იგი თითქმის მუდამ ბედნიერად გრძნობდა თავს. მას ესიამოვნებოდა ფორტეპიანოზე ვარჯიში, ისევე როგორც ოჯახში ფუსფუსი, საოჯახო საქმეებზე საუბარი, ანდა უბრალოდ, არაფრის კეთება. იგი ცხოვრობდა არა დღევანდელი დღით (პირიქით, მომჭირნე და წინდახედული იყო), არამედ შეეძლო ეცხოვრა ყოველი მოცემული წუთით. არაკითარი მაღალი იდეალები არ აწვალებდნენ მის გონებას; ერთადერთი მისი იდეალი, — თუ მას იდეალი შეიძლება დავარქვათ, — იყო ყოველდღიური და ყოფითი, რომელიც უსიტყვოდ მჟღავნდებოდა ყოველ მის მოქმედებაში, ყოველ მის აზრში და ემყარებოდა იმას, რომ მშვიდი სიყვარულით უყვარდა ყველაფერი, რასაც აკეთებდა, რაც უნდა ეკეთებინა. კვირაობით ეკლესიაში დადიოდა, მაგრამ რელიგიურ გრძნობას თითქმის არავითარი ადგილი არ სჭერია მის ცხოვრებაში. სესილს აღტაცებას ჰგვრიდნენ კრისტოფის მსგავსი ზეშთაგონებული ადამიანები, რომელთაც რაღაც რწმენა ან გენია აწვალებთ; თუმცა სულაც არ შურდა მათი: რას აქნევდა მათს შინაგან მოუსვენრობასა და მათს გენიას?

მაშ, როგორღა ახერხებდა, მათი მუსიკა ეგრძნო? ამის ახსნა თავად მასაც გაუჭირდებოდა, ოღონდ ნამდვილად იცოდა, რომ გრძნობდა. სესილის უპირატესობა სხვა შემსრულებლებზე მის ძლიერ ხორციელ და სულიერ წონასწორობაში ღებულობდა სათავეს; სიცოცხლის ეს სისავსე, თუ ამ დროს მიძინებულია პირადი განცდები, ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს სხვისი განცდების გასაფურჩქნავად. სხვის განცდებს გადმოსცემდა, თვითონ კი აღუშფოთველი რჩებოდა. ამ მძაფრ ვნებათაღელვას, რომელსაც ესოდენი ტანჯვა მიეყენებინა შემოქმედისათვის, იგი ამეტყველებდა მთელი ძალით, ისე რომ თვითონ არ იწამლებოდა მისი ბალღამით; დაკვრისას შეიგრძნობდა მხოლოდ შინაგან ძალას, და საამო დაღლილობას—დაკვრის შემდეგ. ადგებოდა ოფლში გაწურული და ღონეგამოლეული და მშვიდად იღიმებოდა კმაყოფილების ნიშნად.

კრისტოფი, სესილს რომ მოუსმინა ერთ საღამოს, გაოცებული დარჩა მისი დაკვრით; კონცერტის შემდეგ მივიდა და ხელი ჩამოართვა. ქალიშვილს ეამა ასეთი ყურადღება — კონცერტს ცოტა ხალხი ესწრებოდა და. საერთოდ, განებივრებული არ იყო ქათინაურებით. ვინაიდან არ გააჩნდა მოხერხება, რომელიმე მუსიკალურ დაჯგუფებას მიტმასნოდა, არ ჰყოფნიდა ეშმაკობა, თაყვანისმცემელთა გუნდი შემოეკრიბა, არ ცდილობდა გამოჩენილიყო მეტისმეტი თავისებურებით, შესრულების რაღაც გაზვიადებული ტექნიკით, ანდა ცნობილ ნაწარმოებთა ახირებული ინტერპრეტაციით, არ იჩემებდა ამ თუ იმ დიდი კომპოზიტორის — იოჰან სებასტიან ბახის თუ ბეთჰოვენის შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას, საკუთარი თეორიით არ იცავდა თავისი შესრულების მეთოდს და კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რომ უკრავდა

უბრალოდ ისე, როგორც გრძნობდა, — ყურადღებას არავინ აქცევდა და კრიტიკოსებმაც არ იცოდნენ მისი არსებობა: მათთვის არავის ეთქვა, იგი კარგად უკრავსო და, აბა ისე, თვითონ ხომ ვერ მიხვდებოდნენ.

კრისტოფი ხშირად ხვდებოდა სესილს. ეს ჯან-ღონით სავსე და წყნარი არსება გამოცანასავით იზიდავდა მას: ქალიშვილი მხნე, მაგრამ ხალისსმოკლებული ჩანდა. კრისტოფმა უკმაყოფილება გამოთქვა, სათანადოდ არ გიცნობენო და შესთავაზა სესილს, „გრან ჟურნალიდან" მეგობრებს ვთხოვ, თქვენს შესახებ დაწერონო. სესილი უარს არ იტყოდა შეექოთ, მაგრამ მაინც სთხოვა კრისტოფს, არ გარჯილიყო. არ სურდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, აუტკივარი თავი აეტკიებინა, ვიღაცეებში შური აღეძრა; ასე უფრო წყნარად ვგრძნობო თავს. ჩემზე თუ არაფერს წერენ, მით უკეთესი! თავად სესილმა არ იცოდა რა იყო შური და სხვა შემსრულებელთა ოსტატობის გამო პირველი გამოთქვამდა ხოლმე აღტაცებას. მისთვის უცხო იყო პატივმოყვარეობა, მოსვენების წამრთმევი სურვილები. საშინლად ეზარებოდა წარმოდგენის გაღიზიანება! ან უშუალოდ გარკვეული საქმით იყო დაკავებული, ან არა და საერთოდ არაფერს აკეთებდა, ოცნებითაც კი არ ოცნებობდა; ღამით, ლოგინში, თუ არ ეძინა, არასოდეს არაფერზე ფიქრობდა. არ ჰქონდა ავადმყოფური სწრაფვა გათხოვებისადმი, რაც სიცოცხლეს უწამლავს მრავალ ქალიშვილს, შიშით რომ კანკალებენ, შინაბერად არ დავრჩეთო. როდესაც სესილს შეეკითხებოდნენ, ნუთუ არ გინდოდა, კარგი ქმარი გეშოვაო, იგი მიუგებდა:

— ეგ რა საკითხვაა! არც ორმოცდაათი ათას წლიურ შემოსავალს დავიწუნებდი! მაგრამ კაცი იმას უნდა დასჯერდე, რაც გაქვს. თუ ბედი მეტს გაიმეტებს, მით უკეთესი! არა და უიმისოდაც იოლად წავალთ. როცა ქადა არა გაქვს, თბილ პურსაც კარგად მიირთმევ, მეტადრე, თუ მანამდე ხმელს პურზე გიხდებოდა გადასვლა.

— განა ისეთები კი ცოტანი არიან, ხმელა პურიც რომ ენატრებათ! — კვერს უკრავდა სესილს დედაც.

სესილს საფუძველი ჰქონდა. კაცების მიმართ უნდოდ ყოფილიყო განწყობილი. მამამისი, რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი, უხასიათო და ცუღლუტი კაცი იყო, გაწამებული ჰყავდა ცოლ-შვილი. სესილს ჰყავდა აგრეთვე ძმა — გზას აცდენილი ახალგაზრდა, რომლის ასავალ-დასავალი არ იცოდნენ. ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ოჯახში, ისიც ფულის სათხოვნელად. დედას და დას ეშინოდათ მისი, რცხვენოდათ, გული უსკდებოდათ, რომ დღეს თუ ხვალ რაღაც ცუდს გაიგებდნენ მასზე; თუმცა მაინც უყვარდათ. ერთხელ კრისტოფიც შეხვდა ამ ყმაწვილკაცს: სესილთან სტუმრად იყო; კარზე დარეკეს. დედა გასაღებად მივიდა. გვერდით ოთახში ცხარე ლაპარაკი გაიმართა, დროდადრო ყვირილში რომ გადადიოდა. სესილი ეკლებზე იჯდა. ბოლოს თვითონაც გავიდა და მარტო დატოვა კრისტოფი. დავა არ წყდებოდა, უცხო ხმა უფრო და უფრო მუქარის გამომხატველი ხდებოდა. კრისტოფმა თავის

მოვალეობად ჩათვალა ჩარეულიყო: კარი შეაღო და ძლივს მოასწრო თვალი შეევლო მხრებში მოკუზული აბალგაზრდა კაცისათვის, ზურგშექცევით რომ იდგა მისკენ, მაგრამ სესილი მივარდა, შეევედრა, ნუ შემოხვალო და თვითონაც გამოვიდა მასთან ერთად. დასხდნენ და დუმდნენ. მეზობელ ოთახში მოსულმა ერთ ხანს კიდევ იყვირა, მერე წავიდა და გაიჯახუნა კარი. სესილმა ამოიოხრა და კრისტოფს უთხრა:

— დიახ... ჩემი ძმა არის.

კრისტოფი უკვე მიმხვდარიყო:

— გასაგებია... მეცა მყავს ასეთი...

სესილმა ნაზი თანაგრძნობით ხელი ხელზე დაადო:

— თქვენც ასეთი?

— ჰო, — უპასუხა. — თითო გამხარებელი ყოველ ოჯახსა ჰყავს.

სესილმა გაიცინა და სხვა რამეზე გადაიტანეს საუბარი. არა, ამისთანა ოჯახის გამხარებელი ვერაფერი საცთური გახლდათ და გათხოვებაში სახარბიელოს ვერას ხედავდა: მამაკაცები დიდ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ მის თვალში, დამოუკიდებელ ცხოვრებაში მეტ უპირატესობას ხედავდა; დედაც ხომ სულ დაკარგულ თავისუფლებას მისტიროდა! რატომ უნდა ეთქვა, თავისი ნება-სურვილით, უარი ამ თავისუფლებაზე? ერთადერთი, რაზეც სესილმა წაიოცნება მოგვიანებით, — ღმერთმა უწყის პირველად როდის! — ეს სოფლად ცხოვრება იყო. თუმცა თავი არ შეუწუხებია იმის წარმოდგენით, თუ როგორი იქნებოდა დაწვრილებით ეს ცხოვრება: მოსაწყენი ეჩვენებოდა ამდენი ეფიქრა ჯერ განუხორციელებელ რაღაცაზე; ჯობდა მშვიდად ეძინა, ანდა გადაუდებელი საქმე გაეკეთებინა...

ჯერჯერობით კი, ოქროს კოშკების ანაბარა რომ არ დარჩენილიყო, სესილი ზაფხულობით აგარაკს ქირაობდა პარიზის გარეუბანში, სადაც თავისთვის დედასთან ერთად ცხოვრობდა. ეს ადგილი ოცი წუთის სავალზე იყო მატარებლით. სახლი, რომელიც განმარტოებით იდგა, საკმაოდ დაშორებული იყო სადგურიდან და მდებარეობდა უშენ ადგილებს შორის, ველებს რომ ეძახდნენ; ჰოდა, სესილს ხშირად გვიან, შეღამებულში უხდებოდა დაბრუნება. მაგრამ ქალიშვილს არ ეშინოდა: რისა უნდა შინებოდა? მართალია, რევოლვერი ჰქონდა, მაგრამ მუდამ შინ ავიწყდებოდა. თუმცა რა, მისი წესიერად ხმარება მაინც არ იცოდა.

სესილთან რომ მივიდოდა, კრისტოფს აუცილებლად როიალთან უნდა დაესვა მასპინძელი: მოსწონდა მუსიკალურ ნაწარმოებში მისი წვდომის უნარი, განსაკუთრებით კი ის, რომ ქალიშვილი ერთი სიტყვით უხვდებოდა, როგორი გრძნობის გადმოცემა იყო საჭირო. მან ისიც შენიშნა, რომ სესილს თურმე მშვენიერი ხმა ჰქონდა, — ამას ქალიშვილი ვერც იფიქრებდა. კრისტოფი ძალით ავიჯიშებდა — ძველ გერმანულ Lied-ებს ან თავის საკუთარ რამეებს ამღერებდა; ქალიშვილი გახალისდა და წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, რაც

კრისტოფთან ერთად თვითონაც უკვირდა. იგი საოცარი ნიჭით დაჯილდოებული აღმოჩნდა. მუსიკალური ნიჭის ნაპერწკალი, რაღაც სასწაულად, ყოველგვარ მხატვრულობის გრძნობას მოკლებული წვრილი პარიზელი ბურჟუის ქალიშვილში ჩავარდნილიყო ანაზდად. ფილომელა, როგორც მას კრისტოფმა მეტსახელად შეარქვა, ხშირად ესაუბრებოდა მუსიკაზე, მაგრამ მუდამ პრაქტიკული მიზნით, ყოველგვარი სანტიმენტების გარეშე: ჩანს, ქალიშვილს მხოლოდ სიმღერისა და დაკვრის ტექნიკა აინტერესებდა. ყველაზე ხშირად, როცა სესილი და კრისტოფი ერთად იყვნენ და მუსიკით არ იყვნენ გართული, ყველაზე ყოფით თემებზე საუბრობდნენ ხოლმე — ყოველდღიურ საზრუნაკზე, სამზარეულოზე, ოჯახურ საქმეებზე. კრისტოფი, რომელიც ერთ წუთსაც ვერ გაძლებდა, რომ რომელიმე მეშჩანი ქალისაგან ასეთი საუბრები ესმინა, ფილომელასთან ისე მუსაიფობდა, ვითომც არაფერი.

ასე ერთად ატარებდნენ საღამოებს და გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი წყნარი, თითქმის ცივი სიყვარულით. ერთ საღამოს, როდესაც კრისტოფი საღილად მოვიდა და საუბარში ჩვეულებრივზე მეტად შეაგვიანდა, საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. კრისტოფი წასასვლელად გაემზადა, რომ ბოლო მატარებლისათვის მიესწრო, მაგრამ წვიმა კოკისპირულად ასხამდა და ქარი მძვინვარებდა. მაშინ სესილმა უთხრა:

— ასეთ ამინდში სად უნდა წახვიდეთ? დარჩით და დილაზე წადით.

კრისტოფი პაწაწინა სასტუმროში, სახელდახელოდ მოწყობილ საწოლზე მოთავსდა. სესილის ოთახისაგან თხელი ტიხარი ყოფდა; კარი არ იკეტებოდა. კრისტოფი იწვა და ტიხარს იქიდან სესილის საწოლის ჭრიალი და ახალგაზრდა ქალის მშვიდი სუნთქვა ესმოდა. ხუთიოდე წუთში ქალიშვილს უკვე ეძინა; თვითონაც აღარ დააყოვნა მიებაძა მისთვის, და რაიმე ბნელ ფიქრს ოდნავაც კი არ დაუჩრდილავს მათი გონება.

ამავე დროს კრისტოფს გაუჩნდა ახალი, უცნობი მეგობრები, რომლებსაც იზიდავდა მისი შემოქმედება. ისინი უმეტესად ან პარიზიდან შორს ცხოვრობდნენ, ანდა განზე იდგნენ და სალონებში ვერ შეხვდებოდნენ კომპოზიტორს. გაჰმაურებას, თუნდაც საყაყანოსა და ზოგჯერ არასასურველს, თავისი დადებითი მხარეც ახლავს: მისი წყალობით ხელოვანი მისაწვდომი ხდება ათასობით პატიოსანი ადამიანისათვის, რომლებიც, გაზეთების ეს ბრიყვული სტატიები რომ არა, ვერასოდეს გაიგებდნენ მის სახელს. ჰოდა, კრისტოფმა მეგობრული ურთიერთობა გაბა ზოგიერთ ამ უცნობ თანამოაზრესთან. ესენი იყვნენ მარტოხელა ახალგაზრდა ადამიანები, მარტოდმარტო რომ ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს და მთელი არსებით ელტვოდნენ რაღაც იდეალს, ცხადად თვითონაც რომ არ ჰქონდათ წარმოდგენილი; მათ იცნეს კრისტოფის მოძმე სული და მეგობრობის გრძნობით განიმსჭვალნენ მისდამი. ესენი იყვენ თავმდაბალი პროვინციელები, რომლებმაც, მისი Lied-ები რომ მოისმინეს, იგრძნეს, რომ რაღაც საერთო აკავშირებდათ კომპოზიტორთან და მისწერეს მას, როგორც

ოდესღაც ძველმა მეგობარმა შულცმა. ესენი იყვნენ ღარიბი ხელოვანნი,—მათ შორის ერთი კომპოზიტორიც. — რომელთაც არათუ წარმატების მიღწევის, თავიანთი გულისნადების გადმოცემის ილაჯიც კი არ შესწევდათ და ბედნიერად შერაცხეს თავი, რომ მათს ჩანაფიქრს ხორცი შეასხა კრისტოფმა. ყველაზე ძვირფასი კი, ცხადია, ის წერილები იყო, რომელთა ავტორები გვარს არ აწერდნენ ბოლოში და ამიტომ არაფრით იზღუდებოდნენ, უფრო ალალად გადაეშალათ გული, უფრო გულწრფელი ერთგულება გამოეცხადებინათ თავიანთი უფროსი ძმისათვის, რომელსაც ესოდენი შვება მიენიჭებინა მათთვის. კრისტოფი გულდაწყვეტილი ფიქრობდა, რომ ვერასოდეს გაიცნობდა ამ ჩინებულ ადამიანებს, რომელთა შეყვარება ესოდენ სასიხარულო იყო; და გრძნობით კოცნიდა რომელიმე უცნობის წერილს, როგორც გრძნობით კოცნიდა მისი დამწერი კრისტოფის Lied-ების ნოტებს; და ორივენი თავ-თავისთვის ფიქრობდნენ:

„ძვირფასო სტრიქონებო, რარიგ შვებას მგვრით!“

ასე ყალიბდებოდა კრისტოფის გარშემო, სამყაროს ყოვლისშემცველი რიტმის დარად, გენიოსის პატარა ოჯახი, რომელიც მისი სულით საზრდოობს და, თავის მხრივ, თვითონაც ასაზრდოებს მის შემოქმედებას; ნელ-ნელა ეს ოჯახი იზრდება და ბოლოს ერთ დიდ კოლექტიურ სულს წარმოქმნის, რომლის ბირთვს იგი წარმოადგენს, მსგავსად პლანეტათა სისტემისა, ვით სულიერი მნათობი, სივრცეში რომ ბრუნავს და თავის მოძმეთა გუნდს სფეროთა ჰარმონიას უერთებს.

კრისტოფსა და ამ უხილავ მეგობრებს შორის იდუმალი კავშირების გაბმასთან ერთად, გადატრიალება ხდებოდა კომპოზიტორის მხატვრულ მრწამსში, რომელიც უფრო ფართო, ზოგადადამიანურ ხასიათს იძენდა. კრისტოფს უკვე მიუღებლად მიაჩნდა მუსიკა, რომელიც მონოლოგს, მხოლოდ საკუთარ გულთან განდობას წარმოადგენდა, მეტადრე განსწავლული პროფესიონალიზმით გაბუნდოვნებული, მარტოოდენ სპეციალისტთათვის რომ იყო გასაგები. მას სურდა, რომ მუსიკა გრძნობების გაზიარების საშუალება ყოფილიყო ადამიანებს შორის. მხოლოდ იმ ხელოვნებას შეიძლება ჰქონდეს სასიცოცხლო მნიშვნელობა, რომელიც ეხება სხვების გულს. იოჰან სებასტიან ბახს, მარტოობის ყველაზე უნუგეშო წუთებში, ადამიანებთან აკავშირებდა ღვთიური რწმენა, რომელსაც გამოხატავდა თავის შემოქმედებაში. ჰენდელი და მოცარტი, გარემოებათა გამო, სწორედ ხალხისათვის წერდნენ და არა მარტო საკუთარი თავისთვის. თვით ბეთჰოვენიც კი საჭიროდ თვლიდა ანგარიში გაეწია ბრბოსათვის. ეს მარგებელია, საჭიროა, რომ კაცობრიობამ შეახსენოს ხოლმე გენიოსს:

„საჩემო თუ არის რამე შენს შემოქმედებაში? არაფერი? აბა, გასწი აქედან!“

ამ იძულებით მოგებული პირველ რიგში თვითონ გენიოსი რჩება. რასაკვირველია, გვხვდებიან დიდი ხელოვანნი, მხოლოდ საკუთარ თავს რომ გამოხა-

ტავენ. მაგრამ უფრო ხშირად ყველაზე დიდები ის ხელოვანნი არიან, რომელთა გული ყველასათვის ძგერს. ვისაც სურს ცხადად და საკუთარი თვალით იხილოს ღმერთი, იგი თავისი აზრების უდაბურ ზეცაში კი არა, არამედ ადამიანებისადმი სიყვარულში უნდა ეძებოს.

თანამედროვე ხელოვანნი კი შორს იყვნენ ამ სიყვარულისაგან. ისინი წერდნენ პატივმოყვარე, თავკერძა და ხალხის ფესვებს მოწყვეტილ „რჩეულთათვის" მხოლოდ, რომლებსაც თავი მოჰქონდათ იმით, რომ არ იზიარებდნენ სხვა ადამიანების სიხარულსა და ტკივილებს, ანდა აბუჩად იგდებდნენ მათს ვნებებს. დიდი სატრაბახოა, ხალხის ცხოვრებას მოეკვეთო, ოღონდ კი არ ჰგავდე სხვებს! ჯანდაბას მათი თავი, თუკი ასე სურთ! ჩვენ კი, მოდი, მივდიოთ ცოცხლებს, ვწოვოთ ძუძუ მშობელი მიწისა, ვეზიაროთ ყველაზე წმინდას, რაც გააჩნია კაცთა მოდგმას — სიყვარულს ჩვენი ოჯახისა და დედა მიწისადმი. ყველაზე დიდი თავისუფლების ეპოქაში იტალიური აღორძინების ჭაბუკმა უფლისწულმა რაფაელმა დედობა განადიდა თავის ტიბრგაღმელ მადონებში. ვინ შეგვიქმნის დღეს მუსიკაში „მადონას სავარძელში"? ვინ შეგვიქმნის მუსიკას ცხოვრების ყოველი ჟამისათვის? თქვენ ხომ არაფერი, სრულებით არაფერი გაგაჩნიათ ფრანგული. როდესაც გინდათ სიმღერა მიუძღვნათ თქვენს ხალხს, იძულებული ხართ წარსულის გერმანელ კომპოზიტორთა მუსიკა გადაამღეროთ და დაიჩემოთ. ფრანგულ ხელოვნებაში ყველაფერი ჯერ თავიდან შესაქმნელი, ანდა ძირფესვიანად გადასაკეთებელია..

კრისტოფს მიწერ-მოწერა ჰქონდა ოლივიესთან, რომელიც იმხანად ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში დაფუძნებულიყო. კომპოზიტორი ცდილობდა წერილების საშუალებით კიდევ შეენარჩუნებინა ერთ დროს მათი ესოდენ ნაყოფიერი თანამშრომლობა. სურდა, რომ ოლივიეს შეეთხზა მისთვის პოეტური ტექსტები, რომლებშიც გამოხატულებას ჰპოვებდნენ ყოველდღიური ჩვენი ფიქრები და მოქმედებანი, იმის მსგავსი, საფუძვლად რომ დაედო თავის დროზე ძველ გერმანულ Lied-ებს; მოკლე ნაწყვეტები საღმრთო წიგნებიდან ან ინდუსური ეპოსიდან; მცირე ზომის რელიგიური ან ზნეობრივი საგალობლები, ბუნების პატარ-პატარა სურათები, სატრფიალო ან ოჯახური ყოფის გამომხატველი ლანდები, დილის სისხამის, საღამოს ბინდისა და ღამის პოეზია, მისაწვდომი უბრალო და ჯანმრთელი ვულებისათვის. სულ ოთხი ან ექვსი ტაეპი კმარა, ოღონდ რაც შეიძლება მარტივი ენით გადმოცემული, ყოველგვარი განსწავლული წიაღსვლებისა და მეტისმეტად გაფაქიზებული კეთილხმოვანების გარეშე. რად მინდა თქვენი ნაჯახირევი ესთეტურობა? შეიყვარეთ ჩემი ცხოვრება, რათა დამეხმაროთ შევიყვარო იგი! დაწერეთ ჩემს მიერ განცდილი „დღენი საფრანგეთისა", ჩემი „დიდი და პატარა დღენი". ვეძებოთ ყველაზე ნათელი მელოდიური ფრაზები. სათოფეზე არ გავეკაროთ მხატვრულ ქარაგმულობას, მხოლოდ გარკვეული კასტისათვის გასაგებს, როგორსაც წარმოადგენს დღეს მრავალი კომპოზიტორის მუსიკა. საჭიროა გამბედაობა, რომ ვილაპა-

რაკოთ ჩვეულებრივი ადამიანური ენით და არა არტისტული მანერულობით. გადახედე, როგორ იღვაწეს ჩვენმა მამებმა. განა საყოველთაო მუსიკალური მეტყველებისაკენ დაბრუნებამ არ წარმოშვა XVIII საუკუნის დასასრულის კლასიკოსთა ხელოვნება? გლუკის, სიმფონიის შემქმნელთა და Lied-ის პირველ შემოქმედთა ჰანგები ყოველდღიური და ზოგჯერ ერთობ მდაბიურიც კია, იოჰან სებასტიან ბახისა და რამოს უაღრესად დახვეწილ და დამუშავებულ ჰანგებთან შედარებით. დიდი კლასიკოსები სწორედ იმის წყალობით არიან ესოდენ მომხიბვლელნი, რომ ფესვები ღრმად აქვთ გადგმული მშობლიურ ნიადაგში. მათი შემოქმედება Lied-ის, Singspiel-ის[1] ყველაზე უმარტივესი მუსიკალური ფორმებიდან იღებს სათავეს: ყოველდღიური ცხოვრების ამ ნაზი ყვავილების სურნელით არის გაჟღენთილი მოცარტისა და ვებერის სიყმაწვილე. მიბაძეთ მათ! წერეთ სიმღერები ყველასათვის. მათ საძირკველზე ააგებთ შემდეგ ნამდვილ სიმფონიებს. ვის სჯერდება ეს საფეხურებზე გადახტომა? პირამიდის აშენებას წვერიდან არ იწყებენ. დღევანდელი თქვენი სიმფონიები — ეს თავებია, რომელთაც ტანი არ გაჰნიათ. ო, მშვენიერო სულებო, ხორცი შეისხით! საჭიროა მუსიკოსთა მოთმინებით მორეულნე თაობები, რომლებიც იძმობენ თავინთ ხალხს. მუსიკალური ხელოვნების ტაძარი ერთ დღეში არავის აუგია.

კრისტოფი ამ პრინციპების გასატარებლად მბოლოდ მუსიკით როდი იფარგლებოდა; იგი მოუწოდებდა ოლივიეს, ლიტერატურაში დაენერგა ისინი:

— თანამედროვე მწერლები, — წერდა იგი ოლივიეს, — ლამობენ ასახონ ადამიანური იშვიათობანი, ანუ ისეთი ტიპები, რომლებიც არანორმალურთა კატეგორიას განეკუთვნებიან და, მაშასადამე, ქმედით და ჯანსაღ ადამიანთა დიდი საზოგადოების გარეთ დგანან. რაკიღა მათ თავიანთი ნებით ცხოვრების გარეთ გაუგდიათ თავი, დაეხსენ მათ და გასწი იქ, სადაც ცხოვრების ადამიანები ჰრიან. ჩვეულებრივ ადამიანებს ჩვეულებრივი ცხოვრება დაანახე: იგი უფრო ღრმა და უფრო ვრცელია, ვიდრე ზღვა. ჩვენს შორის ყველაზე უმცირესიც კი უსასრულობას უდრის. უსასრულობას უდრის ყოველი კაცი, რომელსაც შეუძლია უბრალო ადამიანად დარჩეს — შეყვარებულში, მეგობარში, ქალში — ტანჯვის ფასად რომ მოიპოვებს დედობის ამაყ სიხარულს, იმ უცნობში, ვინც ჩუმად ეწირება მსხვერპლად და ვის თავგანწირვასაც ვერასოდეს ვერავინ გაიგებს; იგი ცხოვრების ძალუმი ტალღაა, ერთიდან მეორისაკენ რომ მიიქცევა, მეორიდან პირველისაკენ მოიქცევა... წერე ამ უბრალო ადამიანების უბრალო ცხოვრებაზე, წერე მშვიდი ეპოპეა დღეთა დაუსრულებელი რიგისა, ერთიმეორეს რომ მისდევენ, ესოდენ მსგავსნი და ესოდენ განსხვავებულნი, ერთი დედის შობილნი დასაბამიდან ქვეყნიერებისა. წერე იგი უბრალოდ. რუ აიტკიებ თავს ღვლარჭნილი ფრაზების ძიებით, რაზეც ფლანგავენ თავიანთ

[1] პიესა მუსიკის თანხლებით (გერ.)

ძალ-ღონეს თანამედროვე ხელოვანნი. შენ გინდა აზრი გაუზიარო ყველას: ილაპარაკე ყველას ენაზე. არ არსებობს კეთილშობილი და მდაბიური სიტყვები, არამედ არიან ადამიანები, რომლებიც ზუსტად ან არაზუსტად გამოხატავენ საოქმელს. იყავი ზუსტი და პირდაპირი ყველაფერში, რასაც უნდა აკეთებდე: იფიქრე, რასაც ფიქრობ და იგრძენი, რასაც გრძნობ. დაე, შენი ვულის რიტმმა აღაგზნოს შენი ნაწერები! სტილი — ეს სულია.

ოლივიე კი ეთანხმებოდა კრისტოფს, მაგრამ მის პასუხმა ერთგვარი დაცინვა გამოსჭვიოდა:

— ასეთი ნაწარმოები მართლაც მშვენიერი იქნებოდა; მაგრამ იგი ვერასოდეს მიაღწევდა იმ მკითხველებამდე, ვისთვისაც ის დაიწერა: კრიტიკა შუაგზაზე ჩაახშობდა მას.

— აი, კიდევ ერთი პატარა მეშჩანი ფრანგი! — შესძახებდა კრისტოფი. — ივი იმაზე წუხს, რას იფიქრებს მის წიგნზე კრიტიკა!... კრიტიკოსები, ჩემო კარგო, მხოლოდ იმისათვის არიან, რომ აღნიშნონ გამარჯვება ან დამარცხება. მთავარია, „გამარჯვებული იყო!.. მე უიმათოდ იოლად შივდივარ! ისწავლე, შენც იოლად წახვიდე...

მაგრამ ოლივიეს უკვე ესწავლა იოლად წასულიყო კიდევ უბევრრამისოდ! თვით ხელოვნების, თვით კრისტოფის გარეშეც. ამ წუთას იგი ქვეყნად არაფერზე აღარ ფიქრობდა, ჟაკლინის გარდა.

სიყვარულის ეგოიზმს ყველაფერი დაეცარიელებინა მათ გარშემო; ისინი წინდაუხედავად ბუგავდნენ მთელ თავიანთ მარავს, აღარაფერს იტოვებენ სახვალიოდ.

ეს გახლდათ სიმთვრალე პირველ ხანებისა, როცა ერთ არსებად შერწყმული ორი შეყვარებული ერთ ფიქრს შეუპყრია — ერთსულ და ერთხორც იქცნენ.. სხეულისა და სულის ყოველი ნაწილაკით ეხებიან და შეიგრძნობენ ერთმანეთს, ცდილობენ, განიმსჭვალონ ერთიმეორით. ორნი ერთად — ეს მთელი სამყაროა, ყოველგვარ კანონს დაუმორჩილებელი სიყვარულის ქაოსი, სადაც ერთურთში არეულ სტიქიებს ჯერ არ შეუცვნიათ ურთიერთგანსხვავებანი და ერთიმეორეს მოწყურებულნი ისწრაფვიან შთანთქან ერთმანეთი. შეყვარებულს ყველაფერი აღაფრთოვანებს შეყვარებულში. იგი — ეს თვითონვე არის. რას აქნევენ ისინი მსოფლიოს? საამო ავხორცობის სიზმარში მყოფი ანტიკური ანდროგინეს მსგავსად, მათ თვალები დახუჭული აქვთ მსოფლიოსათვის, მსოფლიო თვით მათშია...

ო, დღენო და ღამენო — ამ სიზმრების ქსელით ერთი დიდი სიზმრის მქსოველნო, საათებო, ისე გარბიხართ, ვით ღრუბლის ქათქათა ქულები და აღარაფერი რჩება თქვენგან ხელშესახები, მხოლოდ — მკრთალი მოგონება დაბინდულ თვალებში; თბილო სუნთქვავ, გაზაფხულის მოთენთილობის მომგვრელო, აღგზნებულ სხეულთა მხურვალებავ, სიყვარულის მზიანო ყვავილნარო,

უბიწო ურცხვობავ, გიჟურო ხვევნავ, ოხვრავ, სიცილ-კისკისო და სიხარულის ცრემლებო, რაღა შთება თქვენგან, ბედნიერების მტვერნო? გულსაც კი უჭირს თქვენი გახსენება — რადგან, როდესაც თქვენ იყავით, დრო არ არსებობდა.

დღეები ერთიმეორის მსგავსნი... წყნარი რიჟრაჟი... უცებ ორი ჩახუტებული სხეული ძილის ბურანიდან ერკვევა, ორი მოღიმარი სახე ერთად ახელს თვალებს, შეხედავენ და სუნთქვაშერწყმულნი ტუჩებით ეწებებიან ერთმანეთს... დილის სისხამის ნაზი სიგრილე და ქალწულებრ უმანკო ჰაერი აცხრობენ ალმოდებულ სხეულთა მხურვალებას... დაუსრულებელ დღეთა ნეტარი თვლემა, რომელთა სიღრმეში ბზუის ღამეთა ავხორცობის გამოძახილი... ზაფხულის ბინდბუნდი, ერთად ოცნება მინდორში, ხავერდოვან მდელოზე, მაღალი, თეთრი ხვალოების მოშრიალე ფარჩებს ქვეშ... საამო საღამოები, გასხივოსნებული ცის ქვეშ ხელიხელგადახვეულნი, მეოცნებე სახით რომ ბრუნდებით სიყვარულის სარეცელისაკენ. ქარი აქანავებს ბუჩქების ტოტებს. ცის ნათელ ტბაში ლივლივებს ვერცხლისფერი მთვარის თეთრი ბუმბული. ვარსკვლავი წყდება და ვარდება... გული გადაგიქანდება — სადღაც უხმოდ გაქრა მთელი მსოფლიო. ხანდახან გზაზე გვერდით ჩაგივლიან ჩქარი ნაბიჯით მიმავალი, მუნჯი ლანდები. ქალაქის ზარების რეკა ხვალინდელ დღესასწაულს აუწყებს. შეყვარებულნი წამით ყუჩდებიან; ქალი ეკვრის ვაჟს, ხმაამოღებლივ არიან გაჩერებული... ოჰ! ნეტა ეს ცხოვრებაც ასე გაჩერდებოდეს, როგორც ეს წამი!... ჟაკლინი ამოიოხრებს და წარმოთქვამს:

— მაინც რატომ მიყვარხარ ასე?...

იტალიაში რამდენიმე კვირის მოგზაურობის შემდეგ ისინი დამკვიდრდნენ დასავლეთ საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც ოლივიე მასწავლებლად იყო დანიშნული. ჟაკლინს და ოლივიეს თითქმის არავისთან ჰქონდათ მისვლა-მოსვლა, არაფერი არ აინტერესებდათ. ხოლო როდესაც მიწვევაზე უარის თქმა აღარ ხერხდებოდა, მათი წრესგადასული გულგრილობა ისე აშკარად და უბოდიშოდ ვლინდებოდა, რომ ზოგში წყენას იწვევდა, ზოგში კი ღიმილს. სიტყვები ყურს ეხებოდნენ, მაგრამ გულს არა. მათ ისეთი კადნიერი მედიდურობის გამომხატველი გამომეტყველება მიეღოთ, ახალდაქორწინებულთ რომ სჩვევიათ და თითქოს გეუბნებათ:

„თქვენ არავინ არაფერი იცით...“

ჟაკლინის სანდომიანსა და ფიქრმორეულ, ცოტა გამწყრალ სახეზე, ისევე როგორც ოლივიეს ბედნიერსა და გაფანტულ მზერაში, შეიძლებოდა ამოგეკითხათ:

„რომ იცოდეთ, როგორ მოგვაბეზრეთ თავი!... ნეტა როდის დავრჩებით მარტონი?“

მაშინაც კი, როცა ნაცნობ საზოგადოებაში იმყოფებოდნენ, არ ეუხერხულებოდათ, თავი ისე სჭეროდათ, ვითომც მარტონი ყოფილიყვნენ. თანამოსაუბრეებს ხშირად შეუნიშნავთ მათი თვალებით ლაპარაკი, რასაც არავითარი

კავშირი არ ჰქონია საერთო საუბართან. ერთმანეთის თვალებში ცქერა არც სჭირდებოდათ, რომ ერთმანეთისთვის ემზირათ, და იღიმებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ორივენი ერთსა და იმავე რამეზე ფიქრობდნენ. როდესაც საზოგადოებაში იძულებით ყოფნას თავს დააღწევდნენ და კელავ მარტონი რჩებოდნენ, სიხარულისაგან კიოდნენ და პატარებივით ცელქობდნენ. რვა წლის ბავშვებად იქცეოდნენ. ენას სულელურად იჩლექდნენ. ერთმანეთს მოფერებით სასაცილო მეტსახელებს არქმევდნენ. ჟაკლინი ხან ოლივს ეძახდა, ხან ოლივეს, ხან კიდევ ოლიფანს, ფანის, მამის, მიმს, მინოს, კინოს, კაუნიცს, კოზიმას, კობურს, პანოს, ნაკოს, პონეტს, ნაკეს, კანოს. იგი თავს იგოგოებდა. მაგრამ სურდა ყველაფერი ყოფილიყო — ერთსა და იმავე დროს დედობა, დობა, ცოლობა, შეყვარებულობა და საყვარლობა გაეწია ოლივიესათვის.

ჟაკლინი ქმართან ერთად მარტო სიხარულს როდი იზიარებდა; იგი, როგორც აღთქმული ჰქონდა, მის შრომასაც ინაწილებდა: ესეც თამაში გახლდათ. პირველ ხანებში დიდი გულმოდგინება გამოიჩინა: მისთვის სამუშაო ჯერ სიახლეს წარმოადგენდა; თითქოს სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა თვით ყველაზე უმადური საქმე—ბიბლიოთეკებში ციტატების ამოწერა, მოსაწყენი ტექსტების თარგმნა, — ყოველივე ეს შედიოდა მის გეგმაში ძალზე სპეტაკი და ძალზე სერიოზული ცხოვრებისა, რომელიც მთლიანად კეთილშობილური იდეალებისა და ერთობლივი შრომისათვის უნდა შეეწირა. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ამ იდეალებს სიყვარული აცისკროვნებდა, რამეთუ ჟაკლინი ამ დროს მხოლოდ ოლივიეზე ფიქრობდა და არა საქმეზე, რომელსაც აკეთებდა. მაგრამ საგულისხმო ის იყო, რომ ასეც ყველაფერი კარგად გამოუდიოდა. მისი გონება ისე იოლად სძლევდა ესოდენ განყენებულ მასალას, სხვა გარემოებაში რომ ვერ გაართმევდა თავს; სიყვარულს მიწიდან აღეტაცა მისი არსება. თავად იგი ვერ ამჩნევდა ამას და, როგორც მთვარეული, სახურავებზე რომ დააბიჯებს, მშვიდად და გვერდზე გაუხედავად მიჰყვებოდა თავის სერიოზულ და მხიარულ ოცნებას...

მერე, ჟაკლინმა სახურავების გარჩევა დაიწყო, თუმცა ამას არ შეუშფოთებია იგი; ის კი იკითხა, მაღლა რას ვაკეთებო და მიწაზე დაბრუნდა. მუშაობა მოსაწყენი ეჩვენა. მან თავი დაირწმუნა, რომ შრომა ხელს უშლიდა მათ სიყვარულში. ცხადია, იმიტომ, რომ მათი სიყვარული უკვე ისე მხურვალე ვეღარ იყო. თუმცა ამის დამადასტურებელი არაფერი ჩანდა. პირიქით, ერთი წუთიც კი აღარ შეეძლოთ გაეძლოთ უერთმანეთოდ. თავი ამოიქოლეს საზოგადოებისაგან, კარი მაგრად ჩაიკეტეს და ფეხი აღარავისთან მიდგეს. ისინი ეჭვიანობდნენ, თუ რომელიმე მათგანის მიმართ ვინმე კეთილ გრძნობას გამოიჩენდა, ეჭვიანობდნენ ერთიმეორის საქმიანობის გამოც კი, ყველაფრის გამო, რასაც შეეძლო მოეწყვიტა ცოლ-ქმარი ურთიერთსიყვარულისათვის. კრისტოფთან მიწერ-მოწერამაც იკლო. ჟაკლინს თვალში არ მოსდიოდა იგი. კრისტოფში მეტოქეს ხედავდა, ოლივიეს იმ წარსულის განსახიერებას რომელშიც ჟაკლი-

ნი ჯერ არ არსებობდა; ხოლო რაც უფრო დიდი ადგილი ეჭირა კრისტოფს ოლივიეს ცხოვრებაში, მით უფრო ცდილობდა, — ცხადია, უნებლიეთ, — წაერთმია მისთვის ეს ადგილი. ყოველგვარი ხრიკების გარეშე, იგი ნელ-ნელა მეგობარს აშორებდა ოლივიეს; ჟაკლინი დასცინოდა კრისტოფის ჩვევებს, მის ყოფაქცევას, წერილში ნახმარ მის გამოთქმებს, პირად შემოქმედებით გეგმებზე ლაპარაკს, მაგრამ უბოროტოდ და უეშმაკოდ, — ამას დედაბუნება უკარნახებდა მას. ოლივიეს ართობდა მისი შენიშვნები, ამაში ცუდს ვერაფერს ხედავდა; მას ეგონა, რომ ისევ ისე უყვარდა კრისტოფი, მაგრამ მხოლოდ საკუთარი თავი უყვარდა მასში, — ეს კი მეგობრობისათვის საკმარისი არ არის. იგი ვერ ამჩნევდა, რომ თანდათან აღარ ესმოდა კრისტოფისა, გული გაჰგრილებოდა მისი აზრებისადმი, იმ გმირული იდეალიზმისადმი, ცოტა ხნის წინათ ასე რომ აერთებდა მათ... სიყვარული ახალგაზრდა გულს ისეთ ძალუმ სიამეს ანიჭებს, რომ მის გვერდით სხვა რაიმე რწმენა ვეღარ ბოგინობს, საყვარელი არსება, მისი სული, რომელსაც, როგორც ყვავილს, სათაყვანო სხეულის მოფერებით ეტრფი, არის შენი მეცნიერება და შენი რწმენა. რა ღიმმორეული სიბრალულით უმზერ ახლა მათ, ვინც ასე თაყვანს სცემს რაღაც იდეალებს, რომელთათვისაც ოდესღაც შენც თაყვანი გიცია! მჩქეფარე ცხოვრებისა და მისი მძაფრი ბრძოლის ველზე ვეღარაფერს ხედავ ამ წუთიერად გაშლილი ყვავილის მეტს, მარად უჭკნობი რომ გეჩვენება... სიყვარულს შთაენთქა ოლივიე. თავდაპირველად მას იმის ძალა მაინც შესწევდა, თავისი ბედნიერება ნატიფ ლექსებში გამოეხატა. მერე ესეც გაუმართლებელი მოეჩვენა: რატომ მოეპარა სიყვარულისათვის წუთები? ჟაკლინიც, უფრო მეტი დაჟინებით, ვიდრე ოლივიე, უარყოფდა სიცოცხლის ყოველგვარ სხვა აზრს, გარდა სიყვარულისა, და ჭრიდა ხეს ცხოვრებისა, იმ ერთადერთ ღეროს, რომელსაც ეხვევა სიყვარულის სურო და ურომლისოდაც ჭკნება მისი ყვავილი. ამრიგად, ორივენი ფუჭად იფლანგავდნენ თავს თავიანთ ბედნიერებაში.

ვაგლახ! რა მალე ეჩვევი ბედნიერებას! როცა პირადი ბედნიერება ცხოვრების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს, ცხოვრება მყისვე უმიზნო ხდება. ბედნიერება ჩვეულად იქცევა, იმ ნარკოტიკულ ბანგად, ურომლისოდ გაძლება აღარ ძალგიძს. რარიგ საჭირო კია, რომ შეგვეძლოს!... ბედნიერება მსოფლიო რიტმის პატარა წუთია, ერთი იმ პოლუსთაგანი, რომელთა შორის დაქანაობს ცხოვრების ქანქარა: ქანქარას ვერ გააჩერებ, უკეთუ არ დაამსხვრევ მას...

მათ იწვნიეს ეს „მოწყენა კეთილდღეობისა, რომელიც ახელებს გრძნობიერებას". ნეტარმა საათებმა უფრო ნელა, უფრო უხალისოდ იწყეს დენა, გაიცრიცნენ, ვით ყვავილი უწყლოდ. ცა კვლავ მოწმენდილი ჩანდა; მაგრამ დილის ჰაერი აღარ იყო უწინდებურად მსუბუქი. ირგვლივ ყველაფერი გარინდულიყო, ბუნება დუმდა. ისინი მარტონი იყვნენ, რასაც ნატრობდნენ. მაგრამ გული დამძიმებოდათ.

სიცარიელის გაურკვეველი განცდა დაეუფლათ, რაღაც ბუნდოვანი მოუსვენრობა, რომელიც მთლად უსიამოსაც არ ჰგავდა. ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა მათს გულში; იდუმალ შეშფოთებას გრძნობდნენ, ავადმყოფურად შთაბეჭდილებიანი გამხდარიყვნენ. სიჩუმის გამოსაცნობად დაძაბული მათი ნერვები ისე თრთოდნენ, როგორც ფოთლები, ოდნავი მოულოდნელი ბიძგისაგან. ჟაკლინი, წამდაუწუმ თვალები რომ უცრემლიანდებოდა უმიზეზო ტირილით, თავს ირწმუნებდა, სიყვარულის ბრალიაო; მაგრამ მარტო სიყვარული არაფერ შუაში იყო. გზნებითა და მოუსვენრობით აღსავსე წლების შემდეგ, წინ რომ უძღოდა ქორწინებას, ახლა, როცა მიზანი მიღწეული, უკვე გადაბჯებულიც იყო და საფუძველი აღარ არსებობდა ახალი განცდებისათვის, ხოლო ძველი განცდები კი, ეტყობა, ამაო ეჩვენებოდა, — ვნებებისაგან უეცარ დაცარიელებას თავისდაშეუცნობლად აეფორიაქებინა და საგონებელში ჩაეგდო ჟაკლინი. იგი როდი უტყდებოდა თავს, რომ რაღაც აწუხებდა; თავის უგუნებობას ნერვიული გადაღლილობით ხსნიდა და ვითომ კიდეც დასცინოდა ამას, მაგრამ მის სიცილში არანაკლები შეშფოთება გამოსჭვიოდა, ვიდრე მის ცრემლებში. გულის გასამხნევებლად სცადა, კვლავ ხალისით ემუშავა. მაგრამ პირველსავე ცდებზე მხრები აიჩეჩა: ამისთანა მოსაწყენი საქმე ან აქამდე როგორ არ მბეზრდებოდაო, და ზიზღით უკუაგდო იგი. ჟაკლინმა სცადა საზოგადოებრივი ურთიერთობანი განეახლებინა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა: ჩვეულებას თავისი ექნა — უკვე გადაჩვეულიყო ადამიანებთან უმიზნო მისვლა-მოსვლასა და ზერელე საუბრებს, რასაც ყოველდღე გვაიძულებს ცხოვრება. ყოველივე ეს სასაცილოდ ჩათვალა და კვლავ ოლივიესთან ერთად თავის მარტობას დაუბრუნდა, თან წარუმატებელი ცდების შემდეგ თავს იმშვიდებდა: ქვეყნად არაფერია ისეთი, რომ სიყვარულის წუთები მას ანაცვალოო. რამდენიმე ხანს ჟაკლინი მართლაც უფრო შეყვარებულივით იქცეოდა, ვიდრე ოდესმე. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ სურდა შეყვარებული ყოფილიყო.

ოლივიე, ნაკლებ ვნებიანი და უფრო მოსიყვარულე, მეტად იყო დაცული ამ შეშფოთებისაგან; მხოლოდ ხანდახან თუ გაუელვებდა გულში ბუნდოვანი შიში. ამასთან, ყოველდღიური დატვირთულობა და მასწავლებლის უხალისო საქმიანობა ერთგვარად იფარავდნენ მის სიყვარულს. მაგრამ რადგან მეტისმეტად მგრძნობიარე იყო და უმცირესი მღელვარებაც კი საყვარელი არსების გულისა უმალ გამოძახილს პოულობდა მისსავე გულში, ჟაკლინის ფარული შეშფოთება მასაც ედებოდა.

ერთხელ, ნაშუადღევს, ქალაქგარეთ გაისეირნეს. ორივეს წინასწარ ახარებდა ეს გასეირნება. მშვენიერი ამინდი იდგა, ირგვლივ ყველაფერი მზიარულებას ჰგვრიდა კაცს. მაგრამ პირველივე ნაბიჯებზე წუხილის აღმძვრელი, გაბთანგველი ნაღვლიანობა დაეუფლათ და სიცივემ გამსჭვალა ორივეს გული. კრიჭა შეკკროდათ. თავს ძალას ატანდნენ ლაპარაკი წამოეწყოთ, მაგრამ ყოველი სიტყვა, ნაძალადევად რომ ამოთქვამდნენ, იმაზე მეტყველებდა, რომ

სათქმელი არაფერი ჰქონდათ. სეირნობა დაამთავრეს, თითქოს მოვალეობა მოიხადესო, ისე რომ არაფერი უნახავთ და უგრძვნიათ. შინ გულდამძიმებულები დაბრუნდნენ. უკვე დაბინდებულიყო; ბინა ცარიელი იყო, ბნელოდა და ციოდა. შუქი მაშინვე არ აანთეს, რომ ერთმანეთის სახე არ დაენახათ. ჟაკლინი თავის ოთახში გავიდა, პალტოიანი და ქუდმოუხდელი ფანჯარასთან დაჯდა და ხმას არ იღებდა. მეზობელ ოთახში ოლივიე მაგიდას დაჰყრდნობოდა. ოთახებს შუა კარი ღია იყო; ჟაკლინს და ოლივიეს ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ. და ბნელაში, გულამომჯდარნი, ორივენი უხმოდ ატირდნენ. ხელებს პირზე იფარებდნენ, რომ ქვითინი შეეკავებინათ. ბოლოს, ოლივიემ ნაღვლიანი ხმით გასძახა:

— ჟაკლინ...

— რა?

— არ მოდიხარ?

— ახლავე.

ტანთ გაიხადა და თვალები მოიბანა. ამასობაში ოლივიემ ლამპა აანთო. რამდენიმე წუთის შემდეგ ჟაკლინი ოთახში შემოვიდა. ერთმანეთისათვის საჯეში არ შეუხედავთ. იცოდნენ, რომ ორივეს ეტირათ. და ნუგეში ვერაფრით სცეს ერთმანეთს, რამეთუ იცოდნენ, რაზეც ტიროდნენ.

დადგა დრო, როდესაც ვეღარ დაუმალეს ერთმანეთს თავიანთი შეშფოთება. ხოლო ვინაიდან არ სურდათ საკუთარ თავს გამოსტყომოდნენ ნამდვილ მიზეზში, სხვა მიზეზს დაუწყეს ძებნა და იოლადაც გამონახეს: ყველაფერში პროვინციული ცხოვრების მოწყენილობა დაადანაშაულეს. ამან შვება აგრძნობინათ. ბ-ნი ლანჟე არ გაოცებულა, როდესაც ქალიშვილმა მოსწერა, გმირულმა ცხოვრებამ დამღალაო. მან მიაკითხა თავის პოლიტიკურ ნაცნობ-მეგობრებს და სიძისათვის ადგილი გამოაძებნინა პარიზში.

როდესაც სასიხარულო ცნობა მოვიდა, ჟაკლინი სიხარულით ცას ეწია და ადრინდულად ბედნიერად იგრძნო თავი. ახლა, როცა ამ მოსაწყენ მხარეს უნდა გამომშვიდობებოდნენ, იგი ერთობ ახლობელი მოეჩვენათ: მათი სიყვარულის მოგონებები ამ ადგილებში იყო მიმობნეული! დარჩენილი დღეები ამ მოგონებათა ნაკვალევის ძებნაში გაატარეს. ამ სალოცავი ადგილების ხილვამ ნაზი ნაღველი მოჰგვარათ. ეს მყუდრო მიდამოები მათი ბედნიერების მოწმენი იყვნენ. შინაგანი ხმა ჩასჩურჩულებდათ:

„იცი, რასაც ტოვებ. მაგრამ იცი, რას ჰპოვებ?“

გამგზავრების წინა დღეს ჟაკლინმა იტირა. ოლივიემ ჰკითხა, რა გატირებსო. ქალს არ სურდა ხმის ამოღება. ქაღალდის ფურცელი აიღეს და, როგორც ჩვეულებად ჰქონდათ, როდესაც სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმიხა ეშინოდათ, ერთმანეთს დაუწერეს:

„ძვირფასო ოლივიე...“

„ძვირფასო ჟაკლინ...“

„გული მწყდება, რომ მივდივარ...“
„საიდან?“
„იქიდან, სადაც ერთმანეთი გვიყვარდა“.
„საითკენ?“
„იქითკენ, სადაც უფრო ხნიერნი ვიქნებით“.
„სადაც ერთად ვიქნებით“.
„მაგრამ ისე აღარ გვეყვარება ერთმანეთი“.
„კიდევ უფრო ძლიერ“.
„ვინ უწყის?“
„მე ვუწყი“.
„მე მსურს“.

ბოლოში თითო წრე შემოხაზეს, რაც კოცნას აღნიშნავდა. მერე ჟაკლინმა ცრემლები მოიწმინდა, გაიცინა და სასაცილოდ მორთო ქმარი თავისი ქუდითა და თეთრი პელერინათი, რომლის დანაკეცებულ, მაღალ საყელოში ოლივიე ანრი III-ის ფავორიტს დამსგავსებოდა.

პარიზში კვლავ შეხვდნენ მათ, ვინც იქ დავტოვებინათ. ოლივიეს ჩამოსვლა რომ შეიტყო, კრისტოფი გახარებული მაშინვე იქ გაჩნდა. ოლივიესაც არანაკლებ უხაროდა მისი ნახვა. პირველივე შეხედვაზე მოულოდნელი უხერხულობა იგრძნეს. სცადეს დაეძლიათ ეს, მაგრამ ამაოდ. თუმცა ოლივიე ძალზე გულთბილად ეჭცეოდა, კრისტოფი გრძნობდა, რომ რაღაც ცვლილება ჰომხდარიყო მასში. მეგობარი, რომელიც ცოლს ირთავს, ტყუილად ირჯება ადრინდელ მეგობრად დარჩეს. კაცის სულს ამიერიდან თავის დაღს ასვამს ქალის სული. კრისტოფი ოლივიეს ყოველ მოძრაობაში ამჩნევდა ამ გავლენას — მისი თვალების მიუხვდომელ გამოკრთომაში, ტუჩის კუთხეში გაჩენილ უცნობ ნაოჭში, ხმის ახალ კილოში, აზრის ახალ მიმართულებაში. ოლივიე სინდისის ქენჯნას როდი განიცდიდა; უფრო მეტიც, მას უკვირდა, რომ კრისტოფი არ დახვდა ისეთი, როგორსაც მოელოდა. არა, იმას როდი ფიქრობდა, თითქოს კრისტოფი გამოიცვალა; პირიქით, აღიარებდა, რომ ცვლილება თვით მასში მოხდა, და ამას ასაკით გამოწვეულ აუცილებლობად თვლიდა; მას სწორედ ის აკვირვებდა, რომ ვერ ხედავდა ამ ნორმალურ ევოლუციას კრისტოფში. გულში უსაყვედურებდა, რომ იგი ვერ გასცდენოდა ძველ აზრებს, რომლებსაც თუმცა ერთდროს თვითონაც გულით იზიარებდა, მაგრამ დღეს უკვე გულუბრყვილო და მოძველებული ეჩვენებოდა. სინამდვილეში, ეს აზრები თანამედროვე აღარ იყო უბრალოდ იმ უცხო სულისათვის, მისდაშეუცნობლად ოლივიეს სულში რომ ჩაბუდებულიყო. ეს განსაკუთრებით ნათლად იგრძნობოდა, როდესაც საუბარს ჟაკლინიც ესწრებოდა: მაშინ ოლივიესა და კრისტოფს შორის აღიმართებოდა ირონიის რიდე, კიდევ უფრო რომ უძნელებდათ ერთმანეთის ცნობას. თუმცა ცდილობდნენ არაფერი ეგრძნობინებინათ ერთიმეო-

რისათვის. კრისტოფი მაინც დადიოდა ოლივიეს მოსანახულებლად. ჟაკლინი, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ სჩადიოდა ამას, გესლიანი შენიშვნებით კენწლავდა. კრისტოფი ითმენდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ შინ დაღონებული ბრუნდებოდა.

პარიზში დაბრუნების პირველი თვეები, ასე თუ ისე, მაინც ბედნიერი დრო იყო ჟაკლინისათვის, და მაშასადამე, ოლივიესთვისაც. თავდაპირველად ჟაკლინი ბინის მოწყობას გადაჰყვა. ბინა, რომელიც პასის ძველისძველ ქუჩაზე იშოვეს, პატარა, მაგრამ მყუდრო იყო და ბაღჩას გადაჰყურებდა. ავეჯისა და შპალერის არჩევას რამდენიმე კვირა მოანდომა. ჟაკლინი ამას ისეთი შესაშური გულმოდგინებითა და ვნებითაც კი აკეთებდა, თითქოს მისი ბედნიერების გაშარადისება შპალერის ფერის სიბაცეზე, ანდა ძველი სკივრის ფორმაზე ყოფილიყოს დამოკიდებული. შემდეგ მან განაახლა ახლო ურთიერთობა მამასთან, დედასთან. მეგობრებთან. ამ თაფლობის წელიწადის მანძილზე მას ისე ერთიანად დაევიწყებინა სუყველანი, — ყოველი მათგანი აღმოჩენა იყო მისთვის, მით უფრო, რომ ოლივიეს მსგავსად, მის სულსაც დასტყობოდა მეუღლის სულის გავლენა და ამიტომ თავის ძველ ნაცნობებს ახალი თვალით უყურებდა. მას მოეჩვენა, რომ ისინი გაცილებით მოგებულნი იყვნენ. თავიდან ოლივიეს ამით არაფერი უზარალია. ჯერჯერობით ორივე მხარე თავისებურ ხეირს ნახულობდა ამ ურთიერთდაპირისპირებით. ოლივიეს მეოცნებე ჩაფიქრებულობის, მისი სულის პოეტური განწყობილების გამო. ჟაკლინი უკვე მეტ სიამოვნებას პოულობდა მაღალი საზოგადოების ადამიანებს შორის, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ დატკბნენ, იბრწყინონ და მოხიბლონ; ხოლო, მეორეს მხრივ, მაცთური, მაგრამ საშიში ნაკლი ამ ადამიანებისა, რომლებსაც მასზე უკეთ ვერავინ იცნობდა, აიძულებდა ჟაკლინს, მეგობრის მარადიული ერთგულება დაეფასებინა. მას ართობდა მათი და ოლივიეს წამდაუწუმ შედარება, უყვარდა ორივე მხარის ღირსება-ნაკლოვანებების განუწყვეტლივ აწონ-დაწონა, რომ თავისი არჩევანი გაემართლებინა. იმდენს წონიდა, რომ ზოგჯერ ვეღარც კი გაეგო, რატომ გააკეთა ეს არჩევანი. კიდევ კარგი, ასეთი დაეჭვება დიდხანს არ გრძელდებოდა, ამის გამო სინდისის ქენჯნას განიცდიდა და ცდილობდა განსაკუთრებული სინაზე გამოეჩინა ოლივიეს მიმართ; მაგრამ უმალ ახალ შედარებებს იწყებდა. ხოლო მას შემდეგ, რაც შედარების შოხდენა ჩვეულებად გადაექცა, ამით უბრალო გართობა დამთავრდა და შედარებებიც უფრო აგრესიულნი გახდნენ: თუ აქამდე ორ ურთიერთდაპირისპირებულ სამყაროს ერთმანეთთან აწონასწორებდნენ, ამიერიდან მათ ომში ჩააბეს ისინი. ჟაკლინმა კითხვა დაუსვა თავს, რატომ ოლივიეს არ გააჩნდა ის ღირსებები, თუნდაც ნაკლი, რომლებიც მოსწონდა დღეს თავის პარიზელ მეგობრებში. იგი ქმარს ყურში არაფერს აგონებდა, მაგრამ ოლივიე გრძნობდა ამას თავისი პატარა მეუღლის უმოწყალო გამოხედვაში, ასე რომ აშფოთებდა და გულს უკლავდა.

მიუხედავად ამისა, ოლივიეს ჯერ კიდევ არ დაეკარგა სიყვარულისაგან მონიჭებული ძალაუფლება ჟაკლინზე და ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შეეძლოთ კვლავ დიდხანს განეგრძოთ ალერსიანი და მუყაითი ოჯახური მყუდრო ცხოვრება, ის გარემოებანი რომ არა, რომლებმაც უცებ შეცვალეს ჟაკლინის მატერიალური მდგომარეობა და დაარღვიეს მისი სულის მერყევი წონასწორობა.

„Quivi trovammo Pluto il gran nemico...“[1]

ქ-ნ ლანჟეს გარდაეცვალა და — მდიდარი მრეწველის უშვილო ქვრივი. მთელი მისი ავლადიდება ლანჟეებზე გადავიდა. ჟაკლინის ქონება ორჯერ უფრო გაიზარდა. როდესაც ჟაკლინმა მემკვიდრეობა მიიღო, ოლივიეს კრისტოფის მიერ სიმდიდრეზე ნათქვამი სიტყვები გაახსენდა და უთხრა:

— ჩვენ უამისოდაც კარგად ვიყავით. ვინ იცის, იქნებ ამან ზიანიც მოიტანოს.

ჟაკლინს სასაცილოდ არ ეყო;

— სულელო! სიმდიდრეს ზიანი არასოდეს მოაქვს. ჩვენს ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება.

გარეგნულად ცხოვრება მართლა იგივე დარჩა. იმდენად იგივე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ჟაკლინი წუწუნს მოჰყვა, სახსრები არა გვყოფნისო — დამამტკიცებელი საბუთი აშკარა ცვლილებისა. მართლაცდა, თუმცა მათი შემოსავალი გასამკეცებულიყო, ისე ერთიანად ეხარჯებოდათ, თვითონაც არ იცოდნენ სად მისდიოდათ. ისღა უკვირდათ, ადრე თავის გატანას როგორ ვახერხებდითო. ფული ქრებოდა; მას ნთქავდა ახალი ხარჯები, უკვე ჩვეულებრივი და აუცილებელი რომ ხდებოდა. ჟაკლინმა განთქმულ თერძებთან დაიწყო სიარული, დაითხოვა დღიურად მომუშავე შინაური მკერავი ქალი, ჯერ კიდევ ბავშვობიდან რომ იცნობდა. ვიღას ეცალა ჩალისფასიანი ქუდებისთვის, თავისი ხელით რომ იკერავდა რაღაც ჩამონაჭრებისაგან და მაინც უხდებოდა,— იმ კაბებისთვის, რომლებიც ზედმიწევნით პეწიანი და უზადო ვერ იყვნენ, მაგრამ მისი სიტურფის ანარეკლი ეფინათ და რაღაცით მის ნაწილს წარმოადგენდნენ. ყველაფერი, რაც კი მისი თავისთავადობის საამო მიმზიდველობას გამოაჩენდა, დღითიდღე იშლებოდა. პოეზია გაუქრა. გახდა ყველასაგან განურჩეველი.

ბინა გამოიცვალეს. ადრინდელი, რომლის მოწყობას ესოდენი გულმოდგინება და სიამოვნება შეალია ჟაკლინმა, ვიწრო და უვარგისი მოეჩვენა. პატარა, მოკრძალებული ოთახების ნაცვლად, მათი დღეების ხსოვნით რომ გაცისკროვნებულიყვნენ და ფანჯარაში მეგობრულად ირხეოდა ნაცნობი ხე, — დაიქირავეს ფართო, დიდებული და მოხერხებულოთახებიანი ბინა, რომელზეც გული არ

---

1 „სადაც ვიხილეთ პლუტუსი, მტერი უდიდესი კაცთა მოდგმისა“ (იტალ.) — დანტე. „ღვთაებრივი კომედია“, „ჯოჯოხეთი“, ქება VI.

პლუტოსი — სიმდიდრის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. — მთარგმნელის შენიშვნა.

ედოთ და მოწყენილობა ჰკლავდათ. ძველი, შეჩვეული ნივთები ახალი ავეჯითა და მოწყობილობით შეცვალეს, რომლებიც არაფერს ახსენებდათ. მოგონებებს ადგილი აღარ დარჩა. ცოლ-ქმრული ცხოვრების პირველი წლები აღიგავა მათს ცნობიერებაშიც... დიდ უსიამოვნებას უმზადებს საკუთარ თავს ორი შეყვარებული არსება, როცა წყვეტენ იმ ჯაჭვს, რომელიც მათ თავიანთი სიყვარულის მოწმე წარსულთან აკავშირებთ! ამ წარსულის ხატება ის მტკიცე ფარია, რომელიც იცავს მათ გულაცრუებასა და მტრობისაგან, გარდუვალად რომ ენაცვლებიან პირველი ხანების ალერსიანობას... ხარჯების იოლად გაწევის შესაძლებლობამ დააახლოვა ჟაკლინი, პარიზში და მოგზაურობის დროს (მას შემდეგ, რაც გამდიდრდნენ, ხშირად მოგზაურობდნენ), მდიდარი, მოცლილი ადამიანების კლასთან, რომელთა საზოგადოება ზიზღს უნერგავდა მას დანარჩენი ადამიანებისადმი, იმათ მიმართ, ვინც შრომობს. საოცარი შემგუებლობის წყალობით, ჟაკლინი ხელად დაემსგავსა ამ უნაყოფო და გამოფიტულ არსებებს. ოდნავი შეწინააღმდეგებაც კი შეუძლებელი იყო. ჟაკლინი მაშინვე აიფაფრებოდა და გაღიზიანებული „მეშჩანურ სულმდაბლობას“ უწოდებდა აზრს, რომ შესაძლოა და კიდეც უნდა განიჭებდეს ბედნიერებას ოჯახური მოვალეობა და aurea mediocritas[1]. მას უკვე უჭირდა გაეგო, როგორ შეეძლო ამ ცოტა ხნის წინათ, დიდსულოვნად შეეწირა თავი სიყვარულისათვის.

ოლივიე საკმაოდ ძლიერი არ იყო, რომ ებრძოლა. ისიც გამოცვლილიყო. მას თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის, აღარ ჰქონდა რაიმე დაკისრებული მოვალეობა და მხოლოდ წერდა თავისთვის, რასაც დაერღვია მისი ცხოვრების წონასწორობა. აქამდე იგი წუხდა, რომ არ შეეძლო მთლიანად ხელოვნებას მისცემოდა. ახლა მთლიანად ხელოვნებას ეკუთვნოდა, მაგრამ ღრუბლებში დაკარგულს გზა ვეღარ გაეგნო. ხელოვნება, თუ მას ზურგს არ უმაგრებს ხელობა, არ გააჩნია დასაყრდენი სისხლსავსე პრაქტიკულ საქმიანობაში, ხელოვნება, თუ მას ცეცხლს არ უნთებს ყოველდღიური საზრუნავი და არ აწუჩებს ლუკმა პურის შოვნის საჭიროება, კარგავს თავის ცხოველმყოფელობას და ცხოვრებისეულობას. იგი ოთახის ყვავილი ხდება, ფუფუნების საგანი; აღარ არის ის, რასაც წარმოადგენს ყველაზე დიდ ხელოვანთა შემოქმედებაში — ადამიანური ტკივილების წმინდა ნაყოფი... ოლივიემ იგემა უქმად ყოფნა და კითხვა დაუსვა თავს: „რისთვის...“ მას აღარაფერი აჩქარებდა; ჰოდა ერთ ხანს აოცნება თავისი კალამი, უმიზნოდ იყიალა და გზა აებნა. მან დაკარგა კავშირი თავისი კლასის წარმომადგენლებთან, რომლებიც მოთმინებითა და რუდუნით შრომობდნენ და ავლებდნენ თავიანთ ხნულს. იგი მოხვდა უცხო საზოგადოებაში, სადაც უხერხულობას გრძნობდა, მაგრამ მაინც მისკენ მიუწევდა გული. თავად სუსტი, ხათრიანი და ცნობისმოყვარე, ოლივიე მოწიწებით აკვირდებოდა ამ

1 ოქროს შუალედი (ლათ.).

საზოგადოებას, რომელსაც თუმცა მიმზიდველობა არ აკლდა, მაგრამ ცვალებადი იყო; და ოლივიე ვერ ამჩნევდა, რომ ნელ-ნელა თვითონაც მას ემსგავსებოდა და ეპვი ეპარებოდა საკუთარ რწმენაში.

იგი მაინც ნაკლებ სწრაფად გარდაიქმნებოდა, ვიდრე ჟაკლინი. ქალს თანდაყოლილი აქვს საშიში უნარი, შეიცვალოს ერთბაშად და მთლიანად. ეს მყისიერი ფერისცვალება და ახალ სახედ გაცოცხლება ქალისა გულს უხეთქავს. მათ, ვისაც იგი უყვარს. მაგრამ სიცოცხლით სავსე არსებისათვის, რომელიც მოკლებულია ნებისყოფის სიმტკიცეს, რომ აღვირი ამოსდოს საკუთარ თავს, სრულიად ბუნებრივია, არ იყოს ხვალ იგივე, რაც დღეს არის. იგი მდინარ წყალსა ჰგავს. თუ გიყვარს უნდა სდიო მას, ანდა თავად იყო დიდი მდინარე, რომ შენი დინებით გაიტაცო მისი ნაკადი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საჭიროა იცვლებოდე. აი, სახიფათო, მაგრამ გარდაუვალი გამოცდა, ურომლისოდაც ვერ გაიგებ ნამდვილ სიყვარულს! ეს თანხმობა სულთა შორის, ერთობლივი ცხოვრების პირველ წლებში, ისე ნაზი და მყიფეა, რომ ოდნავი ცვლილებაც კი ერთ-ერთ მეუღლეში ხშირად საკმარისი ხდება, ყველაფერი დაინგრეს. რაღა ითქმის ქონებრივი მდგომარეობის ან გარემო წრის ერთბაშად შეცვლაზე! ძალზე ძლიერი, ანდა ძალზე გულგრილი უნდა იყო, რომ გაუძლო.

ჟაკლინი და ოლივიე კი არც გულგრილნი იყვნენ, არც ძლიერნი. ისინი ხედავდნენ ერთმანეთს ახალ შუქზე. და მეგობრის სახიდან უცხო ადამიანი უმზერდათ. როდესაც ამ გულისდამწყვეტ აზრს აღმოაჩენდნენ, ისინი გაურბოდნენ ერთიმეორეს, თავიანთი სიყვარულის სიბრალულით, რადგან ჯერ კიდევ უყვარდათ ერთმანეთი. ოლივიე თავშესაფარს პოულობდა თავის სამუშაოში, მუდმივად დაკავებული იყო და ეს შვებას ჰგვრიდა. ჟაკლინს კი არაფერი ჰქონდა გულის გადასაყოლებლად, არაფრით არ იყო დაკავებული. იგი გაუთავებლად სულ ლოგინში იწვა, ანდა საათობით იჯდა ტუალეტის მაგიდასთან ნახევრად ჩაცმული, გაუნძრეველად, ფიქრებში ჩაძირული; და ყრუ სევდა ქულა-ქულა აწვებოდა ყინულოვანი ნისლივით. არ ძალუძდა გონებიდან გაეფანტა აკვიატებული ფიქრი სიყვარულზე... სიყვარული! ყველაზე წარმტაცი რამ ადამიანურ გამოვლინებათა შორის, როცა გინდა თავი ანაცვალო საყვარელ არსებას, ხოლო ყველაზე ბრიყვული და ფუჭი თავისმოტყუება, როცა ის დევნაა ბედნიერებისადმი... სხვა მიზანი ჟაკლინს ვერც წარმოედგინა ცხოვრებაში. ხანდახან სურვილი აღძვრია, სიკეთე ჩაედინა, უცდია, გულისხმიერება გამოეჩინა სხვა ადამიანებისადმი, გულთან მიეტანა მათი გაჭირვება; მაგრამ ვერ მოუხერხებია. სხვების ტანჯვის ცქერა საშინელ ზიზღის გრძნობას აღუძრავდა, ნერვებს უშლიდა მისი წარმოდგენა. სინდისის დასამშვიდებლად, ერთი-ორჯერ გულკეთილობის მსგავსი რაღაც გამოიჩინა; შედეგი ვერაფერი სახარბიელო მიიღო.

— აი, ხომ ხედავთ, — ეუბნებოდა ჟაკლინი კრისტოფს. — გინდა კარგი

გააკეთო, მაგრამ ცუდი გამოდის. სჯობია, საერთოდ თავი შეიკავო. ეტყობა, შე ქველმოქმედის მოწოდება არა მაქვს.

კრისტოფი უყურებდა და ერთ-ერთი თავისი შემთხვევითი მეგობარი ქალი ახსენდებოდა: ამ უსულგულო და გრძნობაჩლუნგ კოპწიას ნამდვილი გულისხმიერების უნარი არ გააჩნდა, მაგრამ როგორც კი ვინმეს ტანჯვას შეხედავდა, დედობრივ გულმტკივნეულობას იჩენდა იმ ადამიანებისადმი, რომელიც გუშინ არაფრად უღირდა ან სრულიად არ იცნობდა. მას გულს ვერ უცრუებდა თვით ყველაზე არასასურველი საზრუნავი: რაღაც უცნაურ სიამოვნებასაც კი პოულობდა იმაში, რაც უფრო მეტ თავგანწირვას მოითხოვდა. ყოველივე ეს ანგარიშმიუცემლად ხდებოდა: ეტყობა ამ ქალის მიერ თანაგრძნობის გამოჩენაში გამოხატულებას პოულობდა მისი მისწრაფება ბუნდოვანი და გამოუთქმელი იდეალისადმი. მისი სული, გრძნობადახშული ყოველდღიურ ცხოვრებაში, გახალისებულიყო ამ იშვიათ წუთებში; იმით, რომ ვიღაცას ტანჯვა შეუმსუბუქა, იგი ისეთ ნეტარებას განიცდიდა, რომ მისი სიხარული ცოტა არ იყოს უადგილო ჩანდა. გულკეთილობა ამ ბუნებით უსულგულო ქალისა და უსულგულობა ბუნებით კეთილი ჟაკლინისა არც ბიწიერება ყოფილა, არც სათნოება; უბრალოდ, სულის ჰიგიენა გახლდათ როგორც ერთის, ისე მეორისათვის. მაგრამ პირველი უფრო უკეთ გრძნობდა თავს.

ჟაკლინს გულს უმძიმებდა ტანჯვაზე ფიქრი. ხორციელ ტკივილს სიკვდილი ერჩივნა. ერჩივნა მომკვდარიყო, ვიდრე დაეკარგა ერთ-ერთი წყარო სიხარულისა — სილამაზე ან ახალგაზრდობა. მას უსასტიკეს უსამართლობად ეჩვენებოდა ის, რომ ვიღაც შეიძლება მასზე ბედნიერი ყოფილიყო, რომ არ იყო ყოველმხრივ ბედნიერი, რისი სრული უფლებაც, საკუთარი რწმენით, ჰქონდა (აკი სწამდა ბედნიერება ამ ქვეყანაზე, ბედნიერება იყო მისთვის წყარო ერთიანი და განუსჯელი რწმენისა, მისი რელიგია). ბედნიერებას მარტო რწმენად როდი აღიარებდა; მას თვით სათნოებად რაცხდა. ხოლო იყო უბედური — ეს ნიშნავს, რომ სახიჩარი იყო. მთელ თავის ცხოვრებას ჟაკლინი ამ პრინციპზე აგებდა. მისი ნამდვილი ხასიათი გამოიკვეთა იდეალების საბურველიდან, რომელშიაც შიშნეული მორცხვობით ეხვეოდა ჯერ ქალწული. ადრინდელი იდეალიზმის საპირისპიროდ, იგი უყურებდა საგნებს ფხიზელი და ნათელი თვალით. მართებული იყო მხოლოდ ის, რაც შეესაბამებოდა მაღალი საზოგადოების აზრს და პირად კეთილდღეობას. ჟაკლინმა დედის ჩვეები შეითვისა: დადიოდა ეკლესიაში, ასრულებდა წესჩვეულებებს — ზედმიწევნით და გულგრილად. იგი თავს აღარ იტანჯავდა იმის განსჯით, იყო თუ არა ეს ჭეშმარიტი: მას სხვა სატანჯველი ჰქონდა, უფრო გარკვეული; და თავის ადრინდელ, უსაგნო ჯანყს დამცინავი სიბრალულით უმზერდა. თუმცაღა მისი დღევანდელი გარკვეულობა უფრო ხელშესახებს ვერაფერს ხედავდა, ვიდრე გუშინდელი მისი იდეალიზმი. ჟაკლინი თავს ძალას ატანდა. ის არც ანგელოზი გახლდათ, არც ავსული. იგი ჩვეულებრივი მოწყენილი ქალი იყო.

მოწყენით კი მართლა გული უწყალდებოდა... მოწყენილობას უფრო ის უძლიერებდა, რომ გასამართლებელი მიზეზი არ ჰქონდა, ეთქვა, ოლივიეს არ ვუყვარვარო, ანდა თავად მძულსო ოლივიე. ჟაკლინს ეჩვენებოდა, რომ მისი ცხოვრება დახშულიყო, ამოქოლილიყო, აღარ ჰქონდა მომავალი და ესწრაფვოდა ახალ, განუწყვეტლივ განახლებულ ბედნიერებას — ბავშვური ოცნება, რასაც მიუღწეველს ხდიდა მისი უუნარობა, ბედნიერად ეგრძნო თავი. იგი იმ ქალების, იმ მრავალი მოცლილი მეუღლის დღეში იყო, რომელთაც ყველა საფუძველი აქვთ ბედნიერნი იყვნენ, მაგრამ ერთთავად რაღაცით თავს იწამებენ. რამდენს ვიცნობთ, მდიდრებიც არიან, ცქრიალა ბავშვებიც ჰყავთ, არც ჯანმრთელობა აკლიათ, არც კეთილგონიერება და არც მშვენიერების გრძნობა, ხელს არაფერი უშლით იმოქმედონ, სიკეთე ქმნან, გაალამაზონ საკუთარი და სხვების ცხოვრება. ისინი კი მთელ დროს წუწუნში ატარებენ, რომ ერთმანეთი არ უყვართ, ვილაც სხვა უყვართ, ანდა არავინ არ უყვართ, დღენიადაგ საკუთარი თავით, თავიანთი სანტიმენტალური და სექსუალური ურთიერთობებით, ბედნიერების რაღაც უფლებების დაჩემებით, ურთიერთსაწინააღმდეგო ეგოისტური მისწრაფებებით გართულან და კამათობენ, კამათობენ, კამათობენ, თამაშობენ დიდი სიყვარულის, დიდი ტანჯვის კომედიას, ბოლოს თვითონვე რომ იჯერებენ... ვინ ეტყვის მათ:

„არაფრით თქვენ განსაკუთრებული არა ხართ. რა საკადრისია ასე წუწუნი, როცა ამდენი საშუალება გაქვთ ბედნიერი იყოთ!“

ვინ წაართმევს მათ თავინთ სიმდიდრეს, ჯანმრთელობას, ყველა ამ მონიჭებულ მადლს, რომლის ღირსიც ისინი არ არიან! ვინ დაადგამს სიღატაკისა და ნამდვილი გაჭირვების უღელს ამ მონებს, რომელთაც უნარი არ შესწევთ თავისუფალი იყვნენ და რომელთაც ჭკუას ურევს თავისუფლება! მართლა ოფლით რომ შოულობდნენ სარჩოს, ხომ კმაყოფილი იქნებოდნენ იმით, რომ ლუკმა პური აქვთ. ხოლო ნამდვილ ტანჯვას სახეში რომ შეენათებინა მათთვის მრისხანე მზერა, ხომ ვეღარ გაბედავდნენ, ამ ტანჯვის უბადრუკი კომედია გაეთამაშებინათ...

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ეს ადამიანები იტანჯებიან. ისინი ავადმყოფნი არიან. როგორ არ შევიბრალოთ ისინი? ჰოდა, საბრალო ჟაკლინიც უდანაშაულო იყო იმაში, რომ შორდებოდა ოლივიეს, ისევე როგორც უდანაშაულო იყო ოლივიე, რომ არ ძალუძდა მისი დაპერა. ჟაკლინი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რაც ბუნებას შეექმნა. მან არ იცოდა, რომ ქორწინება — ეს გამოწვევაა ბუნებისადმი, ხოლო როცა ბრძოლაში იწვევ ბუნებას, უნდა მოელოდე, რომ ბუნება გამოწვევას მიიღებს და გმართებს მამაცურად ჩაება ბრძოლაში, რომელიც თვითონვე ატეხე. იგი მიხვდა, შეცდომა დაუშვა და გაწბილებულიყო; ამ გაწბილებას მტრულად განეწყო იგი ყოველივე იმის მიმართ, რაც უყვარდა, თვით ოლივიეს რწმენის წინააღმდეგ, რომელიც მისი რწმენაც იყო. ჭკვიანი ქალი, თავისი ალღოს წყალობით, კაცზე უკეთ სწვდება, გონება-

გახსნის წუთებში, ცხოვრების იდუმალ აზრს; მაგრამ მისთვის ძნელია ამ აზრზე დარჩეს. კაცი, რაკი ერთხელ გონებაში გაიტარებს აზრებს, მათ ასაზრდოებს თავის ცხოვრებაში. ხოლო ქალი მათით ასაზრდოებს თავის ცხოვრებას; იგი შეიწოვს აზრებს, მაგრამ თვითონ არ ქმნის მათ. მის გულსა და გონებას მუდმივად ახალ-ახალი საკვები სჭირდებათ: თავისი ნექტარი არ ჰყოფნით. როცა ქალს არა სწამს და არ უყვარს, იგი ანგრევს, უკეთუ ზეგარდმო მომადლებული არ არის უმაღლესი სათნოებით, სიმშვიდე რომ ჰქვია.

სულ ცოტა ხნის წინათ ჟაკლინს მხურვალედ სჯეროდა ერთობლივ რწმენაზე დამყარებული ცოლქმრული კავშირის შესაძლებლობა, სწამდა ბედნიერება — ერთად ებრძოლათ, გაეპირვათ და ეშენებინათ. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მანამდე სწამდა, ვიდრე თავს დაჰნათოდა სიყვარულის მზე; მას შემდეგ კი, რაც მზემ გადახრა იწყო, ეს რწმენა უდაბურ ცაში აღმართულ მწირ და ბნელ მთად მოეჩვენა და ძალა აღარ ეყო, გზა განეგრძო: რიღასთვის აბობღებულიყო მწვერვალზე? რა დახვდებოდა მის გადაღმა? რა უზარმაზარი სიბრიყვეა!... ჟაკლინს ვეღარ გაეგო, როგორ ატყუებინებდა თავს ოლივიე ამ ფუჭ ოცნებებს, მთელ მის ცხოვრებას რომ ფლანგავდნენ, და გულში ასკვნიდა, ოლივიე არც ისე ჭკვიანია და არც სიცოცხლისუნარიანი. ქალს სული ეხუთებოდა ქმრის ატმოსფეროში და თავდაცვის ინსტინქტი უბიძგებდა გაებრძოლა. ცდილობდა გაეცამტვერებინა ჯერ კიდევ საყვარელი ადამიანის მრწამსი, რომელიც მისთვის მტრული გამხდარიყო; ირონიისა და ავხორცობის ყოველგვარ იარაღს იყენებდა, თავისი ყოფითი სურვილებისა და წვრილმანი საზრუნავის ხლართებში ხვევდა, ლამობდა თავის ანარეკლად ექცია... თავისი თავისა, რომელმაც აღარ იცოდა, რა სურდა და რას წარმოადგენდა! იგი დამცირებულად გრძნობდა თავს, რომ ოლივიე წარმატებას ვერ აღწევდა ცხოვრებაში. და მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, სამართლიანი იყო თუ არა ეს, იმ რწმენამდე მისულიყო, რომ საბოლოო ჯამში ნიჭიერ ადამიანს ხელმოცარულისაგან წარმატება განასხვავებსო. ოლივიეს გულს უმძიმებდნენ ეს ეჭვები, თავის საუკეთესო ძალებს რომ აკარგვინებდნენ. მაგრამ მაინც იბრძოდა, რაც შეეძლო, როგორც უბრძოლიათ და კვლავ იბრძოლებენ ადამიანები, თუმცა უმრავლესობა წარმატებას ვერ მიაღწევს ამ უთანასწორო ბრძოლაში, სადაც ქალის ეგოისტური ინსტინქტი, კაცის გონებრივი ეგოიზმის წინააღმდეგ, დასაყრდენს პოულობს კაცის სისუსტეში, მის იმედგაცრუებებსა და მის საღ აზრში, — სახელი, რომლითაც ფარავს ეს უკანასკნელი ცხოვრებით დაძაბუნებას და საკუთარ სულმოკლეობას. ჟაკლინი და ოლივიე მაინც მაღლა იდგნენ რიგით თანამებრძოლებზე. ოლივიე არასოდეს უღალატებდა საკუთარ მრწამსს, როგორც იქცევიან ათასობით ეს ადამიანები, რომლებიც ნებდებიან თავიანთი სიზარმაცის, ამაოებისა და სიყვარულის ცთუნებათა ნარევს, უარყოფენ თავიანთ უკვდავ სულს. ოლივიეს რომც გაეკეთებინა ეს, ჟაკლინს იგი შეზიზღდებოდა, მაგრამ, თავისი გონებადაბინდულობით, ჟაკლინი ცდილობდა დაემ-

სხვრია ოლივიეს ეს ძალა, თავისივე ძალა, ორივეს დამცველი ჯავშანი რომ იყო, და უნებლიე ხრიკებით ძირს უთხრიდა იმ მეგობრობის საძირკველს, რომელსაც ეს ძალა ემყარებოდა.

მას შემდეგ, რაც მემკვიდრეობა მიიღეს, კრისტოფი უხერხულად გრძნობდა თავს ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახში. ჟაკლინის მოჩვენებითმა სნობიზმმა და უხაშსობამდე მისულმა პრაქტიციზმმა, კრისტოფთან საუბარში მზაკვრულად ხაზს რომ უსვამდა, მიზანს მიაღწიეს. ზოგჯერ კრისტოფი თავს ვეღარ იკავებდა და მკვახედ უპასუხებდა, ცუდად რომ იგებდნენ ხოლმე. თუმცა ამას განსეთქილება არასოდეს ჩამოუგდია ორ მეგობარს შორის, ისე ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. ოლივიე ქვეყნად არაფრის გულისათვის არ დათმობდა კრისტოფს. მაგრამ არ შეეძლო თავს მოეხვია იგი ჟაკლინისათვის; სიყვარულს უნებისყოფო გაეხადა და უნარი არ შესწევდა, ეწყენინებინა მეუღლისათვის. კრისტოფმა დაინახა, თუ რა ორ ცეცხლს შუა იყო ოლივიე და არჩევანი გაუადვილა — თვითონ გადგა განზე. მიხვდა, რომ თავისი სიახლოვით ვერაფერს დაეხმარებოდა მეგობარს, პირიქით, უფრო აკნებდა. რაღაცეები მოიმიზეზა, ვითომ თვითონ სურდა განშორება; და ოლივიემაც, თავისი სისუსტით, მიიღო ეს უსუსური საბუთები, თუმცა ხვდებოდა, რომ კრისტოფი მსხვერპლად სწირავდა თავს, რის გამო სინდისის ქენჯნას განიცდიდა.

კრისტოფი არ ემდუროდა. ტყუილად არ უთქვამთო, — ფიქრობდა გულში, — რომ ქალი კაცის ნახევარია, რამეთუ ცოლიანი კაცი უკვე ნახევარკაცი ყოფილაო.

კრისტოფმა სცადა ახლებურად მოეწყო თავისი ცხოვრება, გაეძლო უოლივიეოდ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თავს ირწმუნებდა, განშორება დროებითიაო და თავისი ოპტიმიზმი არ დაეკარგა, უმეგობრობა ძალზე გაუჭირდა. მარტოობას უკვე გადაჩვეულიყო. მართალია, იგი ადრეც მარტო იყო, სანამ ოლივიე პროვინციაში იმყოფებოდა, მაგრამ მაშინ ახერხებდა თავი მოეტყუებინა იმედით, მეგობარი შორს არის და დაბრუნდებაო. აი, მეგობარი დაბრუნდა — და უფრო დაშორდა, ვიდრე უწინ. ეს თანაგრძნობა, რომელიც ათბობდა მის ცხოვრებას მრავალი წლის მანძილზე, უცებ მოაკლდა და თითქოს ხალისი დაეკარგა მოქმედებისა. მას შემდეგ, რაც ოლივიეს დაუმეგობრდა, კრისტოფს ჩვეულებად დასჩემდა, ყველა თავისი ჩანაფიქრის მოზიარედ გაეხადა მეგობარი. სამუშაო ვერ ავსებდა სიცარიელეს: კრისტოფი მიჩვეულიყო, რომ მუშაობაში გვერდით ხლებოდა მეგობრის სახე. დღეს კი, როცა მეგობარს გული გაჰგრილებოდა მასზე, კრისტოფს თითქოს სულიერი წონასწორობა დაერღვა: ეს წონასწორობა რომ აღედგინა, მას ახალი თანაგრძნობა სჭირდებოდა.

ქ-ნი არნო და ფილომელა კვლავ მეგობრებად ეგულებოდნენ. მაგრამ ამ წუთს მათი მშვიდი მეგობრობა ვერ კმაროდა.

მიუხედავად ამისა, ორივე ეს ქალი ხვდებოდა კრისტოფის ნაღველს და ჩუმად თანაუგრძნობდნენ მას. კრისტოფი სახტად დარჩა, როდესაც ერთ საღამოს ქ-ნი არნო მასთან შემოვიდა. ადრე მას არასოდეს გამოუჩენია ასეთი სითამამე, შინ სწვეოდა კრისტოფს. ქალი აღელვებული ჩანდა. კრისტოფს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია; ეს აღელვება მის მორცხვობას. მიაწვარა. ქ-ნი არნო დაჯდა და ხმას არ იღებდა. სტუმარი რომ გაემხნევებინა კრისტოფი გულღიად დაუხვდა და შინაურული საუბარი გაუბა; სიტყვა ოლივიეზე ჩამოვარდა — ოთახში ყველაფერი მას ახსენებდათ. კრისტოფი მხიარულად ლაპარაკობდა მეგობარზე, კრინტიც კი არ დაუძრავს იმაზე, რაც მოხდა. მაგრამ ქ-ნმა არნომ თავი ვერ შეიკავა, არ გამოემჟღავნებინა, რომ იცოდა ყველაფერი, ერთგვარი სიბრალულით შეხედა კრისტოფს და ჰკითხა:

— ერთმანეთს აღარ ხვდებით?

კრისტოფმა იფიქრა, ჩემს სანუგეშოდ მოსულაო და მოუთმენლობა დაეტყო: არ უყვარდა, ვინმე თავის საქმეში ჩაერია.

— ვხვდებით, როცა გაგვიხარდება, — მიუგო.

ქალი გაწითლდა და მოიბოდიშა:

— ოჰ, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინე!

კრისტოფს დაეანანა, რომ ასე მკვახედ უპასუხა, ხელები დაუჭირა და უთხრა:

— მაპატიეთ! არ მინდა გამტყუნება დაუწყონ. საბრალო! თვითონაც ჩემზე არანაკლებ განიცდის... არა, სულ აღარ ვხვდებით.

— წერილსაც აღარა გწერთ?

— არა, — დარცხვენილად ჩაილაპარაკა კრისტოფმა.

— რა სამწუხაროა ცხოვრება! — დასძინა ქ-ნმა არნომ ცოტა ხნის მერე.

კრისტოფმა თავი ასწია.

— არა, ცხოვრება სამწუხარო არ არის, — თქვა მან. — ცხოვრებაში არის სამწუხარო წუთები.

— ერთმანეთი უყვარდათ და აღარ უყვართ! რაღა საჭირო იყო შეყვარება? — წამოიწყო ისევ ქ-ნმა არნომ და მის ხმაში რაღაც იდუმალი ნაღველი გამოკრთა.

— ხომ უყვარდათ მაინც...

ქ-ნმა არნომ განაგრძო:

— თქვენ მსხვერპლად შესწირეთ მას თავი. ნეტა ჩვენი მსხვერპლი რამეს მაინც თუ არგებს მას, ვინც გვიყვარს! მაგრამ ვაი, რომ ის ამით უფრო ბედნიერი არ გამხდარა!

— მე თავი მსხვერპლად სულაც არ შემიწირავს, — შეეპასუხა გაჯავრებული კრისტოფი. — თუნდაც რომ ამას მსხვერპლად შეწირვა დავარქვათ, მთავარია, ეს მე მსიამოვნებს. რა შუაშია ამაზე განსჯა — კამათი. ყოველი აკეთებს იმას, რაც უნდა აკეთოს. რადგან რომ არ გააკეთო, უთუოდ უბედურად

იგრძნობ თავს! არ არსებობს უფრო ბრიყვული სიტყვა, ვიდრე ეს „მსხვერპლად შეწირვა“! რომელიღაც ინგლისელმა ღვთისმსახურებმა, თავიანთი სულიერი უბადრუკობით, ჩადეს მასში პროტესტანტული ტანჯულობის პირქუში და მწირი იდეა. თითქოს თავის შეწირვა მხოლოდ მაშინ არის საქები, როცა იგი უსიამოვნებას გგვრის... დალახვროს ეშმაკმა! თუ კი მსხვერპლად შეწირვა თქვენთვის მწუხარებას ნიშნავს და არა სიხარულს — თუ ღმერთი გწამთ, ნუ ეშსხვერპლებით, თქვენ ამისი ღირსი არა ხართ. მსხვერპლად ვეწირებით არა ვილაც გარეგანს, არამედ ჩვენს საკუთარ თავს. უკეთუ ბედნიერებას არ განიცდით თავის შეწირვით, ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ! არამია თქვენთვის სიცოცხლე.

ქ-ნი არნო უსმენდა თავჩაღუნული და ვერ გაებედა შეეხედა კრისტოფისათვის. უცებ წამოდგა და თქვა:

— ღამე მშვიდობისა.

მაშინ მიხვდა კრისტოფი, რომ იგი რაღაცის გასანდობად მოსულიყო, და მიაძახა:

— ოჰ, მაპატიეთ! ეგოისტი ვარ — მარტო საკუთარ თავზე ვლაპარაკობ. დარჩით, რა, კიდევ ცოტა ხანს.

მან უპასუხა:

— არა, არ შემიძლია... გმადლობთ...

და წავიდა.

რამდენიმე ხანი ერთმანეთი თვალით აღარ უნახავთ. ქ-ნ არნოს სიახლოვეს აღარ გაუჭაჭანებია; ხოლო კრისტოფი აღარც მასთან დადიოდა, აღარც ფილომელასთან. ისინი კვლავინდებურად გულით უყვარდა; მაგრამ იცოდა, რომ მათთან საუბარი ნაღველს აუშლიდა, და ერიდებოდა. გარდა ამისა, მათი მშვიდი, უფერული ყოფა და მეტისმეტად გაუხშოებული ატმოსფერო დღეს მის გუნებას ვერ ეთვისებოდა. მას სჭირდებოდა ახალ-ახალი სახეები ეხილა, ახალი ხალისით, ახალი სიყვარულით აღმდგარიყო.

გული რომ გადაეყოლებინა, განაახლა სიარული თეატრში, სადაც უკვე კარგი ხანი იყო აღარ შეეხედა. სხვათა შორის, თეატრი ესახებოდა მას საგულისხმო სკოლად კომპოზიტორისათვის, რომელსაც სურს ცოცხლად აღიქვას და ნოტებზე გადაიტანოს ვნებათა ინტონაციები.

არა, კრისტოფი როდი მოეხიბლა ფრანგულ პიესებს; იგი მათ ისევე ათვალწუნებით უყურებდა, როგორც პარიზში ყოფნის პირველ ხანებში. გარდა ამისა, რომ თვალში არ მოსდიოდა მათი ფსიქო-ფიზიოლოგიური სიყვარულით შეზავებული უფერული და უხეში, გადაღეჭილი სიუჟეტები, კრისტოფს უკვე ეზიზღებოდა ყალბიც ეჩვენებოდა ფრანგული დრამის, განსაკუთრებით კი პოეტური დრამის თეატრალური ენა. არა თუ პოეტური, მათი პროზაული ენაც სულ არ შეესატყვისებოდა ხალხის ცოცხალ მეტყველებას, მის სულს. პროზა უკეთეს ავტორებთან მაღალი წრის მექრონიკეთა ღვარჭნილი ენა გახლდათ,

ხოლო უარესებთან — უხამს მეფელეტონეთა ფრაზიორობა. პოეზია კი გოეთეს მოსწრებულად ნათქვამს ამართლებდა:

„მოლექსეობა მათი საქმეა, ვისაც სათქმელი არაფერი აქვს“.

მათი პოეზია იგივე პროზა იყო, ოღონდ სიტყვამრავალი და გატყლარჭული; გამოგონილი პერსონაჟები, რომლებიც გამოეყვანათ თავიანთ ნაწარმოებებში და ამოქმედებდნენ ყოველგვარი დამაჯერებლობის გარეშე, ნებისმიერ წრფელი გრძნობის ადამიანზე სიყალბის შთაბეჭდილებას ტოვებდა. კრისტოფი ამ პოეტურ დრამებს დამატკბობელი შეღრიალებებითა და უჩვეულო კრიმანჭულებით აჭრელებულ იტალიურ ოპერებზე მეტად როდი აფასებდა. მას უფრო მსახიობები აინტერესებდა, ვიდრე პიესები. დრამატურგებიც ხომ ცდილობდნენ მათთვის დაემსგავსებინათ თავიანთი პერსონაჟები. „ომედი არ უნდა გქონოდა, რომ პიესას წარმატებით შეასრულებდნენ, თუ შენს მოქმედ პირთა ხასიათებს კომედიანტთა ნაკლს არ შეუხამებდი“. მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა იმ დროიდან, რაც დიდრომ ეს სტრიქონები დაწერა. მსახიობები ხელოვნების ნიმუში გამხდარიყვნენ. როგორც კი რომელიმე მსახიობი წარმატებას მიაღწევდა, მყისვე თავის თეატრს ქმნიდა, თავის სასურველ თერძ-დრამატურგებს იჩენდა, რომლებიც მის ზომაზე კერავდნენ პიესებს.

ლიტერატურული მოდების ამ კანონმდებელთა შორის კრისტოფს ფრანსუაზ უდონი იზიდავდა. ერთი თუ ორი წელი იყო, რაც მისი სახელი ყველას პირზე ეკერა პარიზში. ცხადია, მასაც თავისი როლებით მომმარაგებლები ჰყავდა, თუმცა მსახიობი ქალი, სპეციალურად მისთვის შეთხზულ რამეებს გარდა, სხვა პიესებშიც თამაშობდა; მისი რეპერტუარი, საკმაოდ მრავალფეროვანი, იბსენიდან სარდუმდე, გაბრიელე დანუნციოდან დიუმა — შვილამდე, ბერნარდ შოუდან ანრი ბატაიმდე ვრცელდებოდა. ზოგჯერ იგი თამამდებოდა კლასიკური ჰეგზამეტრის სამეფო ხეივნებში და თვით შექსპირის პერსონაჟთა ვნეზათაღელვაშიც კი შეჭრილიყო. მაგრამ იქ თავს ისე არხეინად ვეღარ გრძნობდა. რაც უნდა ეთამაშა, ფრანსუაზი მუდამ თავის თავს თამაშობდა, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავს. აბაში იყო მისი სუსტი მხარეცა და მისი ძალაც. სანამ მისი პიროვნება საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობდა, მის თამაშს არავითარი წარმატება არ ჰქონდა. ხოლო იმ დღიდან, რაც თავისთავად საინტერესო გახდა, მოეჩვენათ, რომ ყველაფერს, რასაც თამაშობდა, შესანიშნავად ასრულებდა. დიახაც, მისი თამაში იმად ღირდა, რომ დაგვიწყებინათ სისუსტე პიესისა, რომელსაც ფრანსუაზი თავისი სიცოცხლით ავსებდა და ამშვენიერებდა. გამოცანა ამ ქალური სხეულისა, რომელიც ვიღაც უცნობი სულის ნიმუშად ქცეულიყო, უფრო ამაღელვებელი გახლდათ კრისტოფისათვის, ვიდრე პიესები, რომლებშიც იგი თამაშობდა.

ლამაზი და მკაფიო, ტრაგიკული გამომეტყველების პროფილი ამშვენებ-

და. — არა რომაელი ყაიდის მკვეთრი მოხაზულობის მქონე, არამედ ჟან გუ-ლონისებური, პარიზული სუსტი ნაკვთებით, ბიუურ იერს რომ აძლევდა. მოკლე. მაგრამ კოხტა ცხვირი ჰქონდა. ლამაზი პირი, ნაზი ტუჩები, კეთხეში პა-წია ნაოჭი — სევდის ბეჭედი. ყმაწვილებრ გამხდარი, ნატიფი ლოყები იდუ-ბალ ნელელვარებას აღგიძრავდათ გულში, თითქოს შინაგანი ტანჯვის ანარეკლი აღბეჭდილიყო ზედ. ნიკაპი — ნებისყოფის მაჩვენებელი, სახე — ფერმკრთა-ლი, — ერთი სიტყვით, ის სახეთაგანი, რომლებიც მიჩვეულან აღეშფოთელ-ნი იყვნენ, მაგრამ თავიანთდაუნებურად გამჭვირვალენი არიან და ყოველ ნაკ-ვთზე ეხატებათ სულის უმცირესი მოძრაობა. თმა და წარბები ძალზე ნაზი ჰქონდა, თვალები — ცვალებადი, მონაცრისფერო-ქარვისფერი, უცებ მომწ-ვანოში, ანდა ოქროსფერში გარდამავალი — ზედგამოჭრილი კატის თვალები. კატასავე ჰგავდა იგი თავისი მოჩვენებითი გულგრილობით, თვალებმილულული რომ თვლემს, მაგრამ მუდამ ყურმახვილი და უნდო მზად არის, გაღიზიანებუ-ლი ნერვები და ფაფუკი სიმკაცრე გამოაჩინოს. არც ისე მაღალი და გამხდარი იყო, როგორიც ჩანდა, ლამაზ მხრებს მოხდენილი მკლავები და გრძელი, მოქ-ნილი მტევნები უმშვენებდა. ამ ქალის ჩაცმულობა და ვარცხნილობა, უაღ-რესად სადა და მოკლებული არტისტულ დაუდევრობასა და აგრეთვე ზედმეტ კოპწიაობას — (ესეც კატის თვისება!) — მეტყველებდა მის მკაცრ გემოვნება-სა და შინაგან არისტოკრატიზმზე, თუმცა დაბალი ხალხის ფენებიდან იყო გა-მოსული და არსებითად მოურჯულებელ უკარებად რჩებოდა.

ასე, ოცდაათამდე წლისა იქნებოდა. კრისტოფმა ფრანსუაზზე ლაპარაკს გამაშთან მოჰკრა ყური: კადნიერი აღტაცებით ჰყვებოდნენ მასზე, როგორც მე-ტად თავისუფალ, ჭკვიან, თამამ, რკინისებური სიმტკიცის მქონე და პატივ-მოყვარეობით შეპყრობილ, მაგრამ მძაფრი ხასიათის, ახირებულ, უხიაკ, სას-ტიკ ქალზე. რომელიც დიდხანს ეგდო დაბლა გათელილი, სანამ დღეევანდელ დიდებას მიაღწევდა, და მას აქეთ თურმე სულ შურს იძიებს.

ერთხელ, როდესაც კრისტოფი მატარებლით ფილომელას მოსანახულებ-ლად მიემგზავრებოდა მედონაში, თავისი კუპეს კარი გააღო და შიგ მსახიობი ქალი დაინახა. იგი აღელვებული ჩანდა, თითქოს რაღაც აწვალებდა; კრისტო-ფის გამოჩენა აშკარად არ ესიამოვნა, ზურგი შეაქცია და ძოპირდაპირე მინას მიაშტერა თვალი. კრისტოფი, რომელიც გაეცინა მისი სახის ტანჯულ გა-მოვეტყველებას, გულუბრყვილო და აბეზარი თანაგრძნობით განაგრძობდა ყუ-რებას. ბოთმინებიდან გამოსულმა ფრანსუაზმა მრისხანე მზერა სტყორცნა: კრისტოფი ვერაფერს მიხვდა. შემდეგ სადგურში ჩამოვიდა და სხვა ვაგონში გადაჯდა.

მაშინ კი მიხვდა, — მაგრამ უკვე გვიანღა იყო, — რომ ქალი ძალად გააქცია, და გული დასწყდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, იმავე ხაზზე, ოღონდ პარიზისკენ მომავალი კრისტოფი მატარებლის მოლოდინში სადგურის ბაქნის ერთადერთ, გრძელ

სკამზე ჩამოჯდა. უცებ საიდანღაც ფრანსუაზი გამოჩნდა, მოვიდა და გვერდით მიუჯდა. კრისტოფმა ადგომა დააპირა. მაგრამ ქალმა უთხრა:

— იჯექით.

მარტონი იყვნენ. კრისტოფმა მოიბოდიშა, იმ დღეს იძულებული გავხადეთ სხვა კუპეში გადამჯდარიყავითო, და დასძინა, ვერ მივხვდი, თუ გაწუხებდით, თორემ მე წავიდოდიო.

ფრანსუაზმა დამცინავად გაიღიმა და უპასუხა:

— მართალია, თქვენ ისე დაჟინებით მომშტერებოდით, რომ პირდაპირ აუტანელი მეჩვენეთ.

— მაპატიეთ. თავი ვერ შევიკავე... მეტისმეტად ტანჯული სახე გქონდათ.

— მერე ამით რა?

— ვეღარაფერი გავაწყე. რომ ხედავდეთ, ვიღაც იხრჩობა, ნუთუ ხელს არ გაუწვდიდით?

— მე? არამც და არამც. — მიუგო ქალმა. — პირიქით, თავს არ ამოვაყოფინებდი წყლიდან, რომ მალე მოღებოდა ბოლო ამ წვალებას.

ესა თქვა ნაღველნარევი ხუმრობით, ზერე სახტად დარჩენილ კრისტოფს შეხედა და გაიცინა.

მატარებელი ჩამოდგა. ვაგონები სავსე იყო, მარტო ბოლო ვაგონში ჩანდა თავისუფალი ადგილები. ფრანსუაზი ავიდა. გამცილებელი აჩქარებდა მგზავრებს. კრისტოფმა, რომელსაც აღარ უნდოდა იმდღევანდელი სცენა განმეორებულიყო, სხვა კუპეს დაუწყო ძებნა.

— ამოდით, — დაუძახა ქალმა.

კრისტოფი ავიდა. ფრანსუაზმა დაუმატა:

— დღეს ჩემთვის სულ ერთია.

საუბარი წამოიწყეს. კრისტოფი მთელი გულმოდგინებით ცდილობდა შეესმინა მისთვის, რომ არ შეიძლება გულგრილი დარჩე სხვისი ბედისადმი, ცოტას როდი ნიშნავსო ადამიანებისათვის ერთმანეთის დახმარება, თუნდაც ნუგეშისცემა...

— ჩემზე ნუგეშისცემა ვერ მოქმედებს. — თქვა მან.

კრისტოფი არ ეშვებოდა. მაშინ ფრანსუაზმა კადნიერად გაიღიმა და უთხრა:

— ნუგეშისცემა მხოლოდ ნუგეშისმცემელისათვის არის ხელსაყრელი.

კრისტოფი უცბად ვერ მიხვდა, ხოლო როდესაც მიხვდა და გაიზიარა, რომ ქალს ეჭვი ჰქონდა, თითქოს კრისტოფი ცდილობდა რაღაცას გამორჩენოდა, მაშინ როცა გულწრფელად შესტკიოდა გული, აღშფოთებული წამოდგა, კარი გააღო და უნდოდა გადამხტარიყო დაძრული მატარებლიდან. ფრანსუაზმა ძლივსძლივობით დაიჭირა. გაბრაზებული კრისტოფი დაჯდა და კუპეს კარი მიხურა ზუსტად იმ დროს, როცა მატარებელი გვირაბში შევიდა.

— ხედავთ, — უთხრა ფრანსუაზმა, — ბეწვზე გადარჩით.

— ჯანდაბას.

კრისტოფს ლაპარაკის ხალისი წაუხდა.

— ქვეყანაზე გონება დახშულა, — თქვა მან. — ადამიანები ერთმანეთს ტანჯავენ და თვით იტანჯებიან; ხოლო როცა გინდა ხელი გაუწოდო, ეჭვი შეაქვთ შენში. გული გიფუჭდება. ადამიანები ადამიანებს აღარ ჰგვანან.

მან სიცილით სცადა დაემშვიდებინა. ხელთათმანიანი ხელი ხელზე დააადო, მოფერებით დაუწყო ლაპარაკი და სახელით მიმართა.

— როგორ, მიცნობთ? — გაიკვირვა კრისტოფმა.

— ვინ არის, რომ ვინმეს არ იცნობდეს პარიზში? ერთი მგზავრები კართ. სწორად არ მოვიქეცი იმ დღეს. ვხედავ, კარგი ყმაწვილი ხართ. კარგი, დაწყნარდით. დაჰკარით ხელი! შევრიგდეთ!

ხელი ხელზე დაჰკრეს და მეგობრული საუბარი გააბეს. ფრანსუაზმა თქვა:

— ჩემი ბრალი როდია, რომ ადამიანებისადმი უნდო გავხდი: მეტისმეტად ბევრი გამოცდილება მივიღე.

— მეც ბევრჯერ გამცრუებია იმედი, — მიუგო კრისტოფმა. — მაგრამ მაინც არ დამიკარგავს ნდობის უნარი.

— გეტყობათ, ბრიყვად დაბადებულხართ, ჭკუას ვერასოდეს ისწავლით.

კრისტოფმა სიცილი დაიწყო.

— დიახ, ცოტა იმედგაცრუება როდი მიგემია ცხოვრებაში, მაგრამ ამას არ შევუკრთივარ. ამტანი კუჭი მაქვს. ადვილად მომინელებია უფრო დიდრონი მხეცებიც — შიმშილი, სიღატაკე და, თუ საჭირო გამხდარა, ის უტიფარნიც, რომელთაც ჩემზე ხელი აღუმართავთ. ყოველივე ამან მხოლოდ მარგო.

— თქვენ ბედი გხვდათ, — თქვა ფრანსუაზმა, — მამაკაცი ხართ.

— თქვენ კი ქალი ხართ.

— ეგ დიდი შეღავათი არ არის.

— ეს სილამაზეა და, ალბათ, სიკეთეც!

ქალმა გაიცინა:

— ე ს! — წარმოთქვა. — კი მაგრამ, როგორ ეკცევიან ა მ ა ს ადამიანები?

— თავი უნდა დაიცვა.

— მაშინ შენი სიკეთე დიდხანს აღარ გეყოფა.

— საკმაო არ გქონია და იმიტომ.

— იქნებ ეგრეც იყოს. მაგრამ რა საჭიროა ზედმეტად იტანჯო. მეტისმეტი — ბრეტისბრეტიო.

კრისტოფი მზად იყო, ხელახლა ნუგეში ეცა, მაგრამ გაახსენდა, როგორ უკეადგო წელან მისი ნუგეშისცემა.

— თქვენ ისევ მეტყვით, რომ ნუგეშისცემა ნუგეშისმცემელისათვის არის ხელსაყრელი...

— არა, — უთხრა ფრანსუაზმა, — აღარ გეტყვით. ვგრძნობ, რომ ნამდვი-

ლად კეთილი და გულწრფელი ხართ. გმადლობთ. ოღონდ, ნუღარ მანუგეშებთ. თქვენ არ იცით... მადლობელი ვარ.

პარიზში ჩამოვიდნენ. ისე დაშორდნენ, მისამართებიც კი არ გაუცვლიათ, შინ არ მიუწვევიათ ერთმანეთი.

ორიოდე თვის შემდეგ ქალი თავად ეახლა და კარზე დაუკაკუნა კრისტოფს.

— თქვენი ნახვა მინდოდა. ცოტა ხანს თქვენთან საუბარი მჭირდება. ჩვენი შეხვედრის შემდეგ ხშირად ვფიქრობ თქვენზე.

ჩამოჯდა.

— მხოლოდ ერთი წუთით. დიდხანს არ დაგაყოვნებთ.

კრისტოფმა დააპირა რაღაც ეთქვა. ქალმა არ დააცალა:

— მოითმინეთ, რა.

ორივენი დუმდნენ. მერე, ფრანსუაზმა გაიღიმა და თქვა:

— აღარ შემეძლო. ახლა არა მიშავს.

კრისტოფმა დააპირა გამოეკითხა.

— არა, — უთხრა, — საჭირო არ არის!

თვალი მოავლო ოთახს, გზადაგზა მზერას აჩერებდა სხვადასხვა ნივთზე, რომ გონებაში შეეფასებინა ისინი. მერე ლუიზას ფოტოსურათი შენიშნა.

— დედაა? — ჰკითხა.

— ჰო.

ხელში აიღო და მოფერებით დააცქერდა.

— სათნო მოხუცია! — წარმოთქვა. — ბედნიერი ყოფილხართ!

— ვაგლახ! აღარა მყავს.

— ეგ რა ბედენაა, ხომ გყავდათ მაინც.

— თქვენ?

მაგრამ მან წარბები შეიჭმუხნა და სიტყვა ბანზე აუგდო. არ სურდა, მისთვის გამოკითხვა დაეწყოთ.

— არა, თქვენზე მიამბეთ. მომიყევით... რაიმე თქვენს ცხოვრებაზე...

— რაში გჭირდებათ?

— მაინც მოყევით...

კრისტოფს არ სურდა ლაპარაკი, მაგრამ ძალაუნებურად მიუგებდა შეკითხვებზე, რადგან ფრანსუაზმა იცოდა, რა და როგორ ეკითხა. ჰოდა, მოუყვა კრისტოფი იმაზე, რაც აწუხებდა — თავისი მეგობრის ამბავი, თუ როგორ განშორდა ოლივიე. იგი უსმენდა დამცინავი თანაგრძნობის გამომხატველი ღიმილით... უცებ იკითხა:

— რომელი საათია? ოჰ, ღმერთო ჩემო, მთელი ორი საათია აქა ვზივარ!... ბოდიში... ოჰ, რა შვება ვიგრძენი!...

მერე დაუმატა:

— ვისურვებდი შემეძლოს გამოგიაროთ... ხშირად არა... ხანდისხან... ეს ჩემთვის დიდი შემწეობა იქნებოდა. მაგრამ არ მინდა თავი შეგაწყინოთ, გაგაცდინოთ... მხოლოდ თითო წუთით, ათასში ერთხელ...

— მე ვივლი თქვენთან, — უთხრა კრისტოფმა.

— არა, არა, ჩემთან არა. უმჯობესია თქვენთან...

მაგრამ იგი დიდხანს აღარ გამოჩენილა.

ერთ საღამოს კრისტოფმა შემთხვევით გაიგო, რომ ფრანსუაზ უდონი მძიმედ გამხდარიყო ავად და უკვე რამდენიმე კვირა იყო, აღარ თამაშობდა. კრისტოფი მის სანახავად წავიდა, თუმცა ქალმა აუკრძალა შინ მოენახულებინა. მიღებაზე უარი უთხრეს; ხოლო როდესაც ფრანსუაზმა მისი სახელი გაიგო, კიბიდან მოაბრუნებინა კრისტოფი. მსახიობი ქალი ლოგინში იწვა, ცოტა გამომჯობინებულიყო, ფილტვების ანთება შეჰყროდა და ძალზე გამოცვლილი ჩანდა; იხტიბარს კი მაინც არ იტეხდა — ისევ ისეთი დამცინავი იერი და გამსჭვალავი გამოხედვა ჰქონდა. მაინც გულით ესიამოვნა კრისტოფის დანახვა. საწოლთან დაისვა და მჭირდავი გულგრილობით დაიწყო ლაპარაკი თავის თავზე, უთხრა, კინაღამ უფალმა მიმიბარაო. კრისტოფს მღელვარება დაეტყო. ფრანსუაზმა სიცილი დააყარა. კრისტოფმა უსაყვედურა, რატომ არაფერი შემატყობინეო.

— თქვენთვის შემეტყობინებინა? რათა მოსულიყავით? არაფრის გულისათვის! .

— ნაძლევსა ვდებ, არც გაგხსენებივართ!

— მოგიგიათ ნაძლევი, — უთხრა ქალმა დამცინავი და ცოტა ნაღვლიანი ღიმილით. — სანამ ცუდად ვიყავი, თქვენზე მართლა არ მიფიქრია. დღეს კი სწორედ თქვენზე ვფიქრობდი. ნუ გეწყინებათ! როცა ავადა ვარ, არავისთვის არა მცალია და არავისგან არაფერს მოვითხოვ, გარდა ერთისა — მოსვენება მომცენ! ცხვირით კედელს მივყრდნობივარ და ველოდები... მინდა მარტო ვიყო, მარტომ გავფშიკო ფეხები, როგორც ვირთხამ.

— მაინც ძნელია, როცა მარტო იტანჯები!

— მივეჩვიე. წლების მანძილზე უბედური ვიყავი. დახმარება არავინ გამიწია. ახლა ჩვეულებამ თავისი ქნა... თანაც ასე მირჩევნია. ვერავინ ვერაფერს გიშველის. მარტო თავს გაბეზრებენ ოთახში ხმაურით, ზედმეტი ყურადღებით, პირმოთნე ვიშვიშით... არა. მირჩევნია ისევ მარტომ დავლიო სული.

— ძალზე უდრტვინველი ყოფილხართ!

— უდრტვინველი? არ ვიცი, რას ნიშნავს ეგ სიტყვა. არა, კბილების ღრჭენით ვწყევლი ტკივილს, ტანჯვას რომ მაყენებს.

კრისტოფმა ჰკითხა, ნუთუ არავინ მოგხედათ, მზრუნველობა არ გაგიწიათო. მან უპასუხა, თეატრის ამხანაგები იყვნენო — საკმაოდ კაი გულის, თუმცა შტერი ქალები; არაფერზე დამზარდებიან, თანაგრძნობა გამომიცხადესო (ცხადია, სიტყვიერად).

— მაგრამ, — განაგრძო ფრანსუაზმა, — ხომ გითხარით, მე თავად ვარ უკარება. ვერავის ვეწყობი.

— ჩვენ შევეწყობოდით, — უთხრა კრისტოფმა.

მან სიბრალულით შეხედა:

— თქვენც ასე! სხვებისაგან არც თქვენ განირჩევით.

— ბოდიში, მაპატიეთ... — მოიბოდიშა კრისტოფმა. — ღმერთო დიდებულო! წმინდა პარიზელად არ ვქცეულვარ! სირცხვილი ჩემი... გეფიცებით, დაუფიქრებლად წამოვროშე...

კრისტოფმა სახე საბანში ჩამალა. ფრანსუაზმა გულწრფელად გაიცინა და შოფერებით წაუთაქა თავში:

— ეს კი უკვე პარიზულს აღარ ჰგავს! როგორც იქნა! ახლა ნამდვილი კრისტოფი ხართ. აბა, დამენახეთ; საბანი ნუ დამისველეთ ცრემლებით.

— პატიებული ვარ?

— პატიებული ხართ. ოღონდ ნულარ გაიმეორებთ.

ფრანსუაზი ცოტა კიდევ წაესაუბრა, ჰკითხა, რას საქმიანობო, მერე დაღლილობა იგრძნო, მოიწყინა და გაისტუმრა.

დათქვეს, რომ კრისტოფი შემოუვლიდა მომავალ კვირაში. ზედ წამოსვლის წინ ფრანსუაზისაგან ტელეგრამა მიიღო: ნუ მოხვალ, უგუნებოდ ვარო. ერთი დღის შემდეგ კი თვითონვე სთხოვა, მოდიო. კრისტოფი მოვიდა. ფრანსუაზი უკვე გამოჯანმრთელებულიყო, ფანჯარასთან იჯდა, ნახევრად წამოწოლილი. ადრეული გაზაფხული იყო, მზიანი დარი იდგა, ხეები ახალი ყლორტებით იმოსებოდნენ. კრისტოფს ფრანსუაზი ასეთი ალერსიანი და სათნო ჯერ არასოდეს ენახა. ქალმა უთხრა, იმ დღეს არავისი დანახვა არ მინდოდა; კიდევ კარგი არ მოხვედით, თორემ თქვენდამიც ისეთივე სიძულვილს ვიგრძნობდიო, როგორც დანარჩენი მამაკაცების მიმართ.

— დღეს?

— დღეს ნორჩად და უმანკოდ ვგრძნობ თავს და მიყვარს ყოველივე, რაც შემს გარშემო ნორჩი და უმანკოა, როგორც თქვენ.

— მე რომ ნორჩი და უმანკო არა ვარ?

— თქვენ ასეთად დარჩებით სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ისაუბრეს იმაზე, თუ რას აკეთებდა კრისტოფი მას შემდეგ, რაც ერთმანეთი აღარ უნახავთ, თეატრზე, რომელსაც ფრანსუაზი მალე დაუბრუნდებოდა, სიტყვამ მოიტანა და მსახიობმა ქალმა თავისი აზრი უთხრა თეატრზე: ვეღარ ვიტან, მაგრამ ვერ მოვცილებივარო.

მან აღარ მოისურვა, რომ კრისტოფს ევლო მასთან ბინაზე და დაჰპირდა, მე თავად შემოგივლით ხოლმეო; მარტო იმის გამო წუხდა, ხელი არ შეგიშალოთო. კრისტოფმა უთხრა, ჩვეულებრივ, რომელ საათებში არ მუშაობდა. ნიშანიც დათქვეს: ქალი პირობის მიხედვით დააკაკუნებდა კარზე, ხოლო ვაჟი — როგორც მოისურვებდა: უნდოდა — გააღებდა, უნდოდა — არა...

ფრანსუაზს ბოროტად არ გამოუყენებია ნებართვა. ხოლო როდესაც ერთხელ მაღალი წრის საღამოზე მიდიოდა ლექსების წასაკითხად, ბოლო წუთს დაეზარა, გზიდან დაურეკა, ვერ მოვალო, და კრისტოფთან შეუხვია: შევირბენ, „საღამო მშვიდობისას“ ვუსურვებ და წამოვალო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ საღამოს, მან გული გაუხსნა კრისტოფს — მოუყვა მთელი თავისი თავგადასავალი, ბავშვობიდან დაწყებული.

მწუხარე ბავშვობა! თვითონ — შემთხვევითი კავშირის ნაყოფი, წარმოდგენა რომ არ ჰქონდა საკუთარ მამაზე. დედა — ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქის გარეუბანში მდებარე, სახელგატეხილი სამიკიტნოს მფლობელი; გზად მიმავალი მეფორნეები მოდიოდნენ აქ, სვამდნენ, ღამეს ათევდნენ სამიკიტნოს პატრონთან და სცემდნენ მას. ერთმა მათგანმა ცოლად შეირთო ფრანსუაზის დედა, რადგან ფული შეაგულა; ისიც ერთთავად სცემდა ცოლს და ლოთობდა. ფრანსუაზს ჰყავდა უფროსი და, რომელიც მოსამსახურეობას უწევდა სამიკიტნოს; ყმაწვილი ქალი ჯაფით წელში წყდებოდა; მამინაცვალმა საყვარლად გაიხადა და ცოლის თვალწინ ცხოვრობდა მასთან; და ჭლექიანი იყო და მალე მოკვდა. ფრანსუაზი ცემა-ტყეპასა და სისაძაგლეში წამოიზარდა. ეს გახლდათ ფერმკრთალი, გაბოროტებული და გულჩათხრობილი გოგონა, მგზნებარე სულის მქონე პატარა უკარება. იგი უყურებდა, როგორ ტიროდნენ, იტანჯებოდნენ, ითმენდნენ, თავს იმცირებდნენ, იხოცებოდნენ მისი და და დედა. გოგონა საშინელმა სურვილმა შეიპყრო, ბედს არ დამორჩილებოდა, როგორმე თავი გამოეღწია ამ სამარცხვინო გარემოდან; იგი მეამბოხედ ქცეულიყო; უსამართლობა ისტერიკაში აგდებდა: თუ სცემდნენ, ფრჩხილებით ფხაჭნიდა და იკბინებოდა. ერთხელ თავის ჩამოხრჩობაც სცადა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა განზრახვა: გაყო თუ არა ყულფში თავი, მყისვე უკუაგდო ეს აზრი; შეეშინდა, მართლა არ დავიხრჩოო, და როდესაც, უკვე სულშეხუთული, გამალებით ხსნიდა თოკს დაკრუნჩხული თითებით, სიცოცხლის შმაგმა წყურვილმა გაიბრძოლა მასში. რაკი გამოსავალი ვერ ჰპოვა სიკვდილში (კრისტოფს ნაღვლიანად ეღიმებოდა, ბავშვობაში ჩადენილი ამბები გაახსენდა), გოგონამ დაიფიცა, გაემარჯვა, თავისუფალი და მდიდარი გამხდარიყო და ფეხქვეშ გაეთელა თავისი მჩაგვრელები. ეს ფიცი მან თავის ბუნაგში დადო, სწორედ იმ საღამოს, როდესაც გვერდით ოთახში მამინაცვლის გინება, მის მიერ ნაცემი დედის წივილ-კივილი და გაუპატიურებული დის ქვითინი გაისმოდა. რა უბედური იყო მაშინ! მაგრამ ფიცმა შვება აგრძნობინა. კბილებს აღრჭიალებდა და გულში ამბობდა:

„დამაცადეთ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!“

ამ ბნელით მოცულ ბავშვობაში ერთი ნათელი სხივი შემოიჭრა.

ერთ დღეს მისმა თანატოლმა, თეატრის დარაჯის ბიჭმა, რომელთანაც ერთად თამაშობდა ხოლმე ქუჩაში, ჩუმად რეპეტიციაზე შეიყვანა, თუმცა ნებადართული არ იყო. ბავშვები დარბაზის სიღრმეში გაძვრნენ და ბნელში მიმალნენ. ორგვლივ სიბნელეში გაჩირაღდნებული სცენის იდუმალებამ, წარმოთ-

ქმული სიტყვების დიდებულმა და გაუგებარმა კილომ და მსახიობი ქალის დედოფლურმა იერმა (დედოფალს თამაშობდა რომანტიკულ მელოდრამაში) აღტაცებაში მოიყვანეს ფრანსუაზი. მღელვარებისაგან გაშტერდა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო... „აი, აი, ვინ უნდა გავხდე!... აჰ, ნეტა ასეთი მქნა!...“ როდესაც რეპეტიცია დამთავრდა, გადაწყვიტა, რადაც უნდა დამიჯდეს, საღამოზე წარმოდგენა უნდა ვნახოო. ბიჭი წინ გაუშვა, ვითომ უკან მიჰყვებოდა, მერე უცებ მიბრუნდა და დარბაზში, სკამქვეშ მიიკუნჭა; ასე გაატარა სამი საათი, მტვერში გაგუდულმა; ხოლო წარმოდგენის დაწყების წინ, როდესაც მაყურებლებმა მოსვლა იწყეს და გოგონა საფარიდან გამოსვლას აპირებდა, ხელი სტაცეს, დარბაზის სიცილ-ხარხარში სირცხვილნაჭამი გარეთ გააგდეს და შინ წაიყვანეს, სადაც გაწკეპლეს კიდეც. იმ ღამეს იგი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, დაბეჯითებით რომ არ სცოდნოდა, ვინ გახდებოდა მომავალში, რათა აპაღლებულიყო ამ არამზადა ადამიანების ბრბოზე და შური ეძია მათზე.

გეგმა შედგა. „თეატრის სასტუმრო — კაფეში“, სადაც მსახიობები ჩერდებოდნენ, დამლაგებლად მოეწყო. წერა-კითხვა ძლივს იცოდა, არაფერი კი არ წაეკითხა — წასაკითხი არაფერი გააჩნდა. მოისურვა საფუძვლიანად ესწავლა, რაშიც შესაშური გულმოდგინება გამოიჩინა. სტუმრებს ნომრიდან წიგნებს სწაპნიდა და კითხულობდა ღამ-ღამობით, მთვარის შუქზე, ან განთიადისას, რომ სანთელი არ დაეხარჯა. მსახიობების დაუდევრობის წყალობით, ეს წვრილმანი ქურდობა შეუმჩნეველი რჩებოდა, ანდა წიგნის პატრონები წაიბუზღუნებდნენ და ჩუმდებოდნენ. სხვათა შორის, წაკითხვის შემდეგ წიგნებს უბრუნებდა პატრონებს, თუმცა დაუზიანებლად იშვიათად — ფურცლებს, რომლებიც მოეწონებოდა, უსათუოდ ამოხევდა. წიგნებს რომ აბრუნებდა, როგორც წესი, ლოგინქვეშ ამოსდებდა, ან ავეჯის ქვეშ ფრთხილად შეაცურებდა მათ, ვითომც ოთახიდან არ გაეტანოთ. ყურით კარის ჭუჭრუტანას მიეკვროდა, რათა ესმინა მსახიობებისათვის, როლებს რომ იზეპირებდნენ. მერე კი დერეფანს ჰგვიდა და თან ხმადაბლა ბაძავდა მათი გამოთქმის კილოს და მათს მიხრა-მოხრას. როდესაც ამაზე წაასწრებდნენ, მასხრად იგდებდნენ, ზოგი კი ლანძღავდა კიდეც. იგი ხმას არ იღებდა, ბრაზს გულში იკლავდა. სწავლის ეს მეთოდი, ალბათ, უსასრულოდ გაგრძელდებოდა, რომ გაუფრთხილებლობა არ გამოეჩინა და ერთხელ ნომრიდან ხელისთვის არ გამოეყოლებინა მსახიობის როლი. მსახიობმა ცოფები ყარა. ოთახში შენს მეტი არავინ შემოსულაო, — ხელი დაადო მან დამლაგებელს. ფრანსუაზი ცივ უარზე დადგა; მსახიობი გაჩხრეკით დაემუქრა. მაშინ ქალიშვილი ფეხებში ჩაუვარდა და დაწვრილებით აღიარა ყველაფერი, თუ როგორ იპარავდა სხვა წიგნებსაც და ხევდა იქიდან ფურცლებს, — მთელი თავისი საიდუმლოება გასცა. მსახიობმა ლანძღვა-გინებით აიკლო, თუმცა სინამდვილეში არც ისეთი ავი კაცი იყო, როგორც თავი მოაჩვენა. ჰკითხა, მაინც რატომ აკეთებდიო ამას. როდესაც შეიტყო, რომ მას მსახიობობა სურდა, გულიანად იხარხარა. მერე გამოკითხვა დაუწყო; ფრანსუაზმა მთელი გვერდები ზეპირად წარმოთქვა. მსახიობს გაუკვირდა და უთხრა:

— მომისმინე, გინდა გაკვეთილები ჩაგიტარო?

ქალიშვილი ცას ეწია, ხელები დაუკოცნა.

— ოჰ, როგორ მეყვარებოდა! — მიუბრუნდა იგი კრისტოფს.

მაგრამ მსახიობმა კაცმა არც აცია, არც აცხელა:

— ოღონდ, ხომ იცი, გენაცვალე, მუქთად არავინ არაფერს იძლევა...

იგი ქალწული იყო, მუდამ მკაცრი კდემამოსილებით იგერიებდა აბეზარ არშიყთა ატორღიალებას. ეს მიუკარებელი უბიწოება ბინძური ქმედებისადმი, ბილწი, უსიყვარულო ავხორცობისადმი ზიზღი მას ბავშვობიდან გამოჰყვა, რაც გამოწვეული იყო იმ მწუხარე სურათების ხილვით, ყოველ ნაბიჯზე რომ ხვდებოდა შინ; იგი ამასვე განიცდიდა დღესაც... ოჰ, რარიგ დაისაჯა, უბედური!... როგორ დასცინა ბედმა!...

— მერე დათანხმდით? — შეეკითხა კრისტოფი.

— ოჰ! — აღმოხდა. — მერჩივნა ცეცხლში ჩავვარდნილიყავი, ოღონდ კი თავი დამეღწია მისგან. მაგრამ დამემუქრა, რომ დამაჭერინებდა ქურდობისათვის. არჩევანი აღარ მრჩებოდა. ასე შევდგი ფეხი ხელოვნებაში... და ცხოვრებაშიც.

— საძაგელი პირუტყვი! — თქვა კრისტოფმა.

— დიახ, მე იგი მძულს. მაგრამ მას შემდეგ ბევრი ადამიანი გავიცანი, როველნიც მასზე უკეთესები არ აღმოჩნდნენ. ის თავისი სიტყვის პატრონი მაინც გამოდგა — მასწავლა, რაც იცოდა (თუმცა დიდი არაფერი!) მსახიობის ხელოვნებიდან და დასშიც ჩამრიცხა. თავდაპირველად ყველანი უფროსად მადგნენ. მხოლოდ მუნჯ როლებს შათამაშებდნენ. ერთხელაც მოახლის როლის შემსრულებელი ავად გახდა და გაბედეს, ჩემთვის მოენდოთ მისი თამაში. ასე დაიწყო ჩემი მსახიობობა. უჩვეულოდ, სასაცილოდ, უცნაურად მთვლიდნენ. მაშინ უგვანი ვიყავი. ასეთად დავრჩი იმ დღემდე, ვიდრე უცებ ზექალად, ქალის იდეალად, „ყველაზე ქალურ ქალად“ არ გამომაცხადეს... ყეყეჩები! ჩემს თამაშს უმართებულოდ, შეუსაბამოდ მიიჩნევდნენ. მაყურებელს არ მოვწონდი. ამხანაგები დამცინოდნენ. დასში მაინც ვყავდი, რადგან ასე თუ ისე სამსახურს ვუწევდი, თანაც არც ისე ძვირი ვღირდი. ძვირი კი არა, პირიქით, იქით ვუხდიდი. ყოველი ჩემი წარმატება, ყოველი წინსვლა, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ ვაღწევდი, საკუთარი სხეულის ფასად მიჯდებოდა. თეატრის ამხანაგები, დირექტორი, იმპრესარიო, იმპრესარიოს ძმაკაცები...

ფრანსუაზი გაჩუმდა, ფერმკრთალი და ტუჩებმოკუმული; თვალები გაშრობოდა; მაგრამ მისი გამომეტყველებიდან გამოსჭვიოდა, რომ სული უტიროდა სისხლის ცრემლებით. თვალწინ გაუელვა მთელმა მიყენებულმა შეურაცხყოფამ და გამარჯვების სულ უფრო შმაგმა სურვილმა ყოველი ახალი შებღალვის შემდეგ, რომელიც ძალაუნებურად უნდა მოეთმინა. რატომ თავს არ იკლავდა? სიამოვნებით მოიკლავდა, მაგრამ ვერ აეტანა, სამუდამოდ ასე თავლაფდასხმული დარჩენილიყო. თვითმკვლელობა — როგორ არა, ოღონდ შე-

ურაცხყოფამდე, ანდა გამარჯვების მოპოვების შემდეგ. მაგრამ ამდენი დამცირება იწვნიო და ვერას გახდე... არამც და არამც!

იგი დადუმდა. კრისტოფი გაჯავრებული ბოლთას სცემდა ოთახში; სურვილი ჰქონდა მუსრი გაევლო იმ თაღლითებისათვის, რომელთაც გაეწამებინათ, შეებილწათ ეს ქალი. მერე მის წინ გაჩერდა და სიბრალულით შეხედა; მისი თავი, საფეთქლები თავის ხელებში მოიმწყვდია, ნაზად მოუჭირა და წარმოთქვა:

— საბრალო გოგონავ!

ქალმა თავის მოძრაობით სცადა მოეშორებინა იგი. კრისტოფმა უთხრა:

— ნუ გეშინიათ ჩემი. მე გულწრფელად მიყვარხართ.

მაშინ ცრემლებმა დაუსველეს ფრანსუაზს ფერმკრთალი ლოყები. კრისტოფმა მის წინ დაიჩოქა და დაუკოცნა la lunga man d'ogni bellezza piena... გრძელი, სრულქმნილი ხელები, რომლებზეც ორი ცრემლი დაეცა.

მერე კრისტოფი კვლავ დაჯდა. ფრანსუაზმა გული გაიმაგრა და დამშვიდებით განაგრძო თავისი ამბის მოყოლა.

ბოლოს იგი ცნობილი გახადა ერთმა დრამატურგმა. მან ამ უცნაურ ქმნილებაში დემონური სული, გენია აღმოაჩინა, და რაც უფრო საგულისხმო იყო მისთვის, „დრამატული ხასიათი, ახალი, თანამედროვე ქალის პროტოტიპი" იპოვა. რასაკვირველია, ამ უკანასკნელმა ისევე, როგორც ყველა ადრინდელმა, თავის ხასად გაიხადა იგი. ფრანსუაზიც დანებდა მას ისევე, როგორც ყველა ადრინდელს, უსიყვარულოდ, თვით სიყვარულის საწინააღმდეგო გრძნობითაც კი. მაგრამ მან დიდება მოუტანა მსახიობს, ხოლო მსახიობმა, თავის მხრივ, დრამატურგს.

— სამაგიეროდ, — უთხრა კრისტოფმა, — დღეს უკვე ვერავინ ველარაფერს დაგაკლებთ; თქვენ თვითონ რასაც გინდათ იმას უზამთ მათ.

— ეგრე გგონიათ? — მწარედ წარმოთქვა ქალმა.

და მოუყვა კიდევ ერთი ბედის დაცინვის შესახებ — თავის ვნებაზე ერთი არამზადისადმი, რომელსაც ყურადღების ღირსად არ თვლიდა; ამ ლიტერატორმა ექსპლუატაცია გაუწია, გამოსცინცლა მისი ყველაზე შეურაცხმყოფელი საიდუმლოებანი, მათზე წიგნი დაწერა, ქალი კი მიატოვა.

— მე იგი არარაობად მიმაჩნია, — თქვა ფრანსუაზმა, — ძაღლად ჩასაგდებიც კი არ არის და სიბრაზით მაკანკალებს იმის გაფიქრებაზე, რომ იგი მიყვარს, მაგრამ საკმარისია ერთი ხელი დამიქნიოს, რომ მივირბინო და თავი დავიმცირო ამ უღირსთან. რა შემიძლია ვქნა? გულს არ სურს შეიყვაროს ის, რაც ჯეროვნად მიაჩნია გონებას. გინდა არ გინდა, ან გულის სურვილი უნდა ანაცვალო გონების კარნახს, ან პირიქით. გული და ხორციც ხომ ჩემია. ისინი ყვირიან, კიჟინებენ, თავიანთ წილ ბედნიერებას მოითხოვენ. და არ გამაჩნია ბურთი, რომ ჩავჩარო მათ პირში, არაფერი არა მწამს, თავისუფალი ვარ... თავისუფალი? არა, მონა ვარ საკუთარი გულისა და ხორცისა, რომელთა სურვილ-

საც ვასრულებ მეტწილად, თითქმის ყოველთვის. ისინი მერევიან. მრცხვენია ამისი, მაგრამ რა შემიძლია ვიღონო?...

ცოტა ხანს გაჩუმდა და უნებლიეთ ნაცარს დაუწყო მაშით ჩხრეკა.

— აქა-იქ წამიკითხავს, — განაგრძო შემდეგ, — ვითომ მსახიობები გულით არაფერს განიცდიანო. მართლაც, ყველანი, ვისაც კი პირადად ვიცნობ, ამპარტავანი დიდი ბავშვები არიან, რომლებიც გულით მხოლოდ მაშინ იტანჯებიან, როდესაც უშუალოდ მათი პატარა თავმოყვარეობა ილახება. არ ვიცი, ისინი არიან ნამდვილი მსახიობები, თუ მე. მაგრამ მგონია, უფრო მე უნდა ვიყო. ასეა თუ ისე, მე ვიხდი სხვების მაგივრადაც.

ლაპარაკი შეწყვიტა და წასასვლელად წამოდგა. ღამის სამი საათი იყო. კრისტოფმა უთხრა, დილას დაელოდეთო, და თავისი საწოლი შესთავაზა. ფრანსუაზმა არჩია, ჩამქრალი ბუხრის პირას, სავარძელში დარჩენილიყო და ოთახის სიწყნარეში საუბარი განეგრძო.

— უძილოდ ხვალ მთელი დღე მოთენთილი იქნებით, — უთხრა კრისტოფმა.

— მიჩვეული ვარ. თქვენ... თქვენ რაღას აკეთებთ ხვალ?

— არაფერს. გაკვეთილი მაქვს თერთმეტ საათზე... თანაც, მე მაგარი ვარ.

— ამიტომ ძილიც უფრო მაგარი გჭირდებათ.

— მართლა მკვდარივით მძინავს, როგორი ჯავრიც უნდა მქონდეს. ზოგჯერ ჩემს თავზე ვბრაზდები, რომ ასე ღრმა ძილი ვიცი: რამდენი ძვირფასი დრო იფლანგება უქმად!.. მოხარული ვარ, რომ ვერაგ ძილს ამაღამდელ ღამეს მაინც არ შევარჩენ.

ხმადაბლა, ხანგრძლივი პაუზებით განაგრძობდნენ საუბარს. ბოლოს კრისტოფს ჩაეძინა. ფრანსუაზმა გაიღიმა და თავი მიადებინა სავარძელზე, რომ არ გადმოვარდნილიყო... თვითონ კი ფანჯარასთან დაჯდა და ოცნებებში წასული გასცქეროდა ჩაბნელებულ ბაღს, მალე რომ იწყო განათება. შვიდი საათი იქნებოდა, ფრთხილად გააღვიძა კრისტოფი და დაემშვიდობა.

მთელი თვის მანძილზე იგი მოდიოდა, მაგრამ შინ ვერ ნახულობდა კრისტოფს: კარი დაკეტილი ხვდებოდა. კრისტოფმა ბინის გასაღები მისცა, როცა მოგესურვოთ, მოდით და დარჩითო. მართლაც, რამდენჯერმე მოვიდა და დაჰყო იქ, როდესაც კრისტოფი შინ არ დახვდა. წასვლისას მაგიდაზე ტოვებდა ხან იების კონას, ხანაც ქაღალდის ფურცელზე სახელდახელოდ შესრულებულ ჩანახატს ან კარიკატურას — ნიშანს იმისა, რომ აქ იყო.

ერთ საღამოსაც, თეატრიდან რომ გამოვიდა, კრისტოფთან შეიარა, რომ კვლავინდებურად გულღიად წაემუსაიფა. კრისტოფი მუშაობით იყო გართული. საუბარი გააბეს; მაგრამ პირველსავე სიტყვებზე მიხვდნენ, არც ერთი, არც მეორე არ იყვნენ განწყობილი მსჯელობისათვის, როგორც იმ დღეს. ფრანსუაზმა წასვლა დააპირა; მაგრამ უკვე კარგა შეგვიანებული იყო. არა, კრისტოფმა კი არ დაატანა ძალა, დარჩითო; მისმა საკუთარმა ნებამ აღარ გაუ-

შვა. ერთად იყვნენ და გრძნობდნენ, რომ ერთმანეთის სურვილი ეუფლებოდა ორივეს. და გული გულს მისცეს.

იმ ღამის შემდეგ ფრანსუაზი რამდენიმე კვირას აღარ გამოჩენილა. თვეობით მიძინებულმა გრძნობამ ერთბაშად იფეთქა კრისტოფში და მან იგრძნო, რომ უამქალოდ ყოფნა აღარ შეეძლო. ფრანსუაზმა სახლში მისვლა აუკრძალა. მაშინ კრისტოფმა გადაწყვიტა, თეატრში ენახა. სადღაც, უკან რიგებში ჩამალული შეყვარებული კრისტოფი მღელვარებისაგან ერთიანად კანკალებდა. ის მგზნებარე ტრაგიზმი, რომლითაც ფრანსუაზი თავის როლს თამაშობდა, კრისტოფსაც ედებოდა. ბოლოს, ვეღარ გაუძლო და მისწერა:

„მიწყრები, ძვირფასო? მომიტევე, თუ უნებურად გაწყენინე".

ამ თავმდაბალი ბოდიშის წერილის მიღებისთანავე ფრანსუაზი კრისტოფთან გაჩნდა და გრძნობით მოეხვია მეგობარს.

— უმჯობესი იქნებოდა, უბრალოდ, კარგ მეგობრებად დავრჩენილიყავით, მაგრამ რაკი ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ამაოდ რად შევებრძოლოთ გარდაუვალს. მოხდეს, რაც მოხდება!

მას შემდეგ თავიანთი ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირეს, ოღონდ ისე, რომ თითოეულმა თავისი საცხოვრებელი ბინა და თავისუფლება შეინარჩუნა. ფრანსუაზს არ შეეძლო სულ ერთთავად კრისტოფის გვერდით ყოფილიყო. ამის საშუალებას არც სამუშაოს ხასიათი აძლევდა. ქალი თვითონვე მოდიოდა კრისტოფთან, დღისა და ღამის გარკვეულ ნაწილს მასთან ატარებდა, მერე თავის სახლში ბრუნდებოდა და ზოგჯერ მთელი ღამითაც შინ რჩებოდა.

პარიზის გარეუბანში, ჟიფის მახლობლად, კრისტოფმა და ფრანსუაზმა ბინა დაიქირავეს; უნდოდათ, აქ გაეტარებინათ რამდენიმე თვე შვებულებისა, სანამ თეატრი კვლავ გაიხსნებოდა. ბედნიერად გადიოდა დღეები. თუმცა ზოგჯერ მათ ბედნიერებას სევდის ბურუსი შეამღვრევდა ხოლმე. ეს იყო ურთიერთლტოლვისა და შრომის მშვიდი დღეები. მათ ზემო სართულში ერთი ნათელი, კოხტა ოთახი ეჭირათ, საიდანაც მოჩანდა შორს გადაჭიმული ველები და გადაშლილი ვრცელი ჰორიზონტი. ღამღამობით საწოლიდან ხედავდნენ, როგორ მიიზლაზნებოდა ფანჯრებს მიღმა, ცის ჩაქუფრულ სილურჯეში უცნაური ღრუბლის ჩრდილები. ერთმანეთს ჩახვეულთ ძილ-ღვიძილში ჩაესმოდათ სიხარულით მთვრალი კუტკალიების ჭრიჭინი, თავსხმა წვიმის შხაპუნი. ოთახში შემოდგომის მიწის სუნთქვა იგრძნობოდა; ჩიტავაშლას, კატაბარდას, ცისვარდასა და მოთიბული ბალახის სუნი ტრიალებდა. მათი სხეულებიც ამ სურნელებით იყო გაჟღენთილი. ღამის სიმშვიდე. ერთად ძილი. სიჩუმე. სადღაც შორიდან ისმის ძაღლების ყეფა. მამლები ყივიან. ალიონი ახლოვდება. დილის ცივ ბურუსში შორეული სამრეკლოდან სუსტად მოისმის ზარების რეკვა. სიცივე თბილ ბუდეშიაც ატანს და ისინი უფრო მეტი სიყვარულით ეკვრიან ერთმანეთს. კედელზე ჩახვეულ ვაზში ჭიკჭიკით იღვიძებენ ჩიტები. თვალს ახელს კრისტოფიც,

სუნთქვას იკრავს და გრძნობამორევით დაჰყურებს მის გვერდით მძინარ, სიყვარულისგან ფერმიხდილი მეგობრის ძვირფას სახეს...

მათი სიყვარული ეგოისტური გრძნობა კი არა, ნამდვილი, ღრმა მეგობრობა იყო, სხეული კი მხოლოდ თავის ხვედრს ითხოვდა. ისინი არაფრით ზღუდავდნენ ერთმანეთს. თითოეული საკუთარი საქმით იყო დაკავებული. ფრანსუაზი თაყვანს სცემდა კრისტოფის ნიჭს, მის კეთილ ბუნებას და მაღალზნეობრივ მრწამსს. იგი გრძნობდა, რომ ბევრ რამეში კრისტოფზე უფროსი იყო და ეს დედობრივ სიხარულს ჰგვრიდა. ოღონდ გული სწყდებოდა, რომ მისი ნაწარმოებები არ ესმოდა. ფრანსუაზისთვის მუსიკის კარი დახშული გახლდათ... იშვიათად თუ მიეცემოდა დაუოკებელ მღელვარებას და ამის მიზეზი ხშირად იმდენად მუსიკა კი არა, თვითვე, იყო, მისი ვნებები, იმ მომენტში რომ ეუფლებოდა და აფერადებდა ყველაფერს, რაც ფრანსუაზის გარშემო არსებობდა—ბუნებას, ხალხს, ფერებს თუ ბგერებს. და მაინც, მუსიკის მისთვის გაუგებარი, იდუმალი ენის მიღმა ფრანსუაზი კარგად ხედავდა კრისტოფის ნიჭიერებას. თითქოს უცხო ენაზე ამეტყველებული დიდი მსახიობის თამაშს უმზერდა. კრისტოფის გენია მის საკუთარ ნიჭსაც უფრო მეტ ცხოველმყოფლობას აძლევდა. კრისტოფიც ყოველი ახალი ნაწარმოების შექმნისას მთელ თავის ფიქრსა და ოცნებას საყვარელი ქალის სახეში აქსოვდა. მის წარმოსახვაში ეს ქალი უფრო მშვენიერი ხდებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ასეთ ჭეშმარიტად ქალურ, ნაზ, კეთილსა და ამავე დროს მკაცრ სულთან სიახლოვე, რომელიც დროდადრო გენიალურობასაც ავლენდა, ფასდაუდებელ საუნჯეს წარმოადგენდა. მისი წყალობით კრისტოფმა ბევრი რამ შეიცნო ცხოვრებაზე, ხალხზე, სიმდიდრესა და ქალებზე, რომელთაც ჯერ კიდევ ძალიან ცუდად იცნობდა. ფრანსუაზი კი მათ შესახებ ზედმიწევნით საღად აზროვნებდა. რაც მთავარია, ამ ქალმა ასწავლა კრისტოფს თეატრის უკეთ გაგება, შესანიშნავი ხელოვნების არსს ჩააწვდინა, იმ ხელოვნებისა, რომელიც ხელოვნებათა შორის ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე საღი და სრულფასოვანია. ფრანსუაზმა მას დაანახვა ადამიანის ფანტაზიის ამ ჯადოსნური იარაღის მთელი სილამაზე. დაარწმუნა, რომ არ შეიძლება წერდე მხოლოდ საკუთარი თავისთვის, რისკენაც კრისტოფსაც ჰქონდა მიდრეკილება (ეს იყო ხელოვანთა უმეტესობის მიდრეკილება. ბეთჰოვენის მსგავსად, ისინიც უარს ამბობდნენ ეწერათ „რომელიღაც წყეული ვიოლინოსათვის, როცა მათი ენით თვით ღმერთები მეტყველებდნენ"). — ყველაზე დიდი დრამატურგიც კი არ თაკილობს წეროს ჩვეულებრივი თეატრისათვის, ამასთანავე ანგარიში გაუწიოს მსახიობებს, რომელთაც შემდგომ მისი ჩანაფიქრი სცენაზე უნდა განასახიერონ. იგი ამას დამამცირებელ საქმედ არა თვლის. იმიტომ, რომ მან იცის, ეს არის მშვენიერი ოცნება, მისი განხორციელება კი — დიდებული საქმე. თეატრიც, ისევე როგორც ფრესკული ფერწერა, ხელოვნების მთავარი დანიშნულების შემსრულებელია. იგი ჭეშმარიტად ცოცხალი ხელოვნებაა.

ამგვარი ფიქრები, რომელშიაც ფრანსუაზი თავის აზრებს გადმოსცემდა, კრისტოფის მოსაზრებებს ემთხვეოდა, კრისტოფიც იმხანად თავის შემოქმედებით სარბიელზე სწორედ კოლექტიური ხელოვნებისაკენ ისწრაფვოდა, რომელიც სხვა ადამიანებთან მჭიდრო ურთიერთობაში შეიქმნებოდა. ფრანსუაზის გამოცდილება საშუალებას აძლევდა კრისტოფს ჩასწვდომოდა იმ შეთანხმებული ურთიერთზემოქმედების საიდუმლოებას, რომელიც მაყურებელსა და მსახიობს შორის მყარდება. საზრიანი და ყოველგვარი ილუზიებისაგან თავისუფალი ფრანსუაზი გრძნობდა მაყურებლისა და მსახიობის ურთიერთშთაგონების ძალას, სიმპათიის იმ ტალღებს, მსახიობს მაყურებელთა დარბაზთან რომ აკავშირებს, იმ გარინდებას მრავალი ათასი სულისას, საიდანაც ერთიანი შეძახილი აღმოსკდება ხოლმე. რა თქმა უნდა, ამგვარი შეგრძნება ფრანსუაზს არცთუ ხშირად ეუფლებოდა, იშვიათად გამოანათებდა ხოლმე და პიესის ერთსა და იმავე ადგილზე თითქმის აღარასოდეს მეორდებოდა. დანარჩენ დროს ეს იყო უსულგულო ხელობა, ცივი, გონებისმიერი ტექნიკა. მაგრამ საუცხოო სწორედ ეს უეცარი ანთებაა, რომლის შუქზე ერთბაშად ნათდება მილიონობით სულის სიღრმისეული უფსკრულები და რომლის ძალასაც მარტოოდენ ერთი ადამიანი გამოხატავს.

სწორედ ეს ერთიანი სული უნდა განასახიეროს დიდმა ხელოვანმა. ასეთი ხელოვანის იდეალი ძველბერძენი აედის სიცოცხლისუნარიანი ობიექტივიზმია, რომელიც საკუთარ „მეს“ განუდგა, რათა მსოფლიოში არსებულ საერთო საქვეყნო გრძნობებით განმსჭვალულიყო. ამ მოთხოვნილებას განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდა ფრანსუაზი, რადგან თავად მას არ შეეძლო მსგავსი თავგანწირვა. იგი ყოველთვის მხოლოდ თავისთავს განასახიერებდა. ზნეობრივი ამაღლებულობა ნიშნავს გრძნობდე ძლიერად, და შეგეძლოს ასევე ძლიერად დაიოკო საკუთარი ვნება; იყო თავშეკავებული მოსაუბრე, ბრძნულად აზროვნებდე, გქონდეს უბიწო ფიქრები და მით ამაოდ არ ამაყობდე. უბრალო გამომეტყველებით, ღრმა აზრებით დატვირთული სიტყვებით, ყოველგვარი ბავშვური აღფრთოვანებისა და ქალურად გაზულუქებული გრძნობიერების გარეშე ლაპარაკობდე ჭეშმარიტი ადამიანებისთვის—მათთვის, ვისთვისაც ნახევარი სიტყვის თქმისთანავე ყველაფერი გასაგებია. თანამედროვე მუსიკა თავის თავზე უფრო მეტს ლაპარაკობს და თავის პირად საიდუმლოებას ყველგან უბოდიშოდ ჩრის. იგი მოკრძალებულობასა და გემოვნებასაა მოკლებული, იმ ავადმყოფს ჰგავს, რომელიც თავის დაავადებაზე ლაპარაკით არასდროს არ იღლება და მას გულისამრევი სასაცილო სიზუსტით აგვიწერს. თუმცა თავად ფრანსუაზი მუსიკოსი არ იყო, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს დაენახა, თუ როგორ დაეცა მუსიკა, როგორ ვითარდებოდა იგი პოეზიის ხარჯზე, ხორცმეტივით მთლიანად ნთქავდა მას. კრისტოფი არ ეთანხმებოდა ფრანსუაზს, მაგრამ როცა კი ღრმად ჩაუკვირდებოდა, ‘ზად იყო ეღიარებინა, რომ მისი აზრი სიმართლეს არ იყო მოკლებული. გოეთეს ლექსზე შექმნილი პირველი Lieder-ები ზუსტი და თავშეკავებული იყო, მაგრამ შუბერტმა მასში შეიტანა რომანტიული გრძნობი-

ერება, შუმანმა — ქალწულებრივი სევდა და სულ ასე იზრდებოდა მისწრაფება ძლიერი დეკლამაციისა და სათაკილო თვითანალიზისაკენ, ვიდრე ჰუგო ვოლფამდე. ცდილობდნენ, გაუნათებელი არ დარჩენოდათ საკუთარი სულის არცერთი კუნჭული. საიდუმლოებათა ყოველგვარი საბურველისაგან განძარცულია სული. იმას, რაც თავშეკავებულად თქვა ლატრანმოსილმა სოფოკლემ, მთელი ხმით გაჰყვირიან უსირცხვილო მენადები და თავიანთ სიშიშვლეს მოურიდებლად წარმოაჩენენ.

კრისტოფს ამგვარი ხელოვნებისა, ცოტა არ იყოს, ერცხვინებოდა კიდეც. გრძნობდა, რომ ეს ავადმყოფობა რამდენადმე მასაც გადასდებოდა. წარსულისკენ მიბრუნებას არ აპირებდა, უაზრო და არაბუნებრივი იქნებოდა ეს სურვილი. იგი წარსულის იმ გენიალური ოსტატებისგან იღებდა ძალას, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ამაყად განცალკევებულნი, თავიანთ თავს კოლექტიურ ხელოვნებას მიაკუთვნებდნენ. ასევე იყო ჰენდელიც. იგი ჯრად აგდებდა თავისი მოდგმის გულისამაჩუყებელ პიეტიზმს, წერდა მონუმენტურ ჰიმნებს, ეპიკურ ორატორიებს და ხალხურ სიმღერებს. მაგრამ ადვილი არ იყო ისეთი თემის მიგნება, რომელიც, ბიბლიის მსგავსად, ჰენდელის მოღვაწეობის პერიოდში თანამედროვე ადამიანებში ერთ საერთო გრძნობას აღძრავდა. დღევანდელ ევროპას არ გააჩნია ერთი საერთო წიგნიც კი, პოემა, ლოცვა ან სარწმუნოება, რომელიც ყველას კუთვნილება იქნებოდა. სირცხვილი თანამედროვე მწერლებს, ხელოვანთ და მოაზროვნეთა! ყველასათვის არც არავინ წერდა და არც არავის უაზროვნია. მხოლოდ ბეთჰოვენმა დაგვიტოვა ახალი სახარების ნუგეშის მომცემი რამდენიმე გვერდი და ისიც მარტოოდენ მუსიკოსებისათვის არის გასაგები. ვაგნერმა თავის ბაიროითის ბორცვზე სცადა შეექმნა რელიგიური ხელოვნება. რომელიც ადამიანებს შეაკავშირებდა, მაგრამ მის დიად სულს ღრმად აჩნდა მისი თანამედროვე დეკადენტური მუსიკისა და აზროვნების ყველა ნაკლი და კურთხეულ ბორცვზე გალილეველი მეთევზეების ნაცვლად მას პირმოთნენი ესტუმრნენ.

კრისტოფმა კარგად იცოდა, რის გაკეთება იყო საჭირო, მაგრამ მას არ ჰყავდა პოეტი. იგი იძულებული იყო მხოლოდ საკუთარ ძალებს დაჰყრდნობოდა და მარტოოდენ მუსიკით შემოფარგლულიყო. მაგრამ მუსიკის ენა, რაც უნდა ბევრი ამტკიცონ, ყველასათვის მისაწვდომი არ არის — საჭიროა სიტყვათა მშვილდი, რათა ბგერათა ისრები ადამიანთა გულებში შეიჭრას.

კრისტოფმა გადაწყვიტა, ყოველდღიურ ცხოვრებაზე სიმფონიების ციკლი დაეწერა. სურდა ოჯახური სიმფონია შეექმნა, ოღონდ თავისებურად, რიჰარდ შტრაუსისაგან სრულიად განსხვავებულად. იგი სრულებითაც არ ფიქრობდა კინემატოგრაფიული სიზუსტით, პირობითი ხერხების გამოყენებით აესახა ოჯახური ცხოვრების სურათები, სადაც მუსიკალური თემები, ავტორის სურვილის თანახმად, სხვადასხვა პერსონაჟს შეესატყვისება. ყველაფერი ეს კრისტოფს კონტრაპუნქტის დიდოსტატის ბავშვურ გართობად მიაჩნდა. კრისტოფი არ ცდი-

ლობდა პერსონაჟის ან მისი შემოქმედების აღწერას. მას მხოლოდ ყველასათვის ახლობელი გრძნობების გადმოცემა აინტერესებდა, რომლებშიაც თითოეული საკუთარი სულის გამოძახილს შეიცნობდა. პირველი ნაწილი ახალგაზრდა მოსიყვარულე წყვილის მშვიდ, გულწრფელ ბედნიერებასა, ურთიერთლტოლვასა და მომავლის რწმენაზე მოგვითხრობდა. მეორე ნაწილი იყო ელეგია გარდაცვლილ ბავშვზე. კრისტოფი ზიზღით გაურბოდა ნაღველის გამოხატვის ყოველგვარ რეალისტურ ძიებას. მისთვის ქრებოდნენ ინდივიდუალური სახეები. რჩებოდა მხოლოდ ერთი დიდი მწუხარება — თქვენი, ჩემი, ყოველი ადამიანისა უბედურების პირისპირ, რაც წილად ხვდა ან მომავალში ელის თითოეულ ჩვენგანს. მწუხარებისგან სასომიხდილია სული. მაგრამ იგი უჩვეულოდ ძაბავს ნებისყოფას, ნელ-ნელა სწორდება წელში, რომ სამსხვერპლოზე მიიტანოს თავისი სატანჯველი და შეუპოვრად აგრძელებს გზას. შემდეგი ნაწილი, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ენერგიული ფუგის მეორე ნაწილიდან, მკვეთრი ხელწერითა და ძლიერი რიტმით სრულდება, თანდათანობით მთელი არსებით იპყრობს ადამიანს და ბრძოლისა და ცრემლის გზით, ურყევი რწმენის გამომხატველი ძლიერი მარშით გვირგვინდება. ფინალი ცხოვრების მწუხრს ეძღვნება. აქ კვლავ თავს იჩენს პირველი ნაწილის თემები — ამაღელვებელი რწმენითა და მარადიული, უშრეტი სიყვარულით გამსჭვალული, ოღონდ ახლა მასში მეტი სიმწიფე, ცხოვრებისგან დაღლა იგრძნობა. მწუხარების ჯურღმულებიდან თავდაღწეულნი, შარავანდედით მოსილნი, ყვავილებით დახუნძლულ რტოსავით აღავლენენ ცისკენ მარადიული სიცოცხლისადმი უსაზღვრო რწმენით გამსჭვალული სიყვარულის სადიდებელს.

კრისტოფი ცდილობდა ძველ წიგნებში მოეძებნა უბრალო, ადამიანური, ამაღლებული ცხოვრებისეული სიუჟეტები, რომლებიც ყველას გულში ჰპოვებდა გამოძახილს. მან ორი რამ შეარჩია: „იოსები“ და „ნიობე“. გარდა იმისა, რომ მას პოეტი არ ჰყავდა, აქ მეორე პრობლემაც იჩენდა თავს: ეს იყო პოეზიისა და მუსიკის თანხვედრობის საკითხი. ფრანსუაზთან საუბრის დროს მოაგონდა, როგორ მოხაზა ერთ დროს კორინასთან ერთად მუსიკალური დრამის შექმნის გეგმა — ეს იქნებოდა რაღაც საშუალო ოპერა-რეჩიტატივსა და დრამას შორის — თავისუფალი მეტყველების თავისუფალ მუსიკასთან შერწყმის ხელოვნება. ამ სახის ხელოვნების შექმნას კი თითქმის არცერთი თანამედროვე კომპოზიტორი არ ფიქრობს. ვაგნერიზმით გაჟღენთილი რუტინიორი კრიტიკოსები მას უარყოფენ. ამგვარი შემოქმედება ახლებურია, რადგან აქ, უბრალოდ, კვალდაკვალ ვერ მიჰყვები ბეთჰოვენს, ვებერს, შუმანსა თუ ბიზეს, რაგინდ გენიალურადაც უნდა ფლობდნენ ისინი მელოდრამას. თვით ყველაზე ეულგარული ტრემოლოც რომ მოიშველიო და საზოგადოების ვულგარული გემოვნება დაკმაყოფილო, ალალბედზე აღებულ დეკლამაციას ნებისმიერ მუსიკაზე ვერ მოარგებ. აქ ახალი ჟანრის შექმნაა საჭირო, სადაც მუსიკალური ბგერები ჟღერადობით ახლომდგომ ინსტრუმენტებს ერწყმიან. მათ კეთილხმოვან სტანსებს შე-

უმჩნევლად ერთვის ოხვრისა და ზმანებების გამოძახილი. ამგვარი ფორმა მხოლოდ და მხოლოდ სიუჟეტით ძალზე შეზღუდული ნაწარმოებისთვისაა მისაღები, რადგან მისი დანიშნულებაა სანუკვარი ოცნების ჟამს გადმოსცეს სულის პოეტური სურნელი. ეს არის ხელოვნების ყველაზე მეტად თავშეკავებული, არისტოკრატული სახე. ბუნებრივია, ამ ეპოქაში, სადაც თანამედროვე მოთხოვნების მიუხედავად, ტონის მიმცემნი მაინც უხამსი წინმასწარანი არიან, მას გაფურჩქვნის ნაკლები შესაძლებლობა აქვს.

შესაძლოა, ამგვარი ხელოვნებისთვის თვით კრისტოფიც ნაკლებად იყო შესაფერისი: მისი ნიჭის თავისებურებანი, მისი პლებეური ძალა ქმნიდა ამ დაბრკოლებას. იგი მხოლოდ ამგვარი ხელოვნებისაკენ ისწრაფვოდა და ფრანსუაზთან ერთად რამდენიმე ჩანაწერიც გააკეთა.

მან მუსიკის ენაზე აამეტყველა ბიბლიის რამდენიმე ფურცელი, ისე, რომ მასში თითქმის არაფერი შეუცვლია — მაგალითად, ის უკვდავი სცენა, სადაც იოსები საკუთარ ძმებს თავის ვინაობას უმხელს და განსაცდელგამოვლილი, სიყვარულისა და მღელვარებისაგან ღონემიხდილი, ხმადაბლა ჩურჩულებს სიტყვებს, რომლებმაც მოხუც ტოლსტოის ცრემლები დააღვრევინა: „და თქუა იოსებ ძმათა მიმართ თჳსთა: მე ვარ იოსებ: ჯერეთ ცოცხალ არსა მამა ჩემი; და ვერ ეძლო ძმათა მისთა სიტყჳს მიგებად მისსა, რამეთუ შეშფოთნეს. ხოლო თქჳა იოსებ ძმათა მიმართ თჳსთა, მომეახლენით მე, და მიეახლნეს, და ჰრქუა: მე ვარ იოსებ ძმა თქჳჷნი, რომელი მომყიდეთ ეგჳპტედ“.

ეს საოცნებო, თავისუფალი კავშირი არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო. მართალია, ერთად ყოფნისას ცხოვრების სისავსეს ხშირად შეიგრძნობდნენ, მაგრამ ისინი სრულიად სხვადასხვა ხასიათისანი და ერთნაირად თავშეუკავებელნი იყვნენ, რაც ხშირ შეტაკებებს იწვევდა, თუმცა უხეშობამდე არასოდეს მოდიოდნენ: კრისტოფი პატივს სცემდა ფრანსუაზს და ფრანსუაზიც, თუმც შეეძლო მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც სიკეთე სურდა, ცუდს არასოდეს არ ინდომებდა. ამის გარდა, ორივენი მხიარული ხასიათისანი იყვნენ. ფრანსუაზი თვითონვე დასცინოდა თავს და ამასთან იტანჯებოდა კიდეც. იმ ძველი სიყვარულისგან მთლიანად ვერ გათავისუფლებულიყო. მას არ შეეძლო აეტანა დამამცირებელი მდგომარეობა. იმის გამოც წუხდა, რომ კრისტოფი მის საიდუმლოს ქვეშეცნეულად მაინც ხვდებოდა.

კრისტოფი უყურებდა მთელი დღეების განმავლობაში მდუმარედ მჯდარ ფიქრებში წასულ ფრანსუაზს და ვერ გაეგო, რა ზღუდავდა მის ბედნიერებას. მან ხომ ყველაფერს მიაღწია: გახდა ცნობილი მსახიობი, თაყვანს სცემდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ...

— დიახ, ასეა, — თქვა ფრანსუაზმა. — მაგრამ მე იმ სახელმოხვეჭილ კომედიანტთა რიცხვს არ ვეკუთვნი, რომელთაც ვაჭრული სული უდგათ. თეატრი მათთვის კომერციული საქმეა. ოღონდ პირველები იყვნენ, მათ არაფერი აინტერესებთ. როგორც კი თბილ ადგილს მოიწყობენ, მდიდარ ბურჟუას ან სი-

მამაცის ჯვრით დაჯილდოებულ რომელიმე nec plus ultra[1] მისთხოვდებიან. მე კი უფრო მეტი მინდა. ადამიანი, თუ იგი მართლა ბრიყვი არ არის, კარგად ამჩნევს, რომ წარმატება უფრო ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე წარუმატებლობა. ეს თქვენ კარგად უნდა იცოდეთ!

— რა თქმა უნდა, ვიცი, — მიუგო კრისტოფმა. — ოჰ, ღმერთო ჩემო! ბავშვობაში განა ასეთად წარმომედგინა დიდება. რაოდენ გზნებით ვილტვოდი მისკენ! რაოდენ მჭრიდა თვალს მისი ბრწყინვალება!.. შორიდან შევფრფინვოდი, ვითარცა რაიმე სარწმუნოებრივს... და სულ ამაოდ! წარმატებას ერთი ღვთიური სიწმინდე გააჩნია — იგი საშუალებას გაძლევს, სიკეთე თესო.

— მაგრამ რის გაკეთება შეგიძლია? ვთქვათ, შენ გაიმარჯვე. მერე? ამით არაფერი შეცვლილა. თეატრშიც და კონცერტებზეც ყველაფერი ძველებურადვეა. მხოლოდ ესაა, რომ ერთმა მოდამ შეცვალა მეორე. მათ შენი ან სულ არაფერი ესმით, ან არადა, ძალიან ცოტა, და მაშინვე სხვა რამეზე იწყებენ ფიქრს... თვითონ შენ განა გესმის დანარჩენ სხვა ხელოვანთა შემოქმედებისა? ყოველ შემთხვევაში, მათ მაინც არ ესმით შენი. და ყველაზე ნაკლებ სწორედ იმათ ესმით, ვინც შენთვის განსაკუთრებით ძვირფასია. გაიხსენე თუნდაც შენი ტოლსტოი...

კრისტოფმა ტოლსტოის წერილი მისწერა. მისი წიგნებით აღფრთოვანებული იყო. უნდოდა, ტოლსტოის პოპულარული ზღაპრებიდან რომელიმეზე მუსიკა დაეწერა. ნებართვა სთხოვა და თან თავისი lieder-ი გაუგზავნა. ტოლსტოიმ არაფერი უპასუხა, სწორედ ისე, როგორც გოეთემ უპასუხოდ დატოვა შუბერტი და ბერლიოზი, რომელთაც გოეთეს თავიანთი შედევრები გაუგზავნეს. მართალია, მან მოუსმინა კრისტოფის მუსიკას, მაგრამ იგი გაუგებარი და გამაღიზიანებელი ეჩვენა. ტოლსტოი ხომ ბეთჰოვენს დეკადენტს უწოდებდა, შექსპირს—ყალთაბანდს. სამაგიეროდ, აღტაცებაში მოჰყავდა იმ უბადრუკ მანჭიებს, რომელთა კლავესინის მუსიკით მეფე პარიკიც იყო მოხიბლული. „მოახლის დღიური“ მას ჭეშმარიტ ქრისტიანულ წიგნად მიაჩნდა...

— დიდ ადამიანებს ჩვენ არ ვჭირდებით,—განაგრძობდა კრისტოფი.—ასე რომ, ჩვენ დანარჩენებზე უნდა ვიფიქროთ.

— რაო? ვიფიქროთ იმ მეშჩანებზე, რომლებიც ცხოვრების გზას გვიხშობენ? მათთვის ვქმნიდეთ და ვთამაშობდეთ? მათ შევწიროთ ჩვენი ცხოვრება? არა, ეს შეურაცხმყოფელია!

— ეჰ! მე მათ შენზე ნაკლებად როდი ვიცნობ, — შეეპასუხა კრისტოფი, — მაგრამ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევი. ისინი არც ისე ცუდნი არიან!

— ნამდვილი გულადი გერმანელი ოპტიმისტი ხარ! მასწავლებელი პანგლოსი!

— ისინიც ხომ ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც მე. მაშ, რატომ ვერ

[1] უმაღლესი (ლათ.).

უნდა გამიგონ? ვთქვათ და, მართლა ვერ გამიგეს, სასოწარკვეთილებას მივეცეთ? ათას კაცში ერთი ხომ გამოჩნდება ისეთი, ვინც მე გამიგებს, ეს კი ჩემთვის სრულიად საკმარისია. სუფთა ჰაერი სარკმლიდანაც შემოვა... აბა, გაიხსენე ის ალალმართალი მაყურებელი: მოზარდები, გულკეთილი მოხუცები. შენს ტრაგიკულ სიმშვენიერეს გამოჰყავს ისინი ცხოვრების ყოველდღიური უფერულობიდან. გაიხსენე ის დრო, როცა შენ თვითონაც ბავშვი იყავი! განა სასიამოვნო არ არის სხვებს, ან თუნდაც ერთადერთ ადამიანს ანიჭებდე იმ სიკეთესა და ბედნიერებას, რომლის მსგავსი თავად შენც ერთ დროს სხვებისაგან მიგიღია?

— დარწმუნებული ხარ, რომ ის ერთადერთი მაინც გამოჩნდება? ბოლოს და ბოლოს მე ესეც მეეჭვება... აი, თუნდაც ისინი, რომლებსაც ჩვენ ყველაზე მეტად ვუყვარვართ. როგორ არიან ისინი ჩვენდამი განწყობილნი? განა მათ კი ისე ესმით, როგორც ეს საჭიროა? მათი აღტაცება შეურაცხმყოფელია, რადგან მათ ასევე მოსწონთ რომელიმე ნებისმიერი კომედიანტის თამაში. ისინი იმ არარაობათა გვერდით გვაყენებენ, რომლებიც მხოლოდ ზიზღს იწვევენ. მათ თვალში ყველანი ერთნი არიან, ვისაც კი წარმატებისთვის მიუღწევია.

— და მაინც შთამომავლობას ის მიაჩნია დიდად, ვინც ჭეშმარიტად დიადია.

— შორიდან უკეთესად მოჩანს! რაც უფრო მეტად ვშორდებით, მით უფრო მაღალი გვეჩვენება მთები. მაგრამ ისინი უკვე შორს არიან ჩვენგან. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეს მთები ყველაზე უმაღლესი მთებია. განა შენ კი იცნობდი იმათ, ვინც ამ ქვეყნიდან უკვალოდ გამქრალა?

— ეშმაკმა დალახვროს! — თქვა კრისტოფმა. — დაე, ნურავინ მიმიხვდება, რისი თქმაც მწადია, ან მე თავად რას წარმოვადგენ. მთავარია, რომ მე სწორედ ის ვარ, რაც სინამდვილეში ვარ. მე მაქვს ჩემი მუსიკა, რომელიც მიყვარს, მე მისი მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ იგი არასდროს მიმტყუნებს.

— შენ სრული თავისუფლება გაქვს შენს შემოქმედებაში. შეგიძლია გააკეთო ყველაფერი, რაც თვითონ გსურს. მე კი იძულებული ვარ ვითამაშო მხოლოდ ის, რასაც შემომთავაზებენ. გულის არევამდე უნდა ვღეჭო ერთი და იგივე. მადლობა ღმერთს, ამერიკელი მსახიობებივით ტვირთმზიდავ პირუტყვებად რომ არ ვიქეცით. ისინი ხომ ათი ათასჯერ თამაშობენ „რიპსა“ და „რობერ-მაკერს“. ოცდახუთწლობით ერთსა და იმავე იდიოტურ როლს აკლავენ თავს. თუმცა ჩვენც აქამდე ბევრი აღარაფერი დაგვრჩენია. ჩვენი თეატრი გაღატაკდა! მაყურებელი ტალანტებისაგან ძალიან ცოტას ითვისებს და ამასთან იმასაც მოითხოვს, რომ მათი თამაში ათასგვარი მოდური მანჭვით იქნეს შეზავებული. განა სასაცილოდ არა ჟღერს „მოდური ტალანტი“? ძალთა რაოდენ უმოწყალო ხარჯვაა! ნახეთ, რა უყვეს მუნეს. მთელი ცხოვრების მანძილზე რის თამაშს აიძულებდნენ? ორი თუ სამი როლი — ოიდიპოსისა და პოლიევკტისა, რომლისთვისაც ღირდა ცხოვრება, სხვა დანარჩენი სისულელეა. აბა, იფიქრეთ, რამდენი შესანიშნავი სახის შექმნა შეეძლო მას!.. საფრანგეთს გარეთ არც

სხვა ქვეყნებშია საქმე უკეთესად. აი, თუნდაც, დუზე. მან მთელი ძალა რამდენიმე უღიმღამო როლს შეალია...

— და მაინც თქვენი მთავარი დანიშნულება მსოფლიოსათვის ნამდვილი ხელოვნების ჩვენებაა, — უთხრა კრისტოფმა.

— ჩვენ კი უსარგებლოდ, სულ ამაოდ დავშვრებით. საკმარისია სცენაზე რომელიმე ჭეშმარიტად კარგი ნაწარმოები გამოჩნდეს, რომ იგი მაშინვე კარგავს მთელ თავის ამაღლებულ პოეტურობას. ყალბი ხდება. ბრბოს სუნთქვა მას აშრობს. დახუთული ქალაქების მცხოვრებთ დავიწყებიათ, რა არის სივრცე, ბუნება, სავსე, ჯანსაღი პოეზია — იგი გრიმებით შეთხუპნულ თეატრალურ პოეზიას მოითხოვს. ჰო, კარგი, ვთქვათ და ამის შემდეგ მივაღწიე წარმატებას!.. მას მაინც არ ძალუძს ცხოვრების შევსება... იგი ვერც ჩემს ცხოვრებას შეავსებს.

— შენ ისევ ფიქრობ მასზე?

— ვისზე?

— იცი, ვისზედაც... აი, იმ გაიძვერაზე.

— ჰო, ვფიქრობ.

— აღიარე, შენთანაც რომ ყოფილიყო და ჰყვარებოდი კიდეც, ბედნიერი არ იქნებოდი, ტანჯვის მიზეზს მაინც გამონახავდი.

— შესაძლებელია... ოჰ! თვითონაც ვერ გამიგია, რად ვარ ასეთი... იქნებ იმიტომ, რომ ბევრი ბრძოლა და თვითგვემა გადამიტანია და სიმშვიდეს ვეღარ ვპოულობ, სულ ერთთავად რაღაც მოუსვენრობა მღრღნის...

— ამ მოუსვენრობით მანამდე იყავ შეპყრობილი, ვიდრე ცხოვრებას გაეცნობოდი.

— შესაძლებელია... ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ვგრძნობდი, როგორ მნთქავდა იგი...

— მაიც, რა გინდა?

— განა ვიცი? მინდა ის, რაც ჩემს ძალას აღემატება.

— ეგ გრძნობა ჩემთვისაც ნაცნობია. ბავშვობაში მეც ასეთი ვიყავი.

— ჰო, მაგრამ შენ უკვე დაკაცდი, მე კი სამუდამოდ ზრდადაუსრულებელ, განუვითარებელ არსებად დავრჩი.

— განა ვინმემ შეძლო მთლიანად განევითარებინა თავისი ნიჭი? ბედნიერია ის, ვინაც იცის თავისი შესაძლებლობის ზღვარი და მას სჯერდება.

— ამ ზღვარს მე უკვე გადავაბიჯე და მეტი აღარ შემიძლია. ცხოვრებამ დამღალა, ქანცი გამაცალა, დამასახჩრა. შემეძლო კი ვყოფილიყავი ჩვეულებრივი ქალი, ლამაზი, ჯანსაღი და სხვებისაგან განსხვავებულიც.

— ჯერ კიდევ არ არის გვიან. მე სწორედ ასეთად წარმომიდგენიხარ.

— მითხარი, მაინც როგორად?

და მან ფრანსუაზი წარმოადგინა იმ სხვა პირობებში, სადაც იგი ბუნებრივად და ჰარმონიულად განვითარდებოდა. სადაც შეეძლებოდა სიყვარული,

თავად ისიც ეყვარებოდათ და იქნებოდა ბედნიერი. მისი მოსმენა ფრანსუაზს სიამოვნებას ჰგვრიდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მაინც თქვა:

— არა, ეს ახლა შეუძლებელია.

— რა გაეწყობა, მაშინ ისღა დაგრჩენია, საკუთარ თავს ბრმა მოხუც ჰენდელივით უთხრა:



What ever is, is right (რაც არსებობს, ყველაფერი კარგია!)

და ამ მელოდიის ასამღერებლად ფორტეპიანოსთან მივიდა. ფრანსუაზმა ხელი მოხვია თავის ძვირფას დაუოკებელ ოპტიმისტს. კრისტოფთან ურთიერთობას მისთვის სიკეთე მოჰქონდა, თვითონ კი მხოლოდ ზიანს აყენებდა. ყოველ შემთხვევაში ასე შიშობდა ფრანსუაზი. დროდადრო იგი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და ამის დაფარვას ვერც ახერხებდა. სიყვარული ნებისყოფას უდუნებდა. ღამით კრისტოფის გვერდით გარინდებული ფრანსუაზი ცდილობდა საკუთარი ნაღველი დაეფარა, მაგრამ კრისტოფი მაინც ხვდებოდა და ემუდარებოდა მეგობარს — ასე ახლობელსა და თან ასე შორეულს, გაეზიარებინა მისთვის მტანჯველი ფიქრები. ფრანსუაზი თავს ვეღარ ერეოდა, აცრემლებული გულს გადაუშლიდა კრისტოფს და მის მკლავებში ქვითინებდა. ისიც მოთმინებით, მთელი საათობით ამშვიდებდა მეგობარს, მაგრამ მისმა გამუდმებულმა მოუსვენრობამ ბოლოს კრისტოფიც შეაწუხა. ფრანსუაზი შიშობდა, ეს მოუსვენრობა კრისტოფსაც არ გადასდებოდა. მას ძალიან უყვარდა კრისტოფი და ვერ აიტანდა, რომ მისი გულისათვის ისიც გატანჯულიყო. ფრანსუაზს ამერიკაში ანგაჟემენტი შესთავაზეს. ისიც დათანხმდა, რათა უკანდასახევი გზები მოეჭრა. მისი წასვლით კრისტოფი თავს დამცირებულად გრძნობდა.

ფრანსუაზსაც ასეთივე განცდები დაუფლებოდა. რატომ არ შეეძლოთ მათ ერთმანეთისთვის სრული ბედნიერება მიენიჭებინათ?!

— ეჰ, საბრალო მეგობარო, — ეუბნებოდა ფრანსუაზი და თან ნაზად, სევდიანად უღიმოდა. — რა დაულაგებელნი ვართ ორივენი. ასეთი კარგი შემთხვევა კიდევ როდის გვექნება, ან ასეთი შესანიშნავი მეგობრობა. მაგრამ ხომ ხედავ, სრულიად არაფერი გამოდის. ორივენი ასეთ სულელებად დავბადებულვართ!

მათ დაბნეულად, ნაღვლიანად შეხედეს ერთმანეთს. თავს რომ მორეოდნენ, გაიცინეს. მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ და თვალებზე ცრემლმომდგარი დაშორდნენ. ასე ძლიერ მათ არასოდეს ჰყვარებიათ ერთმანეთი, როგორც ახლა, ამ განშორების ჟამს.

ფრანსუაზის წასვლის შემდეგ კრისტოფი კვლავ ხელოვნებას — თავის განუყრელ თანამგზავრს დაუბრუნდა... ჰოი, სიმშვიდევ, ვარსკვლავებით მოჭედილ ცისა!..

მალე კრისტოფმა ჟაკლინისაგან წერილი მიიღო. რიგით ეს უკვე მესამე იყო. ბოლო წერილი სრულიად განსხვავდებოდა წინანდელებისაგან. ჟაკლინი სამდურავს გამოთქვამდა კრისტოფის უნახავობის გამო და ალერსიანად სთხოვდა მასთან მისვლას, რათა ორი მოსიყვარულე მეგობარი არ გაენაწყენებინა. მართალია, კრისტოფს ძალიან გაუხარდა მიპატიჟება, მაგრამ დიდად არც გაჰკვირვებია. მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ჟაკლინი მიხვდებოდა, რა უსამართლოდ მოექცა. ასეთ შემთხვევაში კრისტოფს პაპამისის გამქირდავი სიტყვის გამეორება უყვარდა: „ადრე თუ გვიან ქალი გონს მოეგება, ოღონდ მოთმინება უნდა იქონიოო“.

ასე რომ, კრისტოფი ეწვია ოლივიეს. მას აქ დიდი სიხარულით შეხვდნენ. ჟაკლიხი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა. ქალი ჩვეული დამცინავი ტონისაგან თავს იკავებდა. ეშინოდა, რაიმე ისეთი არ ეთქვა, რითაც კრისტოფს გაანაწყენებდა. მისი საქმიანობისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა ღა, როცა საუბარი სერიოზულ თემებზე გადავიდა, რამდენიმე ჭკვიანური შენიშვნაც მისცა. კრისტოფს ჟაკლინი შეცვლილი ეჩვენა. სინამდვილეში კი ქალი ცდილობდა, რითიმე ესიამოვნებინა კრისტოფისათვის. კრისტოფისა და ცნობილი მსახიობი ქალის სასიყვარულო ამბავს, რომლის შესახებაც პარიზის თითქმის ყველა სასტუმროში ლაპარაკობდნენ, მის ყურამდეც მიეღწია. კრისტოფი მას სრულიად ახლებურად წარმოუდგა. იგი ცნობისმოყვარეობას ეღვიძებდა. ამ შეხვედრის შემდეგ ჟაკლინმა იგრძნო, რომ კრისტოფი უფრო სანდომიანი გაჰხდარიყო. მის თვალში კრისტოფის ნაკლიც გაცილებით სასიამოვნო ჩანდა. იგი მიხვდა, რომ კრისტოფი ნიჭიერი იყო და გადაწყვიტა მისი მოხიბვლა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ურთიერთობა არათუ გამოკეთდა, პირიქით, გაუარესდა კიდეც. ჟაკლინს მოწყენილობა ჰკლავდა... რაოდენ მარტოსულია ქალი! ბავშვის გარდა არაფერი ავსებს მის ცხოვრებას. ზოგჯერ ვერც ბავშვი ავსებს ამ სიმარტოვეს. თუ ის ნამდვილი ქალია და არა მხოლოდ მდედრი, ამასათანავე მდიდარი სულის პატრონია და სიცოცხლე სწყურია, მას იმდენი რამ აკლდება, რომ სხვის დაუხმარებლად ვეღარ უმკლავდება ცხოვრებას. მამაკაცი კი, რაგინდ მარტოც უნდა იყოს, სრულიად მარტო მაინც არასოდეს რჩება. მას შინაგანი ხმა ჰყოფნის საკუთარ უდაბნოს ასამეტყველებლად. იგი უკეთესად იტანს, თითქმის ვერც ამჩნევს ამ სიმარტოვეს და უდრტვინველად განაგრძობს თავის მონოლოგს. ფიქრადაც არ მოსდის, რომ მისი აუღელვებელი ხმა ამ სიჩუმეს კიდევ უფრო აუტანელს ხდის მისთვის, ვინც მის გვერდით იმყოფება, რადგან ქალისთვის მკვდარია ის სიტყვები, რომლებიც სიყვარულის სუნთქვით არ არის გამთბარი. მამაკაცი კი ამას ვერ ამჩნევს. იგი ქალივით მთელ თავის სიცოცხლეს სიყვარულს როდი უძღვნის. მისი ცხოვრება სხვა რამითაა დაკავებული... ქალი კი საით მიმართავს მთელ თავის ცხოვრებას, თავის უსაზღვრო სურვილებს, სიკეთის ძალის უზარმაზარ მარაგს, რომელიც ორმოცი საუკუნეა, რაც კაცობრიობა არსებობს და ამ ხნის მანძილზე

ამაოდ ეწირება მსხვერპლად ორად ორ კერპს. ერთი — ეფემერული სიყვარულია, მეორე დედობა — მაცდუნებელი თავისი ამაღლებულობით, რომლისგანაც ათასობით ქალი გაწბილებულა, სხვებს კი ცხოვრების გარკვეულ პერიოდს უვსებს მხოლოდ.

სასოწარკვეთილებამ მოიცვა ჟაკლინი. ზოგჯერ წამიერი შიში მახვილივით გაჰკენწლავდა.

რისთვის დავიბადე, ან რისთვის ვარსებობ ამქვეყნად? — ფიქრობდა იგი და გული ტკივილით ეკუმშებოდა.

— ღმერთო ჩემო! ვგრძნობ, საცაა მოვკვდები! ვკვდები, ო, ღმერთო!..

ეს ფიქრი არ შორდებოდა თავიდან და არც ღამით აძლევდა მოსვენებას. ესიზმრებოდა, თითქოს ამბობდა:

— ახლა ათას რვაას ოთხმოცდაცხრა წელია...

— არა, — უპასუხებდა ვიღაც, — ათას ცხრაას ცხრა წელი.

და იმის გამო, რომ ოცი წელი გასულიყო, სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა.

— საცაა ყველაფერი დამთავრდება, მე კი ჯერ თითქმის არ მიცხოვრია! სად წავიდა ეს ოცი წელი? სად გამიქრა მთელი ცხოვრება?

ესიზმრა: თითქოს ოთხი პატარა გოგონა ჰყავდა. ოთხივეს ერთ ოთახში ერთმანეთისაგან განცალკევებით თავთავიანთ საწოლებში ეძინათ. ოთხივენი ერთი სახისა და ერთნაირი ზომისანი იყვნენ, ოღონდ ერთი რვა წლისა იყო, მეორე თხუთმეტის, მესამე — ოცის, მეოთხე ოცდაათისა. რაღაც ეპიდემია გაჩნდა და სამი ბავშვი დაიღუპა. მეოთხე კი შეშინებული დგას და სარკეში იყურება: ხედავს, ცხვირი წაწვეტებია, ლოყები ჩასცვივნია... საცაა ისიც მოკვდება და ყველაფერი დამთავრდება...

— ...როდის გაილია ჩემი ცხოვრება?..

თვალცრემლიანს ეღვიძებოდა, მაგრამ კოშმარი არ ქრებოდა. იგი ცხადი იყო. რაში გაილია მთელი ცხოვრება? ვინ მოჰპარა მას სიცოცხლე?.. და ოლივიესადმი — ამ უდანაშაულო თანამონაწილისადმი სიძულვილი იპყრობდა (რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუნდაც სინამდვილეში უდანაშაულო ყოფილიყო!) ბრმა კანონის ამ თანამონაწილისადმი ზიზღი მას ბოლოს უღებდა. შემდეგ თავის თავს თვითონვე ძრახავდა — ბუნებით კეთილი ჟაკლინი ძალიან იტანჯებოდა. მას არ შეეძლო თავი შეეკავებინა და იმ ადამიანზე ჯავრი არ ამოეყარა, ვინც მასთან ერთად საერთო ჭაპანში შებმულიყო და სიცოცხლეს უსპობდა. თუმცა მასზე ნაკლებად არც ოლივიე იტანჯებოდა. ყოველივე ამის შემდეგ ჟაკლინი თავს წინანდელზე უფრო უბედურად გრძნობდა და საკუთარი თავიც მეტად სძაგდა. ხვდებოდა, თუ რაიმე გამოსავალს არ მოძებნიდა, უარესიც იყო მოსალოდნელი. ისიც ხელისცეცებით ეძებდა ამ გამოსავალს და წყალწაღებულივით, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ებღაუჭებოდა. ცდილობდა, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა: სულ ერთია, საქმე იქნებოდა ეს თუ ადამია-

ნი. რაიმე ისეთი შეექმნა, რომელშიაც მასაც ედებოდა წილი. გადაწყვიტა, გონებრივ მუშაობას დაბრუნებოდა. სწავლობდა უცხო ენებს, მოთხრობისა, თუ სტატიის წერაც სცადა, მხატვრობასა და მუსიკასაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ ამაოდ. პირველსავე დღეს სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ყველაფერი მის ძალას აღემატებოდა. „ბოლოს და ბოლოს, რა არის წიგნი? ხელოვნების ნიმუში? არა მგონია, რომ გულით მყვარებოდეს, არც ის მგონია, თუ არსებობდა...“ მაგრამ ზოგჯერ ისეთი დღეც გამოერეოდა, როცა ჟაკლინი უჩვეულოდ გამოცოცხლდებოდა, ოლივიესთან ერთად იცინოდა, ცდილობდა, ქმრის საქმიანობით დაინტერესებულიყო, ყურადღებით ისმენდა მის საუბარს. უნდოდა რაიმე ისეთი ეპოვა, რასაც თავდავიწყებით მიეცემოდა... მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ მთავრდებოდა. უეცრად აღფრთოვანება უქრებოდა, გული უცივდებოდა და ცრემლგამშრალი და სუნთქვაშეკრული თავისთვის განმარტოვდებოდა ხოლმე. ჟაკლინმა ნაწილობრივ მოახერხა კიდეც ოლივიეს გარდაქმნა. მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სკეპტიკურობა შესძინა, მაგრამ ჟაკლინი ამას დამსახურებად არ უთვლიდა. ოლივიესაც მისებრ უნებისყოფოდ თვლიდა. ისინი საღამოობით თითქმის არასოდეს ისხდნენ შინ. ჟაკლინიც პარიზის სალონებში თავის კაეშანს ისე დაატარებდა, რომ მის ოსტატურად მომარჯვებულ ირონიულ სიცილში ნაღველს ვერავინ ამოიცნობდა. ჟაკლინი თავგამეტებით ეძებდა ვინმეს, ვინც მას შეიყვარებდა და უფსკრულის პირას შეაჩერებდა... მაგრამ ამაოდ, მის სასოწარკვეთილ ყივილს არავინ ეპასუხებოდა. მხოლოდ დუმილი მეფობდა ირგვლივ.

მას არ ხიბლავდა კრისტოფი. არც მისი უხეში მანერები, შეურაცხმყოფელი პირდაპირობა და, რაც მთავარია, მისი გულგრილობა მოსწონდა. დიახ, მას ოდნავადაც არ უყვარდა კრისტოფი, მაგრამ კარგად გრძნობდა, რომ იგი ძლიერი ადამიანი იყო — კლდე, რომელსაც სიკვდილიც ვერას დააკლებდა. და უნდოდა ტალღების თავზე ამ მოდრეიფე ტინს ჩასჭიდებოდა, ან მასთან ერთად ჩაძირულიყო...

ჟაკლინმა ეს არ იცმარა, რომ ქმარს მეგობრები ჩამოაშორა. მას სურდა მთლიანად წაერთმია ისინი. თვით ყველაზე სათნო ქალსაც ზოგჯერ საკუთარი ძალის გამოცდის სურვილი უჩნდება ხოლმე. სუსტები ამ ძალაუფლების გამოყენებით თავიანთ ძალას ამტკიცებენ. თუ ქალი პირმოთნეა და პატივმოყვარე, იგი განსაკუთრებულ ბოროტ სიხარულს ეძლევა, როცა ქმარს მეგობრების წრეს გამოსტაცებს. ეს ამოცანა ძალზე ადვილი ამოსახსნელია. საკმარისია ერთი თუ ორი მრავალმნიშვნელოვანი გადახედვა და არ არსებობს შამაკაცი — პატიოსანი გინდ უპატიოსნო, რომ ანკესზე არ წამოეგოს. მართალია, ნამდვილი მეგობარი მეგობარს საქმეში არასოდეს უმტყუნებს, მაგრამ არ შეიძლება გუნებაში მაინც არ გაივლოს უკეთური რამ და თუ ამ დროს ტყუილში შეამჩნიეს, მორჩა, მათ მეგობრობასაც საბოლოოდ დაესმება წერტილი. ისინი იმ თვალით აღარ უყურებდნენ ერთმანეთს. ქალი, რომელიც ამგვარ

სახიფათო თამაშს წამოიწყებს, ხშირ შემთხვევაში შორს აღარ მიდის. მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ ორთავე მეგობარი ხელთა ჰყავს.

კრისტოფი ამჩნევდა ჟაკლინის ყურადღებას, მაგრამ არ უკვირდა. როცა თვითონ ვინმეს მიმართ ნაზი გრძნობით განიმსჭვალებოდა, სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ისიც ასევე გულწრფელად, ყოველგვარი ფარული ზრახვების გარეშე ჰყვარებოდათ. ახალგაზრდა ქალის შეთამაშებას ისიც სიამოვნებით უპასუხებდა. და მასთან ერთად მთელი გულით მხიარულობდა. ჟაკლინი ისეთი მომხიბლავი ეჩვენებოდა, მზად იყო ოლივიე დაედანაშაულებინა, რომ ამ ქალისთვის ბედნიერება ვერ მიენიჭებინა.

რამდენიმე დღით მათთან ერთად მანქანით მოგზაურობდა. მერე ბურგუნდიაში ესტუმრა, სადაც ლანჟეებს სახლი ჰქონდათ. ამ ძველ, მიყრუებულ სახლს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ ჰყიდდნენ, რომ ოჯახურ მოგონებებთან იყო დაკავშირებული. ეს სახლი ზვრებსა და ტყეებს შუა განცალკევებით იდგა. შიგნით ყველაფერი ძველი იყო. ფანჯრები ცუდად იხურებოდა. ოთახში სინესტის, ობის, მწიფე ხილისა და მზეზე გამლღვალი ფისის სუნი იდგა. სულ ერთთავად ჟაკლინის გვერდით მყოფ კრისტოფს შემპარავი ტკბილი გრძნობა დაუფლებოდა, ოღონდ ეს გრძნობა მას ოდნავადაც არ აწუხებდა. მხოლოდ უცოდველ სიამოვნებას განაცდევინებდა, თუმცაღა არცთუ მთლად არამიწიერს. კრისტოფს სიამოვნებდა ჟაკლინის ხილვა, მისი ხმა, მისი სუნთქვა, მისი მშვენიერი სხეულის სიახლოვე. ოლივიე იჭმუხნებოდა. მაგრამ არაფერს ამბობდა. თვითონვე იმშვიდებდა თავს. არც ეჭვიანობდა, ოღონდ ეს კია, რაღაც მოუსვენრობა შეჰპარვოდა. ალბათ თავს რომ გამოსტყდომოდა, სირცხვილი შეაწუხებდა. საკუთარი თავის დასასჯელად ხშირად ორთავეს მარტო სტოვებდა. ჟაკლინი მშვენივრად ხვდებოდა, რაც აწუხებდა ოლივიეს. უნდოდა ეთქვა:

— ნუ ნაღვლობ, მეგობარო. ჩემთვის შენ ისევ ყველაზე ძვირფასი ხარ.

მაგრამ არაფერს ამბობდა და სამივენი თვითდინებას მიჰყვებოდნენ: კრისტოფი არაფერს ფიქრობდა, ჟაკლინს თვითონაც არ იცოდა, რა სურდა. მხოლოდ შემთხვევას ელოდა. მარტოოდენ ოლივიე იყო, წინასწარ რომ ჭვრეტდა ყოველივეს, მაგრამ საკუთარ ღირსებასა და თავის სიყვარულს უფრთხილდებოდა. ცდილობდა, უკეთური არა ეფიქრა რა. მაგრამ, როცა ადამიანის ნება მიყუჩებულია, ხმას ინსტინქტი აღიმაღლებს ხოლმე. თუ სული თვლემს, მაშინ სხეული აცხადებს თავის უფლებებს. ერთ მშვენიერ საღამოს, ნავახშმევზე უმთვარო, ვარსკვლავიანი ღამე დადგა. სამივემ გასეირნების სურვილი გამოთქვა. ოლივიე და კრისტოფი ეზოში გამოვიდნენ. ჟაკლინი წამოსასხამის გამოსატანად საძინებელ ოთახში ავიდა, მაგრამ ჯერ არ ჩანდა.

მის ქალურ ზოზინზე ცოტა არ იყოს ვულმოსული კრისტოფი ოთახში შებრუნდა (რამდენი ხანია, თავისდა შეუმჩნეველად, ქმრის როლში თვითონ გამოდიოდა). იმ ოთახში, სადაც ელოდა, ჟაკლინის ფეხის ხმა შემოესმა. დარაბები მიხურული იყო და ოთახში სრულიად არაფერი ჩანდა.

— გეყოფათ, წავიდეთ, ქალბატონო ზოზინა, თორემ ამდენი ცქერით სარკე დაიბზარება. — ხუმრობით შესძახა კრისტოფმა.

არავინ გამოეპასუხა. ნაბიჯიც მიწყდა. კრისტოფი გრძნობდა, რომ ჟაკლინი სადღაც აქვე იყო, ოთახში, მაგრამ არ იძვროდა.

— სადა ხართ? — ჰკითხა კრისტოფმა. ქალმა ხმა არ გასცა. კრისტოფიც გაჩუმდა და სიბნელეში ხელის ცეცებით იწყო გზის გაკვლევა. უეცრად მღელვარებამ აიტანა. გაჩერდა. გულმა გამალებით დაუწყო ძგერა. სულ ახლოს ჟაკლინის მსუბუქი სუნთქვა იგრძნო. ისევ წადგა ნაბიჯი და გაჩერდა. მიხვდა, რომ ქალი აქ იყო, სადღაც მის გვერდით და წინ წასვლა ვეღარ გაბედა. რამდენიმე წამით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ ორი ხელი დასწვდა მის ხელებს და თავისკენ მიიზიდა. ბაგე ბაგეს დაეკონა. უხმოდ გაირინდნენ ორივენი. მერე ბაგეები კვლავ მოსცილდნენ ერთმანეთს. ჟაკლინი პირველი გამოვიდა ოთახიდან. მას მოჰყვა აცახცახებული კრისტოფიც. ფეხები უკანკალებდა. წამით შეჩერდა. კედელს მიეყრდნო, რომ აჩქროლებული სისხლი დაეწყნარებინა. მერე ისიც ბაღში ჩავიდა. ჟაკლინი და ოლივიე მშვიდად მიბაასობდნენ. მთლად განადგურებული კრისტოფიც მათ აედევნა. ოლივიე გაჩერდა. კრისტოფს დაელოდა. კრისტოფმა ნაბიჯი შეანელა. ოლივიემ მეგობრულად მოუხმო. კრისტოფი არ გაეპასუხა. იცოდა ოლივიემ მეგობრის ხასიათი, ზოგჯერ სიჩუმეში თავის თავთან უყვარდა დარჩენა და აღარ დაუჭინა, ჟაკლინთან ერთად განაგრძო სეირნობა. კრისტოფიც უაზროდ, ძაღლივით უკან მიჰყვებოდა ათიოდ ნაბიჯზე. როცა წინ მიმავალნი შეჩერდებოდნენ, შედგებოდა, გააგრძელებდნენ გზას და ისიც მისდევდა. ასე შემოუარეს ბაღს და დაბრუნდნენ სახლში. კრისტოფი თავის ოთახში ავიდა და კარი ჩაიკეტა. სანთელიც არ აუნთია. არც დასაძინებლად დაწოლილა. არც ფიქრობდა რამეს. შუაღამემდე იჯდა ასე. ჭერე მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილს ჩამოეძინა. ერთი საათის შემდეგ გამოეღვიძა, სანთელი აანთო, სასწრაფოდ წამოკრიბა ხელნაწერები, ნივთები, ტანსაცმელი, ჩემოდანში ჩააწყო და ლოგინზე მოწყვეტილივით დაეცა. გარიჟრაჟამდე ასე ეძინა. მერე, როგორც კი ინათა, აიღო ბარგი და იქაურობას გაშორდა. მთელი დილა ელოდნენ მის გამოჩენას. მერე მთელ დღეს ეძებდნენ. ბრაზისაგან აკანკალებულმა, გულგრილობის იერით შენიღბულმა ჟაკლინმა დამამცირებელი ღიმილით სასადილო ვერცხლეულობას დაუწყო თვლა. მხოლოდ მეორე დღეს, საღამოთი მიიღო ოლივიემ კრისტოფის წერილი:

„ჩემო მეგობარო, არ მინდოდა ასე გიჟივით გამოქცევა, მაგრამ თვითონაც კარგად იცი, რა შლეგიცა ვარ. რას იზამ, განგებას ასეთი გავუჩენივარ. გულითადი მიღებისათვის მადლობას გითვლით. თქვენთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ხომ ხედავ, სხვა ადამიანებთან ცხოვრება მიჭირს და, საერთოდ, მეეჭვება, ვარ თუ არა ცხოვრებისთვის შესაფერისი? მე სადმე ჩემთვის უნდა ვიჯდე, კუთხეში და იქიდან ვესიყვარულებოდე ყველას. დიახ, შორიდან. ასე უფრო უკეთესი იქნება. როცა მათთან ახლოს ვარ, მიზანთროპი ვხდე-

ბი. მე კი სწორედ ეს არ მსურს. მინდა მიყვარდეს ადამიანები, მიყვარდეთ ყველანი. ო, როგორ მინდა თვითეულ თქვენგანს საშველად გავუწოდო ხელი! როგორ მინდა თქვენთვის და შენთვის ბედნიერების მოტანა. რომ შემეძლოს, სიხარულით გავიღებდი ჩემს წილ ბედნიერებას... მაგრამ არ ძალმიძს. სხვებისთვის გზის ჩვენება შემიძლია, მათ მაგიერ ამ გზის გავლა კი — არაყოველი ადამიანის ხსნა საკუთარ თავშია მხოლოდ. უშველეთ თავს.. იხსენით თავი. იხსენით თავი. ძალიან მიყვარხარ.

კრისტოფი.

თავმდაბალი სალამი ქალბატონ ჟანენს".

„ქალბატონმა ჟანენმა" წერილი რომ წაიკითხა, ტუჩები ზიზღნარევი ღიმილით მოკუმა და ცივად გამოსცრა:

— რა გაეწყობა, დაუჯერე. იხსენი თავი! — როცა ოლივიემ წერილის გამოსართმევად ხელი გაუწოდა, ჟაკლინმა წერილი დაჭმუჭნა და იატაკზე მოისროლა...

— რა მოხდა? — ჰკითხა აღელვებულმა ოლივიემ.

— თავი დამანებე! — მიუგო გაბრაზებულმა ჟაკლინმა და ზურგი შეაქცია.

— ეგოისტები! — იყვირა კართან მისულმა ქალმა.

ბოლოს კრისტოფმა იმდენი ქნა რომ „გრან ჟურნალში" თავისი ნაფარველებიც მტრად მოიკიდა. ასეც იყო მოსალოდნელი. ზეცამ ერთი თვისება მოჰმადლა კრისტოფს, რომელსაც ქებით იხსენიებდა გოეთე და მას „უმადურობას" უწოდებდა.

„უმადურობის გამოხატვის მოსურნე იშვიათად გვხვდება და ეს თვისება უფრო მეტად გამოჩენილ ადამიანებს ახასიათებთ, — ირონიულად შენიშნავდა გოეთე, — ღარიბთა ფენიდან გამოსულნი, ისინი იძულებულნი არიან ხშირად მოწყალება მიიღონ, ეს კი, კეთილისმყოფელთა უხეშობის გამო, ძალზე მწარეა..."

კრისტოფი სრულიადაც არ თვლიდა თავს მოვალედ საკუთარი ღირსება მხოლოდ იმიტომ დაემცირებინა, რომ მას სამსახური გაუწიეს. ეს მისთვის თავისუფლების დაკარგვას უდრიდა. გაწეული სიკეთისათვის იგი არცერთ ცენტს არ ითხოვდა, ისე, უბრალოდ გასცემდა მხოლოდ. მისი კეთილისმყოფელნი კი ამგვარ საქმეზე ცოტა სხვა შეხედულებისა იყვნენ. მოვალეებს ისინი ძალზე დიდ ზნეობრივ მოთხოვნებს უყენებდნენ და ძალზე შეურაცხყოფილნი დარჩნენ, როცა კრისტოფმა გაზეთის სარეკლამო რაღაც სულელური ჰიმნის დაწერაზე უარი განაცხადა. მაშინ კრისტოფს აგრძნობინეს, ასე არ უნდა იქცეოდეო. კრისტოფმა უხეშად უარყო გაზეთის მიერ წამოყენებული მტკიცებანი და ამით მთლად დააკარგვინა მოთმინება.

მას შემდეგ კრისტოფის წინააღმდეგ მთელი კამპანია ამოქმედდა. რანაირ ხერხს აღარ მიმართეს. მათ ცილისწამების არსენალიდან ხელახლა აამოქმედეს

ბრძოლის ყველა ის ძველი იარაღი, რომელიც კი ოდესმე მიემართათ შემოქმედა ადამიანებისაკენ. ეს იარაღი რიგრიგობით ყველა უნიჭობას ემსახურებოდა, თუმცა არც არასოდეს ყოფილა, რომ ამ იარაღს მოეკლას ვინმე. სამაგიეროდ, ბრიყვებს იგი მიზანში აუცდენლად ხვდებათ. კრისტოფს პლაგიატორობა დასწამეს. იმ ნაწარმოებებიდან, რომლებიც კრისტოფმა და საზოგადოებისთვის უცნობმა მისმა კოლეგებმა შექმნეს, ამოგლიჯეს და ხელოვნურად შეაკოწიწეს რამდენიმე პასაჟი, რათა დაემტკიცებინათ, რომ შთაგონება მას სხვებისგან ჰქონდა მოპარული და რომ კრისტოფი ახალგაზრდა შემოქმედთა ნიჭს ახშობდა.

მარტო კრიტიკოსების თავდასხმას კიდევ რა უშავდა — მათთვის ყეფა ხომ ჩვეულებრივი საქმიანობაა. ეს ქონდრისკაცები გოლიათს მხრებზე აცოცდებიან და ერთავად იმას გაიძახიან: მე შენზე მაღლა ვდგევარო.

მაგრამ ნიჭმომადლებულნიც დაობენ ხოლმე. თითოეული ცდილობს, თავის თანამოკალმეს რითიმე აწყენინოს, თუმცა, როგორც ამბობენ, დედამიწა ფართოა და ყველასთვის სამყოფი ადგილი მოიძებნება. მათ საკუთარი ნიჭი მტრად უხდებათ ხოლმე.

გერმანიაში მუსიკოსებს შორისაც აღმოჩნდნენ ისეთი გულღვარძლიანნი, რომლებიც კრისტოფის მტრებს იმ იარაღით ამარაგებდნენ, ახალ-ახალი ჭორების შესათხზველად რომ გამოადგებოდათ. ასეთები საფრანგეთშიაც გამოიძებნენ. მუსიკალური პრესის ნაციონალისტები, რამდენადმე თავადაც უცხოური წარმოშობისანი, სალანძღავად ხდიდნენ კრისტოფის გერმანულ ჩამომავლობას. კრისტოფის წარმატება განუსაზღვრელად გაიზარდა. ეს გარკვეულწილად მოდის დამსახურებაც იყო. ბუნებრივია, ეს გადაჭარბებული ხოტბა-დიდება, დანარჩენებზე რომ არაფერი ვთქვათ, მიუკერძოებელ მსმენელსაც აღიზიანებდა. კრისტოფს კონცერტებზე მოსიარულე ხალხში, ძაღალ საზოგადოებასა თუ მოწინავე ჟურნალებში უკვე გამოუჩნდნენ აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები. მათ ყველაფერი მოსწონდათ, რასაც კრისტოფი ქმნიდა. აღტაცებულნი სიამოვნებით აღნიშნავდნენ — აქამდე მუსიკა არც კი არსებობდაო. მსმენელთაგან ერთნი მის ნაწარმოებთა განხილვით იყვნენ გატაცებულნი და მათში ფილოსოფიურ ჩანაფიქრსაც პოულობდნენ, რაც კრისტოფს ძალიან აკვირვებდა. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო გადატრიალება მუსიკაში, მუსიკალურ ტრადიციებზე იერიშის მიტანა, იმ ტრადიციებზე, რომელთაც თვითონ კრისტოფი დიდ პატივს სცემდა. გამოდავებას აზრი არ ჰქონდა. სულ ერთია, თაყვანისმცემლები მაინც დაუმტკიცებდნენ, რომ მას თვითონვე არ ესმოდა საკუთარი მუსიკა. მათ მოსწონდათ კრისტოფის მუსიკა და ამით თავსაც იწონებდნენ. არც არის გასაკვირი, რომ კრისტოფის წინააღმდეგ მიმართულმა გამოსვლებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მის თანამოძმეებში. ისინი აღაშფოთა იმ ატეხილმა „ხმაურმა“, რომელშიაც კრისტოფი სრულიად უდანაშაულო იყო. მუსიკის ღირსების უარსაყოფად არც რაიმე საბაბი სჭირდებოდათ. საკუთარი აზრის არმქონე, გაზეპირებული ფორმულებით შეიარა-

ღებული ამ ხალხისათვის ეს იყო ბუნებრივი გამღიზიანებელი, მიმართული იმ ადამიანისადმი, ვისაც ფიქრები მოზღვავებია და, თუ მხედველობაში შემოქმედებით ფანტაზიასაც არ მივიღებთ, ამ ფიქრებს არცთუ მთლად დალაგებულად გადმოგვცემს. რამდენჯერ სმენია საყვედურები უწიგნურობის გამო იმ წიგნების ჭიათაგან, რომელთათვის სტილი საზოგადოების გარკვეული, წრეებისა და ჯგუფების მიხედვით დადგენილ მზა რეცეპტს, სამზარეულო ყალიბს ჰგავს, რომელშიაც მათი აზრებია ჩასხმული! კრისტოფის მუსიკა ჭეშმარიტად მხოლოდ მის ყველაზე საუკეთესო მეგობრებს ესმოდათ, რომლებიც არცა ცდილობდნენ მისი მუსიკის გაგებას. იმიტომ, რომ მათ უყვარდათ კრისტოფი იმ სიამოვნებისათვის, რასაც მათ ანიჭებდათ. მაგრამ ყველა ესენი რიგითი მსმენელები იყვნენ და ხმის უფლება არცერთ იმათგანს არა ჰქონდა. ერთადერთი, ვისაც შეეძლო ცილისმწამებლებისათვის პასუხი გაეცა, ოლივიე იყო, რომელიც სწორედ იმხანად ჩამოშორდა მას. თითქოს დაივიწყა კიდეც მეგობარი. ასე რომ, კრისტოფი მტრებისა თუ თაყვანისმცემლების საჯიჯგნად იყო მიტოვებული. ისინიც ერთმანეთს ეცილებოდნენ, ვინ უფრო მეტ ზიანს მიაყენებდა. კრისტოფმა ხელი ჩაიქნია და პასუხის გაცემაზე ფიქრს საბოლოოდ თავი ანება. როდესაც რომელიმე გავლენიანი გაზეთის ესთეტიკური ნორმების დამკანონებელ თავდაჯერებულ კრიტიკოსს უხეშად, ვით უვიცობასა და დაუსჯელობას შეეფერება, გამოჰქონდა მორიგი განაჩენი, გაკვირვებული კრისტოფი მხრებსღა იჩეჩდა და ამბობდა:

„ჰო, განმსაჯე, მეც განგსჯი. ვნახოთ, ასი წლის შემდეგ ვინ იქნება მართალი!“

მაგრამ ცილისმწამებლები არა ცხრებოდნენ და ობივატელები, როგორც ყოველთვის, ახლაც მხარს უჭერდნენ ყველაზე სულმდაბალ და სამარცხვინო ბრალდებას.

თითქოს სურდა მდგომარეობა უფრო გაემწვავებინა, კრისტოფმა სწორედ ახლა გადაწყვიტა თავის გამომცემელს წასჩხუბებოდა. იგი უკმაყოფილო იყო ჰეხტისა. თუმცა ჰეხტი რეგულარულად უქვეყნებდა ახალ ნაწარმოებებს და პატიოსნად იქცეოდა, მაგრამ იგივე პატიოსნება სრულიადაც არ უშლიდა ხელს, მასთან არასახარბიელო ხელშეკრულება დაედო. ჰეხტი პირობას არასოდეს გადიოდა და ზედმიწევნით პირნათლად ასრულებდა კიდეც. ერთ დღეს კრისტოფის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნახა, რომ მისი სეპტეტი უნებართვოდ კვარტეტად გადაეკეთებინათ, ხოლო პიესის ერთი საფორტეპიანო სიუიტა ორი ხელისათვის ოთხი ხელისად ულაზათოდ გადმოეღოთ. კრისტოფი მაშინვე ჰეხტთან გაჩნდა და ნივთიერი მტკიცება ცხვირწინ დაუდო:

— გეცნობათ ეს?

— რა თქმა უნდა, — მიუგო ჰეხტმა.

— და მაინც გაბედეთ... მაინც გაბედეთ ჩემი ნაწარმოებები უნებართვოდ გადაგეკეთებინათ?

— რა ნებართვას ითხოვთ? — მშვიდად იკითხა ჰეხტმა. — თქვენი ნაწარმოებები მე მეკუთვნის.

— და, მგონი, მეც!

— არა, თქვენ, არა, — ნელა თქვა ჰეხტმა.

კრისტოფი შეხტა.

— როგორ, ჩემი ნაწარმოები მე არ მეკუთვნის?

— დიახ, მას შემდეგ, რაც შევისყიდე, თქვენ აღარ გეკუთვნით.

— დამცინით?! მე თქვენ ქაღალდი მოგყიდეთ. გნებავთ, ფულად აქციეთ. მაგრამ რაც მასზეა დაწერილი, ჩემი საკუთარი სისხლითაა ნაწერი და მხოლოდ მე მეკუთვნის.

— თქვენ მე ყველაფერი ერთად მომყიდეთ. ამისათვის საერთო თანხა — სამასი ფრანკი მიიღეთ. იმ ვარაუდით, რომ პირველი გამოცემის თითოეულ ეგზემპლარში ოცდაათ სანტიმს გადაგიხდიდით. სამაგიეროდ, სრულიად შეუზღუდავად თქვენი ნაწარმოებების გამოყენების უფლება მომეცით.

— მისი განადგურების უფლებაც?

ჰეხტმა მხრები აიჩეჩა და ზარი დარეკა. ოთახში საქმეთა მწარმოებელი შემოვიდა.

— შემომიტანეთ ბატონ კრაფტის ხელშეკრულება.

ჰან ჩამარცვლით წაიკითხა სახელშეკრულებო ტექსტი, რომელზედაც კრისტოფს წაუკითხავად ჰქონდა ხელი მოწერილი. აქედან გამომდინარეობდა, რომ მაშინდელი სახელშეკრულებო პირობები, რომელთაც გამომცემლები შუსიკალური ნაწარმოებების ავტორებთან დებდნენ, ბატონ ჰეხტს ნებას აძლევდა გამოეყენებინა ყოველგვარი უფლებები, ავტორის ფუნქციები და პრივილეგიები. მას დანარჩენ გამომცემელთაგან განსხვავებით, უფლება ჰქონდა გამოეცა, გამოექვეყნებინა, გადაეკეთებინა, დაებეჭდა, ეთარგმნა, ამ ნაწარმოებით სარგებლობის უფლება მიეცა, საკუთარი ნება-სურვილისამებრ გაეყიდა ამ ფორმით, როგორადაც ეს თვითონ გამომცემელს ეწადა, ეგრეთ წოდებული ნაწარმოები შეესრულებინა კონცერტებზე, კაფე-შანტანებში, მეჯლისებზე, თეატრებში და ა. შ... გამოექვეყნებინა რამდენიმე ინსტრუმენტისათვის და არა თუ სათაური, თვით სიტყვებიც კი შეეცვალა,.. და ა. შ., და ა. შ.

— როგორც ხედავთ, ძალიან მორიდებით ვიქცევი, — თქვა ჰეხტმა.

— გამოდის, რომ მადლობელი უნდა ვიყო, რომ ჩემი სეპტეტი კაფე-შანტანის სიმღერად არ აქციეთ.

იგი დუმდა. სასოწარკვეთილმა ხელები თავზე შემოიჭდო.

— გავყიდე სული, საკუთარი სული გავყიდე, — იმეორებდა იგი.

— დამშვიდდით, ჩემს უფლებებს ბოროტად არ გამოვიყენებ, — ირონიულად თქვა ჰეხტმა.

— ესეც თქვენი რესპუბლიკა. ასეთი ვაჭრობა ნებადართულია. ადამიანის თავისუფლებას აცხადებთ, მისი აზრებით კი ვაჭრობთ.

— საზღაური მიღებული გაქვთ, — თქვა ჰეხტმა.

— დიახ, ოცდაათი ვერცხლის მონეტა. უკანვე წაიღეთ თქვენი ფული.

კრისტოფი ჯიბეების სინჯვას მოჰყვა. უნდოდა ჰეხტისთვის მისი სამასი ფრანკი დაებრუნებინა, მაგრამ ამდენი ვერ მოაგროვა. ჰეხტს სახეზე ღიმილნარევი მსუბუქი ირონია აუთამაშდა. ამან კრისტოფი გააშმაგა.

— მე ყველა ჩემ ნაწარმოებს უკანვე მოვითხოვ. მინდა შევისყიდო, — განაცხადა ჰან.

— თქვენ მასზე ყოველგვარი უფლება დაკარგული გაქვთ. — მიუგო ჰეხტმა, — ხალხის ძალად შეჩერება წესად არა მაქვს. ამიტომ თანახმა ვარ, ყველა თქვენი ნაწარმოები უკანვე დაგიბრუნოთ, ოღონდ ერთი პირობით — ამინაზღაურეთ ზარალი.

— თავს დავიგირავებ და გამოსავალს მაინც ვიპოვი! — მიუგო კრისტოფმა.

მან უსიტყვოდ მიიღო ყველა მოთხოვნა, რომელიც ჰეხტმა თხუთმეტი დღის შემდეგ წაუყენა. რაღაც სიგიჟით კრისტოფმა ხუთჯერ მეტ ფასად შეისყიდა თავისი ნაწარმოებების ყველა გამოცემები, ვიდრე თვითონ ჰქონდა აღებული. სინამდვილეში ჰეხტი არაფერს აზვიადებდა. იგი შემოსავლის იმ ზუსტი რიცხვებიდან გამოდიოდა, რასაც თვითონ იღებდა. კრისტოფს არ შეეძლო მისი გადახდა. ეს ჰეხტსაც კარგად ესმოდა. იგი კრისტოფს სხვა ახალგაზრდა მუსიკოსთაგან გამორჩევით მეტ პატივს სცემდა. როგორც მუსიკოსსა და ადამიანს აფასებდა და არც მის შეზღუდვას აპირებდა, ოღონდ უნდოდა მისთვის ჭკუა ესწავლებინა. თავის უფლებებში შეჭრას ჰეხტი არავის აპატიებდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამგვარი პირობები პირადად მისი დაკანონებული როდი იყო — იგი ყველგან ამ სახით იყო მიღებული და ამიტომ ჰეხტსაც სამართლიანად მიაჩნდა. გარდა ამისა, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ამგვარად ორივე მოგებული რჩებოდა — ავტორიცა და გამომცემელიც. რადგან გამომცემლისათვის უფრო ხელმისაწვდომია ხელოვნების ნიმუშთა გავრცელება, ვიდრე თვით ავტორისათვის. ავტორის მსგავსად, მას არ ერიდება უმაღლესი რიგის მოსაზრებების გამო, თუნდაც ძლიერ ღირსაცნობისა, თუ ეს მოსაზრებები საქმის ჭეშმარიტ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ჰეხტს სურდა კრისტოფისათვის სახელი და დიდება მოეტანა, ოღონდ საკუთარი მეთოდების გამოყენებით. ეს კრისტოფს ხელ-ფეხს უკრავდა. ამჯერად კი სურდა კრისტოფისთვის დაემტკიცებინა, რომ ჰეხტის გარეშე არსებობა არც ისე ადვილი იყო. ისინი შეთანხმდნენ: თუ ექვსი თვის განმავლობაში კრისტოფი ამ თანხას არ გადაიხდიდა, მისი ნაწარმოებები მთლიანად ჰეხტის საკუთრებად იქცეოდა. აქედანვე ეტყობოდა, რომ კრისტოფი ამ თანხის მეოთხედის შეგროვებასაც ვერ მოახერხებდა.

კრისტოფი მაინც ჯიუტობდა. მან სანუკვარ მოგონებებთან დაკავშირებული თავისი ძველი ბინა ახალ, შედარებით იაფფასიანზე გადაცვალა. ხელი მიჰყო

სხვადასხვა ნივთის გაყიდვას და ძლიერ გაოცებული იყო, რომ არცერთი იმათგანი არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა. ილებდა ვალებს, დახმარებისთვის მოოხსაც მიადგა, მაგრამ მისდა საუბედუროდ, მოოხი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი ნახა — რევმატიზმებს ლოგინად ჩაეგდო. ბედი სხვა გამომცემლებთანაც სცადა, მაგრამ ყველგან ისეთსავე მძარცველურ წესებს აწყდებოდა, როგორსაც ჰეხტთან ანდა პირდაპირ უარით ისტუმრიბდნენ.

ეს სწორედ ის დრო იყო, როცა მუსიკალურ პრესაში კრისტოფის წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ ყველაზე მწვავე ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით პარიზის ერთ-ერთი დიდი გაზეთი იყო გაშმაგებული. მის ერთ თანამშრომელს კრისტოფი მიზანში ჰყავდა ამოღებული. იგი გვარს არ აწერდა. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ქრონიკაში რაიმე ვერაგული ცნობა არ გამოექვეყნებინა და კრისტოფი სასაცილოდ არ აეღო. თავის ანონიმ თანამოძმეს მუსიკალური მიმომხილველიც ემატებოდა — ნებისმიერ საბაბს იყენებდა, რათა კრისტოფი როგორმე გაეკენწლა. ეს შეტაკების დასაწყისი იყო მხოლოდ — კრიტიკოსი იმუქრებოდა ახლო მომავალში კიდევ მიბრუნებოდა ამ თემას და კრისტოფისთვის საბოლოო ანგარიში გაესწორებინა. მტრები არ ჩქარობდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ზუსტად ჩამოყალიბებული ბრალდება უფრო ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე გადაკარგულად თქმული სიტყვების დაჟინებით გამეორება. ისინი კრისტოფს კატათაგვობანას ეთამაშებოდნენ. ყველა წერილს მას უგზავნიდნენ. კრისტოფი ამ წერილებს ერთი შეხედვით გულგრილად ილებდა, მაგრამ გულის სიღრმეში საკმაოდ სწყინდა, და პასუხის გაცემის ნაცვლად (თუმცა, სურვილიც რომ ჰქონოდა, ალბათ მაინც ვერ შეძლებდა) ჩუმად იტანჯებოდა. თავმოყვარეობის გამო თავის გამომცემელთან უმიზნო და უთანასწორო ბრძოლაში შეუდრეკელობას იჩენდა, ამასობაში კარგავდა უამრავ დროს, ენერგიას, ფულს. მუსიკას — თავის უმთავრეს იარაღს არ იყენებდა და თავისივე ნებით ამბობდა უარს იმ რეკლამაზე, რომელსაც ჰეხტი უქმნიდა.

მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. გაზეთში წინასწარ გამოცხადებული ცნობა არ გამოჩენილა. გესლიანი შენიშვნებიც შეწყდა. კომპანია ერთბაშად გონს მოეგო. უფრო მეტიც: თითქოს შემთხვევით, მუსიკალურმა მიმომხილველმა ორი თუ სამი კვირის შემდეგ გაზეთის ფურცლებზე ქების რამდენიმე სიტყვაც გამოაქვეყნა. თითქოს სურდა ენიშნებინა, რომ მშვიდობა დამყარებული იყო. ლაიფციგის ერთ-ერთმა დიდმა გამომცემელმა კრისტოფს წერილი გამოუგზავნა და ნაწარმოებების გამოცემა შესთავაზა. ხელშეკრულება ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებდა. მისდამი გამოგზავნილ მაამებლურ წერილში, რომელსაც ავსტრიის საელჩოს ბეჭედი ესვა, თავმდაბლად სთხოვდნენ კრისტოფს, ნება დაერთო და მისი ნაწარმოებები საელჩოში გამართულ საზეიმო საღამოების პროგრამაში შეეტანათ. ფილომელაც — რომელსაც კრისტოფი მფარველობდა, ერთ-ერთ ასეთ საღამოზე მიიწვიეს სამღერლად. ამის

შემდეგ ქალს პარიზში არსებულ გერმანიისა და იტალიის კოლონიების არისტოკრატულ სალონებში ხშირად იწვევდნენ. ერთ-ერთ მუსიკალურ საღამოს კრისტოფიც დაესწრო. ელჩმა იგი ფრიად გულთბილად მიიღო. ხანმოკლე საუბრისას გამოირკვა, რომ მასპინძელი მუსიკაში ნაკლებად ერკვეოდა. ეტყობოდა, არც მისი ნაწარმოებები სმენოდა. მაშ, რამ გაუღვიძა ეს მოულოდნელი ინტერესი? ჩანდა, ვიღაცის უხილავი ხელი კრისტოფს გზიდან ყოველგვარ განსაცდელს აშორებდა. სცადა, გაეგო. ელჩმა მისდამი დიდი სიმპათიით გამსჭვალული რომელიღაც ორი მეგობარი — გრაფი და გრაფინია ბერენიები ახსენა. ოდნავადაც არ ეცნო ეს გვარი. იმ საღამოზე, როცა კრისტოფი საელჩოში იმყოფებოდა, ცოლ-ქმარ ბერენიების წინაშე წარდგენის შემთხვევა არ მისცემია. მათ გაცნობას არც ცდილა. იმხანად არავინ აინტერესებდა. მეგობრებისაც თითქმის ისევე სჯეროდა, როგორც მტრებისა. ორთავენი ერთნაირად არასაიმედონი იყვნენ. ნიავის ოდნავ მოქროლვაზე იცვლებოდნენ. ჯობდა, უიმათოდ ყოფილიყო და XVII საუკუნის ბრძენის სიტყვებს მოჰყოლოდა: „ღმერთმა შემძინა მეგობრები. ღმერთმა წამართვა ისინი. მათ მიმატოვეს. მეც მივატოვებ და იმათ სახელს მეტად აღარასოდეს ვახსენებ“.

მას შემდეგ, რაც კრისტოფი ოლივიეს სახლიდან წამოვიდა, ოლივიეს მისთვის ერთხელაც არ შეუხსენებია თავი. თითქოს მათ შორის ყველაფერი დამთავრდა. ახალი მეგობრების შეძენა აღარ აინტერესებდა. მას ეშვიც არ ეპარებოდა, რომ გრაფი და გრაფინია ბერენიები ოდნავადაც არ განსხვავდებოდნენ იმ სნობებისაგან, კრისტოფის მეგობრებად რომ მოჰქონდათ თავი. არცა ცდილა იმათ გაცნობას. კიდეც რომ შეხვედროდნენ, ალბათ განერიდებოდა. მზად იყო, პარიზიდანაც გაქცეულიყო. სურდა რამდენიმე კვირით განმარტოებით ეცხოვრა. რამდენიმე დღე, თუნდაც რამდენიმე დღე თავის მშობლიურ ქვეყანაში გაეტარებინა! ეს ფიქრი კრისტოფს თანდათან ავადმყოფურ მოთხოვნილებად ექცა. მშობლიური მდინარისა, ცისა თუ მიწის, სანუკვარი საფლავების ხილვა ეწადა, მაგრამ არ შეეძლო, რადგან მათი ნახვა თავისუფლების ფასად დაუჯდებოდა — გერმანიიდან გაქცევის შემდეგ დაჭერის საშიშროება ისევ ემუქრებოდა. და მიუხედავად ამისა, მზად იყო ყოველგვარი სისულელე ჩაედინა, ოღონდ სამშობლოში ერთი დღით მაინც დაბრუნებულიყო.

ბედად, ამის შესახებ ერთ-ერთ ახლადმოვლენილ მფარველთან მოუხდა საუბარი. იმ საღამოზე, რომელზედაც მისი ნაწარმოებები სრულდებოდა, გერმანიის საელჩოს ახალგაზრდა ატაშემ უთხრა: ისეთი კომპოზიტორით, როგორიც თქვენა ხართ, გერმანია ამაყობსო. ამაზე კრისტოფმა მოახსენა:

— სამაგიეროდ, იგი ისეა გაგულისებული ჩემზე, რომ უმალ თავის კარებთან მომიღებს ბოლოს, ვიდრე შიგ შემიშვებს.

ახალგაზრდა დიპლომატმა სთხოვა, აეხსნა საქმის ვითარება. არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ახალგაზრდა ატაშემ კრისტოფს აცნობა:

— მაღალ წრეებში თქვენით დაინტერესებულნი არიან. მათ უკვე მოახ-

სენეს ერთ ფრიად წარჩინებულ დიდ პიროვნებას, ვისაც შეუძლია შეაჩეროს ის მძიმე განაჩენი, თქვენ რომ ტვირთად გაწევთ. დახმარების სურვილიც გამოთქვა. საოცარია, მას მოეწონა თქვენი მუსიკა. ჩვენ შორის დარჩეს და, შაინცადამაინც დახვეწილი გემოვნებით არ გამოირჩევა. ისე კი კეთილშობილი, ნათელი გონების ადამიანია. ამჟამად განაჩენის შეცვლის შესაძლებლობა არ არსებობს, მაგრამ თუ მშობლიურ ქალაქში მხოლოდ ორმოცდარვა საათს დაჰყოფთ და თქვენიანებსაც მოინახულებთ, ამაზე თვალს დახუჭავენ. აი, პასპორტი, აქედან გამგზავრებისა და ჩამოსვლის დროს მისი შემოწმება არ დაგავიწყდეთ. ფრთხილად იყავით. ეცადეთ, არ მიიპყროთ ყურადღება.

კრისტოფმა კვლავ იხილა მშობლიური მიწა. ის ორი დღე, მას რომ მისცეს, იმათთან გაატარა, ვინც მშობლიურ მიწაში განისვენებდა. დედის საფლავზე მივიდა. ბალახი წამოზრდილიყო. სულ ახლახან ვიღაცას ცოცხალი ყვავილები დაეწყო. იქვე, ერთმანეთის გვერდით მამა და პაპამისი განისვენებდნენ. კრისტოფი იქვე ჩამოჯდა. საფლავი გალავნის ახლოს იყო გაჭრილი. საფლავს გალავანს იქით, გზის პირას მდგარი წაბლის ხე უჩრდილებდა. კედელს გადაღმა თბილი ნიავი ყანას ოქროსფრად ალივლივებდა. მზე მცხუნვარედ აჭერდა სხივებს გარინდებულ დედამიწას. ყანებიდან მწყერების კუტკუტი მოისმოდა. წყნარად ირწეოდნენ საფლავებზე დარგული კვიპაროსები. მარტოდმარტო მჯდარ კრისტოფს ფიქრებმა წაართვეს თავი. საოცარი სიმშვიდე დაუფლებოდა. მუხლებზე შემოეჭდო ხელები და კედელს მიყრდნობილი ცას უმზერდა. წუთით თვალები დახუჭა. რა მარტივი იყო ყველაფერი! თავს ისე გრძნობდა, თითქოს თავის სახლში, ახლობლებს შორის ყოფილიყო. იმათ გვერდით მჯდარიყო ხელგადახვეული. გადიოდა საათები. საღამოს პირას ხეივნის ქვიშაზე ვიღაცის ფეხის ხმა მოისმა. დარაჯი იყო. გვერდით ჩაუარა, მერე საფლავის ქვაზე ჩამომჯდარ კრისტოფს მოხედა. კრისტოფმა ჰკითხა, ვინ მოიტანაო საფლავზე ცოცხალი ყვავილები. ბუირელ ფერმერ ქალს ჩვეულებად აქვს სასაფლაოზე წელიწადში ორჯერ ან ერთხელ მაინც შემოიაროსო, მიუგო დარაჯმა.

— ლორენი? — ჰკითხა კრისტოფმა.

საუბარი წამოიწყეს.

— თქვენ მისი ვაჟიშვილი ბრძანდებით? — ჰკითხა უცნობმა.

— მას სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, — მიუგო კრისტოფმა.

— მე ჰამბურგელზე მოგახსენებთ, დანარჩენები ღმერთს არ უქნია.

მზე უკვე ჩაიწვერა. უკან თავგადაწეული კრისტოფი ჩუმად, ხმისამოუღებლად იჯდა.

— დაკეტის დროა, — თქვა დარაჯმა.

კრისტოფი წამოდგა და დარაჯთან ერთად გაუყვა სასაფლაოს. მანაც გულთბილად აჩვენა თავისი სამფლობელო. გზადაგზა კრისტოფი ჩერდებოდა და

საფლავის ქვებზე წარწერებს კითხულობდა. რამდენი ნაცნობი განისვენებდა აქ! მოხუცი ეილერი, მისი სიძე, ცოტა იქით მისი ბავშვობის მეგობარი გოგონები, ბავშვობაში მათთან ერთად უთამაშნია. აგერ კიდევ ერთი სახელი, ადა... მისი წაკითხვისას გული ეტკინა... უფალო, შენ განუსვენე ყველას... შორეულ ჰორიზონტს ჩამავალი მზის შუქი ადგა. სასაფლაოდან გამოსული კრისტოფი კიდევ დიდხანს დაეხეტებოდა მინდორ-მინდორ. ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ. მეორე დღესაც მოვიდა აქ კრისტოფი. შუადღემდე იმავ ადგილას იჯდა. გუშინდელი მშვენიერი სიმშვიდე დღეს თითქოს გამოცოცხლდა. უდარდელ, ბედნიერ საგალობელს მღეროდა სული. საფლავის კიდეზე ჩამომჯდარმა მუხლებზე ნოტების რვეული გაშალა და სულში ამღერებული მელოდია რვეულში ფანქრით გადაიტანა. ასე გავიდა დღე. ეგონა, ისევ თავის ძველ პაწია ოთახში ცუშაობდა. იქვე, თეჯირს მიღმა, დედა დაფუსფუსებდა. წერას მორჩა და წასასვლელად შეემზადა. საფლავიდან რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა, რომ უცებ შემობრუნდა, რვეული ფათალოს ფოთლებქვეშ, ბალახებზე დადო. რამდენიმე წვიმის წვეთი ჩამოვარდა. კრისტოფმა გაიფიქრა:

— „რაც მალე წაშლის წვიმა, მით უკეთესი!.. ეს შენ მოგიძღვენი, შენ ერთადერთს და სხვას არავის!..

იყო მდინარეზე, ნაცნობი ქუჩებიც მოინახულა. აქ ბევრი რამ შეცვლილიყო. ბულვარის გასწვრივ ქალაქის კედელს გადაღმა, ძველ ბასტიონებს შორის, აკაციების ჭალა წამოზრდილიყო, რომელიც თითქმის მის თვალწინ დარგეს და ახლა იმოდენა გაზრდილიყო, ძველ ხეებსაც ფარავდა. ფონ კერიზების ბაღს რომ ჩაუარა, ის ბოძი შეიცნო, პარკის გალავანს იქით გადასაჭვრეტად ბავშვობაში ზედ რომ მიძვრებოდა ხოლმე. ძალიან გაკვირვებული დარჩა: ქუჩები, პარკიცა და ის გალავანიც საოცრად პატარა ეჩვენა. წამით ცხაურთან შეჩერდა და ეკიპაჟის ბორბლების ხმაური რომ შეწყდა, მხოლოდ მას შემდეგ განაგრძო გზა. უნებურად ზემოთ აიხედა. მისი თვალები ფუნთუშა, ფხიარული მანდილოსნის მზერას წააწყდა. იგი ცნობისმოყვარეობით თვალიერებდა კრისტოფს. უცებ მანდილოსანმა გაკვირვებისაგან შეჰყვირა და მეეტლეს უბრძანა, გაჩერებულიყო:

— ბატონო კრაფტ! — შესძახა მან.

კრისტოფი გაჩერდა.

მანდილოსანმა სიცილით უთხრა:

— მე მინა ვარ!..

კრისტოფი ისეთივე აღელვებით მიიჭრა მასთან, როგორც პირველი შეხვედრის დღეს.[1] ქალმა გვერდით მჯდომი დიდი, მსუქანი მელოტი ბატონი წარუდგინა, ულვაშები თვითკმაყოფილი იერით რომ გადაეწყო. ეს იყო მისი მეუღლე — ბატონი იუსტიციის მრჩეველი ფონ ბრომბახი. მინა დაჟინებით

---

1 იხ. ჟან-კრისტოფი, ნაწ. I, დილა.

სთხოვდა კრისტოფს, შინ მეწვიეო. კრისტოფი შეეცადა როგორმე თავიდან აერიდებინა ეს დაპატიჟება, მაგრამ მინამ შესძახა:

— არა, სადილად აუცილებლად უნდა გვეწვიოთ!

მინა ხმამაღლა, სხაპასხუპით ლაპარაკობდა. კითხვაც არ აცალა, მაშინვე თავისი ამბების მოყოლა დაიწყო. მისი ხმამაღალი, ჩქარი ლაპარაკისაგან გაბრუებული კრისტოფი გაფანტული უსმენდა, უფრო მეტად კი ქალს შესცქეროდა: ნუთუ ეს მისი პატარა მინა იყო? როგორ გაფურჩქვნილა, გავსილა და დაქალებულა. რა მშვენიერი ვარდისფერი სახის კანი აქვს. თუმცა ნაკვთები ცოტა გაუხეშებია, განსაკუთრებით ცხვირი დამსხვილებია. მანერები, მოძრაობა და მიხრა-მოხრა წინანდებური ჰქონდა, ფორმა შესცვლოდა მხოლოდ. ამასობაში მინას პირი არ მოუკუმია. მან კრისტოფს უამბო, რაც თავს გადახდენოდა, თვით ინტიმურ ამბებზედაც კი ესაუბრა: როგორ შეუყვარდა ქმარი და ქმარსაც როგორ უყვარდა იგი. კრისტოფი თავს უხერხულად გრძნობდა. მინას ყველაფერი მშვენიერი ეჩვენებოდა და ურყევად სწამდა, — განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვების თანდასწრებით ლაპარაკობდა, — რომ მისი ქალაქი, საბლი, ოჯახი, ქმარი და თავადაც ყველაზე უკეთესნი იყვნენ. ქმრის თანდასწრებით ჰყვებოდა, რომ მისი ქმარი „უშესანიშნავესი ადამიანია მათ შორის, ვინც კი ოდესმე შეხვედრია“ და რომ მასში „ზეადამიანურ ძალას“ ხედავს. ეს „უშესანიშნავესი“ ადამიანი ცოლს ღიმილით ხელს უსვამდა ლოყაზე და კრისტოფს არწმუნებდა, ამაზე „ღირსეული ქალი არ არსებობსო“. როგორც ჩანს, ბატონი იუსტიციის მრჩეველი იცნობდა კრისტოფის საქმეებს და აღარ იცოდა, მის მიმართ მოკრძალება გამოეხატა თუ, პირიქით, უპატივცემულოდ მოჰკიდებოდა. ერთის მხრივ, მის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს ითვალისწინებდა, მეორეს მხრივ — უდიდეს მფარველობას. ბოლოს მათ შორის რაღაც საშუალო მდგომარეობა ირჩია. რაც შეეხება მინას, იგი კვლავ შეუსვენებლივ ლაპარაკობდა. ბოლოს, როცა საკუთარი ამბავი დაასრულა, კრისტოფის შესახებ დაიწყო ლაპარაკი. თავი მოაბეზრა ისეთივე ინტიმური შეკითხვებით, რომლებზედაც თვითონვე იძლეოდა პასუხს, თუმცა ამგვარი შეკითხვა კრისტოფს ერთხელაც არ მიუცია მისთვის. მინა აღტაცებული იყო მისი ხილვით. მართალია, კრისტოფის მუსიკისა მინას არაფერი გაეგებოდა, სამაგიეროდ, გაგონილი ჰქონდა, რომ იგი გამოჩენილი ადამიანი გამხდარიყო და თავს იმით იწონებდა, რომ ერთ დროს ამ კაცს იგი უყვარდა, მან კი უარით გაისტუმრა. მინამ ეს ხუმრობით საკმაოდ უტაქტოდაც შეახსენა. ალბომისთვის ავტოგრაფიც სთხოვა. თავი მოაბეზრა პარიზის ამბების გამოკითხვით. ამ ქალაქის მიმართ იგი ისეთსავე ინტერესს იჩენდა, რამდენადაც ეზიზღებოდა. მინა საოცრად დარწმუნებული იყო, რომ კარგად იცნობდა პარიზს, რადგან „ფოლი-ბერჟერში“, ოპერაში, მონმარტრსა და სენ-კლუშიც იყო ნამყოფი. მისი აზრით, პარიზელი ქალები ერთობ კოკობზიკნი და ცუდი დედები იყვნენ, რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლებად იყოლი-

ონ შვილები, შინ უმეთვალყურეოდ ტოვებენ მათ. თვითონ კი თეატრებსა და სხვა გასართობ ადგილებში დაბრძანდებიან. მინა შეპასუხებას ვერ იტანდა. საღამო ხანს კრისტოფს სთხოვა, როიალზე დაეკრა. ქალმა შეაქო იგი, მაგრამ გულის სიღრმეში თავისი მეუღლის დაკვრა არანაკლებ მოსწონდა.

კრისტოფი სიამოვნებით შეხვდა მინას დედას — ქალბატონ კერიხს, მის მიმართ იდუმალი სიმპათიით იყო გამსჭვალული, რადგან ეს ქალიც მისდამი კეთილად იყო განწყობილი. ქალბატონ კერიხს წინანდებური ახალგაზრდული მშვენება შემორჩენოდა. მას მინაზე უფრო ბუნებრივად ეჭირა თავი. მაგრამ კრისტოფთან საუბარში მაინც იგრძნობოდა მსუბუქი ირონია, კრისტოფს რომ აღიზიანებდა წინათ. მას შემდეგ ქალბატონი კერიხი არ შეცვლილიყო. იგივე შეხედულებები დარჩენოდა. ქალს ყოველგვარი წინსვლა, უკეთესობისკენ სწრაფვა უაზრობად მიაჩნდა. იგი მაშინდელ კრისტოფს ახლანდელს ადარებდა და უპირატესობას ადრინდელს ანიჭებდა.

მის გარშემო, კრისტოფის გარდა, შინაგანად არავინ შეცვლილიყო. კრისტოფს უმძიმდა ამ პიროვნული კარჩაკეტილობის, გონებრივი შეზღუდულობის ატანა. მასპინძლებმა ნახევარი საღამო მისთვის სრულიად უცხო ადამიანების გაკილვაში გაიყვანეს. აღუნიშნავი არ დარჩენიათ, რაც კი რამ სასაცილო შეემჩნიათ ახლობლებისათვის. სასაცილოდ მიაჩნდათ ყველაფერი, რითაც დანარჩენები მათი ზნე-ჩვეულებებისაგან განსხვავდებოდნენ. ბოლოს და ბოლოს კრისტოფს მობეზრდა ამ უკეთური, უაზრო ცნობისმოყვარეობის სმენა. სცადა, საუბარი თავის საზღვარგარეთ ყოფნაზე გადაეტანა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ საფრანგეთის ცივილიზაციით, რომლის გულისთვისაც მან ამდენი რამ გადაიტანა, ამ ხალხს ვერ დაინტერესებდა. ახლა, როცა სამშობლოში მის წარმომადგენლად გამოდიოდა, ამ ცივილიზაციის მთელ სიმშვენიერესაც განსაკუთრებული სიცხადით გრძნობდა. კრისტოფი მათ ვერ გააგებინებდა ლათინური სულის უსაზღვროებას, რომლის პირველი და უმთავრესი კანონი არის გონიერება: ჩასწვდე, შეიცნო რაც შეიძლება მეტი, თუნდაც „ზნეობრივი პრინციპების“ ხარჯზე. მასპინძლებისაგან, განსაკუთრებით კი მინასაგან იგი ახლაც გრძნობდა იმ ქედმაღლურ ამპარტავნობას, რომელსაც ადრეც გაუნაწყენებია, ოღონდ ახლა დავიწყებას მისცემოდა. ამგვარ ამპარტავნობას სულმოკლეობა უფრო ასაზრდოებს, ვიდრე სათნოება — უმოწყალო, ულმობელი პატიოსნება, თავისი სათნოებით რომ ამაყობს და აბუჩად იგდებს იმ სისუსტეს, რომლის გაგება მას არ შეუძლია. წეს-ჩვეულებების თაყვანისცემა, შეურაცხმყოფელი ზიზღი „დაუშვებელი“ უპირატესობისადმი. მინა მშვიდი, დამრიგებლური დაჯერებულობით გაგრძნობინებდათ, რომ იგი მუდამ მართალი იყო. სხვების შესახებ უხეში პირდაპირობით მსჯელობდა. თუმცა, მათ გაგებას არცა ცდილობდა. საკუთარი თავის გარდა მას სხვა არავინ აინტერესებდა. თავის ეგოიზმს ბუნდოვანი მეტაფიზიკური საღებავებით ნიღბავდა. გამუდმებით თავისი „მეს“ განვითარებაზე საუბრობდა. იქნებ კარგი ქალიც იყო და სი-

ნამდვილეში მართლაც შეეძლო სიყვარული, მაგრამ საკუთარი თავი ზომაზე მეტად უყვარდა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს საკუთარ „მეზე“ ლოცულობდა. იგრძნობოდა, რომ იგი უძვირფასეს ადამიანსაც სამუდამოდ მოიძულებდა, თუ მისი „ მეს“ პატივისცემა წამით მაინც დაავიწყდებოდა, თუნდაც მერე ამ ადამიანს თავისი წუთისოფელი მონანიებაში გაეტარებინა. ეშმაკმა დალახვროს ეგ თქვენი „მე“, ზოგჯერ მაინც გაგონდებოდეთ „შენ!“

მიუხედავად ამისა, კრისტოფი მაინც შემწყნარებლურად უცქერდა. საერთოდ ფიცხი კრისტოფი მის ლაპარაკს ანგელოზისებური სიმშვიდით უსმენდა და ცდილობდა ჩვეულებრივ არ გაეკილა. სიყრმისდროინდელი სიყვარულის სათუთი მოგონებანი მინას შარავანდედით მოსავდა. კრისტოფი გულდასმით ცდილობდა მასში პატარა მინას სახე ამოეცნო. ზოგიერთ მის მოძრაობაში ისევ ჩანდა რაღაც ძველებური. მისი ხმაც კვლავ ძველებურ გამოძახილს იძლეოდა. გარინდებული ამ ხმებს ხარბად იჭერდა, ისე, რომ სიტყვების მნიშვნელობა არც ესმოდა, თუმცა მისდამი გულისამაჩუყებელი პატივისცემით იყო გამსჭვალული. კრისტოფს აზრის მოკრება უჭირდა. თავისი გამაყრუებელი, ქოთქოთა ლაპარაკით ახლანდელმა მინამ ჩაახშო წინანდელი მინა. ბოლოს და ბოლოს, ცოტა არ იყოს დაქანცული კრისტოფი წასასვლელად წამოდგა.

— საბრალო პატარა მინა! კიდევაც სურთ დამიმტკიცონ, რომ ეს მყვირალა, თავისმომაბეზრებელი, ლამაზი მსუქანი ქალი და შენ ერთნი ხართ. მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი, რომ ეს ასე არ არის. მოდი, წავიდეთ, მინა, გავეცალოთ აქაურობას. ამ ხალხთან ჩვენ რა საერთო გვაქვს.

წასვლის წინ კრისტოფი შეჰპირდა, ხვალაც შემოვიელიო. დღესვე მივემგზავრებიო, რომ ეთქვა, მატარებლის გასვლამდე არც გამოუშვებდნენ. ბნელ ქუჩაში პირველივე ნაბიჯის გადადგმაზე ისევ ის სასიამოვნო განწყობილება დაუბრუნდა, ეტლის გამოჩენამდე რომ ჰქონდა. ღრუბლის ფთილასავით გაქრა იმ მოსაბეზრებელი საღამოს მოგონება, მისგან აღარაფერი დარჩენილა, ყველაფერი რაინის მშფოთვარე ტალღების ხმაურმა შთანთქა. კრისტოფი ნაპირ-ნაპირ გაჰყვა მდინარეს იმ სახლისაკენ, სადაც თავად დაიბადა. მისი ცნობა ოდნავადაც არ გასჭირვებია. დარაბები მიხურული იყო. ეტყობოდა, ეძინათ. შუა ქუჩაში შედგა კრისტოფი. ასე ეგონა, რომ დაეკაკუნებინა, ნაცნობი ლანდები გაუღებდნენ კარს. სახლის გვერდით, მდინარისპირა მდელობზე გავიდა და იმ ადგილას ჩამოჯდა, სადაც გოტფრიდთან საღამოობით უყვარდა ხოლმე მასლაათი. მის თვალწინ გაცოცხლდნენ წარსულის დღეები და მასთან ერთად ის პატარა გოგონაც, ვინც პირველი სიყვარული აგრძნობინა. სიყვარულით აცრემლებულები, ოცნებათა უსასრულობაში გადასულნი ძვლავ ახალგაზრდულ ვნებას ეძლეოდნენ. კრისტოფმა ბედნიერი კაცის ღიმილით გაიფიქრა:

— ცხოვრებამ ვერაფერი შემასწავლა. ვიცი... კარგად ვიცი, ისევ წინანდე-

ლი ილუზიებით ვცოცხლობ. რაოდენ დიდი ბედნიერებაა გიყვარდეს, გწამდეს დაუსრულებლად! უკვდავქმნილია ყოველი, რაც სიყვარულის სუნთქვითაა გამთბარი.

ნამდვილი მინა აქ არის, ჩემთან არის და არა სხვაგან... ჩემი მინა არასოდეს არ დაბერდება!..

ღრუბლებიდან გამოცურდა, პირბადე ჩამოიცილა მთვარემ. ტალღების ზურგს ვერცხლისფერი დაეფინა. კრისტოფს მოეჩვენა, რომ წყალი ასე ახლოს არ ჩაუდიოდა იმ ბორცვს, რომელზედაც ახლა იჯდა. წყალმა წინ წამოიწია. აგერ ახლახანს აი იმ მსხლის ხის უკან სოლივით შეჭრილ ქვიშნარზე მწვანე ბალახით დაფერილი ფერდობი ეშვებოდა. ვინ მოთვლის, იქ რამდენჯერ უთამაშია. მდინარემ მიწა მიიტაცა. თანდათან მსხლის ხემდე მიატანა და ფესვები გამოუჩინა. გული შეეკუმშა კრისტოფს. წამოდგა და სადგურისკენ გასწია. ქალაქის ამ ნაწილში ახალი კვარტალი შენდებოდა — ღარიბთა სახლები, ნავსაშენები, ქარხნების ცადაწვდილი მილები. კრისტოფს შუადღეზე ნანახი აკაციების ჭალა მოაგონდა და გაიფიქრა:

— აქაც ისევე იმძლავრებს, ყველაფერს წაიღებს მდინარე.

ღამის სიბნელეში ჩაძინებული ძველი ქალაქი მთელი თავისი მაცხოვრებლებით — ცოცხლებითა თუ გარდაცვლილებით კრისტოფისთვის უფრო ძვირფასი და ახლობელი გამხდარიყო, რადგან მის თავზე შუქარასავით გაისმოდა:

Hostis habet muros...[1]

ჩქარა, ჩქარა გადავარჩინოთ, რაც ჩვენია! თორემ, რაც გვიყვარს, ყველაფერ იმას სიკვდილი ჩასაფრებია. ჩქარა გამოვკვეთოთ მათი სახეები სამარადისო ბრინჯაოში. გადავარჩინოთ სამშობლოს საგანძური, ვიდრე პრიამოსის სასახლეს[2] ცეცხლი ჩანთქავდეს...

კრისტოფი მატარებელში ავიდა და ისიც ისე სწრაფად გაიჭრა, თითქოს წყალდიდობას გაურბოდა. იმ ზღაპრული დევგმირების მსგავსად, რომლებიც დასაღუპად განწირული ქალაქიდან მის ღმერთებს გადაარჩენენ ხოლმე, კრისტოფსაც მშობლიური მიწიდან სიცოცხლის ნაპერწკალი და წარსულის წმინდათაწმინდა სული მიჰქონდა.

ჟაკლინი და ოლივიე ერთხანს ისევ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ჟაკლინს მამა გარდაეცვალა. მისმა სიკვდილმა ძალიან დაამწუხრა ქალი. ჭეშმარიტმა უბედურებამ ცხადლივ აგრძნობინა, რა უაზრო და უბადრუკია სხვა მწუხარება. იმ სინაზემ, ოლივიე რომ იჩენდა მისდამი, მაძინებული გრძნობა კვლავ გაუღვიძა. ცხოვრებამ რამდენიმე წლით უკან, მამიდა მართას ავადმყოფობისა და მისი გარდაცვალების სევდიან დღეებთან დააბრუნა, რომლებიც კვლავ სიყვა-

---

[1] კედლები მტრის ხელთაა (ლათ.).

[2] პრიამოსის სასახლე — ბერძნული გადმოცემის თანახმად, მეფე პრიამოსის სასახლის განადგურებით დასრულდა ტროას დაცემა.

რულის ნათელმა დღეებმა შეცვალა. ჟაკლინი ახლაღა მიხვდა, რომ იგი ცხოვრების უმადური იყო. რაც ჰქონდა, იმას არ აფასებდა. სინამდვილეში კი მადლიერი უნდა ყოფილიყო თუნდაც იმისთვის, რომ ცხოვრება იმ ცოტასაც არ ართმევდა, რაც მისგან ჰქონდა მომადლებული. ახლა, როცა იმ ცოტას ფასი კარგად შეიგრძნო, მის შენარჩუნებას თავგანწირვით ცდილობდა. სევდა რომ გადაჰყროდა, ექიმმა ურჩიათ ჟაკლინი რამდენიმე ხნით პარიზიდან გაეყვანათ. ოლივიესთან ერთად იმ ადგილებში წასვლა, სადაც მათ ცოლ-ქმრული ცხოვრების პირველი წელი გაეტარებინათ, სალოცავად გამგზავრებას ჰგავდა. ამან ჟაკლინს სულმთლად გაულღო გული. როდესაც სადმე, მათი ცხოვრების გზაჯვარედინზე იმ ძველი სიყვარულის ძვირფასი, ნაღვლიანი სახე ხელახლა წარმოდგებოდა, მათ დიდი ხნის წინათ გამქრალი რომ ეგონათ, ხედავდნენ, როგორ ჩაუვლიდათ გვერდით. დარწმუნებული იყვნენ, იგი ისევ გაქრებოდა, ოღონდ რამდენი ხნით! იქნებ სამუდამოდაც? სასოწარკვეთილნი ვნებით ებღაუჭებოდნენ მას.

— დარჩი! ჩვენთან დარჩი!

მაგრამ, კარგად იცოდნენ, რომ სიყვარულს ვერ შეინარჩუნებდნენ... პარიზში რომ დაბრუნდა, ჟაკლინმა სხეულში სიყვარულის პირმშოს — პაწაწინა სიცოცხლის თრთოლვა შეიგრძნო. სიყვარული კი უკვე გამქრალიყო. ის ტვირთი, ჟაკლინი თავისი სხეულით რომ ატარებდა, თანდათან უფრო მძიმდებოდა, მაგრამ ოლივიესადმი სწრაფვას ვერ აღადგენდა. ვერც იმ სიხარულს განაცდევინებდა, რომელსაც ჟაკლინი მისგან მოელოდა. სევდა რომ მოიცავდა ხოლმე, შეშფოთებული თავს ჩაჰკითხავდა. წინათ ეგონა, რომ პატარა ბავშვის ამქვეყნად მოვლენა მას იხსნიდა. საცაა ბავშვი გაჩნდებოდა, მაგრამ ხსნა არსაით უჩნდა. ჟაკლინი შიშით გრძნობდა, რომ მის სხეულში ცოცხალი არსება ფესვებს იდგამდა, იზრდებოდა, მისგან საზრდოობდა. მთელი დღეები უქმად იჯდა, ფიქრებში წასული, თვალისჩინდაკარგული და ამ უცნობ არსებაზე ფიქრით მოცული, მას რომ დაეპატრონა. ეს წყნარი, ბუნდოვანი, რულისმომგვრელი და ამავ დროს გულისწამღები ზუზუნი აბრუებდა ქალს. გაშტერებული ერთბაშად გამოერკვეოდა ხოლმე მთლად გაოფლილი, აცახცახებული; უცებ აენთებოდა. ამ დროს იგი თავის დაღწევას ცდილობდა იმ ბადისგან, რომელშიაც უნებურად მოაქცია ცხოვრებამ. სწყუროდა სიცოცხლე, თავისუფლება და ასე ეგონა, ბუნებამ მოატყუა. თუმცა ამგვარი ფიქრებისა შემდეგ რცხვენოდა კიდეც და თავს მტარვალს უწოდებდა. უკვირდა, ნუთუ ყველა ქალზე უარესი ვარო. მერე თანდათანობით მშვიდდებოდა და მასაზრდოებელ ხესავით მთელ თავის ძალასა და ოცნებას ამ ცოცხალ არსებას უთმობდა, მის სხეულში რომ მწიფდებოდა. როგორი იქნება ნეტავი?..

ახლადდაბადებული ბალღის უნწეო, გულისამაჩუყებელი სხეული რომ იხილა, ჟაკლინმა საბოლოოდ მოიბრუნა გული და მასში ერთბაშად იფეთქა დედობის უდიადესმა სიხარულმა — ქვეყნად ამ უძლიერესმა გრძნობამ. მისი

ტანჯვა-წამებისაგან იშვა ადამიანი—მისი სხეულის ნაწილი. სიყვარულის უზარმაზარმა ტალღამ, მთელ სამყაროს რომ ამოძრავებს, თავით ფეხამდე დაუარა, მთლიანად დაეუფლა, ზეცის მაღალ თაღებს ააწედინა... ღმერთო, მშობიარე ქალი შენი თანასწორია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შენ ვერასდროს ვერ განიცდი იმ დიდ სიხარულს, რამეთუ მისდენი არ გიტანჯია...

ცოტა ხნის შემდეგ ტალღამ დაიწია, სული მიწაზე დაეშვა.

მღელვარებისაგან ათრთოლებული ოლივიე ბავშვისაკენ დაიხარა: იგი ჟაკლინს უღიმოდა. ოლივიეს სურდა გაეგო, ცხოვრების რა იდუმალი კავშირი აერთებდათ მათ ამ უმწეო არსებასთან. ნაზად, ოდნავი ზიზღით შეახო ტუჩები მის ყვითელ, დაპრანჭულ პაწია სახეს. ჟაკლინი თვალს ადევნებდა. მან ფრთხილი მოძრაობით იქით გასწია ქმარი, ბავშვი ხელში აიყვანა, მკერდში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა. ბავშვი ატირდა. მაშინ ჟაკლინმა ისევ ოლივიეს დაუბრუნა ბავშვი, კედლისკენ იბრუნა პირი და აქვითინდა. ოლივიე ახლოს მივიდა, ხელი მოხვია და კოცნით ამოუშრო თვალები. ჟაკლინმაც აკოცა და თავს ძალა დაატანა. გაეღიმა. მერე დაღლა მოიმიზეზა, ოღონდ ითხოვა, ბავშვი მასთან დაეტოვებინათ... ეჰ! რას იზამ, როცა სიყვარული მკვდარია. მამაკაცი, რომელიც მნიშვნელოვანწილად გონებით ცხოვრობს, არასოდეს ჰკარგავს ამ ძლიერ გრძნობას — გონების სიღრმეში მას სამუდამოდ რჩება რაღაც კეალი. შესაძლებელია, მას აღარ უყვარდეს, მაგრამ რომ უყვარდა, ამის დავიწყება არ შეუძლია. ქალი კი უმიზეზოდ შეიყვარებს მთელი არსებით და მერე ასევე მთელი არსებით უმიზეზოდ გადაიყვარებს ხოლმე. მაშ როგორ მოიქცეს? თავს ძალა დაატანოს? მოტყუვდეს? საამისოდ ის ძალზე სუსტია და ერთობ ალალი, რომ თავი მოიტყუოს...

საწოლზე იდაყვდაყრდნობილი ჟაკლინი ნაზი სიბრალულით დასცქეროდა შვილს. როგორი იყო იგი? მაგრამ, როგორიც უნდა ყოფილიყო, მთლიანად მას მაინც არ ეკუთვნოდა. „იმისიც“ ერია. „ის“ კი აღარ უყვარდა. საბრალო ბავშვი! ჩემი ძვირფასი პატარა შვილი! ბრაზი მოსდიოდა ამ არსებაზე, წარსულთან რომ აკავშირებდა და კოცნიდა შვილს მისკენ დახრილი, კოცნიდა დაუსრულებლად...

თანამედროვე ქალების ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ისინი მეტისმეტად თავისუფალნი არიან, და ამავე დროს არც იმდენად თავისუფალნი. ისინი უფრო მეტად თავისუფალნი რომ ყოფილიყვნენ, შეეცდებოდნენ რაღაცით შეებოჭათ თავი და ამაში თავისებურ სიმშვენიერესა და შვებას ჰპოვებდნენ. ნაკლებად თავისუფალნი კი შეეცდებოდნენ შესჩვეოდნენ იმ ბორკილების სიმძიმეს, რომლისგანაც, სულერთია, თავს მაინც ვერ დაიხსნიდნენ. მაშინ ისინი არც ამდენად გაიტანჯებოდნენ. მაგრამ ყველაზე მძიმე ბორკილი სწორედ ის არის, რომლითაც ხელ-ფეხი არ გაქვს შეკრული და ყველაზე მძიმე ის მოვალეობა, რომელიც შეიძლება არ შეასრულო.

ჟაკლინს რომ ეფიქრა, მთელი სიცოცხლე ამ პატარა სახლში უნდა გამო-

მიღამდესო, შესაძლოა, იგი ასე ვიწრო და მოუხერხებელი აღარ სჩვენებოდა. — შეეცდებოდა სიმყუდროვე შეექმნა და დაამთავრებდა იმით, რითაც დაიწყო: ეყვარებოდა ქმარი. მაგრამ ჟაკლინმა იცოდა, რომ შეეძლო ამბოხებულიყო, იქაურობისგან თავი დაეღწია. ამიტომ აქ სული ეხუთებოდა. იმდენი იფიქრა, ბოლოს ეს თავის მოვალეობად მიიჩნია.

საკვირველი ხალხია თანამედროვე მორალისტები. გარდა სხვათა თვალთვალისა, მათში ყველა სხვა უნარი მკვდარია. ისინი ცხოვრების დანახვას ცდილობენ მხოლოდ, სიღრმეში ჩაწვდომას კი არ ესწრაფვიან. მის წარმართვას არცა ფიქრობენ. როცა ადამიანის ბუნებაში იმას აღმოაჩენენ, რაც სინამდვილეში არის, და მერე ამას აღნიშნავენ, თავიანთი მიზანი შესრულებულად მიიჩნიათ და ამბობენ:

— ეს ასე არის.

და აღარაფრის შეცვლა აღარ აინტერესებთ. თითქოს მათ თვალში თვით არსებობის ფაქტია სიკეთე. ამგვარად, ნებისმიერ სისუსტეს წმიდათაწმიდად მიიჩნევენ. ეს ხალხი აშკარა დემოკრატიზაციის ნიშნებს ავლენს. ადრე უპასუხისმგებლობა მარტოოდენ მეფეების პრივილეგია იყო. ახლა ამ პრივილეგიით სარგებლობს ყველა, უფრო მეტად კი არამზადები. მათ შესანიშნავი მრჩეველები ჰყავთ! უდიდესი გულმოდგინებით და კეთილსინდისიერებით ცდილობენ მორალისტები დაუმტკიცონ სუსტებს, რაოდენ სუსტნი არიან ისინი და რომ მათი სისუსტე ბუნებისაგან ოდითგანვეა დაკანონებული. სხვა რაღა დარჩენიათ სუსტებს? გარდა იმისა, რომ გულხელი დაიკრიფონ? კიდევ კარგი, რომ ისინი ამით არ ამაყდებიან! მას შემდეგ, რაც ქალს დაკინებით უმეორებდნენ, შენ სხეული ბავშვი ხარო, ეს აზრი მას თანდათან მოეწონა. მის ამგვარ სულმდაბლობას მხარს უჭერდნენ, ავითარებდნენ. აზრადაც არავის მოუვიდოდა, თუნდაც მოკრძალებულად ეცნობებინათ ბავშვებისათვის, რომ სიჭაბუკის წლებში ადამიანს შეუძლია ბოროტება ჩაიდინოს, კაცი მოკლას, ფიზიკური ან ზნეობრივი სიმახინჯე გამოავლინოს და ყველაფერ ამას აპატიებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჭაბუკის სული ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ეს ხომ ბოროტმოქმედთ მოამრავლებდა. თვით ზრდადასრულებულ ადამიანსაც რომ გაუმეოროთ — თქვენ უფლებააყრილი ხართო, იგი მაშინვე დაკარგავს წონასწორობას და მასში მხეცი გაიღვიძებს. აბა, სცადეთ და ქალს ჩააგონეთ — თქვენი სხეულისა და სურვილების გამგებელი თქვენვე ხართო, რომ იგი თავისი თავის სრულ გამგებელად იქცევა. მაგრამ თქვენ მხდალები ხართ, საჭიროდ არ თვლით უთხრათ რაიმე, იმიტომ რომ თქვენთვის უფრო ხელსაყრელია, თუ მას ამის შესახებ არაფერი ეცოდინება!..

იმ დაბალმა წრემ, რომელშიც მოხვდა ჟაკლინი, საბოლოოდ აუბნია თავგზა. ოლივიესაგან დაშორებული ჟაკლინი იმ საზოგადოებას დაუბრუნდა, რომელიც ყმაწვილქალობაში სძაგდა. მისი და მისი მეგობარი გათხოვილი ქალების გარშემო ახალგაზრდა, მდიდარი ქალებისა და მამაკაცების პატარა წრე

შეიკრა — ელეგანტური, საზრიანი, უსაქმო და უპრინციპო საზოგადოება. ამ წრეში აზროვნებისა და მეტყველების სრული თავისუფლება მეფობდა — მახვილგონიერების საკაზმით შენელებული. მისი წევრები ალბათ არც რაბლეს საბატოს დევიზზე იტყოდნენ უარს:

Fais ce que vouldras[1].

მაგრამ ცოტათი აჭარბებდნენ: სინამდვილეში მათ ცოტა რამ სურდათ. ისინი გაღიზიანებულ თელემელებს მოგვაგონებდნენ. თავგამოდებული ინსტინქტების თავისუფლებას ქადაგებდნენ, თუმცა იგივე ინსტინქტები საკმაოდ სუსტად ჰქონდათ განვითარებული. მათი გარყვნილება უფრო გონების მიერი იყო. სიამოვნებდათ ცივილიზაციის დიდ ემბაზში ნებივრობა. ამ მოთბო ჭუჭყიან წყალში ფართხალი, რომელიც ადუნებს ნებისყოფის იმპულსებს, ადამიანის სასიცოცხლო სტიქიურ ძალებს, პირველყოფილ გრძნობიერებას, ყველაფერს, რაც ჰბადებს დიდებულ რწმენას, ნებისყოფას, ვნებასა და მოვალეობის გრძნობას.

ჟაკლინიც მთელ იარსებით ამ ბუნდოვან აზროვნებას მისცემოდა და ოლივიეს არ შეეძლო მისთვის ხელი შეეშალა. ისიც თანამედროვეობის სენით იყო დაავადებული. თავს უფლებას არ აძლევდა თავისუფლება შეეზღუდა მისთვის, ვინც მას უყვარდა. არც რაიმეს მიღება სურდა ისე, თუ სიყვარული არ ასაზრდოებდა. ჟაკლინი ოდნავადაც არ უმადლოდა ოლივიეს. მას ეგონა, თავისუფლება ისედაც ეკუთვნოდა. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ამ ცრუ ქვეყანაზე მას პირუთვნელობა შერჩენოდა. ჟაკლინს სძაგდა ყველაფერი გაორებული. მთელი არსებით მიეცემოდა ხოლმე ფიქრებს მისი სუსტი, მაგრამ მგზნებარე, დიდბუნებოვანი და მაინც ეგოისტური სული. იგი ყველა თავის ხომალდს საკუთარი ხელით სწვავდა. ოლივიესთან ყოფნამ ჟაკლინს პირდაპირობა შესძინა და მზად იყო იგი უზნეო საქციელშიაც შეენარჩუნებინა.

ახალი მეგობრები ძალზე ფრთხილნი ჩანდნენ. ცდილობდნენ გარეშეებს ისეთები არ სჩვენებოდნენ, როგორებიც სინამდვილეში იყვნენ. მართალია, სიტყვიერად საზოგადოებრივი და მორალური ცრურწმენებისაგან სრულ გათავისუფლებას ქადაგებდნენ, მაგრამ საქმით მშვენივრად ეთვისებოდნენ მათ, ვისგანაც გამორჩენას მოელოდნენ. ისინი ექსპლოატაციას უწევდნენ როგორც საზოგადოებას, ისე მორალს და ისევე ღალატობდნენ მას, როგორც უპატიოსნო მსახურები ძარცვავენ თავიანთ ბატონებს. ჩვეულებისა თუ უქმადყოფნის გამო ისინი ერთმანეთსაც ძარცვავდნენ. მათ შორის ბევრი იყო ისეთი ქმარი, რომელმაც იცოდა, რომ მის ცოლს საყვარლები დაუდიოდა. ასევე ცოლებმაც კარგად უწყოდნენ თავიანთი ქმრების სამიჯნურო თავგადასავლები, მაგრამ ამას შეგუებულნი იყვნენ. თუ არ გაახმაურებ, არც აურზაური ატყდება.. ამ სამაგალითო ცოლქმრულ ცხოვრებას კომპანიონების — უფრო სწორად, თანა-

---

[1] „ჰქენ, რაიცა გწადდეს"

მონაწილეებს შორის უსიტყვო შეთანხმება ედო საფუძვლად. მაგრამ ერთობ პირდაპირი ჟაკლინი თამაშობდა აშკარად, გამომჟღავნებულად. უპირველეს ყოვლისა, გულწრფელობა, კიდევ გულწრფელობა და ისევ და ისევ გულწრფელობა. გულწრფელობაც იმდროინდელ მოდურ თვისებათა რიცხვს განეკუთვნებოდა. ჯანსაღთათვის ყველაფერი ჯანსაღია, გარყვნილთათვის — ყველაფერი გარყვნილი. რა უსანდომოა ზოგჯერ გულწრფელობა! საშუალო ხალხისთვის დამღუპველია საკუთარ მეში ჩახედვა. რწმუნდებიან რა თავიანთ საშუალოობაში, ისინი აქაც პოულობენ თავისთავისადმი ტრფიალის მიზეზს.

ჟაკლინი დღითიდღე ისეთი გულმოდგინებით აკვირდებოდა საკუთარ თავს, თითქოს სარკეში სწავლობდა. ამ დროს იგი ისეთ რამეს აწყდებოდა, რაც, უმჯობესი იყო, სრულებით არ ენახა. მაგრამ რაკი ერთხელ შეამჩნევდა, აღარ შეეძლო მისთვის თვალი მოეშორებინა. და ნაცვლად იმისა, რომ შებრძოლებოდა, ხედავდა, როგორ იზრდებოდა იგი, მისი მხედველობისა და ცნობიერების არეს ეუფლებოდა.

ჟაკლინის ცხოვრება მარტოოდენ ბავშვმა ვერ შეავსო. მას არ შეეძლო ბავშვის გამოკვება. ისიც გამოიფიტა. საჭირო გახდა ძიძის აყვანა. პირველ ხანებში ამან ჟაკლინი ძალზე დაანაღვლიანა, მაგრამ მდგომარეობას შეეგუა და მალე ნაღველიც გადაიყარა. ბავშვი სწრაფად გამოკეთდა. მსუქანი, ჯანსაღი, ბუთხუზა ბიჭი იზრდებოდა. არც არავის აწუხებდა. უმეტესად ეძინა. ღამითაც იშვიათად თუ წამოიტირებდა. ნამდვილ დედობას უწევდა ძიძა — ჯან-ღონით სავსე ნივერნელი ქალი. იგი პირველად როდი ზრდიდა ბავშვს და ყოველი აღზრდილისადმი ცხოველური, ეჭვიანი, მომთხოვნი სიყვარულით იმსჭვალებოდა. როცა ჟაკლინი რაიმე სურვილს გამოთქვამდა, ძიძა მას ყურსაც არ ათხოვებდა, ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც თვითონ სურდა. და თუ ჟაკლინი მაინც რამეს იტყოდა, თავის უვიცობაში მალევე რწმუნდებოდა. ბავშვის დაბადების შემდეგ ჟაკლინი ვერა და ვერ გამოკეთდა. საშინლად აწუხებდა ვენების ანთება. იძულებული იყო რამოდენიმე კვირით გაუნძრევლად წოლილიყო. საკუთარ თავს ღრღნიდა. თითქოს ბოდავდა, გუნებაში სულ ერთსა და იმავე სამდურავს იმეორებდა: „არა, მე არ მიცხოვრია, მე ჯერ თითქმის არ მიცხოვრია, ცხოვრება კი დასრულდა...“ მისი ავადმყოფური წარმოდგენით თითქოს ცხოვრება მისთვის სამუდამოდ იყო დასახიჩრებული. მაშინ ბავშვის — მისი ტანჯვის ამ უნებლიე მიზეზისადმი ყრუ, მწველი, მიჩქმალული გაბოროტება იღვიძებდა. ამგვარი გრძნობა არცთუ იშვიათია, მაგრამ მის შესახებ ჩვეულებრივ დუმან ხოლმე. ქალს, რომელიც მსგავს გრძნობას გამოცდის, რცხვენია, თავს გამოუტყდეს. ჟაკლინიც კიცხავდა თავს. მასში ეგოიზმი და დედობრივი სიყვარული ერთმანეთს ებრძოდა. გული მოულბებოდა, როცა შეხედავდა, რა ნეტარი სიმშვიდით ეძინა პატარას, მაგრამ მეორე წუთში გაბოროტებული ფიქრობდა:

— ამან მე მომკლა!

და საკუთარი ტანჯვა-წამების საფასურად მოპოვებული ამ უშფოთველი

ძილის შემყურეს არ შეეძლო გაღიზიანება დაეფარა. მას შემდეგაც კი, რაც ბავშვი გამომჯობინდა და საკმაოდ წამოიზარდა, მის მიმართ მტრული გრძნობა არ განელებია. ქვეშეცნეულად რცხვენოდა კიდეც ამ გრძნობისა და მთელი ბრალი ოლივიეზე გადაჰქონდა. ეგონა, რომ ისევ ავად იყო. თავის ჯანმრთელობაზე გამუდმებულმა ზრუნვამ იქამდე მიიყვანა, რომ საკუთარი თავის გარდა, სხვა არაფერზე ფიქრობდა. ექიმებიც ხელს უწყობდნენ — უსაქმურობისაკენ, ყოველგვარი უბედურების სათავისაკენ თვითონვე უბიძგებდნენ. ბავშვისთვის ძუძუს წოვება აუკრძალეს. არც რაიმე საქმის გაკეთების ნებას აძლევდნენ. ჟაკლინთან არავის არ უშვებდნენ. რამდენიმე კვირას წამოდგომის უფლებაც არ მისცეს, თან დასაკლავი საქონელივით ჰკვებავდნენ. საოცარია ნევრასთენიით დაავადებულთა მკურნალობის თანამედროვე მეთოდები — ჩემი „მეს“ ავადმყოფობა მეორე ავადმყოფობით — ჩემი „მეს“ ჰიპერტროფიით იცვლება! სინამდვილეში კი საჭიროა სისხლისაგან დაცალო მათი ეგოიზმი, ან თუ ავადმყოფი ისედაც სისხლნაკლულია, სისხლი თავიდან გულისაკენ უნდა გარეკონ, რომ ამან ძლიერი ზნეობრივი რეაქცია გამოიწვიოს!

ჟაკლინი ფიზიკურად მოღონიერდა, გაივსო და გაახალგაზრდავდა, მაგრამ მორალურად წინანდელზე მეტად დაუძლურდა. რამდენიმე თვით განცალკევებით ყოფნამ ჟაკლინსა და ოლივიეს შორის უკანასკნელი სულიერი კავშირიც გაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ოლივიე მას ბევრ რამეს უთმობდა, თავისი იდეალებისადმი უცვლელად ერთგული დარჩა და ჟაკლინი, ვიდრე მის გვერდით იყო, ოლივიეს კეთილისმყოფელ ზეგავლენას განიცდიდა. ამაოდ ცდილობდა ჟაკლინი, თავი დაეღწია მასზე ძლიერი ადამიანისადმი მორჩილებისაგან, მისი გაბსკვალავი მზერა აეცდინა, უნებურად რომ აიძულებდა საკუთარი სიმცდარე თავადვე ეღიარებინა. მაგრამ როგორც კი შემთხვევამ დააშორა ისინი, მისი შორსმჭვრეტი სიყვარული აღარ ზღუდავდა, მისგან გათავისუფლდა, მეგობრული ნდობა წამსვე გაბოროტებამ შეცვალა, რომ ამდენი წელი მას მორჩილებდა, მონობის მძიმე უღელს ატარებდა. ამ სიმძიმეს ჟაკლინი უკვე აღარ გრძნობდა... რა ულმობელობა იმალება ზოგჯერ იმ ადამიანის გულში, ვის სიყვარულშიაც ისევე ხარ დარწმუნებული, როგორც საკუთარში! წამში იცვლება ყველაფერი. ჯერ კიდევ გუშინ თითქოს უყვარდა, ასე ეგონა თვითონ, მაგრამ აი, დღეს აღარ უყვარს, მისი გონებიდან იგი უკვე ამოიშალა. ერთბაშად დაინახა, რომ ოლივიე მისთვის აღარ არსებობდა და გაოგნდა. ოლივიეს არც კი შეუმჩნევია, რა თანდათანობით ხდებოდა მასში ცვლილებები. არც კი დაეჭვებულა, თუ როგორ იზრდებოდა ჟაკლინის გულში მტრობა და ახლა ამ შურისმაძიებელი ზიზღის გამომწვევ მიზეზებზე არც სურდა დაფიქრება. მიზეზი კი მრავალი იყო — ნაწილობრივ დიდი ხნის წინათ ჩასახული და გაფრკვეული. აქედან ერთნი საწოლში, საფარველქვეშ იმალებიან, მეორენი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობიდან მომდინარეობენ, რასაც იდუმალი ზრახვების ამოცნობა და გაკიცხვა იწვევს,—მესამენი, თუმცა ქალმა თვითონვე არ იცის მისი

გამომწვევი მიზეზი. არსებობს ისეთი წყენა, რომელსაც უნებლიეთ მიაყენებენ ხოლმე, მაგრამ ქალი მას არასოდეს აპატიებს. მის გამომწვევ მიზეზს ვერასოდეს ვერ ჩასწვდები. ხშირად ქალებს არც ახსოვთ იგი, მაგრამ ეს წყენა მათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და არც როდისმე დაივიწყებენ.

ამ უსიამოვნო, საზარელი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა სხვას უფრო შეეძლო, ვიდრე ოლივიეს მსგავს ადამიანს. აქ ნაკლებად რთული ბუნების, უფრო პრიმიტიული, ადვილად შემგუებელი, ზედმეტი კეთილსინდისიერებისაგან თავისუფალი ადამიანი იყო საჭირო, რომელსაც მახვილი ალღო და საჭიროების შემთხვევაში ისეთი რამის ჩადენის უნარი ექნებოდა, რასაც გონება უარყოფს. ოლივიე კი უკვე დამარცხებული და განიარაღებული იყო. იგი ჩვეული შორსმჭვრეტელობით ხვდებოდა, რომ მემკვიდრეობითობა თრგუნავდა ჟაკლინის სულს. მასში დედის ხასიათი იჩენდა თავს. იგი ხედავდა, რომ ჟაკლინის ძარღვებში წინაპართა სისხლი ყიოდა და ქვასავით მიაქანებდა ფსკერისკენ. ოლივიემ იცოდა, ყოველგვარი ცდა — შეეჩერებინა იგი — ამ ვარდნას უფრო მეტად დააჩქარებდა. ამიტომ გაჩუმებას არჩევდა. ჟაკლინი ცდილობდა უგუნური ანგარიშიანობით მოთმინებიდან გამოეყვანა ოლივიე, მკვახე, უხეში სიტყვა ეთქმევინებინა, რომ მერე მისი სიძულვილის საბაბად გამოეყენებინა. საკმარისი იყო ოლივიე აღელვებულიყო, რომ ჟაკლინი მაშინვე ათვალწუნებით შეხედავდა. თუ ამგვარი აღელვების შემდეგ ოლივიე დარცხვენილი დადიოდა, მაშინ უფრო მეტად სძაგდა. თავის შეკავებას შეძლებდა და, წინანდელზე მეტად შეიზიზღებდა ხოლმე. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ერთიმეორის გვერდით მყოფნი მთელ დღეს დუმილში ატარებდნენ. ამგვარი დუმილი სულს უხუთავს, ახრჩობს, აზროვნების უნარს ართმევს ადამიანს. თვით ყველაზე მორჩილიც კი მოთმინებიდან გამოჰყავს. ასე რომ, ზოგჯერ გინდა ტკივილი მიაყენო ვინმეს, უზომო ტკივილი, შენც იყვირო და სხვაც აიძულო იყვიროს. დუმილი, უშუქარი დუმილი საბოლოოდ ფიტავს სიყვარულს იმ ადამიანთაგან, ორი სხვადასხვა სამყაროს მსგავსად, თითოეული საკუთარ ორბიტაზე გადის და წყვდიადში უჩინარდება... ჟაკლინი და ოლივიე იმ მდგომარეობამდე მივიდნენ, როცა დაახლოების სულ უმცირესი ცდაც კი უფრო მეტი მანძილით აშორებს ადამიანებს. მათი ერთად ცხოვრება აუტანელი გახდა. შემთხვევამ დააჩქარა დასასრული.

იმ უკანასკნელ წელს სესილ ფლერი ჟანენების ხშირი სტუმარი იყო. ოლივიემ იგი პირველად კრისტოფთან ნახა. შემდეგ ჟაკლინმა მოიპატიჟა სესილი. მას შემდეგაც ხშირად დადიოდა ჟანენებთან, რაც კრისტოფმა მათთან სიარულს თავი ანება. ჟაკლინი ყოველთვის გულთბილად ხვდებოდა სესილს. თუმცა მუსიკაში ნაკლებად ერკვეოდა და სესილზედაც ამბობდა, ცოტა არ იყოს ვულგარულიაო, მაგრამ მისი სიმღერა მოსწონდა და მასზე დამამშვიდებლადაც მოქმედებდა. ოლივიე სიამოვნებით ასრულებდა აკომპანემენტს. სესილი თანდათან ამ ოჯახის მეგობარი გახდა. როდესაც გულღია, სიცოცხლით სავსე მხი-

არული სესილი ხვამაღალი სიცილით ჟანენების სასტუმრო ოთახში შემოდიოდა, თითქოს დამდგარ ნისლში მზის სხივები შეიჭრებოდა. ჟაკლინიცა და ოლივიეც ორივენი შვებით ამოისუნთქავდნენ და როცა ქალი წასასვლელად შეემზადებოდა, ორივეს სურდა ეთქვა:

— დარჩით, ცოტა ხანს კიდევ დარჩით, უთქვენოდ მცივა!

ჟაკლინის არყოფნის დროს ოლივიე სესილს უფრო ხშირად ნახულობდა. ერთხელაც იყო, მან თავისი მწუხარების დაფარვა ვერ მოახერხა: უნებლიეთ მიენდო და როგორც ეს სუსტი, ნაზი ბუნების ადამიანებს სჩვევიათ, ყველაფერი გულახდილად უამბო სესილს. რომ არ ეამბნა, სული შეეხუთებოდა. სესილს შეებრალა ოლივიე და დედობრივი ალერსიანი სიტყვებით ნუგეში სცა. მას ორივე ებრალებოდა. ოლივიეს ურჩევდა, სულით არ დაცემულიყო. იქნებ იმიტომ, რომ ოლივიეზე უკეთ იგრძნო ამგვარი აღიარების უხერხულობა, თუ სხვა რამ მიზეზით, სესილმა ჟანენებთან სიარულს უკლო. როგორც ჩანს, იფიქრა, ჟაკლინის მიმართ უპატიოსნოდ ვიქცევი, მისი საიდუმლოების გაგება მე არ მმართებდაო. ყოველ შემთხვევაში, ოლივიემ ეს განდგომა ამგვარად ახსნა და მის საქციელს ამართლებდა, თავისთავს კი ამ გულახდილობისთვის კიცხავდა. ამ განდგომამ ოლივიეს აგრძნობინა, რასაც ნიშნავდა მისთვის სესილი. იგი მიეჩვია სესილისთვის თავისი აზრების გაზიარებას. ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც შეეძლო მისთვის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება. ოლივიე საკუთარ გრძნობებში ზედმიწევნით კარგად ერკვეოდა და შეეძლო ახლანდელი გრძნობისთვისაც შეუმცდარი სახელი ეწოდებინა. მართალია, სესილისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ რასაც გრძნობდა, არ შეეძლო არ ჩაეწერა. დიდი ხანი არ იყო, რაც საკუთარ ფიქრებთან ქაღალდზე საუბრის საშიშ ჩვევას დაბრუნებოდა. სიყვარულის წლებში არც ახსოვდა იგი, მაგრამ როცა ისევ მარტო დარჩა, ძველმა ჩვევამ თავი შეახსენა. წერა როგორღაც შვებას გვრიდა, მწერლური თვითანალიზის მოთხოვნილებას უკმაყოფილებდა. ოლივიე წერდა თავის თავზე, თავის გასაჭირზე, თითქოს მას, სესილს ესაუბრებოდა, ოღონდ უფრო გულწრფელი იყო, რადგან იცოდა, — ამ ჩანაწერს სესილი ვერასოდეს ვერ წაიკითხავდა.

მაგრამ რაღაც განგების ძალით ეს ჩანაწერები ჟაკლინის ხელში აღმოჩნდა და ისიც სწორედ მაშინ, როცა ჟაკლინი სხვა დღეებთან შედარებით ოლივიესადმი განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობდა. კარადის დალაგებისას ოდესღაც ოლივიესგან გამოგზავნილი სასიყვარულო წერილები გადაიკითხა და ლამის ატირდა. საქმეს თავი ანება და კარადის გვერდით მიმჯდარი წარსულზე ჩაფიქრდა. მწარედ ნანობდა ჟაკლინი, რომ საკუთარი ბედნიერება თავადვე დაანგრია. რამდენი წყენა მიუყენებია ოლივიესთვის — არ შეეძლო ეს მშვიდად მოეგონებინა. ოლივიეს დავიწყება არ იყო ძნელი, მაგრამ ის აზრი, რომ ოლივიე მის გამო იტანჯებოდა, მისთვის აუტანელი გამხდარიყო. ლამის

გული გახეთქოდა. მზად იყო ოლივიეს მკლავებში ჩავარდნოდა და ეყვირა:

— ოჰ! ოლივიე, ოლივიე, ეს რა ჩავიდინეთ? რა სულელები ვართ ორივენი! მეტად ნუღა დავტანჯავთ ერთმანეთს!

ო, ნეტავ იმ წუთებში შემოსულიყო ოლივიე! მაგრამ სწორედ მაშინ წააწყდა მის ჩანაწერებს... და ყველაფერი დამთავრდა. დაიჯერა ნეტავ, რომ ოლივიემ იგი მოატყუა? შესაძლოა, მაგრამ განა სელერთი არ იყო? მისთვის ის უფრო ძნელი ასატანი იყო, რომ იგი მეტად აღარ უნდოდათ, ვიდრე თვით ღალატი. ძვირფას ადამიანს იგი საყვარლის ყოლას უფრო აპატიებდა, ვიდრე იმას, რომ საიდუმლოდ მას სხვისთვის მიეცა გული. და მართალიც იყო.

— დიდი ამბავი! — იტყვიან ზოგიერთები... — (საბრალონი, ისინი მხოლოდ ფიზიკური ღალატისაგან იტანჯებიან!.. როცა გული კვლავინდებურად წრფელია, სხეულებრივი ბიწიერება რა ჩასათვლელია მაშინ. მაგრამ თუ გული ღალატობს, სხვა აღარაფერი რჩება).

ჟაკლინს წუთითაც არ უფიქრია, დაებრუნებინა ოლივიეს სიყვარული. ამაზე ფიქრი გვიანღა იყო. აღარც თვითონ უყვარდა ქმარი. თუ პირიქით, შესაძლოა, ძალიანაც უყვარდა... მაგრამ არა, რასაც ახლა გრძნობდა, ამას ეკვიანობა არ ეთქმოდა. ეს ოლივიესადმი რწმენის, სულის სიღრმეში დარჩენილი უკანასკნელი საყრდენის გამოცლას უფრო ჰგავდა. ჟაკლინს არ სურდა თავს გამოსტყდომოდა, რომ მან საკუთარი წინდაუხედაობის წყალობით სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ქმარი. მისი ახალი სიყვარულის მიზეზიც თვითონვე იყო. ოლივიეს ოდნავადაც არ მიუძღოდა ბრალი. სიყვარული ხომ არავის ეკითხება — უყვარდეს თუ არ უყვარდეს. იგი დაუკითხავად მოდის ჟაკლინს ფიქრადაც არ მოსვლია ეს უცოდველი გატაცება და მისი კრისტოფისადმი აღტკინებული გზნება ერთმანეთისთვის შეედარებინა: მას კრისტოფი სრულიადაც არ ჰყვარებია, არც სათვალავში იყო მისაღები. სიშწრისაგან უკიდურესობამდე მისული ჟაკლინი ფიქრობდა, ოლივიემ მომატყუა, მე მისთვის აღარ ვარსებობო. ხელიდან ეცლებოდა უკანასკნელი საყრდენი და ისიც იმ დროს, როცა თვითონვე გაიწვდინა მისკენ ხელი... ყველაფერი დამთავრებული იყო.

ოლივიეს არც არასოდეს გაუგია, რაც იმ დღეს განიცადა ჟაკლინმა, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებით იგრძნო, რომ ყველაფერი დამთავრდა.

მას შემდეგ მხოლოდ ხალხის თანდასწრებით ლაპარაკობდნენ. ორივენი დევნილი ნადირებივით უთვალთვალებდნენ ერთმანეთს, ეშინოდათ და ფხიზლად ეჭირათ თვალი. იერემია გოტელფი საოცარი უბრალოებით აღწერს იმ მეუღლეთა მოწამებრივ თანაარსებობას, რომელთაც მეტად აღარ უყვართ და ჩასაფრებულები მხოლოდ ერთმანეთის თვალთვალით არიან გართულნი. თითოეული ცდილობს მეორეში ავადმყოფობის რაიმე ნიშანი შეამჩნიოს და თუმცა მისი სიკვდილი არ ეჩქარება და არც არის მოსურნე, გულის სიღრმეში

იმედს რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევაზე მაინც ამყარებს და სჯერა, რომ თვითონ უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანია. იყო ისეთი წუთებიც, როცა ჟაკლინიცა და ოლივიეც ერთმანეთზე ასევე ფიქრობდნენ, მაგრამ სინამდვილეში ძნელად თუ დასწამებდით ამას. თუმცა ისიც კმაროდა, ღამღამობით ჰალუცინაციებით შეპყრობილ ჟაკლინს უძილობა აწუხებდა და თავს ირწმუნებდა, ოლივიე ჩემზე უფრო ამტანია, განზრახ ცდილობს ბოლო მომიღოს და ამას მალე კიდევაც მიაღწევსო... ეს იყო ბრაზისაგან გაშეთებული გულის საზარელი ბოდვა! — და მაინც გულის სიღრმეში მათ ისევ უყვარდათ ერთმანეთი!..

ამ მძიმე ტვირთისგან დათრგუნვილი ოლივიე შებრძოლებას არცა ცდილობდა. იგი განაპირდა — სულიერი საჭე ჟაკლინს მიანდო. საკუთარ თავს შეტოვებულ, მიმმართველის გარეშე დარჩენილ ჟაკლინს თავისუფლებამ თავბრუ დაახვია. მას მბრძანებელი სჭირდებოდა, ვის წინააღმდეგაც შეძლებდა ამბოხებულიყო. რაკი არ ჰყავდა, საჭირო იყო ახალი მბრძანებელი ეპოვა. მაშინ ერთი აზრი აეკვიატა. თუმცა ბევრი გულისტკივილი შეხვედროდა, მაგრამ ოლივიესგან განშორება აქამდე ფიქრადაც არ მოსვლია. ამ წუთის შემდეგ კი გადაწყვიტა ყველა ბორკილი ერთბაშად გაეწყვიტა. უნდოდა, ვიდრე არ იყო გვიან, ვინმე ჰყვარებოდა, (თუმცა ჯერ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ჟაკლინს თავი უკვე მობერებულად მიაჩნდა), — და იყვარებდა კიდეც, რაღაც წარმოსახულ, ყოვლისმომცველ ვნებებს ეძლეოდა, პირველივე შემხვედრით, რომელიმე სახელგანთქმული პიროვნებით ან, უბრალოდ, სახელითაც იხიბლებოდა. და თუ ერთხელ გაგიტაცა ვინმემ, შემდეგ ცხოვრება შენი რჩეულის გარეშე წარმოუდგენელი გეჩვენება. ვეღარ უმკლავდები მოზღვავებულ გრძნობას, ცარიელდება სული და იქიდან გამოდევნის ყველაფერს, რაც აქამდე მას ავსებდა: სხვათა სიყვარულს, ზნეობრივ შეხედულებებს, მოგონებებს, საკუთარი ღირსებისა თუ სხვათა პატივისცემის გრძნობას. და მას შემდეგ, რაც ამ აკვიატებულ აზრს აღარაფერი რჩება მასაზრდოებლად, მოვა დრო, ისიც მოკვდება და მისი ნანგრევებიდან სულმთლად ახალი ადამიანი წარმოჩინდება — მკაცრი, უსულგულო, მობერებული და ილუზიაგაცვეთილი, რომელსაც ისევე აღარ ძალუძს ცხოვრება, როგორც ნანგრევებიდან ამოზრდილ უსუსურ ბალახს.

ამ აკვიატებულმა აზრმა, ჩვეულებისამებრ, ახლაც იპოვა ის ბაცდუნებელი საგანი, რომელსაც მარტოოდენ იმედის გაცრუება შეეძლო. საბრალო ჟაკლინმა ერთი ქუდბედიანი პარიზელი მწერალი შეიყვარა, ვინც არც ლამაზი გახლდათ, არც ახალგაზრდა — მსუქანი იყო, სახეღაღაჟა, კბილებჩამპალი, საშინელი გულქვა. საბაგიეროდ, მოდაში იყო შემოსული და ბევრი ქალის გულის დაპყრობა მოეხერხებინა. ჟაკლინი თავს ვერ გაიმართლებდა, რომ ამ ადამიანის ეგოისტურ ბუნებას არ იცნობდა. პირიქით, ეს კაცი თავის ამ თვისებას საკუთარ შემოქმედებაშიაც შეგნებულად ხაზს უსვამდა. ხელოვნების მოსასხამში გახვეული მისი ეგოიზმი ტოროლების მშვენიერი მისატყუარი იყო, ან ჩირაღდანი, სუსტნებისყოფიანთ თვისკენ რომ იზიდავდა. ჟაკლინის ბევრი მე-

გობარი გაება ამ მახეში. ერთ სრულიად ყმაწვილ, ახალგათხოვილ ქალს მან სულ ადვილად დაახვია თავბრუ და მერე მიატოვა... მისგან მიტოვებულები, მართალია, არა კვდებოდნენ, მაგრამ საზოგადოების სასეიროდ თავიანთ წყენას საკმაოდ მოუხერხებლად მალავდნენ. თუმცა თვით ყველაზე მეტად შეურაცხყოფილნიც კი ცდილობდნენ თავიანთ აღვირახსნილობაში ზომიერების ზღვარს არ გასცილებოდნენ, რადგან ყველაზე მეტად საკუთარ ინტერესებს და საზოგადოების წინაშე თავიანთ მოვალეობას უფრთხილდებოდნენ. ისინი ოდნავ ხმაურსაც არ ატეხდნენ, მოტყუებულნი ქმრისა და მეგობრების წინაშე ჩუმადვე იტანჯებოდნენ. ეს ქალები ნამდვილი გმირები იყვნენ — საზოგადოებრივი აზრისთვის რაღას არ ჩაიდენდნენ.

მაგრამ ჟაკლინი მათთან შედარებით სულელი იყო. მას არა მარტო იმის გაკეთება შეეძლო, რასაც ამბობდა, არამედ იმის თქმაც, რასაც აკეთებდა. იგი ამ ბრიყვულ საქციელს ანგარიშს არ აძლევდა, საკუთარ თავზე არცა ფიქრობდა. საოცარი თვისება ჰქონდა — თავის წინაშე მუდამ გულწრფელი რჩებოდა, ჩადენილი საქციელის შედეგი ოდნავადაც არ აფიქრებდა. ჟაკლინი გარშემომყოფთაგან ყველაზე უკეთესი იყო და ყველაზე ცუდად ამიტომ იქცეოდა. რაკი შეიყვარებდა და გულში ღალატს გაივლებდა, ამ „სასიყვარულო ავანტიურას“ ანგარიშმიუცემლად, თავდავიწყებით ეძლეოდა.

ქალბატონი არნო სრულიად მარტო იყო შინ და რაღაცნაირი აგზნებული სიწმვიდით ქსოვდა; ასე იყო ალბათ პენელოპე გართული თავისი საოცარი ხელსაქმით. პენელოპესავით ისიც ქმარს ელოდა. ბატონი არნო მთელი დღე შინ არ იყო. დილითა და საღამოთი გაკვეთილები ჰქონდა და თუმცა კოჭლობდა და ლიცეუმიც სადღაც პარიზის ბოლოში იყო, ჩვეულებრივ, სადილად მუდამ შინმოდიოდა ხოლმე. ბატონი არნო ამოდენა გზას ჩვეულების გამო უფრო გადიოდა, ვიდრე ცოლის სიყვარულით ან ეკონომიის მიზნით. ზოგჯერ დამატებითი გაკვეთილების ჩასატარებლად გვიანობამდე რჩებოდა, ან ბიბლიოთეკაში შესვლის ცდუნებას ვერ უძლებდა და სამუშაოდ შეივლიდა ხოლმე. ქალბატონი ლუსილ არნო მარტოდმარტო იჯდა იმ ცარიელ ბინაში. მთელი დღე ისე გაივლიდა, კარებზე ზარს არავინ დარეკავდა. შინამოსამსახურე თუ შეივლიდა მხოლოდ რვიდან ათ საათამდე შავი სამუშაოს შესასრულებლად, ან მომმარაგებელი თუ მოიტანდა დილაობით შეკვეთას და მეორე დღისთვის ახალ შეკვეთას იღებდა. მათ ბინაში ძველი ნაცნობებიდან აღარავინ შემორჩენილიყო. კრისტოფი სხვაგან გადავიდა. იასამნის ბაღს ახალმობინადრენი დაეპატრონენ. სელინა შაბრანი ანდრე ელსბერჟეს მისთხოვდა. ელი ელსბერჟი მთელი თავისი ოჯახით ესპანეთში გადასახლდა მაღაროებში სამუშაოდ. მოხუცი ვეილი დაქვრივდა და მას შემდეგ პარიზში თითქმის აღარა ცხოვრობდა. მხოლოდ კრისტოფი და მისი მეგობარი ქალი სესილი არ ივიწყებდნენ ლუსილ არნოს. მაგრამ ისინიც აქედან შორს ცხოვრობდნენ და მთელი დღის შრომით მოღლილნი

მის სანახავად რამდენიმე კვირაში ერთხელ თუ შეივლიდნენ. ლუსილი საკუთარი მარტოობის იმედით იყო.

მარტოობა არც აწუხებდა ამ ქალს. ყოველგვარი წვრილმანი ართობდა — უმნიშვნელო რაიმე ოჯახური საქმე ან ოთახის მცენარე; იგი ყოველ დილით დედობრივი მზრუნველობით ასუფთავებდა მის ნაზ ფოთლებს. საყვარელ ნაცრის ფერ კატას, როგორც ეს შინაურ ცხოველებს სჩვევიათ, ცოტა არ იყოს ლუსილის განაზებულობა გადაეღო. მთელ დღეს ისიც ბუხრის პირას ან ლამპასთან იყო მოკალათებული და პატრონის ხელის მოძრაობას თვალს ადევნებდა. ზოგჯერ იდუმალად მიაჩერდებოდა, წამით მიაშტერდებოდა, მერე კი თითქოს მზერა ჩაუქრებოდა, ისევ გულგრილი ხდებოდა. დროის გაყვანაში ქალბატონ არნოს თითქოს ავეჯიც შველოდა. თითოეული სავანი მისთვის ისე მახლობელი იყო, მათი მოვლა ბავშვურ სიამოვნებას განაცდევინებდა. თითოეულს ფრთხილად აშორებდა მტვერს და ისევ თავის ადგილას დებდა, უხმოდ ესაუბრებოდა. იგი სიამოვნებით გაუღიმებდა ხოლმე ლუდოვიკო XVI დროინდელ ასაჩდელთავიან სეკრეტერს — ერთადერთ ძველებურ ნივთს. მისი შეხედვა მუდამ სიხარულს ჰგვრიდა. ამაზე ნაკლებ არც თეთრეულის თვალიერება უყვარდა. საათობით იდგა კარადის წინ სკამზე შესკუპებული. უჯრებში თავ და ხელებწაყოფილი ათვალიერებდა, ალაგებდა თეთრეულს. კატაც ცნობისმოყვარეობით საათობით შესცქეროდა პატრონის საქმიანობას. მაგრამ ყველაზე ბედნიერი წუთები მისთვის მაშინ დგებოდა, როცა ყველა საოჯახო საქმეს მოითავებდა, განმარტოებული საჩქაროდ ისაუზმებდა (ძალზე ნაზი მჭამელი იყო), აუცილებელ საქმეებზე ქალაქში გაივლიდა და შინ ოთხი საათისათვის დაბრუნებული თავისი განუყრელი ხელსაქმითა და კატით ფანჯარასთან ან ბუხრის პირას მიჯდებოდა. ქალბატონი არნო ზოგჯერ ისეთ საქმეს მოიმიზეზებდა, რომ სახლიდან გარეთ არ გასულიყო. განსაკუთრებით ზამთარში სიამოვნებდა შინ ყოფნა, როცა ციოდა და თოვლი მოდიოდა. წვიმა, ქარი და ტალახი მას აშინებდა. თავადაც იმ კნუტივით ფაქიზი და ნებიერა იყო. თუ შემთხვევით დამტარებლებს მასთან შევლა დაავიწყდებოდათ, საჭმლის მოსატანად სახლიდან გასვლას შინ მშიერი ჯდომა ერჩია. იმითაც კმაყოფილდებოდა, რასაც ბუფეტში მოახელებდა — სულერთი იყო, შოკოლადის ნახეტი იქნებოდა თუ ხილი. ამის შესახებ ქმარს არაფერს ეტყოდა. ეს იყო მთელი მისი ეშმაკობა. ღრუბლიან ჩამოქუფრულ დღეებში, ზოგჯერ კი ნათელ, მზიან ამინდშიაც (როცა ცა ლურჯად კამკამებდა და გრილ, მყუდრო ბინაში ქუჩის ხმაური იჭრებოდა, მისი სული თითქოს მირაჟში ეხვეოდა.) საქსოვით ხელში თავის საყვარელ კუთხეში მიჯდებოდა, დაბალ სკამზე ფეხებს შემოაწყობდა და გაუნძრევლად იჯდა ფიქრებში წასული — მხოლოდ თითები მოძრაობდნენ შეუსვენებლივ. გვერდით მისი საყვარელი წიგნი, უფრო ხშირად, ჩვეულებრივი წითელყდიანი ტომი, ინგლისურიდან თარგმნილი რომანი ედო. კითხულობდა ძალიან ნელა, დღეში თითო თავს. მუხლებზე დადებული წიგნი ერთ-

სა და იმავე გვერდზე გადაშლილი დიდხანს რჩებოდა, ან სულაც არ გადაიშ-ლებოდა — ქალბატონმა არნომ მისი შინაარსი ისედაც კარგად იცოდა. მას თა-ვის ფიქრებში ხელახლა განიცდიდა. თეკერეისა და დიკენსის გრძელ რომანებს, მართალია, რამდენიმე კვირაში გადაიკითხავდა, მაგრამ მათზე ფიქრი წლობით თან სდევდა და ალერსიანად უნანავებდა. დღეს ხალხი ძალიან სწრაფად და ცო-ტას კითხულობს. ამიტომაც ვერ გრძნობს იმ ზებუნებრივ ძალას, რომელსაც წიგნები ნელი კითხვის დროს გამოასხივებენ. ქალბატონ არნოსთვის წიგნების გმირთა ცხოვრება ისევე რეალური იყო, როგორც საკუთრივ მისი. წიგნის ზო-გიერთი გმირისთვის თავსაც გასწირავდა: ლედი კესლვუდი, ნაზი, დედობრივი და ქალწულებრივი გულის მქონე, რომელსაც სიყვარულიც შეეძლო და დუმი-ლიც, მას დად მიაჩნდა. პატარა დომბი მისი ძვირფასი ბიჭუნა იყო, თვითონ კი თავი დორად — ნაადრევი სიკვდილისთვის განწირულ ნორჩ მეუღლედ წარ-მოედგინა. იგი გულწრფელი, ბავშვური უშუალობით გულში იკრავდა ყველა იმ ქმნილებათ, ვინც ამაყი, სუფთა, უმანკო თვალებით ხალხში ჩნდებოდა. მის თვალწინ ჩაივლიდა სათაყვანებელ მაწანწალათა თუ ბუნებით უწყინარ ადა-მიანთა მთელი მწკრივი — თავიანთ სასაცილო და გულისამაჩუყებელ ოცნება-თა მდევნელნი. ამათ წინ მიუძღოდა დიკენსი—კეთილი გენია, საკუთარი ფანტა-ზიის ნაყოფით აცრემლებული და მოცინარი. ასეთ წუთებში თუ ლუსილი ფან-ჯარაში გადაიხედავდა, ეჩვენებოდა, თითქოს საცაა გამვლელთა შორის წარ-მოსახული სამყაროს მისთვის საყვარელი ან საძულველი პერსონაჟები გამოჩ-ნდნენ.

იცოდა, ამ სახლებს იქით, მის კედლებს მიღმა ისეთივე ადამიანები ცხოვ-რობდნენ. მას შიშის ზარს სცემდა ეს საიდუმლოებებით მოცული სამყარო. ამიტომაც სახლიდან გასვლა არ უყვარდა. ყველგან გათამაშებული კომედიები ელანდებოდა და ხშირად არცა სცდებოდა. მარტოობამ მას ინტუიციის იდუ-მალი უნარი შესძინა. გამვლელთა მზერაში მათი წარსულისა თუ მომავლის საიდუმლოებათა ამოკითხვა იმათზე უკეთ შეეძლო. ქალბატონი არნო ამ რეა-ლურ სურათებში თავის რომანტიკულ მოგონებებსაც ურევდა და მას სახეს უცვლიდა. ამ უზარმაზარ სამყაროში იგი თავს დაკარგულად გრძნობდა და ში-ხისაკენ მოიჩქაროდა, ეშინოდა, შიგ არ ჩაძირულიყო.

ქალბატონ არნოს არც ვინმეს ნახვა ან მათი სახეების ამოკითხვა სჭირდე-ბოდა, მისთვის საკუთარ თავში ჩახედვაც კმაროდა. რაოდენ ჩაფერფლილი, უფერული ჩანდა გარედან მისი ცხოვრება და რაოდენ შუქს გამოსცემდა შიგ-ნიდან! რა სისხლსავსე იყო მისი ცხოვრება! რაოდენ ძვირფასი მოგონებები გააჩნდა, რომელთა არსებობაში ეჭვიც არავის შეეპარებოდა!.. იყო მასში რაი-მე რეალური? — რა თქმა უნდა, იყო, რადგანაც იგი ქალბატონი არნოსთვის არ-სებობდა... რამდენი უღიმღამო ცხოვრება გარდაუქმნია ფანტაზიის ჯადოსნუ-რი ჯოხის შეხებას!

ქალბატონი არნო ოცნებით კვლავ თავისი ბავშვობის ადრეულ წლებს უბ-

რუნდებოდა. მისი ჩაქოლილი იმედების სათუთი ყვავილები სიჩუმეში იშლებოდა... პირველი ბავშვური სიყვარული ახალგაზრდა ქალიშვილისადმი, ვისმა სილამაზეშაც ნახვისთანავე მოაჯადოვა. უყვარდა იგი მთელი სიწმინდით, რაოდენაც კი შესაძლებელია სიყვარული. ყოველ მის შეხებაზე მღელვარებისგან ილეოდა. სურდა მისთვის ფეხები დაეკოცნა, გამხდარიყო მისი ცოლი ან შვილი. მაგრამ ეს გაღმერთებული ქალიშვილი გათხოვდა. ქორწინებამ მას ბედნიერება ვერ მოუტანა. ჯერ იყო და, ბავშვი მოუკვდა, მერე თვითონაც გარდაიცვალა. მეორე სიყვარული თორმეტი წლისას ეწვია — ეს იყო თანატოლი ქერათმიანი, კისკისა, თავნება გოგონა, რომელსაც უყვარდა მისი წვალება. იქამდე არ მოეშვებოდა, ვიდრე არ აატირებდა, მეორე წუთში კი კოცნით ახრჩობდა. ისინი მომავლის ათასნაირ რომანტიულ გეგმებს აწყობდნენ ერთად, მაგრამ მოულოდნელად მისი მეგობარი გოგონა კარმელიტების ორდენის მონაზვნად აღიკვეცა. თავადაც არ უწყოდა, რისთვის. ამბობდნენ, ბედნიერიაო... ამის შემდეგ საკმაოდ ხანშესული მამაკაცი შეუყვარდა. ამ გატაცების შესახებ არავინ არაფერი იცოდა, თვით გატაცების მიზეზმაც კი. ლუსილმა ამ გრძნობაში მთელი თავისი თავგანწირვა და სინაზე ჩააქსოვა... მერე კვლავ ახალი გატაცება. ამჯერად ორმხრივი. მაგრამ განსაკუთრებული სიმორცხვისა და თავის თავში დაურწმუნებლობის გამო ვერ დაიჯერა, რომ შესაძლებელი იყო ვინმეს ისიც შეჰყვარებოდა და სიყვარული გულში ჩაიკლა. ბედნიერებამ ისე ჩაუარა, მისი შეჩერება არც უცდია... ამის შემდეგ... თუმცა რა აზრი აქვს სხვებისთვის იმის მოყოლას, რასაც საკუთრივ მხოლოდ შენთვის აქვს აზრი! აქ კი სულ უმცირესი რამაც ძალზე მნიშვნელოვანია: მეგობრული ყურადღება, ოლივიეს მიერ ანაზდად თქმული სასიყვარულო სიტყვა, კრისტოფის სტუმრობით გამოწვეული სიხარული, მისი მუსიკა, რომელსაც ჯადოსნურ სამყაროში შეეყვანართ, ვინმე, სრულიად უცნობი ადამიანის შემოხედვა: დიახ, ეს წმინდა, უმწიკვლო. შესანიშნავი ყოფაქცევის ქალი ზოგჯერ ფიქრით მაინც ღალატობდა ქმარს. წონასწორობას კარგავდა. თუმცა თავისი თავისა რცხვენოდა კიდეც, მაგრამ ამ უნებლიე ღალატს არცთუ ძალიან ეწინააღმდეგებოდა. ეს უვნებელი გრძნობა მის გულს მზის სხივივით ათბობდა... ქალს უყვარდა ქმარი, თუმცა ცხოვრების ასეთ თანამგზავრზე არ ოცნებობდა. ეს კაცი ძალიან კეთილი ბუნების ადამიანი იყო. ერთ დღეს ქმარმა უთხრა:

— ჩემო ძვირფასო! თავადაც არ იცი, რაოდენ სათაყვანო ხარ. შენ მთელი ჩემი სიცოცხლე ხარ...

ამ სიტყვებმა საბოლოოდ გაალხო ლუსილის გული. ამ დღის შემდეგ იგი მიხვდა, რომ ამ ადამიანთან სამუდამოდ იყო დაკავშირებული — მას არასოდეს მიატოვებდა. წლითიწლობით უფრო უახლოვდებოდნენ ისინი ერთმანეთს. ერთად ოცნებობდნენ, ფიქრობდნენ თავიანთ საქმიანობაზე, მოგზაურობაზე, ბავშვებზე, მაგრამ რომელი ერთი ახდა ამ სანუკვარი ოცნებიდან?.. ვაი, რომ არც ერთი!.. ქალბატონი არნო კი ისევ ოცნებობდა. პატარა ბავშვზე ისე დაეინე-

ბით და იმდენხანს ფიქრობდა, თითქოს ცხადლივ ხედავდა მას. წლების მანძილზე თვალწინ უდგა, რაც ძვირფასი და სანუკვარი გააჩნდა, იმითი რთავდა... მეტის თქმა რაღა საჭიროა!..

ეს იყო და ეს. რამდენი სამყარო არსებობს, რამდენი უგულებელყოფილი ტრაგედია, სანუკვარად რომ ინახავენ ასეთი მშვიდი, ერთის შეხედვით ჩვეულებრივი არსებანი! ყველაზე დიდი ტრაგედია კი ის არის, რომ სინამდვილეში არაფერი ხდება, ადამიანები კი იმედით ცოცხლობენ, სასოწარკვეთილნი ისწრაფვიან იმისკენ, რისი მოპოვების უფლება ბუნებისავან მათ ისედაც აქვთ ნაბოძები და მისგანვე არიან უარყოფილნი — სევდიან ვნებაში იხრჩობიან... გარეგნულად კი არას იმჩნევენ!

საბედნიეროდ, ქალბატონი არნო მარტოოდენ თავის თავზე არ ფიქრობდა. პირადი ცხოვრება მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდა მის ფიქრებს. იგი იმათი ცხოვრებითაც ცხოვრობდა, ვისაც იცნობდა და თავისი თავი მათ ადგილას ჰყავდა წარმოდგენილი. ფიქრობდა კრისტოფზე, მის მეგობარ ქალ სესილზე. აი, დღესაც სესილს იგონებდა. ეს ორი ქალი ძალიან შეეთვისა ერთმანეთს. საკვირველი ის იყო, რომ გარეგნულად ძლიერი აღნაგობის სესილი სუსტ ქალბატონ არნოსთან ეძებდა დასაყრდენს. სინამდვილეში, ეს ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე ჩანდა. იგი სულიერ კრიზისს განიცდიდა. თვით ყველაზე მშვიდი გულიც კი არ არის მოულოდნელობისაგან დაზღვეული. სესილის გულში ნაზი გრძნობა შეპარულიყო. თავდაპირველად არ უნდოდა ეღიარებინა, მაგრამ იგი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ბოლოს შეუძლებელი გახდა მისი არცნობა — მას ოლივიე უყვარდა. ახალგაზრდა კაცის ძალდაუტანებელმა, ალერსიანმა ქცევებმა, მისმა სუსტმა, უმწეო, ცოტა არ იყოს ქალურმა მომხიბვლელობამ მიიზიდა იგი (დედობრივი ინსტინქტების ქალებს უყვართ, როცა ვინმე მათ დახმარებას საჭიროებს). ჟანენების ოჯახურმა უსიამოვნებებმა სესილს ოლივიესადმი ცოტა არ იყოს სახიფათო სიბრალული აღუძრა. რა თქმა უნდა, მარტოოდენ ეს არ იყო ამის მიზეზი, მაგრამ განა ვის ძალუძს ამოხსნას, რატომ შეიყვარებს ხოლმე ერთი მეორეს? ხშირად არც ერთი მხარეა დამნაშავე და არც მეორე. დგება ისეთი წუთი, როცა სიყვარული მოულოდნელად თავს დაატყდება ხოლმე უმწეო სულს. სესილმა, რაკი საბოლოოდ დარწმუნდა თავის გრძნობაში, გმირული შეუპოვრობით სცადა ამოეგლიჯა სიყვარულის ნესტარი, რადგან იგი დანაშაულებრივ და უაზრო გრძნობად მიაჩნდა. დიდხანს იტანჯავდა თავს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ვერც ვერვინ მიუხვდებოდა ამ გრძნობას, რადგან მთელი მონდომებით ცდილობდა ბედნიერი ადამიანის სახის მიღებას. მხოლოდ ქალბატონმა არნომ იცოდა, რადაც უღირდა მას ეს თავდაჭერა. სესილი მიდიოდა ქალბატონ არნოსთან, რათა თავისი დიდი თავი ქალბატონი არნოს გამხდარ მკერდზე მიეყრდნო, ჩუმად გადმოეღვარა ცრემლები, მოხვეოდა მეგობარს და მისგან სახემცინარი წასულიყო. სესილი თაყვანს სცემდა ამ სუსტ ქალს, მასში

მორალურ ძალასა და უპირატესობას გრძნობდა. ქალბატონი არნოსთვის ჯერ გული არ გადაეშალა, მაგრამ იგი შუა სიტყვიდანვე უხვდებოდა სათქმელს. ქალბატონი არნოსთვის ქვეყნიერება ნაღვლისმომგვრელ გაუგებრობას წარმოადგენდა, რომლის შეცვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. იგი მხოლოდ უნდა გუყარებოდა, შეგბრალებოდა და გეოცნება მასზე.

როცა ოცნებათა აზუზუნებული სკა ფიქრის საშუალებას არ აძლევდა, ქალბატონი არნო პიანინოს მიუჯდებოდა ხოლმე და მის კლავიშებს ალალბედზე შეახებდა თითებს. უკრავდა ხმადაბლა, ძლივსგასაგონად, ისე, რომ ცხოვრების მირაჟის დამამშვიდებელ შუქში გახვეულიყო...

ეს პატარა მხნე ქალი არც თავის ყოველდღიურ საქმიანობას ივიწყებდა: შინდაბრუნებულ ბატონ არნოს ლამპა მუდამ ანთებული და ვახშამი გაწყობილი ხვდებოდა. ცოლიც გაცრეცილი ღიმილით ეგებებოდა. მას ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რაოდენ შორეული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა მისი ცოლი. ყველაზე რთული ამ ორი ცხოვრების ერთობლიობის შენარჩუნება იყო. ერთი — ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება იყო, მეორე — მთავარი, სულიერი ცხოვრება თავისი თვალშეუწვდენელი ჰორიზონტებით. მათი შეთანხმება არც ისე ადვილი იყო. საბედნიეროდ, თვითონ ბატონი არნოც ნაწილობრივ წარმოდგენებით ცხოვრობდა — წიგნებითა და მხატვრული ნაწარმოებებით მოცული, რომელთა მარადიული ცეცხლი მისი სულის მბჟუტავ ალს ასაზრდოებდა. ბატონი არნო იმ ბოლო წლებში თავისი პროფესიის წვრილმანი საზრუნავით, უსამართლობებით, კანონის შემოსავლელი შეღავათების შესწავლით, თავის კოლეგებთან ან მოსწავლეებთან კინკლაობით უფრო და უფრო ძეტად იყო დაკავებული. ყოველივე ამან იგი გააბოროტა. ბატონმა არნომ პოლიტიკაზე საუბარს, მთავრობისა და ებრაელების ლანძღვას მიჰყო ხელი. თავის სამსახურებრივ უსიამოვნებებში მთელ ბრალს დრეიფუსს სდებდა. მისი ცუდი განწყობილება ნაწილობრივ ქალბატონ არნოსაც გადაეცემოდა ხოლმე. იგი თითქმის ორმოცს მიახლოებოდა. ამ ასაკში თანდათან კლებულობს სასიცოცხლო ძალები და ამაოდ ცდილობენ მის აღდგენას. მის შეგნებაში ვეებერთელა ბზარები გაჩნდა. მეუღლეები ზოგჯერ იმასაც ფიქრობდნენ, რომ მეტად აღარ ღირდა ამქვეყნად ცხოვრება. არც იმ ობობას ქსელის გაბმა იყო საჭირო, რომელსაც მათი გონება ქსოვდა. ფიქრები ცოტათი მაინც უნდა დაყრდნობოდნენ სინამდვილეს. ასეთი საყრდენი კი მათ არ გააჩნდათ და ვერც ერთმანეთში პოულობდნენ. დახმარების ნაცვლად ქმარი თვითონვე სთხოვდა ლუსილს შველას. ისიც აღიარებდა, რომ არ შესწევდა საიმისო ძალა, ქმარს მხარში ამოსდგომოდა, რადგან თავის თავსაც ვერას შველოდა. მხოლოდ სასწაულს შეეძლო მისი გადარჩენა და ისიც ელოდა ამ სასწაულს...

ხსნა ისევ სულის სიღრმიდან მოვიდა. ქალბატონ არნოს განმარტოებული სულის სიღრმეში წარმოიქმნებოდა ამაღლებული და განუსჯელი სურვილი, შეექმნა რაიმე ყველაფრის ჯიბრზე, რათა მონიჭებოდა შემოქმედებითი სიხა-

რული, ყველაფრის ჯიბრზე სივრცეში ექსოვა ობობის ქსელი, იმ იმედით, რომ ქარის მოქროლვა ან ღმერთის სუნთქვა იქითკენ გაიტაცებდა, საითაც ისედაც მართებდა წასვლა. ღვთიური სუნთქვა აკავშირებდა მას ცხოვრებასთან, თვალით უხილავ, შეუჰნეველ სიმაგრეს აძლევდა. მაშინ ცოლმაც და ქმარმაც ორივემ მოთმინებით დაიწყო იმ საუცხოო ეფემერული აბლაბუდის ქსელვა, საკუთრივ მათი სისხლით რომ იქსოვებოდა.

ქალბატონი არნო სრულიად მარტო იყო შინ... საღამოვდებობდა.

სადარბაზო კარზე ზარმა დაიწკრიალა. ქალბატონი არნო შეკრთა. ვიღაცამ ჩვეულებრივზე ადრე დაურღვია მყუდროება. ქალმა ფრთხილად გადადო ხელსაქმე და კარის გასაღებად გაეშურა. ოთახში კრისტოფი შემოვიდა. იგი აღელვებული ჩანდა. ქალბატონმა არნომ სიყვარულით დაუჭირა ხელი და ჰკითხა:

— რა მოხდა, მეგობარო?

— ოლივიე დაბრუნდა, — თქვა მან.

— დაბრუნდა?

— ამ დილით მოვიდა ჩემთან და მითხრა: „მიშველე, კრისტოფო!“ გულში ჩავიკარი. იგი ატირდა. „შენს მეტი არავინ მყავს. იგი წავიდაო“.

ქალბატონმა არნომ გაკვირვებისაგან ხელი ხელს შემოჰკრა:

— უბედურები!

— წავიდა, — ისევ გაიმეორა კრისტოფმა, — საყვარელს გაედევნა.

— ბავშვს რაღა უყო? — იკითხა ქალბატონმა არნომ.

— ორივე მიატოვა, ქმარიცა და ბავშვიც.

— უბედური ქალი! — გაიმეორა ქალბატონმა არნომ.

— ოლივიეს იგი უყვარდა, მხოლოდ ის უყვარდა. ოლივიე ამას ვერ გაუძლებს. სულ ერთსა და იმავეს იმეორებს: „კრისტოფ, მიმატოვა... ჩემმა საუკეთესო მეგობარმა მიმატოვაო“. ამაოდ ვუმეორებ — რაკი მიგატოვა, მეგობარიც არა ყოფილა. იგი მტერია შენი, ან გონებიდან ამოიგდე, ან მოკალი-თქო.

— რას ამბობ, კრისტოფ! რა საშინელ რამეს ამბობ!

— ჰო, მკვლელობა თქვენ ყველას პირველყოფილ ბარბაროსობად მიგაჩნიათ. ერთი განახათ, თქვენი სათნო პარიზელები როგორ აპროტესტებენ, როცა ქმარი ძოღალატე ცოლის მოსაკლავად ცხოველურ ინსტინქტებს ამეღავნებს. ისინი ასეთ შემთხვევაში გონებით ნაკარნახევ შემწყნარებლობას ქადაგებენ. კეთილი მოციქულები! კარგი სანახავია ცხოველური ყოფის წინააღმდეგ ამხედრებული ერთმანეთში არეული ძაღლების ხროვა, რომელთაც თვითონვე შეურაცხყვეს ცხოვრება, წაართვეს მას ფასი და ახლა რელიგიურ კულტად აცხადებენ... მართლაც, ღირს კია მოწიწებით ეპყრობოდე ამ უაზრო, უსულგულო, ღირსებააყრილ ხორცის პატარა ნაჭერს, რომელშიაც სისხლი ფეთქავს?

აი ის, რასაც მათი მოჩვენებითი ღირსება პატივისცემით ეკიდება! მათ შიშის კანკალი ასტყდომიათ საქონლის ამ ხორცის წინაშე. მისი შეხება დანაშაულად შიაჩნიათ.. გნებავთ, წარყვენით სული, ოღონდ სხეულს ნუ შეეხებით...

— ვინც კლავს სულს, იგი მკვლელთა შორის უბოროტესია, მაგრამ ერთი დაპაშაული როდი ამართლებს მეორეს. ეს თქვენც კარგად იცით.

— ვიცი, მეგობარო, თქვენ მართალი ხართ. თუმცა, რასაც ვფიქრობ, იმას არ ვამბობ... ვინ იცის, იქნებ მეც ასე მოვქცეულიყავი?

— ნუ, საკუთარ თავს ტყუილად ნუ სწამებთ ცილს. თქვენ კეთილი ადამიანი ხართ.

— თუ ვნება მომერევა, მაშინ მე სხვებზე უფრო ულმობელი ვხდები. ამისი მოწმე ახლახან თქვენვე იყავით. მაგრამ, როცა ხედავ, როგორ ტირის შენი საყვარელი მეგობარი, განა შეიძლება მისი ცრემლების მიზეზი არ შეაჩვენო? განა უსაზარლესი სიტყვაც ურბილესი სალბუნი არ იქნება ამ უსაზიზღრესი ქალისთვის? რა სახელი უნდა უწოდო ქალს, რომელმაც მიატოვა საკუთარი პირმშო, რათა საყვარელს გამოსდგომოდა?

— ნუ, კრისტოფ, აგრე ნუ იტყვით. თქვენ ხომ არაფერი არ იცით.

— როგორ!? თქვენ მას იცავთ?!

— მე ისიც მეცოდება.

— მე კი ისინი მეცოდებიან, რომლებიც თვითონ იტანჯებიან, და არა ისინი, რომლებიც ამ სატანჯველს სხვებს უმზადებენ.

— ეჰ! ნუთუ გგონიათ, რომ ის არ იტანჯებოდა? მისთვის ადვილი იყო ბავშვის მიტოვება, საკუთარი ცხოვრების დანგრევა? მან ხომ საკუთარი სიცოცხლეც გაანადგურა. კრისტოფ, მე მას ნაკლებად ვიცნობ. ორჯერ თუ მეყოლება ნანახი. მისგან ერთი მეგობრული სიტყვაც არ მაგონდება, ეტყობა, სიმპათიით ვერ განეწყო ჩემდამი, და მაინც მე მას უფრო უკეთ ვიცნობ, ვიდრე შენ. დარწმუნებული ვარ, არც ისე ცუდი ქალია. საბრალო! წარმომიდგენია, რაც გადაიტანა!

— ამას ამბობთ თქვენ, ვისი ცხოვრებაც კეთილგონიერებისა და პატიოსნების მაგალითია?

— ჰო, კრისტოფ. ამას მე ვამბობ. თუმცა თქვენ კეთილი ადამიანი ხართ, მაგრამ ეს არ გესმით, რადგან თქვენ მაინც მამაკაცი ხართ. მთელი ამ სიკეთის მიუხედავად, თქვენში არის წმინდა მამაკაცური ულმობელობა. თქვენ, მამაკაცებს, არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ ქალებზე, რომლებიც თქვენთან ახლოს არიან. თქვენებურად გიყვართ ისინი, მაგრამ სრულიადაც არ ცდილობთ მათ გაუგოთ. საოცრად თვითკმაყოფილნი და დარწმუნებული ხართ და გგონიათ, რომ კარგად შეგვისწავლეთ ჩვენ... ეჰ, რომ იცოდეთ, რა დიდი წამებაა ჩვენთვის შეგრძნება იმისი კი არა, რომ თქვენ სრულიადაც არ გიყვარვართ, არამედ იმისი, თუ როგორ გიყვარვართ და რას წარმოადგენს ქალი თვით ყველაზე მეტად მოსიყვარულე მამაკაცისთვის. ჩვენს ცხოვრებაში დგება

წუთები, როცა სიმწრისაგან ფრჩხილებით საკუთარ ხელისგულებს ვიკაწრავთ, რომ როგორმე თავი შევიკავოთ და არ ვიყვიროთ: „თქვენ სრულებითაც არ გიყვარვართ. ასეთ სიყვარულს ყველაფერი სჯობს.“ თუ გახსოვთ, ერთი პოეტი ამბობდა: „ოჯახით, ბავშვებით გარშემორტყმული ქალიც კი, რომელსაც არავითარი სიკეთე არ აკლია, ხშირად იძულებულია აიტანოს აბუჩად აგდება, რომელიც ნებისმიერ უბედურებაზე ათასგზის მწარეა“. ჩაუფიქრდით ამ სიტყვებს, კრისტოფ.

— თქვენ მე შემაძრწუნეთ. მთლად კარგად არ მესმის... ესე იგი თქვენ თავადაც?..

— დიახ, ჩემთვისაც ნაცნობია ეგ სატანჯველი.

— შეუძლებელია!.. სულ ერთია, მაინც ვერ დამაჯერებთ, რომ ოდესმე იმ ქალივით შეგეძლოთ მოქცევა.

— მე შვილი არ მყავს, კრისტოფ, და არ ვიცი, მის ადგილას როგორ მოვიქცეოდი.

— არა, არა, ეს შეუძლებელია! მე თქვენი მჯერა, უაღრესად გცემთ პატივს და დარწმუნებული ვარ, ამგვარად არ მოიქცეოდით.

— ჰოდა, ნუ ხართ დარწმუნებული! ძალიან მიმძიმს, იმედი უნდა გაგიცრუოთ, მაგრამ მეც კინაღამ არ ჩავიდინე ასეთი საქმე... და მაინც მინდა, ცოტათი მაინც მიეჩვიოთ ჩვენს გაგებას, რომ უფრო სამართლიანნი იყოთ. ამგვარი უგონო ნაბიჯის გადადგმისგან ბეწვზე გადავრჩი. ნაწილობრივ სწორედ თქვენ შემაჩერეთ. ორი წელი გავიდა მას შემდეგ. ერთხანს მძიმე დარდი მტანჯავდა; მეჩვენებოდა, რომ აღარავის ვჭირდებოდი, არც არავის ვუყვარდი, არც ვინმეს ვენაღვლებოდი. ასე მეგონა, ჩემი ქმარიც მშვენივრად გაძლებდა უჩემოდ, რომ ცხოვრებამ ფუჭად ჩამიარა... გაქცევას ბევრი არაფერი მაკლდა და, ღმერთმა უწყის, რას ჩავიდენდი, მაგრამ მე მაშინ თქვენთან მოვედი... ალბათ არც გეხსომებათ... ვერ მიხვდით ჩემი მოსვლის მიზეზს. მე კი მაშინ გამოსამშვიდობებლად მოვედი თქვენთან... არ მახსოვს, რა მოხდა, რაღაც მითხარით, ზუსტად არ მაგონდება... ოღონდ ეს კი ვიცი, თქვენმა სიტყვებმა რწმენა დამიბრუნეს (თქვენ არც დაეჭვებულხართ)... მოულოდნელად გონება გამინათდა. იმ წუთებში ჩემს გადასარჩენად ან დასაღუპავად ოდნავი ბიძგიც საკმარისი იყო. თქვენგან წამოსული შინ მოვედი, კარი ჩავკეტე და მთელ დღეს ვტიროდი!.. შემდეგ დარდი გადამეყარა. კრიზისმა გაიარა.

— ახლა არ ნანობთ? — ჰკითხა კრისტოფმა.

— ვნანობ? ამგვარი სისულელე რომ ჩამედინა, ალბათ ახლა სენის ფსკერზე ვიქნებოდი. ამგვარ შერცხვენას ვერ ავიტანდი და ვერც იმას გავუძლებდი, ჩემი ქმრისთვის ასეთი დიდი უსიამოვნება მიმეყენებინა.

— მაშ ახლა ბედნიერი ხართ?

— დიახ, რამდენადაც ამქვეყნად შესაძლებელია იყო ბედნიერი.

იშვიათად ხდება, რომ ორი ადამიანი სავსებით უგებდეს ერთმანეთს და

ამ ურთიერთნდობასა და პატივისცემას მარტოოდენ სიყვარული კი არ ასაზრდოებდეს, რომელიც ხშირად ტყუვდება, არამედ ერთად გატარებულ მოსაწყენ და ერთფეროვან წელთა სიმრავლე. და მაშინ გადალახული ცდუნებების მოგონებანი კი არ უშლიან, პირიქით, ხელს უწყობენ ურთიერთშეთანხმებულ ცხოვრებას, თუმცა სიბერეში ყველაფერი ისედაც თავისთავად მორიგდება ხოლმე.

ქალბატონი არნო გაჩუმდა. მერე ერთბაშად წამოენთო:

— ღვერთო ჩემო! ეს რა ჩავიდინე! როგორ შემეძლო ყველაფერი მეამბნა თქვენთვის!.. ეს რა ვქენი!.. გთხოვთ, კრისტოფ, დაივიწყოთ! ამის შესახებ არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს!

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თქვენი საიდუმლო ჩემთვის წმინდა სალოცავია, — უთხრა კრისტოფმა და ხელზე ხელი მოუჭირა.

თავისი გულახდილობით დარცხვენილმა ქალბატონმა არნომ წამით სახე მოარიდა, მერე ისევ გაიმეორა:

— არ უნდა მეთქვა... მაგრამ ძალიან მინდოდა დამემტკიცებინა თქვენთვის, რომ თვით ყველაზე შეგობრულ ოჯახებშიაც და იმ ქალებსაც, ვისაც თქვენ მოკრძალებით ეპყრობით, კრისტოფ, შეიძლება არათუ წუთიერად უბნელდებოდეთ გონება, როგორც თქვენ ამბობთ, არამედ ნამდვილ სატანჯველში იყვნენ, თანაც ისეთში, რომელიც არცთუ იშვიათად უბიძგებს მათ უგონო საქციელისაკენ და ღუპავს მარტო ერთი კი არა, ორი ადამიანის სიცოცხლეს. ნუ იქნებით მეტისმეტად მკაცრნი. ადამიანები მაშინაც კი აწამებენ ერთურთს, როცა გულწრფელად უყვართ ერთმანეთი.

— მაშ, თქვენი აზრით, განმარტოებით ცხოვრებაა საჭირო? ყველამ თავისთვის უნდა იცხოვროს?

— ეს უარესია ჩვენთვის. მარტოხელა ქალი მამაკაცივით ებრძვის ცხოვრებას (ხშირად მამაკაცის წინააღმდეგაც). ქალისთვის ეს ძნელი ასატანია, რადგან ჩვენი საზოგადოება ჯერ ამ აზრს არ არის შეგუებული და მისდამი მეტწილად მტრულადაა განწყობილი...

ქალბატონი არნო გაჩერდა. წინ გადაიხარა და კერაში ცეცხლს მიაშტერდა. მერე ჩუმი, ყრუ ხმით სვენებ-სვენებით დაიწყო ლაპარაკი:

— მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ჩვენი ბრალი. ქალი იძულებულია ასე იცხოვროს. ეს მისი ახირება როდია. მან დამოუკიდებლად, მამაკაცის დახმარების გარეშე უნდა იშოვოს ლუკმაპური, ხელმოკლენი მამაკაცებს არ სჭირდებიან. ქალი მარტო ცხოვრებისთვისაა განწირული. მას ამგვარი ცხოვრება სიხარულს არ ანიჭებს. საკმარისია, ქალმა თავისი დამოუკიდებლობა თუნდაც სრულიად უვნებლად მამაკაცის ოდენად გამოიყენოს, რომ მაშინვე ატყდება ხმაური. მას ყველაფერი აკრძალული აქვს. ერთი მეგობარი ქალი მყავს. სადღაც მიყრუებულ ლიცეუმში ასწავლის. მარტოობისაგან საბრალოს სული ეხუთება, დახშულ საკანში გა-

მომწყვდეულივით ცხოვრობს. ბურჟუაზია ყველა კარს უხშობს იმ ქალებს, რომლებიც ცდილობენ საკუთარი შრომით იცხოვრონ. მათ ყველა უნდობლობას უცხადებს. იმათ ნაბიჯებს გამკილავი, უკეთური სურვილებით ხვდებიან. ვაჟთა ლიცეუმების მასწავლებელ მამაკაცებს თავისივე კოლეგა ქალებისაგან თავი განცალკევებით უჭირავთ: გაჭორვის შიშით თუ ფარული მტრობით, ან სულაც იმიტომ რომ გაველურდნენ, ყავახანში ჯდომასა და უხამს ლაპარაკს მიეჩვივნენ. მთელი დღის მუშაობით იღლებიან. ინტელიგენტი ქალები კი მოზეზრებიათ. ეს საბრალო ქალები ერთმანეთსაც ვეღარ იტანენ, განსაკუთრებით, მაშინ, როცა იძულებულნი არიან კოლეჯში ერთად იცხოვრონ. მათი ზედამხედველი ქალი ჩვეულებრივ ვერ სწვდება ახალგაზრდა მასწავლებლების ნაზი სულის საიდუმლოებას. ისინიც პირველსავე წლებში უსიხარულო შრომისა და ულმობელი სიმარტოვისაგან სასოწარკვეთილებას ეძლევიან. დარდისაგან უსიტყვოდ ილევიან. ზედამხედველი ქალი კი არ ცდილობს რითიმე დაეხმაროს მათ, პირიქით, ამპარტავნებსაც უწოდებს. მათი არსებობა არავის აინტერესებს. გათხოვებით ვერ გათხოვდებიან, რადგან არც მზითევი აქვთ და არც ნაცნობები ჰყავთ. გონებრივი ცხოვრება იმათ არ აინტერესებთ და ვერც ვერავითარ შვებას ვერ პოულობენ მასში. სამუშაო ძლიერ ბევრ დროს ართმევს, თუ მათ რელიგია ან განსაკუთრებით ძლიერ განვითარებული მოვალეობის გრძნობა არ ექნათ საყრდენად, მე ვიტყოდი, არანორმალურად, ავადმყოფურად განვითარებული, რადგანაც საკუთრი თავის მსხვერპლად გაღება სრულებითაც არ არის ბუნებრივი, ეს ნიშნავს, ცოცხლად დაიმარხო... ამგვარად, გამოვრიცხოთ გონებრივი შრომა. რა სარგებლობა მოაქვს ქალისთვის ქველმოქმედებას? მხოლოდ და მხოლოდ იმედის გაცრუება. თუ ქალი იმდენად ალალმართალია, რომ მას არ შეუძლია ოფიციალური ან მაღალი წრის ქველმოქმედებით, კაცთმოყვარე ფრაზებით, გართობის ფილანტროპიის, გულგრილი ფორმალობის ბილწი ნარევით დაკმაყოფილდეს, თუ მას ზიზღს ჰგვრის ორ ფლირტს შორის უმწეო მდგომარეობაში მყოფთ ხელი გაუწოდოს!—მარტოოდენ გულის გატეხა და იმედის გაცრუება. მაგრამ როცა ქალი სიმხნევეს მოიკრებს და გადაწყვეტს თვალი გაუსწოროს სიღარიბეს, რომლის შესახებაც ყურმოკვრით გაუგია, რა სასოწარმკვეთი სანახაობა წარმოუდგება მაშინ! ნამდვილი ჯოჯოხეთი! ამ შემთხვევაში რით შეგიძლია დაეხმარო? იგი სასოწარკვეთილების ზღვაში იძირება და მაინც ცდილობს იბრძოლოს, განწირულთაგან ვინმე გადაარჩინოს. მათი ხსნისათვის ღონის გამოლევამდე იბრძვის და მათთან ერთად ეშვება ფსკერზე. მისთვის უდიდესი ბედნიერება იქნებოდა, ერთი ან ორი ადამიანის გადარჩენას თუ შეძლებდა. მაგრამ თვითონ მას კი ვინ გადაარჩენს? მისთვის ვინღა შეიწუხებს თავს? იგი ხომ თავისი თუ სხვისი სატკივარით საკმარისად გაიტანჯა? რაც უფრო მეტ რწმენას უნერგავს სხვებს, უფრო მეტად უტყდება გული თავად. უმწეონი მას ებღაუჭებიან, თვითონ კი რას მოეჭიდოს? არავინ გაუწვდის ხელს საშველად. ის კი არადა, ქვებსაც მიაყრიან... თქვენ ხომ

იცნობდით, კრისტოფ. იმ საუცხოო ქალს, მოწყალების ყოვლად დაუფასებელ და გმირულ საქმეს რომ შესწირა თავი? იგი თავშესაფარს აძლევდა მშობიარე მეძავ ქალებს. ამ უბედურებს თავიდან იშორებს ოფიციალური საქველმოქმედო დაწესებულება და თვითონ მათაც ეშინიათ ამ ოფიციალური ქველმოქმედებისა. იგი ცდილობდა ასეთი ქალები ეხსნა ფიზიკური და მორალური განადგურებისაგან, შეენარჩუნებინა მათთვის შვილები, დედობრივი გრძნობა გაეღვიძებინა, დაებრუნებინა ოჯახური სითბო და პატიოსანი შრომით ცხოვრების სიყვარული. ამ მძიმე ამოცანის გადასაწყვეტად არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებდა. მაგრამ სანაცვლოდ მხოლოდ წყენა და უსიამოვნება ხვდებოდა. განა ბევრის გადარჩენა ხერხდება, ან ბევრს კი აქვს გადარჩენის სურვილი? რამდენი ბავშვი იღუპება, რამდენი ყოვლად უდანაშაულო, დაბადებიდანვე განწირული... ამ უწყინარმა ქალმა საკუთარი მხრებით ზიდა სხვათა მწუხარება, გადაწყვიტა, ადამიანთა დანაშაულებრივი ეგოიზმი გამოესყიდა. თუ იცით, რას ამბობდნენ მასზე? მტრულად განწყობილმა საზოგადოებამ ამ წამოწყებისგან გამდიდრება, ვისაც მფარველობას უწევდა, მათგან ფულის აღება დასწამა... სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალი იძულებული გახდა იქაურობას სამუდამოდ გასცლოდა... თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, დამოუკიდებელ ქალებს რაოდენ დიდი ბრძოლის გადატანა უხდებათ თანამედროვე უგულო, გონებაშეზღუდული საზოგადოების წინააღმდეგ! ასეთი საზოგადოება სულს ღაფავს, მაგრამ თავის უკანასკნელ სასიცოცხლო ძალებს იმას ახმარს, რომ სხვებს სიცოცხლე არ დააცალოს.

— არ გეგონოთ, ჩემო კარგო, რომ ეს მხოლოდ ქალების ხვედრია. ამგვარი ბრძოლა ყველა ჩვენთაგანისთვის არის ნაცნობი. მე ვიცი, რა გვიხსნის მისგან.

— რა?

— ხელოვნება.

— მაგრამ ეს თქვენ გიხსნით მხოლოდ და არა ჩვენ, ქალებს. რადგან ჩვენთვის ხელოვნება ნაკლებად ხელმისაწვდომია, თუმცა ვერც ყველა მამაკაცი ეუფლება მას.

--- აი, თუნდაც ჩვენი საერთო მეგობარი სესილი... იგი სავსებით ბედნიერია.

— რა იცით, რომ ბედნიერია? რა ნაჩქარევად გამოგაქვთ დასკვნა! რაკი სულიერად არ ეცემა, თავისი დარდით თავს არავის აბეზრებს და არ წუწუნებს, ამიტომ თქვენ იგი ბედნიერი გგონიათ? დიახ, ბედნიერია, რადგანაც ჯანმრთელია და საბრძოლველად ძალა შესწევს. მაგრამ თქვენთვის უცნობია ყველაფერი, რის წინააღმდეგაც ბრძოლა უხდება მას. რატომ გგონიათ, რომ იგი ხელოვნებისთვის, ამ უკეღმართობით სავსე ცხოვრებისთვისაა შექმნილი? ხელოვნება!.. თუმცა ბევრია ისეთი ქალი, მწერლად, მსახიობად ან მოცეკვავედ გახდომის სურვილით რომ იწვის. მათთვის ეს ბედნიერების მწვერვალია! საბრალო ქალები!.. ისინი ხომ ყველაფერს არიან მოკლებულნი. მათ

არც იციან, რაში გამოამჟღავნონ თავიანთი გრძნობა!.. ხელოვნება!.. რა თავში ვიხლით, თუ მის გარდა სხვა აღარაფერი გაგვაჩნია? ქვეყნიერებაზე მარტოდმარტო ერთი რამაა ისეთი, რაც სხვა ყველაფერს გადაგავიწყებს! ეს არის ბავშვი — პატარა სათაყვანებელი არსება.

— როგორც ხედავთ, არც ეს ყოფილა საკმარისი.

— რა თქმა უნდა, ყოველთვის არა... საერთოდ, ქალები არასოდეს ჰრიან ნამდვილად ბედნიერები. ძნელია ქალობა. გაცილებით ძნელი, ვიდრე მამაკაცად ყოფნაა. თქვენ ეს ცუდად გესმით. თქვენ შეგიძლიათ მთელი გატაცებით მიეცეთ რაიმე საქმიანობას, ისე, რომ ამით საკუთარ თავსაც ავნოთ, სამაგიეროდ, განსაკუთრებულ სიამოვნებას განიჭებთ. ჩვეულებრივ ქალს კი ტანჯვის გარეშე არ შეუძლია ეს. არაადამიანურად ძნელია ჩაკლა შენი „მეს“ თუნდაც ნაწილი. ჩვენ, ქალებს, არ გვყოფნის ცალმხრივი ბედნიერება. ჩვენში რამდენიმე სული ცოცხლობს. თქვენ კი მხოლოდ ერთი ძლიერი სული გაქვთ, თავისი ძალით ზოგჯერ უხეშობამდე, არაადამიანურობამდეც რომ მიდის. მე თავს ვჯრი თქვენს წინაშე. მაგრამ ნუ იქნებით ასეთი ეგოისტები! თვითონაც არ იცით, რამდენად თავკერძანი ხართ და ვერც კი ამჩნევთ, როგორ გვაწვალებთ ჩვენ ამ ეგოიზმით.

— რა ვქნათ? ჩვენი ბრალი ხომ არ არის!

— არა, არ არის თქვენი ბრალი, მაგრამ არც ჩვენი ბრალია. ძვირფასო კრისტოფ. სწორედ ესაა მთავარი, ცხოვრება არც ისე უბრალო რამ არის. ამბობენ: ბუნებრივად იცხოვრეთო, მაგრამ ცხოვრებაში არის კია რაიმე ბუნებრივი?

— მართალია. ჩვენს ცხოვრებაში არაფერია ბუნებრივი. ქორწინების გარეშე ყოფნა არაბუნებრივად ითვლება. არც ქორწინებაა უფრო ბუნებრივი. თავისუფალი კავშირი სუსტებს ძლიერთა მტაცებლურ ნებას უმორჩილებს. აიღე თუნდაც ჩვენი საზოგადოება. არც ის არის ბუნებრივი. იგი ჩვენს მიერვე ხელოვნურადაა შექმნილი. ამბობენ, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო. მტკნარი სისულელეა! იგი იძულებული იყო ასეთი გამხდარიყო, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინა. გამორჩენის, სიამოვნების მიღებისათვის, თავდაცვისათვის, თავისი მოდგმის განდიდების მიზნით იგი საზოგადოებრივ ცხოველად იქცა. ამასთან იძულებული იყო ზოგიერთი ვალდებულება თავისთავზე აეღო მაგრამ ბუნება ვერ ეგუება ძალადობას და შურს იძიებს ხოლმე მასზე. იგი ადამიანის საამებლად როდია შექმნილი. ჩვენ ვცდილობთ მის დამორჩილებას, ვებრძვით და, ცხადია, ამ ბრძოლაში ხშირად ვმარცხდებით. მაშ როგორ მოვიქცეთ? — ძლიერი უნდა ვიყოთ.

— ვიყოთ კეთილნი.

— ო, ღმერთო! ვიყოთ კეთილნი, შორს მოვისროლოთ ეგოიზმის ჯავშანი, ვისუნთქოთ ხარბად, გვიყვარდეს სიცოცხლე, სინათლე, ჩვენი მოკრძალებული შრომა და მიწის ის პატარა ნაგლეჯი, რომელშიაც ღრმა ფესვებით ვართ

ჩაზრდილნი. თუ არ გვყოფნის სივრცე, მაშინ სიღრმეში, ან ზევით უნდა ავიჭრათ იმ ხესავით. რომელსაც სივიწროვის გამო გასაქანი არა აქვს და მაინც მზისკენ მიისწრაფვის.

— დიახ. და, რაც მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი. დაე მამაკაცმა იგრძნოს, რომ იგი ქალისთვის ძმაა, რომ ქალი არ არის მისი ნადავლი. ისევე, როგორც არც კაცია ქალის ნადავლი. დაე ორივემ დაიმორჩილოს საკუთარი სიამაყე. უფრო ნაკლებად იფიქროს თავის თავზე და მეტად სხვაზე. ადამიანები ბუნებით სუსტნი ვართ: მაშ საშველად გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი. ნუ კეტყვით დაცემულს: „მე შენ არა გცნობ“. არამედ ვუთხრათ: „გამხნევდი, მეგობარო, ყველაფერს ეშველება“.

ორივენი გაჩუმდნენ. ბუხრის წინ მსხდართ შუაში კნუტი ეჯდათ. სამივენი თვალგაშტერებული ცეცხლს მისჩერებოდნენ. ცეცხლის ალი ნაზად ელამუნებოდა ქალბატონ არნოს ნატიფ, უჩვეულო შინაგანი მღელვარებისაგან შეფაკლულ სახეს. საკუთარი გულახდილობა თვითონვე უკვირდა. ასეთი რამ არასოდეს დამართვია და მეტად არც არასოდეს განმეორდება.

მან ხელზე ხელი დაადო კრისტოფს და უთხრა:

— ბავშვს რას უპირებთ?

აი, რაზე ფიქრობდა თავიდანვე. ლაპარაკობდა და ამ ლაპარაკში თითქოს სულ სხვა ქალად გარდაქმნილიყო. მისი გონება ერთადერთ ფიქრს მოეცვა: ბურანში მყოფს ჰგავდა. კრისტოფის პირველსავე სიტყვებზე მან მთელი რომანი შეთხზა. ფიქრობდა ბავშვზე, დედამ ღვთის ანაბარა რომ მიატოვა. რა ბედნიერება იქნებოდა ბავშვის მოვლა — ამ სათუთი სულის გარემოცვა სიყვარულითა და ოცნებებით. იგი თავს ესაურებოდა:

— „არა, ეს ცოდვაა. სხვისი უბედურებით არ მმართებს სიხარული“. მაგრამ თავს ვერ მორეოდა. ლაპარაკით კი ლაპარაკობდა, მაგრამ გული დუმდა იმედით დამტკბარი.

— დიახ, ამაზედაც ვიფიქრეთ, რაღა თქმა უნდა; საბრალო ბავშვი! მის აღზრდას ვერც ოლივიე და ვერც მე ვერ შევძლებთ. მას ქალის მზრუნველი ხელი სჭირდება. იქნებ მეგობარ ქალთაგან რომელიმე დაგვხმარებოდა...

ქალბატონ არნოს სუნთქვა შეეკრა.

— მინდოდა, თქვენთვის მომემართნა, რომ სწორედ ამ დროს მოვიდა სესილი. როცა გაიგო, რაშიც იყო საქმე და ბავშვიც ნახა, ისე აღელდა, ისე ძალიან გაუხარდა, რომ მითხრა: „კრისტოფ...“

ქალბატონ არნოს ძარღვებში თითქოს სისხლი გაეყინა. აღარ ესმოდა, რა თქვა სესილმა. თვალწინ ყველაფერი დაუტრიალდა. უნდოდა ეყვირა:

— არა, არა, ბავშვი მე მომეცით!..

კრისტოფი ისევ ლაპარაკობდა. ქალბატონ არნოს არაფერი ესმოდა მისი ნალაპარაკევიდან. მაგრამ მერე თავს ძალა დაატანა, მოიგონა სესილის ღირსე-

ბეი და გაიფიქრა: „ბავშვი მას უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე მე. მე მყავს ჩემი ძვირფასი არნო... მაქვს ოჯახური მყუდროება... და ამასაც რომ თავი დავანებოთ, წლოვანებით სესილზე უფროსი ვარ.

მან გაიღიმა და თქვა:

— კარგად მოგიფიქრებიათ.

ბუხარში ცეცხლი მინელდა და ქალბატონი არნოს სახიდანაც გაქრა ვარდისფერი ათინათი. მის დაღლილ, სათნო სახეს კვლავ მშვიდი, უშფოთველი გამომეტყველება დაუბრუნდა.

„ჩემმა ვეგობარმა სხვაზე გამცვალა“.

ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ოლივიეს. შეგონებებით ამაოდ ირჯებოდა კრისტოფი, თუმცა ამას მეგობრის სიყვარულით აკეთებდა.

— რას იზამ, — ეუბნებოდა იგი.—ბოლოს და ბოლოს მეგობრის ღალატი ისეთივე უსიამოვნებათაგანია, როგორც, მაგალითად, ავადმყოფობა, სიღარიბე ან ჭკუასუსტ ხალხთან ბრძოლა. მის წინააღმდეგ მუდამ იარაღასხმული უნდა იყო მზად. საბრალოა, ვინც ვერ შეძლებს წინ აღუდგეს მას.

— შენ მართალი ხარ. სრულებით არ გამაჩნია სიამაყე... დიახ, სწორედ რომ შესაბრალისი ადამიანი ვარ. მე სიყვარული მჭირდება, უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია..

— შენ ჯერ ცხოვრება არ დაგიმთავრებია. კიდევ შეგიყვარდება ვინმე.

— ამიერიდან აღარავისი აღარ მჯერა. მე მეგობრები არა მყვანან.

— ოლივიე!

— ეპატიე. შენს გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ზოგჯერ ყველაფრისადმი ეჭვი მიჩყრობს... საკუთარი თავისადმიც კი. კრისტოფ, შენ ძლიერი ადამიანი ხარ. არავის დახმარება არ გჭირდება და უჩემოდაც შეგიძლია იცხოვრო...

— იმას უფრო ნაკლებად სჭირდები.

— რა ულმობელი ხარ, კრისტოფ.

— საწყალო, განზრახ გაწვალებ, იქნებ ბოლოს და ბოლოს მაინც აღშფოთდე. რა ღვთის წყრომაა! ყველას, ვისაც შენ უყვარხარ და თვით შენ თავსაც, მსხვერპლად სწირავ მას, ვისაც სასაცილოდ აუღიხარ.

— ვისაც ვუყვარვარ, იმათთან რა მესაქმება? მე ხომ ის მიყვარს.

— იმუშავე, დაუბრუნდი იმ საქმეს, რომელიც აქამდე გაინტერესებდა.

— ახლა კი აღარ მაინტერესებს. დავიღალე. ასე მგონია, ამ ცხოვრებას აღარ ვეკუთვნი. ყველაფერი შორეული მეჩვენება... ვუყურებ და ვერაფერი გამიგია. მაკვირვებენ ის ადამიანები, რომლებიც მომართულ მანქანასავით მუშაობენ და არასდროს არ იღლებიან. ყოველდღიურად საათის მექანიზმივით მომართულნი ერთსა და იმავე საქმეს ასრულებენ. საგაზეთო პოლემიკას ეწევიან, საწყალობლად ეწაფებიან სიამოვნებას, თავდავიწყებით ებრძვიან ან ემ-

ხრობიან მინისტრის კაბინეტს. რომელიღაც წიგნს ან მსახიობს... ო, რომ იცოდე, რა ბებერი მგონია თავი! არც არავინ მძულს, არც ვინმესგან მწყინს რაიმე. ყველაფერი მომწყინდა. სიცარიელესა ვგრძნობ... ისევ დავუბრუნდე წერას? რისთვის, ვინ გამიგებს? მე ხომ მარტოოდენ მისთვის ვწერდი. თუ ვარსებობდი, მარტოდენ მისთვის... ახლა ჩემთვის ყველაფერი დაცარიელდა. დავიღალე, კრისტოფ, გესმის, დავიღალე ძილი მინდა...

— ჰოდა, შენც დაიძინე. მე კი შენს ძილს ფხიზლად ვუდარაჯებ.

მაგრამ ოლივიეს ყველაზე მეტად დაძინება უჭირდა. ეჰ, ნეტავ თვეობით შეეძლოს ძილი ტანჯულს. იძინოს მანამ, ვიდრე მწუხარების კვალი მის განახლებულ სულში წაიშლებოდეს. ვიდრე იგი სულ სხვა ადამიანად იქცევა! მაგრამ ვის ძალუძს ამგვარი ძილი მოჰგვაროს ადამიანს? ოლივიე არც თვითონ იყო ამის მოსურნე, რადგან ყველაზე მწარე მისთვის სწორედ ამ სატანჯველის წართმევა იქნებოდა. ოლივიე იმ ავადმყოფს ჰგავდა, ვისაც ციებ-ცხელება ლოგინში არ აწვენს. მართლაც ციებ-ცხელებას ჰგავდა, ერთსა და იმავე საათებში შეახსენებდა ხოლმე თავს, განსაკუთრებით საღამოხანზე, ბინდი რომ ჩამოწვებოდა. დადიოდა განადგურებული, სიყვარულისგან მოწამლული, მოგონებებისგან გვემული და იმ ჭკუასუსტივით ისევ ერთსა და იმავე ფიქრს უბრუნდებოდა, რომელსაც ლუკმა პირში აქვს, ღეჭავს, ღეჭავს და გადაყლაპვა კი ვერ მოუფიქრებია. ოლივიეს გონება მხოლოდ ერთ აზრს მოეცვა.

მის ადგილას კრისტოფი ალბათ გაბეზრდებოდა და ყოველგვარი ფიქრის გარეშე მთელ ბრალს ამ უბედურების გამომწვევ მიზეზს დასდებდა. ეფრო სამართლიანი და ნათელი გონების ოლივიე ხედავდა, რომ ამ უბედურებაში მასაც ედო წილი. მარტო თვითონ არ იყო უბედური, ჟაკლინიც თავისებურად მისი მსხვერპლი იყო. მან ხომ თავისი ბედ-იღბალი ოლივიეს მიანდო. ოლივიემ კი როგორ წარმართა იგი? ბედნიერებას თუ ვერ მოუტანდა, მაშ რისთვის დაუკავშირა მისი ცხოვრება თავისას? ჟაკლინს უფლება ჰქონდა დაემსხვრია ის ბორკილები, მას რომ აწამებდა.

— მისი ბრალი არ არის, — ფიქრობდა ოლივიე. — დამნაშავე მე ვარ მხოლოდ. საკმაოდ არ მიყვარდა, თუმცა ძლიერი იყო ჩემი სიყვარული. ჩანს, ისე არ მიყვარდა, როგორც საჭიროა, რადგან ვერ შევძელ მისთვის საპასუხო სიყვარული შთამეგონებინა.

ოლივიე თავის თავს სდებდა ბრალს და, შესაძლოა, არცთუ ტყუილად. მაგრამ აქვს კია რაიმე აზრი წარსულის განსჯას? იგივე შეცდომების გამეორებას? იგი ცხოვრებას აუგემურებს. ძლიერი ბუნების ადამიანი, როგორც კი დარწმუნდება, რომ ამით საქმეს არ ეშველება, ივიწყებს მისდამი ჩადენილ ბოროტებას და, სამწუხაროდ იმ ბოროტებასაც, რომელიც თავად ჩაიდინა სხვების მიმართ. მაგრამ ძალას გრძნობა ჰბადებს და არა გონება. სიყვარული და ენება მხოლოდ ნაწილობრივ ეთვისება ერთმანეთს. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ

ხელიხელჩაკიდებულნიც მიდიან ხოლმე. ოლივიეს უყვარდა. მაგრამ მას მხოლოდ საიმისო ძალა გააჩნდა, რომ ეს გრძნობა საკუთარი თავის წინააღმდეგ ვიემართა. ისეთ აპათიაში ჩავარდა, ყველანაირი ავადყოფობა ერეოდა. გრიპი, ბრონქიტი, ფილტვების ანთება — ყველაფერი ერთბაშად მიესია. თითქმის მთელ ზაფხულს იავადმყოფა. კრისტოფი და ქალბატონი არნო თავდადებით ზრუნავდნენ მისი გამოჯანმრთელებისთვის და ბოლოს სძლიეს კიდეც ავადმყოფობას. მაგრამ სულიერი ტრამვის წინაშე მეგობრები უძლურნი აღმოჩნდნენ. ოლივიეს გაუთავებელმა დარდმა თანდათანობით მოქანცა ორივე და მისი მიტოვების სურვილი აღუძრა.

უბედურების დროს ადამიანი საოცრად მარტო რჩება. მის მიმართ უნებური შიში იპყრობთ. ასე ჰგონიათ. უბედურება გადამდებია. ყოველ შემთხვევაში, იგი ბეზრდებათ და ცდილობენ რაც შეიძლება შორს იყვნენ მისგან. ერთობ მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც სხვათა გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანს, თანაგრძნობით მოეკიდება. ისევ მეორდება იობის მეგობართა ის ძველი ამბავი. ელიფაზ თემანელი ბრალს სდებს იობს ტანჯვათა ვერთმენაში. ბალდად სუალიელი ქადაგებს, რომ იობის მთელი დანაშაული მის მოუტევებელ ცოდვათაგან მომდინარეობს. სოფარ ნამაათელი მას თავისი თავის განდიდებაში სდებს ბრალს: „ხოლო განრისხნა ელიუს ვარქილისა ვუზიტელი, ნათესავისაგან რამისა ავსიდიტელთა კერძოსი, ხოლო განურისხდა იობსა ზედა ფრიად, ვინათგან იტყოდა თავსა თჳსსა მართალწინაშეღუთისა...“ ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ნამდვილად შეუძლიათ მწუხარება, როგორც იტყვიან, ბევრია წვეული, ცოტაა რჩეული. ოლივიე ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა. ერთი მიზანთროპისა არ იყოს: „მას როგორც ჩანს, მოსწონდა ჩაგრულის ხვედრი. მაგრამ წამებულის იერის მიღებით ვერაფერს მოიგებ, სხვათა თვალში უფრო აუტანელი ხდები“.

ოლივიეს თვით ყველაზე უახლოეს ადამიანთანაც არ შეეძლო იმისი თქმა, რასაც განიცდიდა. გრძნობდა, რომ საკუთარი მწუხარებით ყველას თავს აბეზრებდა. თვით ძვირფას კრისტოფსაც აღიზიანებდა მისი ამგვარი დაჟინებული მწუხარება. კარგად იცოდა კრისტოფმა, რომ იგი ნუგეშისმცემლად არ გამოდგებოდა. სიმართლე რომ ითქვას, თვით ამ კეთილშობილ, მასზე არანაკლებ მწუხარებაგამოვლილ ადამიანსაც არ შეეძლო მისი მწუხარება ბოლომდე ეგრძნო. რას იზამ! ასეთია ადამიანის ბუნება! რაგინდ კეთილი, შემბრალე და დაკვირვებული ადამიანი უნდა იყოთ, რა ტანჯვაც უნდა გქონდეთ გადატანილი, თუ თქვენ მეგობარს კბილი სტკივა, თქვენ ამით საკუთარი კბილი არ გეტკინებათ. თუ ავადმყოფობა დიდხანს გაგრძელდა, იმ დასკვნას გამოიტანთ, რომ ავადმყოფი ზედმეტად აზვიადებს სატკივარს. და რომ იგი ნაკლებად ამტანია და მოუთმენელი. მით უფრო ძნელია ამის გაგება, როცა სატკივარი გარედან არ ჩანს, არამედ სულის სიღრმეშია ჩამალული. ის, ვისაც ეს უშუალოდ არ ეხება, აღშფოთებას გამოხატავს. რატომ უნდა გაიშროს სისხლი იმისთვის,

რაც პირადად მას არ ეხება. ბოლოს, სინდისის დასამშვიდებლად თავს ეუბნება:

— რა ვქნა, მასზე არავითარი შეგონება არა სჭრის.

მართალიცაა. მარტო შეგონებით ვერას გახდები, თუ მთელი არსებით არ გიყვარს თვითონ ის, ვინც იტანჯება. თუ არ ცდილობ რაიმეში დაარწმუნო ან განკურნო როგორმე. მხოლოდ უნდა გიყვარდეს და გებრალებოდეს იგი. სიყვარული ერთადერთი მალამოა სიყვარულისგანვე მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. მაგრამ სიყვარული თვით უზომოდ შეყვარებულთათვისაც არ არის უშრეტი. მისი მარაგი უსასრულო როდია. მას შემდეგ, რაც მეგობრები მთელ თავიანთ თანაგრძნობას სიტყვიერად თუ წერილობით ამოსწურავენ, თავისი მოვალეობა საკუთარ თვალში შესრულებულად მიაჩნიათ, თავაზიანად განზე გადგებიან და ტანჯული ადამიანის, როგორც დამნაშავის გარშემო, სიცარიელე წარმოიქმნება. მაგრამ მეგობრებს ამ უმნიშვნელო დახმარების გამო ჯერ ისევ რცხვენიათ. ამიტომ ცოტ-ცოტაობით ისევ ეხმარებიან, ოღონდ ისე, რომ ტანჯულ მეგობარს აღარ ახსოვდეს მათი არსებობა. თვითონაც ცდილობენ მის დავიწყებას. თუ ამ უბედურებას არსაიდან შემოევლება და მისი ეჭო კედელში დაჟინებით ვრცელდება, მის სისუსტეს მეგობრები მკაცრად განსჯიან, აქაოდა, სუსტიაო, განსაცდელს ვერ უძლებსო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ ძალა გამოელია და საბოლოოდ გატყდა, მეგობართა გულწრფელ სინანულში დამამცირებელი სიტყვებიც გამოერევა:

— საცოდავი! მასზე უკეთესი წარმოდგენისა ვიყავი!

ამ ყოვლისმომცველ ეგოიზმში ერთმა უბრალო ალერსიანმა სიტყვამ, ნაზი თანაგრძნობითა და სიბრალულით სავსე შემოხედვამ იმ ადამიანისა, ვისაც თქვენ უყვარხართ, შეუძლია ენით უთქმელი სიამოვნება მოგანიჭოთ! სიკეთის ფასს მხოლოდ მაშინ გაიგებ. მასთან შედარებით ყოველივე არარაობაა! სწორედ ამ სიკეთემ იყო, რომ ოლივიე ქალბატონ არნოსთან უფრო მეტად დააახლოვა, ვიდრე კრისტოფთან. და მაინც კრისტოფი შესაშურ მოთმინებას იჩენდა. ოლივიესადმი სიყვარული ნებას არ აძლევდა ეგრძნობინებინა, რასაც მის შესახებ ფიქრობდა. მაგრამ ბუნებით მგრძნობიარე ოლივიე, რომელიც დარდს უფრო მგრძნობიარე გაეხადა, ხვდებოდა, როგორ ებრძოდა კრისტოფი საკუთარ თავს, როგორ უმძიმდა დარდისგან დათრგუნული მეგობრის გვერდით ყოფნა. ეს საკმარისი იყო, რათა ოლივიე თვითონვე მორიდებოდა კრისტოფს და ზოგჯერ თავს ძალას ატანდა, რომ არ ეყვირა:

— წადი აქედან!

ასე აშორებს უბედურება ხშირად ორ მოსიყვარულე გულს. თესლის დამხარისხებელი ცალ მხარეს ჯანსაღ თესლს ყრის და მეორე მხარეს — უვარგისს. ცხოვრებასაც თავისი ულმობელი კანონები გააჩნია, რომლებიც სიყვარულზე უფრო ძლიერია!

დედა მომაკვდაე შვილს დასცქერის, ან მეგობარი ხედავს, როგორ იხრჩობა მისი მეგობარი, მაგრამ რაკი დარწმუნდება, რომ შველა შეუძლებელია, თავის თავზე ფიქრი არ ავიწყდება და მასთან ერთად არ იღუპება. თუმცა ორთავეს შვილიცა და მეგობარიც საკუთარ თავზე მეტად უყვართ... დიდი სიყვარულის მიუხედავად, კრისტოფი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა გაქცეოდა ოლივიეს. მეტად ძლიერი და ჯანმრთელი ადამიანი იყო და დიდი ხნით შეგუებული ნაღველი სულს უხუთავდა. მერე რცხვენოდა და ბრაზი ჰკლავდა, რომ მეგობრისთვის არაფრის გაკეთება არ შეეძლო. უნდოდა ეს ბრაზი ვინმეზე გადმოენთხია და გულის ჯავრს ჟაკლინზე იყრიდა. კრისტოფი, ქალბატონი არნოს დამრიგებლური შეგონებების მიუხედავად, ჟაკლინის საქციელს წინანდებურად მკაცრად სჯიდა, როგორც ეს ახალგაზრდა, გულფიცხ ადამიანებს სჩვევიათ, ჯერ საკმაოდ რომ არ გასცნობიან ცხოვრებას. ამიტომაც არიან ცხოვრებისეული სისუსტეებისადმი ასე შეუწყნარებელნი. კრისტოფი სესილისა და მოსავლელად მისთვის მინდობილი ბავშვის სანახავად მიდიოდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც დედობილი გახდა, სესილი სულ გამოიცვალა. ერთბაშად გაახალგაზრდავდა და გამხიარულდა. უფრო მეტად ფაქიზი და ნაზი გახდა. ჟაკლინის წასვლით მას იმ ბედნიერების იმედი როდი მისცემია, იდუმალად გულში რომ ედო. იცოდა, ჟაკლინზე ფიქრი უფრო აშორებდა მისგან ოლივიეს, ვიდრე მისი იქ ყოფნა. თუმცა ქარიშხალი, სესილი რომ ააფორიაქა, ჩადგა. კრიტიკულმა მომენტმა გადაიარა. ამას ჟაკლინის სავალალო მდგომარეობამაც შეუწყო ხელი. სესილს ჩვეული სიმშვიდე დაუბრუნდა. ახლა უკვირდა კიდეც, რამ გამოიყვანა მაშინ წონასწორობიდან. მთელი სიყვარული მან ამ ბავშვზე გადაიტანა. საოცარი ქალური წარმოსახვის უნარის წყალობით იგი ამ პატარა არსებაში საყვარელ ადამიანს ხედავდა. თითქოს სწორედ ის იყო უსუსური და მთლად მასზე მონდობილი, მისი კუთვნილება, ვინც შეეძლო ჰყვარებოდა თავდავიწყებით, ამ უმანკო ბავშვის სულივით წმინდა, მისი თვალებივით გაცისკროვნებული, სუფთა სიყვარულით... ამ გრძნობას სევდიანი სიბრალულიც ახლდა. ოჰ, ნეტავ ეს ბავშვი მისი სისხლი და ხორცი ყოფილიყო!.. მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო.

ახლა კრისტოფი სულ სხვა თვალით უყურებდა სესილს. მას ფრანსუაზ უდონის ირონიული სიტყვები აგონდებოდა:

„შენ და ფილომელა თითქოს ცოლ-ქმრად ხართ დაბადებული და როგორ მოხდა, რომ ერთმანეთი ჯერაც არ შეგყვარებიათო?“ ამ კითხვაზე კრისტოფზე მეტად ისევ ფრანსუაზს შეეძლო პასუხის გაცემა. კრისტოფის მსგავს ხალხს ძნელად თუ შეუყვარდებათ ისეთი ადამიანი, ვისთანაც მათ კარგად ეცხოვრებათ. ასეთ ხალხს უმეტესად მხოლოდ ისინი უყვართ, ვისთანაც არ გაეძლებათ. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარე ერთმანეთს იზიდავს. მისი ბუნება თვითონვე ისწრაფვის მოწინააღმდეგისაკენ. მჩქეფარე, სიცოცხლით სავსე ცხოვრებას, თავის თავს შეუბრალებლად რომ სწვავს, გამოზომილ, კეთილგო-

ნიკრულ არსებობას ამჯობინებს. კრისტოფის მსგავს ადამიანებს ასე დაუკანონებიათ: იცხოვრონ რაც შეიძლება ცხოველმყოფლად და არა რაც შეიძლება დიდხანს. კრისტოფს არ გააჩნდა ფრანსუაზისოდენი განშვრეტის უნარი. სიყვარული ბნელი, ულმობელი ძალაა, ამბობდა კრისტოფი. იგი ისეთ ადამიანებს აერთებს, ვისაც ერთმანეთი სძულთ და ერთმანეთისთვის შექმნილთ კი აშორიშორებსო. იმასთან შედარებით, რასაც სიყვარული ანადგურებს, მისი შთამაგონებელი ძალა არც ისე დიდია. ბედნიერი სიყვარული ნებისყოფას ადუნებს, უიღბლო გულს გმირავს. მაშ სადღაა მისი სიკეთე?

კრისტოფი სიყვარულს ასე აუგად რომ იხსენიებდა, მისი დამცინავი, ალერსიანი ღიმილი შენიშნა: თითქოს ეუბნებოდა, რა უმადური ყოფილხარო!

კრისტოფს ერთხელ კიდევ მოუხდა ავსტრიის საელჩოში გამართულ საღამოზე მისვლა. ფილომელა შუბერტის, ჰუგო ვოლფისა და კრისტოფის სიმღერებს ასრულებდა. მას საკუთარი წარმატებაც ახარებდა და კრისტოფისაც, რომელსაც მაღალ საზოგადოებაში უკვე კარგად ხვდებოდნენ. მისი სახელი ფართო საზოგადოებისათვისაც დღითიდღე უფრო ცნობილი ხდებოდა. ისეთებს, როგორებიც ლევი-კერები იყვნენ, აღარ შეეძლოთ მისი არცნობა. კრისტოფის ნაწარმოებები სრულდებოდა კონცერტებზე. მისი ერთი პიესა „ოპერა კომიკმაც“ შეისყიდა. თანდათან იბმებოდა მისდამი სიმპათიის უხილავი ძაფები. იდუმალებით მოცული მეგობარი, რომელიც არაერთხელ მიეშველა, ახლაც კვლავინდებური გულმოდგინებით ეხმარებოდა. ბევრჯერ უგრძვნია კრისტოფს მისი ერთგული ხელი. ცხადი იყო, ვიღაც მფარველობდა, თვითონ კი იმალებოდა. კრისტოფი ცდილობდა გაეგო, ვინ იყო იგი, მაგრამ, როგორც ჩანს, მეგობარი განაწყენებული იყო, რომ კრისტოფს ძალიან გვიან გაახსენდა მისი მოძებნა და წინანდებურად ისევ შეუმჩნეველი რჩებოდა. კრისტოფს ისედაც ბევრი საზრუნავი აწუხებდა: ფიქრობდა ოლივიეზე, ფრანსუაზზე. სწორედ იმ დილით გაზეთში წაიკითხა: ფრანსუაზი სან-ფრანცისკოში მძიმედ გამხდარიყო ავად. თვალწინ წარმოუდგა, როგორ იწვა იგი უცხო ქალაქში მარტოდმარტო სასტუმროს ნომერში და არც არავის ნახვა სურდა, არც მეგობრებთან წერილის მიწერა. კბილს კბილზე აჭერდა და მარტოდ დარჩენილი სიკვდილსღა ელოდა.

ამ ფიქრებით დამძიმებულს უნდოდა ხალხს გასცლოდა და მოშორებით ერთ პატარა სასტუმრო ოთახში განმარტოვდა. იქ, ნახევრად ბნელ კუთხეში, მარადმწვანე მცენარეებისა და ყვავილების ფარდის მიღმა კედელს მიყრდნობილი ფილომენას სასიამოვნო, სევდანარევ სიმღერას უსმენდა. იგი შუბერტის „ცაცხვს“ ასრულებდა. ჰაეროვანი მუსიკა სევდიან მოგონებებს უღვიძებდა. მის პირდაპირ, კედლის სარკეში სინათლეებით გაჩირაღდნებული მეზობელი სალონის ცხოვრება ირეკლებოდა. მაგრამ კრისტოფი ვერაფერს ამჩნევდა. ღრმა ფიქრებში წასულს თვალებში ცრემლი ნისლივით ჩასდგომოდა... შუბერტის მთრთოლვარე ბებერი ცაცხვივით უმიზეზო კანკალმა აიტანა. რამდენიმე

წამს უძრავად იდგა გაფითრებული. მერე თვალებზე ჩამოფარებული ლიბრი თანდათან გადაეწმინდა და მის პირდაპირ სარკეში მეგობარი ქალის სახე დაინახა. ისიც კრისტოფს უყურებდა... მეგობარი? ჰო, მაგრამ ვინ იყო ის მეგობარი? კრისტოფი მას არ იცნობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სადღაც ენახა იგი. გაშტერებულს თვალი თვალში გაეყარა ქალისთვის და კედელს მიყრდნობილი ისევ კანკალებდა. ქალი იღიმებოდა. კრისტოფი ვერც მისი სახის ნაკვთებს ხედავდა, ვერც ტანის მოყვანილობას, ვერც თვალების ფერი გაერჩია. არ იცოდა, მაღალი იყო, თუ დაბალი, ან როგორ ეცვა. ერთადერთი, რასაც ამჩნევდა, ეს იყო ამ ქალის ღვთაებრივად კეთილი, თანაგრძნობით სავსე ღიმილი. ამ ღიმილმა მეხსიერებაში უცაბედად შორეული ბავშვობის მოგონება აღუდგინა... — აი, იგი ექვსი თუ შვიდი წლის ბიჭია, სკოლის მოსწავლე. თავს საშინლად უბედურად გრძნობს — ეს-ესაა მასზე უფროსმა ბიჭებმა შეურაცხყოფა მიაყენეს — სცემეს. ყველა დასცინის. მასწავლებელმაც უსამართლოდ დასაჯა. დანარჩენი ბავშვები თამაშობენ. ის კი კუთხეში მიკუნჭულა და ჩუმად ქვითინებს. ერთი ნაღვლიანი სახის გოგონა, ერთთავად დაფიქრებული რომ დადიოდა, სათამაშოდ არ გაჰყვა სხვებს (ახლა ის გოგონა ცოცხალივით თვალწინ დაუდგა, თუმცა მას შემდეგ ერთხელაც არ მოჰგონებია): თავგიდელა, მოკუნტული, ქერა, თითქმის თეთრი თმა და წამწამები, ღია ცისფერი თვალები, გამობერილი ფერმკრთალი ლოყები, სქელი ტუჩები, ოდნავ შეშუპებული სახე და პატარა წითელი ხელები ჰქონდა. მის წინ იდგა. ცერა თითი პირში ჩაედო და შეჰყურებდა, როგორ ტიროდა კრისტოფი. მერე თავზე ხელი დაადო და მორცხვად, სწორედ ისეთივე თანაგრძნობით სავსე ღიმილით უთხრა:

— ნუ ტირი!..

კრისტოფს გული აუჩუყდა, ცხვირი გოგონას წინსაფარში ჩარგო და გულამოსკვნილი აქვითინდა. გოგონა ალერსიანი, მთრთოლვარე ხმით ისევ უმეორებდა:

— კარგი, ნუ ტირი...

რამდენიმე კვირის შემდეგ გოგონა გარდაიცვალა. იმ დროს, როცა ეს ამბავი მოხდა, სიკვდილს ალბათ შემართული ჰქონდა მასზე ხელი. ახლა რამ მოაგონა ის გოგონა? რა საერთო ჰქონდათ დიდი ხნის წინათ გერმანიის რომელიღაც შორეულ ქალაქში მცხოვრებ მდაბიო პატარა გოგონასა და ამ ახალგაზრდა არისტოკრატ ქალბატონს, ახლა სარკიდან რომ მისჩერებოდა? დაე, მილიონობით ადამიანები ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც პლანეტები გალაქტიკაში, სული მაინც ერთი აქვს ყველას. ისევ ის სიყვარულის ალია, ერთბაშად რომ იცის აბრიალება საუკუნეებით დაშორებულ გულებში და კრისტოფმა ახლა სწორედ ის ციალი შენიშნა, მაშინ რომ იმ პატარა ნუგეშისმცემლის ბაგეთაგან გამოკრთა...

მაგრამ ეს მხოლოდ წამით გაგრძელდა. ხალხის ტალღა კართან შეჯგუფ-

და და კრისტოფს ჩამოეფარა. იფიქრა, მღელვარება არ შემამჩნიონო, ჩაბნელებულ კუთხეს მიაშურა, რომ სარკეში არ გამოჩენილიყო. მაგრამ, როგორც კი ოდნავ დამშვიდდა, ისევ მოუნდა მისი დანახვა, შეშინდა კიდეც, არ წავიდესო. კრისტოფი დარბაზში შევიდა და სტუმრებს შორის ისევ იმ ქალს მოჰკრა თვალი. ოღონდ ახლა უფრო სხვანაირი ჩანდა, ვიდრე სარკეში. იგი კოხტა ქალბატონებს შორის იჯდა. კრისტოფი პროფილით ხედავდა მას. სავარძლის სახელურზე დაყრდნობილი, ოდნავ წინდახრილი, გონიერი, ოდნავ დაბნეული ღიმილით უსმენდა საუბარს. გამომეტყველება და სახის ნაკვთები ჭაბუკ წმინდა იოანეს მიუგავდა, რაფაელმა რომ გამოსახა თავის „დავაში", სადაც ნახევრად თვალმოხუჭული იოანე თითქოს საკუთარ ფიქრებს უღიმის...

მერე ქალმა თავი ასწია და კრისტოფს ისე შეხედა, სახეზე ოდნავი გაკვირვება არ გამოხატვია. კრისტოფი მიხვდა, რომ ეს ღიმილი მას ეკუთვნოდა. აღელვებული მიესალმა და ახლოს მივიდა.

— ვერ მიცანით? — ჰკითხა ქალმა.

სწორედ მაშინ იცნო კრისტოფმა:

— გრაცია... — წაიჩურჩულა მან.

ამ დროს მათ გვერდით ელჩის მეუღლემ ჩაუარა და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს ეგზომ სასურველი შეხვედრა მოხერხდა და კრისტოფი „გრაფინია ბერენის" წარუდგინა.

მაგრამ კრისტოფი ისე იყო აღელვებული, ამ უცხო გვარისთვის ყურადღება არც მიუქცევია. მისთვის ეს ქალი ისევ წინანდელი პატარა გრაცია იყო.

გრაცია ოცდაორი წლის იყო. ერთი წლის წინათ უნგრეთის საელჩოს ატაშეს გაჰყოლოდა ცოლად, ახალგაზრდა, წარჩინებული გვარის არისტოკრატს, იმპერატორის პრემიერ-მინისტრის ნათესავს, მოქეიფე, ელეგანტურ, საკმაოდ გაცვეთილ სნობს. გრაციას გულწრფელად შეუყვარდა ქმარი და ჯერაც არ განელებოდა სიყვარული, თუმცა ამ კაცის ფასი კარგად იცოდა! მოხუცი მამა გარდაცვლილიყო. მისი მეუღლე პარიზის საელჩოში დანიშნეს. გრაფი ბერენიების ნაცნობების, საკუთარი მომხიბვლელობისა და გონების წყალობით მფრთხალი, მორცხვი გოგონა პარიზის საზოგადოების ერთ-ერთ თვალსაჩინო ქალბატონად იქცა, ისე, რომ ამისთვის თავი ოდნავადაც არ შეუწუხებია. არც რაიმე უხერხულობას გრძნობდა. დიდი ძალის მომცემია ახალგაზრდობა, როცა ლამაზი ხარ, სასიამოვნო, თანაც დარწმუნებული, რომ ყველას მოსწონხარ. მაგრამ არანაკლები ძლიერებაა, როცა გაქვს მშვიდი გული, ნათელი გონება, ხარ აუღელვებელი და ბედისა და საკუთარი სურვილების ურთიერთ ჰარმონიაში ჰპოვებ ბედნიერებას. ცხოვრების მშვენიერი ყვავილი ისე გაშლილიყო, სრულიადაც არ შერყვნოდა სინათლითა და იტალიის მიწის დიდებული სიმშვიდით ნასათუთევი ლათინური სულის წყნარი მუსიკა. მას პარიზის მაღალ საზოგადოებაში სავსებით ბუნებრივად ეჭირა თვალსაჩინო ადგილი. ოდნავადაც არ უკვირდა, როცა მხატვრულ ან საქველმოქმედო წამოწყებათა

დასახმარებლად მიმართავდნენ. ქალი ჩვეული ტაქტით უწყობდა ხელს მათ, ოღონდ ამ წამოწყებათა მეურვეობას სხვებს ანდობდა. თუმცა საკუთარი მდგომარეობის შესაფერისად ეჭირა თავი, ველ-მინდვრებში განცალკევებით მდგარ ვილაში მცხოვრებ იმ პატარა გოგონას შინაგანი დამოუკიდებლობა საიდუმლოდ შეენახა. მაღალი საზოგადოება ღლიდა და ართობდა კიდეც. თავაზიანი ღიმილით მოხერხებულად მალავდა მოწყენას, რაც მის კარგ აღზრდასა და სათნო ბუნებაზე მეტყველებდა.

გრაციას არც მისი მეგობარი კრისტოფი დავიწყებოდა. რაღა თქმა უნდა, ის გოგონა, უბიწო სიყვარულის ცეცხლი ჩუმად რომ წვავდა, მეტად აღარ არსებობდა. ახლანდელი გრაცია ყოველგვარი რომანტიულობისაგან თავისუფალი, დარბაისელი ქალი იყო! ახლა იგი თბილი ღიმილით იგონებდა იმ თავის წრეგადასულ ბავშვურ გატაცებას. და მაინც ეს მოგონება გულს უჩვილებდა. კრისტოფზე ფიქრი გრაციას მისი ცხოვრების უფაქიზეს წუთებთან აკავშირებდა. მისი ხსენება მუდამ სიამოვნებას ჰგვრიდა. უხაროდა მისი წარმატება, თითქოს ამაში თვითონაც ედო წვლილი. სწორედ მან უწინასწარმეტყველა კრისტოფს წარმატება. პარიზში ჩასვლისთანავე გრაცია მასთან შეხვედრას ცდილობდა. კრისტოფთან გაგზავნილ ბარათზედაც თავისი ქალიშვილობის გვარს აწერდა. მაგრამ კრისტოფს იმ ბარათისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. არც პასუხი გაუცია — საქაღალდე კალათაში ჩააგდო. გრაციას არცა სწყენია. კრისტოფის შეუმჩნევლად იგი თვალს ადევნებდა მის შემოქმედებას. ზოგჯერ მისი პირადი ცხოვრებითაც ინტერესდებოდა. გრაციას მეგობრულმა ხელმა იხსნა კრისტოფი ახლახან ამტყდარი საგაზეთო ცილისწამებისაგან. საერთოდ გრაცია გაზეთში მომუშავე ხალხს ათვალწუნებით უყურებდა, მაგრამ როდესაც მეგობარს დახმარება დასჭირდა, მზად იყო მისთვის თვით ყველაზე უსიამოვნო პიროვნების საცდუნებლად ყოველგვარი ეშმაკობა ეხმარა. მან სახლში მიიპატიჟა გაზეთის რედაქტორი, რომელიც იმ ცილისმწამებელთა ხროვას მეთაურობდა და სულ ადვილად დაახვია თავბრუ. მერე მის პატივმოყვარეობასაც მოხერხებულად მოუქონა თავი. მოხიბლა და ისეთი ჟრჟოლა მოჰგვარა, საკმარისი იყო გრაციას კრისტოფზე თავდასხმების გამო ოდნავი გაოცება გამოეხატა, რომ მისი დევნა ერთბაშად შეწყვეტილიყო. რედაქტორმა სასწრაფოდ ამოიღო ის შეურაცხმყოფელი წერილი, მეორე დღის ნომრისთვის რომ მზადდებოდა. როდესაც ქრონიკიორმა გაბედა და შეფერხების მიზეზი იკითხა, შავი დღე აყარა. ამასაც არ დასჯერდა. ერთი ისეთი თანამშრომელი იხმო, ყველაფერს რომ იკადრებდა და უბრძანა, ორ კვირაში კრისტოფზე ქებას სტატია დაეწერა. მართლაც, შეითხზა კიდეც ზომაზე მეტად ხოტბის შემსხმელი სტატია. საელჩოში გამართულ დარბაზობებზე კრისტოფის ნაწარმოებთა შესრულების იდეაც გრაციას ეკუთვნოდა. როცა გაიგო, მისი მეგობარი სესილს მფარველობდა, ახალგაზრდა მომღერალს დაეხმარა, რომ თავისი ნიჭი გამოემჟღავნებინა. და ბოლოს, გერმანიის დიპლომატიურ სამყაროსთან ურთიე-

რთობის წყალობით მან ნელ-ნელა, ჩვეული მოხერხებით შეძლო გერმანიიდან გაძევებული კრისტოფისადმი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა. გრაციამ თანდათანობით გარკვეული წრეები შეაგულიანა, რათა იმპერატორისაგან მიეღოთ ბრძანება, რომელიც დიდ მუსიკოსს, ვინაც გერმანია ასახელა, სამშობლო ქვეყნის კარს გაუხსნიდა. რა თქმა უნდა, ამგვარი შეწყნარების იმედი ნაადრევი იყო, მაგრამ გრაციამ ის მაინც მოახერხა, რომ კრისტოფს მშობლიურ ქალაქში რამდენიმე დღით ყოფნის ნება დართეს.

უხილავი მეგობრის არსებობას კრისტოფი დიდი ხანია გრძნობდა, მაგრამ ვინ იყო იგი, ვერა და ვერ ამოეხსნა. უცებ სარკიდან მოღიმარი ჭაბუკი წმინდა იოანეს სახეში შეიცნო იგი.

ისინი ლაპარაკობდნენ წარსულზე, ოღონდ სახელდობრ რაზე, კრისტოფი ვერ გეტყოდათ. როცა საყვარელი ადამიანის გვერდით ხარ, მას ვერ ხედავ, არც მისი ლაპარაკი გესმის. იგი გიყვარს მხოლოდ და რაც უფრო მეტად გიყვარს, მით უფრო ნაკლებად ფიქრობ ამ სიყვარულზე. კრისტოფი არაფერზე არ ფიქრობდა. იგი აქ იყო, მის გვერდით და ეს სრულიად კმაროდა. სხვა დანარჩენი აღარ არსებობდა...

უცებ გრაციამ სიტყვა შეწყვიტა. აწოწილი, საკმაოდ ლამაზი, ელეგანტური, ახლად წვერგაპარსული მელოტი კაცი აბუჩადამგდები მოწყენილი სახით მონოკლით ათვალიერებდა კრისტოფს. მან ამპარტავნული თავაზიანობით მძიმედ დახარა თავი და მიესალმა:

— ჩემი მეუღლე, — გააცნო გრაციამ.

სასტუმრო დარბაზიდან ისევ მოისმა ხმაური. სინათლე ჩაქრა. კრისტოფი გაშრა, მთლად მოიბუზა. სალამზე საჩქაროდ უპასუხა და უკან დადგა. რა საოცილოა და უძღები ხელოვანის სულიერი სწრაფვა და ის ბავშვური კანონები, რომლებიც მის გრძნობებს წარმართავენ! ერთ დროს მან არად ჩააგდო ამ ქალის სიყვარული. წლების მანძილზე ერთხელაც არ გახსენებია, მაგრამ დანახვისთანავე იგრძნო, რომ გრაცია მას ეკუთვნოდა და თუ ამ ქალს სხვა ვინმე დაეპატრონა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი იმ სხვამ მოჰპარა. თვითონ გრაციას უფლება არ ჰქონდა, თავი ვინმესთვის მიეკუთვნებინა. კრისტოფმა აღარ იცოდა, რა მოსდიოდა. სამაგიეროდ, მასში მუსიკის დემონი გრძნობდა ამას. მისი წყალობით სიყვარულის მტანჯველ გრძნობას ულამაზესი სიმღერები უძღვნა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთი აღარ ენახათ. ჯერ იყო და, ოლივიეს მწუხარებამ, მერე მისმა ავადმყოფობამ მთლიანად მოიცვა კრისტოფი. მაგრამ ერთ დღეს იგი შემთხვევით წააწყდა მისამართს, რომელიც გრაციამ მისცა და გადაწყვიტა, მასთან წასულიყო. კიბეზე რომ ადიოდა, ჩაქუჩების კაკუნი მოესმა — ეტყობოდა, რაღაცას აჭედებდნენ. წინა ოთახი ყუთებითა და სკივრებით იყო გახიდული. ლაქიამ მოახსენა, გრაფინია არავის იღებსო. ის იყო იმედგაცრუებულმა კრისტოფმა ბარათი დატოვა და წასასვლე-

ლად მიბრუნდა, რომ მოსამსახურემ ბოდიშის მოხდით სთხოვა, უკან დაბრუნებულიყო. იგი კრისტოფს სასტუმრო ოთახში შეუძღვა, სადაც ხალიჩები უკვე ჩამოეხსნათ და დაეხვიათ კიდეც. გრაცია გაბრწყინებული ღიმილით შეეგება და სიხარულით აღტაცებულმა კრისტოფს ხელი გაუწოდა. სულელური წყენა გაქრა. კრისტოფი მასთან მიიჭრა და ბედნიერებისგან თავდავიწყებული ხელზე ეამბორა.

— როგორ მიხარია, რომ მოხვედით! უზომოდ დამწყდებოდა გული, თქვენს უნახავად რომ წავსულიყავი! — უთხრა გრაციამ.

— წასულიყავით? როგორ, წასვლას აპირებთ?

— როგორც ხედავთ, — უთხრა გრაციამ და არეულ-დარეულ ოთახზე მიუთითა.

— ამ კვირის ბოლოს პარიზიდან მივემგზავრებით.

— დიდი ხნით?

გრაციამ ხელები გაშალა:

— როგორ გითხრათ?

კრისტოფმა თავს ძალა დაატანა, როგორმე ხმა ამოეღო, ყელში რაღაც მოსწოლოდა და ახრჩობდა.

— საით მიემგზავრებით?

— შეერთებულ შტატებში. ჩემი მეუღლე იქ საელჩოს პირველ მდივნად დანიშნეს.

— მაშ ყველაფერი დამთავრდა? — ტუჩების თრთოლით ამოთქვა კრისტოფმა.

— არა, არ დამთავრებულა, — მიუგო მისი ხმით აღელვებულმა გრაციამ.

— ნუთუ იმიტომ გიპოვეთ, რომ ისევ დაგკარგოთ?

კრისტოფს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ჩემო მეგობარო! — ისევ გაიმეორა გრაციამ.

კრისტოფმა თვალებზე ხელები აიფარა, რომ აღელვება დაეფარა.

— ნუ ინაღვლებთ,— უთხრა გრაციამ და ხელი ხელზე შეახო.

უცებ ისევ ის პატარა გერმანელი გოგონა მოაგონდა. ორივენი გაჩუმდნენ.

— ამდენ ხანს რატომ არ მოხვედით? — ხმა ამოიღო ბოლოს გრაციამ. — თქვენთან შეხვედრას ვნატრობდი, თქვენ კი პასუხს არ მაძლევდით.

— მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი, სრულიად არაფერი ვიცოდი... — უპასუხა კრისტოფმა. — მითხარით, ამდენჯერ თქვენ დამეხმარეთ? თქვენ უნდა გიმადლოდეთ, რომ გერმანიაში ჩასვლის უფლება მომცეს? ეს თქვენა ხართ ჩემი მფარველი ანგელოზი?

— თავს ბედნიერედა ვთვლი, თუ ცოტათი მაინც შევძელი თქვენი დახმარება. მე ისე ძალიან ვარ თქვენგან დავალებული!

— როგორ? მე ხომ თქვენთვის არაფერი გამიკეთებია?

— თაკადვე არ იცით. რას ნიშნავდით ჩემთვის, — უპასუხა გრაციამ და მოიგონა ის დრო, როცა ჯერ ისევ პატარა გოგონა პირველად ბიძია სტივენსთან შეხვდა კრისტოფს. მისმა მუსიკამ აგრძნობინა გოგონას ქვეყნიერების სიმშვენიერე. გრაცია საუბარში თითქოს თანდათან გამოცოცხლდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გადაკრული სიტყვებით უყვებოდა თავის ბავშვურ გრძნობებზე. უამბო, როგორ განიცდიდა, როგორ ტიროდა, როცა მის კონცერტზე სტვენა ატეხეს, როგორ გაუგზავნა წერილი, მან კი უპასუხოდ დატოვა, რადგან წერილმა კრისტოფამდე ვერ მიაღწია. უსმენდა კრისტოფი და იმ წარუშლელ შთაბეჭდილებებს გულწრფელად ადარებდა ახლანდელ თავის გრძნობას და სინაზეს, მისკენ მიპყრობილი საყვარელი სახე რომ შთააგონებდა.

გულღიად, შეგობრულად საუბრობდნენ. საუბრის დროს კრისტოფმა ხელი გამოართვა გრაციას. უცებ ორივე გაირინდა — გრაციამ იგრძნო, რომ კრისტოფს უყვარდა იგი. კრისტოფიც მიუხვდა ამას. წინათ გრაციას უყვარდა კრისტოფი, ისე, რომ კრისტოფი ამით ოდნავადაც არ წუხდებოდა. ახლა კრისტოფს უყვარდა გრაცია, მაგრამ გრაციას მისდამი ახლა მარტოოდენ მშვიდი, მეგობრული გრძნობა შემორჩენოდა. გრაციას ახლა სხვა უყვარდა. ხშირად ხდება ხოლმე ასე — ერთის სიცოცხლის საათები წინ უსწრებს მეორისას და ამით ორთავეს ცხოვრება მთლიანად იცვლება...

გრაციამ ხელი გამოართვა. კრისტოფიც დაჰყვა მის ნებას. შეცბუნებულები რამდენიმე წუთს დუმდნენ.

— მშვიდობით! — უთხრა გრაციამ.

— მაშ, ყველაფერი დამთავრდა? — ისევ გაიმეორა კრისტოფმა თავისი სამდურავი.

— ალბათ ასე აჯობებს.

— მაშ გამგზავრებამდე ვეღარ ვნახავთ?

— ვეღარ, — უპასუხა გრაციამ.

— მაშ როდის?

გრაციამ ნაღვლიანად გაიქნია ხელი.

— მაშ ერთმანეთს რიღასთვის შევხვდით? — თქვა კრისტოფმა, მაგრამ გრაციას საყვედურით სავსე თვალებს რომ შეხედა, თვითონვე უპასუხა:

— მომიტევეთ, არ ვარ მართალი.

— ბუდამ თქვენზე ვიფიქრებ, — უთხრა გრაციამ.

— ვაი, რომ მე ფიქრის საშუალებაც არ მექნება. მე ხომ თქვენი ცხოვრების შესახებ სრულიად არაფერი ვიცი, — უთხრა კრისტოფმა.

მშვიდად, რამდენიმე სიტყვით აღუწერა გრაციამ თავისი ცხოვრება, უამბო თავისი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ. ჩვეული, ნათელი ღიმილით ლაპარაკობდა იგი საკუთარ თავზე და მეუღლეზე.

— ესე იგი, თქვენ გიყვართ იგი, არა? — იჭვნეულად ჰკითხა კრისტოფმა.

— დიახ! — მიუგო გრაციამ.

კრისტოფი ადგა.

— მშვიდობით.

წამოდგა გრაციაც. კრისტოფმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ იგი ფეხ-მძიმედ იყო და მის სულს ზიზღის, სინაზის, ეჭვისა და მწვავე სიბრალულის ამოუხსნელი გრძნობა დაეუფლა. გრაციამ სასტუმრო ოთახის კარამდე მიაცილა. კართან მისული კრისტოფი შემობრუნდა, დაიხარა და დიდ-ხანს ჰკოცნა მეგობრის ხელები. გრაცია იდგა გარინდებული, ნახევრად თვალდახუჭული. ბოლოს კრისტოფი წელში გაიმართა და უკანმოუხედავად, სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან.

...E chi allora m'avesse domandato li cosa alcuna,
la mia risponsione sarebbe stata
solamente AMORE, con viso vestito d'umilta...[1]

ყოვლადწმინდის დღესასწაულია. მოღრუბლული დღეა. ცივი ქარი უბერავს. კრისტოფი სესილთანაა. სესილი ბავშვის საწოლთან ფუსფუსებს. აქვეა ქალბატონი არნოც. სადღაც აქეთკენ ყოფილა და შემოუვლია. კრისტოფი ჩაფიქრებული ზის. გრძნობს, რომ ბედნიერება ხელიდან გაუშვა, მაგრამ არ ნანობს. იცის, რომ ბედნიერება არსებობს ამქვეყნად.. მზეო, მე არ მჭირდება შენი ხილვა, მისთვის რომ ვიცოდე—მიყვარხარ! ზამთრის ცივ დღეებში, როცა ყინვა მაზრობს, ჩემი გული შენითაა სავსე. მე ჩემივე სიყვარული მათბობს. ვიცი, რომ იგი არსებობს...

ჩაფიქრდა სესილიც. იგი ბავშვს დასცქეროდა. მას აღარ ახსოვდა, რომ ეს ბავშვი მისი ღვიძლი შვილი არ იყო. კურთხეულია ადამიანის წარმოსახვის უნარი, ცხოვრების შემოქმედი ძალა! ცხოვრება!.. რა არის იგი? სრულებითაც არ არის ისეთი, როგორიც გარეგნულად გვეჩვენება, ან მას ჩვენი ცივი გონების თვალით ვხედავთ. ცხოვრება ისეთია, როგორიც თავად წარმოგვიდგენია. მისი ქალბატონი არნოს მგრძნობიარე, დაღლილ სახეს და მასში, როგორც ამაღელვებელ წიგნში, ყველასაგან ნამალევ, სიტკბოებითა და ტანჯვით სავსე მეუღლისა და ქალის ცხოვრებას კითხულობდა, რომელიც ზოგჯერ ისევე მდიდარია, როგორც ჯულიეტასა და იზოლდას სიყვარული. ოღონდ მასში მეტია სარწმუნოებრივი სიდიადე...

Socia rei humanae atque divinae...[2]

როგორც რწმენა ან მისი უქონლობა, — ფიქრობდა კრისტოფი, — ასევე შვილის ყოლა ან უყოლობა არ განსაზღვრავს ქმრიანი თუ უქმრო ქალების ბედნიერებას. ბედნიერება სულის სურნელია, გულის იდუმალ კუნჭულში ამღერებული ტკბილხმოვანება და ამგვარი სულის უმშვენიერესი მუსიკა არის სიკეთე.

შემოვიდა ოლივიე. მოძრაობა მშვიდი ჰქონდა. მის ცისფერ თვალთაგან ახლებური შუქი გამოსჭვიოდა. მან ჯერ ბავშვს გაუღიმა, მერე სესილს და ქალბატონ არნოს გაუწოდა ხელი და მშვიდად, აუღელვებლად დაიწყო ლაპარაკი. გულითადი გაოცებით შეჰყურებდნენ მას მეგობრები. ოლი-

---

[1] ...და რაიმე რომ ეკითხათ მაშინ, მშვიდი სახით მივუგებდი: სიყვარული (იტალ.) დანტე, ახალი ცხოვრება, თავი XIV.

[2] ადამიანურ და ღვთიურ საქმეთა მეკავშირე (ლათ.).

ვიე მთლად ვამოცვლილიყო. ბუდეში მჯდარ ჭუპრივით თავის დარდთან განმარტოებულს ხანგრძლივი ცდის შემდეგ მოეხერხებინა და მწუხარება ძველი კანივით მოეცვალა. ოდესმე გიამბობთ, როგორ იპოვა, ან ყოველ შემთხვევაში ეგონა. რომ იპოვა ის დიდი მიზანი, რომლისთვისაც ღირდა თავგანწირვა. ახლა მისთვის სიცოცხლეს ფასი ჰქონდა, იმიტომ, რომ შეეძლო თავგანწირვა. ასეთია ბუნების კანონი: ის იყო განუდგა ცხოვრებას, რომ ცხოვრებამ კვლავ ახალი ძალით იფეთქა მასში. მეგობრები თვალს ვერ აშორებდნენ. არ იცოდნენ, რა მოხდა და შეკითხვასაც ვერა ბედავდნენ. ერთ რამეს კი გრძნობდნენ შეუცდომლად: ოლივიე გათავისუფლდა, სინანული აღარ სტანჯავდა, არც დარდობდა, არც რაიმე აწუხებდა.

კრისტოფი წამოდგა, პიანინოსთან მივიდა და ოლივიეს უთხრა:

— გინდა, დავუკრა ბრამსი?

— ბრამსი? შენი ძველი მტრის სიმღერა გინდა შეასრულო?

— დღეს ყოვლადწმინდის დღეა, ყოველთა ცოდვათა მიტევების დღე. — მიუგო კრისტოფმა.

და მან ნახევარი ტონით, ხმადაბლა, ისე, რომ ბავშვს არ გაეღვიძებოდა, შვაბური ხალხური სიმღერა წამოიწყო:

...Für die Zeit, wo du g'liebt mi hast
Da dank'i dir schön,
Und i wünsch, dass dir's anderswo
Besser mag gehlr...

(მადლობას გიძღვნი იმ სიყვარულისთვის, რომელიც მომანიჭე. გისურვებ, უფრო მეტი სიყვარული გეგრძნოს ყველგან, სადაც წახვალ...").

— კრისტოფ! — უთხრა ოლივიემ.

კრისტოფმა მაგრად ჩაიკრა გულში მეგობარი.

— გამხნევდი, ჩემო კარგო! ცხოვრებამ მშვენიერი ბედი გვარგუნა!

ოთხივენი მძინარე ბავშვის საწოლთან ისხდნენ და არც ერთი იმათგანი ხმას არ იღებდა. რომ გეკითხათ, რამ დაგაფიქრათო, მშვიდი სახით მხოლოდ ერთ პასუხს მოგაგებდნენ:

„ს ი ყ ვ ა რ უ ლ მ ა".

შინაარსი

წიგნი მეექვსე. ანტუანეტა. თარგმნა ციცინო ბიბილეიშვილმა 7
წიგნი მეშვიდე. შინ. თარგმნა ომარ ხახაშვილმა . . 85
წიგნი მერვე. მეგობრები. თარგმნეს ომარ ხახაშვილმა და ნათელა გუჯაბიძემ . 239

Ромен Роллан

ЖАН-КРИСТОФ. ТОМ III

КНИГА ШЕСТАЯ, СЕДЬМАЯ, ВОСЬМАЯ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1977

ს. ბ. № 108

რედაქტორი გ. ბუაჩიძე. გამომცემლობის რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე. მხატვარი ჯ. ყავლაშვილი. მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე. ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე. კონტროლიორ-კორექტორი დ. კალანდარიშვილი. კორექტორები ნ. მუსხელიშვილი და თ. შინდაგორიძე. გამომშვები ვ. ვახტანგაძე.

გადაეცა ასაწყობად 18/II-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-77 წ. ანაწყობის ზომა 7×9³/₄. ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆. საბ. ქაღალდი № 1. ნაბეჭდი თაბახი 28,08. სააღრიცხვო თაბახი 23,9 ტირაჟი 20.000. შეკვ. № 507.
ფასი 2 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси, Марджанишвили 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика, Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. дружбы № 7